ISSN 0132-6023

ეროვნული ბიბლიოთეკა

12

1988

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცისკარი

377

გამოცემის ოცდაშვიდეთერთმეტე წელი

12

დეკემბერი

1988

თბილისი

სსრ კპ ცკ-ის გამომცემლობა

ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

საქართველოს ასკკ ცენტრალური კომიტეტისა და მწერალთა კავშირის ორგანო

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მთავარი რედაქტორი
ჯანსუღ ღვინჯილია

სარედაქციო კოლეგია:
გივი ალხაზიშვილი
თეიმურ ბეძიშვილი
(მთავარი რედაქტორის მოადგილე)
გივი გეგეჭკორი
გურამ გეგეშიძე
გიორგი გუალია
თეიმურაზ დოლაბერიძე
მერაბ ელიოზიშვილი
მეფუტა კახიძე
ზეთა ნიშნიანიძე
გურამ შანჯიკიძე
ეროს ფოცხიშვილი
ნუგზარ შატბერაძე
ავთანდილ ჩხეიძეშვილი
(პასუხისმგებელი მდივანი)
სოსო ცინცაძე
გოგი ფარეული
გიორგი ჭანტურია
ტარიელ ჭანტურია
ბაადრი ჭოხონელიძე
მაკა ჯოხაძე

შ ი ნ ა ა რ ს ი

კ ო ე ზ ი ა დ ა პ რ ო ზ ა

3. მედეა კახიძე — ლექსები
4. ნოდარ ადეიშვილი — ლექსები
7. თამაზ ხმალაძე — ღრეჯუ. მოთხრობა
38. გივი ალხაზიშვილი — ლექსები
42. შურთხო ბეროშვილი — ლექსები
44. კობა კაკაბაძე — თაბაშა. მოთხრობა
51. ლია რუსიაშვილი — აკმე
55. თოთია გიგაური — ლექსები
56. ქეთევან მელიქიძე — შემცირება. მოთხრობა
86. ელა გოჩიაშვილი — ლექსები
89. გელა კიკოლაშვილი — ლექსები
92. მურმან მარკვილიშვილი — მატარებელში მოთხრობა
97. კოტე ამირიძე — ლექსები
99. იზა გოცაძე — ლექსები
102. ჯემალ რატიანი — მდინარესა და მთებს გაღმა. რომანი. დასაწყისი

პ რ ო ბ ლ ე მ ა

114. საქართველო უმნიშვნელოვანეს ენციკლოპედიებსა და საცნობარო ლიტერატურაში

წ ე რ ი ლ ე ბ ი

133. როსტომ ჩხეიძე — ადრე პოეტი
137. ანდრო მირიანაშვილი — ორი მუზის კეთილად მსახური
145. თენგიზ ფოფონავა — სიმართლე
151. მაია ფანჯიკიძე — ლეო ქიაჩელის ერთი მოთხრობის გამო

ხ ე ლ ო ვ ნ ე ბ ა

154. მარგარიტა გოგოლაშვილი — ჩერნობილის ტრაგედიის სცენური ანარეკლი
156. ქრონიკა
157. ჟურნალ „ცისკრის“ 1988 წლის ნომრების შინაარსი

ეროვნული ბიბლიოთეკა

შელია კახიძე

●

კვლავ სიამაყის
ჟრუანტელს მომგვრის,
თეთრი ყაზბეგი,
თმათეთრი მოგვი.
მთვარე, რომელიც
სიყვარულს ნიშნავს,
და ცაზე დასმულს
ჰგავს კითხვის
ნიშანს!
ჩემი სამშობლო
სულ ერთი გოჯი —
მზეთუნახავი
და არა გონჯი!

●

ისევ ქვიშა და ხრეში,
ტყე კვლავ სავსეა ნუზლით,
ზღვა ძველებურად ხვნეშის,
მზე კვლავ
ცას მხარზე უზის.
ბზები გარეთ და
ბზა შინ,
ბზები ერთად და ცალკე,
არა მონურად
გაწვდილი წელით,
პირთამდე სავსე
სიმწრით და რწმენით,
ერთ მუშტად შეკრა
ვინც მტრობის შიშმა,
ვინც ჩემთან ერთად
ამ ქვეყნად იშვა.
ზეიმმართული
ლოცვად და ნიშად,
სამშობლო ჩემთვის
ყველაფერს ნიშნავს!

ცა იყურება ზღვაში
როგორც სარკეში სარკე.
ვიღაც ბილიკზე მოდის,
ვიღაც ეწევა თუთუნს,
და ვამბობ —
მიწას ცოდვილს
შენ ამძიმებდი ნუთუ!

იქნებ

სალამს გიძღვნით!
მზეფოთოლა დეკავ, ქუჩო,
მე მოვედი,
ის კი ცაში ნეტარყუჩობს,
მას დუმილის
ხმები ემეტყველებიან,
ვერც ცის ტატნობს,
ვეღარც ტყეებს ტყემლებიანს
ვეღარ ნახავს,
დაეკონა ღამე მდორე
ის თავისას,
მე ჩემს ვარსკვლავს
დავემდურე,
კვლავაც ბრწყინავს
მზეში მინდვრის სარეცელი,
შეგხედავთ და
პირუჩუმრად გაგეცლებით.
მერე წავალ
ვინახულებ ნაცნობ წიწვებს,
რა ვქნა, დავალ,
მოგონებებს ვაკოწიწებ,
კვლავაც მოვალ
თავმდაბალო დეკა, ქუჩო,
იქნებ გზებზე
მისი სუნთქვა შევაქუჩო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნოდარ ადეიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

იქ, სადაც სიყრმე...

ჩვენს შუა ჩავლა უჭირდა ნიავს
დამდგარა ყამი — მდინარე ჩადის...
არადა ისევ ის ლურჯი დღეა
და ჩემს ტყემლებზეც ლამაზად
ბარდნის...

ფარფატებს ფიფქი
და თავს მაწონებს, —
და ისევ მიდევს თავი სასწორზე...

ვინ დამიბრუნებს ახლა იმ დღეებს,
თორემ ყველაფერს გამოვასწორებ.

„ყრმა მეგადური“

ვფანტავდით ისრებს, ფრთიანს თუ
უფრთოს,
ვფანტავდით წკრიალს პაპის ფანდურის
და ვიხსენებდით
ზღაპრებში უფრო
რისთვის მოგვწონდა „ყრმა
მებადური“...

ვით ამოჰქონდა ნაპირზე ბადეს:
მურწა,
კალმახი,
ქაშაყი,
ლოქო...

პატარა გოგო მწყემსავდა ბატებს,
მაგრამ ბატებიც მწყემსავდნენ გოგოს.

სატრფიალო

როგორც არ უნდა ავად იფიქრონ, —
ვერ თქვან ცალ-ცალკე ტბა და
ლერწმები,
მუხრანის ველზე ვაზი და ჭიგო,
მუხრანის თავზე ცა და მერცხლები...
. . . . . .

და შენც არ მითხრა:
— დააგვიანე...
რახან მოვედი, გახსენ ჭიშკარი...

ხედავ? მცხეთასთან ისევ ბრიალებს
უფლის ცა —
ერთად ყოფნის ნიშანი.

წაიღე, ძმაო...

ხომ ვითომ უფრო მელამაზებით,
ხომ ვითომ უფრო ხართ მშვენიერი,
მაინც ცივია თქვენი ბაზრების, —
ჩიტის ბაზრების ხმა და იერი...

მაგ ლურჯ გალიებს მაინც ზეცა სჯობს
და მაგ შროშის დოქს ძველი ბადია...

ჩიტის გამყიდველს
როგორ ვევაჭრო,
წაიღე, ძმაო, რაც მაბადია.

მეგობარ მხატვრებს

ილია რამიშვილს,
ვენდო წურწუმიას.

ცა ეღრუბლებათ ქართლის მთაგორებს,
ან უფრო სწორად მათ მწყემსებს
საწყლებს...
რას შეცვლის თორემ,
რას შევცვლი თორემ
მათ მაგივრადაც ვიტყვი და დავწერ...

როგორ მიყვარან...
და ვიღებ ფანქარს
რომ წავუშალო ცრემლები ტირილს,
. . . . . .
მერე
თქვენც ხატავთ
ერთ ბებერ სარქალს,
მამულზე შეყვარებული სტვირით.

ხმამაღლა თუ არ ვამბობ ძალიან —
კვლავაც მიყვარხარ როგორც მიყვარდი
და კვლავ გავძახი: — ოქროს ნისკარტი,
ჩიტს დილის ზეცა რომ აბარია.

ასე ვაწებებ სტრიქონზე სტრიქონს
და სიმღერებით კარს ვუმტვრევ საკანს,

რომ ამ ჩიტივით შენც ცაში იყო
და არასოდეს
სხვასთან და სხვაგან.

და არც მე ვდგავარ იმ საყდრის იქით

გტოვებ,
მივდივარ
და გული მწყდება:
მზეზე, მთვარეზე, ბალახზე, შენზე,
რომ დაჭკრის ქარი დღეს, როგორც
ნეგბავს,
და არაფერი არ ძალუძს ლექსებს...

თუმცა შენ ისევ რწმენის ზარს რეკავ
და არც მე ვდგავარ იმ საყდრის იქით,—
იმ ხალხის გვერდით,
რომელსაც ქვეყნად
არ სჯერა კიდევ, რომ მოვა იგი...

ნუ მკითხავ მიზეზს...

ეს მხარე ჩემი ჩიტის მხარეა,
ეს არის ჩემი ჯილდოც. სასჯელიც
და ვამბობ, მაგრამ რა ახალია, —
რომ სხვაგან ყველგან დავიტანჯები...

მიყვარს
ეს წყალიც,
ეს ლეღვსულელიც
და რატომ მიყვარს ნუ მკითხავ
მიზეზს...

ცა და
მთვარე და
თეთრი ღრუბელი...
ბალახში ვწევარ და ასე გიმზერ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავს არ შეგაწყენ ძველი ამბებით,
უბრალოდ
გავხსნი თქვენთან ერთ წერილს:
„მათ რომ მომართეს ჩანგის ლარები
და სასიმღეროდ შემართეს ყელი,

მე იმათ ახლოს
ჩემს დაღლილ ძმებთან,
კვლავაც აღმომხდა
თალხის თუ ნისლის:

რა საბრალოა სახელი: ნესტან,
რა მწუხარეა ქვეყანა მისი“.

მეათე წიგნიც...

რა დავაშავეთ, ვკითხულობთ ისევ,
მაგრამ ვინ არის, პასუხი გაგვცეს,
მაგრამ ვინ არის, ჩვენს ძირძველ
მიზნებს
უყუროს, როგორც ამ ციხე-ტაძრებს...

და, ვიცი, მაინც ამაოდ ვწვალობთ,
არ ვკმარვართ მარტო
მე,
შენ და
იგი...

და ისევ ათას მიზეზთა გამო,
ვერ იტევს სევდას მეათე წიგნიც.

გეგერი მწყემსი

მათ ისევ
როგორც შვენით, შეჰფერით,
მე კი მათ გვერდით ჩუმად, ფარულად
მივდევდე ფარას და ჩრდილ-ბებერიც
მივიხარჯავდე გულს სალამურად...

ცოცხალი თავით ვის დაუთმია,
ან ეს მგლები და ან ეს ფარები...
რა სჯობს, როდესაც ცეცხლი უნთიათ
მწყემსებს და
სიხმრით ეწვით თვალები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმ მყუდროებას...

თანია ჩემო, ნუ გამიმტყუნებ, —
თუ ისე ვერ ვარ, როგორც არიან.
ჩემი სიმდიდრე და სიღარიბე
ისევ ბავშვობის მზე და მთვარეა...

დღით ლექსებსა ვწერ,
ღამით ვარსკვლავს ვკრეფ,
უფრო ღამით კი ვკეტავ დარიალს...

იმ მყუდროებას
ასე ვარჩიე
და ვწირავ თავს და
ვამბობ: — ვალია.

რომ ვმღეროდით...

სხვა რა ვთხოვო წკრიალს ხსოვნის
ზარის,
ეტლს გამობმულ მთვარით სავსე
მინდორს...

მოვიჩქარი,
რომ ყვავილი ყვავილს
მივუმატო
გავიხსენო ის დრო, —
რომ ვმღეროდით:
— ღმერთო, ნუღარ გვიწყენ,
თუ ამ ლხინშიც დაგვინახო ცრემლი,

რუსთაველიც
სხვის მიწაში გვიწევს,
რანაირი მამული გვაქვს, ლელი.

წერილის მაგიერ

ეგ შენი ლექსი დღეს ისე მომწონს,
დღეს ისე მომწონს მზე — შენგან
თქმული,
რომ ვამბობ: — ქვეყნად თუ რამე
ცოცხლობს,
თუ სადმე მარცვალს აღვივებს ხნული
შენით და შენით...
. . . . . .
და ვანთებ კოცონს
და შენთან ერთად გარშემო ვუვლი.

მე ასე ვუცქერ...

ლხინიც ახლავსო ამ დღეებს, მაგრამ
მითხარ მოსალხენს რას ყვება ქარი,
აი, ის ლურჯი ყვავილიც ჩაქრა,

ჩაქრობაზეა ის ფიქვის კვარიც...
მე ასე ვუცქერ
ნოემბრის მთა-ბარს,
მაგრამ ვინც ცოტა სხვაგვარად
უცქერს —

ველარც ის ყვება
უკეთეს ამბავს,
ველარც ის აფენს უკეთეს ფურცლებს.

თეთრი იყოო...

თითქოს გისრულებ, რასაც დაგპირდი,
გუდამდიდარი ზღაპრის მთქმელებით
გიახლოვდები ოთხივ ნაპირით,
გიახლოვდები და გეფერები...

აი, ყვებიან სულ ახალ ზღაპარს:
მთვარე,
მდინარე,
ყვავილი,
ნავი...

თეთრი იყოო დედოფლის კაბა,
თეთრი იყოო დედოფლის მკლავი.

კესანე

არ ვიცი, ეს ხმა სად ვის მისწვდება,
მაგრამ მე ვიცი, რა ლარსაც ვწვდები...
ხომ შეიძლება გადავიწყება,
ან გახსენება მშვენიერ წლების...

და ამ ფიქრებში ზარმა მესამედ
დაჰკრა და ღამის ცა მოიცილა

და კვლავ გამოჩნდა ველზე კესანე
და სალმის ნიშნად
კვლავ გამიცინა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღრჯუ

მოთხრობა

სიძველის სუნს დაეჯაბნა და დაეორგუნა აქ ყველაფერი. ეს სუნი გასჯდომოდა ათაპაპინდელ ლამაზადმოჩუქურთმებულ, ძველებურ პეწშერჩენილ, თუმცა რკილისაგან სანახევროდ დაცხავებულ-ჩაყურუტებულ კომოდსაც, ალაგ-ალაგ შავად დალაქულ მრგვალ მაგიდასაც და ორ მოზრდილ თაროზე ჩარიგებულ გაყვითლებულ წიგნებსა და გაზეთებსაც. სუნი მომეტებულად იმ კუთხიდან იგრძნობოდა, სადაც უხმარობისაგან დაჟანგული ვარიზი და დემური, დაფუტუროებული ვარაჩო და ხელობამიტოვებული დაბაღის ერთმანეთზე აკოკოლავებული სხვა ხარახურა ეყარა უყურადღებოდ. ყველაფერს დიდი ხნის წინ გასვლოდა ყავლი, თავისი დრო მოეკამა, მაგრამ პატრონს გადასაყრელად მაინც ვერ გაემეტებინა, ანდა უკვე იმდენად მივეწყებოდა, რომ მათი თავიდან მოშორება აღარ ახსენდებოდა.

მოსე პაპა ჯეჯიმგადაფარებულ ჭრიალა ტახტზე პატრიარქის სიდარბაისლით იჯდა და თითაწეული მოძღვრავდა თავის ერთკაციან მრევლს:

— მიიხედ-მოიხედე, რასაც თვალი შეამჩნევს ისიც და ისიც — რასაც ვერ შეამჩნევს, განგების ნებით გაჩენილა და განგებისავე ნებას ემორჩილება. დასაბამიდან ერთხელ და სამუდამოდ დადგენილ წესრიგს არც სულიერი არღვევს და არც უსულო. აბა, დააკვირდი, თუ ეგრე არ არის! ერთი მარტო ადამიანია, ამ კანონს რომ არ ეპუება, ათასნაირ ჭირსა და დოზანას იგონებს, არც თვითონ ისვენებს და სხვას ხომ არ აძლევს და არ აძლევს მოსვენებას. აი სწორედ ეგ არის აუტკივარი თავის ატკივება და ყველა უბედურების ძირის-ძირი. ყური დამიგდე! თუ არ გინდა, რომ სიცოცხლე გაიმწარო და ჭირბოროტი გაიმრავლო, ცხოველების საქციელს დააკვირდი, იმთგან შეითვისე სიბრძნე არსებობისა. განიცადენით მფრინველნი ცათანიო...

რასა და საიდან უნდა დაჰკვირვებოდა ნეტავ, საიდან უნდა განეცადნა ეგ მფრინველნი ცათანი, ამ სინათლენაკლული ფანჯრიდან თუ თაროებზე ჩარიგებული წიგნებიდან? ეტყობა, უფრო წიგნებიდან. ორივემ ეზოში ერთი გაქუცული, ბებრის-ბებერი ფშატი ედგათ და ისიც სამი თვის დაგვიანებით ეგებებოდა გაზაფხულს — ივნისში ყვაოდა. იმის შემხედვარეს რა კეთილი დაეყრებოდა!

მოსე პაპა კი თავისას განაგრძობდა:

— ...კაცმა ყური არ უნდა დაიყრუოს და თვალი არ უნდა დაიბრმაოს, თორემ ბუნება ყოველდღე გვიტარებს სიმართლისა და სიკეთის გაკვეთილებს, ის არის ყველაზე დიდი მასწავლებელი და თვითონ გიჩვენებს, თვითონ დაგაყენებს ჭეშმარიტ გზაზე... — ამოიოხრა, თვალები მოჭუტა, — ეგ კია, ისიც ქალივით არის, ეგრე იოლად არ დაგმორჩილდება, თავს ადვილად არ ამოგაცნობინებს...

მოსე პაპა რა მოძღვრად გამოადგებოდა. ან თვითონ რა უნდა სცოდნოდა ბუნებისა, ამ ვიწროფანჯრებიან, მზესა და ჰაერდანატრულ ბინაში დაბადებულ-გაზრდილ მარტოხელა, უშვილძირო კაცსა და ან სხვისათვის რა უნდა ესწავლებინა. ისედაც, დაბაღს ბუნებას-

თან რა ხელი ჰქონდა, რა ესაქმებოდა. მაინც მორჩილად, სიტყვაშეუბრუნებლად უსმენდა დავითი მოხუცის შეგონებებს. განა იმიტომ, რომ ჯერ ათი წელიც არ შესრულებოდა და ამ ცხოვრებაზე საკუთარი აზრი არ გააჩნდა, არა, ხათრიანსა და მოკრძალებულს მოძღვართან შეპასუხებისა ერიდებოდა.

ღემრთმა, თუ სადმე არის, ნათელი დააყენოს მოსე პაპას სულს, მადლიანი ადამიანი იყო, თითქოს ჭკვიანიც, მაგრამ არ გამართლდა იმისი ქადაგებები— თურმე ბუნებაშიც ვერ იყო ხეირიანად და ჯეროვნად მოწყობილი ყველაფერი. როგორც თანდათანობით ირკვეოდა, იქაც ხშირად ურევდნენ შავს თეთრში და ერთხელ დადგენილ წესრიგსა და მართებულობას მაინცდამაინც არას დაგიდევდნენ. ამიტომ ქვეყნად არსებული ყველა უკეთურობის ადამიანისათვის გადაბრალება ცილისწამებას უფრო ჰგავდა, ვიდრე დამნაშავის მიგნებას. ამის დასამტკიცებლად სხვისი მოშველიება რაღაში სჭირდებოდა, როცა აგერ ცხვირწინ ჰქონდა, თუმცა არც ისე მკაფიო, მაგრამ ძალზე ნათელი და ქათქათა მაგალითი — ფანჯარაში გაიხედავდი და: რა კანონზომიერებაზე შეიძლებოდა ლაპარაკი, როცა ხან მთელი ზამთარი ისე გაივლიდა, ერთი ფიფქიც არ დავარდებოდა მიწაზე, ხან კი მოხსნიდა ზეცა პირს და თოვლით ამოვსებას უპირებდა ირგვლივეთს.

●

დიდრონი, სველი ფანტელები სწრაფად მოექანებოდნენ დაბლა. ლამაზად ბარდნიდა, ხვავრიელად. ელნათურების შუქს ვერ გაერღვია ფიფქების სიხშირე, გარშემო მაინც ნათელი იდგა — იფიქრებდი, თვითონ თოვლი ასხივებსო ამ ნათელს. ფანტელების სქელი ფარდა, ეტყობა, ხმაურსაც ახშობდა, ჩქამი რა არის, ჩქამიც არსაიდან ისმოდა. თოვლს ერთბაშად და უბრძოლველად დაესაკუთრებინა ყველაფერი. ანაზდად გამოჩენილ მტერს მოუმზადებელი დახვედროდა ქალაქი და მიმხვდარს, რომ წინააღმდეგობის გაწევა ზიანის მეტს არაფერს მოუტანდა, თავი მოეკატუნებინა: ვითომდა სულაც არ ვარსებობო, არარსებულის დაპყრობა კი სხვას ვის მოუხერხებია, რომ ამან მოახერხოსო. გულისგულში მაინც სახვალიო ბრძოლისათვის ემზადებოდა, ლამის მთელი წლის მანძილზე უხმარობისაგან დაჟანგულ მახვილს ჰფერავდა. ხვალინდელი დღის იმედს ეფერებოდა და ელოლიავებოდა.

დავითი მარტო იყო კუპეში, ზედა საწოლზე პირქვე იწვა, თავი ოდნავ გადმოეწია და თვალმოუცილებლად უყურებდა წყლის წვეთებით დაჭორფლილ ფანჯრის მინას. არაფერი ჩანდა ფანტელების სქელი ფარდის მიღმა — არც მგზავრები შეიმჩნეოდნენ და არც გამცილებელები. ეს შემაღონებელი, გულისგამაწვრილებელი სიჩუმეც რომელიღაც მიყრუებულ ბაქანს უფრო შეეფერებოდა, ვიდრე დედაქალაქის დიდსადგურს. ერთი შეხედვით კაცი იფიქრებდა, თოვლი სიმყუდროვისა და უშფოთველობის დასამკვიდრებლად გვეწვიაო, მაგრამ სხეული მალევე გრძნობდა, ამ მოჩვენებითი სიმშვიდის მიღმა რა დაძაბული და სიმივით დაჭიმული იყო ყველაფერი. უცნაურად გათენებული დღე უცნაურად ღამდებოდა.

ელმავალმა ნელა გაიწია და დაიძრა. ვაგონებ ქვეშ სწრაფად ჩაირბინა ხმაურმა და სადღაც ბოლოში მიიკარგა. მატარებელმა თანდათან მოუმატა სიჩქარეს. ფანჯრის მიღმა ფიფქებმა გვერდულად იწყეს ფრენა. ეხლა „თოვლი იყო ირიბი, ალმაცერი“, მაგრამ დავითს ეს სტრიქონი არ გახსენებია. ამჯერად ლექსებისათვის არ ეცალა.

დავით ბახტურიძე ძმასთან მიემგზავრებოდა.

●

შემოდგომაზე, ოქტომბერში ორმოცდაორი წელი უსრულდებოდა, ორმოცდამეორე ზამთარს იტოვებდა უკან და ორმოცდამეორედ ეგებებოდა გაზაფხულს. მართალია, ეს არც ისე ბევრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

იყო, რომ სათვალავი არეოდა და როდის რა მოხდა, ვეღარ გაეხსენებინა, მაგრამ საერთოდ თუ მომხდარიყო რამე. გახსენების ღირსი რომ ყოფილიყო? თითქმის არაფერი. თუ იმ ცვლილებებს არ მივიღებთ მხედველობაში, მის გარეგნობას რომ დასტყობოდა. უმეტეს მათგანს არავითარი ნიშანწყალი, ნასახიც არ დაეტოვებინა დავითის ცხოვრებაში. სადღაც გვერდით ჩაევლოთ და ერთგვარები უკვალოდ ჩაკარგულიყვნენ წარსულის უძღებ ხაბაში, ისე, როგორც სხვა უშტი და უშქარი, მის დაბადებამდე რომ დამდგარიყვნენ და გადამქრალიყვნენ კიდეც. იმ ერთს კი... იმ ერთს კი დავიწყება არ ეწერა. რადგან სამუდამოდ დასჯდომოდა დავითის მახსოვრობას. იქიდან იწყებოდა მისი ცხოვრების წელთაღრიცხვა — უთხრეს: აქედან ძალიან შორს, მოუსავლეთში ბოროტმა ხალხმა ომი დაიწყოო და ამიტომ ძაძა შინიდან სამუდამოდ წავიდა თუ წაიყვანეს. მას შემდეგ ღონიერი ხელი მოსაფერებლად აღარასოდეს დაბრილა ობლისაკენ. საცემრად კი რამდენჯერაც გინდა. სექტემბერში, როცა პირველად შეაღო სკოლის კარი, მამა უკვე აღარა ჰყავდა. მაგრამ სულ რაღაც ერთ თვეში ოჯახში ისევ სამნი იყვნენ — ლევანიც უფროს ძმასავით ოქტომბერში დაიბადა.

ბავშვებისათვის ომი ანაზდეულად არ დაწყებულა. ომმა მხოლოდ მაშინ შეაღწია ყმაწვილის ცნობიერებაში, როცა უდარდელი თამაშ-ბურჭალის ადგილი შიმშილმა და სიცივემ, ცრემლმა და მწუხარებამ დაიკავა. იმდროინდელ ბავშვებს სულ მალე ჰატარები აღარც ეთქმოდათ - მკაცრმა დრომ რა ასაკშიც მოუსწრო, იმ ასაკში დააკაცა. თითისტოლებიც კი აღარ ჭირვეულობდნენ, არც მოითხოვდნენ და აღარც ელოდნენ ვინმესაგან ზედმეტ ფერებასა და მისიყვარულებას. ხალხს ალერსისათვის არ ეცალა. საქმე გაძლებაზე იყო და თუ გადარჩენა გინდოდა, დროებით მაინც ქვად ულა ქცეულიყავი, რაც კი რამე სასიცოცხლო ენერგია გაგაჩნდა, ფრთხილად და მომჭირნეობით მოპურობოდი, გამოგეზოგა და რაღაც განცდებზე და ემოციებზე არ დაგეხარჯა. ამიტომაც იმხანად მშვენიერებისა და სილამაზის დასანახი თვალები თითქოს დაბრმავებოდათ და საგნებსა და მოვლენებსაც მხოლოდ ერთი მხრიდან, ერთი კუთხიდან უცქერდნენ — გამოყენების კუთხიდან — ყველაფრიდან რაღაცა სარგებელი უნდოდათ გამოედენთ. ჯერჯერობით ეგრე იყო. კუჭი თავისას მოითხოვდა და მერე რა იქნებოდა, პატარებმა კი არა. ბევრმა უფროსმაც არ იცოდა.

მაგრამ იმათ რა ექნათ, ვისაც ბავშვობა არ ეთმობოდათ, ვისაც ქუჩის გადაღმა ზღაპრული ქვეყანა ეგულებოდა და ეგონა, ღამით ნოკინებარი დილით უსათუოდ აუხდებოდა, ვისაც სათნოება და გულჩვილობა ყველაზე დიდ მტრად გადაჰქცეოდა.

თავიდან სწორ გზას ასცდა დავითი და როგორც ჩანს, მცდარი გადაწყვეტილება მიიღო (თუკი შეიძლება, ათიოდე წლის ბავშვის თავში გამკრთალ აზრსაც გადაწყვეტილება ეწოდოს). მოეჩვენა: დღესდღეობით ერთადერთი უსაფრთხო და საიმედო თავშესაფარი წიგნებიაო და იპოვიდა თუ არა დროს, იქით გარბოდა, იმათ მიაშურებდა ხოლმე. მაგრამ მოტყუვდა, ისინი თურმე „მტრის“ წისქვილზე ასხამდნენ წყალს — უფრო მეტ საზრდოს აწვდიდნენ და აპურებდნან მის გულჩვილობას. თითქოს ამქვეყნად ყველა და ყველაფერი დავითის წინააღმდეგ შეთქმული და შემართული, იმისათვის მოუცლიაო. ჰოდა, რადგან ძალა არ შესწევდა, სხვებს შეტოქებოდა, ხერხი იხმარა და თვითონაც საკუთარ თავს შეებრძოლა. თუმცა ეს ბევრად უფრო საიმედო და იოლი გზა იყო, ბრძოლა მაინც დიდხანს გრძელდებოდა — ომის შემდეგაცა და მერეც — ჯერ შეუცნობელი და გაუაზრებელი, მერე და მერე კი შეგნებული და გეგმაზომიერი. ძალს თვითონ იყო და ძალს საკუთარი თავი. ბოლოს, გამოგონილი სიტყვაძვირობითა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და პირქუშობით იმდენი მოახერხა, რომ ჯერ კიდევ სკოლაში სწავლისას თანაკლასელებმა ღრჯუდ მონათლეს. რა თქმა უნდა, დიდად სასიამოვნო არ არის, როცა ამხანაგები ღრჯუს გეძახიან და სურვილიც გეკნება ამ მეტსახელის მოშორებისა. მაგრამ, თუ ღრჯუობა ის ბუნგია, რომლის შიგნითაც სინაზესა და გულმოწყალებას მალავ, შენს დაუძინებელ, დაფიცებულ მტრად რომ მიგიჩნევია. შეიძლება შეეგუო კიდეც და ატანა აღარ გაგიჭირდეს. ის კი არა, ეგებ თავისებური ჯავშანიც კი გახდეს... ჯავშანი... ამ სიტყვამ მაშინ სულ სხვა მნიშვნელობა შეიძინა. წინათ თუ ჯავშანს ისინი ხმარობდნენ, ვინც ომის ცეცხლში ბრუნავდა, ეხლა იმათ შეეძინათ, იმათი კუთვნილება გამხდარიყო, ვინც აქ, ხუთრში უფრო საჭირონი იყვნენ. ვიდრე ფრონტის წინა ხაზზე. დავითსაც თვითონ ეშოვა თავისი ჯავშანი — თავისი ღრჯუობა — და სჯეროდა, თუ იმას მოიშორებდა, გარეშენი ისე დაჰგლეჯდნენ და გაჰფესკავდნენ, როგორც წვრილიანში უპატრონოდ დარჩენილ ცხვარს მგლები. ისიც მგელი უნდა ჰგონებოდათ, იმათგან ვერ გამოერჩიათ. იქნება მაშინ მაინც არ გადაეწოლებინათ თანამომძმის სისხლით ლაშები!

მოგეხსენებათ, არცთუ იშვიათად, ცხოვრება შეუფერებელ როლს გვთავაზობს და ჩვენც, სხვა აღარა დაგვრჩენია რა, ვთამაშობთ ხოლმე ამ როლს. პირველ ხანებში უწადინობა გვეტყობა, უხალისოდ ვირჯებით და რეჟისორისაც უკმაყოფილონი ვართ. მხოლოდ იმიტომ ვატანთ თავს ძალას, რომ გვეშინია, მაყურებელმა არ გვისტვინოს. მაგრამ მერე და მერე ისე გავითავისებთ ხოლმე ნარგუნებ როლს, რომ გვეჩვენება: ბავშვობიდან ამაზე ვოცნებობდიო. ოღონდ ხანდახან, ისე, რომ შიზეზის გარკვევაც გვიჭირს, ხუშტურები მოგვივლის, მოგვბეზრდება, შეგვზარდება სიყალბის თამაში და ჩვენი ნამდვილი სახის გამოჩენა მოგვინდება, რომელიც თვითონაც აღარ გვახსოვს კარგად. ამხანაგებთან მდგარ დავითსაც ზოგჯერ რაღაც გულახდილობის ჭია-ტანჯავდა. ეს ... ...

ლევანისათვის ძმობაც უნდა გაეწია და მამის მაგივრობაც.

მაგრამ როგორ? რანაირად?

თვითონაც ხომ კარგად იცოდა, რომ უმამოსათვის, ობლისათვის მზე ოთხსავ კუთხივ რომ ამოდიოდეს, მაინც ვერ ათბობს, მაინცა ცივა. ჰოდა, ეგრე კი იყო. მაგრამ სხვა გზა არსაითა ჩანდა და ისიც თავისას ცდილობდა. პირველ ხანებში ძმის მიმართ გაჩენილი მფარველობის გრძნობა თანდათანობით სისხლხორცეულ, სასიცოცხლო მოთხოვნილებად გადაექცა — მისი ცხოვრების მიზანი ლევანის კეთილდღეობა შეიქმნა. რა დროსა და რა წუთში მოხდა ეს, ეხლაც ვერ მიმხვდარიყო ახალგაზრდობას გადაცილებული დავით ბახტურიძე, ამ გამოცარიელებული მატარებლით ძმასთან რომ მიემგზავრებოდა, მით უმეტეს, მაშინ როგორ გაარკვევდა, როცა თავადაც საპატრონეველს საფიქრალი და სარკვევი სხვაც ბევრი რამ ჰქონდა.

დედა დილიდან-დაღამებამდე მუშაობდა, შინ დაღლილ-დაქანცული ბრუნდებოდა. ამ ნატანჯსა და ავადმყოფ ქალს ნეტავი იმდენი მოეხერხებინა, რომ შვილებისათვის ლუკმაპური არ მოეკლო, დანარჩენზე დავითს უნდა ეზრუნა, დავითს უნდა მიეხედა და ისიც ცდილობდა, არაფერი მოეკლო ძმისათვის, ისეთ ადამიანად გაეზარდა, როგორიც თვითონ სურდა, რომ ყოფილიყო და როგორიც ალბათ თვითონ იქნებოდა, სხვა დროსა და სხვა ვითარებაში რომ დაბადებულიყო. სიკეთისა და სიავკაცის გარჩევას ასწავლიდა, აჩვევდა: დამთმობი და ლმობიერი ყოფილიყო, მაგრამ ბოროტებას არასოდეს შერიგებოდა. პირდაპირობასა და ერთგულებას, სუსტის მფარველობასა და დაჩაგრულის გვერდში დგომას, ნამდვილ სიყვარულსა და პატიოსნებას უნერგავდა. თვალახვეულ მიმინოსავით ყოველდღე ჩასჩიჩინებდა მამულისათვის თავგანწირვას, ჭირსა შიგან გამაგრებასა და სხვა მრავალს, რის გამოც ადამიანს ადამიანი ჰქვია.

თვითონ კი სულ სხვანაირი ცხოვრებით ცხოვრობდა, სხვანაირად სჭირდა და ჰკერავდა —აქეთკენ მზერამოციებული გზას იქით მიუყვებოდა. უმცროს ძმას მეგობრობას ასწავლიდა, თვითონ არასოდეს ჰყოლია მეგობარი. თავს იმით ინუგეშებდა, რომ ეს სუსტების მიერ შეთითხნილი და სუსტებისთვისვე საჭირო გრძნობაა ცხოვრების შესალამაზებლად მოგონილი, თორემ ძლიერ პიროვნებას მეგობარი რაში სჭირდება, განა სუყველა მის მეგობრობას არ ელტვისო? ერთი სიტყვით, მძლავრი კაცისათვის მეგობრობაც და სხვა ასეთი წვრილმანი გრძნობებიც ისეთივე რუდიმენტია, როგორც ძაღლისათვის ბალიკარტო.

მატარებელი გზას ებრძოდა, გზას მიჰკიოდა. გარეთ, სიბნელეში კი უთავბოლოდ როკავდა ქარი და დათოვლილ თმებს ყინვისაგან გათოშილ ქართლის ველზე მიაფრიალებდა.

დრო კი წვალებით, მაგრამ მაინც გადიოდა. სკოლის მერე მუშაობა დაიწყო დავითმა და უმაღლესში სწავლა დაუსწრებლად გააგრძელა. ერთგანაც გამოიჩინა თავი და მეორეგანაც. ყველგან პირველობდა და წინ არავის უშვებდა. ღმერთს ნიჭიც მიემადლებინა და ამ ნიჭის მოხმარების უნარიც. ჰოდა, ისიც ჯიუტად ებრძოდა ცხოვრებას, მაღლა და ზევით, მაღლა და ზევით მიიწევდა. შეგირდობით დაიწყო და უმაღლესის დამთავრებისას უკვე ისეთ თანამდებობას მიაღწია, მისი კბილა ბიჭები აკითხავდნენ: იქნება რამე სამსახური გამოგვინახოო.

დღისით კარგი იყო. დღისით მთელი დრო მუშაობას მიჰქონდა და ოცნებისათვის არ ეცალა. ძილის წინ ჭირდა ყველაზე მეტად, როცა ათასგვარ ქარცეცხლგამოვლილი აბჯარიც ძალას კარგავდა და ბავშვივით აცეტებულს უსაგნო, ყოველგვარ საფუძველს მოკლებული ოცნება უწეწავდა და უმღვრევდა დიდი ხნის დალაგებულ გეგმებს. რო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გორ სძულდა, როგორ ვერ იტანდა და იშორებდა თავიდან. მაგრამ — როგორი ტკბილი და ძნელად შესალევი საცდური იყო ეს ოცნება, თავის თავსაც არ უტყდებოდა. მაგრამ, ღვთით, ისევ თენდებოდა და ყველაფერი ძველ კალაპოტს უბრუნდებოდა.

დრო არ ითმენდა, მიედინებოდა, ფუჭად წუთის დაკარგვაც არ შეიძლებოდა — საკმარისი იყო ნებისყოფის სულ ოდნავი მოდუნება, მოშვება და საწადელს უნდა გამოსთხოვებოდა. სწრაფი აზროვნებისა და სხარტი გონების პატრონი დავითი წესითა და კანონით მახვილსიტყვაობითაც უნდა ყოფილიყო დაჯილდოვებული და მოსწრებული სიტყვა-პასუხიც უნდა ჰქონოდა. მაგრამ კრინტს არ დასძრავდა, ზედმეტს არაფერს იტყოდა, ყოველთვის განზე იდგა ჩუმად და დროს უცდიდა, კიდევ ერთი ნაბიჯი გადაედგა სამომავლო წარმატებებისაკენ, რომელთა შედეგი ძმისათვის უფრო იყო განკუთვნილი, ვიდრე თავისათვის.

ლევანიც იზრდებოდა, ვაჟკაცდებოდა. სკოლა დაამთავრა და უმაღლესში მოეწყო. თავისი ინტერესები გაუჩნდა, სოფელ-ქვეყანაში გამოვიდა. აქამდე თუ დავითის ნათქვამი უცილობელ ჭეშმარიტებად მიაჩნდა, ეხლა ირგვლივ მიმოიხედა და დაინახა, რომ უფროსი ძმისათვის დამახასიათებელი ცხოვრების ნირი არც ერთადერთი იყო და არც მაინცდამაინც სწორი. დაეჭვდა მის სიმართლეში, ბზარი გაუჩნდა კერპისადმი ურყევ რწმენას, მერე ეს ბზარი თანდათანობით გაღრმავდა, გაფართოვდა და მოხდა ის, რაც მოსახდენი იყო — პატარა ეჭვმა დიდ ეჭვებს გაუხსნა კარი, შეტრიალდა, შებრუნდა ყველაფერი. ეხლა უკვე დავითის ნათქვამი უსათუობაც სათუოდ გახდომოდა და სწორი აღარ ეჩვენებოდა — სასწორს იშველიებდა, წონიდა, აჭერებდა და საბოლოოდ ყველაფერში ძმის საპირისპიროდ იქცეოდა. თვითონაც თავისი სიმართლის დამკვიდრება მოეწადინებინა, წინ აღდგომოდა და გამოცდილი, ცხოვრებამოვლილი კაცივით იქით ასწავლიდა წუთისოფლის ავ-კარგს. დათმობითაც ერთი სომობდა და არც მეორე, ხოლო ვისი სამართალი უფრო მართალი იყო, არავინ უწყოდა, რადგან ერთადერთ მომრიგეს ოდესის მისადგომებთან ეძინა სამუდამო ძილით.

ასეთ დროს დავითს თვალი კი არა გული უტიროდა.

გარდა ამისა, შინაგანად ისიც აღიზიანებდა, რომ თურმე აქამდე რაც ეკეთებინა, ყველაფერი წყლის ნაყვა ყოფილიყო, მის ჯაფასა და წვალებას ტყუილად ჩაევლო. რისათვის შეაკლა ამ გზის გაკაფვას თავი? ლევანი მის ნაკვალევს არ მისდევდა, თავისას მიამტვრევდა, უხეიროდ გამოქნილი მოზვეერივით განზე მიიწევდა, უვალში ვარდებოდა. როგორღაც აგდებულად ეკიდებოდა ყველაფერს, ყადრი არაფრისა ჰქონდა — თითქოს ცხოვრებისა არაფერი გაეგებაო. ზოგჯერ ისიც კი ეჩვენებოდა დავითს, ამ კაცს ძვირფასი და მოსაფრთხილებელი არაფერი გააჩნია და ამიტომ ანგარიშსაც აღარ უწევს, ხვალ რა მოჰყვება ჩემს დღეკანდელ ნაბიჯსაო. საქმეს ისიც ართულებდა, რომ მეტისმეტად მიმნდობი და გულუბრყვილო იყო. ერთი თავისი ახალგაზრდა ლექტორისათვის, რომელთანაც იქამდე ძალიან ახლოს იყო და ეძმაკაცებოდა კიდეც, ეკითხა: აბანოში რამდენ ხანში ერთხელ დადიხარო, როგორთუ რამდენ ხანში, ყოველ კვირა. — გაოცებულიყო ლექტორი. — რა იყო რატომ მეკითხებიო? ჰოდა, თავის დაბანის დროს მაინც რომ გამოიწმინდო ხოლმე ყურები, მეტი კი აღარ დაგჭირდებაო.

სულელი!

თუ ხუმრობდა, ეს რა ხუმრობა იყო, თუ არადა — სხვისი ჭუჭყიანი ყურები ამას რაში ეკითხებოდა. ვის რა ოხრად უნდოდა იმისი პირდაპირობა, ვინ რას დაუფასებდა! იმ კაცს რომ ძაღლის ნაკბენივით არასოდეს დაავიწყებოდა ეს შეურაცხყოფა, ვერ იქნა და ვერაფრით დააჯერა უფროსმა ძმამ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორო, ჰკვირობდა, ნუთუ ალალად ნათქვამ შენიშვნას გამოუწმენდელი ყურებით სიარული ურჩევიაო? მე სიკეთე მინდოდა იმისათვის და თუ ვერ დაინახავს, ჯანდაბამდისაც გზა ჰქონიაო. არ ანაღვლებდა არაფერი. ვინ იცის, იქნება იმიტომაც, რომ ძმა უმაგრებდა ზურგს. გასაჭირში ის ეგულებოდა მწედ და მეოხად.

ერთხელაც მილიციიდან დაურეკეს: თქვენი ძმა ჩვენთან არის და მოაკითხეთო — დღისით-მზისით ქუჩაში ჩხუბისათვის დაეკავებინათ ლევანი. სიბრაზისაგან თვალისჩინდაკარგულმა დავითმა ვერც კი გაიგო, როგორ შევარდა მილიციის სამორიგეოში. გაცოფებას აღარაფერი უკლდა. ყვიროდა, აქეთ-იქით აწყდებოდა, აღარც მილიციის თანამშრომლებისა ერიდებოდა, აღარც შემთხვევით შემოსწრებული ხალხისა:

— ბარაქალა, ბარაქალა შენს კაცობასა და ადამიანობას, ხულიგნობა და ქუჩაში აყალმაყალის ატეხაღა გაკლდა და აჰა, რაღა გინდა. მაგასაც ხომ მომასწარი... აღარა მიჭირს რა, დამივაუკაცდა, მხარში ამომიდგა ძმა! — იფიქრებდი, მოჭიმულ, სიბრაზე მოწოლილ ცხვირზე სადაც არის კანი გადაასკდებაო.

ლევანი გაფართოებული თვალებით შეჰყურებდა და ამ თვალებში გაოცების მეტს ვერას შენიშნავდით. გაოგნებულიყო, უპირდა ძმის ცნობა, არასოდეს ენახა ასე ნერვებს აყოლილი და სადავედაკარგული დავითი, ერთიანად გამქრალიყო მისი სიმშვიდე და თავდაჭერილობა.

ბოლოს როგორც იქნა ჩაცხრა, მოერია სიბრაზეს. დამშვიდდასავით და თვალისჩინიც დაუბრუნდა:

— არ იტყვი, მაინც რამ გაგამწარა და გადაგრია ეგრე? რაზე ატეხე ჩხუბი?

„უცნაური“ ძმისაგან შეცბუნებული ლევანი ენის მოტრიალებას ვერ ახერხებდა.

— ამოიღე ხმა! აქ მუნჯობის გამო სასჯელს კი არ უმსუბუქებენ!

— რა გინდა, რა ვთქვა... — ყრუ ხმა ჰქონდა ლევანს, ჩუმი, მაგრამ გაუბზარავი. ისეთი არა, საკუთარი დანაშაული რომ აქვთ ხოლმე შეგნებული.

— რა თქვა, არ იცი, არა? არაფერი გაქვს სათქმელი, არა? აქ რას უზიხარ-მეთქი, იმას გეკითხები.

— ორ ნასვამ მუტრუკს გოგო გაეჩერებინა და აწვალებდა, — უხალისოდ შეიშმუშნა ლევანი. — რა მექნა, არ გამოვქომაგებოდი?

ნასვამ მუტრუკსო?! ამან ხომ მთლად გადარია დავითი; რამდენი ოხერი და მუდრეგი დადის ქალაქში, უკან რომ არაფერზე დაიხევს, ამისათვის რომ რამე აეტეხათ, მერე გინდა ვყოფილიყავი ცოცხალი და გინდა არაო, გაიფიქრა და ჩვეულებისამებრ უცბად შეეცვალა გუნება, გადასხვაფერდა: ისე მოუნდა, ძმას მოფერებდა, რომ ცრემლი ძლივს შეიკავა. ეხლა ლევანიც სხვანაირი მოეჩვენა — იჯდა კუთხეში გაბუსხული ბავშვივით, თითქოს საკუთარი დანაშაული იგრძნო და სანამ ვინმე რამეს ეტყოდა, თავი თვითონვე დაისაჯაო.

— ბიჭო, მერე შენ რა „უძმოს ძმა“ გამომიხვედი. წესრიგის დამცველად შენ ვინ გაგამწესა. პირველად ხომ არ გეუბნები, როცა არაფერს გეკითხებიან, სხვის საქმეში ნუ ეჩრები-მეთქი .— ხმა დარბილებოდა დავითს.

— ჩემი ამხანაგის ცოლსა ჰგავდა, როგორ მომეთმინა!

— ელაპარაკე ამას! გიჟია, ვინ არის... ამქვეყნად ყველა ვიღაცასა ჰგავს, ეგ შენი რა გადასატანია, კაცო! აბა, სად არის ეხლა ის ქალი, რატომ არ მოვიდა აქ და არ უთხრა ამ პატიოსან ხალხს, მაგას რატომ იჭერთ, ეს ბიჭი არაფერ შუაშია და დამნაშავეები სხვები იყვნენო. არა, იხელთა თუ არა დრო, გაიპარა და მიიმალა.

რა დანაშაულის გრძნობა, რისი თავის დასჯა, ლევანმა, გამომწვევად შეხედა უფროს ძმასა და თვალებში ის უპირატესობის ნაპერწკალი გაუკრთა, ეგრე ძალიან რომ აღიზიანებდა დავითს:

— მოიცა, მოიცა, შენ რეებს ლაპარაკობ, ვთქვათ და შენ ყოფილიყავ ჩემს

ადგილზე, თვალებს დახუჭავდი? არ მიეხმარებოდი და ისე ჩაიცლიდი?

— იცი, რას გეტყვი, შენ აქ კითხვების დასმას თავი დაანებე და როცა თვითონ დაგიწყებენ დაკითხვას, მაშინ გამოიყენე ეგ ლოგიკა, იქნება გიშველოს რამე.

— მე არაფრისა და არავის შველა არ მჭირდება, ჩემი სიმართლეც მშვენივრად მიშველის!

თუკი ეგეთი იმედი გქონდა სიმართლისა და ეგრე გულდინჯად იყავი, მაშ ამათ რატომღა განუცხადე, ჩემი ძმა რომ იყავიო, ჩაეცინა გუნებაში დავითს. ხმამაღლა კი ესა თქვა მხოლოდ: — აბა, რა გიყო, შენთან ლაპარაკს აზრი არა აქვს. მაგ სკამს უფრო ადვილად გავაგებინებ რამეს, ზედ რომ ზიხარ, ვიდრე შენო და ხელი ჩაიქნია.

მართლაც აზრი არა ჰქონდა ლევანთან ლაპარაკს, ძმა ერთს ეუბნებოდა, ის მეორეს აკეთებდა. მაინცდამაინც ბავშვობისდროინდელი შეგონებები დამახსოვრებოდა, როცა წაკითხული წიგნების ტყვეობაში მყოფ დავითს თვითონაც არაფერი გაეგებოდა ამქვეყნისა და უმთავრესი სულ სხვა რამ ეგონა. მას შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა, ბევრმა წყალმა ჩაიარა, თვალი აეხილა. ეხლა საჭირო იყო ლევანიც თავის ჭკუაზე მოეყვანა, თორემ, ჰა და ჰა, უმაღლეს სასწავლებელს დაამთავრებდა, ცხოვრებას შუბლით შეეჯახებოდა და ეგეთ მიამიტსა და წრფელს, ეგეთ უეშმაკოს, უცადი გზით სიარული გაუჭირდებოდა. ხოლო იმას, რომ სადღაც გულისგულში მოსწონდა ლევანის ხასიათი, საკუთარ თავსაც კი არ უმხელდა, არ უტყდებოდა. სხვას, მავანსა და მავანს ამისათვის შეაქებდა და ტაშსაც დაუკრავდა, მაგრამ ძმას ვერ გაიმეტებდა სარაინდოდ — რაინდობის ჟამი კარგა ხნის წინ ჩაბარებოდა წარსულს. დღეს სხვა დრო იყო. თუმცა ეხლაც ყველა დედა გულით შენატროდა მამულისათვის თავდადებული გმირის მშობელს და იმათი ბედი ეხარბებოდა, მაგრამ საკუთარ შვილს გმირობისათვის გასაწირად ძნელად თუ ვინმე გაიმეტებდა. ვერ-ვერც დავითი გახდიდა უმცროსს ძმის ბედს სათუოდ, სასწორზე ვერ შეაგდებდა. ლევანი აქაც ყალყზე დგებოდა, უკვირდა დავითის მსჯელობა, ებრალებოდა: როგორ შეიძლება, კაცმა ასე უფერულად, გეგმიურად, გაანგარიშებულად იცხოვროსო.

გარეგნობით ძალიან ჰგავდნენ ძმები ერთმანეთს. მერე, დიდი ხნის მერე, როცა უკვე სხვადასხვა ქალაქებში ცხოვრობდნენ, აკი ეუბნებოდა კიდეც ლევანი: რამდენჯერაც სარკეში ჩემს თავს შევხედავ, იმდენჯერ შენ მახსენდებიო. ჰო, ჰგავდნენ, მაგრამ თანაც განსხვავდებოდნენ, სხვანაირად არც შეიძლებოდა ყოფილიყო. ბუნება ხელგაშლილი და გულუხვი კია, მაგრამ მფლანგველი ნამდვილად არ არის — აბა, რაში სჭირდებოდა, ორ ერთნაირს რატომ გაიმეორებდა.

მოვიცადოთ, დრო თვითონ გვიჩვენებს, ვინ მტყუანი ვართ და ვინ მართალი, ჩვენ თუ არა, ხალხი დაინახავს, რისი გამკეთებლები ვიქნებითო, ეუბნებოდა დავითი და გულდინჯად, იმედიანად აგრძელებდა თავის არჩეულ თუნარგუნებ გზას. მართლაც, უმცროს ძმას ხომ არაფერს აკლებდა და თავისი ცხოვრების წესის წყალობით იმდენი მოახერხა, რომ საკუთარი თავისათვისაც მიეხედა, თანაც გვარიანად. ჯერ კოოპერატიული ბინა აიშენა და თავის გემზე მოაწყო. მერე მანქანა შეიძინა. მშობლიური სახლიდან კი ახალ ბინაში ტრადიციის საძირკველის ჩასაყრელად მხოლოდ ერთადერთი მამა-პაპური რელიკვია — ძველებური გუგულიანი საათი წამოიღო, რომელიც კარგა ხნის წინ გაჩერებულიყო და მის ბინადარს ალბათ აღარასოდეს ეწერა სამზეოს ხილვა.

იმის მიუხედავად, რომ ღარიბი არ ეთქმოდა, მაინც ხელმოჭერილად ცხოვრობდა, მომჭირნეობა და ეკონომიურობა ძვალსა და რბილში გასჯდომოდა. უმცროსს კი ეს ანგარიშინობა აგიყებდა: კაცს ტვინი ისე როგორ უნდა

გკონდეს მოწყობილი, ასანთის ღერის მომჭირნეობას ცდილობდეო. მესმის, ფეხსაცმელი. შარვალი, პალტო. მაგრამ ასანთის ღერი? ათასი წელიც რომ გეცოცხლა, განა რამდენი ღერი უნდა დაგეზოგა, რომ დანაზოგისათვის ხელშესახები სახე მიგეცა. დავითს, თავის მხრივ, ის ვერ გაეგებინებინა, რომ ასანთის ღერს, ან თუნდაც ფეხსაცმელს კი არა ჰქონდა მნიშვნელობა, არამედ იმ პრინციპს, იმ დამოკიდებულებას საგნებისა და მოვლენებისადმი, რასაც უმცროსი ძმა იჩენდა.

ძმისათვისაც თუ შეშურდებოდა თავისი მონაგარი, რაღა კაცი იქნებოდა, მაგრამ, აი, ფულის უყაირათოდ ხარჯვას კი წონასწორობიდან გამოჰყავდა. რა იყო მდგრადი, სად იყო სიმყარე, იმის გარანტიას ვინ მოგცემდა, რომ დღეს გაღიმებული ბედი ხვალ მედუზა გორგონას არ დაემგვანებოდა და გუშინ და გუშინწინ მომჭირნეობით გვერდზე გადადებული თანხა ხვალ ღვთის წყალობად არ ჩაითვლებოდა, თვითონაც კარგად იცოდა, რომ ზომიერი ჩაცმა და ჭამა ადამიანისათვის აუცილებელი იყო, მაგრამ ის სხვა უამრავი? ვთქვათ, ამდენი მოგზაურობა? ზაფხულის არდადეგებს თავის მეგობრებთან ერთად ყოველთვის სადღაც შორს რომ ატარებდა ლევანი, რად უნდოდა, რა ჩამოჰქონდა იქიდან? შთაბეჭდილებები? კაცმა რომ თქვას, რატომ არ უნდა დაიჯერო, როცა გიმტკიცებენ: რასაც ხელს ვერ შეავლებ, ის არც არსებობსო. ეს შთაბეჭდილებებიც ვის რაში უნდა, რაში გამოადგება, ვერც შეწვავ და ვერც მოხარშავ. გაივლის რამდენიმე თვე, ჰა და ჰა, წელიწადი და ფაფუ,, გაქრა, აღარ არის. იმ ორ თვეში კი, ფულზე რომ აღარაფერი ვთქვათ, რამდენი რამის მოსწრება შეეძლო! თუნდაც სპეციალურ ლიტერატურას ჩაღრმავებოდა და ასპირანტურაში შესასვლელად მომზადებულიყო, ვითომ რა დაშავდებოდა. არ შეძლებოდა მაინც.

მაგრამ რად გინდა, ლევანი ძმის სიტყვებს ერთი ყურიდან რომ შეუშვებდა, უმალ მეორიდან გაუშვებდა ხოლმე, ყველაფერს თავის ჭკუაზე აკეთებდა, თავის ჭკუაზე ჭრიდა და კერავდა. მისი ბედნიერება როგორ ეწყინებოდა, მაგრამ, უდროო დროზე ტირილი მკვდარს ფეხებს გააქნევინებსო. ნათქვამია — ცოლი რომ სტუდენტობისას არ მოეყვანა, დაშავდებოდა რამე? დიდად არ გაახარა ამ ამბავმა, განა იმიტომ, ძმის სიყვარულში მოზიარე და მოცილე გამიჩნდებაო, არა, ამით ლევანის მომავალს დაეცა ჩრდილი, იმ მომავალს, რითაც დავითი სულდგმულობდა. მიუხედავად ამისა, სიტყვა არ დაუძრავს, ერთი საყვედური არ წამოსცდენია: ობლობაში გაზრდილ ბიჭს კიდევ ერთხელ არ ვატკინო გული, კიდევ ერთხელ არ გავახსენო უმამობაო. პირიქით, არაფერი დაიშურა, ქორწილი თავის ბინაში გადაუხადა, საცხოვრებლადაც იქ დატოვა და თვითონ სოლოლაკში გადავიდა დედასთან, სანამ ლევანმა და სალომემ ძალით არ მოიწადინეს ძველ ბინაში დაბრუნება. სალომეც რომ ქმრის ჭკუისა გამოდგა! ერთნაირები იყვნენ — მარტენის ღუმელთან დადგებოდნენ და უსათვალოდ დაუწყებდნენ ფოლადს დნობას. როგორ არ გაოცდებოდი! შვიდი წელიწადი განა რა იმდენი სხვაობა უნდა აყოფილიყო, რა ძალა უნდა ჰქონოდა, რომ ესენი სულ სხვა ქვეყნის მკვიდრებს, სხვა ქვეყნიდან მოსულებს დამსგავსებოდნენ. როგორ დაეჯერებინა, რომ შვიდი წლის მანძილზე ასე გადასხვაფერებულიყვნენ თაობები? ნუთუ ყველაფერი იმისი ბრალი იყო, სხვადასხვა ვითარებაში რომ იზრდებოდნენ? დავითი ეული იყო, უპატრონო, სნეული დედის ანაბარა. თავისი უმამობა ყველგან და ყოველ წუთს უნდა ხსომებოდა. ვერავის დაეკადნებოდა მკერდწაგდებული: შენ მამაჩემსა როსტომსა საი წაუხვალ, საღამდეო... ლევანს კი, ავად თუ კარგად, დავითი მზრუნველობდა, დავითი ადგა თავს — შვიდი წლით უფროსი, შვიდი წლით ადრე პასუხის გამცემი მოყვრისა თუ მტრისათვის. კარგად გრძნობდა,

მათთან დაპირისპირებას აზრი არა ჰქონდა. უკვე ველარაფერს გააწყობდა. მაგრამ კიდევ ერთხელ სცადა ჩარევა, როცა განუსჯელად აიჩემეს: მრავალშვილიანი ოჯახი უნდა შევქმნათო, ერს უნდა შვილები დავუზარდოთო და სხვა და სხვა. რა თქმა უნდა, რძლისა მოერიდა და ძმასთან სცადა ბედი, ძმის მოთვინიერებას შეეცადა ტკბილი სიტყვითა და შეგონებით:

— ლეკან, შენი ამბავი რომ ვიცი, იქამდე აღბათ ასნაირად შეეცვლება შეხედულებები, მაგრამ მაინც სჯობია, თავიდანვე გქონდეს საკუთარი კერსი აღებული — ვითომ ეკეთესი არ იქნება. ერთ-ორ შვილს რომ დასჯერდეთ და ღირსეულად, დღევანდელობის შესაფერისად აღზარდოთ, ვიდრე ბევრი იყოლოთ და...

— რის კერსი, რა კერსი, როცა შვილებზეა ლაპარაკი, სიტყვა კერსი აბა როგორ უნდა ახსენო! — გალიზიანებით შეაწყვეტინა სიტყვა ლევანმა. — ისედაც, ჩემზე უფროსი კი ხარ, მაგრამ დაიმახსოვრე: ვაჟკაც კაცს შვილების ყოლისა არ შეეშინდება.

— როგორც გინდოდეთ. — მშვიდად გააგრძელა დავითმა, — მაგრამ შენ გაჭირვება არ გინახავს, უფრო სწორედ, აღარ გახსოვს და ეგრე იმიტომ ლაპარაკობ, ის შვილები თქვენე რომ დაგიწყებენ ლანძღვას: თუ შენახვის თავი არა გქონდათ, რას გვერჩოდითო, მე მაშინ მომიგონებთ, მაგრამ გვიანღა იქნება.

— კარგი, თუ ძმა ხარ, ამ თქვენი გაჭირვებით ნუ შეგეკამეთ, დღევანდელთან შედარებით მეც ხომ არ გამომივლია ნაკლები ხელმოკლეობა? გაიხედ-გამოიხედე, ან ტიტველი ვიხ დადის, ან მშიერი. — ისე ხმამაღლა ალაპარაკდა ლევანი, თითქოს ამით მეორე ოთახში მყოფ მეუღლეს უჩვენებს მოსახმარებლადო. ხასიათი წაუხდა დავითს, მოეჩვენა: ძმას სხვასთან ჰქონდა პირი შეკრული, სხვასთან შეთქმულიყო — ოღონდ როგორმე დაეგალბნა და მის წინააღმდეგ ყოველგვარ საშუალებას გამოიყენებდა.

— ასე რომ ეგ არ უნდა გაღონებდეს, — თავისაზე ჯიუტად იდგა ლევანი, — ოღონდ გაჩნდეს ვინმე და როგორც იქნება გაიზრდება კიდეც.

— ვაი შენ ჩემო თავო! როგორციქნებათი გაზრდილი შვილი შვილობას ვერ გაგიწევს დღეს!

— რატომ ვითომ, ჩვენ თუ ხელმოკლედ დავიზარდეთინ, ვის რაში დავუდებთ ტოლს? მაგრამ ხელმოკლეობაში არ არის საქმე, დღეს უმეტესობას ეკონომიურად კი არ უჭირს, სული აქვთ გაღატაკებული და იმიტომ ეშინიათ შვილების გაჩენისა. სიყვარულის დეფიციტი სჭირთ, სულში სიყვარულის მარაგი შემოაკლდათ და დარჩენილი დუბეჭირი სიყვარული ერთ-ორ შვილს თუ გაუწვდებათ, მეტს არა. ჰოდა რა ქნან, დანარჩენს რაღა უყონ? იმათთვის აღარაფერი დარჩებათ, აღარ ეყოფათ, ეგ უჭირთ ორივ ფული და ქონება იმდენი აქვთ, ათ შვილსა და ათ იმდენ შვილიშვილსაც თავზე გადაუვა.

— ოო, რა გაუტევ ხოლმე, ბიჭო... როგორ შეიძლება ეგეთი დაუნდობელი ბრალმდებელი იყო. შენ ხომ შენი ჭუმანურობით მოგაქვს თავი. — ირონია ვერ დამალა დავითმა.

— მაცალე, მაცალე, ჯერ სადა ხარ, მე ამ ჩემი ხუთი თითივით ვიცი მაგათი ასავალ-დასავალი. მე მოვკვდე, შვილს საერთოდ არ იყოლიებდნენ, მაგრამ რა ქნან: იმათი ძვირფასი ბინა, როგორც ძვირფას ავეჯს მოიითხოვს და საჭიროებს გასაწყობად, ეგრეევ ერთი-ორი შვილიც სჭირდება მოსართავად, გასალამაზებლად. აი, ეგა ხართ თქვენ...

— ე, ესა ნახე! მეც იმათ მარაქაში არ გამრია! — გაეღიმა დავითს.

— არა, შენ ნამდვილად არ დგებარ იმათ გვერდით, შენ შუაში ხარ. იქით გინდა ყოფნა, მაგრამ ვერ შეჰგუებიხარ — ვერ მოგიხერხებია, აქეთ არ გინდა და თავი ვერ დაგიწვენია.

— პირდაპირ მხიბლავ რა, მაჯადოვებ შენი აზროვნების ბრწყინვალეებით, — ისევ მწარედ ჩაიცინა დავითმა. — მიჯირითობ, მიერეკები, როგორც მოგეპრიანება. სერიოზულად შენთან ლაპარაკი გამორიცხულია. თუ მიაბჯენ ფეხს, მერე ტყუილია, კაცი ველარ გადგათქმევინებს შენსას. თორემ რომელმა ჭკუათმყოფელმა არ იცის, რომ მელიის ათ ლეკვს ვეფხვის ერთი ბოკვერი სჯობია.

— ჰოდა, ვეფხვიც რომ შენსავით ფიქრობს, იმიტომ არის წითელ წიგნში შეტანილი და თუ რამე არ ვიღონეთ, დღეს ან ხვალე გადაშენდება. მელიებს კი დღე და ღამე თოფმომარჯვებული დასდევს ხალხი და მაინც ვერაფერი დაუკლიათ. მაგ შენი შეგონებებით თუ ვიცხოვრეთ. მალე მელიებს დარჩება დედამიწა.

— კარგი, ბატონო, მე გავჩუმდები, ხმას აღარ ამოვიღებ და ჩვენს გაჭირვებას თუ მარტო შენი ვეფხვის ბოკვერები უშველიან, ვინ ოხერს საწყენად დარჩეს! — უკვე მერამდენედ ჩაიქნია ხელი დავითმა და მერამდენედ ჩაიგუბა პირში წყალი.

გაქირი და თავისნათქვამი იყო ლევანი. თუკი რამეს გადაწყვეტდა, მორჩა, მერე აღარც ხვეწნა-მუდარა გასჭრიდა და აღარც მუქარა — მაინც თავისას გაიტანდა. მოსე პაპასთვის რომ გეკითხათ, ყველაფერი ბუნების კანონზომიერებასა და სამართალს ემორჩილებაო, გეტყოდათ. აბა რა სამართალზე შეიძლებოდა ლაპარაკი, როცა თვითრჯულსა და უტიკ ლევანს წრფელი და გულახდილი ადამიანის სახელი ჰქონდა დაგდებული. დავითს კი ორჯუს ეძახდნენ. არა, ეტყობა, დავითის წილი სამართალი ოდესის მისადგომებთან ჩაეკლათ მამამისთან ერთად.

აოცებდა და აღიზიანებდა ძმის უჯიათობა დავითს, თუნცა ისევ იმ ძველი სიყვარულით უყვარდა და ისევ მისი წარმატებისა და წინსვლის იმედით ცოცხლობდა. მაგრამ, როცა უმაღლესის დამთავრების შემდეგ ძმამაც და რძალმაც სამუშაოდ რაიონში წასვლა გადაწყვიტეს. ამაზე მთლიანად გადაირია. ქვა ააგდო და თავი შეუშვირა. ეგონა, სამუდამოდ ვეთხოვებიო ამ იმედს, და არა მარტო იმედს, ძმასაცა ეკარგავ სამუდამოდო:

— ერთი ამიხსენით, გამაგებინეთ, ხალხო, ნუთუ სულ მცირე განსჯის უნარიც არ გაგაჩნიათ? რა ხართ ასეთი, ვინა ხართ?. — ბობოქრობდა დავითი და ოთახში გადი-გამოდიოდა. — რაიონში ცხოვრება აღარავის უნდა, ყველანი დიდი ქალაქისაკენ გამორბიან. თქვენ სად მიდიხართ, ვის რად უნდა იქ თქვენი თავი. ხომ ხედავთ, ლევან, როგორი ძირეული ჭკვრები ხდება, როგორი ტემპით იზრდება თბილისი, მშენებლები დღეს აქ არიან საჭირო, აქ არის იმათი ადგილი. — გაჩუმდა, ფანჯარასთან მივიდა და თავისი ბავშვობის პატარა ეზოს გადახედა, რომლის ნახვა უკვე არც ისე ხშირად უწევდა.

— თბილისს მშენებლები არ აკლია და უჩემოდაც მშვენივრად გავლენ იოლას. — ცოტა უხეში კილო გაკრთა ლევანის ხმაში. —მე კი იქ მირჩევნია წავიდე, სადაც ნამდვილად ვარ საჭირო. ყველამ თუ შენნაირად იფიქრა, შეწყდება რაიონებში მშენებლობა და ეგ არის. მე არ წავალ, ის არ წავა, ვინც იქ არის, ისიც გამოიქცევა და რაღა შეგრჩება ხელში.

სალომემ ფინჯნებით დავითის საყვარელი მაყვლის კომპოტი შემოიტანა და ძმები მაგიდასთან მიიწვია. იმათ ყურადღება არ მიუქცევიათ — მამლაყინწებივით საძიგძილაოდ შემართულებს კომპოტისათვის არ ეცალათ. ვერ იტანდა სალომე ქმარ-მაზლის კამათს, უხმოდ იმტვრევდა ხოლმე ხელებს და ხან ერთს შესცქეროდა მუდარის თვალით და ხან მეორეს. ეხლაც მდუმარედ შეჩერდა კართან და ვერ გადაწყვიტა, გასულიყო თუ დარჩენილიყო.

— აბა რა, ბიჭო, მარტო შენა და

თამაზ ხმალაძე
დრჯუ

შენისთანები ჰფიქრობენ ამქვეყნის სიკეთეზე, მარტო თქვენა ხართ მამული-შვილები და მე არაფერი შენაღვლება! — მოტრიალდა და დივანზე ჩამოჯდა დავითი.

— რა ვიცი, ეგრე კი გამოდის და...

— რა გამოდის, ვიცო, ეგრე, რასა მსაყვედურობ? სმართლე თუ გინდა, ეგოისტური საქციელი შენსას უფრო ეთქმის: დღეს რაიონში მოისურვე ცხოვრება ხომ? წახვალ კიდევაც, აისრულებ საწადელს, მორჩა, აღარავის გაუწევ ანგარიშს, შენსას ინაღდებ და სხვას ყველას ჯანდაბამდეც გზა ჰქონია! მაგრამ ან ამ ბავშვს რაღას ეუბნები, ან იმას, დღეს ან ხვალ რომ უნდა გეყოლოს, სხვებზე ჩამორჩენილად რატომ უნდა დაიზარდნენ, რატომ უნდა აკლდეთ ყველაფერი თავიანთი თავჭარიანი მამის წყალობით.

— ნუთუ მართლა ვერ ხვდები, დათო, შვილებზე რომ ვფიქრობ და მათ მომავალზე რომ შემტკივა გული, იმიტომაც მივდივარ რაიონში?! და ეგეც რომ არ იყოს, — გააგრძელა მცირეოდენი შეყოვნების შემდეგ. — თბილისში თუ დავრჩი, კიდევ დიდხანს მომიწევს შენი გაწვალება.

— შენ რას სულელობ, რა გაწვალებაზე მელაპარაკები? რატომ პირდაპირ არ იტყვი რა გაქვს გულში!

— ჰო, აბა რა, ბოლოს და ბოლოს, როდემდე უნდა შემოგყურებდე ხელებში, ერთხელ მეც ხომ უნდა გადაგიხადო ვალი.

— რა თქვი, ბიჭო? — მკვდრის ფერი დაედო დავითს. — ეგ რა თქვი, ბიჭო, ვალი უნდა გადამიხადო?! ფუი, შენს ყაკობას, შენს ადამიანობას... აი, თურმე რას ინახავდი გულში! — მერე უცებ იფეთქა: — წადი! თუ მაგის გამო აპირებ წასვლას, წადი! მაგრამ შეგიძლია, იქაც მშვიდად ბრძანდებოდე, მე სამადლოდ არაფერი გამიკეთებია, არც სესხად გამიცია რამე, თუ ვეხმარებოდი, ძმას ვეხმარებოდი და ამ სიკეთის დაბრუნებას არავისა ვთხოვ უკან!

ლევანი დაიბნა, იმას კი მიხვდა, ოღონ ტა რომ გადაამლაშა და ზედმეტად ეუვიდა, მაგრამ ასე თუ გაეცინებოდა დავითი, ნამდვილად არ ეგონა, ან რა მოეჩვენა ამისთანა? მაინც სცადა როგორმე გაემართლებინა თავისი ნათქვამი და სწორი მიმართულება მიეცა, მაგრამ ორიოდე უაზრო სიტყვას ძლივს მოუყარა თავი:

— რა მოხდა, დათო, რა დაგემართა? მომხვედე, მომისმინე ერთი წუთით... სულ სხვა რამის თქმა მინდოდა და, ეტყობა, სხვა გამოვიდა, ანდა შენ ვერ გაიგე, როგორც საჭირო იყო.

დავითი ზედ არ უყურებდა, გაქვავებული გასაკვირდა ღია ფანჯარასთან მოცახცახე დამტვერილი ფშატის ვერცხლისფერ შტოს. ლევანი სკამიდან წამოხტა, დივანზე გადაჯდა, მოეხვია და რამდენჯერმე აკოცა, დავითმა უწადინოდ მოიშორა თავიდან. ის მაინც არ მოეშვა:

— კარგი, ჰო, რა დაგემართა, თუ დავაშავე რამე, მაპატიე. ხომ გეუბნები, სხვა რამის თქმა მინდოდა და სხვა გამოვიდა-მეთქი. მეც ხომ შემტკივა გული შენზე. უცხო ხომ არა ხარ, ბიჭო, დაგაწყეს მთელი ოჯახით კისერზე და იმის საშუალებას აღარ გაძლევ, ცოტაოდენი საკუთარ თავზეც იფიქრო.

— შენ თუ მართლა შეგტკივა გული ჩემზე, მცირეოდენ ანგარიშს მაინც თუ მიწევ, ეხლა, როცა დედაც აღარა გვყავს, მარტო არ დამტოვებდი ამ ხელა ქალაქში. ეგ არის სიყვარული და ეგ არის ძმობა?! როგორც მახსოვს, მე სხვანაირად გასწავლიდი.

უეცრად ნისლში აიჭრა. ატივტივდა ყველაფერი: ძმასაც ისევი ძმა უნდა, ბედრს რომ უსუპი ჰყოლია, ბედრი კლდეს გადავარდნილა, უსუპიც გადაქყოლია..." ნიკაპაცახცახებულმა და ფალეებაწყლიანებულმა ზლუქუნი ძლივს შეიკავა. რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ სანამ ცრემლი არ ჩაყლაპა, ხმა ვეღარ ამოიღო.

ლევანი ვერ მიუხვდა გულის აჩუყების მიზეზს, გაღიმა: ძალზე მიამი-

ტური ეჩვენა ოცდაათს გადაცილებული კაცისაგან ასეთი გულრბილობის გამოჩენა და ობლობით თავის შეცოდება.

— რა იყო, შე კაი კაცო, მოუსავლეთში ხომ არსად მივდივარ. ჯერ საქართველო თქვი და მერე იმისი სიშორე. ოთხი-ხუთი საათის სავალზე როცა მოგინდება, მაშინ მოგვინახულებ.

არ დაიშალა, მაინც თავისი გაიტანა, აიყარნენ და წავიდნენ.

ეხლა დავით ბახტურიძე მათ სანახავად მიემგზავრებოდა.

●

დაძინება იყო საჭირო. ალბათ მალე ინათებდა კიდეც. დავითს კი ჯერ თვალიც არ მოეხუჭა. იწვა საწოლიდან თავგადმოყოფილი და ფანჯარაში იყურებოდა. ზედიზედ გარბოდნენ უკან პატარა პროვინციული სადგურები. თავისი ყრუ სამკაულით ცნობილმა ხარაგოულის სევდიანმა სადგურმაც გაირბინა და სიბნელეში გაუჩინარდა.

როგორც ფიქრისათვის თავი უნდა დაეღწია და დაეძინა.

გამართლდა ლევანის სიტყვა. მათი გამგზავრების შემდეგ ძალაუნებურად მეტი ყურადღება მიაქცია საკუთარ თავს. მართლა მეტი დრო დარჩა თავისი ცხოვრების წვრილმანსა თუ სხვილმანზე ყოველდღიური ფიქრისათვის. თანდათან მკვეთრად, ხელშესახებად ჩამოყალიბდა აზრი, რომ მარტოობა მძიმე გასაძლები კი არ იყო მხოლოდ, რაღაცნაირად დანაშაულადაც კი შეიძლება ჩათვლილიყო თავისი თავისა და სხვების წინაშეც. აკი ლევანიც იმას ეუბნებოდა: — შენ თუ შენი ძმისწულების სიყვარულით ტკბები, მეც მინდა ჩემს ძმისწულებში გავიხაროო. და ამასაც რომ თავი დავანებოთ, ქალი, რომელიც ბუნებამ შენთვის დაჰბადა, სიმარტოვისათვის რატომ უნდა გასწირო და გაიმეტოო. უცნაური ლაპარაკი იცოდა ლევანმა, მაგრამ მართალი კი გახლდათ ამ შემთხვევაში. დრო იყო ოჯახის შექმნაზე ეზრუნა დავითს. დრო იყო კი არა, ზოგიერთ მის თანატოლს წელერებული, მოსწრებული შვილები ჰყავდა უკვე. ადრე როგორღაც არ ფიქრობდა ამაზე, არ აწუხებდა. მაშინ ძმა ეგულებოდა გვერდით, ძმა ჰყავდა გასაზრდელი — შვილების პატრონი ოცდახუთი წლის კაცი კიდევ გაზრდასა და გზაზე დაყენებას საჭიროებდა, დავითის ფიქრი იმას დაჰბრუნავდა თავს, ბავშვობიდანვე ცხოვრების მიზნად იმაზე ზრუნვა გახდომოდა, მისი იოტისოდენა წარმატებაც გულს სიხარულით უვსებდა, საკუთარ თავს ავიწყებდა და არსებობის გასამართლებლად და საზრდოდ კმაროდა. ეხლა კი თითქოს მიუსაფრად დარჩენილიყო, ეულად, და ეს სიმარტოვე ხვიმირაში გამოვლილი მისი სულისათვისაც გაუსაძლისი და მძიმე ასატანი გამხდარიყო.

მოსე პაპა ამბობდა:

— ...როგორც უნდა დახუჭო თვალები — ვერა ვხედავო, რამდენიც უნდა იძახო — მე მაგის გამკეთებელი არა ვარო, მაინც ვერ დაუძვრები ხელიდან. წუთისოფელი ისეთი ოხერია, სულ ერთია, როცა იქნება, მაინც მოგნახავს და შენს წილ ხარკს ამოგართმევს, არაფერს შეგარჩენს... სიყვარულიც, იცოდე, ეგრეა, — დაუმატა დაბალი, შეცვლილი ხმით. — თავის კუთვნილს, მოიკლავს თავსა და მაინც მიიღებს. ტყუილად გონიათ ახალგაზრდებს: სიყვარული მხოლოდ სიჭაბუკის მადლიაო. იმას კი ასაკი სულ ფეხებზე ჰკიდია, როდის საიდან დაგივლის თავს, ვერ გაიგებ. შენ გეშინია, მიზეზიანობ, უძალიანდები, მაგრამ ამაოა ყველაფერი, ბოლოს ის მაინც თავისას გააკეთებს და კუბოში მწოლიარესაც არ მოგასვენებს...

ნეტავი თვითონ თუ უყვარდა ვინმე ამ უცოლშვილოდ გადაბერებულ კაცს? ალბათ, თორემ ეგეთი დასკვნების გაკეთება სხვის ცხოვრებაზე დაკვირვებით, და მით უმეტეს, მონაყოლით არ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოხერხდებოდა. მოჭუტული, გამობუნებული თვალებით კედელს მიშტერებოდა და კაცმა არ იცოდა, რა სურათები 'ცოცხლდებოდა, რას ხედავდა, ვისი რა ლანდი შემოჰყურებდა შავად ჩაჟამებული კედლიდან.

— ერთი რიგი კაცია, შეუგნებელზე გეუბნები, მოდგება და სხვას გამტყუნებას დაუწყებს: მავან-მავანი კაცი ასე და ასე გაუგიეგია სიყვარულსო, მე მაგას არ ვიზამდიო, ამა და ამ დროს ეგრე და ეგრე უნდა მოქცეულიყო, ჭკუა ეხმარა და კაოგად წაუვიდოდა საქმე, ეხლა რაც დაემართა, თავის თავს დაბრალოსო. შენ ეგეთი ნუ იქნები. იცოდე სიყვარული ავადმყოფობაა, ხორველაა, სახადი — ზოგი იოლად გადაიტანს, ზოგს გაურთულდება. აბა, იმის გამო ვინ გაუკიცხავთ, ყველა რა ძნელად გადაიტანაო...

მოუსვენრად იშმუშნებოდა დავითი. იმიტომ კი არა, რომ სხვაგან წასასვლელი არსადა ჰქონდა, იმათ ბინაში დედის მოსვლამდე სუსხი და ყინვა იჯირითებდა და ამიტომ იძულებული იყო, მოსე ჰაპას ქადაგებისათვის ესმინა, არა, უბრალოდ, ერჩია, სხვა რამეზე — უფრო ნამდვილსა და საქმიროზე, უფრო გამოსადეგ საგანზე ელაპარაკა, ვიდრე სიყვარული ეგონა მაშინ.

მაშინ კი ეგრე ეგონა, მაგრამ რა იცოდა, რომ მოსე ჰაპა ამ ერთში მაინც მართალი გამოდგებოდა (რაღაცაში ისიც ხომ უნდა გამომდგარიყო მართალი.) თურმე ღრჯუს აბჯრითაც რომ ყოფილიყო შეძოსილი, სიყვარული მაინც მონახავდა და თავის საყმოში უკრავდა თავს. აქ ეს ჯავშანი უძლური იყო.

ეტყობა, ასეთი ქალი უნდა შეჰყვარებოდა, ის იყო მისი ჯუფთი, მისთვის გაჩენილი. ბევრს ვერ შეხვდებოდით ქალაქში ელისოსნაირს — სუსტს, ციდით გასაზომს, ხრიოკზე გაზრდილ ყაყაჩოსავით ნაზსა და სათუთს. ხალხში შემთხვევით მოხვედრილი გეგონებოდათ, შეშინებული აცეცებდა თვალებს და ყველაფერს ეჭვით აკვირდებოდა. დაუსწრებლად დაემთავრებინა პედინსტიტუტი და ამიტომ თბილისში ხანგრძლივად ცხოვრება არც დასჭირდებოდა. მაგრამ იმ ბუთ წელიწადში ათჯერ მაინც ხომ უნდა ჩამოსულიყო ქალაქში. მეტჯერ თუ არა, მაშ რატომ ვერ მიჩვეოდა აქაურობას და ახლად მოშინაურებული შვილის ნუკრივით რატომ თრთოდა და კანკალებდა. გამუდმებულად მეუღლის მკერდში ეძებდა თავშესაფარს, იქა ცდილობდა გარეშე თვალთაგან დამალვის. დავითს გული სიხარულით გავსებოდა, ეამაყებოდა, სწორედ მისი ცოლი რომ იყო ეს ქალი და მხოლოდ ძას, ერთადერთს რომ შესციცინებდა თვალებში. თვითონაც თავს ეკლებოდა, არაფერს აკლებდა, ბავშვივით ანებივრებდა და ათამაშებდა თავადაც ყმაწვილივით გაანცებული. გულში ჩიტი უფრინავდა, სამოთხის კარი გაჩსნოდა, არა სჯეროდა უეცარი ბედნიერებისა — თავის ბედსა და ყისმათს დიდ ხნის წინ შეგუებული არ ელოდა და ვერც ვერაფერს იფიქრებდა, თუ წუთისოფელი იმასაც მოხვდადდა და იმის კერძ სიხარულსაც გაიმეტებდა. ცოლის შემჩედვარეს ხშირად განგებისადმი მადლიერების ცრემლით ევსებოდა თვალები, მაგრამ ბეჯითად, გულმოდგინედ აბრუნებდა უკან, რადგან ყოველთვის ვერც ელისოსთან ბედავდა უკვე სისხლხორცეული ნიღბის მოხსნას. და საერთოდაც, ვის შეეძლო გადაჭრით ეთქვა, როგელი უფრო ნამდვილი დავითი იყო — ნიღბიანი თუ უნიღბო, რადგან თვითონ დავითსაც აღარ ახსოვდა თავისი ბუნებრივი სახე. თავის თავსაც არ უმხელდა, არ უტყდებოდა, რომ მისი ენერგიის ნახევარი სულის მგრძნობიარე ნაწილს გაუხეშებას ხმარდებოდა ჯერაც. გულჩვილობას ხასიათის სისუსტედ მიიჩნევდა, ბრაზობდა, ღიზიანდებოდა. თავიდათავი კი წიგნები იყო, წიგნებს ადანაშაულებდა: იმათ შემყარეს ეს სენიო. წიგნები — გამონაგონი ცხოვრება... გამონაგონი ხალხის გამონაგონი სიხარული და მწუხარე-

ბა... ყალბი ცრემლი და სიცილი... თითქოს სინამდვილეში ჩვენს გარშემო ცოტა იყოს ეს ყველაფერი. ათასი წიგნის წაკითხვით მიღებულ ცოდნას იცხოვრებაში ერთხელ პრაქტიკულად თავსგადახდენილი მცირე გამოცდილება გადასძალავდა. წიგნებიც სუსტების მიერ სუსტებისათვის თვალის ასახვევად და მოსატყუებლად მოგონილი საშუალება იყო და ისინიც, თუკი მცირე რამ წინაღმდეგობას გადააწყდებოდნენ ცხოვრებაში, აქეთ გამორბოდნენ, წიგნებში ცდილობდნენ თავის შეფარებას. არა, მორჩა, აღარ გაბრიყვდებოდა, აღარ მოატყუებინებდა წიგნებს თავს! მაგრამ რაღა დროსი იყო, სადაც ეს ... ...

ბაზისათვის გადაეძახა: — ნუ გიკვირთ ჩემი ცრემლები, ნუ! მეც შემძლია ატირება, მართლა ეგეთი ღრჯუ ნუ გონივართ!

აბა ეს იქნებოდა წარმოდგენა, აი! სამსახურში თანამშრომლები გაურბოდნენ, ერიდებოდნენ დავითთან შეხვედრასა და ურთიერთობას. ვთქვათ, კიბის თავზე ერთად შეყრილები ყაყანითა და გნიასით არჩევდნენ გუშინდელი ფეხბურთის პერიპეტიებს, ან *წუხანდელი ქეიფის ღირსშესანიშნავ ამბებს იხსენებდნენ პურმარილიდან გამოყოლილი პათეტიკური შემართებით, ანდა სულაც წყნარად იდგნენ და ცხელ-ცხელ პოლიტიკურ ამბებს უყვებოდნენ ერთიმეორეს — საკმარისი იყო იმისი გამოჩენა, რომ საუბარი უცებ მოესხიპათ და ჩუმად გაკრეფილიყვნენ აქეთ-იქით.

ეს გულდედღური მიმალ-მომალვა ზიზღსა ჰგვრიდა, აღიზიანებდა დავითს. თუმცა გასაკვირი კია, მაგრამ მიუხედავად ამ გაღიზიანებისა, ხშირად აეშლებოდა ხოლმე საღერღელი მათთან ერთად დგომისა და ლაპარაკისა — შინაურულად შედავებისა და თავისი აზრის გამოთქმისა. მაგრამ ვინ აცდიდა, ერთხელ დაშინებული თანამშრომლები სათოფეზე აღარ ეკარებოდნენ და საქმის გარდა აღარაფერზე ესაუბრებოდნენ სუსხიან უფროსს. ეს ის ხალხი იყო, ვის გვერდითაც გაზრდილიყო და დავაჟკაცებულიყო დავითი, ვისთანაც თითქმის მთელი ცხოვრება გაეტარებინა და ამიტომ ერთმანეთი მოხარშულიც უნდა სცნობოდათ. უმეტესობას, ალბათ, იცნობდნენ კიდეც დავითისა კი არც ავი გაეგებოდათ და არც კარგი. ერთი სიტყვით, ასტრაბეთელი თათრისა უფრო მეტი იცოდნენ, ვიდრე ამდენი ხნის მანძილზე მათთან მომუშავე ადამიანისა. ჰოდა, ამჯერაც შეუჩნდებოდა ხოლმე სურვილი, თავისი ბედისწერის ჯიბრზე მოეწვია სამმართველოს საერთო კრება და ერთადერთ მომხსენებელს (თვითონ) ერთადერთ საკითხზე ესაუბრა: — მეგობრებო, თქვენ ხომ საერთოდ არ მიცნობთ ვინა ვარ და რა ვარ. გამოგიცდიათ ხართ კი... რატომ მერე, რატომ?! ეგეთი ღრჯუ რადა გგონივართ?!

თუმცა თვითონაც იცოდა და ალბათ სხვებმაც, რომ ამ სიტყვებს ხმამაღლა წარმოთქმა არასოდეს ეწერა. თუნდაც იმიტომ, რომ არავითარი გარანტია არა ჰქონდა, ასეთი მოულოდნელი გულახდილობის მერე მგლებივით არ დაესეოდნენ და ქუფთა-ქუფთად არ დაჰგლეჯნენ თავისივე უჩკუობით დაცვის უნარს მოკლებულს.

არა, სჯობდა შინამდე მიეღწია და იქ, ელისოსთან გათავისუფლებულიყო მძიმე ამჯრისაგან. შვება ეგრძნო დაქანცულ, საკუთარ თავთან ბრძოლით მოღლილ სხეულს. თუმცა მიჩვეული სხეული უამჯროდ დიდხანს გასძლებს განა? ზოგჯერ შუა ფერებაში იგრძნობდა ხოლმე ელისო, როგორ იმოსებოდა დავითის ტანი ყინულის პერანგით და შეცბუნებული იხედებოდა უკან — გულმოდგინედ ჩხრეკდა თავის ნათქვამსა და ნამოქმედარს, ყოველ წვრილმანს საგულდაგულოდ აკვირდებოდა: ნეტავი რა მოხდა, რა შემეშალაო.

ასეთ დროს ყველაფერი წყალსგატანებულია.

მაინც ბედნიერი იყო ელისო, ადრე ეგეთ წუთისოფელს ვერც ინატრებდა და არც დაესიზმრებოდა. სახლში ყველაფერს ზედ დაჰკანკალებდა, ძველ ტანსაცმელს კემსავდა და აკერებდა, გაცვეთილი ფეხსაცმლის გადაყრა არ ემეტებოდა. მეტი რა გინდა, სარეცხის სარჭებზე ტუშით „ელისო ბაბტურიძე“ წაეწერა — თუ შემთხვევით ეზოში ჩამივარდება, სხვა ვერავინ მითვისებსო. სჯეროდა, ასეთი ქცევით უფრო მეტად ვასიამოვნებ დავითს და უფრო მეტად შევაყვარებ თავსო. მოდი და ამის მერე ნუ ირწმუნებ, რომ „ცვალებადია წუთისოფელი, როგორც ზვირთები ევრიპოსისა“. — ვინ წარმოიდგენდა, თუ ეს ქალი, პირველ ხანებში მჭადიდან ნახშირის გამორჩევა რომ უჭირდა, მალე ისე დაეწაფებოდა ამ-

ქვეყნიურ სიტკბოებას, როგორც ბაღდადიდან წამოსული ბუზი თაფლს. თუმცა ყველაფერი — წუთისოფლის ცვალებადობის მიზეზი არ უნდა ყოფილიყო. ეტყობა, საფუძველშივე ჰქონდა სათანადო მონაცემები, რომ ორიოდე წელიწადში, ასეთი ფერისცვალება განეცადა.

...ელექტრომაღაზიაში შემთხვევით შეხებებულ დავითს სოლოლაკელი მეზობლის ყვავიჩხიკვის მამიდა — ქალაქში დიდი ხნის წინ ჩამოსახლებული ელისოს სოფლელი ბერბიჭა გადაეყარა და თავისი ჭკუით დამშვიდებას შეეცადა, მიუსამძიმრასავით: — გულთან არაფერი მიიტანო, შენს გახარებას! რა გაქვს სადარდებელი, ეშმაკეულს დაიწერე თავი! აბა, შენ საიდან გეცოდინება და მაგ ქალბატონის გვარ-ჯილაგს სისხლში მოსდგამს ცრუამპარტავნობა და საკუთარ თავზე გაზღვარზღვარებული წარმოდგენა. ისე იბერებიან, გეგონება, გორგასლის შთამომავლები იყვნენ. ხელისგულზე კვერცხი რომ მოუწვა, იტყვიან: გვეკუთნოდა და იმიტომო. დიდ-პატარიანად ერთნაირები არიან. კატა რომ კატაა, ჭიშკართან უზით და ამვლელ-ჩამომვლელს უღრენს, ინდაური ფარშავანგობს და სოფელში იმასაც ამბობენ: მაგათ შავ-თეთრი ტელევიზორი დარწმუნებულია, სამ-ოთხ ფერს მაინც ვუჩვენებ, მეტს თუ არაო... — კი დროს კი აწვდიდა ინფორმაციას! დალეული, ყვითელი კაცუნა პიჯაკის ღილზე ეკიდებოდა და ცდილობდა პირდაპირ თვალებში ეცქირა დავითისათვის...

მაგრამ ეს შემდეგ მოხდა, კარგა ხნის შემდეგ.

მანამდე კი ელისო ოოლად და უმტკივნეულოდ ეჩვეოდა პატივს, დაიშნოვა. გაუგო კარგ ცხოვრებას გემო და ისწავლა სიმდიდრის ყადრი. რომელ სარეკებზეღა იყო ლაპარაკი, როცა ცხვირსახოცის გარეცხვაც აღარ უწევდა — იმათი სარეცხი საკუთარ მრეცხავს მიჰქონდა, ცალკე რეცხავდა და გაქათქათებულს აბრუნებდა უკან. მრეცხავიო? უკვე საკუთარი მკერავი და პარიკმახერი ჰყავდა, საგანგებო გადამყიდველს პირველად იმასთან მიჰქონდა ჩინმაჩინის ქვეყნიდან მოტანილი, ათას ფათერაკგამოვლილი ზარბაბი და დიბა-ატლასი. ასე რომ შეძლებამ თავისი ქნა, ისიც ხალხში გამოვიდა, მეგობრები გაიჩინა, ზნე და ხასიათი გამოიცვალა. სახლში უცნობი ხალხი მომრავლდა. კარადა საზღვარგარეთული ტანსაცმლით გაიტენა, ოთახები უცხოური ფირფიტებითა და უცხოური ღრიალით გაივსო. არაბულ ტახტზე, ადრე თვითონაც რომ ერიდებოდა დაჯდომას — ზამბარები მალე გაუფუჭდებათ, ეხლა ანგორული კატა წამოსაკუპებულიყო და ძვირფასი გადასაფარებელი იმისი განგურისაგან გავსებულიყო. გამოიცვალა ელისო, ღიმილი კისკისად ექცა, თვალებში სიცოცხლე ჩაეღვარა, გალაღდა, გაფითქინდა და გაივსო, ჰოდა, დავითის მკერდი რომ ეპატარავა და ვეღარ დაეტია, გასაკვირიც აღარ იყო.

გამოდის, რომ მორცხვობა და მორიდებულობა ყოველთვის უმანკოებასთან წილნაყარად არ ჩაითვლება. ჰო, ეგრე გამოდის, თუ ნდომა და წადილი გაქვს. მაგრამ მხოლოდ იმის გამო არა სცოდავ, რომ რაღაცა გაკავებს, მაინც ცოდვილი ხარო, უთქვამთ ჩვენს ძველებს. მართლაც, ხშირ შემთხვევაში გამონახავ დროსა და საშუალებას და შენს სურვილებს გზას მოუნახავ, თანაც ისე, რომ თავის მართლება არ გაგიჭირდება.

დასაბამიდანვე, მას შემდეგ, რაც იგემა იმ მწარე ვაშლის გემო, მამაკაცი ნდობადაკარგული აკვირდება ქალის თითოეულ მოქმედებას და თავისდაუნებურად, დროდადრო მაინც ვარამიანი ფიქრი აწვალებს: ვაითუ, მე საცოდავს ყოველ ფეხის ნაბიჯზე მატყუებენ და თვალყურდამდგარი ვერფერს ვხედებიო. იქნება ეს შეხედულება მთლად საფუძველმოკლებული არც გახლდეთ. მაგრამ რაც უნდა ეჭვით გა-

სენილი კაცი იყოს, საკუთარ ცოლსა და დედაზე აუგიანი ფიქრის გავლება უჭირს, თავს არიდებს, იმათი ღალატი ვერ დაუჯერებია — უმეტეს შემთხვევაში ძალზე ფხიზელი გუმანიც კი არაფრის მაქნისი და უძლურია. რატომ, რის გამო? ნუთუ იმიტომ, რომ მართლაც ბრმა არის სიყვარული? ან იქნება თვითონ კი არ არის ბრმა, ჩვენ გვიკარგავს თვალის სინათლეს! ეგრეა ალბათ და ამის გამო თუ იყო, რომ დავითსაც არცა სურდა და ვერც ირწმუნებდა, უკვე უხილავი რქებით რომ იყო შემკობილი. ის კი არა, როცა დაფარულს ფარდა აეხადა და ყველაფერი ნათელი შეიქმნა, მაშინაც სასო ბოლომდე არ წარკვეთია და რაღაცა მანქანებით შერჩენილ ჩირინა იმედს ძალადაკარგულ ავგაროზივით მაგრად უჭერდა ხელს. იმ ნირწამხდარ და შეცბუნებულ ბავშვსა ჰგავდა, ადამიანთა გამრავლების საიდუმლოს რომ მიაკვლია მოულოდნელად, მაგრამ იმას კი ნამდვილად ვერარ დაიჯერებს, თვითონაც თუ შეიძლება ამ პროცესის ნაყოფი იყოს, ვერ ირწმუნებს, რომ იმისი დედმამაც, ეს უმწიკვლო და ზნეკეთილი ადამიანებიც ამ აკრძალულ თამაშში იქნებოდნენ ჩაბმულები.

ტელევიზორი მათ საუბარს ზედმეტი კაცივით ესწრებოდა, ამიტომ ცდილობდა, თვალი აერიდებინა, სულ სხვა რამეზე ელაპარაკა და როგორმე ცოტათი მაინც განემუხტა ეს საჩოთირო ვითარება. მისგან განსხვავებით, ელისო არას დაგიდევდათ. ფეხმორთხმული იჯდა ტახტზე, კალთაში დასკუპებულ კატას ეფერებოდა და ისეთი მშვიდი მოურიდებლობითა და პირდაპირობით ყვებოდა ყველაფერს, თითქოს თავიანთი ოჯახის ყოფნა-არყოფნისა კი არა, ვიღაცა ცხრაუცხოთა, გადამთიელთა თავგადასავალს მოუთხრობს გულგრილ და აუმღვრევლადო:

— შენ ეს ამბავი რატომ უნდა გაგკვირვებოდა, რატომ უნდა ყოფილიყო მოულოდნელი?! როცა კაცი თავისი ცოლისათვის ვერ იცლის, მაშინ იმის მეუღლეს სხვები ჰპატრონობენ და სხვათა შორის, შენ წარმოიდგინე, ეს ... ზე უკეთესადაც!

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ უნდა გაგკვირვებოდაო, ეუბნებოდა ელისო და დავითს გაკვირვებული მართლაც არ ეთქმოდა. ამ მოულოდნელი გულახდილობისაგან გაქვავებულს მეტყველების უნარი წართმეოდა და ხმა ვერ ამოეღო, იმედოვნებდა, მართალია ძალზე უშნოდ და ულაზათოდ, მაგრამ მაინც მეხუმრებაო მეუღლე, აი წუთიწუთზე აკისკისდება და ჩემს შეცბუნებას სიცილს დააყრისო, ალბათ ამიტომ იყო, რომ სახეზეც მკრთალი ღიმილი შეჰყინოდა და თვალებშიც რაღაც სხივი უბრწყინავდა.

რა თქმა უნდა ეგეთი არაფერი მომხდარა, მისმა დუმილმა თანდათან უფრო გაათამამა, საკუთარ სიმართლეში დაარწმუნა ელისო, როლში შეივიდა, ხმას აუწია, კატა ნერვიულად მიაგდო გვერდზე:

— ვაების მეტი არაფერი მახსოვს შენგან.. მთელ ეს ზანა გაუთავებელი ტანჯვა იყო და სხვა არაფერი... ტირანი ვერ მიზამდა იმას, მტარვალი, რასაც შენ მიშვრებოდი. თუ ახალ კაბას მიყიდიდი, ან მსუყე საჭმელს არ მომაკლებდი, ეგ გეგონა ბედნიერება — ამის გამო ფეხებზე უნდა მოგზვეოდი და შენზე მელოცა. ბაგრამ ქალს მაგის გარდა სხვა რამეც რომ სჭირდება, ის კი გავიწყდებოდა, ვიფიქრე: როგორმე გავძლებ, შევეგუები-მეთქი, მაგრამ თანდათან უფრო შემაჯავრე თავი...

ღმერთო დიდებულო! რა საშინელება იყო, არყოფნას მოგანატრებდა კაცს. და ამ დროს: არ უნდა გაგკვირვებოდაო, ეუბნებოდა! როგორ არ გაკვირვებოდა, როცა ბედნიერებით გადავსებული ოთხი წელიწადისაგან სიხარულის ნატამალი, სიხარულის ერთი ნამცეციც არ დამახსოვრებოდა. სად იყო სამართალი, სად? სად იყო სამართალი, რატომ ერთხელ შემთხვევით მაინც არ გაიბრწყინებდა, შემთხვევით მაინც არ გაანათებდა დავითის ნაღვლისფერ საწუთროს და ერთადერთ

სიბერულს ბოლომდე, სიკვდილამდე არ შეარჩენდა?! მაშ, თუ სადმე სამართალი იყო, ეს უსაფუძვლოდ გაყვანიზებული ქალი ნოყიერ ცხოვრებას ისე როგორ უნდა გაებრიყვებინა და დაეკარგვინებინა მორიდების გრძნობა, რომ უთუოდ სხვისაგან ნასწავლი სიტყვებით, თვითონვე ეამბნა ქმრისათვის და თან სიამაყითაც, თავისი წახდენის ამბავი. სამართალი? მაშ, თუ სადმე სამართალი იყო, დავითისათვისაც ხომ უნდა მიემადლებინა რაღაცა ბუნებას, განა სიყმაწვილეშივე არ იგრძნო, რომ მოძულებული ჰყავდა კაცსაცა და ღმერთსაც! გამეტებით ხომ არაფერს იმეტებდნენ და თუ მაინც მოხდებოდა და შემთხვევით რამე წყალობას გაიღებდნენ, იმისი ბოლოც გმინვა იყო: — „თუ მომეც, რაღად წამართვი, ან ასრე რად გავიწირე!“

ეგეთი გამორჩეულობა?!

მაინცდამაინც იმისი იყო ყველაფერი მიუღებელი. ვთქვათ, ჯერ კიდევ სიყმაწვილეში რომელიმე იმისი ამხანაგი ვაჟი მოიწყენდა და ფეხიფეხზე გადადებული თავის ვიწრო გონებაში წარმოსახულ უსასრულო მარადისობას ნაღვლიან მზერას გაუსწორებდა, — როგორ უხდებაო, — აჩურჩულდებოდნენ გოგონები, — სევდა უძვირფასესი სამკაულივით ამშვენებსო. მტრისას ვინმეს რომ შეემჩნია დავითის კაეშანი: რასა ჰგავს, როგორ არის ჩამოკამული, რა სულ თავ-პირი ჩამოსტირისო. კი ბატონო, კი, ისიც დიდი მადლი იყო, გაძლების ნიჭი და უნარი რომ უბოძა, გამოატარა შავბედობის მშიერი წლები, მაგრამ რისათვის? ამასაც ხომ უნდა ჰქონოდა რაიმე მიზანი, ამბოხის სურვილიც ხომ უნდა მიემადლებინა, რომ ბოლოს და ბოლოს, როცა იქნებოდა, თავისუფლების წყურვილს დაეძლია ყოველგვარი შიში და ერთხელ იმისი ბაგეებიდანაც ამოეხეთქა მტკივნეულად, თუნდაც სისხლის შხეფებთან ერთად, ნანატრ ფრაზას:

— ხალხო, არც ისეთი ღრჯუ ვარ, თქვენ რომ გგონიათ!!!

როდემდე უნდა დარჩენილიყო მოსაბეზრებელი, როდემდე უნდა ეთრია დამამცირებელი უღელი, ერთი შეხედვით ჩანს, თორემ განა დიდი განსხვავებაა, უცხო კაცი გყავს თუ საკუთარი თავი ბატონად?

დავითი წუთისოფლის მუხანათობამ და სიმრუდემ უფრო გამოიყვანა წონასწორობიდან, ვიდრე ცოლის სიტყვებმა. სიბრაზისაგან ხელებმომუშტულსა და ყბებდაბეჭილს დაუძღეველი სურვილი გაუჩნდა ამ უსამართლობის მოციქული ქალის მოსპობისა, გასრესისა, ერთიანად გაქრობისა. ელისომ ვერაფერი იგრძნო, ისევ თავისას მიერეკებოდა:

— სამსახურის დამთავრების დროს რომ მოაწევდა, გული გასკდომაზე მქონდა, მე შენ გეტყვი და. მეგობრებთან შეგაგვიანდებოდა, ვინმესთან გაივლიდი. ღვინოს დალევდი, თუ რა... მოხვიდოდი და ჩამოჯდებოდი მოჟამული, მოქურუხებული — ერთს არ გაიცინებდი, შუბლს არ გახსნიდი...

ტვინში მოკლე ჩართვასავით გაიჭახუნა რაღაცამ, მყისიერად იგრძნო, სიღრმიდან, სადღაც შორიდან როგორ დაიძრა და წამოვიდა... წამოვიდა და თვალებს მოაწვა: „..რა ქნას რომ არა ტიროდეს შავი და ბნელი ქალიო, პირისპირ ჩამოსჯდომია სიკვდილისფერი ქმარიო...“

იმ ქალის საცოდაობამ გული მოსწვა, ცრემლებით აევსო თვალები, ვეღარაფერი გაარჩია, მუხლმოკვეთილი უხმოდ გავიდა მეორე ოთახში.

მოდი და ნუ დაემდურებოდა კაცი ასეთ ხასიათს. სწორედ ის იყო ყველაზე დიდი მოღალატე დავითისა.

მეორე ოთახში ტახტზე მკვდარივით ეგდო და კიდევ ერთ, უეცრად მოძალებულ მტერს ებრძოდა — ძილს. გაოცდებოდა კაცი, ნუთუ ყველამ იმასთან გაიმამაცა, იმაზე სცადა ძალი, ნუთუ ყოველგვარი უკუმართობა მისთვის უნდა ერგუნებინა ღმერთს! ეხლა რა დროს ძილი იყო, როცა ოთხი

ეროვნული ბიბლიოთეკა

წლის ნალოლიავები ბედნიერება უეცარმა შავმა ჭარიშხალმა გაიყოლია. აბა, ნორმალურ ადამიანს ამ დროს თვლემა როგორ უნდა მორეოდა. ებრძოდა ფუჭად და უშედეგოდ — არაფერი გამოსდიოდა, ის მაინც მოიწევდა და დავითის აჭრილ-ალუფხულ აზროვნებას თავის ბნელ ფრთას აფარებდა. უიმისოდაც სადღა იყო აზროვნება, ტვინში იდო ერთი დიდი, მძიმე უსაშველობა და გარშემო უამრავი მასთან დაუკავშირებელი წვრილმანი უაზრობა ეხვეოდა. მწარეზე მწარე იყო იმის შეგრძნება, რომ აღარაფრის გამოსწორება აღარ შეიძლებოდა. რატომ, რატომ, რის სანაცვლოდ უნდა დაესაჯა ასე ღმერთს? სიკვდილს შეიძლება შველებოდა, ამას — აღარ. უძლური იყო ყველაფერი, საშველმოუნახავი. და უცებ თითქოს ტანჯვის მიმიზეზს მიაგნოო, გამწარებულმა იფეთქა. ჯოხი იმაზე გადატეხა, წაუშინა და წაუშინა უნაგირს: ჩვენი წინაპრების ბრალია და ჩვენი ადათ-წესებისა ეს მაზოხისტური თვითგვემა! იმისი ბრალია რომ ქართველი ვარ, ქართველობითა ვარ დასჯილი! არადა, რაღა ჩვენა გვჭირს ყველაფერი მოურჩენელი, რაღა მაინცდამაინც ჩვენი ტკივილების წამალი არ არსებობს... ოდესღაც წაკითხული გაახსენდა: თურმე მექსიკაში ინდიელთა ერთი ტომია — გუიჩოლები. იმათ ქალებს, შეიძლება ყველას არა, მაგრამ დიდ ნაწილს მაინც, საგანგებო თოკები აქვთ და ზედ იმდენი ნაკვანძია გაკეთებული, რამდენი საყვარელიცა ჰყავდა თოკის პატრონს წლის მანძილზე. წელიწადში ერთხელ, რომელიღაც გამორჩეულ დღეს ეს ქალები ტაძარში იკრიბებიან, სახალხოდ ყვირიან თითოეული საყვარლის სახელს და ბოლოს ამ თოკს ღვთაებრივ ცეცხლში აგდებენ. მორჩა, განწმენდილები ბრუნდებიან შინ! მათზე ვეღარავინ იტყვის, ცოდვა მიუძღვითო და მეუღლეებიც გულიდან დარდმოხსნილები ეგებებიან თვალში შუქითა და პირზე ღიმილით...

რა იოლია, არა?

მაგრამ მაინც ხომ წამალია ქმრებს ხომ შველის?

ალბათ შველის, თორემ აბა ისე რატომ მოიგონებდნენ. თუმცა რა იცი, იმათაც რა სატკივარი ფქვავს და რა დარდი ულრღნის გულს. ადამიანი ყველგან ადამიანია, აქაც და იქაც. ყველგან უჭირს, ვერ იქნა და ვერ მოაგვარა თავისი წვრილმანები. დაბნეული აწყდება ღობეს და ყორეს. აი, ეს მაინც რაღა გახდა, — მაგიდის ნათურისაკენ გადაიხარა და რადგან სადენი მცირე ადგილზე გაშიშვლებული იყო, ფრთხილად გამორთო. — ფიზიკოსები იმ იარაღის შექმნას აკლავენ თავს დედამიწას ერთბაშად და ერთიანად, უკვალოდ რომ გააქრობს სამყაროდან და ისეთი ელექტროდენის გამოგონებაზე კი არ ფიქრობენ, ადამიანს რომ ვერაფერი დააკლოს, ვერა ავნოს რა.

ეს მაინც რაღა გახდა.

მერე ყველაფერი სწრაფად მოხდა. უცებ მოითავეს წვრილმანები და გაიყარნენ. დაისვენა, ამოისუნთქა დავითმა, ისეთი შვება იგრძნო, თითქოს დაჩირქებული წყლული გამოურწყესო და ეხლა ყურს უგდებდა, სხეული თანდათანობით როგორ თავისუფლდებოდა, იცლებოდა ტკივილისაგან. ჰო, დაისვენა დავითმა, მაგრამ შიგნიშიგან, ცნობიერების ბნელ კუნჭულში მაინც ფეთქავდა შიში იმისა, რომ ნაწყლულარის სრულად განკურნება და პირვანდელი სახით აღდგენა აღარ მოხერხდებოდა. აკი თათარს ისიც უთქვამს: კარგად მყოფი ავად გავხდი, ავადმყოფს კარგად რაღა გამხდისო. დაისვენა, მოიხსნა ტვირთი, მაგრამ ამდენი ხნის მერეც რა ხშირად და რა ნათლად ახსენდებოდა პატარა ვარდისფერი ბიბილოს ქვეშ შეყუჟული ხალი.

ეჩვენებოდა, რომ ხე იყო. მოცლილმა, უგულო ადამიანმა ზედ თავისი სახელი ამოკვეთა, ათასგვარი უაზრობა მიახატა და თავისი გზით წავიდა. ხემ ჭრილობები მორშუშა, თანდათან-

ობით განიკურნა. ახალმა ქერქმა წარხოცა ნაჭდევები, მაგრამ ისიც უნდა ვთქვათ, რომ სანამ ხეს სიცოცხლე უწერია, ის გადაშლილი ნაჭდევიც ცოცხლობს გულისგულში. ახსოვს მისი ფორმა, სიგრძე-სიგანე. ისე მარტივადაც არ იყო საქმე, რომ მხოლოდ ბიბლიოსა და ხალზე დაგვეყვანა.

ცოტა უცნაური კი იყო — პირველ ხანებში იოლად შეეგება სიმარტოვეს. განა იმიტომ, რომ ადრინდელი, განდეგილობის დროინდელი ცხოვრების წესი მონატრებოდა, არა, თურმე დანაკარგზე ფიქრი და დარდი თანდათანობით, ნელ-ნელაობით, მაგრამ ერთიანად ეუფლებოდა მის სულსა და სხეულს, როგორც წყაში ჩადებულ ყველს უჯდება სიმლაში, ან შაშხს — მარილი.

უკვე ორმოცს გადააბიჯა. სოციოლოგების მტკიცებით ეს ის ასაკია, როცა მამაკაცი თავისუფლებისაკენ ილტვის, ქედიდან უღლის გადაგდებას ცდილობს და სწადია, ერთი გუნებიერად გაინავარდოს. აქაც პირიქითა სჯირდა დავითს — მარტოობა გაუსაძლისი შეექმნა, აუტანელი. ეულად ცხოვრებამ კიდევ უფრო გაუფუჭა ხასიათი, უფრო პირქუში და უკარება გახადა, დაადარდიანა. გარეგნულად ეხლაც არაფერს იმჩნევდა, უცხო ვერაფერს შეატყობდა, მაგრამ საკუთარ თავს სად გაექცეოდა — ღამღამობით გული დატყვევებულ ჩიორასავით უწიოდა. ფართხალებდა, წუხდა ჩიორა, სხეულისაგან გათავისუფლებას ითხოვდა, მაგრამ თუ ვიანგარიშებთ, რომ იმ ჩიტსაც უნდა ჰქონოდა თავისი გული და სწორედ ის ადგილი, გულის გული სტკიოდა დავითს — ადგილი გასაგები გახდება, რომ ასე ღრმად შენახულ სატკივარს სხვისი თვალი ვერ მისწვდებოდა.

სამსახურში იყო და კაბინეტში ეულად იჯდა. შინაც ხომ არა ჰყავდა და არა ჰყავდა ხმის გამცემი თავის სიმარტოვეს შერჩენილს. ფიქრსაც ეგ უნდა, მარტოკაცთან პოულობს გასაქანს — ისიც დროს მოითხოვს, დრო თუ არა გაქვს, საფიქრელად ვერ მოიცლი. მაგრამ ფიქრიც არის და ფიქრიც. რაც უკან იყურები, როცა განვლილ გზას აანალიზებ და შენივე ნამოქმედარს განსჯი, იმ დღიდან იწყებ საკუთარი თავის შეცნობას — რაც არ მოგწონს, საშუალება გეძლევა, უკუაგდო და უარჰყო. მაგრამ ორმოცს გადაცილებული კაცისათვის ეს ყველაფერი ერთობ დაგვიანებულია. დაგვიანებულია, თუნდაც იმიტომ, რომ ოდესღაც დაშვებული მცირე შეცდომაც დღეს უკვე ისე დამძიმებულა, ისე გაურყევებულა, ვეღარაფერს მოუხერხებ — შეცდომა რაც უფრო ძველია, მით უფრო ძნელია მისი გამოსწორება. ბავშვობის ხანაშივე კომპასის უმნიშვნელო ცდომილებას ის გამოეწვია, რომ მთელი სიცოცხლე არასწორი მიმართულებით მიდიოდა. მაგრამ არავინ უწყოდა, საითაც მართლა უნდა ევლო, ის გზა კი იყო ნამდვილად ჭეშმარიტებისაკენ მიმავალი გზა? ვეღარც ვინმე გაიგებდა, რადგან იქით გავლა აღარ ეწერა უკვე. აზრი დაჰკარგოდა შეცდომის ძიებასა და დამნაშავის მიგნებას — ისე დაგვიანებულიყო, რომ ბრალეულის პოვნა ვერაფერს უშველიდა. დროს უკან ვეღარ დაიბრუნებდა და ამ ასაკში ახალი ბილიკების ძებნას კი იქნება უარეს შეცდომამდე მიეყვანა. ჩავლილი ცხოვრების განსჯითაც ამაოდ იწამებდა თავს. სჯობდა, ისევ სწორხაზოვან, ჩვეულ ყოფას დასჯერებოდა და იმ მღვდლისა არ იყოს: როგორც წინათ სწორავდა, ისევ ისე ეწორა — როცა სისულელედ მიაჩნდა მთავარი შარაგზიდან თუნდაც წუთით გადახვევა და ახლად გაკვირტულ ბაღში ჩამოჯდომა — დარდისათვის, ფიქრისათვის, სიყვარულისათვის. ეყო რაც ერთხელ აცდუნეს, მაშინ რა სიკეთე ნახა ბუძგ-ჯავშანგახდილმა, რომ მერე რაღა უნდა ენახა!

არადა, როგორ არ გამწარებულიყო: თურმე ეთიოპელები დაბეჯითებით ამტკიცებენ, რომ გორილას ადამიანივით ლაპარაკი შეუძლია, მაგრამ მალავს.

რადგან ეშინია, ადამიანმა არ შემიტყოს და ათასგვარი დავალებებით სული არ ამომართვასო... გორილასოდენა გონებაც არ აღმოაჩნდა დავითს — ცოლს თავისი ნამდვილი სახე ვერ დაუმალა.

ბავშვობიდან მოსდგამდა, ბავშვობიდან შეესისხლხორცებინა ერთ დროს იქნება ძალზე სასარგებლო ჩვევა — ცხოვრებას ჯიქურ შეჰყურებდა თვალებში და მხოლოდ პირდაპირ მომზირალი საგნებსა და ოვლენებსაც ერთი მხრიდან, ერთი კუთხიდან ხედავდა. გვიან მიხვდა, კონკრეტული ნივთი შეიძლება სხვა მხრიდან სულ სხვანაირი გამოჩენილიყო და სხვადასხვა შემთხვევაში სხვადასხვა მნიშვნელობა ზოგჯერ საწინააღმდეგო მნიშვნელობაც კი ჰქონოდა. შორს წასვლა არ დასჭირდებოდა: სახელად ყველას რქა ერქვა, მაგრამ განა შეიძლება ერთი ყოფილიყო მაცილის გიშრისფრად აელვარებული რქა და კახურით სავსე ყანწი? ანდა მიქელანჯელოს მოსესა და მის შუბლზე დადგმული რქები?

თუმცა რა ექნა, ძალიანაც რომ მოეწადინებინა, იმ გაძვალტყავებული წლებიდან გამოყოლილ მღვრიე ბინდბუნდში რა უნდა გაერჩია.

უემურად თენდებოდა შაბათი დილა. ალიონზე ნამტირალევს გამოეღვიძა. სიზმარში წიგნს კითხულობდა. არ ახსოვდა რა ეწერა იმ წიგნში, მაგრამ, ეტყობა, იყო რაღაც ისეთი, რის გამოც თვალები ცრემლით ევსებოდა, ცდილობდა ჩუმად მოეწმინდა, დაემალა, მაგრამ საითაც მიბრუნდა, ყველგან ვიღაცის დამცინავ, გამაქიაქებელ მზერას წააწყდა. რცხვენოდა, წვალობდა, იტანჯებოდა: ვერც შეკავებას ახერხებდა ცრემლისას, ვერც დამალვას. გაქცევა უნდოდა, ვერსად წასულიყო — ტყვიაჩასხმული, ჩაკირული ფეხები ადგილიდან ვერ დაეძრა. ამ ბორგვაში გამოეღვიძა დაღლილსა და გასავთებულს. კარგა ხანს კიდევ ვერ მოეგო გონს.

ჩაუცმელი მივიდა ფანჯარასთან. ეზოში საღამოს დაწყებული თოვა ადამიანური ... გრძელდებოდა. წაუბილწველ, შეუურყვნელ თოვლს დაეფარა ყველაფერი — ჯერ კიდევ არ აჩნდა ქუჩას არც კაცისა და არც მანქანის ნაკვალევი. თითქოს იცოდა თოვლმა, დღეს შაბათი რომ თენდებოდა და გარეთ გვიან გამოვიდოდა ხალხი, ამიტომ დაეშურა მოსვლას, ამიტომ ჰყრიდა რაც ებადა, რომ რამდენიმე საათით მაინც გაეხანგრძლივებინა თავისი სისპეტაკე — ეგეც შეღავათი იყო. ამრეზილი უყურებდა თოვლს დავითი, იმას პირიქით, დასვენების დღეები სძულდა, დრო როგორ მოეკლა, რა ქვისათვის ეხალა თავი, არ იცოდა. არა, რას ამბობ, სამსახურს რა სჯობდა, მუშაობისას ყველაფერი ავიწყდებოდა, პირადისათვის აღარ ეცალა.

ფანჯარა გამოაღო. სიცივემ უცებ დაუარა ნათბილარევ სხეულში, ესიამოვნა, ცოტა ხასიათზე მოიყვანა. მსუბუქი, ლამაზი ფანტელები ოთახში შემოფრენას წადინობდნენ, თავგამოდებით ცდილობდნენ დავითამდე მიეღწიათ, მაგრამ ოთახიდან გამომავალი ჰაერის წინააღმდეგობას ვერა სძლევდნენ და ამოდ იღუპავდნენ თავს. ჭკუა არა ჰქონდა ასეთ უაზრო თავგანწირვას. ქვემოთ, ზოოპარკის მხრიდან ყვავების ყრანტალი სჭრიდა თეთრ ბურუსს. აქედან არა ჩანდნენ, მაგრამ, ეტყობა, სამხეცის თავზე, სამხეცის ახლო-მახლო ტრიალებდნენ და დაბლიდან ამომავალი ლეშ-ნადირის ოხშივარით იძღობდნენ დამშეულ კუჭებს.

ფანჯარა აღარ მიუხურავს.

შიშველ წვივებზე კატა გაეგლასუნა — ვითომ გეალერსებიო, სინამდვილეში კი შეახსენა: რახან ეგრე ადრიანად გავიღვიძეთ, ბარემ ვისაუზმოთ კიდეც, შენს თავსაც მიხედე და მეც ნუ დამივიწყებო. ეს ბებერი, უცხოური წარმომავლობის ციცა ელისოს დროიდან შემორჩენოდა ბინას. აქედან წასვლისას იმისი პატრონი კატასაც ქმარივით

ოლად შეელია. დავითი ბავშვობიდან ვერ იტანდა კატებს, მაგრამ რა უნდა ექნა, თავის სახლში გაზრდილ, ცოცხალ არსებას გადასაგდებად ხომ ვერ გაიმეტებდა? განა ის არ ეყოფოდა საწყალს, ვაჭრდელმა რომ გაწირა და ღვთის ანაბარა მიაგდო? მერე თანდათანობით მიეჩვივნენ, აგრე რიგად აღარ ეჩოთირებოდათ ერთმანეთი, ლამის დამეგობრდნენ კიდეც. რაც გინდა თქვით და როცა საქმე საქმეზე მიდგება კაცის მოგონილი ღვთის გაჩენილს ვერაფერით გაუწევს ხოლმე მეტოქეობას. რაც კაცს შეუქმნია, ტელევიზორი იქნება ისა თუ რადიო — თავისი გარკვეული დანიშნულება აქვს, მორჩა, მეტს ვერაფერს გამოადნობ. წიგნი რომ წიგნია, ისიც ვერ იზამს სულიერის მაგივრობას. ან კი რა მტკიცება უნდა, რომ ცხოველი ბევრად უფრო შენიანია. აი, თუნდაც ეხლა, ერთი შეხედვით თითქოს ანგარიშში ჩასაგდები არ იყო, მაგრამ მარტოსული კაცისათვის რამდენს ნიშნავდა, კატამ საუზმე რომ შეახსენა. მოეჩვენა: იმაზეც ზრუნავდა, იმაზეც ფიქრობდა ვიღაცა.

მოტრიალდა. დააპირა: ლოგინს დავუბრუნდები და ცოტას კიდევ წავუძინებო, მაგრამ გადაიფიქრა, მივიდა და სავარძელში ჩაჯდა. ციცაც კვალდაკვალ მიჰყვა და ფეხებთან დაუწვა, თან გაფუჭებული მაცივარივით ახრუტუნდა. დავითმა ფრთხილად გადაუსვა თავზე ცალი თითი, ებრალებოდა... ისიც ხვადი და ისიც ეული... კატის ცქერამ ფიქრი შორს გაიყოლია — არაფრით ჰგავდნენ, მაგრამ მაინც მგლები გაახსენა, უფრო სწორედ მოსე პაპას ნაამბობი მგლებზე: ისიც მოხდება ხოლმე, რომ შეცხვარის ყოჩაღი ჭოფაკი წაასწრებს სადმე ახურებულ ძუ მგელსა და დაამაკებს, მაგრამ მგლები ოხრები არიან, იციან, რომ ეგეთი რამეც შეიძლება მოხდეს ქვეყანაზე და თადარიგსაც იმთავითვე იჭერენ. წამოიზრდებიან თუ არა ლეკვები, რომელი ძუსიც არ უნდა იყვნენ, წყალზე ჩაიყვანენ — თუ მგელივით თქაფა-თქუფით დაიწყო სმა, ხომ კარგი და თუ ძაღლივით ენით დაიწყო სვლეპა, მორჩა, იქვე გაგუდავენ... — წვრილი, სიბერისაგან გამოხუნებული თვალებით მისცივებოდა დავითს, თითქოს აფრთხილებდა: გამაგრდი, ეცადე, შენი ძაღლობა არავინ შეიტყოსო.

ფიქრებიდან ისევ კატამ გამოიყვანა — გარეთ გამიშვიო, ითხოვდა.

დაგვიანებული საუზმის მერე დათოველ ქალაქში გასეირნება გადაწყვიტა, მაგრამ ჯერ ახალი გაზეთების კითხვამ შეიყოლია, შემდეგ ტელევიზორს ველარ დაეღწია და სადილობის დროც მოვიდა. ნასადილევმა იფიქრა, წუხანდელ უძილობას ავინაზღაურებო, პლედი გადაიფარა და დივანზე მიწვა. გაუტკბა სუფთა ჰაერზე ძილი, ბინდდებოდა, რომ გამოეღვიძა. დღეღამის ის ძნელადგადასატანი ჟამი იდგა, როცა ჩვენი შორეული წინაპრები გამოქვაბულებში ერთად იკრიბებოდნენ და ცდილობდნენ, საერთო ძალით შებრძოლებოდნენ ოთხსავ კუთხიდან მოჯარულ შეუცნობ ნაღველს. ადამიანმა ბევრი რამ დაამარცხა ბუნებაში და თავის ჭკუაზე გაატარა, შეღამებისას მოწოლილ წუხილს კი ვერაფერი მოუხერხა. საცოდავია ამ დროს მარტოდ, უნუგეშოდ დარჩენილ კაცი. ბნელოდა ოთახში. დღისით არ უნდა დაეძინა, აბა რომელი ჭკუათმყოფელი ჩაიდენდა ეგეთ სისულელეს — რაღა გაათენებდა ამხელა ზამთრის ღამეს. ეჩვენებოდა, რომ ასეთი ეული, სხვებისაგან გარიყული და განაშული არასოდეს ყოფილა, გაძლება უჭირდა, გული უკვნესოდა. თოვლი კი მოდიოდა და მოდიოდა, ირეოდნენ ფანტელები ფანჯრიდან გამომავალ შუქზე. ათასობით ფანჯარა ენთო ქალაქში, მაგრამ არც ერთი იმისათვის არ აშუქებდა, არავისთან მიესვლებოდა, მაურავებელი არსად ეგულებოდა.

რა ექნა? გული რომ არ გასკდომოდა, რაღაცა, ხომ უნდა ეღონა, მაგრამ რა, რომ არ იცოდა? მოძმეთა შორის მარტო დავითს ხომ არ ეჭირებოდა ეს

ჭირი, სხვები, მის დღეში მყოფნი ნეტავი როგორ იქცეოდნენ, რითა სწამლობდნენ, რითა მკურნალობდნენ თავს?

— ღვინით, დუდუკით, ქალებით...

მწარედ გაეღიმა. მაგრამ ასეთ მალამოს ის ხომ ვერ შეეწყობოდა, მისი ორგანიზმი ვერ იგუებდა და ალერგიისგან უარესი დაემართებოდა, ეგეთ დროს სხვა უმისო რესტორანში წავიდოდა და მეგობრებთან ერთად გემოზე გამოთვრებოდა — ღვინოში ჩაახრჩობდა, თუკი რამ დარდი და ნაღველი ხრავდა, ან მივიწყებულ საყვარელთან გაივლიდა, (თან მივიწყებული და თან საყვარელი! კარგია, არა?) და ნაკარში შერჩენილ, გაჭრობის პირას მისულ ღვეღს მცირე ხნით მაინც გააღვივებდა. ისიც შეიძლებოდა, სულაც ახლობელთან გაევლო და გვიანობამდე მასლაათით შეექცია თავი...

მეგობრები არა ჰყავდა დავითს, მარტო კი რა ძალას უნდა აეძულებინა, რომ რესტორანში შესულიყო და ღვინო დაელია. ანდა ეს ჯერ უცადი წამალი უშველდა? ჩაიწყნარებდა? ქალზე არც ღირდა ლაპარაკი და ნათესავებიც ხომ არა ჰყავდა და არა ჰყავდა ამ ქალაქში. მამამისი სოფლიდან ახალგაზრდობაშივე ჩამოსახლებულიყო და ძალზე სუსტი ძაფებიღა აერთებდა ახლობლებთან. მისი სიკვდილის მერე ეს ძაფებიც ერთიანად დაწყდა, მას შემდეგ წლები გავიდა. იმათი სოფლიდან შეიძლება ზოგიერთი ნათესავი თბილისშიაც გადმოსახლდა, მაგრამ დავითმა იმათი არაფერი იცოდა. რომ სცოდნოდა კიდეც და ამ თოვლიან საღამოს კარზე მისდგომოდა, რა ეთქვა, რისთვის გეწვიეთო? მარტოობამ შემაწუხა, ვეღარ გავუძელ და თქვენ მოგაკითხეთო? ხმამაღლა თუ არა, გუნებაში მაინც ხომ იტყოდნენ: — აუჰ, შენი ჭირიმე, რა ნანატრი ნათესავი ვიპოვეთო! არა, ვისთანაც უნდა მისულიყო, ყველგან უხერხულობასა და უსიამოვნებას შეიტანდა, ზედმეტი იქნებოდა.

ერთადერთი ოჯახი, სადაც რა დროც უნდა ყოფილიყო, მის სტუმრობას ეჭვნაურობად არავინ ჩათვლიდა, შორს იყო აქედან, შორს. თოვლი მაინც არ მოსულიყო, გამოიყვანდა მანქანასა და სიბნელის მიუხედავად ხუთ-ექვს საათში იქ გაჩნდებოდა. ეხლა კი უღელტეხილზე ტრაქტორსაც გაუჭირდებოდა გადასვლა.

თოვდა და თოვდა.

ნეტავი რა დრო იყო?

გუშინ მომართვა დავიწყებოდა და საათი აღარ მუშაობდა. ტელეფონთან მივიდა და ორმოცდაათი აკრიფა. ყურმილმა რამდენჯერმე გაურკვევლად დაიხრიალა და გაჩუმდა. კიდევ სცადა, კიდევ და კიდევ. ამაოდ. გაგიჟდებოდა კაცი, გეგონებოდა, დღეს ყველაფერი იმის წინააღმდეგ შეთქმულიყო. გაღიზიანდა. თვალის კუთხემ კედელზე დაკიდებული გუგულიანი საათი შეამჩნია — უფუნქციო, მოვალეობადაკარგული. უფრო მეტად მოეშალა ნერვები ამ უმაქნისი ნივთის დანახვაზე. თუკი დროის ჩვენება არ შეეძლო, საათი რატომღა ერქვა, ვის რაღაში სჭირდებოდა იმისი არსებობა. თითქოს მთელი ჯავრი ამაზე უნდა ამოიყაროსო: მიუტტა, ჩამოგლიჯა და მთელი ძალით შეანარცხა კედელს. მრავალწლიანი ტყვეობიდან თავდახსნილი გუგული მკვეთრად შეხტა, თითქოს უნდა თავისუფლად შეიფრთხიალოსო, მაგრამ ზამბარამ აღარსაით გაუშვა და ნელ-ნელა ჩაცხრა, ჩაყუჩდა. თვალჩაციებით დაჰყურებდა დავითი დამსხვერულ საათს. მის ცხოვრებას იმ წერტილისათვის მიეტანებინა, როცა რაღაცა უნდა მოხდეს, რაღაცა უნდა შეიცვალოს. სწრაფად შემობრუნდა და ჩაცმა დაიწყო — არჩევანი გაკეთებული იყო, უნდა გაეღწია აქედან, გაესწრო, იქ, ძმასთან, ძმასთან უნდა წასულიყო. პალტოს მეორე სახელოში ხელის გაყრა ვერც კი მოახერხა, ისე გავარდა გარეთ და კიბეზე დაეშვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავით ბახტურიძე ძმასთთან მიემგზავრებოდა.

ბედმა გაუღიმა — კუპეში არავინ იყო. არ მოუწევდა უაზრო, არაფრის მთქმელი საუბარი თანამგზავრებთან. თავის ნებაზე გაათხებდა ამ უკუღმართ, გრძნებით შეკრულ ღამეს. მარტოობას გამორიდებული მარტოობამ გააბარა.

ახალგათენებული იყო, მატარებლიდან რომ ჩამოვიდა. აქ არა თოვდა. ერთიანი ღრუბლით დაფარული ცა დაბლა დაშვებულიყო და საწვიმრად ემზადებოდა. პირველად იყო დავითი ამ პატარა პროვინციულ ქალაქში და ეხლაც სანანებლად გახდომოდა ეს სტუმრობა — წუბანდელ აფორიაქებას გაევლო და გამომგზავრება მისი ხასიათის სისუსტის ფაქტად ქცეულიყო, დაფარულს ფარდა ახდოდა, გამეღავნებულიყო. თავისათვის ვერ ეპატიებინა სულის ეღონობა, წუთიერი უსუსურობა, რამაც სახლი დააგდებინა და ამსიშორეზე გამოაქცია. მის საქციელს დილის დაწმინდავებულ ჰაერზე არავითარი გამართლება აღარ ეძებნებოდა. მიუტევებელი და შენდობამოუნახავი ჩანდა. მაგრამ რაკი ჩამოვიდა, უფრო დიდი უაზრობა იქნებოდა, თავისიანები არ ენახა და ისე გაბრუნებულიყო, თუმცა ერთი პირობა ესეც კი დააპირა საკუთარ თავზე აღშფოთებულმა. ისე, კაცმა თომ თქვას, რა მოხდა იმისთანა, რა დიდი დახაშაული იმას ჩაედინა — ერთ-ერთ უქმე დღეს დრო ეპოვა და მონატრებული ძმის სანახავად ჩამოსულიყო — უცხო თვალს უცნაურად რატომ უნდა მოსჩვენებოდა და რატომ უნდა ეეჭვიანა? არც რატომ, მაგრამ თავის თავს რომ ვერსად წაუვიდოდა! თვითონ ხომ მშვენივრად იცოდა ძაღლის თავი სადაც ემარხა.

არ ივარგებდა ასე ადრიანად სტუმრობა — კვირა დღე იყო, გვიან გაიღვიძებდნენ და შეწუხებისა მოერიდა. იქვე სადგურთან პატარა სასადილოს მიაშურა, ჩია, ქერათმიან მიმტანს ერთ-ბო-კვერცხი, ჩაი და კარაქი შეუკვეთა და საუზმეს შეუდგა. კუთხის მაგიდასთან სამნი ისხდნენ, არაყსა სვამდნენ. უკვე შემთვრალიყვნენ, ხმამაღლა საუბრობდნენ და კოცნას კოცნაზე სცვლიდნენ. დავითი შეაჩნიეს თუ არა, მიიპატიჟეს:

— ჩვენთან გადმობრძანდით, ბატონო, თუ გვიკადრებთ!

— არა ვსვამ, არა! — მკვახედ მიახალა დავითმა.

„გიჟები არიან მამაოხრის შვილები! თავისიანს რითი მიმამგვანეს, ესენიღა მაკლდნენ ეხლა მე?..“

იმათაც უმალ მიანებეს თავი.

რა არის, როგორ ვერაფერი მოუხერხეს ამ ხალხს, — გაფიქრა მოქეიფეებისაკენ ამრეზით მომზირალმა. — დილაადრიანად გალეშილან, ან საქმე არა აქვთ, ან ოჯახი... ვერც ამ მებუფეტეებს ასწავლეს ჭკუა, რომ თერმეტ საათამდე სპირტიანი სასმელი არ გაყიდონ! შენ რამდენიც გინდა კანონი გამოეცი, თუ არ შეასრულებენ კანონს რა ფასი აქვს... კანონს თან როზგიც უნდა მიაყოლო!.. გაბრაზებულმა გადაყლაპა ბოლო ლუკმა და წამოდგა. კართან მისულმა კიდევ ერთხელ გაიხედა მოქეიფეებს, სამივეს ერთმანეთისთვის გადაეხვია ხელი და სიმღერის წამოწყებას ცდილობდნენ. ისე, მეც რა გავაჭირე საქმე, რას ვერჩი ამ ხალხს, რომელი არსენა მე ვარ, ჩემი აროშინით ვზომო ყველას ნათქვამი და ნამოქმედარიო, გაიფიქრა და გარეთ გამოვიდა.

საუზმის მერე ქალაქში ისეირნა, დაათვალიერა. თუმცა რა იყო სანახავი — ხუთასიოდე მეტრი ზევით და ამდენივე ქვევით — ეგ იყო მთელი ქალაქი. როგორღაც მაინც მოახერხა დროის გაყვანა და მერე ძმის ბინას მიაშურა.

პატარა ეზოში კოხტა ერთსართულიანი სახლი ედგა ლევანს. ეტყობოდა, შენობა იმ განზრახვით აეგოთ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ მომავალში, როცა საშუალება მიეცემოდათ, მეორე სართულიც დაეშენებინათ. ჭიშკარ-მესერიდან დაწყებულსა და სახლითა და ეზოთი გათავებულს, ყველაფერს მეოჯახე კაცის ხელი ეტყობოდა, მთლად უცხო და უცნობი ადამიანის თვალსაც რომ სიამოვნებას მოჰგვრიდა.

— უყურე შენ, კაცობაში არ შეუდგამს ფეხი! — დაუოკებელი სიამაყით ჩაიღიმა დავითმა. ჭიშკარი დანდობილად შეაღო და შევიდა. დიდ წაბლისფერი ნაგაზი ავი ყეფით გამოეხეთო და ზედ მივარდა, მაგრამ უცბადვე შედგა, რამდენჯერმე დასუნა და უხმოდ, უკან მოუხედავად გატრიალდა სამზადისაკენ.

— რაო, ასკერ, რა მოხდა, ვის უბრაზდები? — ძაღლის ყეფაზე კარებში ლევანი გამოჩნდა. — ვაი, ნახეთ ვინ ჩამოსულა! — შეიძახა ოთახში და დავითისაკენ გამოქანდა.

ერთ წამში მთელი ოჯახი გარეთ გამოეფინა.

— ხედავთ, როგორ შეგვინახა ნამუსი, ამ სახაცილემ? — ჰკვირობდა სალომე ძაღლის საქციელს, — მაგისი შიშით მეზობლებს აქეთა ტროტუარზე ვერ ჩაუვლიათ... ღმერთო, რაღაზე გიკბენდა, რა უნდა გვექნა!

— ამისი სურათი ექნებოდა ნანახი და ალბათ იმითი იცნო. — ცოტა არ იყოს, უკბილოდ ხუმრობდა ლევანი.

განსაკუთრებით რძალმა და ძმისწულებმა გაიხარეს დავითის მოულოდნელი სტუმრობით. ლევანს, ასე თუ ისე, სამსახურის საქმეების გამო უხდებოდა თბილისში ჩამოსვლა, დანარჩენები ამასაც მოკლებულნი იყვნენ და მონატრებოდათ დიდი ხნის უნახავი ახლობელი. ისედაც, რა ნათესავებით განებივრებულები ისინი იყვნენ! სალომე ხომ მთლად თავს ევლებოდა, ზედ დაჰფოფინებდა საამაყო მაზლს. არ გამოცვლილიყო სალომე, ფეხმძიმობა უხდებოდა კიდეც, ტალებსა და ლაქებს ვერა დაეკლოთ რა იმისი სალუქი სახის კანისათვის.

— გვითხარი ეხლა, რა ჭარმა გადმოგაგდო, როგორ მოიფიქრე აქეთ გამომგზავრება... — იმეორებდა და იმეორებდა ლევანი, თან აქეთ-იქით ედეჭოდა. დაბნეულს, სიხარულისაგან რეტდასხმულს ვერ მოეფიქრებინა ვერაფრის გაკეთება.

ბავშვები დაზრდილიყვნენ. უფროსი ბიჭი და გოგო სკოლაში დადიოდნენ. ბოძის მოსახელე დათოს კი, პირველად დღეს რომ ნახა, ანლახან შესრულებოდა სამი წელი. სამთავენი ბიძას შესციცინებდნენ თვალებში, იმის სიახლოვეს სურდათ ყოფნა, იმისი ყურადღების მიპყრობას ცდილობდნენ. დავითიც გაბალისდა, გულიდან დარდი გადაეყარა და სიამოვნებით მიუჯდა სახელდახელოდ გაშლილ სუფრას.

უფროსი ბიჭი და გოგო რაღაცაზე წაიკიდნენ. დედა ჩუმად უწყრებოდა, ტუქსავდა: თავს ნუ ჭკრეთო, მაგრამ არაფერი გამოსდიოდა.

— რა მოხდა, რას თხოულობენ? — იკითხა დავითმა.

— შენს გვერდით უნდათ დაჯდომა და ვერ მორიგებულან, იმიტომ ჭამენ ერთმანეთს. — გაიღიმა სალომემ.

— მერე, თქვე კაი ხალხო, მაგაზე როგორ უნდა იჩხუბოთ? ხომ ხედავთ, რომ ორი გვერდი მაქვს, ერთი ერთ მხარეს დამიჯექით, მეორე — მეორე მხარეს და მორჩა! აი, მამათქვენმა კი კეთილი ინებოს და ცოტა იქით გადაჯდეს, არაფერი დაუშავდება.

გოგონა სწრაფად გამოქანდა, სკამი მისწია და ზედ მიეკრა დავითს.

— ელო, ეგ უკვე მეტისმეტია, ნუ შეაწუხე ბიძია, აცალე, შეჭამოს ორიოდე ლუკმა. — შეუწყარა სალომე. — ხომ იცი, ნამგზავრია და დასვენება უნდა!

— კარგი რა, დედა, შენ რაღა დაგემართა, სულ დასვენებული არ არის თბილისში? ვინ აწუხებს? აქ მარტო საჭმელად კი არ ჩამოსულა... — ისე სასაცილოდ აიმრიზა განაწყენებული ელო, რომ ვერც ერთმა სიცილი ვერ შეიკავა.

— აცალეთ, მართლაც, თქვე კაი დედმამის შვილებო, მოისურვილოს ბიძა, რა მოგვიდათ! — სიყვარულით მოხვია ხელი და უფრო მეტად მიიხუტა დავითმა.

ამით გათამამებულმა ელომ ამაყად გადახედა ყველას, მერე ბიძას მიუტრიალდა და ჯიქურ შეეკითხა:

— დათო ბიძია, ჩვენ ყოველდღე შენს ხსენებაში ვართ, შენ კი არ იქნა და არ გაგახსენდით. მამა ამბობს: იმას ეგრე ნუ უყურებთ, ის ძალიან საქმიანიაო, განა იმდენი რა საქმე გაქვს, რომ ერთხელ ჩვენთან ჩამოსასვლელად ვერ მოიცალე?

— მოცლით კი მოვიცლიდი, შვილო, ეგ არაფერი, მაგრამ გზის ფული ჭირდა, გზის ფულს ვერ ვშოულობდი. — თავზე ხელი გადაუსვა დავითმა.

— ეჰ, აი, ჩვენამდე ჩამოსასვლელი რომ გეშოვა როგორმე, აქ ჩემს ყულაბას გავტეხავდი და უკან გასამგზავრებელს მე მოგცემდი.

— კარგი, ბოლოს და ბოლოს იცოდე ზომა, რა არის, რა მართლაც ენად გაიკრიფე! — ისევ შეუწყარა სალომე.

— აცალე, აცალე, შემოევლოს მამა, — გაბადრული შეჰყურებდა შვილს ლევანი, — მე თევზივით პირი წყლითა მაქვს სავსე და მაგან მაინც უთხრას ჩემი სათქმელი. ტყუილს ხომ არაფერს ეუბნება.

— დამნაშავე ვარ, აღარ ვიზამ... ეჰა, ავწიე ხელები, ნულარ დამარტყამთ!

— კი ბატონო, რასაკვირველია, ჩვენც გავჩერდით, იცოდეს ყველამ, რომ პატიოსანი სპორტსმენები ვართ! — მთელი გულით ახარხარდა ლევანი და ამ დროს ისეთი კარგი იყო, ისეთი საყვარელი — როგორც ბავშვობისას. დავითი შეჰყურებდა და უკვირდა: ნეტავი ამის უნახავად ამდენ ხანს რა მაძლებინებდაო. აქაურობაც, მთელი ეს გარემოც ემშობლიურებოდა — თბილი, მაგრამ უცხო ქვეყნიდან დაბრუნებული ჩიტივით ჩედნიერი ყელამდე სიხარულით ავსილიყო, იმდენადაც კი, რომ ღვინოსაც არ უარობდა.

სმასა და საუბარში ზამთრის მოკლე დღე უცებ შემოადნათ ხელში და საღამო წამოეპარათ. შეღვინიანდნენ ძმები, პატარა ჭიქებმაც თავისი გაიკეთეს, დავითს უფრო ადრე დაეტყო სიმთვრალე — სმას მიუჩვეველი და ღაბისთვისაგან დაჭანცული სხეული ღვინოს ვერ უძალიანდებოდა. არცა ცდილობდა, მიენდო, მინებდა სასმელს. ჩატკბა, ალერსად გადაიქცა, უნდოდა ყველას ერთად მოფერებოდა. ყველასათვის გაენაწილებინა თავისი გულის სითბო.

— ეს ნახე, როგორ დავაჟკაცებულა, რამხელა გაზრდილა, ალბათ ცოტა ხანში პაპობა არ აგვცდება, ლევან. — და თვალით ნუგბარზე ანიშნა.

— უუუჰ, ძლივს ვაკავებ, ბიჭო, ძალაზეა, გინდა თუ არა, რძალი უნდა მოგგვაროო.

— იზამს კიდეც, რომ იცოდე, არ ეტყობა თუ რა... ისე, სპორტზე თუ დადის? ამისაგან კარგი სპორტსმენი დადგება... — ბიჭის გაშლილ ბეჭებსა და მაღალ კანჭებს შეავლო თვალი.

— აბა რა! ტანვარჯიშზე. ვეფხვივით ბიჭია, ვეფხვივით, ტოლს არავის უდებს. იცი, რა სპორტდარბაზი გვაქვს! ჩემი აშენებულია. თუ მოვიცალეთ, გავიაროთ და ვნახოთ, გაგეხარდება.

გაეხარდებოდა, რატომაც არ გაეხარდებოდა ძმის წარმატება. თუკი ლევანს მოსწონდა, მართლაც კარგი იქნებოდა. მიუხედავად იმისა, რომ ბევრი ვინმე დაიჩემებდა, ბევრი ვინმე მიითვლიდა: აეს შენობა ჩემი აშენებულიაო, — რაიკომის მდივნითა და რაიაღმასკომის თავმჯდომარით დაწყებული და სამშენებლო სამმართველოს უფროსითა თუ სპორტკომიტეტის თავმჯდომარით, ანდა ათისთავითა და კალატოზით დამთავრებული, — მაგრამ ამით არავის რა დაუშავდებოდა,

---

თამაზ ჩგალაძე
ღრჯუ

არაფერი გაფუჭდებოდა და წახდებოდა. ყოველ მათგანს ხომ მართლა ჰქონდა თავისი წვლილი შეტანილი ამ ლამაზი (ლამაზი?) დიახ, ლამაზი შენობის აგებაში. მთავარი იყო აქაურ ბავშვებს სპორტდარბაზი ჰქონოდათ და ჰქონდათ კიდეც. კაცი თუ გაკეთებული საქმით იამაყებს, ეს ნაკლად როგორ უნდა ჩაუთვალო? მით უმეტეს, შენ, ლამის სიბერის კარს მიახლოებულო დავით, რისი მოხელე ხარ, რა გაგიკეთებია, რას ემსახურებოდი ამ ხნის მანძილზე? შენი ცხოვრება ერთიანი, გამუდმებული ჯახირი იყო, რომ როგორმე იმ ადგილისათვის მიგეღწია, სადაც სხვებისაგან დაჩაგვრის შიში აღარ გექნებოდა. თავისუფლებას ელტოდი, მაგრამ თურმე თანდათან უფრო ჰკარგავდი თავისუფლებას — სხვათა ყმობას ხომ ვერ იქნა და ვერ დაეღწიე. საკუთარი თავიც მებატონედ დაისვი: რაც არ გინდოდა, სწორედ იმას გაკეთებინებდა, რისი ცქერაც გსურდა. სწორედ იმის დასანახავ თვალს გიბრმავებდა. ჩაგიყოლია და შენც ჩაჰყევი. გეგონა: საწადელს ვეწიეო, მაგრამ სად არის მიზნის მიღწევით გამოწვეული შვება და სიხარული. რა შეგრჩა ხელში? არაფერი. ეხლა ზიხარ ამ საყვარელ ხალხში და ფიქრობ: ღმერთო ჩემო, ეს რა დაუჯერებლად ბედნიერი ვარო! და ლაფში ჩაფლული ურემი შინ მიტანილი ბგონია. მაგრამ როდემდე? სულ ეგრე ხომ ვერ იქნები? რას იზამ როცა გონზე მოხვალ, როცა გამოფხიზლდები? ჰოდა, თუ ცოტა მაინც შეგრჩა ჭკუა. ადექი და წადი აქედან! სანამ ახლობლებშიც უცხო სხეულად, სხვის მყუდრო ბაში შემოჭრილ ადამიანად იგრძნობდე თავს. ესენი უშენოდაც მშვენივრად იყვნენ და შენს მერეც მშვენივრად დარჩებიან. ადექი!

ლევანს შეხედა — ტუჩებს ამოძრავებდა, განათებული სახით ჰყვებოდა რაღაცას, მაგრამ სიტყვები დავითის სმენამდე არ აღწევდა.

წამოდგა. რაღაცა მოიმიზეზა. პალტო მოისხა და გარეთ გამოვიდა. შეერე პირდაპირ ქუჩისაკენ აიღო გეზი. უმრავლესობა მრად გაძვრა ჭიშკარში და სწრაფად შეერია სიბნელეს.

უსიამოდ ჭინკლავდა. პატარა ქალაქი საკუთარი სხეულის სითბოში ჩამყუდროვებულიყო. სიჩუმეს დავითისა და ასკერას ფეხის ხმა არღვევდა მხოლოდ. ძაღლი აცილებდა. მოსვლისას ერთი შეხედვით იცნო და ეხლა აცილებდა. თავის საწუხარს შეეღონებინა დავითი, ძაღლის დარდი არა ჰქონდა. იმისათვის არ ეცალა. ძალიან კი მოაბეზრა თავი. რადენჯერმე სცადა გაეგდო, გაუჯავრდა. დაეშუქრა კიდეც, მაგრამ არაფერი გამოუვიდა, ასკერა თავისაზე იდგა, ჯიუტობდა — ცოტას გაიქცეოდა უკან, ჩაცუცქდებოდა და ელოდა, როდის გაბრუნდებოდა დავითი, რომ ისევ გამოჰკიდებოდა. კაცისა და ცხოველის ამ ჭიდილში კაცი დანებდა. იმიტომ კი არა, რომ ის უფრო დამყოლი და ჭკვიანი იყო, უბრალოდ, სხვა გამოსავალი არ არსებობდა: ძაღლის სიჯიუტეს სიყვარული ესაძირკვლებოდა — უანგარო ერთგულებისათვის მოვლენილი სანაცვლოდ არაფერს მოითხოვდა, ისედაც მადლობელი იყო განგებისა, რომ ამქვეყნად ეს ორფეხა არსებებიც გაეჩინა, რომლებსაც ერთგულება თუ არა, ზოგჯერ ერთგულების დაფასება მაინც შეეძლოთ... ასკერასათვის ესეც კმაროდა.

სიბნელეში კიდევ უფრო დიდი და საშიში ჩანდა ასკერა. — ამას რომელი მგელი შეედრება. გინდა ღონით და გინდა გარეგნობითო, გაიფიქრა დავითმა. — ისედაც, მგელი და ძაღლი ერთი ჯილაგისანი არიან და უპირატესად გარეგნობით კი არა, ხასიათით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. მგელი თუ პატივმოყვარეობას დაჰკარგავს და ერთგულებასა და თავდადებას ისწავლის, ძაღლია უკვეო. დავითი ჩაცუცქდა და ასკერას დაუძახა. ძაღლი შეჩერდა, გუმანი ავს არაფერს ეუბნებოდა. მაგრამ მაინც დაეჭვდა: ამათ არა

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაეფიცებათ რა. ვაითუ, ცუდი განზრახვით მიხმობენო. ბოლოს დაჯაბნა ეჭვი, გაბედა და მიუახლოვდა.

— ეჰ, ასკერ, ასკერ ვერ დაურქმევია შენს პატრონს კარგი სახელი. არ მიმწონს და რა ვქნა, თუმცა, როგორც ვატყობ, ეს შენთვის სულ ერთია, არა? — სველ თავზე ხელი გადაუსვა დავითმა. — არ დაიჯერო, ასკერ, რომ ვისაც დიდი თავი აქვს, თითქოს აზრებიც დიდი მოსდიოდეს თავში! — ეს რატომ და რაღაზე თქვა, ძაღლს კი არა, კაცს გაუჭირდებოდა მიხვედრა. — მოდი, ასკერ, მოდი, შენ რა კარგი ვინმე ყოფილხარ, კაცო. პატრონივით ცოტა შენი ნათქვამი კი ხარ, მაგრამ იმასთან აბიხარ და ზნე და ფერიც იმისი გამოგყვებოდა, მაშ როგორ...

ძაღლს თითქოს შერცხვა მოფერებისა, თვალი მოარიდა, თავაღერილი ამაყად გადგა განზე. ესეც ღირსებად ჩაუთვალა დავითმა და მისი საქციელით მოხიბლული ისევ დაადგა სადგურისაკენ მიმავალ გზას.

მოსაცდელ დარბაზში კაცშვილი არ ჰაჰანებდა. მთვლემარე მოლარე გამოერკვა, წყლიდან ამოსულივით შეიფერთხა თავი და გაკვირვებით შეხედა დავითს, მერე პატარა სარკმლიდან სწრაფად გადმოაწოდა ბილეთი და კვლავ ჩაყვინთა. დავითი ბაქანზე გამოვიდა. ასკერა იქვე ქვის მოაჯირთან სველ ასფალტზე დამჯდარიყო და ელოდა. — წადი ეხლა, ასკერ, — ფიქრში შეეხმიანა დავითი, — შენი მოვალეობა მოხდილი გაქვს და მთლად ნამეტანსაც ნუ იზამ. ძაღლმა უხმოდ გაუქნია კუდი. კაცი პასუხს ვერ მიუხვდა.

თქორავდა. დავითი ცას შეჰყურებდა და ფიქრობდა, რომ ასტრონომებს, ალბათ, ძირითადად შემოდგომა-ზამთრის პერიოდში აძლევენ შვებულებას სამუშაო პირობების გამოო.

სადგურის რესტორნიდან ოთხნი გამოვიდნენ ხმამაღალი ხორხოცით და სიმღერით — მხიარულები, ლხინმოძალებულები, ღვინისა და ერთმანეთის სიახლოვით დალაღებულები. ერთ-ერთმა ძაღლი შეამჩნია და შეუკურთხა. მეორემ, მაღალმა და შავპალტოიანმა, ალბათ ყველაზე მეტად რომ ეშინოდა ძაღლისა და სხვა დროს შორიახლოს გავლასაც ვერ გაუბედავდა, გაბარზება და გაგულისება დაუწყო. ასკერა ნელა წამოდგა და დავითისაკენ გადმოდგა რამდენიმე ნაბიჯი.

ასკერა არც ვინმეს ჰგავდა და არც არავინ ავალდებულებდა იმის დაცვას. არ იყო აუცილებელი დავითის ჩარევა, მაგრამ...: — დაანებეთ თავი, ბიჭებო, ჩემი ძაღლია. — თავს ძალა დაატანა, ეცადა, რომ წყნარად ნათქვამი გამოსულიყო.

— ე, ესა ნახე! — გაიკვირვა შავპალტოიანმა, — ჩვენც მიგვასწავლერა, სად იშოვება ეგეთი ძაღლები!

ამხანაგებმა გადაიხარხარეს.

— ჰკითხეთ ერთი, ხომ არ გაჰყიდის, კაი ფასს მივცემ. — თავი გამოიდო მათ შორის ყველაზე უმცროსმა.

— მართლა კარგი ძაღლია, ხალხო, ჭკვიანი, გონიერი...

— ი, გონიერი არა, ფლავი! — მაღალმა წიხლი მოუქნია ძაღლს.

ასკერას ჯაგარი აეშალა, თეთრი ეშვები გამოაჩინა და გამაფრთხილებლად დაიღრინა.

მერე ყველაფერი უცებ მოხდა. ასეთ დროს ინსტინქტები წინ უსწრებს აზროვნებას.

განიცადენით მფრინველნი ცათანი... განიცადენით მფრინველნი ცათანი... იმეორებდა დავითი ისე, თითქოს საკუთარ თავს ნიშნს უგებსო. ჭიშკარი შეაღო. კაცზე არანაკლებ კმაყოფილი ძაღლი კოჭლობით შეუძღვა ეზოში.

ცოტა ხანს დერეფანში შეყოვნდა დავითი, მერე დაუკაკუნებლად შეაღო კარი და ოთახში შევიდა. იღიმებოდა. გასისხლიანებული მაზლის დანახვაზე სალომემ იკივლა. ლევანი სკამს მოსწყდა და ძმას მივარდა:

— ვინ იყო, დედას ვუტირებ, თავყბას არ შევარჩენ მთელს! — პატარა ბიჭივით დაიმუქრა და გარეთ გავარდნა დააპირა.

მის ბავშვურ კილოს დავითიც აპყვა:

— როგორ ატყობ, ერთი კაცის ნამუშევარს ვგავარ მე?!

— თუნდაც ათნი იყვნენ... ვანანებ, თუ კაცი ვყოფილვარ!

— გაჩერდი, თუ ძმა ხარ, რა მოხდა ისეთი, ხვალ დილისათვის აღარც კი გვევახსოვრება. კაცი ხან იჩხუბებს, ხან... აბა, მანქანა ხომ არ არის... — მშვიდად, გულღიად იღიმებოდა.

ლევანი დაიბნა, გაოცებით შეხედა არეულად მოლაპარაკე ძმას. დავითმა თითქოს ვერ შენიშნა ეს მზერა, ხელი მოხვია და ძალით დასვა სკამზე. უნდოდა, რაც შეიძლება მალე დავიწყებოდა ყველას ეს ჩხუბი. მარტო ეს კი არა, რაც რამ ქვეყნად შფოთი და ვაი-ვაგლახი არსებობდა, რაც რამ ვინმეს სადარდელ-საყრვებელი ჰქონდა. ეჩვენებოდა: თითქოს რაღაც ღვთიური მადლითა და შუქით გავსებულიყო ერთიანად და რადგან ვერ ხვდებოდა ამ შუქის მიზეზს, მის სათავეს ვერ მისწვდომოდა, ამიტომ ყველა უყვარდა, შინაურიცა და გარეშეც. თავისი გაოარეული ძმაცა და ის ღვინისაგან ჭკუაგამოცლილი ოთხეულიც, ასე დაუნდობლად რომ გამოუკეთეს ხასიათი. ისიც კი შეიძლებოდა, რომ ამ შუქის თავი და თავი ასკერა კი არა — ეს უქმური და წვიმიანი ამინდი ყოფილიყო.

სალომე უკვე სველ ტილოს მოარბენინებდა. აკანკალებულმა ფრთხილად და სათუთად გაუწმინდა დაბეჟილ-დალილავებული სახე. თან ცდილობდა, მაზლისათვის ცრემლით სავსე თვალები მოერიდებინა, დაემალა.

ასეთი მზრუნველობა და სითბო ადრეული ბავშვობის მერე აღარ ეგრძნო დავითს. სულაჩუყებულს რაღაც უცხო, უსახელო სიხარული დაუფლებოდა. რა სასაცილოა ზოგჯერ ადამიანი, ფიქრობდა, გონიერ კაცს როგორ უნდა ეგონოს, მარტო დავრჩი და აღარავის არაფერში ვჭირდებიო, აგერ, ¡მატონო, თუ გაგიჭირდებოდა, ძაღლიც კი ამოგიდგებოდა მხარში, კაცზე რომ აღარაფერი ვთქვათ. რაც უნდა ობოლ-ოხერი იყო, ამდენ ხალხში, ამ მრავალფერ და მრავალსახოვან დედამიწაზე ეულად როგორ უნდა გეგრძნო თავი. ქვეყანა დიდიაო, ამბობდა მოსე პაპა. მართლაც დიდია, დიდი... თუმცა მოვეშვათ იმის სიდიდესა და სიპატარავეს, შორს რად მივდივართ, აი, ვთქვათ, გაწყარა ღმერთი, წახდა ყველაფერი და შენი გულისათვის აფორიაქებულმა ამ ძვირფასმა ადამიანებმაც ზურგი შეგაქციეს, — რაც თავისთავად გამორიცხულია, — გვერდით ოთახში უშფოთველად მფშვინავი ძმისწულები არ მიგატოვებენ, მარტოობას არ გამოახვრევინებენ შენს თავს. და კიდევ ერთი სიცოცხლე — მისი სისხლი და ხორცი, მისი ჯილაგი და ხვალინდელი იმედი ხომ ამ მზრუნველ ქალში გატრუნულიყო... ამ მზრუნველ ქალში... უეცრად ჩამოწოლილმა ნისლმა და ბურუსმა ჩაბნელა, ჩაჯანღა ყველაფერი, ირგვლივ აღარავინ არსებობდა, აღარც სხვა და აღარც თვითონ...

ნაბადნამიანო, თექაოფლიანო,
ჩემო კარგო მაზლო, რძალი
მოგიკვდესა...

თუშის ქალი თავის უდროოდ გარდაცვლილ მაზლს უკანასკნელ გზაზე მიაცილებდა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვიფონაც ცრემლმა მოუნისლა თვალები, წყვილი კურცხალი ჩამოსცდა საკეცეებს და დამსკდარი სახე აუწვა.

ლევანი ფეთიანივით წამოხტა:

— მაშ მე კაცი ვიქნები, რომ ვიღაც მუდრეგებს ეგ ცრემლები შევარჩინო?!

ელაპარაკე ამას... თითქოს ის ხალხი ორი საათის შემდეგაც იქ იდგა და ელოდა: ნეტავი როდის მოვა ლევანი და ძმის სანაცვლოს როდის გადაგვიხდისო.

თვალმოჭუტული, განაღვლისფერებული შეჰყურებდა დავითი.

— ეეეჰ, ტყუილად მოგაქვთ მცოდნე და საქმეში ჩახედულ ადამიანებად თავი, არც თქვენა გცოდნიათ, არც თქვენ შეგძლებიათ ცრემლის ცრემლისაგან გარჩევა... — ყველასა და ყველაფრის მიმართ, განსაკუთრებით კი საკუთარი თავის წინააღმდეგ მოწოლილმა ამბოხმა ღადარივით ამოუდაგა ყელი. — რატომ, ხალხო, რატომ, თქვენ მაინც რატომ გგონივართ ეგეთი ღრჯუ!

ლევანი და სალომე გაკვირვებულნი შეჰყურებდნენ ხან დავითს და ხან ერთმანეთს, ვერც ერთს ვერ გაეგო იმისი სიტყვების აზრი.

ვერც გაიგებდნენ... ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით მაინც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სტუმარი

ველარ ვხედავდი მიწაში მიწას,
მარტოდენ მიწას და სხვას არაფერს,
ვხედავდი ყველას, აქ ვინც აკაფეს,
ვგრძნობდი, ვინც მიწის ღამეში იწვა.

ახლაც, სადაც მე ვდგავარ მდუმარი,
სითბო ამოდის მიწის სიღრმიდან
და შიში, მუდამ გულს რომ მიღრღნიდა,
ყოფილა მიწის თავსასთუმალი.

იხედებიან თითქოს ბელტები
და მარადიულ მთესველს ელიან,
მე ჯერჯერობით ისევ მშველიან
ძველი წიგნები და იმედები.

როდემდე ვიდგე ასე მდუმარი,
სადაც წინაპრის თბილი ძვლებია?!
მე რომ მომდევენ ჩემი წლებია,
წლებს შინისაკენ მიჰყავთ სტუმარი.

დარდის არწივი

ღამეულ სხივებს — წყვდიადის
ძარღვებს,
ჩამოსდით მთვარის ყვითელი სისხლი,
უაზრო სიტყვა სიჩუმეს არღვევს
და სიტყვას მიაქვს თვალების ნისლი.

მთვარიან ღამის ჭერი ასწიეს,
ცა ვარსკვლავებით მოაპირკეთეს,
ირწევა მხოლოდ დარდის არწივი
და გულისგულში ბუდეს იკეთებს.

მე დაჭილი ვარ მისი ჭანგებით —
თვალებში მისი ფრთების ჩრდილია,
შორიდან მესმის ტკბილი ჰანგებიც
იმ დღეებისა, რაც ჩავლილა.

●

ძველი ბარათი, გაცრეცილი, ფერგადასული,
მინდოდა ის დღე სიბნელიდან ამომეყვანა,
მაგრამ თავისკენ მეწეოდა თითქოს წარსული
და წარსულიდან მიყურებდა მთელი ქვეყანა.

მივხვდი, იქ არის ჩამარხული სიტყვა — მაგნიტი,
განსაცვიფრებელ სიძლიერით სულს რომ იზიდავს,
იგი მშველოდა წყვდიადში რომ გზას ვერ ვაგნებდი
და გამოვყავდი ძილ-ბურანის ტკბილი ნისლიდან.

მოწყურებული კუთვნილ დღეებს რომ ვეწაფები
და გაზაფხულის ველ-მინდვრების სურნელს მათრობელს,
გამახსენდება — მიბმული ვარ გულის ძაფებით
იმ დიდ ქვეყანას, წასულები რომ ბინადრობენ.

და ეს ბარათი, გადარჩენილ სულის ნათება
და სტრიქონებში ჩაფენილი წლები ჩრდილებად, —
განავრცობს დუმილს და დუმილში კვლავ იბადება
სიტყვა, რომელიც მხოლოდ უფალს ემორჩილება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

●

აღარ მიმიწევს გული არსაით,
აღარავისკენ აღარ მიმიწევს,
მხოლოდ „სიჩუმე“ მსტუმრობს
„დასავით“,
სხვებმა რატომღაც გადამივიწყეს.

თოვლიც სიხარულს აღარ მანიჭებს,
თოვლი შერყვნილი, განა ქათქათა,
ვითვლი თებერვლის ბოლო ნაბიჯებს
და მეც მივყვები მზისკენ თანდათან.

ვაი, რომ ვერსად დავემალები
წლებს—წარსულიდან გამორიყულებს,
დნება თოვლი და შენი თვალებით
გუბეებიდან მიწა მიყურებს.

ავი სიტყვების გამო

რომ არ მაძინებს, მარტის ქარია
და კიდევ მარცხი, დღეს რომ ვიგემე,
ვინაა მტერი, ვინ მოყვარეა,
რად მეხვევიან და მარიგებენ?!

მართალი გითხრათ, ვერა გავუგე
და აღარ ვუსმენ ცრუ დარიგებას,
რადგან დაცინვა და სიაუგე
გულმა მათგანაც ბევრჯერ იგემა.

უთქმელი სიტყვა — ცრემლისოდენა,
ნაღვლიან თვალში ბუუტავს ბუნდოვნად,
ერთის იმედით და მოლოდინით,
რომ რწმენა ისევ დამიბრუნდება.

ავი სიტყვები, როცა მანგრევენ
და ვწევარ, როგორც ციხის ნაშალი,
ეჭვის და ჭორის ხავსში აღრეულს
წამეფარება ღამე ფრთაშავი.

ის მაშინ მოვა, უხმოდ აღმადგენს
იავარქმნილს და რწმენაგამოცლილს,
რომ გზას უფლისას ისევ დავადგე,
სად ბედი ჩემი ისევ გამომცდის.

●

დროა ისეთი, რომ უმეცრებას,
მოგეჩვენება, დაუდგა ჯერი,
ზოგისთვის ცაა ამ სახლის ჭერი
და სავარძელი — მთელი შეძლება.

არა და მიწა ფეხქვეშ ეცლება,
გაქრა ბავშვობის სიზმრები ჭრელი,
ზოგჯერ მგონია დაუდგა ჯერი
ფარისევლობას და უმეცრებას.

სიცოცხლე ყველას ერთხელ გვეძლევა,
მრავალს ატყუებს ცხოვრება ჭრელი,
ვისაც ჰგონია დაუდგა ჯერი
ფარისევლობას და უმეცრებას.

●

არსებობს ვინმე, ვისაც ერთხელაც
არ დასცდენია: მე მეშინია!
თითქოს ეშმაკი დაგეშლილა
და შესაფერისს ეძებს შემთხვევას.

სიცრუის ხავსი თვალებს უბინდავს,
ერთობა მწარე სიტყვების ღეჭვით,
ვინღა უშველის შეპყრობილს ეჭვით,
ვინ ამოიყვანს საწყალს წუმპედან?!.

მალე ხელიდან გამოგვეცლება,
ჩამოექცევა მაღალი ჭერი,
რადგან ირწმუნა — დაუდგა ჯერი
ფარისევლობას და უმეცრებას.

არა და წინათ იყო გულსრული,
უჩინო, როგორც ბალახის ღერი,
ახლა მძლავრია, შიშისგან მღერის
ხელმოცარული და უსუსური.

ჩვენ, ძველი წიგნის პერსონაჟები,
ხშირად ვივიწყებთ ბებერ ბაბილონს,
გვსურს წარსულს ბინდი გადავაფინოთ
და ენას ვიჩლექთ როგორც ბავშვები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუმცა იქიდან მოედინება
ნაკადულები ჩვენი ძარღვების
და ჩვენს ცოდო-მადლს ისე დავყვებით,
სისხლის სათავემ როგორც ინება.

არსებობს ვინმე, ვისაც ერთხელაც
არ დასცდენია: მე მეშინია!
როცა ბოროტი დაგეშალია
და ძმობილივით მხარზე გემთხვევა.

●

მე მომეჩვენა, რომ სხვაგან ვიყავ,
თურმე მაგიდას ვუჯექი მარტო,
მე ის ქვეყანა ძალიან მიყვარს
და როცა ვტოვებ, მერეღა ვდარდობ.

საით დავყავარ ბედის გამრიგეს,
ოცნება რისთვის არ მამყოფინა?!

ის, რა თქმა უნდა, ვერას გამიგებს,
იმ ქვეყანაში ვინც არ ყოფილა.

გამოვერკვევი და ისევ აქ ვარ,
ისევ მაგიდა, ცივი კედლები.
შენ გამარდე ცხოვრებას მზაკვარს,
იქ წამიყვანე, შენ გევედრები.

მოგლოდინე მიწა

უნდა გვლოდო, ვიცი, ნიადაგ,
სხვაგვარ სიცოცხლეს არა აქვს აზრი,
ამას მკარნახობს ცხოვრება მკაცრი
და გულგრილობა ადამიანთა.

მიწის გულიდან ცის ამოხედვას
ჰგავს გაღიმება ამდენი იის,
თითქოს და ლურჯი ცა გამთენიის
გადააფარეს ფერდობს ნოხებად.

მზეო, სივრცეს რომ შუქი მოჰფინე,
ტყე რომ მოჰქარგე ოქროსფერ ძაფით,

რად მაახლოვებ უშორეს ნაპირს,
თვალით უხილავს რად მაგრძნობინებ?!

რასაც განვიცდი — მინდა გამხელა,
მაგრამ ამაოდ, არ შემწევს ძალა,
მე ძველებურად დავდივარ ცალად
და სიმარტოვე მქვია სახელად.

თბილია მიწა, რასაც განიცდის,
ის ყვავილების ფერებით ამხელს,
მე დავატარებ ჩემს უთქმელ ნაღველს
და ვიცი, მიწა ისევ დამიცდის.

●

გაზაფხულისკენ მზეს რომ წავყვები,
გულის სიტყვას რომ გაამხელს ბაგე,
თითქოს კოსმიურ შენობას ვაგებ
ჩემი სისხლით და ჩემი ძარღვებით.

რაც დაიბადა გულის კარნახით
და აღმოცენდა თითქოს და გუშინ,
ისე გადადის გულიდან გულში,
ვით მარტის გზებზე მწვანე ბალახი.

შენი თვალები ათასწლეულთა
ამოუცნობელ სევდას ასხივებს,
თუმცა მრავალჯერ რტო შეგასხიპეს,
გაიზიარე ხვედრი რჩეულთა.

გადარჩენილო ფესვო სიძველის,
ჩემში წარსულის თვალებს რომ ახელ,
თუმც უსასრულოდ მაწვეთებ ნაღველს,
სიცოცხლე მაინც შენ მოგიძღვენი.

●

„მცირე ბედიხაც ვარ მადლობელი"

გალაკტიონი

ბედნიერი ვარ, რადგან მცირედი
ჩემთვის სითბოც კი საკმარისია,
ვინც როგორ ცხოვრობს იმის ღირსია
და მე ვარსებობ შენი იმედით.

მე ვერ ვიქნები შვილი უძღები,
გულს ვერ შევალევ შურს და სიხარბეს,
ისევ მცირედით სულს გავიხარებ,
ჩემს დღეებს შენსკენ წამოვუძღვები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასე თანდათან გიახლოვდები,
მაგრამ ვშორდები თითქოს ცხოვრებას,
რომელიც აღარ მემახსოვრება
თვალებანთებულს მთვარის კორდებით.

მოვალეობის მტკიცე თოკებით,
როცა საძულველ კერპებს მიმაბეს,
მე შენზე ფიქრში კვლავ გავინაბე
და ვიგრძენ სწრაფვა დაუოკები.

მარადის ვიყავ შენი მორჩილი
და უარვყოფდი სხვის მორჩილებას,
ასე უარვყავ დროის დინება,
თუმც გზები, თითქოს, მქონდა
მოჭრილი.

ბედნიერი ვარ, რადგან მცირედი
ჩემთვის ხემსიც კი საკმარისია,
ვინც როგორ ცხოვრობს იმის ღირსია
და მე ვარსებობ შენი იმედით.

ყველამ თავისი გზები ეძება
და სურვილები გაბატონა,
შენ ჩემთანა ხარ, განა მარტო ვარ
და გული შურით არ მეწეწება.

●

ვიდრე დუმილით დაღლილ ბაგეებს
მონატრებული სიტყვა გაბზარავს
და სიკეთის წილ ვიდრე მაგემებს
ეშმაკეული შხამს და სამსალას;

ვიდრე ბრძოლებით დაღლილ ციხეთა
გრილ სიბნელეში ჩავიმალები
და საიდანაც გამოვიხედავ
სათოფურების მსგავსი თვალებით.

ჩემი ხვედრია ეს მარტობა,
იგი ციხეა აუღებელი,
სად წუხილს ხლართავს ჯავრის ობობა—
ამ სამყაროზე უფრო ბებერი.

ექო

შევყურებ ხმელი ფოთლების გვირგვინს,
ჟანგისფერი დღის გვირგვინს
ნაღვლიანს.
ამ მეჩხერ ტყეში ჩემი სახლია
და იდუმალი სივრცეა ირგვლივ.

სად იბადება, გულში თუ ცაში,
სიტყვა, რომელიც თვალიდან ჟონავს?!
მე — ერთდროულად მეფე და მონა,
ვგრძნობ ცის და გულის უხილავ
კავშირს.

მაგრამ უეცრად ამიწებს მზერას
აწ დამარხული სიტყვების ბორცვი,
მე უნებლიედ ვივსები ლოცვით
და უნებლიე ლოცვაში მზეა.

რაც იყო, არის, არ ჩაფერფლილა,
ოღონდ უფრო ჭირს მისი მოკვლევა,
გზა ჭირთა თმენის უფრო მოკლეა
იმ ცამდე, სადაც მსურდა მეფრინა.

დამასხდებიან ტანზე ეკლებად
ღალატისა და შურის ამბები,
ესეც ხომ იყო... გავინაბები,
თვალებში დარდი აირეკლება.

ვიღაც ღიღინებს მშობლიურ მოტივს,
თითქოს ჩემი ხმა მესმის შორიდან,
მიახლოვდება, თითქმის მოვიდა,
ჩემი ხმის ექო ჩემთანვე მოდის.

რად მკარნახობდნენ ჩემი წუთები,
რომ უსასრულო ცაში მექროლა?!
მე კარგად ვიცი ვისი ექო ვარ,
ასე წვეთწვეთად ვის ვუბრუნდები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

●

ასე მგონია ულრან ტყეში
ვარ მოხვედრილი
და ლექსებს მხოლოდ იმიტომ ვწერ,
მეშინია დიდი სიჩუმის.

●

მე ობობა ვარ და მანამდე
ვერ ვიქცევი ფერიად,
სანამ ვინმე საოცარი სიყვარულით
არ შემიყვარებს.

●

ჩემი სულიდან გაზაფხულამდე
ვერ მიგიყვანთ ეს გზა,
მაგრამ გაზაფხულიდან ჩემ სულამდე
უთუოდ მოხვალთ.

●

მე ვცხოვრობ ხეებივით,
რომლებიც მხოლოდ მაშინ
იცვლიან ადგილს,
როცა ვინმე ჩაუვლით
და უკან რჩებიან.

●

ძალიან, ძალიან ლამაზად
რომ იცხოვრო,
პეპელასავით მალე მოკვდები.

გავშვობა

ჩემში დამთავრდა ძველი წელთაღრიცხვა.
ისე გათენდა,
წარსული თითქოს სულაც
არა ყოფილა...
მე გული დამწყდა ბავშვობაზე.
ო, ძვირფასო ქალბატონო თოჯინებო,
დამითმეთ პატარა ადგილი თქვენს თაროებზე,
იქნებ მიყიდოს ახალი წელთაღრიცხვის
საუკუნეებში
დაბადებულმა რომელიმე კეთილმა ბავშვმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაძველდა ეს დღეც.
დაძველდა ისე, როგორც განვლილი ოცდაერთი წელიწადი.
შემიცვლიან ღამით ამ ნათელს
და ცხადს სიზმრებით.
ისე აღარ მინდა, რომ გათენდეს,
როგორც ძველი ტანსაცმლის ჩაცმა.
ოცდაერთი წლით ნაცხოვრები ჩემი სხეული
ნამძინარევი მივა სარკესთან.
გავა დიდი დრო
და მე ისევე დამეზარება სიკვდილი,
როგორც ძველი, შეჩვეული ტანსაცმლის ჩაცმა.

ჩვეულებრივად მიდის ცხოვრება —
ჩუმ ნატვრასა და წამებაში.
მოდის შუადღე.
ოცნებები მზეზე დნებიან,
ცა აწვება დახუჭულ თვალებს
და მზეს კრიალოსანივით
მითამაშებს.
ჩვეულებრივად მიდის ცხოვრება...
მიდის შუადღე, მზეც თან მიჰყვება,
მოდის საღამო —
გამხმარი ბალახის სუნით გაბრუებული
და ძველოცნებებგამოყოლილი,

გაზაფხულის პირველი დღე

გაუღვიძებელ კვირტებს ისეთი სუნი
აქვთ,
ალბათ მალე გაიღვიძებენ და ყოველ
დილა,
ჩიტების ჭიკჭიკთან ერთად
მათი სურნელიც გამოგაღვიძებს.
რა უნდა იყოს გულთან ისეთი
სასწაული,
რომელსაც თითქოს ნაზი ხელი აქვს,
ხელი არ ვიცი, მაგრამ შეხება
სასწაული აქვს.
ბედნიერად ვიღიმები, ე. ი. ჩემს
უნებურად,
თანაც მახარებს სანთლისფერი დღე,
თითქოს ყველაფერს რომ ამშვიდებს,—
თუმცა ყველაფერს კი არ ამშვიდებს,
ცოტა გაღელვებს (გახსოვს, ღიმილი)
იქნებ ამ დღეს რომ შენზე ფიქრი
ზედ დაემატოს,
უკვე დავარქმევ მე საოცარ
განწყობილებას.
სადღაც ტყეებში ხეებს, ალბათ,
საოცარი ფიქრით
ევსებათ სხეულები,
ფიქრით კი არა, განწყობილებით...
ცა მოახლოვდა და მზეც დაბლა
ჩამოიტანა ხეების ახლოს,
მდინარეების მოშორებით,
ქუჩის ცალ მხარეს ჩრდილებია,
ცალ მხარეს მზეა,
ქუჩის ცალ მხარეს მხრებს ითბობენ
უკვე ქალები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თამადა

მოთხრობა

მეგრელები სამტრედიაში დახვდნენ თბილისიდან მომავალ მაყარს. გარეთ ძემოდგომის ნაზი და ალერსიანი დღე იდგა. მათრობელი სურნელება ტრიალებდა ირგვლივ, მსუყე და მაძღარი.

დამხვდურებმა იმდენი სანოვაგე და ნაირ-ნაირი სასმელი ამოზიდეს ვაგონში, კიდევ ერთ ჭორწილს რომ გამართავდა.

მატარებელი დაიძრა და ლიანდაგის ორივე მხარეს კოინდრიანი ეზოები აფერადდნენ. ყველა კუპეში ნაუცბათევი პურ-მარილი გაიშალა. ასეთი სიურპრიზითა და ბუნების სიმშვენიერით აღტაცებული ხალხი სმა-ჭამას მიეძალა, ისმოდა მხიარული სიცილ-ხარხარი; მერე აქა-იქ მაყრული შემოსძახეს. მარტო გოგია მაყაშვილს, მაყრიონის თავკაცსა და თამადას არ გამორჩენია მხედველობიდან მასპინძლების ასეთი გულმოდგინების ფარული მიზეზი. ასეთ საქმეებში გამოცდილი კაცი იყო და კარგად იცნობდა საქეიფო ვერაგობის სტრატეგიას. მიხვდა, სახიფათო მოწინააღმდეგესთან რომ ჰქონდა საქმე. კუპეებში შიკრიკები დაგზავნა, ხალხი გააფრთხილა, არამც და არამც არაყი არ დალიოთო. თვითონ კი მასპინძლების დესპანს, გერა შონიას, პირისპირ ჩაუჯდა და შემოთავაზებულ არაყზე უყოყმანოდ მისცა თანხმობა. გერა გოგიას ხნის იქნებოდა, ასე, ორმოციოდე წლისა. ტანხელი, წერწეტი ვაჟკაცი იყო, კარგი მსმელი და მოქეიფე, ზუგდიდსა და აბაშაში ცნობილი თამადა.

სანამ მატარებელი დანიშნულ ადგილს მიაღწევდა, გერამ და გოგიამ თითო გრაფინი არაყი გამოსცალეს. მატარებლის გაჩერებამდე, მანამ მგზავრობის დასრულებით გამხიარულებული და ჩასასვლელად მზადებაში მყოფი ხალხი კუპეებსა და დერეფაწში გადი-გამოდიოდა, მაყაშვილმა დრო იხელთა, ტუალეტში შეიპარა, ასეთი შემთხვევისათვის საგანგებოდ შემონახული აბი გადაყლაპა და იქვე ასაქმა. მერე პირი დაიბანა, თავისუფლად ამოისუნთქა და მხიარული სახით გამოვიდა ტამბურში. გერა უკვე ბაქანზე იდგა, მხიარულად იკრიჭებოდა და საეჭვოდ ქანაობდა. გოგიას გაეცინა, შონიასთან ბრძოლა მოთელვაშივე იქნა მოგებული.

სადგურის წინ უშველებელი კორტეჟი გამწკრივებულიყო. ქუთაისიდან საგანგებოდ ჩამოყვანილი დამკვრელების დასტა ცხარე ბაღდადურს უკრავდა. დიდიან-პატარიანად ყველა ცეკვავდა. მთელი სადგურის მოედანი მოცეკვავე ხალხს აევსო. სადგურის წინ ტევა არ იყო.

„მთელი სამეგრელო დაუპატიჟნიათ მამაცხონებულებს". — გაიფიქრა გოგიამ და თვითონაც მოცეკვავეებს შეერია. ცეკვავდა და თან ხალხს თვალიერებდა. აქაურთა თავკაცსა და მხედართმთავარს ეძებდა უჩუმრად. ჯერ ისეთს ვერავის მოჰკრა თვალი, მომავალ მეტოქედ რომ მიეჩნია. არადა, ისეთი ალღო და გუმანი ჰქონდა, ას კაცში გამოარჩევდა მეტოქეს. არა, ჯერჯერობით არავინ მოსდიოდა აქ მყოფთაგან თვალში. ისიც საეჭვო იყო, რომ გერა ყოფილიყო ამ საქმის თავკაცი. არ მოიქცეოდნენ ასე წინდაუხედავად გამოცდილი მოქეიფენი, არ გამოუშვებდნენ მაშინ დასახვედრად. არ შეეფერება დიდი სა-

ქმის თავკაცს გზაში დახვედრა და არყით ქილიკი. არა, ნამდვილად სხვა ვინმე პაკავდათ საგანგებოდ გადამალული მაკაშვილთან შესაბმელად. ის სხვა, ალბათ, შინ მიელით, სიძის ოჯახში, საგანგებოდ დასვენებული და მსუყე ელარჯნაჭამი. ამიტომ იყო საჭირო სიფრთხილე. აქედანვე თადარიგის დაჭერა.

მაყრიონი საყვირების კივილით, დოლ-გარმონის ჭყვიტინითა და თვითნაკეთი ვიოლიერების ბათქა-ბუთქით შეუყვა სოფლისაკენ მიმავალ შარაგზას. ზედ მასპინძლების ეზოს მისადგომებთან კორტეჟს სოფლის ნახირმა გადაუჭრა გზა. მძღოლებმა საყვირები ააჭყვიტინეს. მგზავრებმა მანქანებიდან თავები გამოყვეს და ყურისწამღები ღრიალი მორთეს. ნახირი დაფრთხა, აქეთ-იქით გაიფანტა და შეშინებულმა ერთიანად გადაჯეგა ტრიფოლიატის ორღობე. აურზაურით შეშინებული მენახირე ბიჭი ტანმორჩილი ვირუკადან ჩამოხტა და უცხუნა და უცხუნა სახრე ისედაც დამფრთხალ ნახირს. ერთ ადგილას პალოსავით დასობილი ვირუკა ერთხანს დორბლმომდგარი და ენაგადმოგდებული შეჰყურებდა მანქანებიდან გამოყოფილ მოღრიალე თავებს, მერე საშინლად დააჭყიტა გადარეული თვალები, ტლინკები აყარა და ერთი ღრიალითა და ყროყინით შევარდა ეზოში. „ვა, ვირი სამეგრელოში?! — მხიარულად გაიფიქრა მაყაშვილმა, — კარგი ნიშანია!"

ახლა ეზოში შეიქნა ერთი ვაი-უშველები. მასპინძელს მაყარი დაავიწყდა და ვირს დაუწყო დევნა. ისედაც დამფრთხალი ვირი ახლა უარესად დაფრთხა, ისეთი ტრაგიკული ხმით აყროყინდა, კაცს გული შეუწუხდებოდა. დარბოდა ხალხის მიერ შეკრულ ცოცხალ წრეში და გამეტებით იქნევდა ტლინკებს. კაცი ვერ მიუდგა ახლოს. მერე, როგორც იქნა, მოიფიქრეს, თოკზე მარყუჟი გამონასკვეს და ვირს ესროლეს, ვირი მარყუჟში გაიხლართა და ორიოდე მალაყის შემდეგ საცოდავად აფართხალდა შუა ეზოში. იმავე წამს ოცდაათამდე კაცი დაეცხრა წაქცეულს. იმავე თოკით აუჩაღიეთ გაკოჭეს. დორბლიან დრუნჩში ჭკუის სასწავლებლად ერთი-ორი მუშტიც უთავაზეს და სულ ცუხცუხით მოაცილეს იქაურობას. მხოლოდ ამის შემდეგ შეძლო ხალხმა ეზოში შესვლა.

ახლა უფრო ცხარედ აჭყვიტინდა დოლ-გარმონი, ვიოლიერებმა ისეთი ხათქახუთქი ატეხეს, მეორედ მოსვლა ეგონებოდა კაცს. ჰაერში უამრავი ფერად-ფერადი მაშხალა აელვარდა. ეზოში ისეთი ბოლი დადგა, სიძე—პატარძალს ვეღარ სცნობდა და მეჯვარე—მძახალს.

ეზოში რომ შელაგდნენ და გოგიას სამამამთილო და მისი ჯალაბი წარუდგინეს, მაშინღა იაზრა, რომ მათ ახლოს მდგარი, სახეგაბადრული და ლოყებლაჟღაჟა, ორსაფენიანი ამბალი იქნებოდა დღევანდელი სუფრის ავან-ჩავანი. არც შემცდარა, საიდანღაც გერა შონია გამოძვრა და ცბიერი ღიმილით ერთმანეთს წარუდგინა ფალავნები. მაგრამ გოგია არც ამბალის ღაჟღაჟა და ჯანმრთელ სახეს, არც მის დევკაცურ ხელის ჩამორთმევას აღარ შეუშინებია, რატომღაც ვირუკას დანახვამ და მთელმა მისმა ხიფათიანმა თავგადასავალმა ისეთ კარგ გუნებაზე დააყენა, რომ უკვე იცოდა, ბრძოლა მოგებული ჰქონდა. კარგ ხასიათზე მყოფს ღვინო არასოდეს ეძალებოდა და მით უმეტეს ეხლა ვერაფერს დააკლებდა, ნავარჯიშებსა და წინასწარ საფუძვლიანად მომზადებულს.

თამადა აფხაზეთიდან ბრძანდებოდა, სახელად კოლია ერქვა, გვარად კი მარშანია გახლდათ. სიმაღლე ღმერთს კარგი მიეცა და სტომაქი ნაღდი. ღამის განავლობაში ერთ ჩაფ ღვინოს სვამდა, შესანიშნავად მღეროდა და ლაღად ხუმრობდა. გოგიას ჩაფი ღვინისა არ ეშინოდა, თვითონაც კარგად მღეროდა და არც მახვილსიტყვაობაში ჩამოუვარდებოდა ვინმეს. ცეკვას ხომ ნუღარ იტყვით. მიუხედავად მაღალი და საკმაოდ სრული ტანისა ფეხის წვერებზე ცეკვავდა და, თუ საჭიროება მოითხოვდა,

ცეკვის დროს მალაყსაც გადავიდოდა, ახლა საქმე იმაზე იდგა, ჩაფი ღვინისათვის როგორმე გადაეცილებინა, თამადა წაექცია და პირველობა გაენაღდებინა. თამადას ერთი უპირატესობა ჰქონდა, ქეიფისას ფეხზე უნდა ამდგარიყო. ასეთია აფხაზური წესი და არც გადაუხვევდა, ამით გარკვეულ უპირატესობასაც ინარჩუნებდა.

ხალხი დალაგდა. სეფა კოჰორტებად დაწყობილ ბრძოლის ველს დაემსგავსა. ერთხანობას ისეთი სიჩუმე ჩამოვარდა, დიდი ბრძოლის დაწყების წინ რომ იცის ხოლმე. მერე თამადის ომახიანმა ხმამ საბრძოლო საყვირივით დასჭექა და ქორწილიც დაიწყო.

გოგიას დიდი იწილო-ბიწილო არ გაუმართავს, პირველივე სადღეგრძელოს შემდეგ, გივა ჯაფარიძის მიერ მაგიდის ქვემოთ ჩუმად შემოდგმული ჩანთა ახლოს მიიჩოჩა, მერე ფრთხილად გახსნა და ამ მომენტისათვის განკუთვნილი ყანწი დააძრო.

— აი, ეს ყანწი პატარძლის მამა-პაპის ნაქონია! — ხმა მიაწვდინა თამადას, — თბილისიდან წამოსვლისას სიმამრმა დაგვბარა, ჩემი სადღეგრძელო მარტო ამ ყანწით დალიეთო. უფლება არა გვაქვს დანაბარები არ შევასრულოთ! — თამადამ სიხარულით მიიღო ეს სურვილი და ნეფე-პატარძლის მშობლების სადღეგრძელო იმ ყანწით შეისვა.

„დამყოლია, — გაიფიქრა გოგიამ. — თანდათან ჩავითრევ კიდევაც. სულ დიდ-დიდები უნდა ვასვა, თორემ ამსიგრძე ჭურჭელს რა გაავსებს“.

„ჭურჭელში“ ამჯერად ტანგრძელი თამადა იგულისხმებოდა. არც გადაუხვევია მიზნისათვის, სულ დიდ ჭურჭელზე იქაჩებოდა, აპროტესტებდა, მიზანს აღწევდა, სვამდა და ასმევდა შეუსვენებლად. არც თავისი არსენალი დავიწყებია, ხშირ-ხშირად ხსნიდა ფეხებშუა მოქცეულ შავ ტყავის ჩანთას და ათასნაირ სხვადასხვა სახის სასმისებს იმარჯვებდა იქიდან. დამყოლი მარშანია ერთს გაკვირვებით გადმოხედავდა. მერე შემოთავაზებულ სასმისს გაბადრული სახით გამოართმევდა და ხალხისაგან სვამდა.

ღამის სამი საათი ახლოვდებოდა და მარშანია ჯერ კიდევ მაგრად იდგა. ვინ მოთვლის, რამდენი იმღერეს და იცეკვეს მან და მაყრის თამადამ. რამდენი სვეს და რამდენი სხვას ასვეს, მაგრამ ერთხელაც არ შექანებულა ფეხზე მდგომი და არც სკამი მოუთხოვია.

გახურდა მაყაშვილი, რაღაც უნდა, ეღონა, ეხლა ის დრო იყო, თავისი „ჯილა“ რომ დაეძრო ჩანთიდან. აღარც დაუხანებია, სადღეგრძელოც შესაფერისი მოუხდა — შთამომავლობის სადღეგრძელო ისმებოდა.

„მაგით არ გამოვა! — მჭახედ გასძახა თამადას, — ეგ სადღეგრძელო აი, ამ ყანწით უნდა შეისვას“. — ამ სიტყვებზე უშველებელი ყანწი ელნათურების შუქზე ორლესულივით აათამაშა. მარშანიამ ერთი გაკვირვებით გადმოხედა, ერთხანს თითქოს შეაცბუნა კიდევაც შემოთავაზებული სასმისის ტევადობამ, მერე მხნეობა მოიკრიბა და ისევ გაბადრული სახით გამოართვა გამოწვდილი ყანწი მაყაშვილს. როცა ყანწი გოგიასთან დაბრუნდა, ოქროპირად ქცეულმა მაყრის თამადამ ვეფხისა და მოყმის ბოლო სტროფით დაამთავრა სადღეგრძელო, დამსწრეთ ტაშის გრიალი მოსწყვიტა, გამოცლილი ყანწი გერა შონიას ესროლა, მერე პატარძლის გვერდით მჯდარ მომღერალ გოგონებს ფანდური გამოართვა, სიმებს ჩამოჰკრა და ბალადა ახლა სიმღერით მოჰყვა — „ამის მეტს აღარ გიტირებ...“ რაკრაკებდა ლაღად მაყაშვილი და სამეგრელოს მაღალ ცაზე უშველებელი ვარსკვლავები სიხარულითა და სიამით ცქმუტავდნენ. „დახურა!“ — აყვირდა უკვე კარგად გამობრუჟული გივია ჯაფარიძე. ამას სხვებიც აჰყვნენ, ატყდა ერთი ტაშისცემა და აურზაური. სიმღერის ბრალი იყო, თუ ამასწინად გამოცლილი ყანწისა და, კოლია მარშანია ოდნავ შექანდა. ეს გოგიას გარდა, არავის შეუმჩნევია, რადგან

იგი მღეროდა თუ ცეკვავდა, სვამდა თუ ჭამდა, მოწინააღმდეგეს ერთი წუთითაც არ აცილებდა თვალს. ახლა კი დადგა დრო. კარგი მოკრივესავით ამოსუნთქვის საშუალება აღარ უნდა მიეცა, ტემპი აეჩქარებინა, ინიციატივა თავის თავზე აეღო და მეტოქის ნება დაემორჩილებინა. მიეძალა და მიეძალა, უშველებელი ყანწები დეკვაცებივით ხან აქეთ ტრიალებდნენ და ხან იქით. სუფრაზე თითქმის აღარავინ სვამდა. ყველა გაფაციცებით ამ ორი ფალავნის ორთაბრძოლას შესცქეროდა.

ნიავმა მძლავრად შემოუბერა, ზედ გოგიას თავთან გადახსნა სეფის კალთა. ნაზმა, ნოტიო ჰაერმა შუბლზე მოუგრილა. „შენ გიშველა ღმერთმა, — გაიფიქრა მაყაშვილმა, — დაბარებულივით არ მომისწრო!“ ცა ისე საოცრად კრიალებდა, გოგიას ერთი წამით თავბრუც კი დაეხვა. რაღაც ჩვენებები აერია თვალწინ. ახლა სულ სხვა ცას ხედავდა, გოდოლებიანი ციხე-ქალაქის გალავანზე გადმომხობილ კუნაპეტივით შავ ცას, ასეთივე დიდი და კრიალა ვარსკვლავებით მოჭედილს. გაოცდა — „ვაჰ, ეს ხომ სიღნაღია. ე, აქ საიდან გაჩნდა?!“ მერეღა მიხვდა, ის კაცი, ახლახანს გალავნის გასწვრივ ცხენს რომ მოაგელვებდა, თვითონ კი არ იყო, ის იყო, გიორგი, მისი სეხნია და წინაპარი, სიღნაღი სპარსელების ალყიდან რომ გამოიხსნა და მერე ქიზიყისა და კახეთის გაერთიანებული ლაშქარით ეს ყიზილბაშთა მოალყე ურდო ერთი დაკვრით მთლიანად რომ გადარეკა აღაზანში. ეჰ, რამდენი ხანია სიღნაღში აღარ ყოფილა! — თამადის შეძახილმა გამოაფხიზლა. გული აუჩქროლდა. თამადის ხმაში როყიო ინტონაციები შეჰარულიყო. „დაიძრა!“ — გაიფიქრა სიხარულით. ეხლა მრავალჟამიერის დრო იყო. თვითონ დიდი ხნის გამოცდილი ჭქონდა, მრავალჟამიერზე მთლიანად გამოიბერტყაედა ხოლმე სიმთვრალეს. დასჭექა და დააგუგუნა, ლამის სეფა გადაიხსნა მის დაძახილზე, მიწა აზანზარდა. უბერა და უბერა რაც შეეძლო და მართლაც მთლიანად გამოიბერტყა ბახუსი თავიდან. თვალებში ისეთი სიანკარე ჩაუდგა, თვითონაც გაუკვირდა. მარშანია უკვე ხშირ-ხშირად ებჯინებოდა დედა ბოძს. თვალი მოჭკრა, გერა შონიამ რა სისწრაფითა და ნაუცბათევად შეუუსო სასმისი თამადას — „რაღაცას მამაძაღლობენ“, — გაიფიქრა გოგიამ და გერას ორაზროვნად გადასძახა: — „არ გეკადრებათ, ბატონო გერა, არ გეკადრებათ!“ — გაცხარებულმა მარშანიამ ყანწი ძირს გადმოაპირქვავა და გერას ხელახლა შეავსებინა. მერე მაყაშვილის ნახევარზე გადავიდა. წინ დაუდგა და პირისპირ შეება. გოგიასაც ეს უნდოდა. თვალისდაუხამხამებლად გამოაცქვეინა სამი ყანწი.

მომსახურე გოგონებმა თეფშები შეცვალეს და ცინცხლად ჩამოარიგეს ცხელი ელარჯი. „საკუთარი ხელით გამოიჭრეს ყელი“, მასპინძლების მისამართით გაიფიქრა გამხიარულებულმა გოგიამ. ეხლა ამ ელარჯს „ჩაფენს“, ზედ ამ ცეცხლივით ცხარე ყაურმას დააყოლებს და მერე მეყოლეთ კარგად. ამის შემდეგ გულბაათ ჭავჭავაძეც რომ დაუსვათ წინ, გოგია მაყაშვილს ძვრას ვერ უზამს. გამხიარულდა და აჩქარდა ხელახლა.

სუფრა ნამდვილ ბრძოლის ველს დაემსგავსა. სადღა არ ეყარა უგონოდ გამომთვრალი ხალხი. გონებაშერჩენილმა ნაწილმა ახლა სმას თავი ანება და მთლიანად სეფის იმ ნაწილზე გადმოინაცვლა, სადაც მარშანია და მაყაშვილი ერკინებოდნენ ერთმანეთს. ნეფე-პატარძალი თავიანთი დამკვრელების დასტით, მეჯვარე ნათლიებითა და მეფანდურე გოგონებით სადღაც, სეფის საპირისპირო მხარეზე დარჩა ყველასგან მივიწყებული.

კიდევ ერთი ყანწი გამოსცალა მაყაშვილმა და მემუსიკეებს გასძახა — „შალახო!“, ამდენ ხანს უსაქმოდ მჯდარმა დამკვრელებმა მთელი ძალითა და მონდომებით დასცხეს საკრავებს. მაყაშვილი მაგიდას გადაეგლო, ჯიბიდან ფართო ცხვირსახოცი ამოიღო და შალახო დაუ-

არა. თანდათან გერა შონია და კოლია მარშანიაც აიყოლია. აცეკვა და აცეკვა. გერა მალე გავიდა წრიდან, მარშანია კი შეუპოვრად აგრძელებდა პაექრობას. მხოლოდ ერთხელ წაიბორძიკა, მაგრამ ბუქნში იყო და ამან უშველა, მიწას დაჰკარა ხელი და ისევ წელში გაიმართა.

— „ყანწი! ყანწი!" თან ცეკვავდა და ხან მერიქიფეებისაკენ ხაფი ხმით გასძახოდა მაყაშვილი. ამისთანა რამ ჯერ არავის ენახა სამეგრელოში, გოგია თან უშველებელ ყანწს წრუპავდა და თან გაუჩერებლად ბუქნავდა შალახოს, მერე ყანწი ხელახლა შეავსებინა და მარშანიას დაუღერა. კოლიაც სვამდა და თან ბუქნავდა. სხვა რა გამოსავალი ჰქონდა — ათასი თვალი მისჩერებოდა. ცხარე ტაში და გუგუნი იდგა ირგვლივ. როგორც იქნა, დასცალა ყანწი, გვერდზე მოისროლა და ხელახლა სცადა ჩაბუქნა, მაგრამ უეცრად შეზანზარდა, შეტორტმანდა, ხელები ჰაერში უმიზნოდ აისროლა და ის იყო შუა სეფაში უნდა გაშხლართულიყო, რომ გერამ და გვანჯი კაშიამ ივაკაცეს, ხელი შეაშველეს, მერე ამხელა კაცი მხრებზე შეიგდეს და სეფიდან გაიყვანეს.

სამეგრელოს ლაჟვარდ ცას აისი შეეპარა. ნელ-ნელა აფერადდა ირგვლივ ყველაფერი, აელვარდა. გოგია მაყაშვილი შეჩერდა, გაოგნებულ და დადუმებულ ხალხს ამაყად გადახედა, ერთი ყანწი კიდევ გამოსცალა, მერე მძლავრად დაიფრუტუნა და სეფიდან გავიდა.

მეორე დღესაც იქეიფა მაყაშვილმა სამეგრელოში. ეხლა ერთპიროვნული მმართველი იყო. კოლია მარშანია აღარ გამოჩენილა, უკვალოდ გაქრა. გოგია ახლა თავისი სურვილის მიხედვით სვამდა და ჭამდა. მასპინძლები პირში შესცინინებდნენ და ურცხვად აქებდნენ. თანდათან გაიკრიფნენ შემორჩენილი მოქეიფეები. თვითონაც გადაწყვიტა წასვლა. მასპინძლები გააფრთხილა — ადრე გამაღვიძეთო.

რომ გამოეღვიძა, კარგა ხნის გათენებული იყო. მორიდებოდნენ მასპინძლები მის გაღვიძებას. სიამით გაიზმორა, დაღლილობის ნატამალიც არ ეძჩნეოდა. კარგად გამოეძინა და სიმსუბუქეს გრძნობდა სხეულში. გონებაც დასწმენდოდა და თავში მხიარული და ანკარა აზრები უტრიალებდა.

— „აბა, მაინც რამ მოგაფიქრა, შე შობელძაღლო?! — მხიარულად შეეკითხა საკუთარ თავს. — არა, მაინც რა ჭკვიანურად მოიფიქრა. სხვა ვერაფრით ვერ მოტეხავდა კოლია მარშანიას. ეხლა კოლია, ალბათ, სჭურში ზის და კუჭ-ნაწლავს იკურნავს. მაინც რა საჩქაროდ გააქციეს. ჰაი გიდი, მარშანია! კარგი გაკვეთილი კი მოგეცი. სხვა დროს უფრო ფრთხილად იქნები"

ეზოში დამხმარე ხალხი ფუსფუსებდა. სეფას ხსნიდნენ, ჭურჭელსა და საჭმლის ნარჩენებს ალაგებდნენ. ცალკე, ბეოლის დიდი ხის ძირას პატარა სუფრას შლიდნენ საუზმისათვის. ზედ გოგიას ოთახის ქვემოთ, იასონს, სიძის მამას, მაგიდა მიედგა და შემოსულ ფულს ითვლიდა. საანგარიშოზე ანგარიში უჭირდა და რამდენჯერმე უხდებოდა გადათვლა. გვერდით მეზობელი უჯდა და საგანგებო რვეულიდან შემოსულ თანხასა და შემომტანთა გვარებს კარნახობდა. როგორც იქნა, ჩაათავეს.

— „მამა, გოგიას ათასი მანეთი ბარემ გადასდე, დღეს მიდის და უნდა მივცეთ! — მოესმა გოგიას ჯვიალის ხმა. — ასე ვართ მოლაპარაკებული სიმამრთან.

იასონმა ხმამაღლა ამოიხვნეშა. — „რა ამბავია ათასი მანეთი, ძაღლიშვილი! რაც მაგან ღვინო სვა და საჭმელი ჭამა ბარე ერთ სოფელს გამოკვებავდა".

— „გაჩერდი, მამა", — ხმას დაუწია სიძემ. — მაგი რომ უკმაყოფილო დამირჩეს, ჩემს სიმამრს რაღა ვუთხრა?"

— „ჯანდაბას მაგისი თავი, შენი სიმამრის ხათრით, თორემ მე ვიცი, რასაც მივცემდი მაგას. არა რცხვენია? შეხედავ და კაცს ჰგავს. დადის სოფელ-სოფელ და თამადობაში ფულს იღებს. სხვა ხელობა ვერ ნახა მამაცხონებულმა?!"

— „კარგი, გაჩერდი ახლა!" — შე-

წუხდა ჯემალი. ქვემოთ საუბარი შეწყდა. უკმაყოფილოდ გაიჩხაკუნა საანგარიშომ. — იასონმა გოგიას კუთვნილი გამოაკლო შემოსავალს.

„სხვაზე რას იძახის, თვითონ რა, კარგ საქმეს შვრება? — გაბრაზდა გოგია. — ზის და შემოსულ ფულს მანეთ-მანეთ ითვლის, არიქა ერთადერთი შვილის ქორწილში ზარალი ხომ არ ვნახეო". — ასე იყო თუ ისე, ამ უნებურად ყურმოკრულმა საუბარმა ხასიათი გაუფუჭა. აი, თურმე რას ფიქრობენ მასზე. პირველად ისმენდა ასეთ საუბარს, მაგრამ ეჭვი აღარ ეპარებოდა, რომ როგორც კი ფულის გადახდაზე მიდგებოდა საქმე, ყოველთვის ასე იმსჯელებდნენ. ზურგს უკან თათხავდნენ და ლაფს ასხამდნენ.

დიდხანს იწვა გაუნძრეველად. აღარ იცოდა, რა ექნა. ძირს რომ ჩასულიყო ან იმ ხალხისთვის როგორ შეეხედა თვალებში, ანდა ლუკმა როგორ გადაეყლაპა. მაგრამ სხვა რა ჩარა იყო, უნდა ამდგარიყო. ადგა, მხნეობა მოიკრიბა და ეზოში ჩავიდა.

„გიორგის ვახლავართ!" — ისეთი სიხარულით მიესალმა იასონი, თითქოს სულ რამდენიმე წუთის წინ მას არ ლანძღავდა თავგამოდებით. გოგიას წყალი მიურბენინეს, ხელ-პირი დაბანინეს, მერე სუფრასთან მიიწვიეს საუზმედ. როგორც იქნა, ამოღერღა გოგიამ ორიოდ სადღეგრძელო. მერე ბოდიში მოიხადა და ფეხზე წამოდგა. ფეხისგულები ეწვოდა, ისე ეჩქარებოდა წასვლა. დროაო, თქვა, ბოლოს, მატარებელს უნდა ჩავუსწროო. იასონმა ტყავის შავ ჩანზე მიუთითა — მანდ არისო ყველაფერი. მერე ერემიას გასძახა, მეზობლის ბიჭს, სადგურამდე ჩააცილეო მანქანით გიორგი ბატონი. გოგიამ იუარა, ფეხით წავალო, მომიხდება კიდევაც ამდენი ხნის ნაქეიფარს ფეხით გასეირნებაო. დიდი თავპატიჟი აღარ გაუმართავთ. გოგიას ერთ ხელში ჩანთა მიაჩეჩეს, მეორეში ხონჩა, შებოლილი სულგუნით, სხვადასხვა სანოვაგით ასხმული, სულ ბოლოს გოჭის თავი რომ ამშვენებდა, პირში მწვანილგაჩრილი. გოგიამ ხონჩა ნადავლივით მხარზე გაიდო, მასპინძლებს კიდევ ერთხელ დაემშვიდობა და გზას დაადგა.

სოფელს რომ გასცდა და პლანტაციებს შუა მიმავალ გზაშარაზე გავიდა, მაშინღა ამოისუნთქა თავისუფლად. გზის პირას ჩამოჯდა. დაისვენა. გაოფლილი თავ-კისერი ცხვირსახოცით შეიმშრალა და ისევ ამდიღანდელ. უნებურად ყურმოკრულ საუბარზე დაიწყო ფიქრი. სამარცხვინო საქმე დაემართა. პირველად იგრძნო სინდისის ქენჯნა. ხელობა როგორ არა ჰქონდა, გეოლოგი იყო სპეციალობით, მერე ერთხანს გეოგრაფიას სწავლიდა სიღნაღის სკოლაში. არა, სკოლა როდი სძულდა, პირიქით, ეხალისებოდა კიდევაც ბავშვებთან მუშაობა. მერე რატომ მოხდა ეს, კაცმა არ იცის. თუმცა, როგორ არ იცის. ერთხელ მისმა ამხანაგებმა მავანთან სანაძლეო დადეს — გოგია ამდენს და ამდენს ლალევსო. მავანმა სუფრა გააწყო და ერთი დიდი კაკლის ხის ძირას მთელი ღამე სვეს და იმღერეს. განთიადისას გოგიამ ყველაზე დიდი ყანწი გამოსცალა და სანაძლეოც მოგებული იყო. მავანს სტუმრები აღარ გაუშვია და ქეიფი სამ დღეს გაგრძელდა. ბოლოს უთხრა! — შენ, ძმაო, რა გესწავლება, ეხლა კარგ თამადას ჩვენში დიდძალ ფულს უხდიანო. გოგიამ რაღა თქმა უნდა, არ დაიჯერა. მავანი ადგა, გოგია ერთ ქორწილში წაიყვანა და პირველად მაშინ აიღო ამ საქმეში ხუთასი მანეთი. ასეთი ნიხრი იყო იმ დროს. მერე კარგი თამადის ფასი ათას მანეთამდე ავიდა და გოგიაც თავისდა უნებურად გაჰყვა ამ უხიფათო და სარფიან საქმეს. გაჰყვა და აი, დღემდე მოატანა კიდეც. ჯერ იმ მავანზე გაბრაზდა — ეს რა მრუდე გზაზე დამაყენაო, მერე საკუთარ თავზე. შენ რა, ვირო, საკუთარი ჭკუა არ გეყოო? ეჰ, როგორ არ ეყო, განა იმ ჭკუამ არ მიაძალა მუქთა საქმეს.

კოტა ჭადაგიძე
თამადა

ფულიც ბლომად გაუჩნდა და საჭმელ-სასმელიც თავზე საყრელი. იოლ ცხოვრებას დაეხარბა. ასე არ ერჩივნა? მაძღრად ყოფნა და სქელი ჯიბე. სირცხვილისგან დასცხა. სული შეეხუთა, შავი ტყავის ჩანთა უნებურად გახსნა, შიგ რამდენიმე ბოთლი ღვინო ჩაედგათ საგზლად. ერთი ბოთლი ამოიღო და სულ-მოუთქმელად გამოსცალა. მერე ბოთლი ბუჩქნარში ისროლა. ჩანთა აიღო და ისევ გზას გაუდგა. ერთხანს დამშვიდდა. ისევ რაღაც ჩვენებები აერივნენ თვალწინ — აი, მოდის, ნაჯაფარი და ნაომარი, თვითონ კი არ არის, ის გიორგია, მისი სეხნია და წინაპარი, კახეთის რაზმს რომ გამოჰყვა იმერეთში და სადღაც ამ ადგილებში გააბრწყინა თავისი სიჩაუქე, თურქებს ბდღვირი ადინა. მოდის და მტრის ტყვიებით დაცხრილულ დროშას მოაფრიალებს. ღრმად და ლაღად ისუნთქავს ნაზ, მათრობელა, მხოლოდ ამ ადგილებისათვის დამახასიათებელ სურნელოვან ჰაერს. ფართოდ მოალაჯებს, გამარჯვებული და ამაყი.

საიდანღაც უცხოდ გაისმა მატარებლის შეკივლება. გოგია შეკრთა, გამოერკვა. ტყვიით დაცხრილული დროშა სადღაც გაქრა. ახლა ისევ როკზე წამოცმულ გოჭის თავს, ხაჭაპურებსა და შებოლილ სულგუნს ჭკიდა თვალი. ეს უფრო დამარცხების დროშას ჰგავდა, საუკუნო სირცხვილის დროშას. ხელი მძლავრად მოიქნია და როკი გზის გადაღმა გამეტებით მოისროლა. ისევ ღვინო მოუნდა, ჩანთა გახსნა და შიგ ჩაიხედა. ჩანთაშიც ჩაეწყო საჭმელი. ერთმანეთში აზელილიყო გოჭის ხორცის, ხაჭაპურის, ღომის, სულგუნისა და ნამცხვრის ნარჩენები — „სალაფავი! გაუელვა გონებაში — სალაფავი!" მეორე ღღეს ძაღლებს, ღორებსა და ჩამოვლილ გლახებს რომ ურიგებენ.

„სალაფავი!" — ჩანთამ ხელი ასწვა. ისიც გამეტებით მოიქნია და იმავე მიმართულებით მოისროლა. მჭახედ გაიხრაგუნა ღვინით სავსე ბოთლებმა. ეხლაღა გაახსენდა ფულიც რომ ჩანთაში ჩაუდო იასონმა. ეხლა ბოთლები დაიმსხვრეოდნენ და ყველაფერი, ფულთან ერთად, საბოლოოდ აიზილებოდა ერთმანეთში.

„სალაფავი", — შემსუბუქებულმა ჯერ ნაბიჯს უმატა, მერე ძუნძულზე გადავიდა. ცოტა ხანში თავგამოდებით და განწირულად გარბოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა კ ბ ე

. . . ზმანებასავით შორეულ გემის მე არ მაღელვებს ტალღებზე რწევა, რაც მიყვარს, იმის პირველი მტერი, როცა, მოკვდავო მსაჯულნო, მე ვარ! ხსნის გზა-ბილიკი გარკვევით ჩანდა წინათ... (არა დღეს და არა ხვალე!) აწ არარაა მირაჟის გარდა და შიშით ხუჯავს მეზღაპრე თვალებს. ჩემთვის ხსნის ტვირთი მძიმეა ერთობ და შელახული ქადაგთა მიერ. მაძღარი მშიერს ვერ გაუგებსო... სდექ! მშიერია რო ვერ უგებს მშიერს?! ვგრძნობ, იისფერი ხალამო დადგა და იფანტება ღამი წამებად. ალსარებების იქნება, ალბათ, უკანასკნელი შემოღალმება. მახსოვს, უდაბნოს სუნთქვა მომედო; არ იყო წყალი, არცა მწყუროდა. ვეუფლებოდი, კუტბატონებო, ჩვენს განათლებულ უსაქმურობას. მერე გავშალე წელთა მარაო და ავედევნე უცხო მხედართა. და დავეძებდი იმ კაცს ამაოდ, არარსებულზე მეტს რო ხედავდა! ბოლოს ისევ მე დამიგეს მახე, მე დამაშვრალს და სამყაროს მორჩილს! მიხვდნენ, სულელი რო ვიყავ მათზე და საკუთარ თავს რო ვთამაშობდი! ვერრა მოვასწარ ბოდვების გარდა! შიშმა მძლია და ვაგლახ, გავშეშდი! ნაღდია დიად სიცრუის ფარდა, როგორც მუნდირი, ჯკუის პატენტი. ხვალ დედამიწა უნდა დავტოვო, ამოსაცნობი მიმდევს ვალებად. აზრის შობისთვის, ჩემო ბატონო, უნდა იშრომო, რაც მეზარება! ბოდა, ვაგროვებ ღამთა ნახერხებს, ვგავარ ბებერ ყვავს, მორჩილს და უფრთოს. მე უთავოდაც ვერას ვახერხებ, თუმცა მე! თავი ხელს მიშლის უფრო! ალარ მათბობდა მეჩქანი ნათელი. ლურჯი ფრინველი ალარ ვეძიე! გენიისა და კუჭის სახელით ფუძღოდი ქვეყნის ჯვარტლიწმენდიებს. დამემსხვრა ხარკის ბრეკყვიალა ხიდი. და მაინც ხარკს სამალავს ვაგებ. ნიჰილისტი ვარ და ნაცვლად ზიზღის მიყვარს სიზმარი და სილამაზე რა ვუყოთ, თუკი რწყილიც მერევა, ყველაფრისგან და ყველასგან დაღლილს. ჩემი დეევი — სიხულელეა! ბო, კრისტალურად სუფთა და ნაღდი! ან რას ეძიებთ ცოდვილნო, ვეძიებ არსში, „იყო?“ „რა იყო?“ „აწ, რა იქნება“ მერწმუნეთ, ეაცთა ბედ-იღბლისათვის სისულელეს ზოგჯერ მისწრება! იარეთ თქვენებრ! როგორც გენებოთ... დამცინეთ თანაც, — „ამ შეშლილს შეხე...“ იცინეთ დიდო კუტბატონებო, მეც თქვენთან ერთად ვიცინი, ხე... ხე... ნუ მოგეჩვენათ, შევშფოთდი თითქოს და ნუ გატყუებთ თვალები ხველი. არ მეცოდებით, უკეთუ გიბმობთ და არ დაგცინით, უკეთუ ელით! სასაცილოა კედლების მახე და ცხელი ელდა ტუვების დახლის. მე უკანასკნელ გრძელ ღამეს ვათევ და ამ! სულგრძელიც იმიტომ გავხდი!

. . . გაიშრიალებს ახლო
გვირგვინიანი გველი:
—რით ვერ გაიგე, კაცო,
არსად არავინ გელის!
მერე რიალი ორთქლის,
დედამიწელთა ჯარი.
და თავწაცლილი ორბი,
როგორც ემბლემა ფარის.

კრთომა ვარდისფერ შუქთა
კაცო, მიგიბმობს საით?
სადღაც ქარები წუბან
და სიჩუმეა მაინც.

. . . ჩათვლიმე, სულო, შიშობ იქნება, რომ სნეულ ჯანდით დაიბურები. უსაზღვროება დაგესისხრბება და გაცრეცილი გრავიურები. წელთა ტალღები დაიხეს უკან და შეგიტყუებს სახტიკ მორეკვნი. დაგესისხრება ნაცნობი ქუჩა, ხმელი თელა და რუხი შორეთი. შეგეშინდება წარსულის შუქთა, თვალს აარიდებ ოინბაზ ქარებს. მაცდურ მირაჟთა გაექცე უნდა! მას, რაც არა გწამს, ვერ შეიყვარებ! გაიფანტება ქოთხის ნისლი, მზე დაადგება ღამთა აღმართებს. გაგახსენდება, ათასი წლის წინ აქ რო მოგკლეს და აქ რო დაგმარხეს! მერე ხიკვდილის თეთრი ხაუფლო (ხად მერამდენედ, მარტო ბრუნდები!) გაგიხსნის ჭიშკარს და შენც, ეულო, შეხვალ ბოლმით და თეთრი ხუნდებით... გაგელვიძება და აღმოაჩენ, სიცაცხლის კოსი ისევ გრძელდება. შემოვა სხვი, მთვარის მოახლე და დაგემსხვრევა შიში ცრემლებად.

გაპყე ხმა! გიხმობს ზარნი.
გზა რად გაშინეს ქარვის?
როცა ამქვეყნად არვინ
არდროს ეკუთვნის არვის!

რად შემოგიჩნდა ახლა
შიში სიკვდილთან შეხლის?
როცა ამქვეყნად მასაც
უკანასკნელად შეხვდი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

წასვლისას რატო ნანობ,
მას, რაც იყო და არ?
დაეხეტება მარტო
ზღვარის გრძნეული ხარი.

ზმაუის: — შორია ზარნი!
გზა რად გაშინებს ჯარვის?
როცა აშკეკუნად არვინ
არდროს ეკუთვნის არვის!...

ჩან შიში მიპყრობს დაღლილს
და მარტოს — კაცთა ნუგეში არა ღირს იქნებ?!
ის, ვინც ასწავლა, კარგები ხართო, ჯვარზე გა-
აკრეს და დაივიწყეს! ლოცვადამშრალო, ნუ
სწუხარ გზაზე, გასავლელსა და უკვე გავლილ-
ზე! რას იზამ, ყველა ტყუოდა ასე, ხელთ გაჩ-
ჩებდა დამეკნარ ყვავილებს! ისმენდი წვიმის
ნაცნობ არიებს, მაინც გახრჩობდა ფარსი
წუურვილი. შე უკუნურო, რას შეალიე შენი
ცრემლები და სიძულვილი! უბილავების ბმას
რატო ენდე? აწ გაარცული რაღას აპირებ?
ციური ხიდი ისევ აერთებს არყოფნისა და
ყოფნის ნაპირებს. ერთი მეუფე წარმართავს
ძალებს, ამგებებსა და დამჩაგვებს ხიდის; ეს
სურვილია, კაცთ რო აწვალებთ — ჩასწვდნენ
არსს, იქვე უარყოფ იგი! მოხუცი კითხვა კვლავ
დაძრწს: — რ ა ტ ო მ? და შეუცნობი ელავს
მოიებად. ადამიანებს კვლავ ველით მარტო
უუნალესი ღმერთის ძიება. დაგიყვირებდით:
— ემთხვიეთ ვარდებს! ხმა ჩაწყვეტილი რო
არ მჭონდა. (ბოლორს და ბოლოს უნდა დამ-
ყარდეს (ლ ა ქ) ლაჭიათა თანასწორობა!) გასათხ-
რელია ერთი საფლავი. მოიპარება დესპანი და-
ლილს. დაეხეტება თეთრი ვარსკვლავი და ეფე-
რება მოწყენილ თბილისს.

. . . ცივი ცის მჭრეალი ჩარჩო.
ღრუბელთა თეთრი კვლები,
მზეები აღარ გათბობს
და შეუნდობი კვდები.

აღარც ურეოლაა ხმათა.
აღარც ქოხია ისლის,
და წელილნადებს გაჰყვა
მაგნოლიების ნისლი.

ჭკნება გალობა ქართა.
აღარ გიჩმობენ თრთოლით!
ეჰ, დაგვიანდა, ალბათ
აღსარებები თოვლის.

სძინავს ღამეულ შუკებს
და წრე გაწვალებს წელთა
გაგანაცრისფრებს უცებ
ძველი სურათის ელდა.

მაინც არარას დარდობ,
ეამთა გამოღმა დარჩი.
გადაივიწყე რატო
ის შორეული ბავშვი!

გადაივიწყე რატო
ცისფერი ქოხი ისლის!
დაეხეტები მარტო
და შეშლილივით ითვლი.

ჭკნება გალობა ქართა.
აღარ გიჩმობენ თრთოლით!
ეჰ, დაგვიანდა, ალბათ,
აღსარებები თოვლის.

მაგნოლიების ნისლი
თან გაიყოლა ჩიტმა.
და ყრუ ტირილი ისმის
მკვდარი დღეების მიღმა. . . . .

. . . მოდიოდნენ და როგორნი! თეთრი
დღენი, ეულნი. ოინბაზი ჯადოქრობით მხედ-
რადგადაჭეულნი. ეშინოდათ ჭვეყნად მოსვ-
ლის მოკვდავებად დალოცვილთ და ციოდა
წუთისოფლის გაბუნებული სალონში. დაივი-
წყეთ ყველი ბგერა და სიზმართა სურნელი,
გაბზარული ღამის ეღერა, ელდით განუკურნე-
ლი. ზაფხულები, გარიყული ზმანებათა ფარა-
ში. უთვალავჯერ წაკითხული ფერშეცვლილი
ბარათი, ერუანტელი, უღვთოდ შორი უძვირ-
ფასეს თვალების. ცის შეშლილი დრიეყორი
და ხმა განაწყალები. დაივიწყეთ მიწის ქნარი
და სიმღერა ბალახის. ეჭვის სიო გამოანგავი
და პირველი ღალატი. იადონის წმინდა ჭალა.
ზარიანი ზარაგზა. ხ მ ა, კეკეული ცისფერ ქნა-
რად და სიზმართა დარაჯად. მეათასე თრთოლა
ღილის და მოკლული ოსკარი. დაჭანცული მო-
ლოდინი, შიშით დანაფოთლარი. მოგონება გა-
ნათელი — რაც იყო და რაც არი! დიდო ლო-
დო, მახსოვს შენი მონაყოლი ზღაპარი. დაცდა
მითხარ და მეც ვიცდი; ვიცდი და რა ამაოდ!
და ხის ტოტზე, ფოთოლთ ჩრდილში შემოდ-
გომა ქაბამბს. წამიყვანე, ქიანურის ხმამ, ციდან
ნახსნელტო. მომიტევე, სინანულის მზეო,
უუნათლესო! აქ სიცივე, წვიმის ეღერა და
ყვითელი ნისლია... სველო კლდეო, რისი
შველ! რახანია, მიცდიან! თან მიმყვება შვების
ქარი. ზამთრის ეტლი, ჯანდაგი, ალისფერი
მოსასხამი და მუყაოს ჯამბაზი... დაივიწყეთ
ნაზი ფერი შორეული ხალისის. გამეკვირვალე
ხელთათმანი და ცისფერი პარიკი. ცის ჭიშკარი
მარად ღია, ქვის ქალაქის კედელი. და მწუხა-
რე კომედია — ფარდადაუშვებელი! დაივიწყეთ
ვნებათ ხარო და ზამბა ვედრების. ძმანო,
ტაკიმასხარანო, დახოცილან მხედრები! . . .

. . . რეკდა ზარი ათიოდე
და კვდებოდა თეთრი ლომი.
მიღმა ვიღაც ლოცულობდა,
ეამი იდგა შემოდგომის.

ქარი ქროდა არე — არად
და არავინ სწუხდა ორთა.
მე სუდარა წაგაფარე,
მზემ ღიმილი დაგბორთქლა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მერე ჩავეე ბავსის ბილიკს,
ბაცდებოდა არემარე.
გამქვირვალე იყო ცაი
და ტიროდა მარიამი. . . . . .

. . . ნუ მოუსმენ საკნის ღიღინს სულაც! (მელოდია სასტიკია ერთობ!) გაიხსენე, დაქანცული სულო, წარსული დღეთა შორეული ექო... მარტოოდენ დაიხია მცირალი. ქმარა, უკვე ჩამდგარია ქარი! შეზამორეების იისფერი ფარდა. დასალევიც არადერი არი! იყო ცივი სინანული ორთა და წარსულის დამტვრეული ქარგა. ყოველივე უტკივნელოდ მოხდა, ყოველივე გვიან იყო რადგან! არ გაწვალების ჩატეხილი ხიდი. ეხეიე კაცთა ბუნებაა ეგეც — გაურბიბარ, თუ არსებობს იგი და რატომღაც არარსებულს ეძებ. გაგატყუებს სიზმარეთის ჩერო და ნისლნარის გამქვირვალე ფარჩა და დაეძებს უსინათლო წერო ცალს, რომელიც ქაოსებში ჩარჩა. მოფარფატე სხვიფაა ყოველის, რაც რო არი... და რაც იყო წინათ. და უბელო მუსიკოსის ბოღმით ემალები მონოტონურ წვიმას. აქ სინათლის ფარშევანგი მოყ-ლეს და ოროიალს დატყვევება ელის. ეფერება გაუვითლებულ ნოტებს ქარ-მაეხატოს უჩინარი ხელი. შეაცისფრებს ჰაერს უცხო შიში და ბგერები ყვავილივით ჭკნება. შენ ქარგავდი ოკეანის სიცილს და კლდეების გაფითრებულ ვნებას. მწვერვალიდან ახლოსაა ზეცა, აქ ბგერათა მბრძანებელი საზლობს. თოვლში ვიღაც რად ტიროდა ნეტა! რას ეძებდა კლდის ნაშალთან ახლო! მიდიოდი . . . უსასრულოდ დიდხანს. მიჰყვებოდი ვიოლინოს ეღერას. მერე ცრემლი დაბერა ფიფქმა და ნელ-ნელა გაგეყოფა მზერა. მზე ცეცავდა, ქარით დანისლული. ვიღაც რეკდა ცისკიდურის მიღმა. მერე დაფრთხა ვიოლინოს სული და თვალები დაგიზუპა ჩიტმა... . . . . გაკრთობს მკაცრი სიშორე.

ველარ გადაგარჩინე!
უნებურად იგონებ
დავიწყებულ აჩრდილებს.

ჰპოვე დღეთა ქარავნის
საიდუმლო ანდერძი.
ბგავდა მზე ჩამავალი
ჩაძინებულო განდეგილს.

ხმა შფოთავდა: — „ილოცე,
და ნურარას ნუ ელი!"
ციალებდა ცისპირზე
მიტეკების ღრუბელი.

სინანული არ გშველის...
თრთის ხმა წვიმის ორკესტრის.
მუქ კედელზე — სანთელი,
იქვე — სველი პორტრეტი. . . . . .

. . . . . როდემდე უნდა ვიყვირო და დაისს
მივდევდე, ჩამომეხსენით! დახასრული ვპოვე
წვალების. გარდავიცვალე! მზე მაწუხებს . . .
ჰქენით სიკეთე, ო, დამიხუმეთ! დამიხუმეთ
ღია თვალებ!!!.. ალარ ღიის ფიქრი! ჩაკეა არი,
არი... დროა, ღრუბელთა ვნახო ახალი. ბალახებს ალბათ დაახსდა ცვარი, ღვთისმშობლის
თმიდან ჩამონაწური. მოსცალ და წახალა გადაწყდა უცებ და შემეშალა იქაც და აქაც!
ვინც მარადიულ ფლეიტას უსმენს, ვერრას
გაიგებს და დაინახავს! ფლეიტა! როგორც ფოთლები, ხმები რაც ითქვა! ისიც, რაც ალარ ითქ-ვა! მე ახლა სხვაგვარ სხივებში გზეადავ, უნდა
შენი ხმა წავიღო მიღმა! დგას ბუღი ანზრთა
მცხუნვარე ფერფლის და ალმოჩენა მაშფოთებს
ერთობ: — ჩემთან არს ღმერთი!
ჩემთან არს ღმერთი! და ულმერთონო,
ვერ მომკლავთ ვერდროს! ახლა მოვუხმობ
გრძელწვერა ნოეს და მოვგაროვებ წუალთ
თითო-თითოს და მერე ისე შევქმნი ქვეყანას,
რომ ურუ, ბრმა, მუნჯი არავინ იყოს! ვბრძანებ
ღვთის ნებით: — არს ერთადერთი ხერხი მოკვ-
დავთა დამორჩილების: — ვიწუებ უსაზღვრო
თავისუფლებით! ვამთავრებთ შიშით და ბორკი-
ლებით! როს გაგიკითხავთ ცრემლით და ურვით
და ჩამოგვილით ღრუბლის ქუდებით, თქვენ
შემომბღვალებთ და მეც, ღვთის გლახა, ალტა-
ცებისაგან გავიგუდები! მერე დავწყობ ქუ-
დებს ორ-ორად, გეტყვით აიღეთ, რაის გრცხვე-
ნიათ? მაინც რად გინდათ. ბრიყვნო, შენდობა,
როს შესანდობი არადერიან! იმასაც გკითხავთ,
თავყანს მცემთ რატო, როცა არ ძალგიძთ
ტანჯვის ატანა?! ყვირით: — „უეკლო კერპს
გაუმარჯოს, თუნდაც ის კერპი ბგავდეს სატა-
ნას!".

ყმთა მოციქული მიხმობს,
— კაცო, მიიჩქარი საათ?
წმინდა ნიეარების ხმაურს
ვერსად გაეკცევი მაინც!

გაჰყე სამყაროის ჯაგლაგს —
მთვარეს და გაგიყვანს მიღმა.
ადრეა, ყარიბო, დაღლა
და საკურთხეველთან მისვლა!

წითელი არენა ღელავს.
ყმთა მოციქული იცდის.
არც რო შესაძლოა შველა
წითლად ჩამოწოლილ ნისლის!

აქ ქარიც წითელი არი.
ვივიწყებ საკუთარ როლებს.
გამოჩნდა სიკვდილის ბარი,
ოლე, მოციქულო! ოლე!...

წარსულო დაბრუნდი ოღონდ,
გამათბე ცივი და სველი.
თავადაც ცივი ხარ, როგორც
ზამთარი დიდ წუალკურთხევის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეკ უზილავებმა მომკლეს
და ჩემგან არარა დარჩა.
ქარი დაშფოთავდა მოლზე
და წუხდა წითელი ფარდა.

წმინდა ნიფარებიც გაპყეა
ბრმა მოძღვარს, ბეკეებში
მოზრილს.

დაფარა, რახანია ხავსმა
მორჩილ უსახელოს ჭობი.

ეჰა, არაფერი ახსოვს
მოძღვარს და არც არრა იცის...
გავიკეარ შორ არენას მარტო
და კვლავ უსახრულოდ ვიცდი.

აქ ქარიც წითელი არი.
ვივიწუეან საკუთარ როლებს.
ფრთხილად! მოგეპარა ხარი!
ოლე, მოციქულო! ოლე!!!. . . . .
. . . . . წამოპარული ჩრდილი სიბერის.
და გამოხედვა მომაკვდავ მუზის. ბზობის ცისფერი ქერუბიმები, კულულზე დამსხდარ ფიერუზის ბუზით. დამეწანება არვინ და არრა. თუმც დაბრუნება ისევ მწყურია. . . მარტოოდენ მე არი მიკარვა! სხვა დანარჩენი დიდებულია! ჩემი მე — პირმშო ცრემლის და მარცხის, თვალს ადევნებდა წუთების რიალს. თავად ტკბებოდა საკუთარ ტანჯვით, ტანჯვის ეგოიზმს ბე! ვეღარ სძლია! მერე დასახლდა ნაპრალში მღვიმის, უხმოდ უცდიდა ციურ სურნელთა. ქვეყნიერებას ხატავდა ცხვირით და უჩინარ ჯოხს უარბუნებდა. კაცნო, სიზმრიდან არარა დარჩა. . . მერწმუნეთ თქვენგან კრულს და მოკვეთილს: — მარტოდენ ცრემლში არაა ხსნის გზა! არც ლოცვებსა და საგალობლებში! ხსნის ალარ მახსოვს გზა ერთადერთი და ვაკოწიწებ დამტვრეულ ჩანგებს. მთვრალების ქვეყნის არა მწამს ღმერთი! თუმც მოვალე ვარ, რო არა მწამდეს. . . მე მოვწყლე ჰაერსს. . . რა ხმაურია? და სინანულის გამოვძერწ ნისლებს. . . შემოიპარნენ მსტოვარნი ვითარ?! მარადიობის ყარაულს მიხმეთ! მივაყავარ საით?!... სიკვდილის მარშ! ჩამოწყვეტილა ჭარლვნის ჭანჭარა... ჩქარა! სირცხვილის თავშესაფარში! ჩანს რო განკითხვის ჟამი დამდგარა! ვუაკქერი სოფელს, წრიალში გართულს და მაკვირვებდა კაცთა სიყრუე. . . რად არა უწყით, რომ ხართ უბადრუკ, შესაწყალ, გლახაკ, ბრმა და შიშველ?! ბე — ე-ე. . . ხედავთ? მამა აბრამის ბატკანს მოაკვს ფაფუკი ღრუბლის ქუდები. არ შემომბღავლოთ შელახულს, ახლა, თორე ელ-

ეპილოგი

ველარ აჭრნევდა მკრთომარე ფერთა. არ აფითრებდა ფოთოლთ ფერება. და ერთადერთი უნარი შერჩა — ზიზღით უცქერდა ქვეყნიერებას. იჯდა ეზოში, მარტოდ შთენილი. არ აწუხებდა ეამთა მალაგი. სხვენზე შერჩენილ მსუბუქ მტვერივით თვლემდა აზრები თავის ქალაში. ახსოვდა . მხოლოდ, რომ ცაი უცდის და მილიონ წლით გაყარიბებს, რომ ულმობელი მბრძანებელის ქუსლი თელავს სურვილთა ყვიოეულ ყვავილებს. რომ სიყვარულის დაიმსხვრა ქნარი და ხომალდები ნაპირს შორდება. რომ ანრჩობს ყოფნის ხმაურიანი და მომთენთავი ერთფეროვნება. დაგემშვიდობნენ სიზმრები, ეაცო, და გადაიქცნენ მაღალ არყებად. უკანასკნელი ბილიკი გიზმობს უკანასკნელ მზის გადასარჩენად! მოერეკება კარტა ქარებს და დასასრულზე დარდობს დაისი, მაშ, გაემგზავრე! მაშ, გაემგზავრე! მზე ახლოსაა. . . ნუღარ დაიცდი!... „რა დამორგუნავად თეთრი მთები?!" — წუხს ნაპერწკალი სნეულ გონების. ნუ გეშინია, გეფერებიან გაფითრებული ალითნები! ეამი უფრო და უფრო არ ჩქარობს და სურვილებიც ალარ ხმიანობს. შენგან დაქანცულ, ბებერ სამყაროს უკვე მოსწყენდი, ადამიანო! ზართამრეველი შეერთება ძილში და დაფრთხებიან ნისლის ქალები და აგატირებს წყეული შიში უკანასკნელი გარდაცვალების. . . „ცად დაილაგა ნაცნობი შუკა. ო, დაბრუნება არაა გვიან! ღამის შიკრიკი მოსულა უცბად, მე კი ძახილი ვერ გამიგია! რო მელოდება, მთვარის ნავია და ირხევიან სხივის თოკები. რაც იყო, იყო... ჩემი ბრალია! მიედივარ, ალარ გემშვიდობებით! მიმეყება შუქი, შენდობა ვითარც და იარები ენებათ ტყეეობის. მცოდნოდა, დედამიწის თილისმას რამენაირად გავეეცეოდი. . ." . . . მას უზილავი მიაცილებდა შეშნარეკი და ჩუმი ფერებით. და მიჰყვებოდა მბეეუტავ იმედად გაყვითლებული ხელნაწერები. სასტიკი იყო სიკვდილთან ლაბტი და დამარცხება განაწვალები. ის დაედევნა საკუთარ აჩრდილს, რომ დაემალა ს

ეროვნული ბიბლიოთეკა

●

ღელე-ღელე გადირბინა ქარმა,
ააღელვა, ააცეკვა პალმა.
ნაცნობია შორეული ოხვრა,
ჩემთან ალბათ არასოდეს მოხვალ.
  მაგონდება შუქ-ჩრდილები ივრის,
  ტანში უცხოდ ყრუანტელი მივლის.

დავალ, როგორც დაკარგული ბავშვი,
რა ხანია, არ ვყოფილვარ მთაში.
  ვინ მეძახის ღვიძილში და ძილში,
  რის დაკარგვის მომეძალა შიში?
ღელე-ღელე გადირბინა ქარმა,
ააღელვა — ააცეკვა პალმა.

ხალხურ კილოზე

მამაცი სიკვდილს დაეძებს,
ლაჩარი ისეც მკვდარია.
კაცი რომ მომხდურს გაექცეს,
თუკი დაადგა ძალია.

სხვა უკან გაჰყვეს მცინარი
მისი დაძლევით მთვრალია,
გამარჯვებული ვინ არი?
ბრძენო, თქვი. შენი ვალია.

●

გარშემო ისევ ოთხი კედელი,
შიგ ჩამწყვდეული სული,
მთელი სიცოცხლე შეუწყვეტელი
ნაბიჯით ირგვლივ უკლი.

  არც გასახსნელი სადმე კარები,
  არც ასასვლელი კიბე.

გადმოივლიან ბნელი ქარები,
  თეთრ დღეებს შავად თიბვენ.

ვერ ამოვხსენი, ვდელავ და ვშფოთავ,
მაგრამ ამოვხსნი, მჯერა:
გარშემო ისევ კედელი ოთხი
და ცას მიკრული მზერა.

ფიქრი სასაფლაოზე

ნელა ჩაიწვა დაისი,
მთებზე აცურდა ჩრდილი.
დაიძინებ და, რა იცი,
თუ გაღვიძებ დილით.
იქნება, ვერც კი გაიგო,
რაა სიკვდილის გემო,
ეჰ, ვინღა დაგათარიღოს,
ბნელო ცხოვრებავ ჩემო?
ნელ-ნელა მიიძაგრებ
მთებისკენ ნისლი მყრალი.
თვალს გაახელ და ჩაქრება
ორივ შუქი და ალი.
ვერც კი გაიგებ, რად ღირდა
ყოფნა სამზეოს კარად,

აღარც ედემის ბაღი და
არსად ზღაპრული ჭალა,
არც შენეული სიმღერა,
იქ უნდა იწვე უბრი,
სადაც ყოველთვის იღვრება
დუმილის ცხელი კუპრი.
არ აგძრახდება არავინ,
შენც უნდა ჩუმად იწვე,
სიჩუმე დაუფარავი
და არსად თეთრი სივრცე.
გაუყინია სიცივეს
ყველა ძარღვი და ნერვი.
ნუღარ იდარდებ, იძინე,
ვერ გაგაღვიძებს ვერვინ.

ქეთევან მელიქიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემცირება

მოთხრობა

ნანიმ მასავით სამუშაოზე დაგვიანებული თანამშრომლები შეათვალიერა, უხალისოდ დაუკრა თავი ვიღაცას და განზე გადგა. ლიფტი, როგორც ყოველთვის, იგვიანებდა.

— როდის ისწავლის ეს ხალხი კულტურას, — ნერვიულობდა ჰაღარა, წითელლოყება კაცი, კადრების განყოფილების გამგე, რომლის კაბინეტი მეორე სართულზე იყო და სულ რაღაც ათიოდე საფეხური ჰქონდა ასავლელი.

— გამოუშვით, გემუდარებით, გამოუშვით! — მლოცველივით გულზე ხელები დაიკრიფა ახალგაზრდა ქალმა.

მისმა ტრაგიკულმა, ნერვიულმა ხმამ, ეტყობა. ლიფტთან თავშეყრილი ხალხი გაამხიარულა. ღიმილით გადახედეს ერთმანეთს.

— მსახიობი ხარ, ზანდა, — „მლოცველი“ შეაქო ვიღაცამ.

ზანდამ ერთი კი შეუბღვირა მხარბეჭიან ახალგაზრდას, მერე მუშტები დაუშინა ლიფტის კარს.

— მოითმინეთ, ნუ ღელავთ, გესმით? მოდის. — გაკაპასებულ ქალს ყურში ჩასძახა კადრების განყოფილების გამგემ.

ზანდამ მაშინვე შეწყვიტა ბრახუნი და ისევ გულზე დაიკრიფა ხელები.

დიდის ვაი-ვაგლახით, ხრიალითა და გულისგამაწვრილებელი ჭრიალით ჩამოაღწია ლიფტმა პირველ სართულამდე. კარიც ძლივს გაიღო და ხის ყუთში მოთავსებულ, უზარმაზარ დეკორატიულ მცენარეს მიტმასნილი მუშა გამოჩნდა.

— რაშია საქმე, ჯიბო? — გაუკვირდა კადრების განყოფილების გამგეს.

ჯიბოს სალაპარაკოდ არ ეცალა. გაძვალტყავებული მკლავებით ჩაფრენოდა უზარმაზარ ყუთს და მცენარის გარეთ გამოტანას ცდილობდა. თუმცა, ვინ აცალა...

— როგორ, ჩემი ფიკუსი?! — იკივლა უცებ ზანდამ და ოფლში გაღვრილი მუშა სანახევროდ გარეთ გამოტანილი მძიმე ტვირთით, ისევ უკან შეაგდო.

— დირექტორის ბრძანებაა, დირექტორის, — ეძალიანდებოდა ქალის მარწუხებივით თითებს საწყალი.

ზანდამ მაშინვე მიატოვა „მსხვერპლი“ და დირექტორის კაბინეტს მიაშურა.

— ხუთი წლის წინათ დამრჩა კარი ღია და კალენდარი მომპარეთ, ახლა ყვავილი მიგაქვთ, ხომ? მომცემთ თუ არა, ბოლოს და ბოლოს, ნორმალურად მუშაობის საშუალებას?! რას მერჩით, გამოხდილი წყლით ვრწყავ, გამოხდილით! — ცრემლები უშლიდნენ ლაპარაკს ქალს.

— რა ხდება? — უსიამოვნოდ შეიშმუშნა სავარძელში დირექტორი.

მაშინვე ქარით შეწუხებული ფურცლებივით აშრიალდნენ მდივანი ქალის ტუჩები.

— აა, ნორჩი ნატურალისტი, ტყის ნობათი, — დირექტორის ბილიარდის ბურთივით მრგვალი, პრიალა ლოყები ღიმილმა კიდევ უფრო მეტად დაამრგვალა. სამაგიეროდ მდივანმა ქალმა შეიკრა კოპები.

— როგორც იცით, ინსტიტუტი სტუმრებს ელის, მათ წასვლამდე ყველა დეკორატიული მცენარე ფოიეში უნდა იდგეს!

— მართალია. — დაემოწმა დირექტორის მოადგილე. — ყვავილებში ფულს ვერ დავხარჯავთ. ადგილობრივი კაკტუსები უნდა გამოვიყენოთ; თუ ქოთნები დაგვაკლდა, სახლიდან მოვატანინოთ დამლაგებლებს.

— რაც შეეხება ტკბილეულობას, აქაც ინსტიტუტის თანამშრომლები უნდა დავიხმაროთ, — ქალებმა გამოაცხონ, ვისაც რა შეუძლია, თორემ ამ თანხით... — მხრები აიჩეჩა მდივანმა და ქაღალდზე დაბეჭდილი თანამშრომლების სია დირექტორს გადააწოდა.

—ხუთი მანეთი, სამი მანეთი, გამათხოვრებულია ხალხი, — ამოიოხრა დირექტორმა, — ქალების უკმაყოფილება რომ არ გამოვიწვიოთ. ყვერცხები ვიყიდოთ და დავურიგოთ სუყველას. რას იტყვით, ა?

— კი, ბატონო. — მაშინვე დაეთანხმა მოადგილე.

— აი, თქვენ, პირადად, რას გამოაცხობთ? — ზანდას მიუბრუნდა დირექტორი.

— მე ცომს რომ ვხედავ, ვიბნევი, — წამოწითლდა ზანდა. — ჩემი ფიკუსის საქმე როგორ იქნება?

კაბინეტში უხერხული სიჩუმე ჩამოწვა. დირექტორმა მდივანს გადახედა.

— როგორც კი უცხოელები წავლენ, დაგიბრუნებთ!

უფრო დიდ ქოთანში გადავრგავთ, მიწას გავუფხვიერებთ და ისე, — დაუდასტურა მოადგილემ.

ზანდამ სასწრაფოდ მიატოვა იქაურობა.

— მძიმე ქალია, — ამოიოხრა დირექტორმა.

— სამაგირეოდ კარგი სპეციალისტია, — გამოექომაგა მდივანი.

— ფულის დადება ეძნელებათ, მაგრამ ბანკეტს არ დააკლდება არავინ, — ფურცელი გვერდზე გადადო დირექტორმა. — სასმელი ისე შემოიტანეთ, მე არ დამანახოთ. ლიმონათის ნაცვლად ბორჯომი იყოს, ჯობია, მეორე დღესაც გამოგვადგება. ტუალეტს ვასწრებთ?

— სასახლე გამოდის. პატივცემულო. — იხუმრა სამნეო ნაწილის გამგემ, — მაგრამ კონფერენცია პირველ სართულზე გაიმართება და აქვე რომ მოინდომონ?

— მოგვეჭრება თავი, — შეიცხადა მდივანმა.

— ლიფტთან თარჯიმანმა იმორიგეოს, პირდაპირ მეექვსეზე აიყვანს, არა უშავს, მოითმინონ. — გამოსავალი იპოვა დირექტორმა.

— შესაფერ სიტყვას ვინღა თარგმნის? — დაეჭვდა მოადგილე.

დირექტორმა ყურები ჩამოყარა.

— ნეტავი პირველი სართულიდან დაგვეწყო რემონტი, — სინანულით თქვა მდივანმა.

— ვის ეგონა, გოგო, საატო დარბაზის ჭერს წვიმა ჩამორეცხავდა, — შეუბღვირა სამნეო ნაწილის გამგემ.

— მხატვრებს დამიძახეთ, გრაფიკის განყოფილებიდან. — დირექტორის დანაოჭებულ შუბლზე სინათლის სხივმა გადაირბინა, — კონკურსს გამოვაცხადებ საუკეთესო ემბლემაზე, რომელიც სტუმრებს ტუალეტის გზას მიასწავლის.

— მოასწრებენ? — დაეჭვდა ისევ მოადგილე.

— პრემიას მივცემ, ოც მანეთს. — დირექტორს წამოეშველა ბუღალტერი.

— გენიალურია! — ტაში შემოჰკრა მდივანმა.

ზანდა უხალისოდ ადიოდა კიბეზე და თანაც საიდანღაც მოტანილ მტვრიან ხალიჩებსა და ყვავილების ქოთნებს ათვალიერებდა. წყლიანი ვედროებითა და ახალი ცოცხით შეიარაღებული დამლაგებლები უჩვეულო სიხალისით ახვევდნენ მტვერში თანამშრომლებს. მაინც და მაინც უცხოელი უნდა იყოს, ფიანდაზი რომ დაუგონ, ჩვენ ხალხად არავინ არ გვთვლისო. ფიქრობდა ზანდა. კარის გაღებისთანავე მიხვდა, გამოცოცხლებას, რომელიც ინსტიტუტში სუფევდა და დამლაგებლებსაც კი გადასდებოდათ, მათ ოთახში ვერ შემოეღწია. ნანი. ჩვეულებისამებრ

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვალებს იხატავდა. თენგო გაფუჭებულ მაგნიტოფონს უკრკეტებდა. გეგა ყავას ადუღებდა. გიო გიტარას აკოდვილებდა, რამდენიმე წუთის წინ შინიდან მოსული ძაღლენა ისევ სახლში რეკავდა. შვილისათვის ერთხელ კიდევ რომ შეეხსენებინა, რა გაეკეთებინა დღის განმავლობაში. ზანდამ ჩანთიდან რძის პროდუქტებით სავსე ბადურა ამოიღო და ფანჯრის რაფაზე დადო.

— ქალბატონო ზანდა, თქვენს საუზმეს როცა ვუყურებ, გეფიცებით, ცუდად ვხდები, ხანდახან სიცხეც მიწევს. როგორ შეგიძლიათ ყოველ დღე ამ „თეთრი სევდის“ ჭამა. — წამით გიტარას თავი ანება გიომ.

ქალმა არაფერი უპასუხა. მაგიდასთან დაჯდა. საგულდაგულოდ დაკეტილი უჯრები გამოაღო, ღრმად ამოიოხრა და მუშაობას შეუდგა. თანაც ცდილობდა, ზურგზე მოკიდებული სიცარიელე როგორმე მხრებიდან მოეშორებინა.

— დაგვაკლდა ფიკუსი, მის ფოთლებში შეაუჟეული რაღაცნაირად ჩიტივით პატარა ჩანდით, — ზანდას გაუღიმა ნანმ.

ქაღალდებში ჩაფლულ ქალს მისკენ არ გამოუხედავს, თუმცა სახეზე შეეტყო, ესიამოვნა ნათქვამი, დიდი ხნის შეჩვეული მოსასხამივით აკლდა მართლაც ზურგს უკან დარაჯივით მდგომი მცენარე.

ოთახში განყოფილების გამგე შემოიჭრა. გიოს ხელიდან გიტარა გამოგლიჯა და მხარზე გადაკიდა, თენგოს მაგნიტოფონი იღლიაში ამოიჩარა, გეგას ელექტროღუმელი გამოურთო, აუდუღარი, თუმცა უკვე ცხელი ყავის ჭიქები მაგიდაზე დაწყო, გავარვარებულ ღუმელს ფეხებში ჩაავლო ხელი და ოთახიდან გავარდა.

— ბამზე მიმავალ მოხალისე კომკავშირელს არ დაემსგავსა, ბიჭო, — ჩაბჟირდა გიო.

— რამ გააცოფა? — გაუკვირდა თენგოს.

— უცხოელებს ელოდებიან, ხსნა მაღლენამ

— იმიტომ შემხვდა დილით დირექტორი კაკუსით ხელში?

— გაფიცებ, მართლა? გამხიარულდა გეგა.

— აი, ამოდენა ეკლებით, — ცერა თითი აღმართა თენგომ.

— ნეტავი თქვენ, ახარხარებულ ახალგაზრდებს გაუღიმა მაღლენამ და დაძაბულმა უფრო მაგრად ჩაბღუჯა ყურმილი. — ემიკო, დედიკო, ვის ელაპარაკებოდი ამდენს? რაო, რა უნდოდა? საჭმელი ჭამე? გუშინ ბრუცინამ რომ გამოგკითხა გაკვეთილი, დღიურში ჩაგიწერა ხუთიანი? ჭირიმე შენი! შედი, ახლა მეზობლებთან და უჩვენე სუყველას, ოღონდ კარი არ ჩაგეკეტოს, გასაღები კისერზე ჩამოიკიდე. მამაშენმა თუ დარეკოს. უთხარი „ბორშის“ მასალა წამოიღოს. გაიგე? გენაცვალოს მამაშენი. სკოლაში არ დაიგვიანო, გადასასვლელზე ფრთხილად გადადი!

მაღლენამ ყურმილი დადო და სიხარულით სავსე თვალები მოაკლო ახალგაზრდებს, ჩანდა, ვაჟისშვილის წარმატებებზე უნდოდა რაღაც ეთქვა. მაგრამ იმათ სახეებზე ისეთი გულგრილობა ამოიკითხა, გადაიფიქრა. უხალისოდ მივიდა სამუშაო მაგიდასთან და ფურცლები ააშრიალა.

დერეფანში წვრილქუსლიანი ფეხსაცმელების ნაცხონი ტყაპა-ტყუპი მოისმა და ყველანი კარს მიაშტერდნენ.

— შეიძლება? — იკითხეს ოქროსფერმა კულულებმა.

— მოდი, ნანჩო, მოდი, — გაიბადრა გიო.

ზანდამ და მაღლენამ მრავალმნიშვნელოვნად გაუღიმეს ერთმანეთს და ირონიული მზერა მოავლეს „ნანჩოს“. მათი აზრით, ქალიშვილს გამომწვევად და უგემოვნოდ ეცვა, დაახლოებით ისე, როგორც უცხოურ ფილმებში უწესო ყოფაქცევის ქალებს, რაც შეეხება სილამაზეს, ათასნაირი გრიმით მოთხვრილ სახეს, შეუძლებელი იყო,

ლამაზი კი არა, თუნდაც სიმპათიური რქმეოდა. სამაგიეროდ, მამაკაცების უმრავლესობა სულ სხვა აზრისა იყო და ამიტომაც ნანას დანახვაზე სახეზე ყველას ღიმილი ეფინა.

— ინსტიტუტი ჯართის პრობლემის წინაშე დგას, აღმოუჩინე დახმარება, — ქალის ჰარბი ბიჟუტერია კრიტიკულად შეათვალიერა თენგომ.

ნანამ ხმამაღლა გაიცინა, ცარცივით მკვრივი, თეთრი კბილები გამოაჩინა, უცნაურად შეარხია მთელი სხეული და ზარებივით აწკრიალდნენ გულმკერდსა და მაჯებზე უხვად ასხმული სამკაულები.

— ჩვენს სოფელში ხბორებს აბავენ ეჟვნებს, რომ არ დაეკარგოთ, — თქვა მადლენამ.

— მეც არ დავიკარგები, — გულიანად გაეცინა ნანას, რომელიც უცნაურად აჭრილი ჭრელი კაბითა და მხრებზე დაყრილი კულულებით, სისხლისფერი ტუჩებითა და წვრილი, ოდნავ ელამი, ეშმაკური თვალებით, ბოშა ქალს უფრო ჰგავდა, ვიდრე მადლენას სოფელში მობალახე ეჟვნებიან ხბორებს.

— ბანკეტისათვის ფულს აგროვებენ და თუ სურვილი გაქვთ... — დაიწყო ნანამ.

— არაფერს არ დავდებ! შარშანაც ტყუილად ამაძვრეს ათი მანეთი. მაჩვენონ ერთი, რომელ დეკლარაციაში წერია, თბილისში ჩამოსული უცხოელი ტურისტები მადლენა ნოდიამ არჩინოსო.

— ნებაყოფლობითია, ვერავინ დაგაძალებთ, — მადლენას დამშვიდებას შეეცადა გიო.

— ნებაყოფლობით მე წყალწაღებულ სოფლებს დავეხმარეთ და ორი თვის ბინის ქირა დღემდე გადაუხდელი მაქვს, — კატეგორიული ტონით განაცხადა ზანდამ.

— თქვენ? — დანარჩენებს გადახედა ნანამ.

— ჩემი ღრმა რწმენით, საზღვარგარეთ ახალგაზრდა, ლამაზი ქალები სულ სხვა საქმით არიან დაკავებულები. შარვლიანი, კუნტრუშა დედაბრებისანახავად ფულს ვერ დავხარჯავ, — თქვა თენგომ.

— როგორც გინდათ, ტუჩები უკმაყოფილოდ დაბრიცა ნანამ და კარისაკენ წავიდა. გიოც გაყვა.

— დაიწყებენ ახლა ხვევნა-კოცნას და ყველას მაშინ დაჭირდება ლიფტი, დაინგრევა კარზე ამდენი ბრაგუნით, ამა რა იქნება, ისედაც ძლივს დადის, — რატომღაც გულწრფელი სინანულით გამოესარჩლა დიდი ხნის სარემონტო ლიფტს გეგა.

— შენ ნუ ხარ შურიანი, საცოლეა, — ახალგაზრდები დაიცვა თენგომ.

— მე როცა „საცოლე" ვიყავი, ჩემს ქმარს თითი...

ოთახში მყოფი ახალგაზრდები ერთდროულად ახარხარდნენ და ქალბატონ მადლენას ტკბილ მოგონებას ცივი წყალი გადაასხეს. ყველაზე თავდაჰერილი ნანიც კი გულიანად იცინოდა. ორმოცი წლის ასაკში გარიგებით, სიმწრით გათხოვილი მადლენა და მისი ოცი წლით უფროსი მეუღლე ლიფტში ხვევნა-კოცნაში ნამდვილად ვერ ამოაძრობდნენ სულს ერთმანეთს. მითუმეტეს, რომ ბატონ ვალოდიას ლიფტის შიში ჰქონდა და მეშვიდე სართულზე (როგორც თვითონ მადლენა ამბობდა) ფეხით არჩევდა ასვლას.

დერეფანში ხმაური და უკმაყოფილო შეძახილები გაისმა და მაშინვე შეწყდა.

— გამოაძევეს ბალღები სამოთხიდან, — მიხვდა თენგო.

— იმის მაგივრად ცოლად შეირთოს, დაათრევს გოგოს იქეთ-აქეთ, — კბილებში გამოსცარა ზანდამ.

— ვგიჟდები, ყველა ქალს რატომ უმუშავებს ტვინი ერთი მიმართულებით. მთელ ქვეყანას რომ პირდებოდეს კაცი, მაინც თვალებს ელექტრომრიცხველივით ატრიალებენ და ზაგსი, ზაგსიო, ეწერებათ შუბლზე, ვთქვათ, გიყვარს, მაგრამ ცოლის შერთვის საშუალება არა გაქვს, როგორ უნდა მოიქ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცე? არადა. ახალგაზრად ხარ, ქალი გაინტერესებს. გიზიდავს? ადრეული ქორწნება კი, მოგეხსენებათ, განქორწინებით მთავრდება? მაშ რა ვქნათ საწყალმა ყმაწვილკაცებმა, რატომ არ ფიქრობს ჩვენი სახელმწიფო ამაზე?

— რაზე? არიქა, გეგას კახპები არ შემოაკლდესო? — თვალები გადმოუცვივდა მადლენას. — მაგის დრო აქვს ჩვენს სახელმწიფოს?

— ტყუილად გიკვირთ, ეს ძალზე სერიოზული საკითხია. — კოპები შეიკრა გეგამ.

— აღუზრდელი, აღვირახსნილი ახალგაზრდობა ფიქრობს, ალბათ, მასე! — დაასკვნა ზანდამ.

გეგამ ამოიოხრა. კამათის გაგრძელებას არავითარი აზრი არ ჰქონდა, მით უფრო, ნანი და თენგო შორიდან ადევნებდნენ თვალყურს ორ აღშფოთებულ ქალს და გეგას თვალსაზრისის დაცვას არ აპირებდნენ. მაგიდაზე ნახევრად მოდუღებული ყავით სავსე ჭიქები იდგა. გეგამ, თითქოს ვიღაცის ჯიბრზე, სულმოუთქმელად გამოცალა სუყველა. მერე ოთახს მოავლო თვალი, წამოდგა, აქეთ-იქით გაბნეული ხის ყუთები მოაგროვა და თავისი მაგიდის გარშემო შემოიკრიბა.

— „კაბინეტს“ იკეთებ? — გაუღიმა ნანიმ.

— არ შემიძლია ასეთ პირობებში მუშაობა, ცალკე მინდა ყოფნა.

— შენ ბინა მალე თუ არ მიიღე, დაიცენტრები, მგონი, — კრიტიკულად შეათვალიერა გეგას მიერ „კისრამდე“ ამოყვანილი „სურამის ციხე“ თენგომ.

— აქა ხარ, კუკლაჯან? — სპორტული ჩანთებით დატვირთული მსუქანი ქალი უხერხულად გაეჩხირა კარში.

— მოდი, მოდი, — ხელი დაუქნია ნანიმ.

გამყიდველის დანახვაზე მადლენამ დემონსტრატიულად მიატოვა ოთახი.

ნანიმ ჩანთები ერთიმეორის მიყოლებით გადმოაპირქვავა მაგიდაზე და ფერადი ნაჭრების ზღვაში საქმიანად ურევდა ხელს. ბიჭები შორიდან ადევნებდნენ თვალყურს. ახლოს მისვლას ერიდებოდნენ.

— „სალამანდრა“ მომიტანე, ამალია? — იკითხა გეგამ.

— მოგიტან, სულო, მოგიტან.

— როდის?

— ხელფასზე.

— არ დაუჯერო, აფერისტია. ორი წელია სათვალეს მპირდება.

— ნანიმ, როგორც იქნა, რაღაც შესაფერისი ამოარჩია და გეგას გადატიხრულ „კაბინეტში“ შევიდა მოსაზომებლად.

— ჩქარა, სულო, ხომ იცი, რა დროა, ვინმე ოხერი არ შემოეხეტოს, — აჩქარებდა ამალია.

კარი მართლაც გაიღო და ოთახში განყოფილების გამგე შემოვიდა. ამალიამ მაშინვე ტანსაცმელს დასტაცა ხელი და ჩანთების ამოვსებას შეუდგა. ოთარი მიუახლოვდა, ერთხანს გაოგნებული უყურებდა უცნაურად აფუსფუსებულ ქალს, მერე გეგას მიერ აშენებულმა მცირე არქიტექტურულმა ფორმამ მიიპყრო მისი ყურადღება. ნანი ღელავდა და ვერაფრით მოეხერხებინა კაბაზე ღილების შეკვრა.

— მიწყობთ, არა? დაწერეთ განცხადება და წადით სამსახურიდან! — იბღავლა ოთარმა და ოთახიდან თოფნაკრავივით გავარდა.

— გახდილი იყავი? გაგიქდა კაცი, — ჩაბჟირდა გეგა.

— ახლა წადი, ფულს ხელფასზე მოგცემ, — თითქმის ძალით უბიძგა კარისაკენ ამალიას ნანიმ.

— კარგი, სულო, ნახვამდის, თქვენც ორივეს „სალამანდრებს“ მოგიტანთ, — ბიჭებს დაპირდა, როგორც ეტყობა, მსგავს სიტუაციებს შეჩვეული გადამყიდველი.

— ხელფასამდე, მგონი, მოგვხსნიან, შენც ტუალეტში შესულიყავი, რა დაგემართა, — ნანის უსაყვედურა თენგომ.

— დაკეტილია, უცხოელების მოსვლამდე შიგნით არავის უშვებენ.

— ესე იგი, რამე რომ იყოს, სახლში უნდა გავიქცეთ?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— შენ რა გიშავს, აქვე ცხოვრობ, აი, ქალბატონი ზანდა როგორ მიაღწევს გლდანამდე, ერთი-ორი საათი ხომ მაინც ჭირდება, — იხუმრა გეგამ.

მუშაობაში ჩაფლულ ზანდას მათკენ არც გამოუხედავს.

თენგო მაგიდას მიუჯდა. მაკრატელი აიღო და რაღაცის გამოჭრა დაიწყო. ნანიმ საქსოვი შეინახა და წიგნის კითხვას შეუდგა. გეგა ერთხანს სკამზე ირწეოდა, სიგარეტს ეწეოდა, მერე წამოდგა, ფანჯარაში გაიხედა.

— რაღა მაინცდამაინც ჩვენი ინსტიტუტი ამოარჩიეს, წასვლა მინდა, — თქვა ბოლოს.

— აინტერესებთ ბიოლოგი, მეტალურგი, არქიტექტორი და ა. შ. რას აკეთებენ გრაფიკის განყოფილებაში, — კითხვა შეწყვიტა ნანიმ.

— ტელეფონით ეკითხათ და ვუპასუხებდით.

— მაგას ძმაო, მოფიქრება უნდა, — თემომ წებოთი მოთხვრილი თითები ჩვარით შეიმშრალა და ქაღალდისაგან გაკეთებული უზარმაზარი ბურთი მიაჩჩა გეგას ხელში. მერე მაგიდაზე სკამი შემოდგა და თვითონაც ორი ნახტომით სკამზე მოთავსდა. ჯიბიდან აბრეშუმის ბაწარი ამოიღო, ოსტატურად გაკეთებული ყულფი კისერზე მოირგო, მეორე ბოლო კი ნათურაზე დაამაგრა. მერე, რაც შეეძლო, მაგრად მოიჭირა ყელზე მარყუჟი, ენა გადმოაგდო და ხრიალი დაიწყო.

— ააფრინა, — თქვა გეგამ.

— აბა, რას იზამდა, მთელ დღეს უქმად ატარებს. — შეშფოთებული მზერა მოარიდა აღრიალებულ კაცს ზანდამ.

— რა ხდება აქ? — იკითხა კარში გახევებულმა დირექტორმა.

— არაფერი, „აბაჟურს“ ვკიდებთ, — თენგოს გაკეთებულ ბურთზე ანიშნა ნანიმ.

თენგომ ყულფიდან თავი გაინთავისუფლა და თოკზე ბურთი დაამაგრა. დირექტორი მიუახლოვდა, ეჭვით დაათვალიერა ახალგაზრდა თანამშრომლის შედევრი.

— ეს ცალს დაამზადებთ, სხვადასხვა ფერში, ყველა სართულზე დაკიდებთ, — დაიბარა და ისევე მოულოდნელად გაქრა ოთახიდან. როგორც შემოვიდა.

— გვიშოვა საქმე... — თენგოს სახის შემხედვარე სიცილით კვდებოდა გეგა.

— რატომაც არა, — ნანიმ მაკრატელი მოიმარჯვა.

გეგას მუშაობის არავითარი სურვილი არ ჰქონდა. ისევ სკამზე გადაწვა და სიგარეტი გააბოლა.

— მე არავის ვუკითხივარ? ოთახში პირგაბადრული გიო შემოვიდა.

— აეროპორტში გააცილე თუ სად იყავი აქამდე? — ცალი თვალი გაახილა გეგამ.

— მოგენატრე? მოდი, ჯობია, მომეხმარე, შეკვეთა ავიღე მელოდიაში.

— ფული შენი, შრიფტი ჩემი? არ არსებობს, — ხელები გაასავსავა გეგამ. — თენგოიას რუსი ხარ შენ და, ჯობია, ის მოგეხმაროს. დაგემთავრებინა ქართული სკოლა და არავის სახვეწნი არ გექნებოდა არაფერი.

— შენ რომ ქართული სკოლა დაამთავრე, აშენდი?

— ყოველ შემთხვევაში, წერა-კითხვა ვიცი.

— რამდენი ენაც იცი, იმდენი კაცი ხარო, გაგიგონია?

— შენც თუ კაცი ხარ და...

— როგორ, როგორ?

— გეყოფათ, ისედაც ნერვები მაქვს აშლილი, გაგყრით ორივეს გარეთ, — ქაღალდისგან დამზადებული ბურთები მაგიდიდან გადაყარა თენგომ.

— გაინძრეს და თვითონაც იშოვოს „ლევი“ სამუშაო, — ბრაზობდა გიო.

— თავი დამანებეე! — დიიკინა გეგემ.

— გენიალურია. გეგა, გინდა, მულტფილმები გაახმოვანე, ბეკეკას როლი კარგად გამოგივა. — შესთავაზა, ნანიმ.

ოთახში ქარიშხალივით შემოჭრილი მადლენა ტელეფონს მივარდა. გე-

გონებოდათ, ტელეფონი დიდი ხანია რეკავდა და მის გარდა არავის მოსვლია აზრად ყურმილის აღება. მადლენას ხელში ცხვირსახოცი ეჭირა და ჩაწითლებულ თვალებსა და ცხვირს იწმენდდა. ბიბლიოთეკარი ერთადერთი ადამიანი იყო მთელს ინსტიტუტში, ვისაც მისი ქმარ-შვილის ამბავი აინტერესებდა და ამიტომაც მადლენა მისი მუდმივი სტუმარი იყო, თუმცა წიგნების მიმართ, უფრო სწორად, მათში ჩაბუდებული მტვრის გამო ალერგია ეწყებოდა და საშინლად ახველებდა და აცემინებდა, მაგრამ, ამისდა მიუხედავად, მაინც რამდენიმე საათს ატარებდა ბიბლიოთეკაში.

— ემიკო! კარტოფილი შეიწვი, ფრთხილად გაზთან, ხელი არ დაიწვა. სულ არ შეჯამო, მამაშენსაც დაუტოვე. მე ჯერ ვერ მოვდივარ, დირექტორი არ წასულა, სტუმრებს ელოდება, როგორც კი წავლენ, გამოვიქცევი. გკოცნი. აბა, სახლი არ ამირიო, იცოდე! — მადლენამ ვაჟიშვილთან საუბარი დაამთავრა და ისევ ახალგაზრდებს გადახედა. რატომღაც მოეჩვენა, რომ თანაგრძნობით უყურებდნენ ბიჭები.

— ტელეფონით გაზრდილი ბავშვიდან გამოვა რამე? — გაუღიმა დამნაშავესავით ნანის, — არადა, მარტო ჩემი ქმრის ხელფასით ჯინსებს ვერ ვუყიდით, რომ გაიზრდება. ბედნიერი ხარ, შვილს დარდი რომ არ გაქვს, ახალგაზრდა ხარ, სეირნობ, აბა, მე რო გავთხოვდი ორმოცი წლის...

— სიბერეში რომ შევა, ესეც გაიჩენს მთელ ბატალიონს, — თქვა თენგომ.

— ბატალიონი რა საჭიროა?! ბავშვს იმდენი ჭირდება... — შეიცხადა მადლენამ.

— ეგებ გმირი დედა მინდა გავხდე, — გაეცინა ნანის.

— ნანის, იცით რა მზრუნველი ქმარი ყავს? მზრუნველი მამიკო იქნება, თავისი მსგავსი შვილები ეყოლება. ჯერ პატარა მუცლებით. მერე უფრო დიდით, ბოლოს მამასავით უზარმაზარით. აი, თქვენ ქმარს რამდენი ფილო-გრამი ხილი მოაქვს ბაზრიდან? — მადლენას შეეკითხა თენგო.

— ორი-სამი.

— ჰოო... ნანის ქმარი კი, ყოველ საღამოს სახედარივით დატვირთული ბრუნდება. მოაქვს ერთი ყუთი ვაშლი, ერთი ყუთი მსხალი, ერთი ყუთი ატამი, ერთი ყუთი ყურძენი. მერე ღრუტუნითა და ფრუტუნით ყოველივე ამას მიირთმევს. ნანიც ეხმარება. ცოლი ერთ ატამს შეჭამს, ქმარი ერთ ყუთს, ცოლი ყურძნის ერთ მარცვალს, ქმარი მთელ აკიდოს... ჭამის შემდეგ ღიპს იფხანს და სიამოვნებისაგან კრუტუნებს, კრუტუნებს, არა, ნანი?

— თენგო გეყოფა, ტუჩებზე ხელი აიფარა მადლენამ.

— ჰოდა, იმას მოგახსენებდით, ნანის ბევრი ბავშვები ეყოლება, სუყველანი იღრუტუნებენ, იკრუტუნებენ, იხრუტუნებენ. რძესაც ხმაურით, ერთდროულად დალევენ და მთელი დღე მხიარული ღუტუ-ღუტუ-ღუტუ გააყრუებს სახლს...

— ნანის სახეზე შეყინულმა ღიმილმა უეცრად ვარდისფერი შეფერილობა მიიღო. ხელებმა თითქოს პატრონის ჩარევის გარეშე აალაგეს მაგიდა, ზედმეტი ფურცლები სანაგვე ყუთში ჩაყარეს, ქურქსა და ჩანთას წამოავლეს ხელი.

— მივდივარ, — ხმამაღლა თქვა ნანიმ, თუმცა ადგილიდან არ იძროდა, გეგონებოდათ, ვიღაცის ნებართვას ელოდა. უეცრად ადგილს მოსწყდა და თითქმის სირბილით მიატოვა იქაურობა.

როცა მიხვდა, გამვლელთა ყურადღებას იქცევდა, ნაბიჯი შეანელა, ცხვირსახოცი ამოიღო და სახე შეიმშრალა. დაუზოგავად ისვამდა ნაჭერს ლოყებზე, კანი აეწვა. ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს ვიღაცამ სახეში ტალახი ესროლა და, ცდილობდა, სანამ გახმებოდა, მანამდე ჩამოეწმინდა ჭუჭყიანი შხეფები. ახია, ახია შენზე,

ატლიკინე კიდევ ენა, ილაპარაკე, იჭორავე საკუთარ ქმარზე, რას გამოიქეცი შეურაცხყოფილი ქალივით? რისი ღირსიც იყავი, ის მიიღე! აბა რა გეგონა, შენს წუწუნს გულთან ახლოს მიიტანდნენ და ნამუსს შეგინახავდნენ? არა, ისე, კაცმა რომ თქვას, რა გაკლია? გჩაგრავს, გჯაბნის ვინმე?

— მითხარით რამე? — ჩაეკითხა ავტობუსის მომლოდინე ქალი.

ნანი გამოერკვა. გაჩერებასთან იდგა. როგორც ჩანს, ხმამაღლა ლაპარაკობდა. ყოველ შემთხვევაში, გაოცებული შეჰყურებდა მის გარშემო მდგომი რამდენიმე კაცი. ბედად, ავტობუსი ჩამოდგა და ნანიმ ყურადღებით მომზირალ თვალებს იქ მოარიდა თავი.

დედას, როგორც ყოველთვის ემართებოდა ხოლმე, ქალაშვილის დანახვაზე ცრემლი მოადგა. რძალმა მაშინვე ყავა მოუდუღა, იცოდა, ნანის კარგი სიგარეტი ექნებოდა ჩანთაში. მამამ რაღაცნაირი ირონიანარევი კრძალვით მოიკითხა სიძე. ძმამ ერთი წუთით აიღო თავი გაზეთიდან და ორი გაფარჩხული თითით, ჰაეროვანი კოცნა გამოუგზავნა.

სამაგიეროდ ძმისწულები გიჟებივით დახტოდნენ მამიდის გარშემო, თანაც რა მოგვიტანე, მამიდაო, ეკითხებოდნენ.

ნანი ხელცარიელი არასოდეს მოდიოდა და ახლა ოდნავ დაიბნა. თუმცა მაშინვე გაახსენდა, ჩანთაში საღეჭი რეზინი რომ ჭონდა და მაშინვე მოიმადლიერა ბიჭები. ნაყინის ფულიც არ დავიწყებია, რასაკვირველია.

რძალმა მაშინვე კონფიტკაცია ჩაუტარა შვილებს, ოცდახუთმანეთიანი ხალათის ჯიბეში შეინახა, ბიჭები ეზოში გაისტუმრა და ნანის სამზარეულოში შეუძღვა.

— კარგად გამოიყურები, მე კიდევ, ნახე, რას ვგვავარ, ისევ ისე ვარ, — დააყარა სეტყვასავით.

ნანის გაეცინა. ამ ათი წლის განმავლობაში, საკმარისი იყო, მამასთან სახლში მისულიყო, მაშინვე „ისე ვარო“ აწუწუნდებოდა ლალი. რაც იმას ნიშნავდა, რომ გულჩვილი მულისაგან აბორტის ფული მაინც უნდა მიეღო. მისი ძმისაგან ზომაზე მეტად შევიწროებულ ქალს. ნანი ყოველდღე რომ მოსულიყო სტუმრად, ალბათ, ერთი და იგივე სურათი გამეორდებოდა, რადგან საკმაოდ ხელმოკლე ოჯახში მცხოვრები რძალი ყველანაირად ცდილობდა მულისათვის მაინც შეეცოდებინა თავი და ფული გამოეძალა, თუმცა მისგანაც ისედაც არ აკლდა ყურადღება, არც მას და არც მის შვილებს.

— რა ბედნიერი ხარ, შენნაირი ქმარი რო მყავდეს... — სიყვარულით გადაათვალიერა ლალიმ წითელი თუმნიანები და ღრმად ამოიოხრა.

— როგორ ხარ, დედა, — სამზარეულოში მარგო შემოვიდა, მორიდებით ჩამოჯდა სკამზე.

— არ ეტყობა, როგორც არის? გადასარევად! — ლალიმ სიგარეტი ჩააქრო და უკმაყოფილო სახით გაიხედა ფანჯარაში, — ერიდებოდა დედამთილთან მოწევა.

— სარეცხს რეცხავდი? — ნანიმ დედის ცხელი წყლისაგან წითლად დაფუთქულ ხელებს დახედა. დაიხარა, ლოყა დაადო, სარეცხის ფხვნილის მძაფრი სუნი ეცა.

— ჩაბაროს, გენაცვალე, როგორც ყველა ნორმალური ოჯახი აკეთებს, არა, მაინცდამაინც თვითონ რეცხავს.

მარგომ მაშინვე დამალა ხელები.

ნანი წამოდგა.

— დღეს რაღაც ხასიათზე ვერა ხარ. მე მგონი, შენს გასაკეთებელ საქმეს აკეთებენ, მადლობის მაგიერია? — საკმაოდ მკვახედ გამოუვიდა.

ლალიმ გაკვირვებულმა აწკიპა წარბები. არ იყო შეჩვეული მსგავს ტონს, მით უფრო, მულისაგან.

— რა ხასიათზე უნდა ვიყო. ქვეყანა აშენდა, მილიონი კოოპერატივი შეიქმნა, შენი ძმა კიდევ ზის და მეშიდე წელია დისერტაციას ჩხაპნის. „არა შეჯდა მწყერი ხესაო...“

— კოოპერატივის ჩამოყალიბებას

ტვინი უნდა. — სამზარეულოში ლეო შემოვიდა.

— დიახ, სწორი ბრძანდებით, ტვინი. რომელიც თქვენს შვილს არ გააჩნია.

— ტვინი და გაიძვერობა-თქო. მინდოდა მეთქვა, — ხმა შეეცვალა ლეოს, — არაფერი შექმნა, სახელმწიფოსაგან შეისყიდო ხორცი ორ მანეთად და მერე ორმაგად გაყიდო, ესაა საქმე? ამასწინათ მეგობარმა დამპატიჟა ერთ ადგილას, ბორჯომი 50 კაპიკი დაგვიფასეს, გამაგიჟეს კაცი.

— ჩემს შვილზე, უტვინოოო, ჯერ არავის უთქვამს. — ჩაილაპარაკა მარგომ.

— ჰოდა, მე ვამბობ, ჩემზე უკეთ მაგას არავინ არ იცნობს. — თქვა ლალიმ. უხერხული დუმილი ჩამოწვა. მოხუცი ცოლ-ქმარი დამნაშავეებივით მობუზულები რატომღაც სულელური, უაზრო ღიმილით შეჰყურებდნენ ერთმანეთს. ნანის გული მოუკვდა. მის ძმას პატარა ხელფასით ოჯახის შენახვა უჭირდა და ამის გამო ცოლი მტრად ეჯდა ოჯახში, რახანია იცოდა, მაგრამ რძალი ხმამაღლა თუ გამოხატავდა უკმაყოფილებას და დედამთილ-მამამთილს ეუხეშებოდა, ვერ წარმოედგინა.

— საქმოსანს ან ვაჭარს უნდა გაყოლოდი... — დაიწყო ნანამ.

— როგორც შენ, არა? — მოუჭრა რძალმა.

ჩემი ქმარი რომ არ იყოს, საერთოდ შიშველ-ტიტველი ივლიდიო, უნდოდა ეპასუხა და დუმილი არჩია. გელა რა ყალთაბანდი და ძნელი ასატანი პიროვნებაც იყო, თვითონაც კარგად იცოდა. ლუდის სმისა და ნარდის თამაშის მეტი არაფერი აინტერესებდა. ეს დედ-მამას ეგონა, ჩვენი შვილი მეცნიერია და უნივერსიტეტში, კათედრაზე მუშაობსო. თორემ სტუდენტებთან ლაზღანდარობასა და ლამაზი გოგონების თვალების ბრიალში რომ კლავდა დროს, რა იცოდნენ.

— ჩემი სიძე დასაფასებელი კაცია, ოდესაში სწავლობს ასპირანტურაში, — ქალიშვილს გვერდში ამოუდგა მარგო.

— უიმე, ამ გულუბრყვილობის თამაშმა ხომ საერთოდ დამაწყვიტა ნერვები! — ლალი სამზარეულოდან გავარდა და კარი მოიჯახუნა.

— განერვიულებულია, ავადაა დედამისი. — მოიბოდიშა ლეომ.

— ხო, ძაან ცუდად ყოფილა, — დაუდასტურა მარგომ.

— რატომ ჩამოიღო ჩემმა ცოლმა კარი? — გელამ ონკანი ისე მაგრად მოუშვა, წყლის შხეფებით გაწუწა ნანი.

— იმას ვერ კითხე?

— რა ვკითხო, რა, არ იცით, გიჟი როა? რა მოხდა, ერთი გიჟი შევინახოთ ოჯახში, დავუყვავოთ, მოვეფეროთ.

— ეგებ გვემკურნალა ჯობდა?

— ვერ მოარჩენენ, მძიმე შემთხვევაა, — გაეცინა გელას.

— ვეცადოთ მაინც, — გაჭირვეულდა ნანი.

— ე, თქვენ რო არ ჩხუბობდით არასდროს ახლა რა დაგეტაკათ? — გულწრფელად გაიკვირვა უმცროსმა ძმამ.

— ყელში ამომიყვანა, ისე ელაპარაკება ამათ.

გელამ მშობლებს გადახედა. ისევ მოუშვა ონკანი, წყალი დალია, მამასაც მიაწოდა. ლეომ მაშინვე ჩამოართვა ჭიქა, თუმცა, ეტყობა, არ წყუროდა, მაგიდაზე დადგა.

—გავეყრები, — თქვა გელამ. — ოღონდ გაფრთხილებთ ავეჯი სულ მაგის მოტანილია, ჩვენი რაც იყო, გადაყარა. წინდახედული ქალია, — იატაკზე მოგვიწევს სადილობაც და ძილიც.

მარგომ, როგორც ჩანს, სერიოზულად მიიღო შვილის სიტყვები. ოჯახის დანგრევა როგორ შეიძლებაო, გაასავსავა ხელები. ლეოც აღელდა, წყალი დალია. — დღესვე ორივეს ჩემთან გადავიყვან. — ნანის სიბრაზისაგან ტუჩები გაულურჯდა. სერიოზულ ლაპარაკს ყოველთვის გაურბოდა გელა, შტერივით სულ გასაცინებლად ჰქონდა

მომზადებული ტუჩები და შეიძლება ამიტომაც იბრიყვებდა ცოლი.

— წაიყვან არა... იცი, ფილოლოგიურის პირველ კურსზე ბავშვი მიიღეს, რო ნახო, დაიშოკები...

ნანი სამზარეულოდან გავიდა.

— არ წახვიდე დედა, შენი საყვარელი ტოლმა მაქვს, ვაზის ფოთოლში, — ფეხდაფეხ დაედევნა მარგო.

— ერთი წუთით შემოდი, რაღაც უნდა გითხრა, — დერეფანში შეეგება ლალი, როგორც ჩანს, მიხვდა, რამდენად არახელსაყრელი იყო მულთან, მით უფრო, მდიდარ მულთან ჩხუბი.

— სხვა დროს, — გადმოუგდო ნანიმ და კიბეზე დაეშვა.

მარგომ გამოაცილა. დარჩი, ტოლმა ერთად ვჭამოთ, ეხვეწა. ნანის ჩქარი სიარული ეუხერხულა, ნაბიჯი შეანელა. მიხვდა დედამისს რაღაცის თქმა უნდოდა, თორემ გაბრაზებული ქალიშვილი სადილის გულისათვის უკან რო არ მიბრუნდებოდა. მშვენივრად იცოდა.

— რა იყო, დედა, მოხდა რამე?

— არა, არაფერი ისეთი. წეღან რომ თქვი, ჩემთან წავიყვანო... — მარგო გაჩუმდა, იქით-აქეთ მიმოიხედა, მეზობლებს ხომ არ ესმინ რამეო.

ნანის ყელში მოწოლილმა სიმძიმემ მეტყველების უნარი დაუკარგა.

— ასე ცუდად ცხოვრობთ, დედი?

— არა, არა, ნანი. ფუტკიანია, თორემ არა აქვს ცუდი გული. პენსია რომ არ მაქვს, იმაზე მსაყვედურობს ხშირად. მთელი ცხოვრება უქმად გაატარეთო და მე ვარ უსაქმური?

— ხვალ მოვალ, დედა, ხვალ მოვალ და ორივეს წაგიყვანთ.

— ისე, ცოტა რომ მოგვინატროს, დროებით, თორემ ბავშვებს დიდი ხნით ვერ დავტოვებ, მოკლავს შიმშილით.

— შენ მაგაზე ნუ იდარდებ, რაც უნდა, ის ქნას, ხვალ მოგაკითხავთ, ექვსი საათისთვის.

წელმოწყვეტილი მიუყვებოდა ქუჩას. ესღა აკლდა. არ ახსოვს, დედამისს საყვედური დასცდენოდეს რძალზე. ახლა ისეთი რამ წამოსცდა, ეტყობა, მართლა ძალიან გაუჭირდათ ერთ ჭერქვეშ ცხოვრება. ისიც გოგისთან შეუთანხმებლად დაპირდა წამოგიყვანთო. უარი რომ უთხრას ქმარმა, მაშინ?

რამდენიმე წლის, და შეიძლება თვის, წინათაც იქნებ სიამოვნებით დათანხმებულიყო, მაგრამ იმის შემდეგ, რაც ნანიმ თენგოზე დაიწყო ფიქრი, ოჯახში თითქოს რაღაც ხდებოდა. გაბუტულებივით ხმას არ სცემდნენ ერთმანეთს. თუ ადრეც იგივე მდგომარეობა იყო და ნანი ვერ ამჩნევდა, რატომღაც ვეღარ იხსენებდა. წლები, თვეები, დღეები და საათებიც კი ისე ჩამოგავდნენ ერთმანეთს, როგორც ინკუბატორში გამოჩეკილი წიწილები. ღია ყვითელი ფერის, უღიმღამო იყო ყოველი გათენება. მხოლოდ გოგის საჩუქრები გამოირჩეოდნენ მრავალფეროვნებით და დროთა განმავლობაში სულ უფრო მეტად ძვირდებოდნენ. ცოლად რატომ წაყვა, ახლა იმასაც ვერ გეტყოდათ დანამდვილებით. ისე, სტუდენტობის დროს, მოსწონდა სიმპათიური გარეგნობის, მოდურად, თუმცა ოდნავ მაზალოდ ჩაცმული კაცი, რომელსაც მეგობრები მოფერებით „სერვილატოვიჩს“ ეძახდნენ. სერვილატოვიჩი ხორც-კომბინატში მუშაობდა, კერძოდ, ძეხვეული ჰქონდა ჩაბარებული. როგორ ართმევდა სამუშაოს თავს, ნანიმ, რასაკვირველია, არ იცოდა, სამაგიეროდ, ფულის „ტეხნოლოგიაში“, როგორც მისი ნაცნობები ამტკიცებდნენ, ბადალი არ ყავდა.

პირველად მაშინ დალია შამპანური, როცა სერვილატოვიჩმა ბარში დაპატიჟა. ზედმეტი მოუვდა. ცუდად გახდა. მერე სახლში მისვლა მოერიდა და გოგისთან დარჩა. ისე ლეკვივით მისდევდა კიბეზე უცხო მამაკაცს, თითქოს არაფერი განსაკუთრებული არ ხდებო-

---

ქეთევან მელიქიძე
შემცირება

და. ვითომ მთელი ცხოვრება სწორედ ასე გაატარა. დათვრებოდა სადმე და მერე მასპინძელს მიყვებოდა სახლში. სერვილატოვიჩმა გულმოდგინედ დაბანა პირი, ტახტზე დააწვინა. ზედ უზარმაზარი, ბანჯგვლიანი რაღაც გადაიფარა. თვითონ მეორე ოთახში გავიდა დასაძინებლად და თანაც ხმა არ ამოიღო, ხვალ დილით 6 საათზე სამსახურში უნდა ვიყოო. გააფრთხილა. ის ღამე კი გაატარა მშვენივრად, მაგრამ დილით უცხო, ცარიელ სახლში რომ გამოეღვიძა, შიშისაგან ტირილი დაიწყო. ჯერ წასვლა დაუპირა, მერე გადაიფიქრა, რა უნდა ეთქვა მშობლებისათვის. ღამე სად გავატარეო. ამიტომაც დაცდა ამჯობინა. ცოტა ხანში მოშივდა. გემრიელი კერძებით სავსე მაცივარი რომ აღმოაჩინა ბავშვივით შემოჰკრა ტაში. იმდენი ჭამა, კინაღამ ცუდად გახდა. მერე მშვენიერ აბაზანაში იბანავა. ტელევიზორს უყურა...

სერვილატოვიჩს ისე გაუკვირდა მისი დანახვა, თითქოს პირველად ხედავდა. ბოლოს მოდი, „პახმელიაზე" ერთად გამოვიდეთო, შესთავაზა. რკინის ყუთებში დაბეჭდილი ლუდი გაუხსნა, თანაც სახლში რატომ არ მიდიხარო, ეკითხებოდა, ღმერთი-რჯული შენთვის ხელი არ მიხლია, არც არაფერს დაგპირებივარო. „გიჟი ქორწილში მოხვდა, ჩემ სახლს აქა სჯობიაო", უტიფრად იცინოდა ნანი და გულში ამბობდა. მართლაც ასეა, ჩემს გატიალებულ, უაზეჯო სახლს, რასაკვირველია, აქაურობა სჯობიაო. ძალაზე ხარო? უკვირდა სერვილატოვიჩს და, ალბათ, იმ საღამოს დაუპატიჟებელ სტუმარს სახლში წააბრძანებდა, ნანის მშობლები რომ არ მოვარდნილიყვნენ გულგახეთქილები, ორი ჩაპუტკუნებული მილიციელის თანხლებით.

ნანამ საკვირველად სწრაფად აითვისა მდიდარი, მრავლისმნახველი ახალგაზრდა ქალის როლი. მშვენივრად მოირგო ძვირფასი ბეწვეულიც და ბრილიანტებიც. თითქოს მთელი ცხოვრება ფუფუნებაში გაეტარებინოს. გულგრილობისა და ინდიფერენტულობის ნიღაბიც ვიღაც სიმპათიური მსახურისაგან ისესხა, სახეზე ღიმილივით მოირგო და სიამოვნებით აღნიშნავდა, რომ ის მამაკაცები, რომლებიც ადრე ყურადღების ღირსად არ თვლიდნენ, მგლებივით ყმუოდნენ მის დანახვაზე.

მშობლებთან ურთიერთობაც რაღაც სხვანაირი გახდა. სიმდიდრე თითქოს მაგიური ძალით მოქმედებდა მათზე. ქალიშვილს მოწიწებით ეპყრობოდნენ და ესაუბრებოდნენ, რჩევასაც კი ეკითხებოდნენ. დედამისი ისე იყო მისი გათხოვებით დაბნეული, რომ აღარ იცოდა, გახარებოდა თუ წყენოდა ქალიშვილის უეცარი გაბედნიერება.

მოულოდნელად ნანი თითქმის ყველა ამხანაგის მეჯვარე და ბავშვის ნათლია გახდა. სასურველი სტუმარი, რასაკვირველია, მეუღლესთან ერთად, რომელსაც „კაცური" საჩუქრისათვის ფული არ ენანებოდა.

როდის გაათია სევდამ ღამე ბედნიერ ცოლ-ქმარს შორის, ნანის არ ახსოვს. პირველად შვილი რატომ არ გყავსო, შეეკითხა ჩურჩულით ქალს და გული ატკინა. მერე შენი მშობლები ერთ მტკაველა ოთახში რატომ ათევენო ღამეს, აუპარპალა ლოყები. დიპლომი რად გინდოდა, თუ არ იმუშავებდი, ამოდენა ქალი რისი მაქნისი ხარო, გამოლანძღა ბოლოს.

ცოლის მოწყენა სერვილატოვიჩმაც შეამჩნია. მიზეზი არ უკითხავს. შეეცადა სამსახური მოეძებნა შესაფერისი. რწყილი და ჭიანჭველას ზღაპრის არ იყოს. ახტა-დახტა, საქმეში „სუკები" ჩარია და ადგილი გამოძებნა. სპეციალობით ვერა, რასაკვირველია, მაგრამ, სამაგიეროდ, ნანის საქმე გამოუჩნდა, ტანსაცმლის დემონსტრირების საშუალება მიეცა, სტიპენდიის შემდეგ პირველად მიიღო თავისი „საკუთარი" ფული და მაშინვე გახალისდა, საქმიანი ქალის იერი მიიღო.

ბრილიანტებმა, რასაკვირველია, სასურველი შედეგი გამოიღეს — მთელი დაწესებულება ნანიზე ალაპარაკდა.

ლამაზი თვალებიც არ დარჩენილა ყურადღების გარეშე ახალგაზრდებით დაკომპლექტებულ გრაფიკის განყოფილებას. ქალი მოფერებამოწყურებულივით ისრუტავდა კომპლიმენტებს და არავის ყურადღებას არ აქცევდა. სამსახურის შემდეგ შინ წასვლას ჩქარობდა. ვიდრე, ერთ მშვენიერ, ახალი წლის წინა დღეს, ნამდვილ ნაძვის ხეს არ ინატრებდა. სერვილატვიჩს კი არ მოსთხოვა მომიტანეო, სამსახურში, თანამშრომლებთან ინატრა ფიფქიასავით.

ნამდვილი თოვლის პაპის დანახვაზე, ალბათ, ისე არ გაოცდებოდა, როგორც თენგოს დანახვამ გაუფართოოა თვალები. თორმეტ საათს რამდენიმე წუთიღა უკლდა ზარმა რო დარეკა. ნანიმ სტუმრებით სავსე მაგიდა მიატოვა და კარის გასაღებად წავიდა. გამდნარი ფიფქებისაგან გალუმპულ თენგოს, ხელში საკმაოდ დიდი ზომის ნაძვის ხე ეჭირა. ტყის, ყინვის, ნაძვისა და ბავშვობის სურნელი დატრიალდა დერეფანში და „მალბოროს“ ბოლით გაჯერებული სითბო პანღურის კვრით გაადო გარეთ.

შეჭირხლული ტოტების შუაგულში თენგოს ყინვისაგან დამწვარი ხელი მოჩანდა. ნანიმ თავისი თითების სითბო მიუშვირა, ასანთის ღერივით თხელი და მსუბუქი. იდგნენ ასე რამდენიმე წუთი. არა, წამი. რასაკვირველია, წამი, განა შეიძლება რამდენიმე წუთი გრძელდებოდეს ბედნიერება?..

გოგის მანქანას შორიდან მოჰკრა თვალი და არ ესიამოვნა. მაინცდამაინც დღეს მოუნდა ადრე მოსვლაო, გასკდა გულზე. დერეფანში ქალის ხმა მოესმა, მაშინღა გაახსენდა, დედამთილი უნდა ჩამოსულიყო სოფლიდან და კიდევ უფრო მეტად მოეშხამა გული. არა, დედამთილი არ სძულდა, მაგრამ არც უყვარდა, უბრალოდ, პირველი შეხვედრიდან აყოლილი უხერხულობის შეგრძნება ვერაფრით ვერ მოიშორა. ნახვისთანავე ორივემ ინტერესით დაათვალიერეს ერთმანეთი და, უეცრად, ჩემი შვილი თუ გიყვარსო, თვალებში ჩახედა ნანიმ. არაო, დაბნეულობისა და მოუულოდნელობისაგან რატომღაც მართალი თქვა ქალმა და იმის შემდეგ, ორივენი შეთქმულებივით ეჩურჩულებოდნენ ერთმანეთს. რაღაც თამაშისმაგვარი გამოსდიოდათ ყოველ შეხვედრაზე. არც ახლა შეგიყვარდა ჩემი შვილიო? კითხულობდა დედამთილი და ცოტაღა მაკლიაო, სიცილით პასუხობდა რძალი. მერე ოთახებს მოივლიდა ნანული, ყველა კუთხე-კუნჭულს კატასავით ფრთხილად მიეპარებოდა, ახალ ნივთს გულმოდგინედ დაათვალიერებდა, ხელს შეავლებდა, თითქმის დაყნოსავდა და ფასსაც იკითხავდა. მართლაო? არ დაიჯერებდა პასუხს, წარბებს შეიკრავდა და რამდენიმე წამის შემდეგ გემრიელად ახარხარდებოდა. ბიჭო, ნუ ასულელებ, ფულს ნუ აყრევინებ ამ ქალსაო, სიცილით საყვედურობდა შვილს. უხარია და გიშლის რამეს, ლამაზია, იყოსო, ზუსტად დედამისივით ხარხარებდა გოგო. ნანის ნერვები ეშლებოდა, თუმცა დედა-შვილი ისე გადამდებად იცინოდა, თვითონაც თავს ვეღარ უყრიდა ტუჩებს. ანტიკვარი ყოველთვის გაიყიდება, თუ გაგვიჭირდა, გავყიდითო, ჭირვეული ბავშვივით აბაკუნებდა ფეხებს იატაკზე. ამაში მოგცემენ ათას მანეთას? შენნაირი სულელი ბოშუნაი ერთი იპოვნეს, თორემ მეორეს საღღა ნახავენო, თვალებზე მომდგარ ცრემლებს იმშრალებდა ქალი და ახლა კედლებზე ჩამოკიდულ სურათების თვალიერებას იწყებდა. ნანი სამზარეულოში გადიოდა და ახლა იქიდან ისმენდა დედა-შვილის უაზრო, თავშეუკავებელ ხარხარს. მარტოს დიდხანს არ ტოვებდნენ. დედამთილი თითქმის მაშინვე გამოაკითხავდა და თამაში გრძელდებოდა. ბოლო, ყველაზე უსიამოვნო კითხვა რჩებოდა. მძიმედ ხომ არა ხარო, ჩუმად შეთქმულივით დაიწყებდა ჩურჩულს და, პირიქით, ძალიან მჩატედა ვარო, პასუხობდა ნანი. ახლა მისი ჯერი იყო, შემ-

ცბარი ქალის თვალიერებით დამტკბარიყო და ჩქარობდა, დაბნეულობის რამდენიმე წამი თავის სასარგებლოდ გამოეყენებინა, თორემ ერთი წუთის შემდეგ ისე ატკარცალდებოდა დედამთილი, თითქოს იღლიის ქვეშ ულიტინებდნენ.

მერე ლობიანებს გააცხელებდნენ, ლორს მოხარშავდნენ და სადილად დასხდებოდნენ. ერთ თეფშზე ათამდე ლობიანს დატევდა ნანული, უზარმაზარი დანით ღრმად, თითქმის ძირამდე ჩადიოდა და სანამ, უკანასკნელ ნამცეცებს არ ააცლიდა თეფშს, ჩუმად ჭამდნენ დედა-შვილი. რაღაც ნანისათვის უცნობ რიტუალს ასრულებდნენ თითქოს. აი, სამაგიეროდ, საჭმლის შემდეგ ისევ აიყოლიებდა დედამთილს სიცილი და შვილიც მაშინვე ბანს აძლევდა. ამ ქალის გაცნობამდე, უფრო სწორად, ამ ოჯახში შემოსვლამდე ნანისაც ისე უყვარდა ლობიანი, დღედაღამ, გამოაცხვეო, ეხვეწებოდა დედამისს. სამაგიეროდ, ახლა ჭირივით სძულდა და დედა-შვილი ნადიმს რომ გამართავდა, მერე მარხვაზე ვარო, კურდღელივით უმ კომბოსტოს ახრამუნებდა. აბა, ჩვენ ვჭამთ და შენ ცოდვები მოინანიეო, იჭაჭებოდა დედამთილი და ლორის მსუქან ნაჭრებს უწყობდა თეფშზე შვილს.

მარხვაზე იყო კი არადა ძალიანაც შოიდა, მაგრამ ეს შიმშილობა პროტესტის გამოხატვის ერთადერთი საშუალება იყო, დედამთილის უაზრო მხიარულებისა და ქმრის ღიპის საწინააღმდეგოდ მიმართული და ცდილობდა, აუცილებლად სამაგიეროს გადახდის მიზნით გამოეყენებინა. ვითომ, მარტო მუცლის ამოვსებაში არ არის ბედნიერება, ჩვენი წინაპრები ამ დროს მარხვას იცავდნენ და იმათ უკეთ იცოდნენ როდის რა უნდა ეკეთებინაოო. ამაოდ. იმათ ვერაფერს შეასმენდა კაცი. გამალებულ ჭამას განაგრძობდნენ, თითქოს ქალაქი ალაყში იყო მოქცეული და ვიღაცის წყალობით მორთმეულ ძღვენს გამგელებულები ნთქავდნენ. ნანი მშიერი დგებოდა მაგიდიდან და დედამთილის მხიარულებებებს ისმენდა. ეგ ღარიბი ხალხი შიმშილობდა, თორემ მდიდრებს არაფერი არ აკლდათო. ნანი ჩუმდებოდა. არ ღირდა დედამთილთან კამათი. მაინც ვერაფერს შეასმენდა.

ნანის ხანდახან ეგონა, ეს დედა-შვილი საჭმელ-სასმელად და სახარხაროდ გააჩინა ღმერთმაო. ნანული დიდხანს არ სტუმრობდა, მეორე დღესვე უკან ბრუნდებოდა სოფელში. სამაგიეროდ, სიცილის გამოულეველ მარაგს ტოვებდა შვილის არსებაში და ცოლის ყოველ სიტყვასა თუ საქციელს აკომპონენტივით ახლავდა გოგის გულიანი, უტვინო ხარხარი.

კარი მაშინ შეაღო, დედამთილი ახალი სარკის ფასს რომ კითხულობდა ძროხაზე მეტი ღირს, იწველება თუ რა არიო, ესმოდა ქალის ხრინწიანი, ხველანარევი სიცილი. გაციებული ყოფილაო, რატომღაც ესიამოვნა ნანის და დედამთილს გადაეხვია. სხვა დროს ცივი უგემური კოცნითაც დაკმაყოფილდებოდა, მაგრამ ახლა დროება შეიცვალა. — დედ-მამა თავისთან უნდა გადმოიყვანა საცხოვრებლად. უმზითვო და უშვილო რძალს კიდევ ორი სული უნდა შემოესახლებინა ქმრის ოჯახში და ამიტომაც მეტი მოთმინება და მორიდება, თუნდაც სიყვარული მართებდა. სხვა კაცის სიყვარულზე, ოჯახის დანგრევასა და მსგავს სისულელეებზე ფიქრის დრო აღარ იყო. სარეცხისა და ქვაბების ხეხვისაგან ხელებგადატყაულ დედამისს სიბერისას ტუტუცი რძალი უსაქმურობას საყვედურობდა, პენსია არა გაქვსო, აყვედრიდა, და ახლა ქალიშვილისაგან ელოდებოდა გამოსარჩლებას საწყალი. ნანიმ დედამთილის საფუარივით გაფუებულ სხეულს თვალი აარიდა. ოო, როგორ არ გავდა იგი დედამისის ლავიწამოჩრილ გულ-მკერდს.

ხელის გულზე რომ ატარებ, რითი მოგეწონა ეს ბოშუნაო, მოესმა. შვილს ეხუმრებოდა ნანული. შენ გახდილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

უნდა ნახოო. იქაჟებოდა ისიც. ნანიმ სარკეში შეათვალიერა თავი. ნაღვლიანი თვალები დროებით თავის ორეულს დაუტოვა, გაკრიალებული კბილები მგლის ეშვებივით გაიშიშვლა, ჩაცმულიც ორივეს გჯობივართო, განაცხადა და ისეთი ცივი ხმით აკისკისდა, უცებ გაჩუმებულ, დაბნეულ დედაშვილს ცივი წყალი გადაასხა...

ნანის წასვლის შემდეგ ოთახში უხერხული სიჩუმე ჩამოვარდა. თითქოს საქმეც მაშინვე გამოუჩნდა სუყველას. თენგომ დირექტორის „შეკვეთის“ დამზადება გააგრძელა, მერე ხელი მოუსვა და ერთიანად ძირს გადაყარა ყველაფერი. სამაგიეროს გადახდა უნდოდა, ჩამწარებულ კვირადღისთვის და ვერ მოზომა, ზედმეტი მოუვიდა. ხვალ მთელი ინსტიტუტი ნანიზე იჭორავებდა. ტყუილად ხომ არ დადიოდა მადლენა ბიბლიოთეკაში, სხვის ჭუჭყიან თეთრეულში იქექებოდა.

ზანდა წამოდგა. თენგოს მაგიდიდან გადმოყრილი ნივთები მოაგროვა, დღეში სამჯერ ვალერიანის წვეთები დალიე, დაგამშვიდებსო, ურჩია. კაცმა ერთი კი შეუბღვირა და ფიქრი განაგრძო. კვირადღეს იხსენებდა. ვეროფრით ვერ ამოეცნო უარის მიზეზი. რაღაც შეეშალა, გასაგებია, მაგრამ რა?

თავდაპირველად არც მოსწონებია ნანი. ზედმეტად ჩაპუტკუნებული, თავდაჯერებული ეჩვენა. ძვირფასმა ბეჭდებმა და ტანსაცმელმა კიდევ უფრო მეტად გააღიზიანა. თვალების შეღებვა და თმის დავარცხნა რომ დაიწყო სამსახურში, ამან მთლად გააცოფა, არაფრად არ გვაგდებსო. არადა, ყურადღებას მიჩვეულ კიარადა, ნარცისად წოდებულ თენგოს (რომელიც ყოველ წელს ბაკურიანში საახალწლო მეჯლისზე „მისტერ ბაკურიანად“ ინათლებოდა) ქალის უყურადღებობა არ მოსწონდა. ბიჭებსაც მაინცდამაინც არ ეპიტნავებოდათ ნანი, მათი თანატოლი კი იყო, მაგრამ იმდენად განსხვავდებოდა სხვა, „სტილში“ მყოფი ნაცნობი გოგონებისაგან (რომლებიც გამოხუნებულ შარვლებსა და სიგარეტს წევაში ატარებდნენ უსაქმობისაგან გახუნებულ დროს). რომ ძალაუნებურად თქვენობით მიმართავდნენ. თუმცა ძალიან მალე დამეგობრდნენ. ნანის უშუალობამ და კეთილმა ღიმილმა შემოიარიგა ბიჭები. ყავაც მის გარდა ინსტიტუტში თითქმის არავის ჰქონდა და გამასპინძლებაზეც არ იყო უარზე.

თენგოს, ეგრეთწოდებული, ჩავარდნის „პალასა“ ჰქონდა. გამოსაზამთრებლად მამიდა ჩამოუვიდა სოფლიდან და საკუთარი ოთახი დაიკავა. თენგო ახლა სამზარეულოში, პატარა ტახტზე ათევდა ღამეს და ჯიბის დანასავით მოკეცილს დილით წელის გამართვა უჭირდა. ქალების მიყვან-მოყვანაზე, ბიჭებთან ქაღალდის თამაშსა და დალევაზე, ტელევიზორის ყურებაზეც კი რამდენიმე თვით უარი უნდა ეთქვა. არადა, სად შეიძლება წავიდეს უფულო კაცი საღამოობით ზამთარში? არსად, რასაკვირველია, თუმცა უფულო კაცი ვერც ზაფხულობით ატარებს დროს მაინცდამაინც. მოკლედ, ახლა დათვივით პირში თათი უნდა ჩაედო და ზამთრის ძილს მისცემოდა, სანამ მამიდას საგაზაფხულო საბუქმაოები სოფლად არ მოუხმობდნენ.

მერე ნანიმ, უფრო მოწყენილობისაგან, ალბათ, საახალწლოდ ნაძვი მოინატრა და თენგომ ორი ღამე ათია გამარჯვების პარკში. მილიციელები დარაჯობდნენ თუ თვითონ იყო ჩასაფრებული, როდის წავიდოდნენ წესრიგის დამცველები დასაძინებლად, კარგად აღარც კი ახსოვს; ბოლოს, როგორც იქნა, მარტოდ დარჩენილმა სიმწრით მოჭრა პატარა ნაძვი. ნაჯახი შეუჩვეველმა ხელმა ერთი ორჯერ ფეხში დრუზა და კოჭლობით, ლანძღვა-გინებით ძლივს მიაღწია ნანის სახლამდე. სადარბაზოში ნაძვს პალტო შემოაცალა, თვითონ ჩაიცვა, სიცივისაგან ხურდასავით აწკარუნებული კბილები და ნიკაპი ხელით შეაჩერა და ზარი დარეკა. თანაც ფიქრობდა, თუ ქმარმა გამიღო კარი, იმ მეყასბეს სულაც მივ-

ყიდი ნაძვსო. კარი ნანიმ გაუღო და თენგო მაშინვე მიხვდა, ტყუილა არ უთვია ღამე პარკში. ამქვეყნად არ არსებობდა ისეთი საჩუქარი, ქალზე (იმ წუთში მაინც) ნატვრის თვალის შელოცვილივით რომ იმოქმედებდა.

ერთი თვე ქუჩა-ქუჩა იხეტიალეს და ბოლოს წახნაგამ ათხოვა ბინის გასაღები.

ნანის, როგორც ჩანს, კაფეებში სიარული, წყალწყალა ყავის სმა, უცნაურად ჩაცმული ახალგაზრდების თვალიერება და „როგორ დავბერდი, როგორ დავბერდიო". წუწუნი უფრო სიამოვნებდა. უხალისოდ მოავლო თვალი პატარა ოთახს. სკამიც არსად იყო, თითქოს განგებ მეზობელმა ითხოვა წინა დღით. მაგნიტოფონი წახნაგას წაეღო, ფირფიტებიდანაც თარხნიშვილის გუნდიღა იყო დარჩენილი. შამპანურიც ვერაფერში ჩაასხა, ჭუჭყიანი ჯამ-ჭურჭელით ამოვსებული იყო სამზარეულო, ვერც გარეცხეს, წვეთი წყალი არ მოდიოდა. ყავასაც ვერ მოადუღებდნენ, აქედან გამომდინარე, თენგო მაღაზიაში გაიქცა, წყალს თუ არა, ბორჯომს მაინც ვიყიდი, ჭიქებს გავრეცხავო. სამ წუთში დაბრუნდა. ოთახი ცარიელი დაუხვდა.

გვიან მიხვდა, ქალი ზურგსუკან დარჩენილი წლების დაბრუნებას ცდილობდა, რაც ქალიშვილობაში დააკლდა, იმის შევსებას. ამიტომაც სიამოვნებდა ქუჩა-ქუჩა ხეტიალი, გაყინული თითების გათბობა სხვისი პალტოს ჯიბეში. ჯვრის მონასტრის ხელმეორედ მონახულება, გაყინულ მთაზე ღოღიალი, ნაცნობებისაგან პალტოს საყელოთი თავის დაფარვა, პატარა გოგოსავით მშობლებისგან ფარულად პაემანზე სიარული. ათასგვარი საბაბით საღამოობით სახლიდან გამოსვლა, სამსახურის საათების კინოთეატრში გატარება სკოლიდან გამოპარულ მოსწავლეებთან ერთად. უამრავი სულელური, ქალის ყურისათვის სასიამოვნო სიტყვების მოსმენა, რომელსაც, თენგო მზესუმზირას ჩენჩოსავით უხვად აყრიდა თავზე. სასიამოვნო, არაფრისმთქმელი გაცლილ სიტყვებს, ფერითაც მზესუმზირის ჩენჩოს რომ ჩამოჰგავდნენ, გარედან შავი, ბნელი მიზნისკენ მიმართული და შიგნიდან ქათქათა თეთრი, რომელიღაც წიგნიდან ამოკითხული და რატომღაც, ნებით თუ უნებლიეთ, დამახსოვრებული. ცარიელ სახლში მამაკაცთან დარჩენა კი უკვე იმ საზღვრებს სცილდებოდა, მსუბუქ ფლირტს რომ შემოახვია ნანიმ ღუნღულა, ფაფუკი ძაფით და ამიტომაც უფრო ღრმად შეტოპვას უკანდახევა ამჯობინა. ყველა ერიდება ცხოვრების გართულებას, მით უფრო, თუ გრძნობენ, რომ ის, ახალი გატაცება, მაინცდამაინც არ ჩამოჰგავს თეთრ სიზმარში ნანახ რაინდს.

ოთახში განყოფილების გამგე შემოვიდა და ელექტროღუმელი, მაგნიტოფონი და გიტარა დაიბრუნა.

— შესვენებაზე გამოიყენეთ, მერე ისევ უკან წავიღებ, — გააფრთხილა თანამშრომლები.

— მეგონა, წახვედით, — ფეხდაფეხ შემოჰყვა მადლენა, — მინდოდა, ჩემი ბიჭი გამეცნო თქვენთვის, გაკვეთილები გაუცდა და მომაკითხა.

ბრტყელთავა, ამრგვალთვალებიანი ემიკო, ეტყობა, ღელავდა. წითლად უპრიალებდა ლოყები. იმდენად უშნო იყო, ზანდაც კი ვერ მოეფერა, რომელსაც ყველაზე მეტად ამქვეყნად ბავშვები უყვარდა.

— დაა, — თითქოს რაღაც ეწყინა ოთარსაც, მოიღრუბლა. — უცხოელების მოსვლამდე გყავდეთ და მერე სახლში გაგზავნეთ.

უცხოელების სანახავად დავტოვე, ტელევიზიას ელოდებიან და შეიძლება გადაიღონ, — აღელდა მადლენა.

— გადაიღონ? — გაუკვირდა ოთარს, — თუმცა შეიძლება გადაიღონ კიდევაც. ეშმაკმა დასწყევლოს რეჟისორების თავი და ტანი. იმისთანა სიფათებს ნახავ ეკრანზე, გაგიჟდები.

მადლენა გაიბადრა, ემიკოც.

— წამომყევით, პლანშეტები უნდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოვფინოთ სააქტო დარბაზში. დიდი დიღმის ახალი პროექტები, სწორედ ეგ აინტერესებთ თურმე უცხოელებს, თანამედროვე არქიტექტურის პრობლემებს როგორ ეწყვეტთ, — მიმართა ბიჭებს.

ემიკო მაშინვე დაუძვრა დედამისს ხელიდან.

— თავი არ მაძებინონ, თორემ მიგასიკვდილებ! — დაპირდა მადლენა.

ოთახში არავინ იყო. გულახდილი საუბარი შეიძლებოდა და ზანდამ და მადლენამ გულიც და ენაც ერთდროულად მოიფხანეს. ჯერ ნანი გალანძღეს, მერე თენგო, მერე ორივე ერთად და ბოლოს, გაუგებარი მიზეზების გამო, ორივე ისე შეებრალათ, კინაღამ ატირეს ერთმანეთი.

ემიკო ოთახში დაბრუნდა. გიოს მაგიდიდან საღებავები აიღო და კისრისტეხით გავარდა გარეთ.

— ოთარი დააბარებდა, — მიხვდა მადლენა, — ისეთი გულისხმიერია, ვენაცვალე, ოღონდ რაიმე თხოვე და...

ოთახში მხარზე ჰალსტუხგადაგდებული, სირბილისაგან აქოშინებული პარტკომი შემოვარდა და ცარიელი მაგიდების დანახვაზე გულზე იტაცა ხელი.

— სააქტო დარბაზში არიან, პლანშეტებს ამაგრებენ, — მიაშველა სიტყვა ზანდამ.

— გამოვშტერდი სულ, მართალია, იქიდან მოვრბივარ ახლა, რომ შემოვლენ, ადგილებზე გაქვავდნენ, დელეგაცია მოდის.

— ხვალამდე გაქვავებულები იყვნენ? — ემიკოსავით დაუმრგვალდა თვალები მადლენას.

— ხვალამდე რატო, ადამიანო, შეცვლილა რაღაცა, დღეს სადაც უნდა მიეყვანათ, საღებავები არაა გამშრალი და ხომ არ დასცრიან ხალხს.

— ჩვენ ყველაფერი მოვასწარით?

—ბანკეტის გარდა. ფულს დაგირიგებთ ისევ უკან.

— ტუალეტიც გახსნილია?

პარტკომი შეფიქრიანდა. როგორც ჩანს, ეს ერთერთი უმთავრესი წერტილი ტურისტული მარშრუტისა მხედველობიდან გამორჩა. ძაღლის ენასავით გვერდზე მოღრეცილი ჰალსტუხი მჯიღში მოიქცია და სირბილით გავარდა ოთახიდან:

— თუ ვერ მოასწრეს გახსნა, მოგვეჭრა თავი, — შუბლში ხელი იტკიცა მადლენამ.

— არა უშავს, მოითმინონ, ჩვენ ორი კვირაა ვითმენთ, — დაამშვიდა ზანდამ.

ქალები ფანჯარასთან მივიდნენ. ქუჩის თვალიერება დაიწყეს, უცხოელები, ალბათ, „იკარუსით“ მოვიდოდნენ. პარტკომი ისე დარბოდა, ეტყობა, საცაა გამოჩნდებოდნენ. ავტობუსი იგვიანებდა სამგიეროდ, სასწრაფო დახმარების წითელჯვრიანმა მანქანამ უკლო სვლას და მათი ინსტიტუტის წინ შეჩერდა. იქიდან გადმოსულმა თეთრხალათიანმა ქალებმა დარაჯს რაღაც გადაულაპარაკეს და შენობაში შევიდნენ.

— დირექტორი გახდებოდა ცუდად, სუსტი გული აქვს, — შეიცხადა ზანდამ.

—მერე? ჩვენი დირექტორი კვდება და ჩვენ რას ვაკეთებთ აქ? — ხელები გაასავსავა მადლენამ და ოთახიდან მოუსვა. ზანდა არ გაჰყოლია, პარტკომის მითითების თანახმად ადგილზე გაქვავებული დარჩა. ამიტომაც პირველმა შეამჩნია კრიალა „იკარუსი“, რომლიდანაც მყვირალა, ლამაზ ფერებში გახვეული რამდენიმე კაცი გადმოვიდა.

მადლენას დირექტორის კაბინეტთან მისვლა არ დასცალდა. კიბეზე თენგოს შეეჯახა, რომელიც აბღავლებულ ემიკოს საშრობივით მსუბუქად მოაფრიალებდა მელანივით გალურჯებული მარჯვენა ყურით.

— სანამ ჩვენ სააქტო დარბაზს ვალაგებდით, გენერალურ გეგმაზე საღებავებით სახლი დახატა. ძაღლით, ვენახით და კვამლიანი ბუხრით, — მიახალა გაოგნებულ მშობელს თენგომ.

— ცუდად ვინაა?

— დირექტორი, გაგიჟდა კაცი.

როგორც ჩანს, მადლენას პენსიის დანიშვნასთან ერთად, ე. ი. რამდენიმე თვეში, აუცილებლად დაითხოვდნენ სამსახურიდან ბედოვლათი ვაჟიშვილის გამო. არც ვეტერანების მაღაზიაში მომუშავე გამყიდველთან მჭიდრო ნათესაური კავშირი უშველიდა და არც აეროფლოტის სალაროს მოლარე. უნდოდა ერთი გემრიელი სილა ეტკიცა შვილისთვის, მაგრამ შეეცოდა აბღავლებული პირმშო და მისი „შედეგრის" სანახავად მოუსვა.

— რა არის ეს? — კარდიამინის ნემსით გამხნევებულმა დირექტორმა აკანკალებული საჩვენებელი თითი გაიშვირა მარჯვნივ.

— სახლია ჩვენი, ჩოხატაურში გვიდგას. უყურე შენ, კარგად დაუხატავს, — გაუკვირდა მადლენას.

— მერე? რათ მინდოდა თქვენი სახლი მე?

არც არავინ არ გაძლევსო, გულში შეეკამათა მადლენა, მაგრამ ხმამაღლა არაფერი უთქვამს. შვილის აქამდე დაფარული ტალანტით დაბნეული, ალბათ, დიდი მხატვარი გამოვაო, ფიქრობდა.

ემიკოს პაპისეული სახლი თეთრი ფურცლის საშუალებით (საგულდაგულოდ დამალეს, მაგრამ საფარის ქვეშ გენერალური გეგმის მნიშვნელოვანი დეტალებიც აღმოჩნდა, ერთი სიტყვით, ინსტიტუტის ხუთი წლის ნაშრომ-ნაღვაწი წყალში ჩაიყარა.

გულმოკლული დირექტორი დარბაზში უცხოელების შემოსვლამ გაახალისა. მაშინვე სათვალიან, დაბალი ტანის მამაკაცს მიეჭრა და რაც შეიძლება დიდხანს ართმევდა ხელს. ბოლოს თარჯიმნის საშუალებით გამოირკვა, რომ ასოციაციის პრეზიდენტი ახალგაზრდა, ქერათმიანი მამაკაცი იყო და მიხაილოვიჩმა ახლა მისი მარჯვენა მოიგდო ხელში. ხმელმა სხეულმა ზედმეტ ნჯღრევას ვერ გაუძლო, ალვის ხესავით გაიმართა წელში, გაუძალიანდა გულიან მისალმებას.

ტელევიზია და ჟურნალისტები არ ჩანდნენ, ეტყობა, დღეისათვის კარგ იცალეს. ოდნავ დასევდიანებულმა სწავლულმა მდივანმა მამაო ჩვენოსავით ჩაარაკრაკა ვრცელი მოხსენება. გაურკვეველი ეროვნებისა და, თუ გნებავთ, სქესის წარმომადგენელმა თარჯიმანმა, რომელიც დაღლილი ხმით თარგმნიდა სწავლული მდივნის ოპტიმიზმით აღსავსე მოხსენებას, რატომღაც დამსწრეთ ძილი მოჰგვარა, ყველას მთქნარება დაწყებინა. სასწრაფო დახმარების მეგობრულ კოლექტივსაც კი. პარტკომმა ყურები ჩამოყარა. რაიკომიდან არავინ მოსულა. თუმცა ერთი კვირით ადრე გააფრთხილეს, ღონისძიება უმაღლეს დონეზე უნდა ჩაატარო, უფროსმა ამხანაგებმა უკვე გამოთქვეს დასწრების სურვილიო. რასაკვირველია, ბანკეტს შეეძლო ყინულის გადნობა. მაგრამ სტუმრების გრაფიკის შეცვლამ პურ-მარილზეც უარყოფითად იმოქმედა. თარჯიმანი, როგორც იქნა, გაჩუმდა და მაშინვე ყურის ბიბილოზე დამაგრებული საღეჭი რეზინი იტაკა პირში. ყველას გასაოცრად, ახალგაზრდა არქიტექტორი გიო ალპარაკდა ინგლისურად, ეტყობა, ხუმრობაც მოახერხა. გაამხიარულა უცხოელები. შეკითხვებიც მისცეს. მშვენივრად პასუხობდა, როგორც ჩანს, ენაც იცოდა და არქიტექტურაც.

„დავაწინაურებ", — გაიფიქრა დირექტორმა.

„პარტიაში მივიღებ, საჭირო კაცის შვილია, ალბათ, ვის ააქვს უცხო ენაში გადასაყრელი ფული!" — შუბლიდან ნაოჭები აიკრიფა პარტკომმა. აი, ასეთი კადრები სჭირდება გარდაქმნასა და დაჩქარებასაც, რასაკვირველია.

„აქ რაღაც ამბავია, პირადი საქმე უნდა შევამოწმო", — დადარდიანდა კადრების განყოფილების გამგე და უბის წიგნაკში ჩაინიშნა რაღაც.

უეცრად ჯგუფის უფროსმა, მისტერ ფონდამ გეგმას რამდენიმე წუთის წინ აკრული ფურცელი მოაძრო და ემიკოს ნამოღვაწარი დანახა (საზოგადოებას. დირექტორმა ვალდოლი ამოიდო ენის

ქვეშ და თავი ჩაღუნა. ტაშისცემამ გამოაფხიზლა. უცხოელები აპლოდისმენტებით აჯილდოვებდნენ ფერად ილუსტრაციას, განსაკუთრებით ჯგუფის უფროსი იკლავდა თავს. გაუგებარი იყო, რატომ უნდა მოსწონებოდა მისტერ ფონდას მადლენას პაპისეული სახლი, ჩოხატაურში ასი წლის წინათ სურების ტყიდან ჩამოტანილი წაბლის მასალისაგან ჩადგმული ან სხვებს რატომღა ადგათ თვალებზე სიხარულის ცრემლი. რას გიგებ, კაპიტალისტური სამყაროს წარმომადგენლებისაგან ყველაფერია მოსალოდნელი. დასასრულს სტუმრებმა დუნდულოზე მოგდებული ფოტოაპარატები მოიმარჯვეს და გურული ოდა ფირზე აღბეჭდეს.

თარჯიმანმა საათს დახედა და ქათმებივით აკრიახებული უცხოელები გულითად მასპინძლებს გამოეთხოვნენ. იღბლად, ტუალეტში შესვლა არც ერთმა არ ისურვა.

გიოს საკუთარი მეტიჩრობის შერცხვა, ენა ვერ გააჩუქე რამ აგატლიკნაო, საყვედურობდა თავს. თუმცა გულში უხაროდა, უზარმაზარი აუდიტორია პირდაფჩენილი რომ დატოვა, დირექტორი დარდისაგან დნება, ალბათ, ისე უნდა გაიგოს, რას უყვებოდა გიო უცხოელებს. ის კი აგერ, ქუჩაში მიაბიჯებს და სულაც არ ენაღვლება სამუშაო საათები რომ უცდება.

სახელოსნოსთან ნაცნობ ავტომანქანას მოჰკრა თვალი. ინანა, შორიდან რომ შეენიშნა, ამ უსიამოვნო შეხვედრას ასცდებოდა.

— სადა ხარ, ბიჭო, ავაწრიალეთ ქალაქი, — მანქანის კარი გაძოაღო ბუთხუზამ.

სამსახურში ვარ, რა, არ იცი?

— შენც ეიფელის კოშკი არ ააშენო: რა ექნათ, ახლა, არ დავლიოთ?

— რატომ უნდა დავლიოთ?

— აბა, ესე ვიყოთ? — ბუთხუზამ მანქანაში მსხდომთ მოაგლო თვალი.

— თქვენ რაც გინდათ, ის ქენით და მე საძუძაო მაქვს, — გიომ ჯიბიდან განაღები ამოიღო და ბოქლომს მოარგო. ოტა უხეშად კი გამოუვიდა, მაგრამ ბუთხუზასა და მისი ლოდინის ძმაკაცების. სიფათები ყელში ამოუვიდა. თავისი რომ ყოფილიყო სახელოსნო, კიდევ ჰო, მაგრამ მამის ერიდებოდა. ხშირად ისე თვრებოდა, იქაურობას ვეღარ ალაგებდა და სიგარეტის ნამწვავებით სავსე, საფერფლესავით ჭუჭყიან და არყის სუნით გაჟღენთილ სახელოსნოს ტოვებდა. ერთხელ ტელევიზორი აუფეთქდა, კინაღამ გადაწვა იქაურობა, მეორედ ოდესელი ბარიგები ისტუმრა და მთელი თბილისი იქ დარბოდა ნიფხავ-პერანგის მოსაზომებლად. ერთხელაც „ყაზბეგიდან" ამოღებული რამდენიმე ღერი პაპიროსი რო „შეაკეთეს", მაშინ წამოადგა მამამისი თავზე, ხან ქალებთან შემოუსწრო... მოკლედ, თითქოს ჯიბრზე, სულ ღია რჩებოდა კარი. მამა არ საყვედურობდა. პირიქით, აყოლაც სცადა, ეძმაკაცებოდა, რჩევასაც ეკითხებოდა ხანდახან. გულახდილ საუბარში იწვევდა. თუ გინდა ცოლის შერთვა, შეირთეო, ამის ნებაც მისცა. ისე, გიო უნებართვოდაც მშვენივრად ითხოვდა ქალს, ამის სურვილი რომ ჰქონოდა. მაგრამ მამას, ეტყობა, სხვა რამ ადარდებდა. სიბერეში გაჩენილი შვილის წინაშე დამნაშავედ გრძნობდა თავს. იმდენი წელი დგას ჩვენს შორის, ერთმანეთს ვერ ვუგებთო, ცოლს ეუბნებოდა გულდაწყვეტილი. ისე, წლებს ტყუილუბრალოდ აბრალებდა. მთელი ცხოვრება სახელის მოხვეჭასა და სახელოსნოს მშენებლობას მოანდომა, შვილი თითქოს სოკოსავით უცაბედად, მოულოდნელად გაიზარდა და ერთ დღესაც კაკლის სპერტყივით აწოწილი თავზე წამოადგა. ამიტომაც სულაც არ იყო საკვირველი მამა-შვილს ერთმანეთის რომ არ ესმოდა. არქიტექტურულზეც იმიტომ მოაწყო, სახელოსნო ბიჭს რომ დარჩენოდა, თორემ გიოს ინგლისური ენა უყვარდა. თავისით ისწავლა პატარამ, ფირფიტებიდან. მოგვიანებით დაუქირავეს პედაგოგი.

გიო სახელოსნოში შევიდა. თევზის

სუნით ყარდა იქაურობა. გუშინ ლუ-
დით ისამოვნეს და აულაგებელი და-
ტოვეს ყველაფერი. გაუხარდა, მამას
რომ დაასწრო მოსვლა, მის გამოჩენამ-
დე უნდოდა მოეწესრიგებინა სახელოს-
ნო. იატაკზე დაგროვებულ ბოთლებს
დასწვდა და ვიღაცამ წიხლით შემოდ-
ღლიზა კარი.

— მე გაპატიებ, მაგრამ უცხო ხალხს
ბოდიში უნდა მოუხადო. — უშნოდ
მოწრუპული ტუჩებიდან გადმოაპურ-
ჭყა სიტყვები ბუთხუზამ.

სახელოსნოში ბნელოდა. გიო ხედავ-
და, მზით გაშუქებული კარის ჭრიალს
რამდენიმე ჩრდილივით მსუბუქმა ლან-
დმა გადმოაბიჯა. მცემენ გაიფიქრა და
წინასწარ აიწვა სხეული. უეცრად მო-
ვარდნილმა ნაღველმა მხრები დაუმძი-
მა, ენა დაუბუჟა და ადგილზე გაყინა.

— ბოდიში რათ მინდა, მე მაგის...
სულში ჩაფურთხებულს ბოდიში უშ-
ველის? აანთეთ სინათლე, თვალებში
შევაფურთხო, — ახრიალდა ვიღაც.

ბუთხუზამ, ეტყობა, დავალება შე-
ასრულა. გიომ მის წინ გაჩერებულ
თმაგაცვენილ, ვიწრო ტყავის პალტო-
ში გამოწყობილ უცნობს გაუშტერა
თვალი და ამ ხნის კაცს ჩვენთან რა
უნდაო, გაიფიქრა. მერე ორი, ერთმა-
ნეთთან მიტყუპული ბოთლი ფრთხი-
ლად, ხელის გაუნძრევლად თითებით
დაუშორა, ერთის ყელი მაგრად ჩაბღუჯა
და მაშინვე თბილი, ლორწოვანი სითხე
შეეშხეფა სახეში. რაც ძალა და ღონე
ჰქონდა, აიქნია ხელი. ნიკაპქვეშ მოუ-
ვიდა. უცნობს მგელივით გვერდზე მო-
ექცა კისერი, სიმწრისაგან ნადირივით
აზმუვლებულს. ამოსუნთქვა არ აცალა.
მეორე ხელიც მიაშველა, ორივეთი
ცხვირ-პირში ჩასცხო ახლა გამეტებით
და გატყდა, დაიფშვნა ბოთლიც.

ახლა უკვე აღარავინ დაინდობდა,
იცოდა დანამდვილებით. მოსალოდნე-
ლი ტკივილის შეგრძნებამ გაუყინა
ტვინი. წამით თითქოს მამის ხმა შე-
მოესმა და ყელში კბილებთან ერთად
გულისამრევად ტკბილი სისხლი ჩაე-
ღვარა....

გონებასთან ერთად ტკივილიც უბ-
რუნდება სხეულს. იმდენად აუტანელია
და ძნელად მოსათმენი, რომ კვნესა
ამოჰქონდა, სადღაც. გულის სიღრმი-
დან. გიომ თვალები გაახილა და ძლივს
გაარჩია მისკენ დახრილი სახეები. ერ-
თი მეზობელი მოქანდაკისა, მეორე —
მამის.

— ჰა, აღარ გვინდა სასწრაფო, რო-
გორ არის საქმე? — ავლაბრელი კა-
ცია, ცოტას ძველებრობს, ძალაც ერ-
ჩის, არასოდეს ეშლება არაფერი.

— მოვიდეს, ტვინის შერყევა არ
ჰქონდეს. — ფრთხილად შეახო შვილს
შუბლზე თითები.

— რას მიხვდებიან, ამათი თა-
ობა სულ ეგეთები არიან, ცოტა შერ-
ყეულები.

გიოს მეზობლის ლაპარაკი უყვარდა.
საერთოდ, უყვარდა დღენიადაგ რაღაც
საქმეებში ჩაფლული, მოფუსფუსე
კაცი და ღიმილისმაგვარი რამ სცადა
გამოეხატა სახეზე. არ გამოუვიდა.

— რახან თვალები გაახილე, ზნაჩიტ.
კარგათა ხარ, თქვი რამე, მამაშენს ნუ
აგიყეკ.

რა უნდა ეთქვა. სიკვდილივით არ
უნდოდა მამის შეხედვა. ხმასაც ვერ
იღებდა. გრძნობდა პირი კბილების
ნამსხვრევებით ჰქონდა სავსე.

— ერთი ორი საათი უცდიდნენ, არ
მომეწონა. მერე ეს მოვიდა. ხმა არ
გასცა, სახელოსნოში შევიდა. ისინიც
შემოყვნენ. მივხედი, ვერ არი კარგად
საქმე. ყველაზე დიდი რკინა რომელიც
იყო, იმას დავტაცე ხელი და პაპუასები
მიმიქარავს, ისეთი წრივილკივილით შე-
მოვვარდი, — სიცილით კვდებოდა თენ-
გიზა. ხელებზე ეტყობოდა მხოლოდ,
რომ ღელავდა, ასანთის ღერები გად-
მოუცვივდა კოლოფიდან, არ აუკრე-
ფია, ყურს უკან დამალა აქამდე კბი-
ლებში გაჩრილი სიგარეტი.

— კაი, დააშავა, შეეშალა, რა მოხ-
და, ადმიანია, კაცი როგორ უნდა გაი-
მეტო მოსაკლავად?! ფულზე მიაკით-
ხავდნენ, რამდენი წააგე? წააგე — გა-
დაიხადე! კანონია. ან თუ კოზლი არა
გაქვს, ნუ თამაშობ, გასაგებია?

— მე გადავიხდი. — ოთახში ბოლთის ცემა შეწყვიტა კაცმა.

— შენ ბინის ქირა გადაიხადე. თვითონ წააგო. თვითონვე გადაიხადოს. თამაშის დროს ხომ არ დაუპატიჟებიხარ, მოდი, მამი, ქალაღლი ვითამაშოთო. ჰოდა, მიხედოს თავს თვითონ. ჩემთან ვამუშავებ. სულ დაქლიავეს იმ ინსტიტუტში. ადრე სტუმრად მაინც მოდიოდა, ახლა შორიდან მესალმება. ბიჭო, იმუშავებ ჩემთან?

გიომ თანხმობის ნიშნად თვალები დახუჭა. განძრევა არ შეეძლო, საშინლად სტკიოდა მთელი სხეული.

— გესმოდა, როგორ არსენასავით ვკიოდი? — გაეღიმა თენგიზს.

არსენა რომ ჩხუბის დროს კიოდა, გიოს არსად გაეგონა, მაინც დახუჭა თვალები, მისი მხსნელის საამებლად.

— მამაშენმაც დროზე შემოგვისწრო. დანა რო გაშალა, იმ ტიპს გადაეფარა მატროსოვივით.

„ინსტიქტურად“. — გაიფიქრა გიომ და მთელი არსებით სწორედ მაშინ, იმ წუთას შეიგრძნო თავგანწირული, უკიდეგანო. უზომო სიყვარულის სიძლიერე. ალბათ, ეს გრძნობა უადვილებდა ადამიანებს ცხოვრებას, ათანაბრებდა უბრალო მოკვდავთ ღმერთთან.

თავს ძალა დაატანა და მამას შეხედა. ფულზე არ მითამაშია, არც ვიცნობ, ტყუილუბრალოდ მცემესო, უნდოდა ეთქვა და ენა ვერ დაიძორჩილა. ერთი დაიკვნესა. ეს იყო და ეს. კაცი დაიხარა, შუბლზე შეახო თითები ისევ. გიომ სახის ღრმა ნოჭებში ჩამჯდარი შიში დაინახა, იმდენად უმწეო და საბრალო, რომ მამა შეეცოდა და ისევ დახუჭა თვალები.

სასწრაფო დახმარების მანქანა იგვიანებდა.

თენგიზა ისევ ლაპარაკობდა. მაგათ ესეთი, ფულიანი მამიკოს შვილები, სახელოსნოებითა და მაგნიტოფონებით ეზიზღებათ. თვითონ რომ არაფერი აქვთ, შურთ. შეიძლება იმიტომაც სცემეს. ისე, ცემა, ჩვენში დარჩეს, „პალეზნია“, ახრზე მოყავს ტუტუცები. ერთი ძმაკაცი მყავს, ექიმი, ის იძახის „პალეზნი სმეტანაოო“. ახარხარდა მოულოდნელად და მაშინვე ჩაუწყდა ხმა, ნერვიულობდა.

გიომ ენით მოსინჯა კბილები. საშინლად მოსწყურდა. წყალზე უფრო მეტად კიდევ ხმის ამოღება მოუნდა. სამსახურში უცხოელები იყვნენ, ინგლისურად ველაპარაკეო. წატრაბახება სურდა პატარა ბიჭივით. საცოდავად დაეპრანჭა ტუჩები, დაიკვნესა ისევ, მეტი ვერაფერი მოახერხა. საკუთარი უმწეობით გულნატკენს ღაპაღუპით წამოუვიდა ცრემლები. თავი დაუმძიმდა ძალიან. სიბნელემ ჩაყლაპა თითქოს სახის ნახევარი, მძიმედ დაებჯინა თვალებზე. ჭირისუფალივით დაახუჭინა.

მიშველე. თენგიზო, ჩაესმა შორიდან და ხმაც სიბნელემ დაჯაბნა.

ცვარივით შეისრუტა.

გადაყლაპა.

სამუშაოს დამთავრებას აღარც მადლენა დალოდებია. ბუფეტში ნაყიდმა ბულგარულმა ქათამმა გალღობა დაიწყო. ემიკოც ერთ ადგილას ვეღარ ჩერდებოდა. კედლისკენ იქაჩებოდა ფანქარ მომარჯვებული. მადლენამ რამდენიმე გაზეთში გახვეული ქათამი სიმწრით ჩაატია ხელჩანთაში, მომყევიო, ემიკოს უბრძანა და, ლიფტს არ დალოდებია, ისე დაეშვა კიბეზე. ჩქარობდა, ჩახოხბილი უნდოდა დაეხვედრებინა ქმრისათვის და შვილის გენიოსობაზეც ეამბნა, ინსტიტუტი რომ ასახელა, თანაც დაბეჯითებით მოეთხოვა, ბავშვი სამხატვრო სკოლაში გადაეყვანათ და აკადემიისათვის მოემზადებინათ. არ იყო საჭირო რთული მათემატიკური ფორმულებით მხატვრისათვის დამახასიათებელი ლირიული ფსიქიკის გადატვირთვა.

ზანდამ ფანჯრის რაფაზე დადებული რძის პროდუქტები ბადურაში მოათავსა და მორცხვად აიტუზა ოთარის კაბინეტის წინ. უხერხულია თხოვნა, ადრე გამიშვითო. უფრო სწორად, მიზეზის გამხელა, რის გმოც აპირებდა წასვლას. კარი დაკეტილი იყო და ზან-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამაც „შატალოზე“ გაპარული მოსწავლესავით ქურდულად, ფეხაკრეფით მიატოვა იქაურობა. სახლში ადრე კი არა. საერთოდ არ უყვარდა მისვლა ზანდას. შაბათსაც ინსტიტუტში ატარებდა, ძალით გაიჩენდა ხოლმე სამუშაოს, მაგრამ კვირას ვერაფერს უხერხებდა. ზაფხულობით კიდევ არა უშავს, პარკში იჯდა, ზამთარში კი, თითქოს ნაცრისფერი, უღიმღამო დღის ჯიბრზე, მძიმე ავადმყოფივით ლოგინში იწვა.

დღეს ზანდას დაბადების დღე იყო. არც არავის გახსენებია, რომ მიეღოცა, თუმცა თვითონ ორი-სამი დღით ადრე იწყებდა ნერვიულობას, ჩემი წლოვანებით არ დაინტერესდნენ ბიჭები, ირონიული შეკითხვები არ დამისვანო და ამიტომაც კმაყოფილიც კი იყო, რომ არავის გაახსენდა.

ხელფასის დღეს, მადლენა უბის წიგნაკს გადხედავდა, თუ იმ თვეში ჯინმეს დღეობა იყო, მაშინვე განყოფილების სიას ჩამოწერდა. თეთრი ბაირაღივით თავს ზემოთ აფრიალებდა მერე ფურცელს და ფულს აგროვებდა, ყველა ულაპარაკოდ დებდა ხუთ მანეთს. ეს ერთგვარი ლატარეა იყო, რომელსაც თითქმის მთელი ინსტიტუტი თამაშობდა. მეორე დღეს იუბილარი წარმართავდა შუადღის საუზმეს, ვისაც რა შეეძლო, ის მოჰქონდა, მაინც დამაინც დიდი პურ-მარილი ვერ იშლებოდა, მაგრამ ადგილობრივი ბუფეტის მენიუს ნამდვილად სჯობდა. ერთმანეთთან სახლში მისვლითა და მილოცვით ვერ დაიკვეხნიდნენ, მოუცლელობის თუ რაღაც სხვა მიზეზის გამო, რომლის დადგენითაც, რასაკვირველია, არავინ იწუხებდა თავს. სამსახურის ურთიერთობანი, ასე ვთქვათ, ურთიერთთანამშრომლობა, სამუშაო საათების დაწყებითა და დამთავრებით იფარგლებოდა. აქტიურად მოქმედებდა კიდევ კულტმასობრივი სვლები ჰანაშვიდებზე. ამ დროს თანამშრომლები იძულებულები იყვნენ სმუშაოს დამთავრებას დალოდებოდნენ. შუადღეზე ხომ არ მიადგებოდნენ ჭირისუფალის სამძიმარზე. დაკრძალვის დღეს კიდევ ზეთში მითითებულ დროზე ერთი საათით ადრე. მთელი ინსტიტუტი ცარიელი იყო. ჭირში თუ მოყვარეს გვერდში არ ამოუდექი, რაღა ფასი აქვს ჭირისუფალის დასახმარებლად გაღებულ სამ მანეთს.

თუმცა ერთ ადამიანს მაინც გაახსენდა ზანდას დაბადების დღე. წინა დღით ნანიმ მიუსალმა და შენთან ვაპირებ მოსვლასო, უთხრა. იუბილარის გაოცებისაგან ღილივით დამრგვალებული თვალები რომ დაინახა, რა მოგვივიდა, ჩაის თუ დამალეკინებ, ნამცხვარს მე თვითონ მოვიტანო, დაპირდა. ზანდა გაშრა, დაუგვიანა პასუხი. ვერ წარმოედგინა, ამქვეყნად ვინმეს მისი გაჩენის დღე თუ ახსოვდა. მდუღარე რა სახსენებელი იყო, ჩაის კაცი მტერს არ დაამადლიდა. ქალმა ცხვირის ნესტოებში მოწოლილი ცრემლები ღრმად რომ შეისუნთქა, ნანის გადაეხვია და მაწვნის სუპზე დაიპატიჟა ყურადღებიანი თანამშრომელი. უფულობის გამო თუ ნიგოზს ვერ ყიდულობდა და საცივის გაკეთება არ იცოდა, სამაგიეროდ, მაწვნის შეჭამანდი გამოდიოდა ისეთი, ვინ გაასინჯებდა, თორემ შურისაგან ცხარე ცრემლით იტირებდა „ივერიის“ უფროსი მზარეული.

და აი, დედამისის გარდაცვალებიდან ათი წლის თავზე ზანდა პირველად აღნიშნავდა თავის დაბადების დღეს. თანაც ისეთ სტუმარს ელოდა, რომელსაც ეს თარიღი თვითონ გაახსენდა და ამიტომაც მიუხაროდა იუბილარს შინ. თუმცა დილანდელი ინციდენტის შემდეგ ნანი შეიძლება არც მოსულიყო, მაგრამ ზანდას პირობა მაინც უნდა შეესრულებინა და საღილი მოემზადებინა. ვინ იცის, გათხოვილი ქალი ეგებ ქმართან ერთად მოსულიყო და უცნობ ადამიანთან თავს ხომ ვერ შეირცხვენდა.

გეგას ისე აუშალა ნერვები გიოს ინგლისურმა, სტუმრებზე ადრე დატოვა საქტო დარბაზი. რაც ჩემმა მშობ-

ლებმა უცხო ენის პედაგოგებს ფულები აძლიეს, ერთი-ორი — სიტყვა მაინც მესწავლაო, სკდებოდა გულზე, სხვა თუ არაფერი, ეგებ ასპირანტურაში მაინც ჩამებარებინა როდისმე, გამომადგებოდაო. არა, შურიანი არასდროს ყოფილა. უბრალოდ, უქმად დაკარგულ ფულსა და დროზე დასწყდა გული. გასტრონომის წინ შეჩერდა. ერთხანს იყოყმანა, მერე მაინც შევიდა. იქაურობა მოათვალიერა. სიმპათიური გამყიდველი ქალი შეარჩია. მხატვარი ვარ, თუ გნებავთ ვიტრინის გაგიფორმებთო, შესთავაზა. ქალმა უაზროდ გაიცინა, სხვების ყურადღება რომ მიექცია, განსაკუთრებით ხმამაღლა. მე რა „ნაჩალნიკი“ მნახე. დირექტორს კითხეო. გეგამ უკვე იცინა, შტერი სტუდენტივით რომ შეაბოტა მისთვის აბსოლიტურად უცხო სამყაროში. მაგრამ იხტიბარი არ გაიტეხა და დირექტორის კაბინეტისაკენ გაემართა. ბნელი, ვიწრო, ყუთებით სავსე დერეფნის ბოლოში სინათლე ბჟუტავდა. ოთახი ნაბიჯის სიფართე გადატიხრულ ყუთში მსუქანი. წვერგაუპარსავი ახალგაზრდა კაცი იჯდა. ალბათ საწყობის გამგეაო, დაასკვნა გეგამ და დირექტორი მოიკითხა.

— მე ვარ, — თქვა კაცმა, რომელიც. არც მეტი. არც ნაკლები, ნაციხარს გავდა.

გეგამ. ტყუილად მოვედიო. გაიფიქრა. თქმით არაფერი უთქვამს.

— ჰა, რა იყო, შვილი გყავს ავადმყოფი ხიზილალა გინდა?

— არა, — გაელიმა გეგას.

— დედის წლისთავია, ხიზილალა გინდა? — უცხო კაცის სტუმრობის მიზეზის ამოცნობას შეეცადა კაცი.

— რას გადაეკიდე ამ ხიზილალას, ვერ ვიტან ბავშვობიდან.

— ვაა, მართლა? — გაუკვირდა დირექტორს, ციფრებით აჭრელებულ ფურცელს დახედა, რაღაც გადაჯღაბნა. მოიღრუბლა. მერე მის წინ მდგომი ბიჭი შეათვალიერა. არ მოეწონა მოსულის გაძვალტყავებული სხეული, კოპები შეიკრა.

— წამლის ფული გინდა, გასაგებია. თუმანს გაჩუქებ, ვითომ მკვდარი ძმისთვის მიმიცია, მეტი არ მომთხოვო, — სკამის საზურგეს მიეყრდნო, ჯიბეში ჩაიცურა ხელი, წინგამოშვერილი ღიპი აშკარად უშლიდა, მაგიდა გეგასკენ დაიძრა.

— მე მხატვარი ვარ...

— ვიცი, ფიროსმანი, ნიკალა, — შეაწყვეტინა კაცმა. — წადი, საღებავები იყიდე.

გეგამ მისკენ გამოშვერილ ბანჯგვლიან, კოტიტა თითებში მოქცეულ თუმნიანს თვალი აარიდა, სიამოვნებით ჩაჩრიდა ამ ფულს პატრონს დამცინავად მომღიმარ პირში.

— კაცის მეტს ყველაფერს გავხარ.

დირექტორმა ღიმილი თვითონვე ჩაიბრუნა პირში. მაგიდიდან სარკის ნატეხი აიღო, გულმოდგინედ შეათვალიერა საკუთარი თავი: ჯაგარივით ხშირი, უხეში წვერი, თამბაქოსაგან გაყვითლებული კბილები, გაცვენილი თმა. მაინცდამაინც უკმაყოფილო არ დარჩა, ეტყობა. გაიღიმა ისევ.

— „კაცი“ როგორი უნდა იყოს?

— წვერგაპარსული, კოსტიუმით, სუფთა პერანგით, ახალგაზრდა ხარ, ხელები გაიქნე, ივარჯიშე, კუს ტბაზე ირბინე, ღიპი დაიგდე...

დირექტორი ისევ გულიანად ახარხარდა, შვების ცრემლებს იწმენდდა ცხვირსახოცით.

— ზუსტად ეგეთი მეზობელი მყავს, „სკრიპკაზე“ უკრავს ოპერის ორკესტრში.

გეგა ბნელ დერეფანში გამოვიდა. ფეხდაფეხ მოსდევდა ხველანარევი სიცილი.

— ვიტრინას მოლარე აფორმებს, იმან იცის ლამაზი ასოებით წერა, — უშნოდ დაეკრიჭა მისი ამორჩეული სიმპათიური გამყიდველი.

სუფთა ჰაერზე გეგამ შვებით ამოისუნთქა. უცნაურია, არც ყველი იყიდება მაღაზიაში, არც ხორცი, თევზზე

ხომ ლაპარაკიც ზედმეტია და მაინც როგორი მძაფრი სუნიაო, გაიფიქრა. ფულის შოვნის, პატიოსანი გზით შოვნის ცდა, უშედეგოდ დამთავრდა. ახლა ისევ საღებავი უნდა გაეშვა საქმეში. ფერადი ლაქებით დაეტბორა ტილო. აბსტრაქცია ახლა მოდაში იყო ისევ. ავანგარდისტებს ეჭვის თვალით კი უყურებდნენ, მაგრამ მათ ნამუშევრებს მაინც ყიდულობდნენ. შეიძლება, მომავლის იმედი ჰქონდათ. შეიძლება ჩამორჩენილები არც ჩვენა ვართო, ცას და ქვეყანას უმტკიცებდნენ. გეგას თავისი გზა ჯერ ვერ ეპოვა. ძიების პერიოდში მყოფი ახალგაზრდა მხატვარი ეთქმოდა. რასაც აკეთებდა, თვითონაც არ მოსწონდა მაინცდამაინც. მაგრამ სხვა, უფრო უკეთესი ვერაფერი მოეფიქრებინა. ისე, ქუჩაში დგომა, სასირცხვო ადგილას სურათის აფარება და მყიდველის ლოდინი, ჰირივით სძულდა. თავდაპირველად არა, პარიზიო, მონმარტრიო, ესაო, ისაო, კაი ბიჭები შეგროვდნენ. მერე ტექნიკუმდამთავრებულები ამოუდგნენ მხარში. თვითნასწავლმა მხატვრებმაც მოიტანეს საკუთარი ნამუშევრები. ფოტოგრაფებიც არ კარგავდნენ დროს. ყველაზე კარგად ვარდისფერი საღებავით ლოყებაღაჟღაჟებული სტალინის პორტრეტები იყიდებოდა. ჭრიალით ჩერდებოდნენ სატვირთო მანქანები, ავტობუსები და რამდენიმე წუთის შემდეგ მინაზე მიტკეპნილი ნაცრისფერკიტელიანი. მოღიმარი ბელადი სადღაც მიემგზავრებოდა. თვითნასწავლი მხატვრები, რომლებიც არც დიდი ნიჭით გამოიჩეოდნენ და, როგორც ჩანს, ზრდილობისა და ტაქტის გრძნობაც ღალატობდათ, პროფესიონალების ნამუშევრებს აკრიტიკებდნენ და ფიროსმანის ათელ სულს აწუხებდნენ ხშირ-ხშირად. აქაოდა, იმასაც არ დაუმთავრებია ჩვენსავით აკადემიაო. ჰოდა, კარგი ბიჭები ნელ-ნელა გაიკრიფნენ, ნახატებს ფუნთუშებივით ერთ დღეში რომ აცხობდნენ და საღებავშეუმშრალებს ყიდდნენ, იმათ დაუთმეს ბაური და მოედანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გეგას სახელოსნო არ ჰქონდა. ... თავის სიზარმაცეს (აკადემიის დამთავრების შემდეგ თითქმის აღარ ხატავდა) შესაფერისი გარემოს უქონლობას აბრალებდა. შინ გაურემონტებელი კედლები მისი ნამუშევრებით იყო დაფარული. ბავშვობიდანვე ასე იყო. ფურცელზე თუნდაც ერთი ხაზი რომ გაესვა, დედა მაშინვე ჩარჩოს უკეთებდა და საწოლის თავთან იკიდებდა შვილის ნახატს. საწოლი ოთახის კედლების ათვისების შემდეგ, მისაღები ოთახის რიგი მოვიდა, ბოლოს სამზარეულოც საგამოფენო დარბაზად იქცა. შემოქმედებით სამყაროს დაშორებული მშობელი, რომელსაც, რასაკვირველია, გალერეასა და მუზეუმებში სასიარულოდ არ ეცალა, ღრმად იყო დარწმუნებული, შინ „დიდი მხატვარი" ჰყავდა და თუ პრესა და ტელევიზია ახალგაზრდა გენიოსის შესახებ ინფორმაციას უგვიანებდა სენსაციის მოყვარულ საზოგადოებას, მხოლოდ იმიტომ, რომ შურიანი ხალხი, რომლებსაც სავარძლებისა და სახელის დაკარგვის ეშინოდათ, მისი შვილის დაჩრდილვა-დაკნინებაში ატარებდა დროს. თვითონ გეგამ მშვენივრად იცოდა, ციდან ვარსკვლავებს რომ ვერ წყვეტდა, ფიგურის დახატვა დღემდე უჭირდა. ფანქარშიც ვერა და ვერ გაიწაფა ხელი, მაგრამ დედის ქება-დიდება სიამოვნებდა, რაღაც მბეუტავი სანთლის მაგვარი უსითბო სინათლით ევსებოდა გული. სხვა თუ არაფერი, რადგან ერთ ადამიანს მაინც სწამდა მისი, იცოდა, აუცილებლად გაუმართლებდა. აუცილებლად! რადგან პირადი ცხოვრების გარეშე დარჩენილ ქალს, რომელსაც შვილის ბედნიერების მეტი არაფერი გაახარებდა, აუცილებლად უნდა ენახა გეგას ნამუშევრების პერსონალური გამოფენა, რომელიც ქალაქის შემოქმედებით ინტელიგენციას აღაფრთოვანებდა.

დედა სახლში არ დახვედრია. შესვენებაზე მოესწრო მოსვლა, სადილი გაემზადებინა. გეგამ ჯერ კიდევ თბილ

ტაფას ტყემალი დაასხა და ღონივრად აამძრავა ყბები. უკანასკნელ კატლეტს კუდი რომ მოაკვნიტა. მაშინღა გაახსენდა დედამისი. წამოდგა, მაცივარში შეიხედა, კვერცხით იყო გამოტენილი. გეგას ყელზე დაადგა უკანასკნელი ლუკმა. უსადილოდ დავტოვეო ადამიანი. ბედად, კარტოფილს მოჰკრა თვალი. მაშინვე გათალა, ცერა თითის კანიც დანას გაატანა. ცოტა ხანი ივიშვიშა. ნატკენი თითი ბინტით შეიხვია, მერე გარეცხილი კარტოფილი ცხელ ტაფაზე დაყარა და ახლა ადუღებული ზეთის შხეფებით დაიწვა ხელი. სიბრაზისაგან თვალებიდან ნაპერწკლები გადმოსცვივდა, გამჭვირვალე, ცრემლებისფერი. სამზარეულოდან გავარდა. არ იყო საოჯახო საქმეს მიჩვეული, არ გამოსდიოდა არაფერი. თავის ოთახში შევიდა. ტახტზე უნდოდა წამოწოლა, ვერ შესძლო. დილით რაღაცას ეძებდა და თაროებიდან პირდაპირ ლოგინზე გადმოყარა წიგნები. ვერ აალაგაო, გაბრაზდა დედამისზე. საბანს ჩაავლო ყურში ხელი. იატაკზე გადმოთრია წიგნებით დამძიმებული. წამოწვა. წამით თვალები დახუჭა და მაშინვე დაეჭყიტა. ვერ მოისვენა. ნერვებს უშლიდა არეული ოთახი. წამოდგა. უხალისოდ დაიწყო დალაგება. ახლა თავისი ერთი კვირის ნაკოდვილარი მოხვდა თვალში. თეთრ ტილოზე რამდენიმე სხვადასხვა ზომის შავი წრე, გარშემო წერტილ-ძმიეებით. გაეცინა, ხელოვნებათმცოდნეების მეტი ვერავინ მიხვდება სურათის შინაარსსო. სამაგიეროდ, ისინი დაწერენ. მარა რას დაწერენ... გეგა უხასიათოდ და უფულოდ იყო, ამიტომ საგაზაფხულო გამოფენისთვის რაღაცას ჩხაპნიდა, რომ მხატვართა კავშირი აეძულებინა მისი ნამუშევარი შეესყიდა. ხელოვნებათმცოდნეც ჭირდებოდა, რომ სხვებისთვის დაემტკიცებინა, ამას კი არა, ახალგაზრდა მხატვარი იმას და იმას ფიქრობდაო, ისე დაბეჯითებით, ისეთი ბრძნული, გაუგებარი სიტყვებითა და ფრაზებით, შეიძლება გეგაც დაეეჭვებინა. ეგებ მართლა ვფიქრობდი მსგავსს რაღაცას და „მშვენივრად გავართვი თავი საფეხბურთელოს“. გეგას თავისი ნამუშევრის წინ თავშეყრილი, შეფიქრიანებული სამხატვრო საბჭოს წევრები წარმოუდგა და გაეღიმა. ხანდახან ისეთ რამეს ხატავდა, წიწილასავით კვერცხის ნაჭუჭიდან თავამოყოფილს რომ იცნობდნენ (მის პედაგოგებს გულისხმობდა), იმათაც კი აბნევდა.

არა, ნახატში აშკარად იგრძნობოდა რაღაც. მაგრამ რა? რასაკვირველია, განწყობაო, იტყოდნენ ხელოვნებათმცოდნეები. მაგრამ ეს არ იყო საკმარისი. გეგა სურათს უყურებდა და ცდილობდა, რაიმე ისეთი მოეფიქრებინა, ნახატს ეფექტურს რომ გახდიდა. ფერადი ხაზები გამოაცოცხლებდნენ, მაგრამ ეს უკვე იყო. საღებავები მაინც მომაზადა, ყოველი შემთხვევისათვის, ეგებ რაიმე ნათელი აზრი მოსვლოდა მათ გახმობამდე თავში. ფანჯარაში გაიხედა. ინვალიდი მეზობელი მანქანას რეცხავდა. ახლა ცისფერ „ზაპოროჟეცში“ შეეცადა მოეძებნა რაღაც „სევდიანი“. არაფერი გამოუვიდა. ძველი, ჟანგისგან შეჭმული ან ავარიაში მოყოლილი, დეფორმირებული რომ ყოფილიყო, კიდევ ხო, მაგრამ ახალთახალი, ცისფრად შეღებილი რკინის კოლოფი არავითარ სევდას არ იწვევდა. სამამულო ომისადმი მიძღვნილი თემატური გამოფენისათვის თვითონ ინვალიდი მეზობელი მშვენიერი მასალა იყო, მაგრამ ფსიქოლოგიური პორტრეტის შექმნისათვის აბსტრაქცია არ გამოდგებოდა.

გეგამ ფანჯარას ზურგი აქცია და ისევ ნახატს დაუბრუნდა.

დიდხანს უყურა. უეცრად მართლა იგრძნო რაღაც. აწრიალდა, აფორიაქდა მოულოდნელობისაგან.

სამზარეულოში, დანახშირებულ კარტოფილს ბოლი ასდიოდა და სწორედ უსიამო სუნმა გაუღიზიანა ყნოსვის ორგანო.

ნერვებაშლილმა ტილოს პალიტრა ესროლა და სამზარეულოში შევარდა.

ტელევიზორი რომ აფეთქებულიყო, ალბათ, ამდენი ბოლი მაშინაც არ დადგებოდაო, გაიფიქრა. გაზი გამორთო და ფანჯრები გამოაღო. სიცოცხლეში პირველად მოუნდა შემწვარი კარტოფილი დაებვიდრებინა დედამისისთვის და კინაღამ მთელი სახლი გადაბუგა. კუდმოკვნეტილ კატლეტზე დასწყდა გული, ნეტავი შემეჭამაო, ინანა.

სახლში ისეთი სუნი იდგა, ფანჯრებიდანაც ისეთი სუსხი შემოდიოდა, მთლად მოიშხამა. დაძინება გადაწყვიტა. ოთახში შევიდა. შეცვლილი მოჩვენა იქაურობა. მასპინძელივით გულღიად შემოხვდა საკუთარი ნახატი. რომელსაც ამჯერად, ხელოვნებათმცოდნეების ენაზე, ფერწერული ტილო ქვიოდა. პალიტრაზე შერეულ საღებავს, ტილოზე მხატვრის ჩაურევლად, (თუმცა საკუთარი ხელით ესროლა), ბრწყინვალედ გაეკეთებინა საქმე. ფერწერულად საინტერესო გაეხადა ნახატი და ერთ მთლიანობაში შეეკრა კომპოზიცია.

გეგამ თვალზე მომდგარი სეტყვისოდენა ცრემლები ხელისგულით შეიმშრალა. ქანდაკებასავით შემოუარა ტილოს, ყოველი მხრიდან გულდასმით დაათვალიერა. ეტყობა, კმაყოფილი დარჩა. მერე საწოლთან მივიდა. სასწრაფოდა გაიხადა ტანსაცმელი, ბალიშში ჩარგო თავი და თითქმის მაშინვე მკვდარივით ჩაეძინა.

საგაზაფხულო გამოფენაზე წარსადგენი ნახატი მზად იყო.

ნანის საბაბზანოში გაახსენდა, ზანდას რომ დაპირდა მოვალო და მაშინვე შეწყვიტა ბანაობა. თავზე პირსახოცი შემოიხვია, ხალათი მოისხა და გიჟივით შევარდა ოთახში. დედა-შვილმა წვიმაში მოყოლილი კატასავით გაწუწულ და უშნოდ აბურძგნულ ქალს გაოცებულებმა გადმოხედეს.

— დაბადების დღეზე მივდივარ, ჩაიცვი, გოგი.

— შენ თვითონ ჩაიცვი და დამშვიდდი, ათი საათი სრულდება, ახლა გაგახსენდა? — გაეცინა ქმარს.

— მასე მიდიხარ? კაბუნას არ ეცვევ? — ტკარცალის მშვენიერი სანაცვლოდ მიეცა დედამთილს.

— ისეთი აუტანელი დღე მქონდა... ხუთ წუთში მზად ვიქნები.

ნანიმ „ფენის“ ზუზუნი ვერ აიტანა, ნახევრად სველ თმაზე თავსაფარი შემოიკრა ჩალმასავით. ფრანგული სუნამო შეახვია. ეცოტავა სარეცელი, საკაბე დაამატა. ლარნაკიდან მიხაკები ამოიღო, წყალი დაეღვარა იატაკზე. გოგი გაოცებული ადევნებდა თვალყურს რაჭეველივით „მძიმე“ ცოლის უჩვეულოდ სწრაფ ფუსფუსს.

— სამწვადეც ხომ არ წაგვეღო, დღეს მოვიტანე?

ნანი ერთი წუთით შეჩერდა, ქმარს შეხედა, მიხვდა, გულწრფელად სთავაზობდა. ესიამოვნა.

— ზანდასთან მივდივარ, ჩემი თანამშრომელია, მარტოხელა.

— შუალამეზე მიდიხართ, დილას მოხვალთ მაინც? — საღარბაზოში გამოსულებს დაადევნა კითხვა დედამთილმა.

— იქიდან პირდაპირ სამსახურში წავალთ, რომ არ დგგაგვიანდეს, სახლში არ შემოვივლით, — ამოსძახა შვილმა და ისევ გულიანად ახარხარდა კიბის თავში მდგომი ქალი.

— ნამცხვარი? ნამცხვარს დავპირდი. — გაახსენდა ნანის.

ქმარი არ შეკამათებია, მანქანა უკან მოაბრუნა და კოოპერატივის წინ შეჩერდა. რამდენიმე წყვილის გარდა არავინ ჩანდა დარბაზში. გოგიმ ნამცხვრები შეარჩია, „ნაპოლეონის“ დანახვა გაუხარდა ნაცნობივით. დედამისსაც წაუღებდა, ძალიან უყვარდა ტკბილეული. გამყიდველი იგვიანებდა და თვითონ გადაწყვიტა მოეძებნა, სამზარეულოში შეიხედა. მკლავებდაკაპიწებული ქალი ჭურჭელს რეცხავდა. გოგიმ ენის წვერზე დაიჭირა სიტყვა და სასწრაფოდ გამობრუნდა უკან. არ უნდოდა, სიდედრი უხერხულ მდგომარეობაში ჩაეყენებინა.

ერთხანს ჩუმად მიდიოდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— შენს ძმას ფეხით დავკიდებ, — თქვა უცებ.

— რატომ? — მოულოდნელობისაგან შეკრთა ნანი.

— დავკიდებ! — დაბეჯითებით გაიმეორა გოგიმ.

ქალმა ქმრის ოდნავ შეცვლილი, მკაცრი სახე, თითქოს პირველად ხედავსო, გულდასმით შეათვალიერა და უეცრად საშინლად შეეშინდა. თენგოსთან ჩემი ქუჩა-ქუჩა სეირნობის ამბავი რომ გაიგოს, შეიძლება მართლა ფეხებით დამკიდოსო. თენგოსთან მის შეხვედრებს მართლაც სეირნობა ერქვა და მეტი არაფერი. როგორც კი მშობლების წინაშე პასუხისმგებლობა იგრძნო, მაშინვე თავიდან აშოფრინდა შეურაცხმყოფელი სიტყვები. თენგოზე გაბრაზებაც არ ღირდა. იგი უმნიშვნელო ეპიზოდი იყო, რომელმაც ინტიმური განწყობილება შეიტანა მის ერთფეროვან ცხოვრებაში. უფრო მეტი რომ მოინდომა, უარი მიიღო და ამიტომაც სხვების თანდასწრებით გადაუხადა სამაგიერო, უკბინა კოღოსავით. ოდნავ ემწარა ქალს, აეკავა უსიამოვნოდ და მაშინვე დაავიწყდა. ვის ჩარჩენია სამუდამოდ გულში კოღოს ნაკბენი.

ზანდას ვარდისფერი, გასიებული ცხვირის მიხედვით ეტყობოდა მთლად კარგად ვერ გადაეხადა დაბადების დღე. ერთადერთი მოუსვლელი სტუმარი ათის ნახევარზე გულიანად გამოეგლოვა. ნანის დანახვაზე გაიბადრა. ცხვირის წვერზე ღიმილი გადაეფინა, ვარდისფერი. საჩუქრებისათვის ზედ არ დაუხედავს. სტუმარს შესციცინებდა თვალებში. ბინა დაათვალიერებინა. საკუთარი ხელით შეთეთრებული საზმარეულო, პატარა ოთახი, ყაისნაღით მოქსოვილი ფარდები. მაგიდისა და საწოლის გადასაფარებლები, ხელსახოცები, აბაჟური. ბოლოს ცარიელი თეფშებით გაწყობილ მაგიდასთან დასვა და საღამოს განმავლობაში მეათეჯერ გაცხელებული მაწვნის სუპით გაუმასპინძლდა. ნანის ბავშვივით ახარებდა და მოსწონდა ყველაფერი, თუმცა რაღაც დამნაშავის ღიმილისმაგვარი გამომეტყველება ვერაფერით მოიცილებინა. ალუბლის მურაბიანი ჩაის შემდეგ, შუბლზე ოფლმომდგარი სტუმარი მასპინძელს გამოეთხოვა.

— ასე მალე არ გელოდებოდი, — საღამოს გაზეთები გვერდზე გადადო სერვილატოვიჩმა.

ნანის ხმა არ ამოუღია. ისეთი სახე ჰქონდა, თითქოს ახლობლის პანაშვიდიდან მოდიოდა. გოგიც არ იყო ლაპარაკის ხასიათზე. ჩუმად იმგზავრეს.

სახლში შესულებიც ლანდებივით დაბორიალობდნენ ოთახებში, — ნანულის გაღვიძებას ერიდებოდნენ.

გოგი დაწოლას აპირებდა, ცოლის გაავებული ხმა რომ შემოესმა. გამხადეო, გაკვირვებულმა გამოხედა. ნანი საწოლთან იდგა გულზე ხელებდაკრეფილი და რატომ არ მაქცევ ყურადღებას, რომ გელაპარაკებიო, საყვედურობდა. გოგის ქალის გაღიზიანებული, გაბზარული ხმა არ მოეწონა და წამოდგა. ფარდა გადასწია. ქუჩიდან შემოკრილმა შუქმა ოდნავ გაანათა იქაურობა. გოგი ახლოს მივიდა. ცრემლებით ჭქონდა ქალს სავსე თვალები. ნეტავი მისი მასწავლებელი დედა რას აკეთებს თუ იცისო, გაიფიქრა და ტუჩებით შეუმშრალა თვალები.

— დერეფანში ვიგრძენი, ვიღაც უხილავი შემომეგება. მობრძანდითო, დამეჯღანა. ქუოქი ჩამომართვა, კინაღამ ჩექმაც გამაძრო, — აჩურჩულდა ქალი.

— დავიჯერო, უხილავი იყო?

— გაჩუმდი! — იყვირა ნანიმ. — მერე სამზარეულოში შემოგვყვა. ჩვენ ვსაუბრობდით, ის კი იქვე იჯდა, კაკტუსის ყვავილზე და გვიყურებდა, გვისმენდა, ლაპარაკში გვერეოდა, გვაჩუმებდა, ხელს გვიშლიდა, სანამ სულ არ გაგვაჩუმა, მანამდე.

— ეკლებზე ჯდომა ასეთი მოსახერხებელია?

— ოთახშიც შემობრძანდა. — აკა-

ნკალებდა ქალს. — საწოლს შეეხედე. ისეთი უზარმაზარი და საშინელი მომეჩვენა, [illegible]ინაღამ კივილი დავიწყე. დროზე გავჩუმდი. ზანდასი მომერიდა. ის გახამებულ გადასაფარებელზე იწვა და უხამსად იტყაპუნებდა შიშველ სხეულზე ხელებს. ზანდა მიხვედა, რომ ვხედავდი იმ საზიზღარს და მარაოსავით ჩამომეფარა თვალებზე. ეტყობა შეეშინდა, ჩემთან მეორედ აღარ მოვაო და სულ სახეში შემომციცინებდა, კიდევ როდის მოხვალ, ხომ ნამდვილად მოხვალო, მეკითხებოდა.

— ნანი, რა დაგემართა, ვინ იწვა ზანდას ლოგინზე? — აკანკალებულ ცოლს მოეხვია გოგი.

— სიმარტოვე. სევდის ნაშობი თეთრი ნაბიჭვარი, უზარმაზარი თავით და სუსტი სხეულით. ობობას ჩამოჰგავდა. ღამე კედელზე რომ მიბობღავს, შენს ცხვირწინ რომ შეჩერდება და ვიყურებს, გდარაჯობს... სანამ ჩემი თვალით არ დავინახე, მანამდე არაფრად ვაგდებდი. პირიქით, მასთან შეხვედრაც მინდოდა. მარტო დარჩენა მსიამოვნებდა. ავანზე მოხტუნავე ბეღურებიც კი ნერვებს მიშლიდნენ...

— შენ ერთხელ იყავი იმ ქალთან სტუმრად და მგონი ააფრინე, — ხუმრობა სცადა გოგიმ. — ახლა მეც აღარაფერი მიკვირს. თუ საწყალი ზანდას ლოგინზე ტიტველი ვიღაც გორაობს და ლაპარაკსაც არ აცლის, რასაკვირველია, უსტვენს ქალი...

გოგიმ იგრძნო, ცოლის მომთხოვნი ხელები როგორ ეფერებოდნენ მხრებზე, მერე ტუჩებს უთმობდნენ თითქოს საგანგებოდ კოცნისთვის შერჩეულ ადგილებს და გაჩუმდა, მოკნილი თითებით მაშინვე შემოაცალა ტანსაცმელი. არასოდეს უნახავს ესოდენ აღგზნებული ქალი...

მერეც დიდხანს არ უშვებდა ნანი ხელს. დილით ვერ ავდგებიო, გაღიმებული ფიქრობდა ცოლის თმაში ცხვირით ჩამძვრალი კაცი და გრძნობდა, ათი წლის უკან ნათბოვი ქალი, რაღაც შემთხვევითობის გამო, სწორედ დღეს მისი საყვარელი, ცოლი ხდებოდა.

შვიდ საათზე ჩვეულებისამებრ მაინც წამოდგა. სასიამოვნოდ მოთენთილი სხეული თბილ წყალს მიანდო. ოთახში დაბრუნებულს ახალჩაძინებული ნანი თვალგახელილი დახვდა. გოგიმ საათი გაიკეთა. სარკეში შეათვალიერა საკუთარი თავი.

— გინდა, თქვენები ჩვენთან გადმოვიყვანოთ?

— რატომ? — მაშინვე ლოგინზე წამოჯდა ნანი.

— ნერვებს მიშლის ცარიელი სახლი.

ნანი ხმას არ იღებდა. შეცვლილი სახით შეჰყურებდა ქმარს და თმის ბოლოებს უმოწყალოდ იწიწკნიდა. გოგი ლოგინზე ჩამოჯდა. ხელები დაუმაგრა.

— მაშინ მდგმურებს მოვიყვან ან ბულდოგს.

— არა. — თავი გააქნია ნანიმ.

— შენც ჩემნაირად ფიქრობ. ბულდოგს სიდედრი სჯობია? დაურეკე დღეს. მოემზადონ. საღამოს ერთად მივაკითხოთ.

ნანიმ ხელები გაითავისუფლა. სახეზე საბანი აიფარა და ატირდა. გოგის არ დაუმშვიდებია. სამსახურში იგვიანებდა...

— მაინცდამაინც უცბოელებისათვისაა საჭირო სილამაზე? ჩვენ ხალხი არა ვართ? ყოფილიყო ფარდა, მოვიპარაედი და სახლში წავიღებდი თუ რა? ზაფხულობით მზე ისე მაჭერს ტვინზე, ყურებიდან სულ ვარდისფერი საღებავი მეღვრება. — ბოაზობდა მადლენა.

— მართალია, მურვან ყრუს შემოსევის შემდეგაც კი არ რჩებოდა ასეთი გაპარტახებული დერეფნები. — თავს უქნევდა ზანდა.

— რა შორომაში სულგამძვრალი ხალხი ჩვენ ვართ. ნოხებზე გვატარონ, ისედაც იოლად გავალთ. — იცინოდა ნანი.

— ვარდისფერ საღებავს სად შოულობთ, ქალბატონო მადლენა, მე სულ მწვანე მხვდება. რატომ არის ნეტავი

ამდენი მწვანე საღებავი. ა? — დაინტერესდა გეგა.

— ტანკების შეღებვის შემდეგ რჩება. ბრიყვო! ვარდისფერი ტანკი გინახავს სადმე? — თენგომ მოღიმარ ნანის გადახედა და შეროგვების იმედი მიეცა.

ოთახში გახყოფილების გამგე შემოვიდა. მოწყვეტით დაეშვა სკამზე. რამდენიმე წამით გულისგამაწვრილებელი სიჩუმე ჩამოვიდა.

— დავიღუპეთ, — როგორც იქნა, ხმა ამოიღო ოთახმა.

— კიდე მოდის ვინმე? — შეშფოთდა მადლენა.

— გვაძცირებენ.

— გვაძცირებენ. ხომ არ გვაცემბირებენ, — იხუმრა გეგამ და მაშინვე გაჩუმდა. ისეთი თვალით გადახედეს თანამშრომლებმა.

— საიდან იცით? მითითებაა მოსული? — დაინტერესდა თენგო.

— კი. ქალალდია მაღლიდან. ბრძანება. უფრო სწორად. დილიდან თათბირია დირექტორთან.

— როგორ დავკარგე პენსიისავით მუქთი ხელფასი. — შუბლში ხელი შემოიკრა მადლენამ.

— დედაჩემი ვერ გადაიტანს ამ ამბავს, — გაეცინა გეგას, — სანამ უმუშევარი ვიყავი, თვალს ვერ მისწორებდა; ორ დამიხაავდა, თავბრუ ეხვეოდა და გული ეროდა.

— რას ამბობ? — გაუკვირდა მადლენას.

— კი, ასე იყო, — გააგრძელა გეგამ. — მერე ბებიაჩემს გააცხენდა ერთი ჩვენი შორეული ნათესავი და იმასთან გაგვაგზავნა. ჯერ ფული ვისესხეთ. მერე საკომისიოში ფაიფურის ძველებური თეფშები შევიძინეთ. ტორტი შევუკვეთეთ, სოკოებიანი, ტაქსის მძღოლი ისე მიგვაფრიალებდა, კეფაზე შევახოცე კარგა ბლომად კრემი. მივედით, როგორც იქნა, ნათლიასთან. როგორ გაზრდილა ჩემი ნათლულიო, ტორტს ჩაულაპარაკა ჩემმა ნათესავმა. რატომ შეწუხდითო. თავი მოიკლა მისმა ცოლმა და ჩვენი ბავშვებივით ჩახუტა ძვირფასი თეფშები. ტორტი მართალია, არ გვაჭამეს, მაგრამ, სამაგიეროდ, სამსახური მიშოვეს. ისე, პარტიული ამხანაგი როგორ მომნათლავდა, თუ მაშინ უპარტიო იყო? — დაფიქრდა გეგა.

— შენ მე უნდა გენახე. რა დღეში ვიყავი. ორი წელი დავრბოდი იქითაქეთ. ენაგადმოგდებული. ვის ეძებ, რა დაგკარგვია?! ვის რათ უნდა ჩემი სპეციალობის ხალხი. ორი წლის შემდეგ უკვე ინერციით ვმოძრაობდი. წვერი მოვუშვი. ჯინსებს აღარ ვრეცხავდი, ტელევიზორში ამერიკელ უმუშევრებს რომ გვაჩვენებდნენ. გულზე ვსკდებოდი. იმათ სახელმწიფო მაინც ასმევს და აჭმევს უფასოდ. რაღაც დახმარებასაც ვიღებთო; ახა. მეტი რაღა გინდათ თქვე უბედურებო-თქო. ვილანძღებოდი დირექტორი ჩემი მეზობელია, როგორც იცით, ერთხელ მისი შვილი ცემას გადავარჩინე და აი, ბატონო, კაცი, გადამიხადა თვეში 115 მანეთი.

— იცით, გისმენთ და გეფიცებით, რაღაც უცნაურად ვღელავ, — ბიჭებს გადახედა ზახდამ. — ასეთი ახალგაზრდა რომ ვიყო, ალბათ, სხვანაირად ვიცხოვრებდი. რაიონში წავიდოდი, სკოლაში მოვეწყობოდი მასწავლებლად, რამდენ ბავშვს დავაფრთიანებდი...

— მე ნაქირაცებში ვიცხოვრო. ვიშიმშილო, „დაფრთიანებული ბარტყები" კი აქ ბინასაც მიიღებენ. სამსახურსაც იშოვიან და. არიქა. გვიშველეთ. დაცარიელდა სოფლებიო, მთებში აასწარით, ქალაქელებო. ერთმანეთსო, დასჭექენ. ქალებს უსაყვედურებენ. დაახამუსებენ. 7 ვაჟაცი გაუჩინეთ ქვეყანასო. მერე იღლიაში საქალალდეს ამოიჩრიან, რედაქციებს დაწიოკებენ. მთიდან ჩამოსულ „თორღვებს" წაალისებენ. ღეღესებს გამოუქვეყნებენ. სამშობლოს სიყვარულით გულდათუთქულ პატრიოტებს კომკავშირის პრემიას მიანიჭებენ. შემდეგ უკვე ცნობიერი ახალგაზრდა პოეტები ყოველ წელს პააწია წიგნებს გამოუშვებენ და პატარა, ორშვი-

ლიან ოჯახს შეძლებისდაგვარად შეინახავენ. მე კიდევ, იმათ არწივისებრ ყივილზე ფშავ-ხევსურეთის დაცარიელებულ სოფლებში ვიყურყუტო ბატივით, ხომ?

— დამშვიდდი, თენგო, სადაა რაიონში პედაგოგის ადგილი, ეგ ზანდას ანალგაზრდობის დროს იყო, — ნერვებაშლილი ახალგაზრდა კაცი დააწყნარა განყოფილების გამგემ.

— რაიონში რომ წავიდე, ვინ მომიკლის? — ისე, ყასიდად იკითხა გეგამ.

— თქვენ მოვლილის ანლაც არაფერი გეტყობათ, — მოუჭრა ზანდამ.

— რა გესმით თქვენ, მე მხატვარი ვარ, მხატვარი. — გაბრაზდა გეგა.

— ეგ არ გაძლევთ უფლებას, პირდაუბანელი გამოცხადდეთ საზოგადოებაში!

— დილით მიჭირს ადგომა, პირის დაბანა და კბილების ხეხვა რომ დავიწყო, შუადღემდე ვერ მოვალ. თუმცა ეს ისეთი წვრილმანებია, იმ პრობლემებთან შედარებით, რომლებიც მე მაწუხებს...

— მე სპეციალობით არ ვმუშაობ, ოცი წელია სხვა, ჩემთვის უკვე კარგად ნაცნობ საქმეს ვაკეთებ, მაგრამ დიპლომი... მოულოდნელად თქვა განყოფილების გამგემ,

ოთარს ოჯახი არ ჰქონდა, მისი ერთადერთი სიხარული სამსახური იყო.

— ჭირივით მძულს რძის პროდუქტები, აქ პრემია მაინც არის კვარტალში ერთხელ, პენსიაზე რომ გამიშვან, გავგიჟდები! — თვალებზე ცრემლები მოადგა ზანდას.

— თქვენ ვინ შეგამცირებთ, დილიდან საღამომდე მაგდანას ლურჯასავით მუშაობთ, — მოტირალი ქალი შეებრალა გეგას.

— წავალ, გავიგებ, ქვემოთ რა ხდება, — წამოდგა ოთარი, დამთავრებოდა თათბირი. გიოს კითხულობდა დირექტორი, არ მოსულა დღეს?

— არა, ოგვიანებს ხოლმე საერთოდ, —თანამშრომელი დაასმინა რატომღაც მადლენამ.

— რო მოვა, დირექტორთან ჩავიდეს, — დაიბარა ოთარმა.

ოთახში ისევ სიჩუმე ჩამოვარდა. ყავის მოდუღება და მაგნიტოფონის ჩართვა იმ დღეს არავის გახსენებია.

განაჩენის გამოტანას ელოდნენ.

უსიტყვოდ.

უსაქმოდ.

მდუმრედ.

. . . . . .

დილით, როგორც ყოველთვის, მეზობლის ქალი ესტუმრა მის ნენსის, ჩაის დასალევად ახალი ფუნთუშები და ამბებიც შემოუტანა.

— წუხელის ჩვენს წინ, სახელოსნოებში, უბედურება მომხდარა, ახალგაზრდა ბიჭი მოუკლავთ, ცნობილი არქიტექტორის შვილი, — მიახარა სუფთად ჩაცმულ, კოპწია ტანის ქალს.

— რომელ სახელოსნოში? — შეწუხდა მასპინძელი.

— ჩვენს პირდაპირ, აი აქ, — ფანჯარასთან ახლოს მივიდა სტუმარი. მის ნენსიმ ქალის საჩვენებელ თითს გააყოლა თვალი.

თავი ჩაღუნა, დადარდიანდა უეცრად.

— რა, იცნობდით? — გაუხარდა მოსულს, რომელიც ყოველ დილას კატასავით ფრთხილად მხოლოდ იმიტომ აკითხავდა მოხუც ქალს, რომ ჯერ კიდევ ცოცხალი თუ იყო, ის შეემოწმებინა. ცოლშვილიანი ბიჭისთვის სჭირდებოდა ჩიტის ბუდესავით პატარა ოთახი.

— ჩემი მოსწავლე იყო, — ამოიოხრა ქალმა. — დღეს მე არ ვისაუზმებ, უნდა წავიდე. გთხოვთ მარტო დამტოვოთ.

მეზობელს ქალის ცივი ხმა შეაპივით უსიამოვნოდ მოხვდა კანზე, სხეული აეწვა და ბალანაშლილ კატასავით გაიძურწა გარეთ.

მისს ნენსი კარგა ხანს იდგა ფანჯარასთან.

თავის მოსწავლეს იხსენებდა. უფრო სწორად, ბიჭთან ერთად გატარებულ რამდენიმე წელს. თავისი მრავალრიც-

ხოვანი მოსწავლეებიდან სწორედ ის ერთი უყვარდა გამორჩევით.

ცისფერთვალება, ქერა ბიჭი, რომელიც თავისი ჰაჭუა, აპრეხილი ცხვირით არამც და არამც არ ჰგავდა ქართველს, მისი ერთადერთი მესაიდუმლე იყო. მასწავლებელი გატაცებით უყვებოდა მას თავის ქვეყანაზე. ასწავლიდა შექსპირის სონეტებს, ბაირონის ლექსებს, თარგმნიდნენ ინგლისურად გალაკტიონის „მერის“. საათობით დასცქეროდნენ ვივიენ ლისა და ლოურენს ოლივიეს ფოტოსურათებს, უცხო ენების პედაგოგიური ინსტიტუტის ერთიცქნა დარბაზში, ვინ იცის, მერამდენედ, სულგანაბულნი უყურებდნენ „ლედი ჰამილტონს“, „ვატერლოოს ხიდს“... ბიჭი საოცარი სერიოზულობით, ლოცვასავით წარმოსთქვამდა ინგლისურ სიტყვებს, პირში უყურებდა მასწავლებელს და ტუჩებსაც ზუსტად მასავით აწყობდა.

მისს ნენსიმ თბილად ჩაიცვა. ხელში ძველისძველი ქოლგა აიღო. ძველებური პატარა ხავერდის ალბომი გულზე მიიხუტა და გარეთ გავიდა.

თოვლნარევი წვიმა მოდიოდა.

ქალმა ფეხს აუჩქარა. მოპირდაპირე სახლის სადარბაზოში შევიდა.

ცარიელ ოთახში ტახტზე ესვენა გიო. დედამისს სკამი ახლოს მიედგა მასთან. თითქოს შვილის მშვიდ ძილს დარაჯობდა. გარშემო საქმიანი სახეებით იქით აქეთ მიმოდიოდნენ უცნობი ადამიანები. ავეჯი გაჰქონდათ მეზობლებში.

მისს ნენსი კარებში გაჩერდა.

გიოს დედამ, რომელსაც სახეზე სიცოცხლის ნიშანწყალი არ ეტყობოდა, საერთოდ დაკარგა ფერი.

მასწავლებელი მოწიწებით მიუახლოვდა მოსწავლეს. სველი ცხვირსახოცი გადააძრო. ფრთხილად აკოცა გალურჯებულ შუბლზე. მერე თავთან პატარა ალბომი დაუდო. მისი ერთადერთი რელიქვია. საყვარელი მსახიობი ქალისა და მისი ქმრის სურათები ერთმანეთთან გაგზავნილი სასიყვარულო ბარათებით, რომელსაც გატაცებით თარგმნიდა უცხო აკრძალულიც, მაგრამ მშვენიერი სიტყვების სიძლიერით მონუსხული ბიჭი და ფეხაკრეფით გაეცალა იქაურობას...

. . . . . .

ნახევარი წლით ამოისუნთქა განყოფილებამ. შემცირებამ ნახევარი წლით გადაიწია.

გიოს ადგილი გააუქმეს. თუმცა ეს საქმეს ვერ შეელოდა.

1990 წლამდე ინსტიტუტის თანამშრომელთა რიცხვი საგრძნობლად უნდა შემცირებულიყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ჩვენ“

როცა ველარსად მოგიხელთებ,
როცა უღმერთოდ ვშორდებით
ერთიმეორეს,
როცა გამირბიხარ,
როცა არსად არის ჭერი —
ჩემი და შენი შემფარებელი;
არადა, ისე მინდა,
გვერდიგვერდ ვიდგეთ
და რაღაცა გვქონდეს ზიარი...

გამოვხსნი ხოლმე სიტყვას — „ჩვენ“,
შეგიყვან და შემოგყვები,
ამ სიტყვაში ისე თბილა
და ისეთი ერუანტელისმომგვრელი
ინტიმია...

. . . . . .

ვაი, უნუგეშოდ შეყვარებულებს,
ვაი, სიტყვაში თავშეფარებულებს.

●

შუაღამე
საყოველთაო მოსვენების ჟამი არ არის,
შუაღამე
შეპყრობილთა ბორგვის ჟამია.
როცა ერთ პირს მდინარეებიც
ჩაძინებენ,
ფოთლებს ნიავი დაეხსნება,
პოეტს — წვალება.
მკვლელს — მსხვერპლის ლანდი,
შეყვარებულს — სატრფოს ბაგეზე
ართმეული
ბადაგის გემო,
როცა ლეთა წალეკავს მიწას,
ძილგადაფენილ ქვეყნიერებას ჯანსაღ
წიაღზე
მოკახცახე, დაფეთებული საცეცები
ამოეზრდება—
გიჟები და მთვარეულები გამოდიან
უკაცრიელ დედამიწაზე
და უდრტვინველად
მარადიული სიცოცხლის უღელს
უმწეო მხრებს შეაშველებენ.
როცა ერთ წუთს მდინარეებიც
გაშეშდებიან.
როცა ლეთა წალეკავს მიწას.
მძინარ სხეულში ზარი ჩამოკრავს,
ზნემოვლილი ქვეშაგებიდან
მთვარეულის თბილი ფეხები
ჩამოიღვრება
და სიფრთხილესსმული ტანი
უჩინარ მეგზურს აედევნება...
შუაღამე მოსვენების ჟამი არ არის,
შუაღამე შეპყრობილთა ბორგვის ჟამია.
როცა ერთ წუთს მდინარეებიც
გაშეშდებიან,
როცა ლეთა წალეკავს მიწას,
ცხაურებით აჭედილ ღამეს
ვინმე შეშლილი მიაწყდება.
ცას მიაბჯენს
საყვედურით გაკაწრულ თვალებს,
დაიჩივლებს, გულს ამოისკვნის,
მაგრამ არ ცნობს
ვოლიერში დამწყვდეულ სევდას
მძინარეთა უცოდველობა
და უცრემლო ქვითინის ექო
კვლავ უნუგეშოდ ჩაიფერფლება...
შუაღამე შეპყრობილთა ბორგვის
ჟამია.
შუაღამე
საყოველთაო მოსვენების ჟამი არ არის,
ვიღაცა მუდამ უნდა ფხიზლობდეს,
მძინართ ჭირდებათ
მონაცვლე და მიმტევებელი.
და როცა ერთ წუთს მდინარეებიც
გაშეშდებიან.

როცა ლეთა წალეკავს მიწას,
მოჩვენებებით დანაღმულ გზებზე
— გამოდიან
გიჟები და მთვარეულები.

●

იქნება ვინმე კიდევ გეახლოთ
და კრძალვით გთხოვოთ სულშესაფარი,
იქნება ვინმე უკვე გზაშია,
იქნება ვინმე უკვე აქ არი,
იქნება უკვე იჩოქებს კართან
და შემოდგომის ყვავილებს ტოვებს;
იქნება უკვე ძალიან უჭირთ
თავშესაფარი ქალებს და თოვლებს.
ეკლებით უნდა მოჰფინოს ზღურბლი,
თორემ მოვლენ და ხელს შეგიშლიან.
იქნება ვინმე უკვე კანკალებს,
იქნება ვინმე უკვე გიჟია...
ნუ გეფიქრებათ, რომ შემკრთალ
სინდისს
ხვალ სინანული აახმიანებს;
ნუ გეშინიათ, უფრო თამამად
ატკინეთ გული ადამიანებს,
შეყვარებულებს და მარტოსულებს,
მარადიული სევდით ძლეულებს;
უფრო სასტიკად უნდა დასცინოთ
მარტოსულებს და შეყვარებულებს.
თორემ ადვილად ვერ დაარწმუნებთ,
დგებიან ვრცელი ღამის წინაშე.
მარადიული ყოფნის უღელში,
და არფრისკენ გაწვდილ ხელებს
ვარსკვლავებში აფათურებენ.

ვისაც მარტოდენ ოცნება სურდა,
რომ მიწა მუდამ თავისას ითხოვს,
რომ ხორცის გავლით მიდიან სულთან.
სიმართლით უნდა მოჰფინოს ზღურბლი,

თორემ ვიღაცა წრიალებს კართან
და თქვენში ეძებს, ჯიუტად ეძებს
ყველაფერს, მკაცრი სიმართლის გარდა.
თქვენ შხამით უნდა მოჰფინოთ
ზღურბლი,
თორემ ნუგეშის იმედით მოვლენ.
თქვენ კი ვერაფერს ვერ მიუხვდებით
სინაზით დაღლილ ქალებს და თოვლებს.
იქნება უკვე ძალიან უჭირთ
თოვლებს და ქალებს სულშესაფარი,
იქნება ვინმე უკვე გზაშია,
იქნება ვინმე უკვე აქ არი.
იქნება ვინმე კიდევ გეახლოთ...
დღეს კი დასრულდა, ეშვება ფარდა.
... და რა უაზრო იყო ყოველი,
დიდი, ლამაზი სიჩუმის გარდა.

პოეტის სულის პორტრეტი

ფუნჯი დაადო...
გახედა ღრუბლებს...
შენ არ დაეჭვდე, ღამის ქალაქო,
ისე, უბრალოდ გახედა, თორემ
ღრუბლებთან რა აქვს სალაპარაკო.

ხატავდა...
მართლა იხარჯებოდა,
ფერების სუსხი ძვლამდე ატანდა,
შეყვარებული იყო მხატვარი,
პოეტის სულის პორტრეტს ხატავდა.

ფონი შავია,
ლურჯით დახატა
გაწამებული კაცის იერი.
დღეს საყვედური არ ეთქმის ფუნჯთან,
მორჩილი იყო და თვინიერი.

ხატავდა...
მაგრამ როდემდე შეძლებ,
ფუნჯების ენით ილაპარაკო...
თვალებზამქრალი მოვა სარკმელთან,
შეეხმიანე, ღამის ქალაქო!

მას არ ჰირდება ახლა საშველი,
რომ ჰირდებოდეს, რამეს იღონებს.
არ უნდა, თორემ, თუ ვერ იპოვა,
ბოლოსდაბოლოს, გამოიგონებს.

და ზედმეტია საშველი, როცა
თვით სიყვარული უნდა გადარჩეს.
ხატავდა...
მეტი რა ვთქვა... პოეტის
სულის პორტრეტი იტყვის დანარჩენს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კ. გამსახურდიას მოთხრობის შემდეგ

„ზარები გრიგალში“.

ისე ირწევა ეს ნოემბერი,
თითქოს ნავია.
და ეს ყვითელი სევდის ზომალდი
დროის ზვირთებზე გადადიოდეს,
ისე უბრალოდ ცვივა ფოთოლი.
თითქოს მე და ხეს არა გვტკიოდეს...
მნათე ოქროპირ!
მე შენთვის ვმღერი...
მასწავლე რამე.
მირჩიე რამე.
მიშველე რამე.
მნათე ოქროპირ!
როგორ ირწევა ეს ნოემბერი —
სევდის ზომალდი,
როგორ გადადის დროის ზვირთებზე,
თუ, არც გადადის,
უბრალოდ, დგას აზვირთებულ ოკეანეში
და ირწევა
და მაწამებს ზღვის ავადობა,
როგორ მაწამებს ნოემბრის რწევა
და ფოთლების ნიაღვრები...
დამაბით კიჩოზე, თორემ ტალღა
გადამიტანს!
სატანაა ეს ნოემბერი,
ნაპირისკენ მაინც გასწიოს,
როგორ ირწევა, როგორ ირწევა...
მნათე ოქროპირ, ბეჩავო ბრძენო!
რა ჭქვია ამას:
დამჭკნარ-დამსხვრეული ფოთლის
სურვილი
სახლიდან რომ გამოგაძევებს,
შეშლილი თვალებით
გამძვინვარებული რომ მიაწყდები
სუსხიან ჰაერს,
საძულველ კაცს
გაავებული აუხსნი სიყვარულს,
ის, ალბათ, დაიჯერებს,
შენ კი შემაძრწუნებლად გაგეცინება:
გუიევით იბორგებ
ნოემბრის კედლებში გამომწყვდეული,
არაფრისა აღარ შეგრცხვება,
მაგრამ მაინც
თავს ვერაფრით ვერ მოიტყუებ,
მერე სარკეს შეეფეთები და
შენი თვალების შეგეშინდება...
სიმწრით დაიყმუვლებ,
რადგან ძლიერი ხარ
და ვერასოდეს ეღირსები,
ბოლომდე მიეცე რაიმეს...
ვინ გაღირსებს თავდავიწყებას,
შე გონების მონა-მორჩილო,
საცოდავო შენ!
როგორ ირწევა ეს ნოემბერი,
როგორ მტანჯავს ზღვის ავადობა.
როგორ უბრალოდ,
როგორ უბრალოდ,
როგორ უბრალოდ ცვივა ფოთოლი,
თითქოს ტალღებზე გადადიოდეს,
თითქოს მე და ხეს არა გვტკიოდეს...
დამიძახებს ოდესმე ქარი?!
შეუცნობელის თაყვანისმცემელს
დამიძახებს შეუცნობელი?
უცნობი ძალა ამიტაცებს სამრეკლოზე?
მერე ზარები გადამრევენ?
ამაკანკალებს?
ტვინშიც დარეკენ მაღალი ზარები?
მეღირსება თავდავიწყება და მისით
სიკვდილი?
ნუთუ არა!
ნუთუ არასდროს!!
მასწავლე რამე!
მიმახვედრე რამეს!
მაზიარე ჭეშმარიტებას!
ბრმა თვალებით ღმერთი დამანახე!
ექსტაზში დაღუპულო,
ძალიან ბედნიერო,
მნათე ოქროპირ!..

ოქტომბერი დაიწყო უკვე
ცის მათრახებით — თეთრი წვიმებით.
გაილოკავენ ეს წვიმები თითებზე სიზმრებს.
ჩემმა მზერამ შენს გაკვირვებას კიბეები აუტალახა,
რადგან გარეთ ოქტომბერი დაიწყო უკვე.
შრება ხეებზე შელამება ჩემი სამყოფი...
მისი ხვედრია, რომ შრებოდეს და არ იცოდეს,
საით მიჰყავთ შელამებით ამღვრეულ წვიმებს.
ან საით უნდა უქნან თავი ჩემს მარტოობას ღამის ქარებმა,
მარტის ნიღბებს რომ დაათრევენ აღმა და ჩაღმა.
დღენაკლულია ეს დღეები — შენ რომ დატოვე...
და ამ დღეებს ჩემს ტკივილთან არ მიესვლებათ.
რადგან გარეთ ოქტომბერი დაიწყო უკვე...

გაზაფხულზე ავუყვეთ არაგვს,
რადგან არაგვი გაზაფხულზე არიგებს სიმზრებს.
ვარ შენით სავსე და არაგვზე დამდგარი მთვარით.
მე არ მითქვამს შენთვის, მიყვარხარ,
რადგან არაგვი გაზაფხულზე არიგებს სიზმრებს.
არ მოსულა გაზაფხული მინდვრების მხრიდან.
მოვიდა მტკვარზე
ცოტა მუხლი ჩამოასვენა
და ყვავილებით აუყვა არაგვს.
ამ ხეობაში გაგიშლი კარავს,
რადგან ცივია ღამით მიწა
და ხვედრი ქალის.
შენ ნუ შეგაკრთობს ხეობებში ჩაღვრილი ნისლი.
წუხელ აქ მთვარემ გუდამაყარში დაიხრჩო თავი
და გამორიყავს არაგვი დილით.
მე არ მითქვამს შენთვის, მიყვარხარ,
რადგან არაგვი გაზაფხულზე არიგებს სიზმრებს.

რა იქნება, რომ
როგორც წვიმებმა იციან... ისე
ჩვენც შეგვეძლოს მოსვლა და წასვლა
ერთმანეთში ერთმანეთიდან...

თორემ ვერც მთებმა,
ვერც წყლებმა და ვერც ამ მინდვრებმა
ვერ მოიტანეს გაზაფხული ჩემი
სამყოფი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

[illegible] მდინარე იძინებს ღამით.
ის სუნთქვას იკრავს...
რათა არ დაფრთხნენ ვარსკვლავები — უფლის კრავები,
მდინარეზე რომ გადადიან, როცა ღამდება —
ისე, რომ წყალში ფეხისგულებს არ ისველებენ.

[illegible] გაილია გაზაფხულის იებზე თოვლი...
[illegible]ამ მთებსაც ბევრი სიყვარული შეეშრათ ტანზე,
ეს გზებიც ბევრჯერ აამტვერეს მოგონებებით.
(მე მახსოვხარ — მოსჯილია, უნდა მახსოვდე)
ჩემი სამყოფი თუ იქნება ამაღამ ღამე,
თავის სამყოფი თუ ექნებათ ჩრდილები ხეებს,
ქარი ხეებს თუ შემოიქნევს მათოახებივით.

ჩვეულებრივად მახსოვხარ, თოვლი
უჩვეულოა, მახსოვხარ, რადგან.
და ნაბიჯს დიდი სიფრთხილით ადგამს
ვარსკვლავებიდან მოსული თოვლი.

მე ვიზიარებ, რომ მარტი გაცვდა,
რომელიც შენს მხრებს არჩევდა სხვაში,
შენ ტირი, როგორც სულელი ბავშვი,
ვერ მოვახერხეთ გულების გაცვლა.

მზე ჰყვება შენზე, და ჰყვება თოვლზე,
თოვლზე, რომელიც მიწაზე რჩება,
და იმედივით ერთმეეთ ვნება
ქარებს, რომლებიც წვებიან თოვლზე.

როცა აგვისტო წვება პირაღმა
და მდინარეებს სიცხისგან ყელი
უშრებათ,
გვინდა თუ არა, უნდა დავჯერდეთ
ერთმანეთის მარტოდა სურვილს
და ბორბალივით მოჭრიალე თეთრ
შუადღეებს.
შენ ეცადე, მუდამ მახსოვდე,
სრულყოფილია ჩემი სევდა, როცა
მახსოვხარ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძვლები გასძახიან ძვლებს

ყამი ავად დარიალდა,
ალგეთს გადმოლაჯა...
— „არვინ დარჩა დარიალთან
საქართველოს დარაჯად?..

— ხმალზე ეანგის ნაძახია,
მკლავიც გადამეფისა...“
(ერეკლეს ძვლებს გასძახიან
ძვლები დავით მეფისა).

●

ნუ სწუხარ მოსულა დღე გულის
მზარავი.
დაწყვიტეს ქარებმა ოცნების აფრები,
არავის, იცოდე, არავის, არავის,
არასდროს არავის არ მოენატრები.
ნუ სწუხარ, ნუ ფანტავ ცრემლიან
სტრიქონებს,
ყამია, ისედაც სიცოცხლის მპარავი..
ნუ სწუხარ, შენს ტკივილს არავინ
იგონებს,
არავის ახსოვხარ, არავის, არავის!
ნუ სწუხარ, სანთლები აანთეს ტაძრებმა,
ეგ სული ეკლიან გზისათვის შობილა,
ნუ სწუხარ, ასეა მგოსანთა გაძლება,
მშველელი კაცთაგან არავინ ყოფილა.

ჩაქოლეს ვარდები ქვებით და
ლოდებით,
ნუ სწუხარ, მოსულა დღე ფიქრის
მზარავი,
ვის გააზსენდები, ვის მოაგონდები,
არავის, არავის, არავის, არავის!
ნუ სწუხარ, მართალი გზით მიემართები,
მაცხოვრის ბილიკით, ცისფერი გამათი,
რა შენი საქმეა დაფნა და ვარდები,
უაზრო ტაში და მოცლილთა კამათი.
ნუ სწუხარ, რომ დროა სიმართლის
მგმობელის,
რომ არ სჩანს ზეციურ ხილვათა
შეგნება,
შენ თეთრი ვარდების სამარე მოგელის
და ლურჯი იების საძვალე გექნება.

როცა ბაგიკვდე, დედილავ

ხმით მატირალნი მავლიან,
ამაიდგამენ ენასა.
არც შენ დამაკლებ, დედილავ,
უხმოდ ცრემლების დენასა.
ჩემ სიკვდილც დაიტიროდე,

ნუ დაუწყევლი კერასა,
მარტოსულ იყო იგიცა,
ეძებდა თავის ფერასა...
შენ იცი, მეაც ველოდი
კაი ყმის გამოჩენასა.

●

ცოცხალ მიტირე ქალთეთრო,
მკვდარი არ მაგთხოვ გლოვასა;
მოვკვდები, დავემგზავრები
ზენა ნიავ-ქართ ქროლასა.

მოვკვდები, ჩემი სამარე
ამოჰყრის ვარდსა, იასა,
სული ღმერთს, გული შენ დაგრჩეს;
ლეში — საფლავის ჭიასა.

●

ლელთ ღუნია პაპის პაპა
იყო ჩემი დედის მხრიდან.

ჩემ სიკვდილ გახდა ავადა,
მერმ მაკვდა თავის თავადა.
ვერცა რა მტერმა დამაკლო,
მტერიც ლოგინად ჩავარდა.

მზე-მთვარის ქორწილ მაქვისა,
ვარსკვლავნ მისხედან ჯარადა,
შემინდოს მაღალმა ღმერთმა,
თავ რომ მეყუდნის თავადა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

მატარებელში

— ჩემი ანსაბმელი იმხანად თბილისიდან ბათუმში მიემგზავრებოდა გასტროლებზე. მე ჩემს იმერეთს გკვრდი ვერ ავუქციე, მატარებლიდან ჩამოვსტი, შინ შევიხედავ, ჩემიანებს მოვინახულებ და ხვალ ჩამოვალ.მეთქი, დავუბარე ანსაბმლის წევრებს და მოვუსვი ავტოსადგურისკენ, საიდანაც თხუთმეტ წუთში სახლში ვიქნებოდი.

მეორე დღეს კი საჩხერე-ბათუმის მატარებელს რომ ველოდებოდი ზესტაფონის ბაქანზე, ჩემი მეზობელი შიშა უკმაყოფილეს გამოცხადა ხაკის ბლუშა-ბარვალში გამოწყობილი, გაპრიალებული ჩექმებით, ხელზე სამხედრო შინელი გადაეკიდებინა, თუმცა ზაფხული ძალაში შედიოდა.

— გამარჯობა! ვერ მიცანი? — მკითხა რა. ხიანი ხმით, გადაკრულში რომ იყო, ეკვი არ შემპარვია, მაგრამ აქეთ მე უფრო გავვოცდი, ამდენი ხნის უნახავი ღლაპი რომ მიცნო და ხელი ჩამოვართვი.

— არსებობს, შიშა ბიძია, ადამიანი დედამიწის ზურგზე, თქვენ რომ არ გიცნობდეთ?!

— ეგ ქეა მართალი, — ესიამოვნა კაცს. — თუთუნი გექნება, ალარ ვეწევი დილას აქეთია, მარა თუ გაქვს, მოგწევ მაინც. — ორი ღერი ამოიღო შეთავაზებული ყოლრფიდან, მოუკიდა და გერძიელი ნიფაში დაარტყა.

მატარებელი ხეხეშთან და ჭრიალეთან ჩამოდგა. ვაგონში ხალვათობა იყო. ჩემი ამბები რომ გაიგო, ერთბაშად გაჩუმდა მიშა, თავი გადმოსაკეც მაგიდაზე დადებულ მკლავს დააყრდნო და ფანჯარაში ცქერას მოჰყვა. ლაპარაკით რომ არ შემეწუხებინა, წიგნი ამოვიღე და სამ ფურცელს, რომლითაც ბოლოგდებოდა ის შეხანიშნავი ხაწერმოები, სინანულით დავხედე... კითხვის დროს, ალბათ, გამეცინა.

— რა წერია ასეთი სასაცილო? — თავი აიღო მიშამ.

— შალიკო ბეჭნგიაძის თავგადასავალს ვკითხულობ, გაგიგონიათ, მიშა ბიძია?

— წაკითხული მაქვს სამჯერ, კაი მაგარი ვინმე იყო, რომ იცოდე, ვიცნობ ძალიან ახლოს, მთელი წელი ერთად ვიომეთ გვერდიგვერდ, ხან მე მიმყავდა დაზვერვაზე, ხან იმას მივყავდი.

— მართალს ამბობ, მიშა ბიძია?

— რა მეკრის, ბიჭო, მე შენი მოსატყუარი. ეჰ, შალვა, შალვა, რა წინაქალის ქნებს უტრალებია ჩვენს თავზე! თურმე იმისთვის ვიბძოლეთ ამდენი, რომ ჩვენს ხელში გამოკულენტილმა ბალნებმა არ დაგვიჭერონ, რა ენახეთ და რას შევესწარით, — ბოლმით ჩაილაპარაკა მიშამ. წიგნი დავხურე, შევაფუფე, გულს ვერ მოიფხანდა თუ ყურს ავარიდებდი.

— გეტყვი ავერ, — გამოიცალხლდა უცებ, — მაგ შალიკოს ის მწერალი ეყოლებოდა ნაცნობი, ან ახლო ნათესავი და ამიტომ მოეფინა ქვეყანას მისი ამბავი. ჩემს სოფელში თუ ვინმე გამწერალდა, მერე იქ ვეღარ ნახავ და ვინ მოფენს ნათელს იმ ბნელს, რაც ჩემს გულში ტრიალებს.

მატარებელი ალაბეთში გაჩერდა.

— აქაც ვარ ნამუშევარი მე, — სიუვარულით მოთვალიერა სადგურის მიდამო, — აქ გავაჩერე ბრძანებით თბილისიდან მომავალი შაალებით დატვირთული შემადგენლობა და დავბრუნე იმავ წუთს უკან. იღბლად მოასწრეს და დამირეკეს თბილისიდან: „ამბანაგო მიშა, მატარებელი არ გაგატარო, სამი ცალი შაალი დარჩაო თბილისში და თავი არ მოგვკრა, იღონე რამე.“ დაგვიანებოდა ერთი ხუთი წუთი დარეკვა და გათავებული ხაქმე იყო, იქით ჩემისთანა ალაკენ იდგა და ვინ გაართმევდა თავს ამ რთულ ხაქმეს.

შავგვრეშანი ანალგაზრდა შემოსულიყო ვაგონში, იგი ჩვენს გვერდით ჩამოჯდა და შინაურულად გვითხრა, შოთა ვარო. გვერდზე ბადურა მოიდო, ოთხი-ხუთი შავი პურით რომ დაეხერგა და მეტი ერთხანს აღარაფერი დასცდენია.

— სად მიბრძანდები, შენ ხარ ჩემი მეგობარი? — იკითხა მიშამ მოგვიანებით, დუმილი რომ მობეზრდა.

— სამტრედიაში, — თქვა შოთამ და მატარებელიც ზლაზვნით დაიძრა.

— მერე, შენ ხარ ჩემი მეგობარი, აქედან მიგაქვს პური სამტრედიაში? რავა, სამტრედიაში პური არ გაქვს?

— კი, მარა ქათმები თავიდანმე შეეჩვიენ აქოურს და ვეღარ მოვაბეუე, არ ჭამენ სამტრედიის პურს, ოცი ფრთა წიწილა გამატანა სიდედრმა, აქოური ქალი მუკვს ცოლად... დავ-

დივარ ყოველდღე. რა ვქნა, აპა, იმ ქართველს ჭამა უნდათ, სამტრედიაში პურ-მარილს ვერავინ დეიწუნებს, მარა ქართამს შენ მოატყუებ? სხვას არ ჭამენ და, გინდათ დაიჯერეთ, გინდათ — არა, — ბიჭი რატომღაც გაბრაზებული ლაპარაკობდა და ჩვენც დავიჯერეთ.

— მაგ პურებზე გამახსენდა ახლა, რაიხსტაგი რომ ეკიდეთ, შალიკო არ იყო მაშინ ჩემთან, სხვა განლაგებაში იბრძოდა, — თქვა მიშამ. ხმა არ ამოგვიღია, ვიცოდი, უკითხავადაც გააგრძელებდა... მისი არ იყოს, მეც მერამდენიმეჯერ ვკითხულობდი ხვინგიაძის ამბავს და ამის გამოცდილება მიკარნახებდა, ჩუმად ყოფნით მეტს მოვიგებდი...

— პურებზე-თქვა, რომ ვთქვი... სად იყო მაშინ რამე, ამდენი პური ერთად მთელ როტას ეუოფოდა, გელაპარაკებით მე... ეს ქართველს აჭმევს, ჩვენ იქ ერთი ნატეხი კი არა — ნამცეციც სანატერელი გვქონდა... ეს ქართველს... აი, დედასა... ხოოდა, ჩავძახე რუპორში (მაშინ მე მქონდა), რიგრიგობით რომ ვხმარობდით უფროსები. სად იყო იმდენი რუპორი, ყველა უფროსს ჰქონოდა. ერთი, მაგალითად, ვოლგის მხარეზე რომ მოიგებდა იერიშს, სპეციალური მანქანით გზავნიდა რუპორს უფრო წინ, ვთქვათ, ბულგარეთში, მოიგებდა ის უფროსი იმ იერიშს, გაათავისუფლებდა ბულგარეთს და უფრო წინ მიჰქონდა სამხედრო მანქანას სხვა უფროსთან და ასე მოვიდა რაიხსტაგამდე. ისე, ბედმა გამიღიმა, რომ იმ გადამწყვეტ მომენტში მე მომიწია, მაგრამ გული მწყდება, დროშასთან ერთად, ქანთარიამ მაგიც რომ არ ეიტანა ზევით. დეიბნევი კაცი სიჩქარის დროს, ხოდა, იმას ვამბობდი, ჩავძახე მჭექარე ხმით რუპორში: „გერმანელებო, გაძლევთ ამდენ და ამდენ დროს, გამოიცხადეთ კაპიტულაცია და ანზეიეთ ხელები რაც შეიძლება მაღლა-თქვა!"

— მიშა ბიძია, საიდან ისწავლეთ მაშინ მაგ ხელა გერმანული? — ვკითხე.

— ქართულად ჩავძახე, ქართულად, მარა ისეთი ტონით და მჭექარე ხმით, რომ შეშინებული მტერი სულ ადვილად მიხვდებოდა მნიშვნელობას. რად გინდა მერე, გვეიდა დრო, მაგრამ ხელების აწევას არ ფიქრობს არც ერთი... მაშინ ვიგრიალე: წინ-თქვა, და ოვუშვი ავტომატი... მომყვა ამდენი ხალდათი უკან, ვისვრი შეუჩერებლად. ხელები დამეღალა, მგონი სამასი ტაკვი რომ გამოვცალე და ავადუღე იქაურობა...

— ავტომატში მაგდენი რომ არ ეტევა, მიშა ბიძია? — ფანჯარაში გავიხედე.

— რა არ ეტევა, თუ კაცი ხარ! მე უბრალო ავტომატს მომცემდა ვინმე? სპეციალურად გაკეთეს სამი ავტომატი, ერთი მე მქონდა, ერთი ვიღაც უკრაინელს, რომლის გვარი ნაკლებადაა ცნობილი და ერთიც შალიკოს მიხცეს მოგვიანებით, ხვინგიაძეს რომ კითხულობ. ხუთასი ვაზნა ეტეოდა თითოში, აპა, იმიტომ დამეღალა ხელი.

— ახლა გასაგებია, — თქვა შოთამ, — მეტრე, მერე?

— ხო, ავადუღე იქაურობა, არ დამითვლია რამდენი გავიხარელე, მაგრამ ომში. ხომ იცი, გამოცდილება და ჭკუაა საჭირო. რადგან არც ერთი მაკლდა და არც მეორე. ვიგრძენი, რომ ორახი კიდევ დარჩა, ამით, სულ მცირე, სამას გერმანელს დავაწვენდი და მეტი არც ქე იქნებოდა, ალბათ, მაგრამ ერთმა მოულოდნელმა გარემოებამ შემიშალა ხელი! კიბეზე რომ ავრბოდი, შენ არ გეცოდინება და, გერმანელებს ყოველ ხელმისაწვდომზე ედგათ ტელეფონი ყოველ შემთხვევისათვის. ასე იყო ჩვენც, კედელზე ჩამოკიდებულმა თუ მიმაგრებულმა ტელეფონმა იწკრიალა. რას იზამ, ავიღე უურმილი.

— რომელი ხარ მანდ, რომ დაანგრიე ეგელაფერიო, — მესმის მოსკოვიდან როკოსოვსკის ხმა.

— კი მაგრამ, როკოსოვსკის იმ დროს მოსკოვში რა უნდოდა! — ფრიად გაკვირდა შოთა.

— სტრატეგიის ამბავია, ამას ცოდნა და გამოცდილება უნდა. შენ ომი არ მოგსწრებია, ბიძია, და ქართველი მაგას ვერაფერით ვერ აგიხსნიან, ძალიანაც რომ მოინდომონ.

— შეწყვიტეთ სროლა! მტერი უკვე განადგურდა, — მესმის რუსულად, — მაინც როგორი ხარ, რომ აადუღე მაქაურობაო, — დინტერესდა ისე რომ უურმილი არ დოუდვია.

— უჯმაჯრიიე ვარ მე-თქვა, ვთქვი

— ოოო! — მესმის გაბარებული ხმა. — გეყოფა ახლა, ალარ გეისროლო, ჩემო მიშა, მეტი, მოგროვე ოფიციალური საკობები და ზესტაფონში ისე არ წაბვიდე, ჩემთან რომ არ გამეიარო მოსკოვშიო, აპა!

ვნახე წამლად ორი გერმანელი, მოვაწერე ხელი ქაღალდზე, რომ ამის მერე კკვინანად იქნებოდნენ და შევიარე მოსკოვში, ხალმში მოგავალმა. ისე, შალიკოც გამეეძახებინათ, იქ დამბვდა. მომცა ჩემმა უშუალო უფროსმა ოთხი ბუბანკა თეთრი პური, „ეს შენს მშობელ მამას მიუტანეო..." ხად იყო პური მაშინ, მარა დამსახურების საკმეა. ხამი ცალი შალიკომაც წეიღო ქუთაისში და ორი ცალი ჭკონდათ გადანაზული კიდე იმ უკრაინელისთვის, მისი ვინაობა რომ ნაკლებადაა ცნობილი. ჩამოვიტანე გამარჯვების მედალი და ოთხი პური ზესტაფონში, რომ მამაჩემისთვის გადამეცა, მარა ორი წლის მკვდარი ყოფილა უკვე იმ დროისათვის. დავამტვრიე ჩაკუჩით ეს პურები და მეზობლებს გავუნაწილე, აპა რა შექნა. ეს ამდენ პურს ქართველს აჭმევს, თან წიწილები წაგვართვა და პურსაც გვართმევს. კი არ იწყინო, ბიძია, გეხუმრე, — თქვა მიშამ და ახლა მეორე სიგარეტს მოუკიდა.

— ზვინგიაძესაც არ შემოზვევია ნაკლები ამბები, რომ ჯაფიზლომ, სიმწრით ხელები მეკრუნჩხება, — ვთქვი.

— ოო, შალვა, შალვა! ჩავკითხე ამას წინათ ქუთაისში, მეთქვი თითო ბოთლ ღვინოს დავლევთ, ხასიათს გვეიგებმრიელებთ და ვიჯუაჭუაებთ. ომის ამბებს გეკითხებინებთ-თქვა, მარა არ დამიხვდა სახლში; გაგეცინება, მარა ის თურმე ჩემს სანახავად წამოხულა ზესტაფონში და ქე აქვდით ახე ერთმანეთს. არა, მართლა მაგარი ვიყაცი იყო, რა ვუთხარი სტრატეგიას თუ არა, ჩვენ რომ მაშინ არ დავეეცალეკეგებინეთ სარდლობას, გერმანიას გაცილებით ადრე ავიღებდით.

— ნინა კბილი რიდის ჩამოგტყდათ, მიშა ბიძია? — დაინტერესდა შოთა და სამტრედიის გავაკებული ეზოებიც დაილანდა ფანჯარაში.

— შალიკოს ბრალია მაგ! — გვერდზე გაიხედა კაცმა.

— ???

— ერთი იერიშის დროს მე და შალიკო ჯგუფს გამოვეკიანეთ (ერთად რომ ვიბრძოდით იმ დროს) და დასაზვერად დავწინაურდით. სად იყო ის ოჯახდაქცეული ნემეცი, ეცა მოულოდნელად შალიკოს და სხვებიც გამოცვივდნენ. ვდურთე თავი ბუჩქებში და ვუყურებ, რა მოხდება, ეცენ. შენ ხარ ჩემი მეგობარი, ჩვენს შალიკოს ამდენი გერმანელები, დატრიალდა შალიკო, ზრდილობიანი იყო, მაგრამ ერთ გერმანელს, რავა გავამბელ და, ქართულად შეუტყრთხა. ის გერმანელი ვერაფერს მიხვდა. მარა მე დავწევი სიცცხვილით, უშველებელი ჯაჭვით შებორკეს. მიიტეს ხეზე და წევიდნენ უფროსთან. შევატყობინებთო.

— ვერ მოთბრიდა ბეს, წინასწარ გეუბნები, — გაიფრთხილა შოთამ და პურიანი ბადური ამოიღლიავა. მატარებელმა სვლას უკლო და ბორძიკით მიადგა სამტრედიის სადგურს.

— ვერა, შენ ხარ ჩემი მეგობარი, ბევრი კაჩა. მარა არაფერი გამოუვიდა. ა, რაკარი ტანი მაკ ახლა მე, ძალიან ბევრ ახალგაზრდას ვაჯობებ. მარა მაშინ ვიუავი, რაც ვიუავი, მახათის ყუნწი ჩემთვის ალაკაფი იყო, ნემსის ყუნწში ვძვრებოდი.

— არიკა, მითხარი კბილი რატომ გაგიფუტდა. ჩავალ აწი სადაცაა, აწრიალდა შოთა.

— ბო, მეოთმინე პატარა, ბიძია, მასე მალე არ მომხდარა მაშინ ის ამბავი. მივაუურე... ყველა გერმანელი რომ მოშორდა, იფიკრა შალიკომ: „მოვბდღვნი ახლა ამ ბეს ფესვიანად და წევიღებ ქუთაისში, დაჯგაგა იქ. მოვაშენებ (პოლონეთში ვიუავი) და სახსოვრად, ომის მოსაგონებლად მეკმეხეთო, მარა ვერ მეერია, დიდი ხე იყო. გავცოცდი ბალაბებში, რომ არ ახსენებენ, იმასავით (წვერი ტანი მქონდა) და ჩუუ-თქვა, ვანაშნე ზვინგიაძეს. იმწუთში მიცნო. „მიშა, თავი არ დეიღუპო, მომშორდიო", მიჩურჩულა.

— კაცი ეგ ყოფილა! — მოთმინება დაკარგა შოთას და პურები უფრო საინედოდ ეჭიმებოდა. — ჯერ სად ხარ! — სულ არ ჩჯარობდა მიშა.

— ჯერ სამტრედიაში ვარ და ჩავიდე უნდა ახლა, მარა მაინტერესებს, დაამთავრე, თუ მეგობარი ხარ (თვალი ჩამიკრა ჩმსვლელმა).

— ჩადი, ბატონო, ჩადი! — უცბად იფეთქა მიშამ. ომის ამბავის მოყოლა ვერ აგიტანია, ომს ალტან შენ? ჩადი, აჭამე პური შენს ქათმებს და მერე თუ შეგეხვდი, დავამთავრებ მაშინ, იმე! — ფანჯრიდან გაჯეთების ჯიხურს გახედა უკმაჯურიიმემ და მატარებელიც დაიძრა.

— რა მოკენინო ახლა ეს! — შეწუხდა შოთა. მაგრამ გული იმით მოიოხა, „კაცს ვაწკენინე და ერთ სადგურსაც ვიზარალებ, გამოვუვები რამესო."

— მაინც გვიანაა, ჩემი პურისმჭამელი ქათმები დაძინებული იქნებიან, — ხმამაღლა უთხრა მიშას ყოველ შემოხვევისათვის

— ყველასთან კი არ ვლაპარაკობ მე ახე! — ჩაიბუზღუნა მიშამ... — შენი რა მოგახსენო და, ეს ჩემს ხელში გაიზარდა აგერ, დედამისსაც კარგად ვიცნობ და მის მეუღლესაც. ამის მამას... ნამყოფია ომში ისიც, მართალია, იომა, იბრძოლა, სამჯერ თუ ოთხჯერ დაიჭრა. მაგრამ ჩემდენი არაფერი გაუკეთებია. მისმენს ეს ბავშვი, აინტერესებს და იმიტომ. შენ რა მოგივიდა თუ იცი, კაცი თუ დაგლაპარაკებია როდესმე, ვერ ფიფქრებ!

— რატომ გამასწორეთ, მეგობარო მიშა, მიწასთან? — ბესლი შეეპარა ხმაში სამტრედიგამოცლილებულს.

— თუ არ გჯერათ, რას მალაპარაკებთ, სამი თქვენი ხნის გავხდები მალე...

— როგორ გეკადრებათ, პირიქით, არ ჩავსულვარ ჩემს გაჩერებაზე, ძალიან მაინტერესებს თქვენი კბილის ამბავი.

— მაშინ მეიცადე, ზრდილობა მეიხმარე, თავი დამიშვიდე და მომისმინე. ისე, ეს მატარებელი კი არ დარჩება ბათუმში, წამოვა ისევ უკან იმავე გზით!

— კბილის ამბავი! — მისწოლოდა საზურგეს შოთა და ადგომას ვერ ახერხებდა მოკადოებული მიშას მიწყობილი საუბრით.

— კარგი, ბატონო, კარგი, ასეთი მოოთმენელი თამაბი მოდის და, რა გიუოთ, მოკლედ მოგიუვები, ჩახასხელელი ხარ მალე და აგერ ჩემს მეგობარს (ჩემზე თქვა) მოვუთხრობ დანაჩრჩენს. მივცოცდი შალვასთან და რას უშვრება ახლა, ლუკი დაუდგიათ ჯაჭვზე და რუსულად აწერია: „ნე ტროგაგტ!" ეს ალბათ, ჩვენიანების გასაგებად. მე მაინც ჩემი ვკენი, შალიკოს პროტესტის მიუხედავად, რა თქმა უნდა და, ვეცი ჯაჭვს. დაჯეიმე კუნთები. ახლა რომ მიყურებ, მაშინ უფრო მეტი შემეძლო. მარა — არა! რა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაწუვატავს იმხელა, იმსიგრძე და იმსიფართე ჯაკვს. არადა, რკინაა, მეტი კი არაფერი... „ეხ! სად ვყვდები!" — თქვა შალიკო ხვნგაიძემ. ამის გამგონი რა ჭკუაზე დავდგებოდი, გეკითხები მე შენ! ვეცი წინა კბილებით ჯაკვს და ვლრღნი მონდომებით. მოგეხსენებათ, კბილი უკანა უფრო მაგარია, მარა წინა უფრო ნვრილია და, საერთოდ, სარკარო საქმე რომ იყო, წინა კბილებით ვმუშაობდი ხოლმე დაზვერვაზე. თან თვალი იქით გამირბის, ნემეცი არ გამოჩნდეს. კბილები მქონდა იმისთანა, ორი კვირის წინ გამომცხვარ მკვდს მოვკბეჩდი, დავლეკავდი და გადავყლაპავდი.

— მოვიდა შემდეგი სადგური! — გაგიყდა შოთა და წამოდგა, — რა ქენი, კაცო, ბოლობოლო, შალიკო მეცოდება თუ არა, შენ ქე ხარ აგერ.

— რა ჯირს, ბიკო, შალიკოს შენი შესაცოდი, ანგელოზივით ცოლშვილშვილშვილებიან კაცს, — ანერვიულდა მიშა. — შენ არ იცი და, მე და მაგი ერთმანეთს კუთაისში უნდა შევხვედროდით, გზაში რომ არ ავცდენოდით ერთიმეორეს. ის იმ დროს ჩემთან წამოსულა, აგერ, ამან კი იცის, წეხან ვუთხარი.

მატარებელი კვლავ გაჩერებულიყო და ისე დაიძრა, არავის გაგვიგია.

— რა ვქნა ახლა მე, სადაცაა ბათუმიც გამოჩნდება, ეკვიანი ცოლი არ მყავს, მარა, რა მივა სახლში ასე გვიან.

— შე კაცო, ომიც გვიან დამთავრდა. მე და შალიკომ ვოქვით ერთ წელიწადში მოვრჩით ამ საქმეს, თან ვერ გადავეკვეთით ახლა გერმანელებს-თქვა, მარა დაგვაშორეს ერთმანეთს და არ მოხერხდა უფრო ადრე. შენ მის მერე იქნები დაბადებული, მე რომ კბილი ჩამომტყდა.

— მითხარი, ბატონო, ბოლომდე, გაათავისუფლე თუ არა ხვინგაიძე. ჩემი ცოლი (დღევანდელი მეუღლე) შორეული ნათესავია მისი, ცოცხალი რომაა ზიგნიდან ვიცი, მარა მაინტერესებს, კბილი როდის და რატომ მოიტეხე! — ბიკის თვალებში ფოლადმა გაიკვეხა.

— შენი ცოლი რა გვარის ქალია?

— აუ! — პურები ძირს დაუვარდა შოთას და ინსტინქტურად ჩამოჯდა ჩემს გვერდით.

— ერგემლიძის ქალია ჩემი ცოლი, შუა ამერეთიდან და დაამთავრე, თუ არა, არ მოვიცვლი ფეხს.

— აგაშენა ღმერთმა! — თქვა მიშამ.

ცოტა არ იყოს, მეც გავბრაზდი, ასე რომ გააკიბურა ამბავი და, საქმე იქამდე მივიდა — მოულოდნელად ჩავერიე მათ კამათში:

— მართალია ეს კაცი, მიშა ბიძია — მეგობარო, ჩვენ წინ კიდევ გვაქვს გზა, ეს რამდენი ხანია ჩასვლას აპირებდა...

— კი, ბატონო! — გამოცოცხლდა მიშა, — ვლრღნი, შენ წარმოიდგინე, ამ ჯაკვს და გეფშნილიც დავლანდე. ავტომატმომარჯვებული ვსვამ პარუბა. რა დროს ლოლიაობაა, თუ კაცი ხარ და, მოვუტირე წინა კბილი მთელი ძალით. ტკაცე! — დაიძახა, ჩემო მეგობარო, ჯაკვმა და აიშვა შალიკომ, ეცა იმ გერმანელს, მიახტაჩო იქვე და ავტომატი ქე წამოიღო, მარა ჩამომტეედა კბილი, მეგობარო. ბევრი არც მიდგრდებია, პური არსად იყო — კბილი რა ჯანდაბად მინდოდა, მარა გზაში ტკივილი დამიწყო. მტაცა ხელი შალიკომ და ნაცნობ საველე სტომატოლოგთან გამაქანა. წინა კბილს ვერც დაპლომბავ და ვერც ვერაფერი, უნდა ამოიღოო, მითხრა სკოროხოდოგმა (სტომატოლოგის გვარია). კი, ბატონო-თქვა, ისე ვიყავი გამწარებული. ეიღო, შენ ხარ ჩემი მეგობარი, სკოროხოდოგმა ყველაზე დიდი გაზი და მომკიდა კბილზე, უფრო სწორად, ნახეკარ კბილზე და მოკაჭა. შენც არ მომიკვდე, რუკვაც არ გამიგია (ხომ გითხარით, კბილებით, თუ გინდა, სამი დღის გამომცხვარ პურს დავღეკდი). ეკაჭაურა, მარა, არა, არც მონძრეულა. კბილს, კაცმა რომ თქვას, ჯანსაღი ფესვი თუ აქვს, ბოდიში და, ფეხებს ვერ მოკვამ! დოუძახა ბუთ სალდათს სკოროხოდოგმა, გადაებნენ ერთიმეორეზე, შენ ხარ ჩემი მეგობარი, და მოხწიეს ხაერთო ძალით. ისე გაკაჭეს, რომ ფეხზე წამომაგდეს, მარა კბილი დარჩა ისევ თავის ადგილზე. ნახეკარი კბილი რომ ამას შეძლებს, მთელი რას იზამს, მარა ბედი გინდა, ისიც ომში.

წადით, მოცილდით, თქვენ სალდათები კი არა, ქონდრისკაცები ხართო! — იღრიალა სკოროხოდოგმა.

— ჭიაღუბი! — დააყოლა შალიკომ, მარა თვითონ არ იკადრა გაზისთვის ხელის ხლება. მეტი ძლერი და ღონიერი მე ვიყავი იმ არემარეზე, მაგრამ გაზი ხელში ვერ ავიღე, საკუთარი კბილის მოხაძრობად. ამოვიღე იარალი (ტკივილმა რომ შემაწუხა) და მივეცი სკოროხოდოგს „ესროლე, ბაღონო, რაც მოტდება, ხომ მოტყდება, რაც დარჩება, აგერ მე და შალიკო ვიღონებთ რამეს-მეთქი". დამიჭერა, მომადო კბილზე და სამი ტუვი დამბახალა... არაფითარი შედეგი! მერე ნემსი გამიკეთა. „ახლა გაგიუჩდება და თუ ვერ შეეჩვიე, მოდი მერე და კიდევ გესვრი, აა რა გიუოვო!" მეორე დღეს სამი კიდევ მესროლა. ასხლეტილმა ტუვიებმა კედლები ირე დაიცხავა, რომ მეხამე დღეს დანგრეულა ის შენობა მთლიანად. მე ქე მაქ ეს კბილი აგერ და შევეჩვიე ტკივილს. ახლაც ძალიან მტკივა, მაგრამ არ მაწუხებს, შევეჩვიე, შენ ხარ ჩემი მეგობარი.

— ჩავედი! — თქვა შოთამ და მართლაც ჩავიდა დიდის ამბით დამშვიდობების შემდეგ.

— რა ბიჭი იყო, ა! მაგი რომ ომს მოსწრებოდა, ახალშემოსულ კვარს გაკრიდა და შეძვ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რებოდა იქ, — გადაიხარხარა მიშამ, — მეც გამეღიმა.

მატარებელი სვლას ანელებდა.

— ეს, ჩემო მეგობარო, რა არ მოგვსწრია და რა არ გვინახავს მე და შალვას, ჩემს შალიკოს.

— ძნელი გზა გამოგივლიათ ძალიან! — ვთქვი მე.

— ძნელი ის სიტყვა არაა, შენ ახლა მატარებლიდან რომ ჩახვალ, ბნელა უკვე და ვიღაცამ ბაიდ! — ო როგორ დაგიძახოს, ვაი-ვაის კი-ვილით გეიქცევი! საითაც გზა გექნება. მე შენი ხნის ხად ვიყავი, პატარა ვიყავი შედარებით კაბინეტი რომ მიბოძეს, შენ ხარ ჩემი მეგობარი. მიბოძეს და მე ვარ იქ უფროსი, მაგრამ დედამიწის ზურგზე ჯერ არ დაბადებულა ისეთი უფროსი, კიდო დიდი უფროსი რომ არ ჰყავდეს. ბოდა, ჩავიბარე ეს კაბინეტი ორი დღეა. უტევს ჩვენი არტილერია და საზენიტო იერიშები მეტია კიდევ. რაღაც საქმეზე გავედი ბუთი წუთითი ოთახიდან. ხო, გამახსენდა, უფროსი მეძახდა, ამოდი, პატარა „პახილკა" მოვიდა შენ სახელზე და ერთად ვკამოთო. ახლა იმის გვარს არ დავსახელებ, საკმაოდ ცნობილი იყო საწყალი. ავედი. უჩემოდ არ გაეხსნა. გავხსენი და ამოვიღე, შენ ხარ ჩემი მეგობარი, ეს ცხელი ღომი და საცივი, ზენტაფონიდან გამოეგზავნათ, ბალტიისპირეთში ვიყავით გამაგრებულნი. შალიკო მიგვლინებით იყო საცხა გადასროლილი და ის ღომი ვერ შევაბვედრე. ვისაღილეთ რიგიან-პირიანად და... შენ ხარ ჩემი მეგ... და მოვბრუნდი ჩემს კაბინეტში.

— საიდუმლო კაბინეტი გეკენებოდა, — გავუშინაურდი.

— კი, გეფიცები ძმობას! გასაღები ვერ მოვარგე კარს... „ნაწვალებიან!" — მიკარნახა გონებამ და ამდენ ჯაჯგურში გაიღო კარი. რაცხა არ მესიამოვნა: ნაწერ ფურცლები იყო, შენ ხარ ჩემი მეგობარი, მიმოფანტული. შენ არ გეცოდინება და, მართალია, გერმანული ენა არ ვიცოდი, მაგრამ სტრატეგიული მოსაზრებით თავისუფალ დროს „ვეფხის ტყაოსანს" ვთარგმნიდი გერმანულად. ვიგრძენი, რომ ჩემს კაბინეტში ვიღაც ძალიან დიდი მნიშვნელობის გერმანელი შემოპარულა არადა, არ ჩანს არავინ თვალისსაწიერზე. გავკმინდე ბმა და სუნთქვა შევიწყვიტე. „ჩაფშია!" — შევუძახე ხმამაღლა თავს და იარაღი ვიშშველე.

— ვერ გბედავდა, ხომ? — ვკითხე.

— რას შემბედავდა, შეეხური კარი და დამემალა თავისი ჭკუით. რას ვიზამდი თუ მიბვდი? — მკითხა მოულოდნელად.

— აიუვანდით! — იარაღის მხეცს ეშინია.

— შენი ჭკუა რომ მჭონოდა, ახლა კურსკთანაც არ ვიქნებოდით, — გაჩირაღდნებულ პორტს გახედა მიშამ.

— ???

— შენ თუ გინდა ბუთი ტყვია, გკონდეს, და იმას ბუთსახიანი ავტომატი, ხომ დამცხრილავდა სახიკვდილოდ. ვიარე ეს, არც ის გამბრაზებია. იმარჯვა გონიერებამ. მოვაბი ზკაფს ბაწარი და ავუტანე უფროსს ის კაცი ზკაფიანად. ისე გაეხარდა, მგონი ახლაც კაბინეტში ყავს თუ არ მომკვდარა ჯერ. შენს სახსოვრად დავიტოვებ „ნაჩუკარ ცხენს კბილი არ ეხინჯებაო", — რუსულად მითხრა და...

— ჩავსულვართ, მიშა ბიძია, ბათუმში.

— ჩავედით უკვე?! — გაიკვირვა ხაშნელად. — შენ, ბიძია, მართლა კი არ გაბრიყვდე და კი არაფერი დაწერო. ომში რომ წავედი, ერთ თვეში დამაბრუნეს უკან. ქლეკი მჭონდა. გადავრჩი როგორღაც, მარა ენა არ მიჩერდება. სიმწარე იმ ერთ თვეშიც ბევრი ვნახე და ხვნგიაძე რომ მიხსენე, მართლა აღმეძრა ლაპარაკის სალერწილი. არ გამაცუცურაკო ამ სიბერეში, თუ კაცი ხარ. მესმის რაცხა-რაცხეები, თურმე სიმღერის გარდა, წერაც გემარჯვება... შალიკოს სულ არ ვიცნობ, მარა რა გალეკვდა ამხელა გზას, თუ არ ვისაუბრებდით. კარგად მენახე, ჩემო შვილო, იცოცხლე და იბედნიერე, მარა მეორედ რომ ჩამომბრუნდები სოფელში, ნამდვილი ამბავი მომიტანე, ის მწერალი მისი ნათესავი იყო, თუ ისე დაუწერა ამდენი ხისულელე. კარგად იყავი, იქეთ კვირას ჩავალ შალიკოსთან. თუ არსებობს ხალრთოდ.

ბემი საოცრად ლამაზი ჩანდა შებინდებულში ბათუმის პორტში მსუბუქი ნიავი უბერავდა და ზღვა მაინც წყნარი და კმაყოფილი იყო. ვაბშმობა მოახლოებულიყო ბათუმში.

მიშა ერთი წლის წინ დავმარხეთ ზენტაფონში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემი პატარა გოგონები —
ერთ ჭრელ ტოტზე გაცოცებულან,
თათებს ურევენ ბრჭყვიალა ფოთლებში,
ყველა ფოთოლი ნაყოფი ჰგონიათ.
მეც მიმიხმობენ:
— აქეთ, მამი, აქეთ წამოდი!..
ბეღურებივით ეღურტულებენ ისე
კარგად,
ისე ზღაპრულად —
რომ მეშინია...
— არა, არა ჩემო პაწაწინებო,
ჩემი ხელი მაგ ნაყოფებს ვეღარ
მისწვდება,
ჩემი გზები აქეთ უხვევს —
ულრანებისკენ,
იქ მელოდება ჩემი ძველი, ბებერი მუხა
დამძიმებული, გატუსული
ქარებისა და წვიმებისაგან...

ჩემი პატარა გოგონები —
სიზმრის ჭრელ ტოტზე გაცოცებულან,
თათებს ურევენ ბრჭყვიალა
ფოთლებში,
ეღურტულებენ ბეღურებივით.

●

რარიგად მინდა დავივიწყო
სახება ქალის, —
ღიმილი მთვარეს გავატანო,
ბგერები ნიავს...

მაგრამ გარშემო ჯადოსნური
იკვრება რკალი
და ყველა საგანს
მხოლოდ მისი სახელი ჰქვია...

ფოთოლცვენა

უნდა ნოვითავხელო,
კიდევ ერთხელ დავტკბე —
მწუხრის ჟამს გადავხედო
ნაბაკარს და ნატბევს.
ფიქრი ისე შემიჩნდა,
სისხლი ისე ღრინავს —
მოვენატრე იქ მშვიდად

საუკუნოდ მძინართ...
ზე დავლანდავ ქვაკაცას,
ძირს გალავნის ყორეს, —
სულს რომ ღაფავს გზადაგზა,
რომ ვეღარ სცემს ტორებს.
ფოფხთ — პირიმზით ჯადოქმნილს,
ქარით ნაჭარ საქორეს

ნისლებს დავძრავ, წამოვყარ
ვით დასიცხულ საქონელს...
ვიცი, წლობით მელოდნენ
ცივთ ციმციმი, ელია,
ან წვერისანგელოზი,
თვალი ჯერ რომ სველი აქვს.
ტბა — მარად სიზმრადმდევი
— ფერშეცვლილი ღოლო, —
შიგ ზღაპარ-ლეგენდები
ყრია უთავბოლოდ.
არ შევაკრთობ, ღრუბლებში
ხელს გადვუწვდი მხოლოდ...
სისხლი მანდ დაქცეული
ღამით ფრთხილად ადის
კვლავ ცის სიღრმეებისკენ
როგორც კვამლის ხვეული, ,—
ანდა სვეტი ნათლის...
მოტანტალევ, უბელო.
ჩრდილდაკრულო ბავშვო,
შენს მოქარგულ ღრუბლებს
როგორ ვეთამაშო?!
როცა გაქრა, გახუნდა
ფანტაზიის ფერი,
როს მთვარის იაგუნდთან
შეკრთა ჩრდილი შენი!
ქიმერული ბევრი სხვაც
კრძალვით ანაშენი
აღჩნდა, მერე დაეცა
ვით სხვა დანარჩენი, —
დაცემული მაღალი
სივრცის დამამშვენი.
როს იხსნება, იკვრება
მოგონებათ ფსკერი,
ბინდისფერში იხრება
დილა ვარდისფერი.
ეწეწება წარსულის
ფიქრს ურგიც და მარგიც,
ბევრი მკერდს მისარქმელი,
ბევრი დასაკარგი...
ა, კვლავ ისე ჰკიდია,
მთას ხეობა, ნისლი,
უყუჩდება — რიდი აქვს —
ქუჩი ქარის სისინს.
აგერ, ისევ ობლად დგას
შორს მწყემსების ქოხი,
ისევ ისე გაჰკრავს ფრთას
მთვარე კლდეებს მოხრილს.
სძინავთ ჭიუხთ ყელ-ყურთან
ლეკვებს, — ნაძენძ ზვავებს,
სიზმრები კი მოწვეთავთ,
ჯერ ვერ მოითავეს...
რამდენს, რამდენს მზერა
უნდა გავუტოლო,
მაგრამ თვალისმომჭრელად
თან უსწორმასწორო —
კრთის თვალსაწიერი,
ვით მდინარის დენა...
მგონი, მთებშიც მღერის
დიდი ფოთოლცვენა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვინ დაიმონებს ქარს

კერპობს ბუნება.
ცამ გახსნა პირი,
რა ვუყოთ დღეებს ავდარიანებს,
ბებერი ქარი.
სიყვარულის ფოთოლს ლამაზმანს,
ქვესკნელისაკენ მიახმიანებს.

რა ენაღვლება ქარს,
უკვდავის გვირგვინით შემკულს,
ვინ დაიმონებს მას,
არსობის ბორბალში შებმულს,
ფოთოლის ბედი ვით აწუხებს,
ან ყინვა სიცხის ან თოვლ-წვიმის,
განა შიში აქვს?!
უძლეველობის შეგონება დიდზე დიდია,
მხოლოდ პოეტებს, მუსიკოსებს,
ფუნჯის ჯადოქრებს
ხელეწიფების დაიმონოს გიჟის სტიქია.

ემიგრანტები

დედამიწაზე ვარ ემიგრანტი,
მის მკერდს გაკრული როგორც დიუნი.
ნეტავი როდის ამობრწყინდება,
მჭვირვალე სული მარადიული.

არარაობის მეშინის ძლიერ,
არ გადამკარგოს უფრო სხვა მხარეს,
რაც დანგრეულა ძლიერთა მიერ,
ძლიერთ არავინ არ გაახარეს.

და როცა წითლად შეღებილ დიუნს,
ააწოკებს ქარის თარეში,
სისხლის ცრემლებად ჩამოღვრის
ციურს
და მწუხარება ქვესკნელსაც შეშლის.

იქნება მაშინ სიზმარი ახდეს,
იქნებ დრო დგება სულის ანთების,
იქნება სულაც დედამიწაზე,
ჩვენ ყველანი ვართ ემიგრანტები.

●

ჩამორბის შორით, მზის ცინცხალი
სხივი კეთილი,
იჩქარის ჩვენთან შესახვედრად
და გასახარად,
უძვირფასესი სიყვარული
ცით მოწყვეტილი,
ჩამოაქვს კაცთა სამყაროსთვის
სიცოცხლის ღვარად.

და იტვირთება დედამიწა
უშრეტ სითბოთი,
ივსება ფერთა სიმფონიით
ეს დღე კეთილი,
ამღერებულა სიყვარული
დაფნის რტოებით,
და დგას ღალატი ცის ქვეშეთში
ვით მოკვეთილი.

მიწა ჩემია, მიწა ლექსია.

მიწა ლექსია, მე მზის სხივი ვარ,
ჩემ სისხლმა მასზედ გადაიარა.
აუარებელ ტალახს გესვრიან,
ეს შური არის — მიწა კი არა.

მე მზის სხივი ვარ,
მიწა ჩემია,
ჩვენ ერთადა ვართ ჟამით შობილი,
დედა და შვილი ვის გაუყვია
ნეტავ ვინ არის ასე ცოდვილი,
რატომ ვერავის ვერ გაუგია,
რომ მიწა მხოლოდ ჩემით ქმნილია,
ის რომ ლექსია ასე ცნობილი ,

უჩემოდ მიწა რის მაქნისია,
მიწისკენ მომყავს ყველა ცთომილი.

მე მზის სხივი ვარ,
მიწა ჩემია.

ჩემია მიწა — სხვისი კი არა,
აუარებელ ტალახს გესვრიან,
მოურჩენელი გულის იარად,
და ეს ტალახიც ბოლოს ლექსია,
ჩემ სისხლმა მასზედ გადაიარა!

ღმერთმა, ნურასდროს ნუ მომაკლოს თქვენი წყალობა

მურმან ლებანიძეს

მიყვარხართ ძლიერ. სიყვარული არის არჩევით,
ძვირფას ოჯახის ხმები მესმის, როგორც გალობა,
ღმერთმა ნურასდროს ნუ მომაკლოს უკვე ნაჩვევი,
ბატონო მურმან, ერთგულება, თქვენი წყალობა.

უღალატოო მეგობრობით, ჟამიდან უთქვამთ,
საშვილიშვილო საქმეები, ქვები დაძრული,
ფიცის გამტეხში, ეშმაკია ჩამჯდარი ურჩად,
მისგან სიკეთე — ზღაპარია, ჯერ არსად თქმული.

ვინაც დაჩაგრა ეშმაკუნამ, დიდი ხანია,
გადაიმტერა სიყვარული, ზოგან იმარჯვა,
უგნური, თუ კი დამორჩილდა, ვისი ბრალია,
ეშმაკის მონას, არ ყოფნამდე წამები დარჩა.

ვინც მეგობრობის დაიჯერა, თქვენ რომ ქადაგებთ,
ოჯახს, ახლობლებს დაანახვა გულიანობა,
ძლიერი გრძნობა, აღამაღლებს მას წმინდანამდე,
ღმერთმა, ნურასდროს ნუ მომაკლოს თქვენი წყალობა.

●

არც ზეცის მჯერა
და აღარც მიწის,
რისი მჯეროდეს უკვე არ ვიცი,
ნუთუ სიბერის ბრალია მხოლოდ,
რომ ურწმუნებას არ უჩანს ბოლო...
სიცარიელე დამყვება ფერხთით,
ღამეა მრუმე და ტყვიისფერი,
რამდენი რამე მინდოდა მეთქვა
და არაფერი აღარ გითხარი,

ვიცი, რომ აზრი არა აქვს ახლა,
(ამ ოთხკედელში ვერვინ მიშველის),
მე დამუნჯება ვარჩიე რადგან,
ვერც შენ გიჩვენე გული შიშველი...
აღარც მიწაა
და აღარც ზეცა,
ღამეა მრუმე და ტყვიისფერი,
რამდენი რამე მინდოდა მეთქვა
და არაფერი აღარ გითხარი.

წუხელ

წვიმდა და პურის ყანაში,
წუხელ დავსველდი როგორ,

ლამაზი სვანი მკითხავდა:
„მოგვართ ხარიო“* გოგოვ.

---

* როგორა ხარო — სვან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბირჟაზე

გუშინ, ბინის გასაცვლელად
ერთ ბირჟაზე გავედი,
ქვეყნის ხალხი ირეოდა,
უცნაური რამდენი,
აქ, ძნელია გაარჩიო,
ვინ რისია ჩამდენი.
გავითოშე, გავიყინე,
ამინდი არ გვწყალობდა,
წამოსვლა რომ დავაპირე
წაგებულმა ტაროსთან,
ქალი მომიახლოვდა და
უცაბედად დამლოცა:
მითხრა — გიცქერ რა ხანია,
ზრდილობით ხარ ნამშვენი,
მე გიპოვნი ვარიანტებს,
მე ვარ ბირჟის მაკლერი.
შევცბუნდი და მორიდებით
ვკითხე — თქვენი სახელი
— ნინო მქვია. — სევდით მითხრა —,
წმინდა ნინოს სახელი?
მას ხელთ ვაზის ჯვარი ეპყრა,
მე კი დავთრებს ვატარებ,
ისე, მეც ხალხს ვეხმარები,
ნურვის ნუ შემადარებ. —
თვალზე ცრემლი მოადგა და
გააგრძელა ჩურჩულით,
— ჩემი ბედი დაიწყევლოს,
ვინც ეს საქმე მასწავლა,
დღეს სამოცი შემისრულდა,
მე კი ვით მაწანწალა.
მის მაგიერ რომ დღეობას,
ახლა სახლში ვიხდიდე,
ამ ყინვაში ვძაგძაგებ და
ვეთრევი კიდით — კიდე...
მოყვა თავის ამბავი
და უცბად სახე შეერყა,
გულში რაღაც მძიმედ ჩამწყდა,
ბევრი მწარე ვიფიქრე,
ხელი თბილად შევაშველე,
დედის საფლავს ვიფიცებ,
ვუთხარი რომ ობოლი ვარ,
სახლში წამოვიყვანე,
გაუყევი პური, ღვინო,
დღეგრძელობით ვახარე...
თვალი თვალში გამიყარა,
რისთვის გინდა გაცვლაო.
ვუპასუხე — პოეტი ვარ,
ღამით მიწევს ხმაური,
მეზობლები წუხდებიან,
როცა ლექსით ვირთვები...
— სულყველაფერს მიგიხვდიო,
ნაღდად გიჟი იქნები...
ჭიქა მაღლა აწია და
მერე შევსვით რამდენი...
მე სიყვარულს ვთავაზობდი,
ის კი, ბირჟის მაკლერი,
აღარც მახსოვს რას მირჩევდა,
იქნებ ძლიერ გაოცდეთ,
როცა დილით გამეღვიძა დედის
სასაფლაოზე!

ზღვა

კაცი დაიხრჩო!
დაიხრჩო კაცი!
ხალხი მისცვივდა ზღვას,
ზღვამ მოილოკა მხეცის ლაშები,
თავის სათქმელი სთქვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲛᲔᲓᲘᲜᲐᲠᲔᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲝᲛᲔᲖᲡ ᲒᲐᲦᲔᲛᲐ

ᲠᲝᲛᲐᲜᲘ

ᲞᲠᲝᲚᲝᲒᲘ

სამსახურიდან შვებულება მერგებოდა.

ოქტომბრის მეორე დეკადა იყო. სახუთები წესრიგზე მოვიყვანე. ბრძანება გავაფორმე, ხელფასი ჩავიჯიბე და ზღვაზე წასასვლელად კომპანიონის ძებნას შევუდექი.

ჩემს სიცოცხლეში არ მახსოვს. დასვენებისათვის წინასწარი თადარიგი დამეჭიროს. მიეკარს მოუწესრიგებელი ხეტიალი. თუ ჩემსავით თავქარიანი დავიბადეთ, ბედნიერი ვარ. ხალხი კი... უცნაურია ხალხი, არაფრით მხარს არ აგიბამს, თითქოს დასვენება მარტო შენ გინდოდეს. ჯერ გაწამუტუნებენ ხელის ჩაქნევამდე. მერე რის ვაი-ვაგლახით დაგთანხმდებიან, მაგრამ ისეთ პირობებს წამოგიყენებენ. — ნუ იკითხავთ: — საკმელი სხვამ უნდა მოგვართვასო. დივანზე ფეხები უნდა გავშალოთო, შხაპზე, პრეხაზე და ტელეფონზე ხომ ლაპარაკიც არ ღირს. კომფორტს თხოულობენ, თითქოს ყველაფერი შენს ნება ხურვილზე იყოს. ასე რომ წუვილის ნახვა საოცრად ჭირს. ამიტომაა თავქარიანი, ესე იგი, ნორმალური კაცის ნახვა კარგი.

მთელი კვირა მოვანდომე ამ საქმეს. რაღა ბევრი გავაგრძელო და, ოცი რიცხვისთვის მე და ივანიჩი გავუყევით გზას შავი ზღვისაკენ. წინასწარ გამოგიტყდებით, რომ დასვენება ჩაგვშხამდა. მთელი დღეები წვიმას არ გადაუღია. რა ხავერდის სეზონი, რის ოქროს ნაპირი. ისე ერნეულლავდა. კაცს გული მოგიკვდებოდა. ყველაფერ ამას ივანიჩის ავადმყოფობაც დაერთო. ფეხი დაუსივდა, სიცხემ აუწია და სასწრაფოდ საოპერაციო მაგიდაზე გავაწვინე. იმ დღის შემდეგ ჩემს ლოცვაშია, შენ რომ არა, რა მეშველებოდაო.

ნაოპერაციები ივანიჩი ზუგდიდში დავტოვე ქვისლთან საქმეების მოსარიგებლად და თავად თბილისისაკენ გამოვეშურე.

ნოემბრის სამია, საშინლად ფფორიაკობ, ადგილზე ვერ ვჩერდები. შევდივარ შინ, მაშინვე გამოვრბივარ. შევდივარ, კვლავ გამოვრბივარ. როგორც იქნა, დაღამდა. დაღამდა და მეც მივწექი დასაძინებლად. არაფრით არ მეძინება ვწრიალებ, ვბორგავ, ვხუჭავ თვალებს — მოჩვენებები არ მასვენებს, ვახელ თვალს — ოთახში ბნელა; ვხუჭავ — რაღაცა ელავს, ბრჭყვიალებს, გავაჯელ — კვლავ სიბნელეა. ამ წრიალში და ფეთქებაში მეუღლემ გამომაღვიძა, ეტყობოდა, შევაწუხე.

—მოიხვენე, რა წრიალი აგიტყდა? თუ შენ არ გეძინება, ჩვენ რაღას გვერჩი?

ჩვენ — ეს გაბეა. გაბე მეუღლეს ჰქვია, სხვანი, ესე იგი, დანარჩენნი — ჩვენი შვილები არიან, მათ კარგა ხანია სძინავთ, დილით ადრე არინ ასადგომები, სკოლის ზარი მოუხმობს სასწავლებლად. გაბე კი. სამსახურშია წასასვლელი.

უკვე ვგრძნობ, რაც მაწრიალებს. ვდგები, ვანთებ შუქს. ვუყურებ საათს, სამია დაწუებული. ვიღებ კალამს, ფურცლები მაგიდაზეა დახვავებული.

მოდით, ცოტა თემას გადავუხვიოთ. ალბათ, ყველას გახსოვთ „ანა კარენინა". რომანის კითხვისას ლევინის საცოდაობით დავიწვი. რა იტანჯა საწყალმა, ხან მიწა ზომა, ხან ნაშრომი წერა სოფლის მეურნეობაზე, ხან რა აკეთა და, ხან რა. ჩემი შეხედულებით კი, მწერლობას უტრიალებდა და ნამდვილს არ გვიმხელდა. დავიფერფლე მის მაგივრად, გმირი ისე მეცოდებოდა, ვერ წარმოიდგენთ. ამიტომ გადავწყვიტე, გავითვალისწინო ჩემნაირი ახირებული კაცის მიზეზიანობა და ვეცადები, მკითხველი არ დავტანჯო. რაღა ბევრი გავაგრძელო და წერამ ამიტანა, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, უნდა დამეწერა, არ კი ვიცოდი. რა!.. ჩავაკრე შუკი და კვლავ საწოლზე გავიშოტე. მაინც არ მეძინება. ისევ ვწრიალებ, ვბორგავ; ვდგები, ვანთებ შუკს და ვკდები საწერ მაგიდასთან.

— რა იყო, მოხდა რამე? — კვლავ მესმის გაბეს ხმა.

— უნდა დავწერო!

— ერთი შენც... გაგიყებულხარ!

სხვათა შორის ეს ამბავი მეუღლისათვის სიახლე არაა. უკვე ერთი წელია, დავწერ, დავწერ-მეთქი. ვიძუქრები.

„დაწერე მერე. გიშლის ვინმე ხელს?" — მეუბნება გაბე.

არავინ არ მიშლიდა, თუმცა არც არავინ მაგულისხმებდა. ეს კია, რადაცა ნამდვილად მაწვალებდა და მიფორიაქებდა სულს.

— გაბე, სხვა გზა არა მაქვს, იცოდე, ვიწყებ წერას. შენი ანთებული მეკნეები, გადაბრიალდი, ეუოლდღეებას ნუ მომაკვეცე. როგორმე დაიძინე.

ხმა არ გაუცია. „დაწერერო", — გადმომძახა და გაიტრუნა.

დავჯექი და ჩამოვაწიკწიკე. ვერასოდეს წარმოვიდგენდი, ამ ახალის კაცი ლექსს თუ დაწერდი. მეგონა, პროზას უფრო მოვუხერხებდი რამეს, მაგრამ ჩემდა უნებურად ლექსი დავწერე. ახლა რომ ვიხსენებ, ბოლმით გული მტკივა, თუმცა ზოგჯერ ვიცინი კიდეც საკუთარ თავზე, რადგან ლექსი, როგორც ეუოლა დაწერეს პოეტს სჩვევია, სიყვარულისა და სამშობლოს ქებათა-ქებას მივუძღვენი. მოკლედ, ეუოველი ფურცლები ჩვენი სამშობლოს დიდებით. უფრო ფილოსოფიური მიმართება მივიცი ლექსს. არა, კი არ გამიკეთებია, თავისთავად მოხდა. ლექსის გაკეთება სად შემეძლო, ახლად დამწყებს „პოეტს" ამდენი ტექნიკა სად გამაჩნდა? სულის ამოძახილი იყო ნამდვილად, თორემ მარცვალი რა იყო და რითმა, არც კი გამეგებოდა. მე ხომ ქიმიკოსი გახლავართ.

ღამის სამი იყო წერა რომ დავიწყე და ექვსზე უკვე ლექსი გამოვაცხე. არ დამიტოვებია დიდი და პატარა, ცისქვეშეთი, მზისქვეშეთი, და მიწისქვეშეთი, არც სიცოცხლე და არც სიკვდილი. მგონი, ბოროტსა და კეთილსაც შევეხე. ყველაზე მეტად უკანასკნელი სტროფი მოგეწონა:

შენით ვიწამე, საქართველოვ,
მე ამქვეყნის ბედის ტრიალი-მეთქი...
და ბოლოს, მადლობას ვწირავდი, რომ მის მიწაზე და მის ცის ქვეშ დავიბადე!
მადლობელი ვარ მე ამ დღისათვის,
მე ამ მზისათვის, მე ამ ცისათვის,
ყველაფრისათვის...
მადლობელი ვარ, საქართველოვ, შენს
მიწაზე

გაჩენისათვის...

მოგეხსენებათ, ადამიანი ხასიათს იცვლის, ყოველ წუთში თუ არა, ყოველდღე, ან ყოველ თვე მაინც, ამაში დარწმუნებული ვარ და დიდი ხნის შემდეგ საკუთარ თავს ალარ ვკაკინობდი ასეთ ბრტყელ-ბრტყელ სიტყვებს. საამისოდ ხელი შემიწყო უნაბუსოს ერთ-ერთი ლექსის წაკითხვამ. ამ გენიოსმა კაცმა, „ესპანეთის მზეო", იყვირა. გავბრაზდი და როგორ! არ ვიცი, რას ვუშვებდი, ცოცხალი რომ ყოფილიყო, თუმცა განა მარტო ის არის ასეთი? თორმე ყველა პოეტი და პროზაიკოსი ერთ თარგზე ყოფილან გამოჭრილი, ის კი არა და, ვგონებ ყველა ადამიანიც. განა ყოველი ჩვენთაგანი სამშობლოთი არ ვტრაბაბობთ? მზესაც ვიხაკურებთ, ცასაც და ზღვასაც, მიწაზე ხომ ლაპარაკი არც ღირს.

ზვიდის წუთები იყო, დავწექი. რვა ხასიათ-ხასთის გამომეღვიძა. გაბე ხაუზმეს ამზადებდა. ლექსი დავწერე-მეთქი, ვუთხარი. მაგიდასთან მივიდა, ნახა, წაიკითხა. ვატყობ, ძალზე მოეწონა, რადგან მომიფალფალდა და ლოყაზე მაკოცა. ახა, შენ იცი რა, მითხრა და სამსახურისაკენ გაეშართა.

რაღა დამაძინებდა. სასწრაფოდ წამოვხტი, დავკვლე ჩემს პირმშოს ხელი და გავედი გარეთ. სამსახურში არ დავდივარ, გითხარით. შვებულებაში ვარ-მეთქი. რა უნდა ვქნა, ვის მივადგე. ვგრძნობ, რომ მაწუხებს ეს ლექსი, სხვას უნდა ვაჩვენო, ვიღაცას უნდა გავუზიაროთ ჩემი გულის ხვაშიადი, ამოძახილი. ადამიანი მჭირდება ბვერდით, თუნდაც უცხო. ვბრუნდები შინ, ვიღებ მანქანის გასაღებს, ჩავდივარ ეზოში, ვრთავ ძრავს და მივსრიალებ ქალაქის ქუჩებში.

დილაა, მზე ოდნავ ანათებს. რუსთაველზე მართვის წესი დამარღვევეთ, რაღაც რიგთაშორისო, მეუბნება ინსპექტორი. თორმე ყველა რიგში მანქანის ტარების უფლება არა მაქვს. ინსპექტორს მართვის მოწმობის მაგივრად შეცდომით ლექსს ვუწოდებ.

ეს რა არისო?

ოი, მაპატიეთ, პასპორტი მეგონა, ახლავე მოგართმევთ მართვის მოწმობას-მეთქი.

არაფერით არ მაპატია, ტალონს ჭრილი გაუკეთა და ისე გამომშვა. ადამიანებს რა ვუთხარი, ცხოველის ენაზეა აქვთ. რომ არ ჩაგიშვამონ გუნებაგაწყენობა, მერწმუნეთო, ისე ვერ მოიხვენებენ. ნეტავ ეს ინსპექტორი რაღაც გაამორეტა, ეტყობა, თავადაც ლექსებს წერდა. ისეთ დავძარი მანქანა და კვლავ უგზო-უკვლოდ დავსრიალეს თბილისის ქუჩებში. თორმეტი საათისთვის ერთი ნაცნობი გამოვიჭირე, ვიცოდი ლიტერატურის მცოდნედ მოჰქონდა თავი. ჩავსვი სალონში და გავუუვეთ გზას ქალაქგარეთ, გზაში ყველაფერი ჩამოვუკალეს, რაც შემეთხვა, დინჯად მისმენდა. ხანდახან ილიმებოდა კიდეც. ქალაქგარეთ ერთ-ერთ დუქანს მივადექით. მივუსხედით მაგიდას და თითო შუშა გადავტეხეთ. „კარგი ლექსია, ოდნავ რომ დაუწეოდე და ყეორილი არ სჭირდებოდესო". დოს მარილი მოაყარა. კიდევ მეტად ავიმრეზე. ვცდილობდი კი წყენა არ შეშმჩნეოდა.

მალე ავიბარგენით და გამოვეშურეთ თბილისისაკენ.

ეს იყო და ეს. თავს ალარ შეგაწყენთ, არ დავიწყებ მოყოლას, ვნახე, რა ვნახე, როგორ ვნახე, რა მითხრეს, რა ვუთხარი. ან კი რა საჭიროა, ეს ხომ პირადი ინტიმია და ყველაფრის გამომშეურება არ ივარგებს. ერთი კია, რომ ახლა, ამ წუთას, მე ნამდვილად შემოკვნეფდი გახლავართ, დამოუკიდებელი, თანაც უაღრესად სინტერესო ხელწერის, ეს უკვე კრიტიკოსების აზრია, ვზიავარ შინ და ვაპირებ ახალი რომანის დაწერას. დიახ, რომანის დაწერას და არა ლექსის. საშინლად მწყურია, ჩემი ცხოვრების ტკივილი გადმოგცეთ, გაგითავისოთ, შეგაუვაროთ. თუ შეეძელი, ხომ კარგი, თუ არა და, გეფიცებით, მამაზეციერიც რომ ჩამოვიდეს და მიბრ-

ძალნოს, წამიკითხეო, არავითარ შემთხვევაში არ ვუჩვენებ. რადგან ღრმადა მწამს, რომ ცხოვრების სიმწარე უკვე საკმაოდ ვიგემე. ვეცდები, ნაწერით მაინც თავი არ შევარცხვინო იმ უბრალო ხალხს წინაშე, ვისაც ლიტერატურა მართლა უღირს და ხშირად ლიტერატურითაც სულდგმულობს.

ყვავი ბოკვზე შემომჯდარიყო და თავის თავს ებაასებოდა:

— მსმენია, ადამიანები ბრძენ კაცს აღმერთებენ. მაშ, მე რაღას მერჩიან, ფრინველთა შორის ყველაზე ბკეიანს?

მახლობლად სახაფლაოზე მიცვალებულს მარხავდნენ. ხალხი შავებით შემოსილიყო.

დაიგრგვინა. ყვავმა ცას გახედა, ხივრცე გადაეშვებინა. ზეცამ პირი გადაიხსნა და სეედის ცრემლები გადმოღვარა.

— ნუთუ დარდი სიშავის ბრალია? — გაიფიქრა ყვავნისკამ. — მე რომ ბკეიანი ვარ, ეს ყველასათვის ცნობილია, მაგრამ წყალმა რომ ვერ გამრეცხა, მართალი გითხრათ, ამაზე არ დავფიქრებულვარ.

ბკეიანი და თანაც შავი?

ეს მართლაც საშიშია!

ყვა...ა!

დაიჩხავლა ყვანჩალამ და პროცესიას გადაუფრინა.

. . . . . .

მაშ ასე, დავიწყოთ:

თავი I

ბავშვობაში ყველაზე მეტად მშობლების სიკვდილზე ფიქრი მაწუხებდა. საკუთარი თავის არ მედარდებოდა, მაშინ სიკვდილს ჩემთან რა ხელი ჰქონდა? ისე ვგრძნობდი თავს, როგორც სტამბოლის კაეი. ეტყობა, სტამბოლის კაეი რაღაც განსაკუთრებული თვისებებისაა, თორემ ყველა კაეი რომ მაგარია, ამაზე ადვილად დამეთანხმებით. ვითომ ჩვენს მთებში რომ კაეი მოიპოვება, იმათი სიმაგრე არ მეყოფოდა? მაგრამ ხომ გაგიგიათ, ადამიანებს სხვა, უცნო საქონელი ყველაზე მეტად მოგვწონს. ისე, ალბათ სტამბოლის კაეი უფრო მაგარია ჩვენსაზე, რადგან არარატის მთას მაინც ვერაფერს მოუბერხებ კაცი. ნოეც ხომ, მგონი, იქ გაეჩხირა.

და აი, ერთხელ, მტრედმა ზეთისხილის რტოს მაგივრად, ნამდვილი ამბავი მომიტანა, ომარის მამა მოკვდაო. სიკვდილზე ადრეც მსმენოდა ზოგი რამ, მაგრამ მისთვის ყურადღება არასოდეს მიმიქცევია, ერთ ყურში რომ შევუშვებდი, ნათქვამს მეორედან გამოვუშვებდი. მეგობრის მამის სიკვდილმა კი საშინლად ამაფორიაქა. ეს შემდგომ, თორემ თავიდან მაინცდამაინც არც იმას მოუკლავს ჩემთვის გული.

გარდაცვლილი მეზობლად ცხოვრობდა. ომარი ჩემი თანაკლასელი გახლდათ, ამიტომ მშობლებსა დამბავალდებულეს, აუცილებლად ავსულიყავი მათთან. მაშინ მეორე თუ მესამე კლასში ვიქნებოდა. მეც ავდექი და სიკვდილის სანახავად წავედი. გითხარით, ადრეც მსმენია სიკვდილზე-მეთქი, კი არ მსმენია. მინახავს კიდეც და არცთუ ისე ურიგოდ გამოიყურებოდა. ჩვენი სახლის ზემოთ სახაფლაოა. ახლა ის სახაფლაო დაკეტილია, არავის მარხავენ, მაშინ ღია იყო და რაც თავი მახსოვს, სულ მარხავენთ მოახვევნებდნენ მიცვალებულებს. „ტარარა-რა, ტარა-რა-რა". — გამოსცემდნენ ხმას საკრავები. სამხედროები გაჯგიმულნი თავიანი ფორმებშე, ჯინჯილებითა და სხვადასხვა სამკაულებით, ნაბიჯშეწყობილნი. ნაიერწყლების კვნესებით მიაბაკუნებდნენ ფეხებს. პატარებსაც მეტი რა გვინდოდა, მიეხდევდით უკან პროცესიას და ხმაურით ვიკლებდით იქაურობას. ომი ახალი დამთავრებული იყო. ამიტომ ქალაქის თითქმის ყოველ მობინადრეს ომთან კავშირი ჰქონდა და, რა გასაკვირია, რომ მკვდრებიც დიდის ამბით იმარხებოდნენ. სახაფლაოზე ჯარისკაცები მწყობრში დგებოდნენ და კაპიტანის შეძახილზე სროლას იწყებდნენ. რევოლვერებს და შაშხანებს აკუხებდნენ. ქვებს კი არ ისროდნენ, ან რისთვის უნდოდათ ქვები, როცა ტყვიებიც ბევრი ჰქონდათ. პროცესია არ იყო დაშლილი, რომ ბავშვები მიმოვიფანტებოდით ირგვლივ და ვაზნებს ვეძებდით. ჯიბეები ერთთავად დაძეძგილი გვქონდა ჯართით. ჯიბედაგლეჯილი ბავშვები უბეში ვიჩხრიალებდით მოყვითალო ვაზნებს, ისინი ომობანას თამაშისას გამოგვადგებოდა. მოკლედ, დასაფლავება დასაფლავებასა ჰგავდა და მკვდარიც მკვდარს. გარდა ამისა, აღდგომა დღეებში, განსაკუთრებით, წითელ პარასკევს, კვერცხები და პასკენიც ბლომად იშოვებოდა სახაფლაოზე. კოიოტებივით ვიყავით ჩასაფრებული მომტირლებთან როდის, წავიდოდნენ შინისაკენ. მოკლედ, ზოგი მკვდარი ცოცხალსაც კი სჯობდა.

რაღა ბევრი გავაგრძელო, ავედი ჩემს თანაკლასელთან და გვერდზე ამოვუდექი. ისე მოღუშული იდგა, ეტყობოდა, რაღაცაზე ფიქრობდა. დედამისი და უფროსი და ზევეში გამოწყობილიყვნენ, ოთახში მიმოდიოდნენ და ოხრავდნენ. ზოგჯერ წამოიკივლებდნენ და სახესაც იხოკავდნენ. განსაკუთრებით დედა მეცოდებოდა, ლოყებიდან სისხლი სდიოდა, არაფრით არ იწყმენდდა. ვიდაცა ქალები კი ეუბნებოდნენ, მოიწმინდეო, გეყოფა ამდენი მოთქმა, შენც თუ მოკვდები მერე პატარებს რა ეშველებიო. პატარა, ალბათ, ომარი იყო. ის მე ყურადღებას არ მაქცევდა, მე კი ვიდექი და არ ვიცოდი, რა მეკეთებინა. მამამისი ტახტზე დაესვენებინათ და თეთრი ზეწარი გადაეფარებინათ. მარტო და თავი მოეჭიანდა, სახე ხაოცრად შავი ჰქნოდა, თმა გახევებული და თვალები დაბუქული. დიდხანს ვუყურე არაფრით არ გაახილა თვალი. ვიფიქრე, ალბათ, ასეთი წესი აქვთ მკვდრებს, არ უნდა გაინძრნენ და თვალიც არ უნდა გაახილონ,-მეთქი. როდის-როდის ომარის

დედა და და მეორე ოთახში გავიდნენ, მოიხვეწეთო. — აძალებდნენ ქალები, — ხაღამოს ხალხი მოვა და ღონე წართმეული გექნებათო.

გვერდითა ოთახიდან ჯამ-ჭურჭელისა და ჩანგლების წკარა-წკური ისმოდა. ვგონებ, სადილისათვის ემზადებოდნენ. ოთახში ორნი დავრჩით. ომარი იატაკზე რაღაცას ჩაშტერებოდა. ავდექი და მივუახლოვდი მამამისს, დამეინტერესა, რატომ არ ინძრეოდა, თვალს რად არ ახელდა, ან ნერწყვს მაინც რატომ არ ულაპავდა. სახეზე თითი შევახე. ლოყა რკინასავით ცივი და მაგარი ჰქონდა, შემდეგ ქუთუთოებზე მოვკიდე ხელი და შევეცადე, როგორმე თვალი გაეხილა, მიცვალებული არც გაძძრეულა, მეორე ხელიც მოვიშველიე და რის ვაი-ვაგლახით გამოვაჩინე გუგა.

უცბად, სად იყო, და სად არა, მეცა ხელებში ჩემი მეგობარი და შემაჩერა. „არ შეიძლებაო", — მითხრა. ცოტა გაბრაზებაც შეეატყვეზედმეტი არაფერი უთქვამს.

ამ დროს გამოვარდა მეორე ოთახიდან უცნობი ქალი და მორთო ვიშვიში. ეტყობოდა, მითვალწვალებდა, რას ეკეთებდი. გამოცვივდნენ სხვებიც და ხაწყალ კაცს რის ვაი-ვაგლახით გახელილი თვალი კვლავ დაუხუჭეს. მე ერთი მაგრად დამითათხანეს, მოჰკიდეს ჩემს მეგობარს ხელი და ახლა ის წაიყვანეს იმ მეორე ოთახში, ავიმბრაზე.

— პატრონი არა ბყავს ამ ბავშვს? — იძახდა ერთი ჭირისუფალი.

— წადი, შვილიკო, შინ, წადი, არაფერი გეხაკმება შენ აქ! — მითხრა ვიღაც ქალმა.

მეც ავდექი და შინისაკენ წავლასლასდი.

ღამე ვერაფრით ველარ დავიძინე. სულ ომარის მამის გაშვებული და რკინასავით ცივი სახე მედგა თვალწინ. რაღაც ცუდი შეგრძნება დამეუფლა, მაშინ კი ვერ ვგრძნობდი, რა იყო ეს, მაგრამ მოშხამული რომ ვიყავი და უგუნებოდაც, ამას კი ნამდვილად ვამჩნევდი.

გვიან ღამით დედა მომიახლოვდა ხაწოლთან, — „რატომ არ გძინავსო". ავდექი და ყველაფერი მოვუყევი. თვალებზე ცრემლი მოადგა.

ნუღარ იფიქრებ ამაზე, გეეოფა დაიძინეო, — და გავიდა.

ვერ იქნა და ვერ დავიძინე, ერთთავად სულ ომარის მამა მახსენდებოდა, შემდეგ მამა მოვიდა და ხაწოლთან ჩამომიჯდა. დედაჩემს ყველაფერი ჩაეკაკანა მისთვის. მამა მომეალერსა, შუბლზე ხელი გადამისვა, თუმცა არაფერს მეუბნებოდა.

მეც ავდექი და შევეკითხე, შენც მოკვდები და ისე გაცივდები, როგორც ომარის მამა-მეთქი?

— „რასაკვირველია, მეც მოვკვდები და დედაშენიც, თქვენ კი უნდა იცოცხლოთ. „თქვენ" ეს მე და ჩემ... ...ბა გვიგულისხმა, მგონი, ომარიც.

— რატომ, ეს რა გამოვიდა, თქვენ დაიბოცოთ და ჩვენ კი ვიცოცხლოთ-მეთქი.

— ასეთია შვილო ბუნების კანონი — მიპასუხა და კვლავ ხელი გადამისვა შუბლზე.

მამის ხელი ხაოცრად თბილი და ნაზი იყო. ხომ მომეცემ სიტყვას, რომ დაიძინებ...

თუ არ მოკვდები, აუცილებლად-მეთქი.

კარგი. არ მოკვდებიო. — მითხრა და კვლავ ხელი გადამისვა. ახლა უფრო განაზდა ის ხელი და უფრო გათბა კიდეც.

— ნამდვილად არ მოკვდები?

— ხომ გითხარი, არა, სულ შენთან ვიქნებიო. და ახე ჩამძინებოდა შეშფოთებულს.

... და დღე იყო მკაცრი და ჩემთვის ახალი.

Ე

დილით რომ გამეღვიძა ოფლში ვცურავდი. უკვე თენდებოდა. ნოემბერი იყო, მაგრამ ხაშინლად ცივდა. ხუხი მესიამოვნა. მშობლები რა ხანია, ფეხზე იყვნენ, ძმას ეძინა. მამა ხაუზეზე შეექცეოდა, ხანდახან ჩუმად შემომპარებდა თვალს. მრცხვენოდა მისი, არ კი ვიცი, რაღომ. გადავბრუნდი და თავი მოვიმძინარე. ვუცდიდი, როდის წავიდოდა დედ-მამა ხამსახურში. წუთები უსაშველოდ გაიწელა, როდის-როდის მშობლები შინიდან გავიდნენ. წახვლისას მამა მომიახლოვდა და კვლავ შუბლზე გადამისვა ხელი. ბედად, ოფლიანი ადარ ვიყავი. ვგრძნობდი, რომ ოფლი რაღაც ცუდის მომასწავებელი უნდა ყოფილიყო. დავრჩი მარტო და ჩემდა უნებურად დავიწყე ათას სისულელეზე ფიქრი. ხან რა ამოტივტივდა გონებაში და ხან რა. ძირითადად მაინც სიკვდილი, რკინასავით ცივი და ხაზარელი.

ღიღინი წამოვიწყე. უსიტყვო და უმელოდიო, თუმცა მელოდია როგორ არ ჰქონდა, მაგრამ, ეტყობა ბოდვასა ჰგავდა, რადგან ძმას გამოეღვიძა და მკითხა, — დეეი, რა გაბოდეხსო. არაფერი მიპასუხია, გავაგრძელე ღიღინი.

— მეძინებაა. ხმა ჩაიკმინდე, გეეო...

გავჩუმდი, ვიფიქრე, ცოტას მეც წავიძინებმეთქი. ვერაფრით ვერ დავიძინე, სულ ომარის მამის ხახე მედგა თვალწინ. ისევ ფიქრს მივენდე. მერე, რატომღაც, სევდა დამეუფლა. მოვიწყინე, ალბათ, გავგიჟდებოდი, ძმას რომ არ გამოვესაპარაკებოდი. თუმცა მაშინ ამგვარი რამ არ მესმოდა, მაგრამ ძმასთან ხაუბარი რომ მომინდა ეს კი ნაღდი იყო. ისე მინდოდა ლაპარაკი — წყალი რომ გწყურია კაცს სიცხეზი. ეს რა შედარებაა, უფრო მეტადაც. რაღა ბევრი გავაგრძელო და, ძმას გადავეძახე. ძმა ხმი წლით უფროსია ჩემზე. კარგი ვინმეა, ერთთავად წიგნებში იქექება. იმდენი იცის გაგიკვირდება კაცს. თუ ვინმეს რაიმეს დაზუსტება სჭირდება, მას ეკითხებიან. ისიც პასუხობს დაუფიქრებლად. არ გეგონოთ, არასწორად პასუხობდეს. სიტყვები ენაზე აკერია, იმ წუთშივე ისვრის პასუხს. ჰოდა:

— გაიღვიძე-მეთქი. — გადავეძახე.

— გითხარი, დამძინე, არ გეუნის? როგორი პასუხია? უკეთესა [illegible] ინატრე კაცა!

— კარგი, რა ძილი ჯგიტყდა. გაიღვიძე, კაცი არ ხარ?

— ხუთი წუთი დამაცადე და გავიღვიძებ.

ახლა რომ ვფიქრობ, ვგონებ, სიზმარს ხედავდა. რაღაც კარგი სიზმარი უნდა ყოფილიყო, რადგან ისეთი უკმეხიც არაა, როგორადაც დაგიხატეთ.

კარგა ხნის შემდეგ, როგორც იქნა, გადმოტრიალდა და, რა გინდათ? — შემეკითხა.

ზუსტად არ მახსოვს, რა მინდოდა, მაგრამ ძირითადი, რაც თავში მიტრიალებდა და მაწუხებდა, არასოდეს დამავიწყდება. უკვე სიკვდილზე ალარ ვფიქრობდი. მაგრამ რაღაც იმდაგვარი რომ იყო, ამაზე თავს დავდებ. დღეისათვის მე მას ცოცხალ სიკვდილს დავარქმევდი... აი, უკვე რამდენი წელიწადია მე და ჩემი ძმა ერთად ვცხოვრობთ, ერთ ოთახში, ერთად ვიძინებთ და ერთად ვიღვიძებთ. სკოლა ორივეს მეორე ცვლაში გვეწყება, მანამდე კი დრო თავსაყრელად გვაქვს. გაკვეთილებს წინადამით ვამზადებთ და დილაობით საუბრის მეტს თითქმის არაფერს ვაკეთებთ. ვსაუბრობთ ათას სისულელეზე, ვაშენებთ ხიდებს, გზებს, სოფლებს, ქალაქებს და ვინ მოთვლის, რას არა... დღეს კი ამისთანა წვრილმანები ალარ მაინტერესებდა და ეგრეთვე ვკითხე:

— გური, არ გიფიქრია იმაზე, ცოლს რომ მოიყვან და დავშორდებით?

ხმა არ გაუცია, თუმცა როგორ არა, ერთი შენიც ხარო, — მიპასუხა — რისი ცოლი რა ცოლია.

არა, მაინც, ცოლს რომ მოიყვან, ერთიმეორეს ხომ აუცილებლად დავშორდებით? გავიღვიძებთ და გვერდიგვერდ ალარ ვიწვებით, ვერც ერთმანეთის სუნთქვას გავიგონებთ, ვერც სიცილს, ვეღარც ვიჩხუბებთ...

და, ვინ იცის რაღას არ მივედ-მოვედე, ნაღდად მივედ-მოვედე, რადგან კრინტიც არ დაფარავს და არც არაფერი უპასუხია, ეს იყო, მთელი დღე მოშხამული დადიოდა ამის თაობაზე ეღარაფერს მოგახსენებთ, რადგან ეს განწყობა საოცრად ღრმად ჩაეკვლო ჩემს მოგონებაში და ჩემს გონს, ასევე ძმასაც. დღესაც უკვე მოზრდილებს ბევრჯერ გაგვიხსენებია ეს სისულელე...

სულ არ ვაპირებდი ჩემი ბავშვობის მოგონებებით თავი მომებეზრებინა, არც ბავშვობის საგმირო ხაჭმენი მინდა გავაზვიადო ისე, როგორც მრავალ მწერალს სჩვევია, ვერც ამას გავაკეთებ, რაც კოლია კრასოტკინმა ჩაიდინა, ხომ გახსოვთ, უზარმაზარი საბარგო ეშელონის ქვეშ რომ გაწვა ყოჩაღობისათვის. საბარგო მატარებელი იქნებოდა ნამდვილად, რადგან ვერ იქნა და ვერ ჩაიარა დიდი ხნის განმავლობაში. ხაწყალ ბიჭს, თუ არ ვცდები, სიცხემაც აუწია. ასეთი საქციელი გმირების ხვედრია, ჩემგან შორსაა, თუმცა პატივმოყვარეობის გულისთვის უველაფერი შეიძლება მოხდეს, მჯერა, განა არა?

ამას წინათ მეგობარს ვაჯლნი რუსთავში. მშვენიერი დილა იყო, სასამართლოში შევიარეთ მოსამართლე უნდა გვენახა. ადგილზე დავბრუნდა ვისაუბრეთ, მოვიკითხეთ ერთმეორე და ეს ამბავი მესაც შევეხეთ, რაც გვაწუხებდა. შემდეგ ეს მოვბრუნდით უკან, ბინისისაკენ, და სოფელ გამარჯვებასთან გზაზე შევუყოვნდით. უფრო სწორად, მატარებელმა შეგვაჩერა. შლაგბაუმი გადაიკეტა. მატარებელი არ ჩანდა. ელექტრონგამაფრთხილებელი სიგნალებს იძლეოდა. წიოდა და წიოდა. ჯიხურიდან პატარა ბიჭი გამოხტა. მეისრის შვილი იქნებოდა, დაუუვა ლინდაგს და გულდასმით რაღაცას ათვალიერებდა. შემდეგ შემობრუნდა უკან და ჩვენკენ გამოემართა. ამ დროს ელმავლის კიენილიც გაისმა. გავხედე, საბარგო მატარებელი იყო. შევშინდი. არ ჩავარდეს-მეთქი, სწორედ მაშინ ამოტივტივდა ჩემს გონებაში კოლია კრასოტკინი, დოსტოევსკის ცამეტი წლის, უკვე საკმაოდ ჭკუადამჯდარი გმირი. ბიჭი ჩვენკენ ალარ მამოსულა, დარჩა ლინდაგს იქით. ელმავლემა კვლავ დაიკივლა და მოგვიახლოდა. ბიჭი გაუჩინარდა. თუმცა ფეხები უჩანდა ვაგონებს ქვემოდან. ჩვენ კი კვლავ მანქანაში ვისხედით და აი, რაღაც საოცარი ურჩხული მიჭკოდა თვალწინ ჭუნა-ჭუნით, კიენილით. შპალები იწევდა ქვემოთ. შემდეგ ამოდიოდნენ ზუვთი, ქვევთი, ისევ ზეკით. მოკლედ, ამორტიზაციაც ლამაზი მეჩვენებოდა და ყოველივე, რაც ჩემს გარშემო იყო. და წარმოვიდგინე კოლია კრასოტკინი გაწოლილი შპალებზე. ღმერთო ჩემო, არ გინდა, ასეთი სიტუატუაც ჩაიდინო ადამიანმა? ოკეროს მთები რომ დაუდგამ მოზრდილ, ვითომდა გმირებს, ამგვარ რაიმეს, არა მგონია, ვინმე იკისრებდეს. იკისრებს კი არა, იარაღის ძალითაც ვერ აიძულებ ამის გაკეთებას. ისე, მანძილი შპალებს და ვაგონებს შორის საკმაოდ დიდია. ბავშვი კი არა, შეიძლება მეც მოვთავსდე. მაგრამ რამდენი გაუთვალისწინებელი რამ, რამდენი დაუდგენელ დაკიდებული ზონარი, რამდენი რკინა-კაეული, და რამდენი... რა ვიცი, რომელი ერთი ვთქვა. მოზრდილთა გონება ამგვარი გაუთვალისწინებლობისათვის მომზადებულია და პატარებისა კი, ვგონებ, არა. თუმცა კოლია კარგა ხანს აკვირდებოდა და ემზადებოდა ამ გმირობისათვის. — თანაკოლთა შორის პირველობისათვის.

8

მალე თოვლი მოვიდა და ეუჩები ბავშვების ერიამშეთი აივსო. ზოგი ციგურებით, ზოგი თხილამურებით, ვინ როგორ და ვინ როგორ გამოსულიყო გარეთ. იყო გუნდების სროლა, სიცილ-კისკისი, აურზაური არაფრისათვის, თუმცა, როგორ არა, სიცოცხლის სიყვარულისათვის... ჩვენ შეგვეკონდა მხიარულება ზამთრის დღეებში. უველაზე მეტად მიყვარდა ხეების დაფრთხვა. რა ლამაზად ეშვებოდა ხვავრეული თოვლი ტოტებიდან მიწაზე! პარკებში ასეთი რამ თითქმის გამორიცხულია, რადგან ნაძვი ამის საშუალებას არ იძლევა, ვერც ტანაყრილ ჭადრებს მოუხერხებ რამეს...

ეროვნული ბიბლიოთეკა

საღამოს ყინაგდა. ჭუჩები მოლიპული იყო, როგორც ზაფხულობით მანქანის ტარაებზე დალანდული მირაჟი. ადრე ღამდებოდა და გვიან თენდებოდა. ღამე იზრდებოდა და დღე კლებულობდა.

მამა გვიან ბრუნდებოდა. ჰედაგოგი იყო და შეთავსებით მუშაობდა: დღისით — სკოლაში, საღამოს — ტექნიკუმში.

არ მახსოვს ზამთრის ღამე, რომ მას ჭუჩაში არ დავხვედრიდი, მაწანწალა ძაღლივით ვაკაკუნებდი კბილებს სუსხში და ვსერავდი ჭუჩას ალმა-დალმა. ვიცოდი, დაახლოებით როდის გამოჩნდებოდა მამა. ზოგჯერ აგვიანებდა. რას არ ვიგონებდი, რომ გავმთბარიყავი. ყველაფერი მაინც მოძრაობასთან იყო დაკავშირებული.

დავინახავდი ტრამვაიდან ან ტროლეიბუსიდან გადმოსულს და თვალები გამიბრწყინებდიდა. თავდაპირველად უკვირდა ჩემი ასეთი საქციელი, მაგრამ თანდათან შეეჩვია და შემოხვევით საღამო რომ გამეცდინა, მტუქსავდა კიდეც. რა მამოძრავებდა, რისთვის ჩავდიოდი ყოველივეს, არ ვუმხელდი მას. თქვენ კი გეტყვით: მეგონა ფეი დაუცდებოდა ყინულზე და საშველად ვიყავი გამზადებული.

— არ გცივა, დევი, რად იწვალებ თავს?

უსიტყვოდ შევციცინებდი თვალებში, პასუხს არ ვაძლევდი, ვკიდებდი ხელს და ასე მივუყვებოდით ალმართს შინისაკენ. ვუყვებოდი სკოლის ამბებს, ეზოში მომხდარ ფათერაკებს, და ვინ მოსთვლის, რამდენ რაზეს!

— ბევრს ნუ ილაპარაკებ, ყელი არ გაგიცივდეს. მიგალთ შინ და დანარჩენი შემდეგისათვის შემოიინახე.

არ მახსოვს, იმ ორი წლის განმავლობაში საწოლში უტირლად დამეძინოს. მშობლები რომ დამებოლოს, რა მეშველება-მეთქი. ვერაფრით ვერ ვეგუებოდი ამ აზრს. რა ახირება იყო, რამ აიფორიაკა ჩემი სული ასე. ვერ გეტყვით.

— ჩვენი სოფლის მდინარეცა და მთები გაგაკეთა დღესაც არიან ჭინკები, — იუკუბდა მამა ნღალ. რის მოყოლას. — ჩვენი სახლის წინ უამრავი კვიპაროსი იყო ჩამწკრივებული. ზამთრობით დაღამდებოდა თუ არა, ოჯახის წევრები მივუხხდებოდით აგიზგიზებულ ბუხარს და ვუვებოდით ათასნაირ ამბებს. ჩემს ბავშვობაში ჩემი ეზო ტუეს ებჯინებოდა. ახლა რომაა ყველგან სახლები, ასე არ იყო. როდესაც მინავდებოდა, ნაკვერცხალი ძლივს დასანახად ღვიოდა და კვამლი ლამაზად მიირწეოდა ცისკენ. სწორედ მაშინ კვიპაროსებზე ჭინკები შემოსხდებოდნენ და იწუბდნენ ხარხარს. მერე გამოეკოფოდა ჭინკებს წინამძღოლი და გაიძახოდა ჩემს სახელს. დედამამას გაფრთხილებული ვუყავი, კარი არ გამეღო, რადგან ჭინკა მომიტაცებდა. „დიმიტრი უ.. უ" — გაჭკოდა და არ იხვენებდა მთელი ღამე ჭინკა. შე შიშისაგან ტანში მცრიდა...

— მერე, მამი, ბებია და ბაბუა რას აკეთებდნენ?

— ბებიას და ბაბუას უკვე ეძინათ.

— ვერ გაადვიძებდნ?..

ჩემს ძმას ჩაეცინებოდა. არ უჯერებდა მამაჩემს. სიცილზე მამა წვეტდა თხრობას.

— თუ არ გინდათ ალარ მოგიყვებით!..

— კარგი, დაადინე ბიბები, დღეს გაკვეთილები არ მოუმზადებიათ, დილით ადრე ასადგომები არიან.

— გინდათ, ბიბეებო, გავაგრძელო ამბავი? — მამას, დედის ჯიბრზე, კვლავ უნდოდა, მოეთხრო ჩვენთვის დაწყებული ზღაპარი.

— გვინდა, მოყევი! — ეტყოდა ძმა.

—გვინდა, როგორ არა, გვინდა! — ვიძახდი მეც.

— სად გავჩერდი? ჰო, გამახსენდა, ბებიასა და ბაბუას უკვე ეძინათ. დიმიტრი, უ... —უკვე ერთხმად გაჰკიოდნენ ჭინკები.

— ჭინკები, მამი?

— ჭინკები, შვილო, ჭინკები!

— როგორი იყვნენ არ გინახავს, აგვიწერე რა?

— გეტყვიო, ყველაფერს გეტყვიო. ჭინკებს, არ ვეპასუხებოდი, მოდიოდნენ ფანჯარასთან და აკაკუნებდნენ.

— მამი, ბებიასა და ბაბუას არ ესმოდათ?

— არა, შვილო, არ ესმოდათ, ღრმა ძილში იყვნენ, მაგრამ რომც გაეღვიძათ, ჭინკები დაფრთხებოდნენ და მოჰკურცხლავდნენ ტუეში.

— რატომ, ეშინოდათ ბებიასი და ბაბუასი, თუ რა?

— ეშინოდათ, აბა რა, ბაბუა ძალზე ღონიერი იყო, თანაც გულადი. ჭინკებს შავ დღეს დაუყრიდა.

— რა იცი, რომ ეშინოდათ, თუ არ გამოუღვიძიათ არასოდეს?

— სულელო! — გამომძახებდა ძმა — ვერ ხვდები, ზღაპარს გვიამბობს, ზღაპარი ხომ სინამდვილე არ არის.

— შენ თუ გინდა, ზღაპარი დაარქვი, მაგრამ რასაც გიყვებით, ეს კი მართალია. გახსოვთ გეუბნებოდით, არ გამოუღვიძიათ-მეთქი არასოდეს. მაგრამ ერთხელ როგორღაც გამოეღვიძათ და ჭინკები სულ კიბრისტეხვით გარბოდნენ.

— მამი, რისი შეეშინდათ, საიდან იცოდნენ, რომ ღონიერი და გულადი იყო ბაბუა?

— ეს უკვე გრძელი ამბავია, მთელი ღამე არ გვეეყოფა, რომ მოგიყვეთ. როგორ გირჩევნიათ, გავაგრძელო მონათხრობი, თუ გითხრათ, რა დამართა ბაბუამ ჭინკებს, მათ თათბირს ტუეში რომ წაეწყდა.

როგორც გინდა, ერთიც კარგი იქნება და მეორეც.

ბაბუა თურმე ტუეში ხის მოსაკრეფლად გასულიყო, — გვიყვებოდა მამაჩემი და მეც უკვე ღრმა ძილში ათასნაირ სიზმრებს ვხედავდი. ჭინკები კუზიანები იყვნენ, მიიმუნებივით დახტოდნენ ორ ფეხზე, ხანდახან ხელებსაც იშველიებდნენ, თავზე რქები ჰქონდათ. მონაცრისფე-

რო ბალნით იყვნენ შემოსილნი, სულ დაბტოდნენ და დაბტოდნენ ხიდან ხეზე, ხიდან მიწაზე, მიწიდან — ჩვენი ოდა სახლის აივანზე. — აკაკუნებდნენ ფანჯარაზე, იცინოდნენ, ხარხარებდნენ. წოიდნენ, კოიდნენ და ასე ერთთავად არ ასვენებდნენ ღამეს და მამაზემს...

„დიმიტრი უ...უ! დიმიტრი!..“ — გაჰკიოდნენ.

და ჭარი ჭრიდა, და ჭრიდა.

...არასოდეს არ დაუშთავრებია მამას ამბავი, და არც არასოდეს არ ჩაგვძინებია მე და ჩემს ძმას უზღაპრად. ჯინკები დღესაც ოვალწინ მიდგანან და ღრმად მწამს, რომ ახლაც დაბტიან უსიერ ტუეებსა და ფეხდაუდგმელ მთებში. ზამთრობით მიუვალ ტუეებში თოვლს მუდამ მათი ნაკვალევი ატყვია.

„კერიასთან მოხუცი იჯდა და დროგამოშვებით სულს უბერავდა მიმქრალ ნაკვერჩხალს, გაღვივებული ცეცხლის ალში ნვავდა ზღაპარს „ათას ერთ ღამისას“.

— ბაბე, რა არის ჯინი? გვითხარი, რა, ბოთლში როგორ ეტევა?

— ჯინი ავი სულია, შვილებო. ღამღამობით ბოთლიდან ამოდის და იტაცებს გაუგონარ ბავშვებს.

— ბაბუ, აქ ხომ არ მოუშვებ, ხომ მოერევი ჯინს?!

— დაიძინეთ, ჩემო პატარებო, მოვერევი, დავიჭერ და დილით დაჭერილს დაგახვედრებთ.

— მართლა, ბაბე?..

ხაოცრებების მოლოდინში ბავშვებმა თვალები მილულეს.

გარეთ ბარდნიდა და ფიფქებს მოჰქონდა ზღაპრები „ათას ერთი ღამიდან“.

რა იციან პატარებმა, რომ მათი სახის გამომეტყველება არის ყველაზე კარგი შემფასებელი მართალი სიტყვისა.

4

რა ხანია სკოლა დავამთავრე. დღე-დღეზე უნივერსიტეტსაც გამოვშვებიდენი. ხაოცად შევიცვალე. ცოტას წავიფილოსოფოსებ კიდეც. ზოგჯერ თუ ავურ-დავურიე, ნუ გაიკვირვებთ არა მსმენია, ადამიანი მოწყფული გარნელილიყოს, ყველანი ჩვენებად ვიბადებით. ზღაპრებში წამეკითხავს, თითქოს რამდენიმე დღე ან თვე სჭირდებათ გმირებს დახავეკაცებლად. ისეთი ამბებისთვისაც ომიკრავს ყური, ბავშვი გაჩენისთანავე რომ ამეტყველებულა, ფეხზე გაუვლია, ორი თავი ჰქონია, ფრთები, კუდი... დედა! — ძუძუ მინდა! — უთქვამს ჩვილს და პირში მატყუარა ჩაუჩურთავთ. მე კი ასე ვერ გამაჩუმებდით, და, რახაც მოვისიხვრებ, იმას ვიტყვი.

გაზაფხულის დილა იყო, მზე ხახიამოვნად აცხუნებდა. „ბირკაზე“ ვიდექი და ვუცქიდი ბიჭებს. გვერდით მეგობარი მედგა, ჯემალი ჰქვია, ჯეკოს ვეძახით.

— დევი, ნახე, ბიჭო, ბუშტი მოხტის ფეხებზე შემდგარი.

გავიხედე და, მართლაც, უზარმაზარი ბუშტი მოდიოდა ჩნვენკენ. იდგა ბუშტი ფეხებზე, მოხტოდა, კი არ მოფრინავდა.

— გინახავს, ბიჭო, ამისთანა რამე?

ბუშტს ახალგაზრდა ქალი მოსდევდა. კოხტად გამოპრანკული, ტანფერფეტა და ხაოცრად მომბიბლეკი. ქალს ბუშტისათვის ხელი ჩაეკვლო და ისე მოდიოდა. უეცრად ბუშტი გასკდა „ტკაც“, გამოსცა ხმა და თვალწინ დაგვდგა პატარა გოგონა ჯინსებში გამოწყობილი. გოგონამ გადმოაგდო უსაშველოდ გრძელი ენა და დაიწყო მოთხუპნული სახის წვნიდა. ხელი არ გაუხარვია, არც დედიკო მიშველებია ცხვირსახოცით. გოგონა თავის ხაკმეს ხაოცად სწრაფად ახერხებდა. შეუჩერებლად დაკროდა ენა ზემოთ-ქვემოთ, ხანდახან განზეც. სულ რაღაც ორიოდე წამში გოგონას სახე გაიწმინდა. თვალები ცასავით ლურჯი ჰქონდა, ცხვირი — პაპუა, ოდნავ აპრეხილი და ლოყები — ვარდივით წითელი. უცბად ყველაფერი გაქრა, და ამ მშვენიერი გაზაფხულის ფერების ნაცვლად კვლავ უსაშველოდ დიდი ბუშტი დაიხატა. ქალს, ეტყობა მეტი ხსენებად მოეწონა შვილის ნახელავი და ახლა უფრო ამაკად და თავმომწონედ გამოადგა ფეხი ჩვენკენ. „ტკაც“, — დაიძახა კვლავ ბუშტმა და ისევ გამოერნო პირიდან უსაშველოდ გრძელი ენა. „ტკაც, ტკაც... ტკაც, — ზედიზედ მოჰკვეა ტკაცების კაკანის ჯერი ტკეიამფრქვევნდან. ეს უკვე პატარ-პატარა ბუშტების სკდომის გაორკეცებული ხმები გაბლდათ. „ტკაც... ტკაც!“ — ხეთქავდა გოგონა ხალეკი რეზინისაგან გაკეთებულ ბუშტებს.

...დაახლოებით ოცი წლის წინათ პატარა ბიჭი უსაშველოდ დიდი ბიდონით ხელში ნავთის ახალებად მიეშურებოდა. ყველაზე ახლომდებარე ნავთის წერტი ორ კილომეტრზე მაინც იქნებოდა მისი სახლიდან. ბიჭი მიდიოდა ღიღინით და ვერც გრძნობდა, რომ ბიდონი აქეთ-იქით ეხლეკნოდა და ფეხებს ულურჯებდა. ახე ღიღინით გალევდა ხოლმე გზას წერტამდე და რიგში დგებოდა. ნავთის მხურველთა რიგი გრძელი, ჭრელი და ხმაურიანი იყო. წესრიგის დამცველი აქ არ ეხაჯორიებოდათ, რადგან ხალხი გაჭირვებისაგან თავად მოწესრიგებულიყო. რახ არ გაიგონებდა აქ ადამიანი. ყველაზენენ ახალ ამბებს და, ბომბელის რწმენით შედუღაბებულნი მხარში უდგნენ ერთიმეორეს. კუს ნაბიჯით მიდიოდა რიგი წინ; ბიჭს ბიდონისათვის ფეხი არახოდეს წაუკრავს, როგორც ამას ზოგიერთი აკათებდა. ის ხელს მოჰკიდებდა ბიდონს, აწევდა ზევით და ოდნავ წინ დადგამდა. იცოდა, გადაჩოჩებით შეიძლებოდა ბიდონს ძირი დაზიანებოდა, ნავთი დაღვრილიყო. წვეთი-წვეთად, მაგრამ მაინც დაღვრილიყო. ნავთი იყო მათი ოჯახის სანთელი, ხაობობი, პური, ჩაი და ყველაფერი ის, რასაც ბიბლიამ „პური ჩვენი ყრნლ-

ბისა" უწოდა. არა, სულ ასე არ იყო, მაგრამ უნავთოდ წარმოუდგენელი გახლდათ ცხოვრება, განსაკუთრებით, ზამთარში. ბიდონში ოცლიტრამდე სანწვავი ჩადიოდა. სავსე ბიდონის წაღება ცოტათი ეძნელებოდა პატარას, მაგრამ იცოდა რომ ოჯახს ამით ტვირთს უმსუბუქებდა და ახლა უფრო ღონივრად და შეუპოვრად მოაბიჯებდა შინისაკენ. ღიღინი უკვე ძალდატანებული გახლდათ, და ხმაში შეიმჩნეოდა სიამაყე და თვითდაჯერება, კარგი გაგებით, თუ შეიძლება, ამას თვითდაჯერება ეწოდოს. ეს იყო რწმენა, რწმენა შენებისა და რწმენა სიცოცხლისა. იცოდა, რომ დაინთებოდა ცეცხლი, რომ მოვარდებოდა წყალი, ამბიბინდებოდა ყანა, აშრიალდებოდა პურის თავთუხი და ამოენთებოდა მზე კაცთა მოდგმის დასაბურებლად.

... ამასობაში „ბირჟა" ნაცნობ-მეგობრებით შეივსო და ბიკებმა გააბეს საუბარი.

— ჯეკო, წავალ მე ახლა სახლში, ცოტა ვერა ვარ კარგად, — გაიეკვნე მეგობარი განზე და ყურში ჩავჩურჩულე.

— რამე ხომ არ შეგემთხვა, ოჯახში ხომ არაფერია ისეთი?

— არა, ჯეკო, ყველაფერი კარგადაა, უბრალოდ, ცოტა უქეიფოდ ვარ.

— უქეიფოდ ვინ არ ვუოფილვართ, დარჩი პატარა ხანსაც და რაიმეს მოვახერხებთ.

— ველარა ვსვამ, ხომ იცი, გითხარი, ცოტა უქეიფოდაცა ვარ-მეთქი.

— დარჩი, ერთად ვიქნებით, გამოკეთდები ცოტა ხანში.

— წავედი, თუ მიკითხეს ბიჭებმა, რამე მოიგონე.

ბედზე, შინ არავინ დამხვდა. ეტყობა, არ მსურდა ნიღბის გაკეთება და განწყობის გამოკეთება. კაცი ვერ გაექცევი საკუთარ თავს, ყოველი ასეთი მცდელობა ხომ წყლის ნაყვავა.

მივეგები ტახტზე. ვიხსენებ დედა-შვილსა და ბუშტს. თითქოს წარსულს მივსტიროდე. არ მჩვევია ტირილი, სრულიად შეგნებულად მეხმის, რომ წისქვილის ქვას უკან ვერ დაატრიალებ, თანაც ქვას წყლის დინება თუ უწყობს ხელს. ქვა დოლაბია, დოლაბი — ცხოვრება, რომელიც მუდმივად ტრიალებს ჩვენს დაუხმარებლადაც. რა გაეწყოთა, იდინეს და იბრუნოს, მდინარე გინდ სამხრეთით მიედინებოდეს, და გინდ ჩრდილოეთით, გინდ — აღმოსავლეთით და გინდ დასავლეთით. მაინც თავქვე მიედინება, შეუერთდება ზღვას, ან ოკეანეს, შეიძლება, ტბასაც და იქიდან კვლავ ახალი მდინარეები დაიბადება. „დოლაბი ბრუნავს და მე ვიწამე ყვავილთა მეფედ თეთრი ვარდები".

მეგობარო, რას მეტყვი შენ? რაო ვერაფერს? აბა, არც მე მითქვამს ახალი არაფერი და ძალიან რომ მოვინდომო, ვერც მოვახერხებ ახლის თქმას. ჭვავის ყანაში პურის თავთუხის ძებნა, ტაუღი ახირებაა, არა? რას ბზაშ, კაცნი ვართ, ახლა წამოვდგები, მაგნიტოფონთან მივალ, ჩანაწერებს გადავჭექავ, ელინგტონს მოვუსმენ. ესე იგი, რა გამოვიდა?!. მეც ოჯაღონთან ეუოფილვარ და, ეგონებ, თქვენც ჩემთანა ხართ. აი, ვიმეორებ, მოდი, მოვუსმინოთ!

ა

არა მგონია, ამით თხრობის თანმიმდევრობა დაირღვეს, მაგრამ საჭიროდ ვცანი თხრობისათვის ოდნავ გვერდი ამეკლო და თქვენთან პირდაპირ მესაუბრა, ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვის გარეშე. ზოგმა ამით შეიძლება, ლიტერატურაში დილეტანტობა დამწამოს, ზოგმა — რა და ზოგმაც — რა. ყველა ესენი აუცილებლად პროფესიონალი მწერლები იქნებიან, იციან უადგილოდ გაბრაზება. ანგარიში უნდა გაკეთოთო, რას ვიზამთო, მოვუსმინოთ, თავი დავხაროთ, წამოვწოლილდეთ კიდეც, ოღონდ არ წამოვეწოოთ და მაინც ჩვენი ვაკეთოთ.

არ მიყვარს, როცა ადამიანი თავის ბავშვობაზე გვესაუბრება. ეს იგივეა, მშობლები შვილების ქნებით ტვინს რომ გვიბრეკენ. ბავშვი ყველა კარგია და უმანკო. დედ-მამისათვის ჭირვეულებიც ასეთები გახლავართ. კაცმა სხვისი ბავშვობაც რომ აღწერის, ხალხი იტყვის, სათავგადასავალოაო, „ტომ სოიერი" და „ჰეკლბერი ფინი" უკვე დაიწერა, თავი რომ იმტკრიო. შედარებისათვის ეტალონად მაინც იმას მოიყვანენ, ამიტომ გადავწყვიტე, ყველა სხვა ბავშვობის ეპიზოდებისაგან გამოვათვისუფლო ნაწერი, აღარ გაწვალოთ, არც მე არ ვიწამო და მოკლეზე მოვკრა გზა მომავლისაკენ. მხოლოდ ჩემს ბავშვურ ახირებას ვერ შეველევი და აუცილებლად მოგახსენებთ.

მშობლების სიკვდილზე დარდი თავიდან რომ მოვიშორე, ჩემდა უნებურად, მთელი ერთი წელი შეიძლება, მეტიც, სულ ქორწილი მელანდებოდა, თითქოს ზღვა ხალხი მეხვია თავს ყვავილებით ხელში. ქუჩებში ტევა არ იყო. ყველას უნდოდა ნეფე-პატარძალი დაენახა. დამტკბარიყო მათი ბედნიერებით, ყვავილებს ანნევდნენ მოკირწყლულ ქუჩებში და ჩვენც, თეთრი ცხენებიანი ეტლით ალმა-დალმა ვხეტავდით ქალაქის ქუჩებს. სხვა ოცნება არასოდეს მჭონია, ეს იყო და ეს.

ხანდახან მამას მეგობრები რომ ეწვეოდნენ, მეკითხებოდნენ, რა გინდა გამოხვიდეო. მეფა-გვე-მეთქი, — ვპასუხობდი დაუფიქრებლივ. გამიგეთ, ალბათ, ასეთი შეკითხვები თქვენც თავმობეზრებულნი იქნებოდით. რატომ მაინცდამაინც მეფაგვე შევარჩიე პასუხად? ამას დღესაც ვერ ვხსნი. ოცნება- ოცნებაა, ცხოვრება — კი, სულ სხვა რამ ყოფილა.

საქორწილო დღესასწაულზე მერე მოგიყვებით, ერთ რამეში შევთანხმდეთ. ცოლ-ქმრის ინტიმზე ბევრს ნუ მალაპარაკებთ, არც ისეთი სულელი ვარ, როგორადაც გინდათ წარმოიდგინოთ, სხვის სულში ხელების ფათური ცუდი რამ არის, გაკვრით კი... შეეხები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკვე უნივერსიტეტიც მაქვს დამთავრებული და ასპირანტურაშეც გახლავართ.

ერთი გოგონა გავიცანი. ბაბე ჰქვია. ჩემსავე ფაკულტეტზე სწავლობს. პირველ კურსზეა.

... გვიანი საღამო იყო. კთელრიდან რომ დავეშვი კიბეებზე. არაორგანიკოსების კთელრა მეორე კორპუსის მეოთხე სართულზეა. ზოგადი ქიმიისაზე მოგახსენებთ. ჩამოვდივარ კიბეზე და ვხედავ, მეორე სართულზე ჩაჩოქილა. შევჩერდი. ცნობისმოყვარეობამ წამძლია. ახალ გაზრდები შეჭეფულიყვნენ. ვინ საფეხურზე იჯდა. ვინ კედელს მიყრდნობოდა. ვინ მიდი-მოდიოდა წინ და უკან და ასე შემდეგ. ყველასგან განმარტოებით სამნი საუბრობდნენ. გოგონები იყვნენ, არა უშავდათ რა, კარგი შესახედავები. ორი კიბეზე ჩამოსაკუპლიეო. ერთი კი თავზე იდგა მათ. ფეზზე ვინც იდგა, ის მეტად მომეწონა. რომ დამინახეს, ის ორიც წამოდგა. ლექტორი ვეგონე. ზრდილობა გამოიჩინეს. „აი. მეცხრის აღზრდა-მეთქი" — გავიფიქრე. არც შევმცდარვარ, რადგან საფეხურებზე საცა ისხდნენ, წიგნები შევნიშნე. ფილოსოფიის სახელმძღვანელო იყო. ესეიგია — თუ არა ვცდები, ზედა მსხდარიყვნენ, ცოდნა შეგვივო თავში. ეტყობა, მიმიხვდნენ რაც გავიფიქრე. დასტაცეს წიგნებს ხელი და ნახერხი ჩამოფერთხეს, იმდენად გულმოდგინედ, რომ რაღაც ხიჭვისმაგვარი თვალში ჩამივარდა. ხელი ვიტაცე თვალზე. ინსტიტუტრად მოვიხარე, თან თვალს ვისრესდი. არაფერი გამომვიდა. გავვარდი მარჯვნივ. ტუალეტისაკენ. წყალი მეგულებოდა. „ფხიკ". — მომეცმა ხმა — „ფხიკ... ფხიკ" — უკვე გულიანად ხარხარებდნენ ჩემზე. ვეტაუცე თავი ტუალეტში. ატუდა წვიანი და რა წვიანი. თვალის ტკივილისაგან თავგზა აბმეწოდა და კედლის ტუალეტში ამოვუკვი თავი. თოფნაკრავივით გამოვკარდი უკან. მზნეობა მოვიკრიბე და ოფორაც იქნა. ხიწვი თვალიდან ამოვიღე. გუგა ვამკურნეოდა, რადგან ახლა ტკივილისმაგვარი ქავილი ამიტუდა. ფეზზე რომ იდგა, ის გოგონა მომიახლოვდა, ცხვირსახოცი დაეხველებინა და გამომიწოდა, სუფთააა. — მითხრა. რა უნდა მექმა, გამოვართვი და თვალზე მივიდე.

— ნუ მომერიდებით, იხმარეთ როგორც გენებოთ.

არც მოვრიდებივარ. გითხარით, ტკივილისმაგვარი ქავილი მაწუხებდა. ვიწმინდე და ვიწმინდე წყლიანი ცხვირსახოცით თვალი. ცხვირსახოცი არ გაეწურა, წინდახედული აღმოჩნდა. ტკივილი დამიამდა. დავშვიდდი და ჯიბეებს დავუწყე ჩხრეკა.

ნუ სწუხდებით. სხვა დროისათვის გადასდეთო.

როდის იქნება ეს დრო-მეთქი?

ყველა დღე ჩვენი არ არისო?

საგანი თუ მოამზადე-მეთქი.

ალბათ. ჩავაბარებო.

დაგებმარები, ნუ მომერიდები, ვიცნობ ვიღაც-ვიღაცებს.

უხერხული იქნება, სხვების რა ვუთხრაო. ოდნავ წამოწოლილდა და ამხანაგებთან ეზიზღებ. მივიდა და აღარ გამოუხედავს ჩემკენ. ცოტა ხნით კიდევ ვიწრიალე. ვაწვალე თვალი, ბოლოს ავდექი და დავუყევი კიბეებს. შინისკენ გავეშურე. რომ გამოვედი, სუსხმა დამკრა, ლოყებზე მიჩქმიტა. ალტოს საყელო წამოვიწიე, კარგად გაწურული ცხვირსახოცი ჯიბისაკენ გავაქანე და გაურკვეველი ფიქრებით ავუყევი ალმართს კავშირის კუჩაზე. შინ ბუხარი აგიზგიზებული დამხვდა. სასწრაფოდ გამოვიცვალე ტანსაცმელი და ოჯახის წევრებთან ერთად მივუჯექი ცეცხლს გასათბობად.

როდის-როდის დავწექით დასაძინებლად. ვერ ვისვენებდი. როგორ მინდოდა, პატარა ვყოფილიყავი და კვლავ მოეყოლა მამას ზღაპარი. „მდინარეს და მთებს გაღმა... დღესაც არიან ჭინკები". ტკბილად დავიძინებდი არ გავწვალდებოდი.

დილით თვალი მომშუშებოდა. მაგრამ კბილის ტკივილი მაწუხებდა. წამოვხტი. საკმე მაქვს სასწრაფო-მეთქი და უნივერსიტეტისაკენ გავეშურე. მთელი დღე კიბეზე დავრბოდი. ჯიბე გამოტენილი მქონდა ხურმა ფულით. ამე გაგრძელდა რამდენიმე დღე. კბილის ტკივილი კი არა ცხრებოდა. ერთ საღამოს ძმას მანქანა ვთხოვე (ძმა კარგა ხანია, დაცოლშვილდა და ცალკე ცხოვრობს, მაინც ყოველდღე ვნახულობთ ერთმანეთს). მოვკალათდი საკუთხან და სტომატოლოგიური პოლიკლინიკისაკენ გავეშურე. მორიგე ადგილზე დამხვდა, ვიღაც ქალს აბღალნებდა. ხომ იცით, ქალების ამბავი, ჯერ კბილი არ ამოუღიათ და უკვე ბღავიან. გული გამიმაგრდა. გმირულად შევედი კაბინეტში და ექიმს წინ ავეტეუზე.

— ბარათი თუ გაქვთ ხელზე?

კბილი მტკივა, ვკვდები.

— არა, ბატონო, აღრიცხვაზე არ გახლავართ. მიბრძანდი, გატარდი და ისე მოდიო;

— პასპორტი რომ არა მაქვს?

კარგი, კარგი, მოდი. დაჯექი, ცოტას დავისვენებ და შენც მოგიგლეიო.

ოთახიდან გავიდა. კარგა ხნით არ გამოჩენილა. მსმენოდა ხალხი კბილის ამოსაღებად კაცებს აძლევენ უპირატესობასო. სად მქონდა ამის თავი, ოღონდ ამოეღო და, ვინც გინდა, ყოფილიყო. სიბრძნის კბილი აღმოჩნდა. ეკიმმა მითხრა, არაფრის მაკნინიაო. შეიარაღდა და დამეძაბგუნა. კბილი გადატეა. ბეღზე, გამაყუჩებელი ნემსი გაკეთებული მქონდა. ახლა დაავლო ჩაკუჩს ხელი და მოემზადა ფეხვის ამოსაღებად. საცოდავმა ბევრი იწვალა. ოფლად იღვრებოდა, არც მე დამდგომია კარგი დღე, მაგრამ ვითმენდი კაცურად. ერთიც არ დამიკვნესია. ოპერაცია იც წუთს მაინც გაგრძელდა. ღრმანები ერთიანად დამიფლითა, ქვედა კბილი იყო. მაგრამ ზევითაც ჩალიჩობდა. სულ სიხსნელში ცურავდა. გადა-

ფურთხების ხაშუალება ძლივს მომცა. ბოლოს სისხლში ამოთხვრილი ძვალი დამანახა. ფესვის ქვედა ნაწილი მოგრეხილი გკონია, ეშვია, კბილი კი არაა. ურნაში მოისროლა და გამთავისუფლა. წამოვდექი, მადლობა გადავუხადე წამებისათვის. ჯიბეზე გავიკარი ხელი და ცხვირსახოცი ამოვიღე, მივიდე ლოყაზე. გამოვედი. ჩავჯექი მანქანაში და დავძარი. გადასასვლელთან შუქნიშანმა შემაყოვნა. ვხედავ, გოგონა გადმოდის. გულმა ბაგა-ბაგი დამიწყო. გავალე მანქანის კარი, ვთხოვე, ჩაჯდარიყო სალონში. „ჩქარა, ჩქარა, მწვანე ანთონ მეთქი". ისიც მომისკუდა ბგერდით და გავუყევით გზას. აღარ ვიცოდი, სად წავსულიყავი. თანდათან დავმშვიდდი, აღარც ამოდებული კბილი მახსოვდა და არც არაფერი.

ეს იყო გაბე. მიმიხედით ალბათ, ვიზეც მაქვს საუბარი.

საოცარია ბუნება კაცისა. ზამთარია და გული ლაღობს, ვითარცა გაზაფხულზე.

თავი II

I.

ოცდაექვსი წლისა ვარ. უკვე უამრავი ნაცნობ-მეგობრები მყავს. კეთილრის გამგემ დამიბარა, მითხრა — მოსკოვში უნდა წახვიდე თემაზე სამუშაოდო.

მამას ავუხსენი საქმის ვითარება. ესიამოვნა, თუმცა შეეტაკვნე, რაღაცაზე ბული ეთანაღრებოდა. არაფერი უთქვამს. მივუხვდი გასაჭირს. ხმა არ ამომიღია. მერე დღეს ფული გადმომითვალა, საჭიროებისამებრ კვლავ ხელს გადმომართავო.

საღამოს გაბეს შევუარე, შინიდან გამოვიყვანე და კინოში წავედით. შინ გვიან დავბრუნდი გასამგზავრებლად შემართული. მშობლებს არ ეძინათ, რაღაცაზე საუბრობდნენ. დამინახეს და გაჩუმდნენ. მართალი გითხრათ, არ მომეწონა ოჯახური იდილია. პალტო გავიხადე, ხელები გადავიბანე და ოთახში სიარულს მოვკუეი.

მშობლები ხმას არ იღებდნენ, ვუცქერი მათ და თვალებში ვკითხულობ კრთომას მომავლისადმი.

მოსკოვში ჩემი რამოდენიმე მეგობარი საწყლობს, ზოგიერთი მუშაობს კიდეც. რომელს დავუკავშირდე?.. თუმცა ამპარტავნობა მაკავებს. ეს ბომ ახალგაზრდობის სენია, არ მინდა, თავი შევიარცხვინო. ვითხოვო დახმარება, თუნდაც — ბინის თაობაზე. ხანდახან თვალს გადავავლებ მშობლებს, ვგრძნობ, რაღაცისა ეშინიათ, რაღაცა აღელვებთ. მათი გარიდება მაღიზიანებს, ვენთები ვახშობ მოწყლილ სიბრაზეს, შემდეგ ვიმშვიდებ თავს და ვინავლები. მათ შემხედავს მეც შიში მიპყრობს. აღარ ვიცი, რა ვქნა, რა ვიღონო. თავი გასცლიმაზე მაქვს. რაიმე რომ თქვან, ხომ შეიძლება, წამოვეცინო, და ამიტომაც არჩევენ სიჩუმეს.

მოსკოვს კარგად ვი ვცნობ, ახლა კი უნდა შევეკედლო უცხო ქალაქს და უცხო ხალხს, ისიც ზამთრის ხუსხში. რა ვქნა, რა მოვიხაზრო?

ბევრი ფიქრის შემდეგ გადავწყვიტე, დეკანატში მეცნობებინა თანაკურსელი გოგონასაკენ, დამხვედროდა.

კვირა ხალამოს რკინიგზის სადგურის ბაქანზე თავი შევიყარეთ. ახალგაზრდა ვარ, მიყვარს სადგურის სიხსნასავე გარემო, არც მისი დამახასიათებელი ხუნი მაწუხებს და არც ხალხის აურზაური. პირიქით, დიკტორის სიტყვები გულსაც ეხალბენება: „ეურადღება, მატარებელი ნომერი... თბილისი-ერევანი ხუთის წუთის შემდეგ გავა პირველი ლიანდაგიდან. მატარებელი ნომერი... შემოდის მეორე ლიანდაგზე... სიცოცხლეა პირდაპირ!

მაცილებენენ: მამა, ძმა, რამოდენიმე მეგობარი და კეთილრის გამგე. დედა შინ დარჩა. მაცვია პალტო. კოსტუმი, მაღალყელიანი ფეხსაცმელი, მახურავს ბრტყელი კეკეტანი ქუდი, თვითმფრინავი რომ დაფრინდება, ისეთი. „ეურები მოგეკინებიან", — მეუბნებიან ახლობლები, მე კი მათ შენიშვნას უპასუხოდ ვტოვებ. სხვა არაფერი მაქვს დასახური. ჰო, თბილისში საუკეთო ამინდია.

მალე ჩამოკრა ზარმა. ვემშვიდობები გამცილებლებს. ავდივარ ვაგონში. მატარებელი დაიძრა. შევდივარ კუპეში, უკვე საკმაოდ ბნელა, ჩამოვჯექი. ხმას არ ვიღებ, მატარებელი კი მიდის. თანდათან სევდა მაწუხება. რაღაზე არ ვფიქრობ, უმოკლეს ხაზად ვარ გაწოლილი თბილის-მოსკოვსა და მოსკოვ-თბილისს შორის. ლიანდაგიც მე გავხდი და საჰაერო მგზავრალიც.

კუპეში მარტო მამაკაცები მოვხვდით. ერთ-ერთი ნაცნობია, ჩემზე უმცროსია, ქალაქიდან ვიცნობ, არ მესიმპათიურება. აწოწილა ზამთრის ღამესავით, თანაც მხარზე ტყავის ყუთი გადაუკიდია. მგონი, კინოაპარატია, შიშობს, არ გაუტუდეს. ვერ გრძნობს, რომ უშლის სხვებს. გადის, შემოდის, გადის, შემოდის. როგორც იქნა, მოკალთდა ჩემს გვერდით. ხმა არ გამიცია. არც მას ავუვსივარ ეურადღებით. ზრდილობა ორივეს თავზესაყრელად აღმოგვაჩნდა. მალე გამყოლი მოვიდა და თეთრეული დაგვიტოვა.

მე და ოპერატორი შევუდექით ლოგინების გაწყობას. მატარებელი კი მიდის და მიდის. უცბად ვაგონი გადაქანდა, ვეხლებით ერთმანეთს. ვხედავ, ერთ-ერთი თანამგზავრი ტკივილისაგან მოიკაკვა. მოთმენა აღარ შეიძლებოდა.

— ჩამოიხსენი ყუთი! — ვუთხარი მკაცრად ოპერატორს, თან შევუბღვირე, როგორც შემეძლო.

— ყუთი კი არა, კინოაპარატია! — ნიშნის მოგებით მიპასუხა, ოდნავი ირონიით.

— კინოაპარატია თუ რაღაცა, მოიხსენი და იხე გაიწყვე საწოლი!

სწორი აღმოვჩნდი, კინოაპარატი ყოფილა.

არაფერი უთქვამს. ეს იყო, ალმაცერად გადმომხედა, აპარატი მოიხსნა და სათუთად დაბანავა.

მინდოდა, დამეთოვლა. შეიძლება, სწორი არ ვიყავი, მაგრამ, რას იზამ?

მატარებელი კი მიდის და მიდის...

გავცდით მცხეთას, კაბას. შევედით გორში. ლიმონათი მომინდა. ვიფიქრე, ამოვიტან-მეთქი. ჩავედი ბაკანზე. ბუფეტი დაკეტილი დაბოლოდ, რა უნდა მექნა? ამოვბრუნდი, სასწრაფოდ ტანთ გავიძრე და საწოლზე გავიშოტე. არ მეძინებოდა, დავიწყე წრიალი. თანამგზავრებს ერთმანეთი გაეცინათ, საუბრობდნენ. როდის-როდის დასაძინებლად ისინიც გაეშშალნენ. კუპეში სიჩუმემ დაისადგურა, ისმოდა მხოლოდ ბორბლების ხმა. ერთ-ერთმა ხვრინვა ამოუშვა. ცოტა ხანში მეორემაც აუბა მხარი, ვგრძნობდი, ოპერატორს არ ეძინა. უეცრად ხელი ჩამოუშვა, თავზე შემახო, „ეს ზობელძაღლებიო!" — გარკვევით ამოზმორა. ხელი ცოვად აიტანა უკან და გაისუსა. დიდი ხანი არ იყო გასული, რაღაცის ბრაგუნმა გამომიყვანა ფიქრებიდან. ოპერატორს ფეხი გადმოვარდნოდა და ბაერში დაეკიდა. ერთი ორჯერ გვარიანად მოიქნია, შემდეგ შეანელა და ბოლოს მატარებლის დაგადუგს რიტმულად აპყვა. ხაოცარი ტკბილის შეგრძნება ჩქონდა. ასეთი რამ არ მენახა!... არ გინდა, დაიძინო? ვერც გამოაღვიძე, ვერც ეტყვი რაიმეს, ცოდოა, დაღლილი იქნება, იძინოს!

და მახსენდება ჩემი თბილისი, სახლი, სადაც მე ვცხოვრობ. პატარა ეზოთი, ხეხილის ბაღითა და ჩემში მარადფიფქებული ია ხამანით. ხაოცრად მიყვარს მისი ხურნელი. ია ხამანი ჩემთვის ყველაფერია, აი ის, რასაც მარადიული სიკვდილ-ხიცოცხლე ჰქვია. „ო, რა ხეკდიანი ჩავალ სამარეში, თუ არ ჩამატანეთ ია ხამანი!" — უკვე მერამდენედ, დახეფილებული ვლიღნენ გულში და მეძინება.

დილით მზემ შემოაკენიტა. თავი მიხკდებოდა დაღლილობისაგან, მაგრამ მზემ თავისი გაიტანა, ხალისი შემმატა და ხეკდაც გამეკარწყლა. წამოვდექი, გავედი დერეფანში ხელ-პირის დასაბანად. რიგია. შემოვბრუნდი კუპეში. ველოდები როდის მოეღება ბოლო ხალხმრავლობას. კარები ღია, მოჩანს ზღვა, გაშლილი, უკიდეგანო, ლივლივა, ხხივებით შეთბუნებული.

თავი წესრიგზე მოვიყვანე. კუპეში საუზმე გაუწყვიათ, საუზმე-მეთქი, ვამბობ. წიწილები, ხაკვამურები, ტყემალი, რა მოოვლის ყველაფერს. მიმიპატიჟეს, ჩამოვჯექი და შევეკეცით „დილის ულუფას", რაფდენიმე ჭიქა ღვინოც გადავკარით, საუბარს მოვყევით, ხანნი მოსკოვში მივდივარო, ერთ-ერთი კი — როსტოვში, კვალიფიკაციის ასამაღლებლად, ანდრო ჰქვია, ტექნოლოგია. ტრაპეზზე ხიმხნეკე დამიბრუნა. თვალს არ ვაშორებ ელექტრობოძებს, ლიანდაგს რომ მიუყვებიან, რა ხაოცრად დასრილებდნენ მავთულები ალმა-დაღმა მატარებლის გასწვრივ! ვითვლი ბოძებს, ზოგჯერ ხათვალავი მეშლება, ახლიდან ვიწყებ. დროდადრო მავთულზე ფეხაკეტილ შეფრთხიალდებიან, ზოგი იქვე ახლოს, მიაწყაზე ეშვება. მიწა არის შავი. ალაგ-ალაგ თოვლის ნამქერები მოჩანს. მალე თოვლი იმძლავრებს. ამდენი ყვავი ჯერ არასოდეს მინახავს.

ხალამოს სიცივემ მოუკირა. ხალში აჩოჩკოლდა, დაიწყო მითქმა-მოთქმა, — „გათბობა არ იქნებაო". ყურადღება არ მიმიქცევია, ჯერ შეხურებული ვიყავი.

— დევი, რისთვის მიდიხარ მოსკოვში? — მეკითხება ოპერატორი. მგზავრობას რა ვუთხარი, გინდა-არგინდა, ყველასთან ხაერთოს გამოგანახვინებს.

— რა ვიცი, თემაზე ხამუშაოდ გამგზავნეს.

— დიდი ხნით?

— რა გითხრა? ვნახოთ, ხაქმე როგორ მოითხოვს. შენ რისთვისაა გარჯილხარ?

— მომბეზრდა თბილისი, ალარ შემიძლია გაძლება, არავინ არაფრად გაგდებს, კვანტი ხად დგგიდონ, იმაზე ფიქრობენ, შენი სწავლა-განათლება ვის რაში ხკირდება, ჩაიგდო სოფელმა ხადავე ხელში. რას მალაპარაკებ, ვითომ არ იცოდე, რა ხდება, ქალაქელი მაინც არ იყო...

ახე მახსოვდა, ხკოლაც არ ჭქონდა დამთავრებული. გავიცადი მაგრამ არაფერი მიოქვამს.

—ჩავალ, ჩამოვუვლი ნაცნობებს, მოვხინჯავ იქაურობას, დავბინავდები. უკან თუ გამოვიხედე, მე მოგიკვდე.

— კი მაგრამ, ჩაწერა?

— მოვაწერ ხელს ვინმესთან, რა უნდა მაგახ?!

„ეჰე!.. ბარაქალა შენს ვაუკაცობას, რა ადვილად წყვეტს ყველაფერს" — გავიფიქრე ჩემთვის.

— მე ვერ გავბედავდი, ახე ვერ მოვიქცეოდი!

გაიტრუნა, ვგრძნობდი, მის თვალში ჩამორჩენილი ვიყავი, ისეთი დამცინავი მზერა დავიჭირე. — „გაკმ'ი" უნდა ჩავბარო, რომთან ან გერასიმოვთან ვისწავლი.

გერასიმოვის გვარის გაგონებაზე, ცოტა არ იყოს, შევცბი, მეც გერასიმოვი უნდა მენახა, ოღონდ რეკეთხორისაგან განსხვავებით, — ქიმიკოსი, „ოერმოდინამიკის მამად" წოდებული, ჩემი კაოედრის გამგის ყოფილი ხელმძღვანელი. კარგად მიცნობდა, მაგრამ მაინც მიმძიმდა მისხვლა, თუმცა ხავალდებულო იყო. ხომ იცით, რა ძნელია პირად ხაქმეზე მისვლა ადამიანთან. ასეთები შევუქმნივარო გაძრწეს.

ხიჭაბუკეში ერთი ბიჭი დამიმეგობრდა. დიდი კაცის შვილი გახლდათ, თვალში მოვუვედი, ძმახავით ვუდექი გვერდით, დილიდან დაღამებამდე ერთად ვიყავით. მე იშვიათად მივდიოდი მასთან შინ. ჩვენნაცუნებურად გვიკირს ასეთ ოჯახებთან ურთიერთობა. ერთ დილით გადავწყვიტე მიმეკითხა. კრიკის ხელთაბმანები მინდოდა გამომერთმია. ავედი ხადარბაზში, დავრეკე

ზარი. კარი თავად გამიღო. შინ არ შევუპატიჟივარ. „ხაქმეზე იქნები მოსულიო". — გავშორი, ვერაფერი ვუთხარი... ის დღე იყო და ის დღე... დღესაც თუ ვინმე ახლობელი „გამიდაკაცდა", მოგკვამთ ჭირი, ზედმეტი ბარგის ტარება უშძინს ყოველ კაცს.

მატარებელი კი მიდის და მიდის... იშვიათად ელმავლის ხაყვირის ხმა მოისმის. ხმა, რომელიც ზლაზვნით იკარგება რუსეთის თვალუწვდენელ ტრამალებში.

დაღამდა. ხაუბრით დაღლილმა წინა ბაქანზე მოვინდომე გასვლა. პირი გამშრობოდა. წყალი მინდოდა, დამელია. გამცილებელთან მივედი, კუპეში იჯდა. მაგიდაზე ხტოდნენ ლითონის ხადგამებში მოთავხეებული ჭიქები. დავავლე ერთს ხელი და ონკანთან მივედი. ჭიქა წყლით გავავსე. წყალი ცივი იყო და მზეთრის გემო დაჰკრავდა. დავლიე. მადლობა ვუთხარი გამცილებლს და უკან გამოვბრუნდი. კუპეში მჭრეალი ციხფერი შუქი ენთო. ყველანი დასაძინებლად გამზადებულან. ცივა. გაუზდელად მივწექი საწოლზე. ფეხსაცმელი გავიძვრე, ქლეღი გადავიფარე. ოდნავ გავთბი. ვფიქრობ მომავალზე: გაზაფხულზე დაცოლშვილებას ვაპირებდი, ალბათ გადაიდება. ნეტავ, როგორ წავა ჩემი ცხოვრება? რამდენხანს მომიწევს მოსკოვში ყოფნა? ვიშოვი ბინას?.. დამშვდება ყოფილი თანაკურსელი გოგონა? სიცოცხლის მოუკარული ვინმეა, ეგებ მოეხაზრა და შეეტრაბა ჩემთვის ხაცხოვრებელი? რა დავუდევარი ვარ! შემეტყობინებინა, რა მოხდებოდა, ჯინჯილებს ჩამომართმევდნენ თუ რა?. ხომ მაინც ვაწუხებ, ან ბიკებიხთვის მაინც მომეწერა წერილი. არა, წერილი ნამდვილად ვერ ჩაუხწერებდა. ვნახოთ, ალბათ, რაიმეს მოვახერხებ. ძაღლი კუჭაში არ გათოშლა, თანაც — ჯანმრთელი. სისხლი მიდუღს, ჩემი დაცემა წარმოუდგენელია. ნეტავ ეს მეტიჩრობა მომაშორებინა და არაფერი მინდა. მეტიჩრობაა — ამპარტავნობა, ბაბ ხხვა რა?..

ისევ თბილისი — ახლად აფეთქებული ისამანი, დედა, მამა, ძმა, საცოლე, მეგობრები, კათედრის გამგე. რა ნათელი კაცია, ჭკვიანი, ხათნო, საკმაოდ ცნობილი მეცნიერი და უფრო კარგი ლექტორი. რატომ ხდება ახე, რომ ერთი მუდამ გასცემს და მეორე ღებულობს? ნუთუ არ შეიძლება, ორივემ შევხვიოთ ერთიმეორე?.. ადამიანო, რა გამოუცნობი რამა ხარ!

ისევ მოსკოვი, ხმაური, ხალხი, ხალხი და ხალხი... ახეთად წარმოგვიდგება ზამთარშიც და გაზაფხულზეც. — უსალმო, აჭრელებული, ცივი, ეგებ ჭაბუკური ზმანებეხეა?..

სიცივე უფრო მატულობს. ამაკანკალა. ადგომა მეზარება, ხაკირია პალტოს ჩამოლება. ნეტავ რას ვაეკეცამ, ყველანი პალტოგადაფარებულნი არ წვეხან? კარი ეხეოქება მინებს, მიფრთხობს მოწოლილ ხილვებს, ახზობს გაკანებული მატარებლის დაგადუგს. დროდადრო ყურს ვუგდებ მასაც და უნებლიეთ ვერთვები ქართან ხაუბარში. ქარი კი ქრის და ქრის. მატარებელი როსტოვს უახლოვდება. მეზობელი ხაწოლიდან წამოდგა. ხელებს იორთქლავდა, ცოტა მაინც რომ გაეთბო და რახასვლელად ემზადებოდა.

— აბა, ნახვამდის. ბედნიერ მგზავრობას გისურვებთ ყველას! — ჩუმი ხმით მომმართა.

წამოვდექი. ფეხსაცმელებში წავყავი ფეხები, ბარგის გადაზიდვაში შევიშვები.

შეადგა. ამგვარი სიცივე არასოდეს მიგრძვნია. ყინავს. დერეფანში სიცარიელეა. ყველანი კუპეებში მიყუჟულან. გამცილებელს მივუკაკუნეთ. კარი გაიღო. ჩაის სვამდა. „ჯერ ადრეაო". — გვიპასუხა. რა უნდა გვქნა, ვარჩიეთ დერეფანში დგომა. ქარი სისინებდა. თანამგზავრმა სიგარეტი ამოიღო, მომაწოდა.

— მადლობთ, მე ხომ არ ვეწევი. — ახანთი გაჰკრა, მოუკიდა. მოკაჩა, მერე მე მომიბრუნდა, კუპეში შედი, შეგაცივდებაო, მითხრა.

— როგორ გეკადრება, ვდარჩები შენთან.

— დამიჯერე, მიბრუნდი, თორემ გაითოშები...

— არა უშავს, ვიქნები.

— მისამართის მოგცემ. თბილისში აუცილებლად შემომიარე. ღვინის ქარხანაში ვმუშაობ, მთავარი მეღვინე ვარ, ვერაზე, „უდელში".

ეს უკვე ვიცოდი. კუპეში ხაუბრისას მეტი რა ხაქმე გვქონდა. „შემოგვალი-მეთქი", — მეც ხომ იქ, მახლობლად ვცხოვრობ. მალე გამცილებელი გამოვიდა. ბოდიში მოგვიხადა: ჩვენი რა ბრალია, გთხობა არ არისო, ეს ისე, ზრდილობისათვის გვითხრა, თავადაც ხომ იყიენებოდა. რამეს მოვახერხებთ და მალე ღიმელხაც დავანთებთო. დამატებითი მატარებელი გახლდათ, ქვანახშირი ვერ მოეძარაგებინათ.

ფანჯრიდან დაძახებული გავყურებდი ნაადრევი ზამთრის წუდიადს. მსხვილი ფანტელები ცვიოდა ბნელეთიდან, დამრეცად ეფინებოდა ვაგონებს, ეკოდა მინებს.

მატარებელმა ხვლახ უკლო, მერე ერთი მაგრად მიაკივლა და რამდენიმე წუთში ღრჭიალღრჭიალით ხადგურში შევიდა. გაჩერდა. თანამგზავრს ბარგი ჩავატანინე. თოვლი მუხლებამდე გვიწევდა. შუადამე იყო და ჯერ ხალხს არ დაეტკეენა. გამომეშვიდობა, მიდიოდა მოხაცელი დარბაზისაკენ, თოვლს ჭრაკა-ჭრაკი გაუდიოდა. ერთი ორი გუნდი გავაკეთე, ელექტრო ბოძს ვეცროლე. ორივე ავაცილე. ქარი მიშლიდა ხელს. ავხედე ცას, ფიფქები ირიბად ცვიოდა. ბაქანი გაჩახჩახებული იყო. რა სილამაზეა! უკვე სიცივეს ვეღარ ვგრძნობდი.

—ამოდი, ჩქარა, დროა! — ყვიროდა გამცილებელი.

და აი, დიქტორმაც გამოაცხადა: „ურადღება! მატარებელი ნომერი... თბილისი-მოსკოვი ორი წუთის შემდეგ გავა პირველი ლინდაგიდან... დინჯი ნაბიჯებით გავეშურე ვაგონისაკენ. ავედი წინა ბაქანზე. ფეხები დავიბერტყე. შარავალზე ყველი ხელი ჩამოვისვი, და კუპისაკენ გავწიე. ფარდაგზე ხველი, თოვლიანი ნაფეხურები რჩებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველო უმნიშვნელოვანეს მეცნიერებებსა და საცნობარო ლიტერატურაში

ჯანსულ ღვინჯილია: ყველანი ვგრძნობთ, რომ ძალიან ბევრი ეროვნული საკითხი დაგროვდა მოსავლელი, დაგროვდა ბევრი კითხვაც, რომელთაც პასუხი უნდა გაეცეს, ამ კითხვებს პასუხი ინტელიგენციამ უნდა გასცეს, რადგან, უპირველეს ყოვლისა, ინტელიგენცია აგებს პასუხს ყველაფერზე.

საქართველოს ისტორია და საქართველოს კულტურა უმნიშვნელოვანეს ენციკლოპედიებსა და საცნობარო ლიტერატურაში — აი, ერთ-ერთი სერიოზული საკითხი, რაზეც ამჯერად გვინდა ვილაპარაკოთ.

ჩვენ არცთუ იშვიათად ვკითხულობთ ან ვისმენთ ინფორმაციებს, რომელთა მიხედვითაც ფერადოვანი სურათი იხატება: თითქოს ჩვენმა კულტურამ — თეატრმა, კინომ, ლიტერატურამ, მხატვრობამ... საოცრად დიდი სახელი მოიხვეჭა მსოფლიოს ყველა კუთხეში. ძნელია არ ერწმუნო ასეთ ინფორმაციებს, რადგან გწამს, რომ ქართული თეატრი, კინო, ლიტერატურა, მხატვრობა დიახაც, იმსახურებს საყოველთაო აღიარებას. თანაც გვსურს, როგორც ქართველკაცს, ეს ასე იყოს. ეჭვი რატომ უნდა შეგვეპაროს და არც გვეპარება ჩვენი კულტურის სხვადასხვა სფეროს წარმატებაში, მაგრამ ყოველივე ამას ლოგიკურ შედეგად უნდა მოსდევდეს სწორი, სრულყოფილი ასახვა მსოფლიოს უმნიშვნელოვანეს ენციკლოპედიებსა და საცნობარო ლიტერატურაში. მათში ხომ ძუნწად, მაგრამ სამართლიანად შეჯამდება ყოველი ცნობა ნებისმიერი ქვეყნის შესახებ, აღინუსხება ამა თუ იმ ერის მიერ გამოვლილი ისტორიული გზა, დიდი მოვლენები, რომელიც მოადინა თავისი არსებობის მანძილზე, რომელთაც მსოფლიო მასშტაბი და განსაზღვრულობა აქვს.

საგაზეთო ინფორმაციები ილუზიას გვიქმნის, თითქოს ყველაფერი რიგზე იყოს, მაგრამ როგორც კი სერიოზულად ჩაიხედავ საქმეში, დარწმუნდები, რომ პირიქითაა. ჩვენს მიერ მოწვეული სპეციალისტები დაწვრილებით ისაუბრებენ აქ სადღეისო მდგომარეობაზე, ისაუბრებენ იმ ენციკლოპედიებისა და საცნობარო ლიტერატურის მიხედვით, რაც ჩვენს ხელთ არის, ე. ი. რაც საქართველოს ცენტრალურ ბიბლიოთეკებს მოეპოვებათ. როგორც ირკვევა, ბევრი რამ არა გვაქვს თვით ცენტრალურ ბიბლიოთეკაშიც კი. მივაქციოთ ყურადღება იმ გარემოებას, რომ საჯარო ბიბლიოთეკას, აკადემიის ბიბლიოთეკასა და უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას საშუალება არა აქვს გამოიწერონ უმნიშვნელოვანესი ენციკლოპედიების დიდი ნაწილი. ასეთ შემთხვევაში ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ დავიწყოთ საქმე — საქართველოში ხელმისაწვდომი ლიტერატურა განვიხილოთ, რამდენადაც ეს ლიტერატურაც შეგვიქმნის გარკვეულ წარმოდგენას. მაგრამ ჩვენი შეხვედრის მიზანი მარტო საქმის დაწყება არ არის. დღეგანდელ ქართულ ინტელიგენციას არ აქვს უფლება ერმა ძილიდან არ გამოფხიზლდეს და სასიცოცხლო ეროვ-

ნული პრობლემების ბოლომდე მოგვარებას არ მისდიოს. ჩვენ ეჭვი არ გვეპარება, რომ ჩვენს მიერ შესწავლილი და აქ წარმოდგენილი სურათი ღრმად დაფიქრებს ყოველ ქართველს და გაუღვივებს სურვილს ჩაებას პრობლემის შესწავლაში. რედაქციასაც მიზნად აქვს დასახული ბოლომდე მიყვეს საქმეს, მოიპოვოს ახალი გამოცემები და გამოხმაურებანი და გარკვეული დროის შემდეგ კიდევ უფრო სრული სურათი წარმოადგინოს.

შთამომავლობას ყოველ ეპოქაში ევალება მოუაროს ეროვნულ მემკვიდრეობას, საკუთარი ქვეყნის ისტორიას, მშობლიური ერის კულტურას, ყველაფერ მნიშვნელოვანს, რაც კი მომხდარა საქართველოს ისტორიაში და რაც შექმნილა კულტურის სხვადასხვა სფეროში. ერის სახე განისაზღვრება არა მარტო თანამედროვე ცხოვრების ფორმითა და შინაარსით, არამედ მემკვიდრეობის მოვლის კულტურითაც.

ისმის კითხვა — როგორ მოვუარეთ ჩვენ ეროვნულ მემკვიდრეობას — საქართველოს ისტორიას, მის კულტურას, მის ცხოვრებისეულ მონაპოვარს? როგორ არის წარმოდგენილი ქართველი ერის ისტორიული პროცესი? რა იგულისხმება სინამდვილეში ამ ისტორიულ პროცესში, მის უმთავრეს ნიშან-სვეტებში?

საქართველოს ისტორია ყველა არქეოლოგიურ მონაპოვარსა და წერილობით წყაროზე დაყრდნობით უკვე ითვლის სამი ათას წელს და ეს სამიათასი წლის ეროვნული ცხოვრება გახლავთ ერთი განუწყვეტელი პროცესი, ამ პროცესში აღმართულია ქვეყნის ძლიერების მაუწყებელი უდიდესი ნიშან-სვეტები, თვალსათლივ ჩანს დაცემის საუკუნეებიც, დიაოხა და ტაო, ძველი კოლხეთის ცივილიზაცია, ეპოქები მეფე ფარნაოზისა, ფარსმან ქველის, ვახტანგ გორგასლის, აშოტ დიდის, ბაგრატ მესამის, დავით აღმაშენებლის, დემეტრე I, გიორგი მესამის, თამარ მეფის, გიორგი ბრწყინვალის... არაბთა და მონღოლთა დამაბნელებელი ჟამი, თემურლენგისა და საქართველოს დუალისტური ყოფნა-არყოფნის საუკუნეებში (მე-17, მე-18) გამოვლენილი განუსაზღვრელი ეროვნული ენერგია... საქართველომ თავისი არსებობის ხანგრძლივ პერიოდში მთელი ცხოვრება განვლო დიდ შრომასა და დიდ ბრძოლაში. მსოფლიო მასშტაბის ბრძოლები გადაიხადა ფარსმან ქველის, ვახტანგ გორგასლის, დავით აღმაშენებლის და თამარ მეფის დროს. როდესაც ვამბობ დიდ შრომასა და დიდ ბრძოლას, აქ ეპითეტს დიდს უზუსტესი მნიშვნელობით ვიყენებ. ასევე საგანგებო დატვირთვა აქვს ცნებას „მსოფლიო მასშტაბის ბრძოლებს“. რადგან საქართველომ აღნიშნულ ეპოქებში მართლაც გადაიხადა მსოფლიო მასშტაბის ომები. საქართველომ მართლაც დიდ შრომასა და დიდ ბრძოლაში აწრთო თავისი არსებობა, იქ გამოავლინა თავისი ბუნება.

საქართველოს ისტორიაში გამოირჩევა XII საუკუნე, როგორც ერთ-ერთი უდიდესი ხანა ერის არსებობის მანძილზე და არსებობს XII საუკუნის საქართველო მსოფლიო ისტორიისათვის, როგორც კაცობრიობის აღმასვლის და განვითარების, მისი ისტორიული მოძრაობის, მსოფლიოს რენესანსული თვითგანახლების წარმმართველი და მაცოცხლებელი ქვეყანა აღნიშნულ საუკუნეში. დიახ, საქართველო კაცობრიობის აღმასვლის რენესანსულ შინაარსს ყველა ქვეყანაზე სრულად გამოხატავდა დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის ეპოქაში. ეს ეპოქა კი საუკუნეზე მეტ ხანს გაგრძელდა.

ჩვენ მოვალენი ვართ ჯერ თავად ვხედავდეთ ამ თვალით, ამ ხედვაში ნაგულისხმევი სიღრმით, საკუთარი ქვეყნის წარსულს და მერე მუხლჩაუხრელად ვიბრძოდეთ ჩვენი ეროვნული მემკვიდრეობის სრულად წარმოჩენისათვის.

ალბათ ყველა დამემოწმება, რომ საქართველოს აქვს უმდიდრესი ისტორია, ისტორია აღსავსე შექსპირის ტრა-

ეროვნული ბიბლიოთეკა
ELIBRARY.NAPLIB.GE

გედიებისათვის დამახასიათებელი მაჭ-
სიმალური დრამატიზმით, მოულოდნე-
ლობებით. ზეაღსვლისა და დაცემის ფე-
იერვერკული მონაცვლეობით, იგი ყოვე-
ლივე ისტორიულ მოვლენებსა და ფაქ-
ტებშია გამოვლენილი, არ სჭირდება
საგანგებო ჩხრეკა და ძიება. დანახვა
ჭირდება მხოლოდ. წარმოჩენა. მიწოდე-
ბა, თავ-თავის ადგილზე დალაგება.

ავიღოთ კულტურის სფეროდან არ-
ქიტექტურა. ანტიკური ხანისა და შუა-
საუკუნეების ძეგლები. მარტო ვინ-
რად ღირს (ახლა საირხეც დაემატა),
საერთაშორისო სიმპოზიუმები იმართე-
ბა აქ გამოვლენილი ძეგლების შეს-
წავლის მიზნით, ან ვთქვათ. გრიგოლ
ხანთთელის ეპოქა, მისი არქიტექტუ-
რული სკოლა, რომელმაც მთელი სა-
ქართველო მოიცვა მისსავე სიცოცხლე-
ში და სიკვდილის შემდეგაც. შორს წაგ-
ვიყვანდა ძეგლთა ჩამოთვლაც კი.

იტალიაში ერთ-ერთ საერთაშორისო
სიმპოზიუმზე გარკვევით ითქვა, რომ
საშუალო საუკუნეების მსოფლიო არქი-
ტექტურის შესახებ ვერავინ ვერ იმს-
ჯელებს ქართული არქიტექტურის ღრმა
ცოდნის გარეშე. მაგრამ სად არის ამ
განცხადების შესატყვისი შეფასება მსო-
ფლიო ენციკლოპედიებში?

მხედველობაში გვაქვს ასევე მხატვ-
რობა, მონუმენტური ქანდაკება, მუსი-
კა, ფოლკლორი, თეატრი, კინო, თხუთ-
მეტსაუკუნოვანი ქართული მწერლობა,
დიდი სახელები, დიდი ნაწარმოებები...

გვაქვს კი უფლება დღევანდელ ქარ-
თველებს ვითმენდეთ საქართველოს
ისტორიული და კულტურული პრო-
ცესის გაღარიბებას, გვაქვს უფლება და-
ვკარგოთ წინაპართა დეკური კვალი?

ვთქვათ დავხატეთ რეალური სურა-
თი. ისმის კითხვა — რა შეიცვლება
ამით, ვინ მიაწვდენს ხმას ენციკლოპე-
დიებისა და საცნობარო ლიტერატურე-
ბის რედაქციებს მსოფლიოს სხვადასხვა
კუთხეში? როგორც კი წარმოიდგენ
სასურველი შედეგის მისაღწევად გადა-
სახდელ ბრძოლებსა და გასასვლელ
გზებს, შესაძლოა უიმედოდ ჩამოყალ-
მხრები და საბოლოოდ ჩაიქნიო ხელი.
მაგრამ უმდიდრესი ისტორია და უმდი-
დრესი კულტურა დგას ჩვენს უკან. იგი
არ გვაძლევს არც მხრების ჩამოყრის
და არც ხელის ჩაქნევის უფლებას. ჩვენ
მისი პატრონები ვართ. ჩვენ ამ უმდი-
დრესი მემკვიდრეობის არა მარტო
მფლობელნი, ნაყოფნიცა ვართ და სხვა
გამოსავალი არა გვაქვს. უნდა შევიმარ-
თოთ. ყველაფერს თავისი ადგილი მი-
ვუჩინოთ. არავის მივცეთ ჩვენი წარსუ-
ლის გაღარიბების უფლება. სხვაგვარად
რა გამოდის, თუკი ეს ვერ შევიძელით,
თუკი მსოფლიო პროცესში მოქცევის
მეცნიერული გზები ვერ დავძებნეთ,
ნაბიჯ-ნაბიჯ არ განვახორციელეთ და-
დი ეროვნული პროგრამა? ეს იმას ნიშ-
ნავს, ჩვენ მოვწყდით ჩვენსავე სამია-
თასწლოვან ისტორიულ პროცესს. მოვ-
წყდით დიდგორსა და ბასიანს, „ვეფხის-
ტყაოსანს" და გელათს, „ჩაკრულოსა"
და „ყინწვისის ანგელოზს"... მოვწყდით
და, ამ პროცესისათვის უცხონი რაღაც
ახალი ყოფის შექმნას ვცოდვილობთ,
არადა ისტორიისაგან გამოქანდაკებუ-
ლი ერთი პროცესის ნაწილები ვართ.
მხოლოდ ესაა. გარკვეული და გასარკვე-
ვი მიზეზების გამო ჩვენს მთლიანობას,
ჩვენს განუყრელობას წარსულთან ისე
ვერ მივხედეთ, როგორც ის წარსული
იმსახურებს.

როგორ გვიცნობს მსოფლიო თავისი
მეცნიერული ლიტერატურით? ენციკ-
ლოპედიაში — მსოფლიოს მოძრაობის
დამსაზღვრელ რუკაზე როგორ არის
წარმოდგენილი საქართველოს უმდიდ-
რესი ისტორია და კულტურა? რამ-
დენად იგრძნობა მისი მოძრაობა სა-
ერთო წინსვლაში?

პირველ ყოვლისა რეალური სურა-
თის წარმოდგენა საჭიროა ჩვენივე
ეროვნული თვითშეგნებისათვის. პირ-
ველყოვლისა, ჩვენი გამოფხიზლებისა-
თვის არის ამის გაკეთება აუცილებელი.

მე მოვიტან ორიოდ მაგალითს.

რამდენიმე წლის წინათ გამოვიდა-

საბჭოთა ენციკლოპედიური ლექსიკონი. აი, რას ვკითხულობთ სათანადო ადგილას.

ბაგრატიდები — ძველი სომხური არისტოკრატიული გვარი. სამეფო დინასტია 886-1045 წლებში. ჩამოთვლილია წარმომადგენლები.

ბაგრატიონები — სამეფო დინასტია საქართველოში IX-XIX საუკუნეებში. ბაგრატიდების შტო. ჩამოთვლილია წარმომადგენლები: აშოტ. ბაგრატ III, დავით აღმაშენებელი. თამარ მეფე.

ეს არის ისტორიული სინამდვილის თავზარდამცემი ფალსიფიკაცია. ყველაფრის წარხოცვა, თუ გნებავთ, ყველაფრის დაკარგვა. თუკი მთელს მსოფლიოს გონებაში ჩაუუჯედეთ, რომ ბაგრატიონები სომეხი ბაგრატიდების შტოს წარმოადგენენ, რა აზრი აქვს დანარჩენზე ლაპარაკს, რაღა დარჩა ჩვენი! ყველაზე დიდი საქართველო სწორედ აქ ჩამოთვლილმა პიროვნებებმა გვაჩუქეს — აშოტ დიდმა, ბაგრატ მესამემ, დავით აღმაშენებელმა და თამარ მეფემ. ესენი კი თურმე სომხური ბაგრატიდების შტოს — ბაგრატიონების წარმომადგენლები ყოფილან! და ჩვენ ვითომენთ ამას, ვითომენთ წლების განმავლობაში, არავითარი განგაში არ აგვიტეხია, რათა გვემცნო ქვეყნისათვის, რა შეცდომა გაიპარა, როგორ დაზარალდა ქართული ისტორია, როგორ შემოგვაძარცვეს ჩვენი წარსული.

ამავე ენციკლოპედიაში დავით აღმაშენებელზე წერია:

დავით IV აღმაშენებელი — (1073-1125 წ. წ.) ქართველი მეფე 1089 წლიდან. ბაგრატიონთა დინასტიიდან. გააერთიანა ქართული სფეოდალური ცენტრალიზებულ სახელმწიფოდ; აღადგინა საქართველოს დამოუკიდებლობა (თურქ-სელჩუკებისაგან). ებრძოდა დიდ ფეოდალებს. შექმნა მუდმივი ლაშქარი.

ახლა ვნახოთ როგორ არის წარმოდგენილი პეტრე დიდი:

პეტრე I დიდი, — (1672-1725), რუსეთის მეფე 1682 წლიდან. დამოუკიდებლად მართავდა 1689 წლიდან. რუსეთის პირველი იმპერატორი 1721 წლიდან. ალექსი მიხეილის-ძის უმცროსი შვილი. რუსეთის გამოჩენილი პოლიტიკური და სამხედრო მოღვაწე. განახორციელა მთელი რიგი რეფორმებისა, მის სახელთანაა დაკავშირებული მანუფაქტურების გახსნა. იარაღის ქარხნების აშენება, ვაჭრობის განვითარება, სენატის და კოლეგიის შექმნა. სამხედრო ბეგარის შემოღება. რეგულარული არმიის ჩამოყალიბება, ფლოტის მშენებლობა, ქვეყნის გუბერნიებად დანაწილება, პეტერბურგის დაარსება. ციხესიმაგრეების აგება. არხების გაყვანა, სასწავლებლების გახსნა. მეცნიერებათა აკადემიის დაარსება. ახალგაზრდა მამულთა გაგზავნა საზღვარგარეთ ცოდნის მისაღებად და სხვა. გამოავლინა დიპლომატიური და სამხედრო ხელოვნება ჩრდილოეთის ომის დროს. წარმატებით ხელმძღვანელობდა ლაშქარს ნოტენბურგის აღებისას (1702 წ.), ლესნაიასთან და პოლტავასთან გამართულ ბრძოლებში (1708-1709 წწ.); საფუძველი ჩაუყარა სამხედრო ხელოვნების რუსულ სკოლას. გონივრულად შეარჩევდა თანამებრძოლებს. თრგუნავდა რეფორმის მოწინააღმდეგეთა ყოველ ცდას, პეტრე I რეფორმების სიმძიმე გადადიოდა მშრომელთა კისერზე, რის გამოც მოხდა სახალხო აჯანყებანი — ასტრახანისა 1705-1706 წწ., ბულავინისა 1707-1709 წწ."

პეტრე პირველმა რაც გააკეთა ყველაფერი ზუსტად და სამართლიანად არის აღნუსხული, მაგრამ თითქმის არაფერი არ არის თქმული დავით აღმაშენებლის ანალოგიურ დიდ ღვაწლზე. ხედავთ, როგორ ირღვევა თანაფარდობა? ჩვენთვის, ქართველთათვის არ არის იმის განმარტება საჭირო, ვინ იყო დავით აღმაშენებელი, მაგრამ ხომ დავწმუნდით, რომ აუცილებელია სხვასაც დაანახო მისი სიდიადე. თუ ეს სიმაღლე ენციკლოპედიის ორიოდ სტრიქონში ჩავეჭედეთ და მივმალეთ, დაგვეკარგება ჩვენი ეროვნული სიმაღლე, რად-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გან იმ სიმაღლეს, უპირველეს ყოვლისა, დავით აღმაშენებელი გვიქმნის. მაშასადამე არ იციან საბჭოთა კავშირში მცხოვრებმა ხალხებმა ვინ იყო დავით აღმაშენებელი. რა გონებრივი ჰორიზონტის, როგორი განათლებული, რატომ ეწოდა აღმაშენებელი, როგორ აღადგინა მკვდრეთით დაქცეული ქვეყანა, როგორ მოახდინა საეკლესიო რეფორმა, როგორ ჩამოაყალიბა საეკლესიო ცხოვრების ახალი კანონები, როგორ გაატარა სამხედრო რეფორმა გამეფებისთანავე. ხოლო 1118-20 წლებში როგორ შექმნა დაქირავებული რეგულარული ლაშქარი, რგორ შემოიერთა მტრების მიერ მიტაცებული მხარეები, როგორი შეუდარებელი მხედართმთავარი წარმოჩნდა ერწუხის, თრიალეთის, დიდგორის ბრძოლებში, როგორ გარდაქმნა საქართველოს სახელმწიფოებრივი სტრუქტურა, რა ღრმად იცოდა სასულიერო და საერო ლიტერატურა, როგორ უმეთაურა საქართველოს ძალებთან აღმოსავლეთში მთელს ქრისტიანულ სამყაროს, როგორ დაუპირისპირდა თურქ-სელჩუკთა მეთაურობით გამოსულ მუსულმანურ სამყაროს თავისი ქვეყნის ეროვნული ძალები 25 წლიან ომში და როგორ დაამგვირგვინა დიდგორის გრანდიოზული ბრძოლით ეს ხანგრძლივი ომი. რა პოლიტიკური ძვრები გამოიწვია მთელს აღმოსავლეთში ამ გამარჯვებამ, როგორი შემწყნარე აღმოჩნდა მუსულმანთა და იუდეველთა მიმართ თბილისის აღების შემდგომ, როგორ ჩამოაყალიბა გელათის აკადემია და, ვინ იცის, კიდევ რამდენი მნიშვნელოვანი ისტორიული მოვლენა უკავშირდება მის სახელს! და ყველაფერი ეს დაიკარგა. ვიღაცისდანება-სურვილით ორიოდ ფრაზაში მოექცა ამოდენა საქმენი.

რა არის თქმული დიდგორის ბრძოლაზე?

დიდგორის ბრძოლა: 1121 წლის 15 აგვისტოს დიდგორთან (თბილისის ახლოს) დავით აღმაშენებლის გამარჯვება სელჩუკებზე, რასაც საქართველოს განთავისუფლება მოჰყვა.

ეს არის სულ ნათქვამი.

არც ერთ ქართველს არ სჯერდება იმის ახსნა, რა იყო დიდგორის ბრძოლა. მაგრამ ეტყობა ამ ბრძოლის ძირითადი მახასიათებლები მაინც უნდა გავიხსენოთ. მეოცე საუკუნემდე მსოფლიო ისტორიაში, იშვიათია დიდგორის მასშტაბის ბრძოლა. საქართველო იბრძოდა კოალიციის წინააღმდეგ. კოალიციას სათავეში თურქ-სელჩუკები ედგნენ. არმიის რაოდენობა 560 000-დან 600 000-მდე მერყეობდა. არაბი და სომეხი ისტორიკოსები დაბეჯითებით ასახელებენ ამ ციფრს. ეს გაბლდაა ქრისტიანული სამყაროს დაჯახება მუსულმანურ სამყაროსთან. ქრისტიანულ სამყაროს აღმოსავლეთში საქართველო ხელმძღვანელობდა და თითქმის აბსოლუტური უმრავლესობა მისი არმიისა ქართველებისაგან შედგებოდა. ამ ბრძოლამ წარმატებით შემოაბრუნა ძლევამოსილებისაკენ არამარტო საქართველოს ჩარხი, არამედ პოლიტიკურ ძალთა მანამდე არნახული გადანაცვლებები გამოიწვია მთელს აღმოსავლეთში ქრისტიანული სამყაროს სასარგებლოდ. ამდენად დიდგორის ბრძოლა უნდა მოიხსენიებოდეს მსოფლიო მასშტაბის მოვლენათა გვერდით და არა: ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლად, რასაც თურმე მხოლოდ საქართველოსათვის ჰქონია მნიშვნელობა!

ასევე მწირად არის წარმოდგენილი თამარ მეფე:

თამარ (თამარა — აუხსნელია სახელი თამარ-ის გადაკეთება თამარად — ჯ. ღ.) — დაიბადა 60-იან წლებში. საქართველოს მეფე 1184-1207 წწ. მისი მეფობისას საქართველომ მიაღწია დიდ პოლიტიკურ-სამხედრო წარმატებებს. მისდამი მიძღვნილი შოთა რუსთაველის პოემა „ვეფხისტყაოსანი".

მორჩა და გათავდა.

თამარ მეფის დამსახურებათა აღნუსხვისას იგივე მასშტაბის მოვლენები უნდა წარმოჩნდეს. რაზეც მივანიშნე

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავით აღმაშენებელთან დაკავშირებით. ღონისძიებების მწკრივი, რისი წყალობითაც უნივერსალური ფეოდალური სახელმწიფო შექმნა დიდმა წინაპარმა, გრძელზე გრძელია. თამარ მეფის საქართველო — მე-12 საუკუნის საქართველო — თითით საჩვენებელი ქვეყანა იყო მთელს მსოფლიოში. რატომ არ არის აღნიშნული მისი სახელის გასწვრივ. ამაზე მეტყველი რეფორმები და ღონისძიებები, მოვლენები და ფაქტები? გამოდის, რომ პეტრე I ჰყავს პატრონი, დავით აღმაშენებელსა და თამარ მეფეს — არა.

ფაქტებს ჩვენ აქ კიდევ ბევრს მოვიხილავთ. კონკრეტული მაგალითების გარეშე არც ენენა არავითარი ფასი საგანზე საუბარს, მაგრამ, კონკრეტული ფაქტების გვერდით ჩვენ შექმნილი მდგომარეობის გამომწვევ მიზეზებზეც უნდა დავფიქრდეთ.

ჩემი აზრით, ძირითადად ორი მიზეზი გამოიყოფა. და უპირველესი ამ ორთაგან ჩვენსავე ხასიათში თვლემს, ჩვენი უნიათობის, ჩვენი ბედოვლათობის, ჩვენი უპასუხისმგებლობის ბრალია, რომ არ ვაწვდით, ან ვერ ვაწვდიან არსობრივ მონაცემებს, ან თუ ვაწვდით, თანმიმდევრულად არ ვიბრძვით იმ მონაცემების დასამკვიდრებლად ენციკლოპედიებსა და საცნობარო ლიტერატურაში.

არსებობს მეორე მიზეზიც. იგი უფრო პოლიტიკური მიზეზია და ძალზე მნიშვნელოვანი. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კონსტიტუციის მუხლები, რომლებიც ეხება რესპუბლიკათა უფლებებს და საერთოდ ეროვნულ საკითხებს, წლების განმავლობაში ფორმალურად არსებობდა კონსტიტუციაში.

ეს ძალზე მნიშვნელოვანი ფაქტორია, იმიტომ რომ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი მსოფლიოს მიერ აღქმული იყო რუსეთის სინონიმად. ხომ ცნობილია, რა ძნელად უხერხდებოდათ ჩვენი რუსპუბლიკის წარმომადგენლებს დაერწმუნებინათ უცხოელები, რომ საქართველო სხვა ქვეყანა, რუსეთი სხვა. ქართველი ერი ისევ ვისთავად კულტურას რომ ფლობს, ენა აქვს თავისი, ისტორია აქვს თავისი და ა. შ. საქართველო, და ასევე ყველა მოკავშირე რესპუბლიკა, აღნიშნულ უნდა იყოს მსოფლიო პოლიტიკურ რუკაზე, თითით საძებარი არ უნდა იყვნენ ისინი.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირში ერთა შორის პატივისცემა უფრო გაღრმავდება, თუკი კონსტიტუციის შესაბამის მუხლებს გავაცოცხლებთ და ავამოქმედებთ, თუკი ფიქტიურ უფლებებს დავეხსნებით და მოკავშირე რესპუბლიკებს სრულფასოვან სახელმწიფოთა დარად წარმოვაჩენთ ასპარეზზე. ამ გზით აღდგება ერთმანეთისადმი ნდობაც.

მზია ბაძრაძე: — მე ჯერჯერობით დავამუშავე ცნობილი ფრანგული ლექსიკონი Laronsse — 3 სხვადასხვა ზომის ლექსიკონი:

1. პატარა დასურათებული ლარუსი,
2. უნივერსალური ენციკლოპედიური ლარუსი ორ ტომად;
3. 10 ტომიანი ენციკლოპედიური ლარუსი.

I. პატარა ლარუსში არის 71.000 სიტყვა. ეს არის 1979 წლის გამოცემა. საქართველოზე არის 8 სტრიქონი. აღნიშნულია, რომ რუსულად ჰქვია გრუზინსკაია რესპუბლიკა. დავით აღმაშენებელი, თამარ მეფე და რუსთაველი არც ცალკე და არც ცნობარში მოხსენიებული არ არიან.

II. უნივერსალურ ლარუსში არის 138.323 სიტყვა, ორ ტომში. 1948 წლის გამოცემა. საქართველოზე არის 11 სტრიქონი. ცნობები ძველია, რაც სჩანს მაცხოვრებლების რაოდენობიდან. ნათქვამია, რომ იგი იმყოფება ტრანსკავკასიის დასავლეთ ნაწილში, ერთი ასეთი ფრაზაა — „აქ ცხოვრობს სილამაზით განთქმული მოდგმის ადამიანები".

დავით აღმაშენებელი, თამარ მეფე

და რუსთაველი არც ცალკე და არც ამ ცნობებში არ არიან მოხსენიებულნი.

III. 10 ტომიანი ენციკლოპედიური ლარუსი, 1962 წლის გამოცემა. საქართველოზე საკმაოდ დიდი მასალაა. სამი სვეტი. არის თბილისის ხედის ფოტომეტეხის პლატო. ალფაბიტი არის კარგად გამოყვანილი.

ამ მასალაში საქართველოზე ცალკეა გამოყოფილი გეოგრაფია, მდებარეობა, მოსახლეობა საკმაოდ დეტალურად. ბუნებრივი სიმდიდრეებია ჩამოთვლილი, ინდუსტრიული ცენტრები — თბილისი, ქუთაისი (მანქანები), ბათუმი (ნავთის გადამუშავება), გორი (ბამბა).

ისტორია საკმაოდ დეტალურად არის მოწვდილი და მთლიანი სურათი მოხაზულია, ოღონდ ზოგიერთი ცნობა არ უნდა იყოს სწორი. საერთოდ კარგი იქნება ვთარგმნოთ ეს ცნობები და შემდეგ ისტორიკოსებმა გადახედონ ამ მასალას, რადგან შეიძლება ზოგიერთი ისტორიული თარიღი ან დეტალი ისტორიისა არ ვიცოდეთ ზუსტად და ზოგიერთი შეცდომა ვერ აღმოვაჩინოთ.

ზუსტი არ უნდა იყოს შემდეგი ცნობები:

1. ისტორიული მიმოხილვა იწყება შემდეგნაირად: „ეს ხალხი ეტყობა მესოპოტამიიდან მოვიდა VII საუკუნეში ჩვენს წელთაღრიცხვამდე და შეიქმნა სამი სახელმწიფო: კახეთი, ქართლი, კოლხეთი.

2. 320 წ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე ფარნაბაზემ შექმნა პირველი სამეფო დინასტია.

3. 265 წ. ჩვენი წელთაღრიცხვით სასანოიდ მირიანმა შექმნა საქართველოს სამეფო. დედაქალაქი მცხეთა.

4. გადმოცემის მიხედვით ქრისტიანობა შემოიტანა კაპატოკულმა მონამ ნინომ.

5. 469 წელს ვახტანგ გურ არსლანმა (სახელი დამახინჯებულია) დედაქალაქი გადმოიტანა თბილისში.

6. დავით აღმაშენებელი წოდებულია III-ედ.

7. გუბერნატორ ციციანოვმა გაანადგურა სამეფო ოჯახი.

8. 1918 წ. გამოცხადდა ტრანსკავკასიის დამოუკიდებლობა ჟორდანიას მეთაურობით.

9. 1924 წლის აჯანყება მიჩნეულია გლეხების აჯანყებად.

ცალცალკეა გამოყოფილი ცნობები დავით აღმაშენებელზე, 15 სტრიქონამდე, ოღონდ წერია მესამე. კარგად არის დახასიათებული მისი ღირსებები. პოლიტიკოსობის გარდა, აღნიშნულია მის მიერ ლიტერატურის სიყვარული და რომ ლექსებს წერდა. თამარ მეფეზე 5-6 სტრიქონია, რუსთაველზე 10 სტრიქონამდე. სწორი ცნობებია, ოღონდ დიდგორის ბრძოლა არ არის გამოყოფილი. ტრაქტატზე წერია შეთანხმება. ერეკლე II არის და შემდეგ გიორგი XII. და ასე სწერია — შეერთების შემდეგ რუსეთის მეფეს ეძლეოდა საქართველოს მეფის სახელი. მენშევიკებზეც წერია. 24 წლის აჯანყებაზე წერია, რომ ეს იყო გლეხობის აჯანყება. ეს არის შეცდომა, ეს იყო თავად-აზნაურობის აჯანყება.

ლიტერატურა მოკლედაა. ძირითადი ხაზები აღნიშნულია. VI ს. ხელნაწერები, ჰაგიოგრაფია, ბიბლიის თარგმნა და სხვ. შეცდომაა — დიდაქტიკური ლექსები ქაცვიანი.

ჩამოთვლილი არიან რუსთაველი, ჩახრუხაძე, შავთელი, არჩილ II (გამომცემლობა, სტამბა), გურამიშვილი, ბესიკი, გრ. ორბელიანი, ნ. ბარათაშვილი, აღ. ჭავჭავაძე, ხალხსნების სკოლა „იმედი", რ. ერისთავი, ს. მგალობლიშვილი, ეკ. გაბაშვილი, ნეო-რომანტიკოსი აღ. ყაზბეგი, შ. არაგვისპირელი; სიმბოლისტები ტ. ტაბიძე, პ. იაშვილი; 1921 წლიდან ახალი ნიჭიერი მწერლები გრ. აბაშიძე, ლეო ქიაჩელი, რეჟისორი მ. ჭიაურელი.

არ არიან ნახსენები საბა-სულხანი, ვაჟა-ფშაველა, გალაკტიონ ტაბიძე, გ. რობაქიძე, მ. ჯავახიშვილი, დ. კლდიაშვილი.

ამ ათტომეულ ლარუსში თამარ მე-

ფეზე, რუსთაველზე და დავით აღმაშენებელზე რუსულ ენციკლოპედიაზე მეტია. დავითზე ძალიან კარგად არის, მოკლედ, მაგრამ კარგად, აღნიშნულია, რომ ის ძლიერი იყო, განათლებული, რომ შექმნა უნივერსიტეტის მაგვარი რამ.

სტატიის ავტორი არსად არ წერია.

IV. პატარა ლექსიკონი „რობერ“, ტ. II; გამოცემა 1975 წ. კერძო სახელების ალფავიტური და ანალოგიური ლექსიკონი. საქართველოზე მთელი სვეტია, 87 სტრიქონი.

საქართველოს რუკაა. თბილისის ხედი ფერადი ფოტო მტკვრით და სიონით.

გეოგრაფია ძირითადად სწორია, ოღონდ მაცხოვრებლების რაოდენობა 1972 წლის აღრიცხვით არის მოცემული 4.785.000, ფართი 69.700, საერთოდ სხვადასხვა ლექსიკონში სხვადასხვა მონაცემებია როგორც მოსახლეობის, ასევე ფართობის შესახებ, ბუნებრივი სიმდიდრეებია ჩამოთვლილი, ადამიანების დასახელებისას გვხვდება ასეთი ფრაზა: „სამშობლოა ბაგრატიონის, ბერიასი, მაიაკოვსკის, სტალინის“.

ისტორია საკმაოდ დეტალურადაა. დამწერლობა უძველესი, ალფავიტი არ არის. აღნიშნული არიან ბაგრატ III, დავით აღმაშენებელი, თამარ მეფე და სხვა. მათი პერიოდების ძლიერება, ძეგლები, ბაგრატის ტაძარი, გელათი, რუსთაველის პოემა. 1917 წ. რუსეთის პროლეტარული რევოლუცია. დამოუკიდებლობის გამოცხადება. 1921 წ. რუსეთთან მიერთება.

ლიტერატურა და ხელოვნება არ არის, გარდა რუსთაველისა. უახლეს ლიტერატურასა და ხელოვნებაზე არაფერია თქმული.

არსებობს რობერის ვრცელი ენციკლოპედიური ლექსიკონი, მაგრამ თბილისში ვერ ვნახე. აკადემიის ბიბლიოთეკაში არ არის, უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა ამჟამად არ მუშაობს სხვა შენობაში გადასვლის გამო.

საერთოდ ცნობების დასაგროვებლად ალბათ, საჭირო იქნება მოსკოვის ბიბლიოთეკებში მუშაობა. უნდა ვეძებოთ მოსკოვის საზღვარგარეთული ლიტერატურის ბიბლიოთეკაში.

ნათია ამირეჯიბი: თუ როგორ არის განხილული ქართული კინოხელოვნება უცხოურ კინოლექსიკონებსა და კინოენციკლოპედიებში ამ საკითხზე საუბარი ძნელია, რადგან საქართველოს ბიბლიოთეკებში ამგვარი ლიტერატურა ღარიბადაა წარმოდგენილი. უცხოურ გამოცემებს ვალუტა სჭირდება, ამიტომაც ვართ ბიბლიოთეკაც და მკითხველებიც ხელმოკლედ.

მოგახსენებთ იმ მცირეოდენ უცხოურ ენციკლოპედიებსა და კინოენციკლოპედიის მიხედვით, რაც საჯარო ბიბლიოთეკაში მოიპოვება... ქართული კინოხელოვნება ყველაზე ვრცლად, განსხვავებით ბიბლიოთეკაში არსებულ სხვა კინოცნობარებისაგან ჟორჟ სადულს აქვს მოწოდებული. იქ, განსაკუთრებით, მიხეილ ჭიაურელის ფილმებზეა გამახვილებული ყურადღება. მიუხედავად ჟორჟ სადულის პოპულარობისა, სხვა კინოცნობარებში მისი გავლენა არ იგრძნობა — მაგალითად, ნიუ-იორკში გამოცემულ ერთ-ერთ კინოლექსიკონში „ფილმი კრიტიკის თვალით“ (1975 წ.) ქართულ ფილმებზე არაფერია თქმული... ხოლო მეორე გამოცემაში სახელწოდებით — „ვინ თამაშობს ეკრანზე“. ქართველ კინომსახიობთა შორის გამორჩეულია მხოლოდ ანდრო კობალაძე, ბუხუტი ზაქარიაძე, მიხეილ გელოვანი, უმთავრესად რუსულ ფილმებში სტალინის როლის განსახიერების გამო.

სოციალისტური ქვეყნების ლექსიკონებში ქართული კინოხელოვნება ნახსენებია და მასში არსებულ სტატიებში ნათლად ჩანს პირველწყაროს — 1966-1970 წწ. მოსკოვში გამოცემული კინოლექსიკონის — გავლენა, სადაც ქართულ კინოხელოვნებასა და მის მოღვაწეებზე დაწერილ მონაცემებში ბევრი

ფაქტობრივი უზუსტობაა. ამ უხეში შეცდომების შესახებ კრიტიკული წერილები ბევრჯერ დაიწერა და დღემდე ეყრება საკითხველოში, მაგრამ კინოლექსიკონის ორტომეულის შეცდომები საზღვრებს მაინც გასცდა და უცხოურ ლექსიკონებში მყარად დაფუძნდა.

1986 წელს მოსკოვში გამოცემულ „კინოენციკლოპედიურ ლექსიკონში“ წინა წლებში დაშვებული ხარვეზები გამოსწორდა, მაგრამ ახლა სხვა წინააღმდეგობას ვაწყდებით: ენციკლოპედიის შემდგენლებმა რუსეთისა და სხვა ნაციონალური რესპუბლიკების კინოხელოვნებაზე სტატიები და სიტყვათა მოცულობა გაიაზრეს არა ფილმის მხატვრული ხარისხის, არამედ რაოდენობის მიხედვით, ე. ი. ვთქვათ, რუსეთი წელიწადში ასამდე ფილმს იღებს, ხოლო კინოსტუდია „ქართული ფილმი“ — ათს, ამიტომაც კინოენციკლოპედიაში არსებული სტატიები ასეთივე შეფარდებითაა მოცემული. უგულვებელყოფილია მათი შემოქმედებითი ხარისხი და მნიშვნელობა. წლების მანძილზე თვით რუსული კინომცოდნეობა ანიჭებდა ქართულ კინოხელოვნებას პირველობას სამეცნიერო კონფერენციებსა, თუ შემოქმედებით თათბირებზე, მაგრამ კინოენციკლოპედიაში დასტამბული ვითარება ამგვარ შთაბეჭდილებას არ ტოვებს. სწორედ ეს რაოდენობრივი სიმრავლე ჩქმალავს ქართული ფილმების მხატვრულ ღირებულებას.

ხშირად საზღვარგარეთ ქართველი რეჟისორები რუსები ჰგონიათ. მაგალითად, ერთ-ერთ იტალიურ ჟურნალში ოთარ იოსელიანის შესახებ ეწერა: „დიდი რუსი კინორეჟისორი...“ 1983 წელს ოთარ იოსელიანი საფრანგეთის ტელევიზიით გამოვიდა და თავისი დოკუმენტური ფილმი აჩვენა. მან დაიწყო ამგვარად: „მე ვარ ქართველი კინორეჟისორი“. შემდგომ კი ისაუბრა საქართველოს გეოგრაფიულ ადგილმდებარეობაზე, მის ისტორიულ ბედზე, მდიდარ სულიერ კულტურაზე... მთელი გამოსვლა მიუძღვნა საქართველოს დამოუკიდებელ ერთი სიტყვა თავისი შემოქმედების შესახებ არ უთქვამს... საფრანგეთში ყველამ გაიგო, რომ ოთარ იოსელიანი ქართველია...

დამნაშაავენი, ალბათ, ჩვენ ვართ და აგრეთვე ის რაოდენობრივი უმრავლესობა, რომელიც ქართული კინოხელოვნების მხატვრულ მიღწევებს აუფერულებს.

ამ ხარვეზის გამოსასწორებლად, ჩემის აზრით, საჭიროა საზღვარგარეთის კინოცენტრებსა და საცნობარო ლიტერატურის გამომცემლობებს თავად ჩვენ გავუგზავნოთ სტატიები ქართული კინოხელოვნების შესახებ, დავამყაროთ მათთან უშუალო კონტაქტი, რომ რუსული ლექსიკონების მიხედვით არ იქონინონ წარმოდგენა ქართულ კინოხელოვნებაზე.

ზურაბ კიკნაძე „ენციკლოპედია ბრიტანიკა“ ითვლება ერთ-ერთ ავტორიტეტულ ენციკლოპედიად მსოფლიოში, ცნობილია თავისი ობიექტურობით და მეცნიერული სიზუსტით. როგორ არის მასში (1964 წლის გამოც.) წარმოდგენილი საქართველო — მისი ისტორია და კულტურა? არის სპეციალური სტატია „საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა“, რომელიც შემდეგი განყოფილებებისაგან შედგება: ქვეყნის ფიზიკური თვისებები, ხალხი, ისტორია, ქართული ენა, ქართული ლიტერატურა.

ხალხის შესახებ ნათქვამია, რომ ის ავტოხთონურია; წარმოადგენს მცირე აზიიდან ძველთაგანვე შემოჭრილი ტომებისა და ბერძნების, სკვიოების და სომხების ნაზავს (ნაწილი მოსახლეობისა). ძველი წერილობითი ძეგლები V ს-დან არის შემორჩენილი, ბიბლიის ნაწილები ითარგმნა სომხურიდან; ძველ (ქართულში ბევრი სიტყვა ნასესხებია სომხური ენიდან და, განსაკუთრებით, ბერძნულიდან. ანბანი შექმნი-

ლია V ს-ში ქრისტიანი მისიონერების მიერ (ძირითადად მისდევს ბერძნულ ანბანს. შეინიშნება ნაწილობრივ არამეულის — არმაზულის გავლენაც). ეს ნაწილი სტატიისა ეკუთვნის გერჰარდ დეეტერსს („ქართული ენა“). „ქართულ ლიტერატურაში“, რომელსაც ხელს აწერს დ. ლენგი, აღნიშნულია, რომ სახარება ითარგმნა VI ს-ში სომხურიდან. ძალზე მოკლე მიმოხილვა ქრონოლოგიურად ქართული მწერლობისა შუშანიკის წამებიდან დაწყებული თანამედროვეობამდე. ნახსენებია ქართლის მოქცევის შემცველი ტექსტები, ვახტანგ გორგასლის „ნახევრადლეგენდარული“ ისტორია, „ქართლის ცხოვრება“, „ვარლამ და იოსაფი“ („ბალავარიანი“), „ვისრამიანი“, „ამირანდარეჯანიანი“, შავთელი, ჩახრუხაძე, „ვეფხისტყაოსანი“, თეიმურაზ I, არჩილი, სულხან-საბა ორბელიანი. ვახტანგის მიერ სტამბის დაარსება, ვახუშტი ბატონიშვილი, გურამიშვილი, ბესარიონ გაბაშვილი, ალექსანდრე ჭავჭავაძე, ბარათაშვილი („ბაირონული ლირიკოსი“), გიორგი ერისთავი, ლავრენტი არდაზიანი, ილია ჭავჭავაძე, ალ. ყაბზეგი, ვაჟა-ფშაველა, აკაკი წერეთელი, ივანე მაჩაბელი (როგორც შექსპირის დრამების მთარგმნელი), დანიელ ჭონქაძე, მიხეილ ჯავახიშვილი, პაოლო იაშვილი, ტიციან ტაბიძე (მსხვერპლნი სტალინის რეპრესიებსა), ი. გრიშაშვილი, გამსახურდია.

სტატიაში არ არის წარმოდგენილი ცნობები ხელოვნებისა და ქართული ეკლესიის შესახებ (სომხეთის შესახებ სტატიაში, რომელიც გაცილებით ვრცელია, ცალკე განყოფილებებია: „სომხური ხელოვნება“, „სომხური ეკლესიის ისტორია“); მთელს ენციკლოპედიაში დასტურდება ერთადერთი სტატია, რომელიც საქართველოს ეხება — ეს არის „ტიფლის“.

„ბრიტანიკას“ 1979 წლის გამოცემაში (სრული სახელწოდება: „ახალი ენციკლოპედია ბრიტანიკა“ 30 ტომად, მაკროპედია, მე-15 გამოცემა) სტატია საქართველოზე საგრძნობლად შეკვეცილია, აღარ არის ქვეთავები „ქართული ენა“, „ქართული ლიტერატურა“. მოკლედ არია საისტორიო ცნობებიც. სამაგიოროდ, ვხვდებით ამგვარ კვალიფიკაციებს: „ქართველი ხალხის ფესვები, რომელიც 1970-იან წლებისთვის 4 900 000 შეადგენდა, ღრმად არის შეჭრილი ისტორიის სიღრმეში; ასევე ძველია მისი კულტურული მემკვიდრეობა“, „ქართველები ამაყობენ თავიანთი ძველი კულტურით, საუკუნეების მანძილზე განთქმულნი იყვნენ მეომრული სულით, ასევე სტუმართმოყვარეობით, სიცოცხლისუნარიანობით, გონებამახვილობით და იუმორით“, „ლეგენდარული ქართველი ქალის სალამაზე“; „რესპუბლიკის ძველი კულტურა ასახულია მის უამრავ არქიტექტურულ ძეგლში, ესენი ძირითადად მონასტრები და ეკლესიებია. ქართული არქიტექტურა, ნამდვილად, სომხურთან ერთად მნიშვნელოვან როლს თამაშობდა ბიზანტიური ხელოვნების განვითარებაში“. აქ სიახლე ისიც არის, რომ ქართველთა სახელწოდება „გეორგიან“ ახსნილია სპარსულიდან „გორჯ“.

მიუხედავად იმისა, რომ ამ გამოცემაში სტატია „საქართველოზე მეტისმეტად შეკვეცილია, ჩნდება ცნობები, რომლებიც არ არის წარმოდგენილი 1964 წლის გამოცემაში. ნახსენებია კოლხეთის რიტორული სკოლები, სადაც სწავლობდნენ როგორც ბერძნები, ისე ქართველები; გელათისა და იყალთოს აკადემიები (მე-12 ს.); უახლეს ქართველ მწერალთა მცირე რიცხვს ემატება გიორგი ლეონიძისა და ირაკლი აბაშიძის სახელები; მხატვრები ფიროსმანი (ფიროსმანაშვილი), ირაკლი თოიძე, ლადო გუდიაშვილი, სერგო ქობულაძე; კომპოზიტორები ზაქარია ფალიაშვილი და მელიტონ ბალანჩივაძე; ეროვნული საბალეტო სკოლის ფუძემდებელი ვახტანგ ჭაბუკიანი; რეჟისორები კოტე მარჯანიშვილი და სანდრო ახმეტელი; კინოს სფეროდან ერთადერთი ფილმი „ქორწილი“ მ. კობახიძისა (რომელმაც 1966 წელს კანის ფესტივალზე „გრანპრი“ მიიღო).

ბაჩანა ბრეგვაძე: „იტალიური ენციკლოპედია“. ტ. XVI, 1949 წ. სტატიას საქართველოზე უჭირავს სულ 6 გვ. სტატია დაწერილია 5 ავტორის მიერ: გეოგრაფია, ბუნებრივი პირობები, მოსახლეობა, მეურნეობა, ინდუსტრია — ჯ. პულე (პადუის უნივერსიტეტის დოცენტი; მისი სპეციალობა ყოფილი რუსეთის გეოგრაფია); ისტორია — პ. ლოგატო. ენა — კ. ტალიავინი (ბუდაპეშტის უნივერსიტეტის პროფესორი; ლინგვისტიკა); ხელოვნება — მ. მალკიელ-ჟირმუნსკი (პარიზის უნივერსიტეტის პროფესორი; რუსული და ქართული ხელოვნება); ლიტერატურა — გ. დეეტერსი (ლაიპციგის უნივერსიტეტის დოცენტი, ქართული ლიტერატურა).

აღნიშნულია, რომ საქართველოს ისტორია ანტიკური ეპოქიდან იღებს დასაბამს. ამ პერიოდში ის იწოდება — კოლხიდად, იბერიად, ალბანიად. უფრო გვიანდელი სახელწოდება „გურჯისტანი“ სპარსულიდან მომდინარეობს. „გურჯისტანს“ ქართველები არ ხმარობენ და თავიანთ ქვეყანას „საქართველოს“ ეძახიან (დამარცვლით წერია ასე: საკ-ართ-ვე-ლო). ქვეყნის ფართობი, სტატიის მიხედვით, შეადგენს 70 218 კვ. კმ. მოსახლეობა — 2 660 963; დედაქალაქი — თბილისი (294 000). მოსახლეობის ძირითადი ნაწილი ქართველებია (68%). მათ გარდა ცხოვრობენ სომხები, რუსები, თათრები, გერმანელები.

შემდეგ აღნიშნულია, რომ საქართველოში 13 სხვადასხვა ტომი ცხოვრობს, რომლებიც თავთავიანთ დიალექტზე ლაპარაკობენ, მაგრამ კარგად უგებენ ერთმანეთს: ქართლელები — 450 000 — მტკვრის აუზში, კახელები — 150 000, იორისა და ალაზნის აუზში, თუშები — 10 000, ხევსურები — 10 000, ფშავლები — 15 000, მუსულმანი ინგილოები და მესხები — 15 000, იმერლები — 150 000, გურულები — 110 000, სვანები — 20 000, მეგრელები — 20 000, ლაზები (რაოდენობას სტატია არ ასახელებს) და სხვ...

სტატია გვაუწყებს, რომ საქართველო უპირატესად აგრარული ქვეყანაა, მოჰყავთ ხორბლეული. განვითარებულია მევენახეობა, მაგრამ ღვინოს ცუდად აყენებენ და დიდხანს არ ინახება. მეურნეობის სხვა დარგებიდან დასახელებულია მებაღეობა, მეთამბაქოება, მესაქონლეობა. ტყეებს ფართობი 1/3 უჭირავს და ძვირფასი ჯიშის ხეებითაა გამორჩეული.

წიაღისეული სიმდიდრე; მანგანუმი (ჭიათურა). — ყველაზე მდიდარი საბადო აშშ შემდეგ; სპილენძი (ალავერდი, ართვინი); რკინა (ყაზახი — ბორჩალო); ქვანახშირი (ტყიბული, ტყვარჩელი).

მრეწველობა — კუსტარული: ხალიჩები ჭურჭელი...

საქართველოზე გადის ტრანსკავკასიური რკინიგზა — თბილისი, ქუთაისი, ბათუმი, ბაქო; განტოტებანი — ჭიათურა, ტყიბული, თელავი.

აღნიშნულია, რომ გვაქვს ორიგინალური, ქართული დამწერლობა; რომ ქართული ანბანი ორგვარია — ხუცური და მხედრული. ქართული ენა კავკასიურ ენათა სამხრეთულ ჯგუფს მიეკუთვნება. ესაა ერთადერთი კავკასიური ენა, რომელზედაც შექმნილია ძველი მწერლობა (V საუკუნიდან მოყოლებული). ენობრივი დიფერენციაციის მიხედვით საქართველო ორ ნაწილად იყოფა — ამერი და იმერი, თუმცა დაყოფა ლინგვისტურ კი არა, ანთროპოლოგიურ და ეთნიკურ ნიშნებზეა დაფუძნებული. მოკლედაა მიმოხილული ქართულ ზმნათა უღლებისა და სახელთა ბრუნვების მაგალითები. მოტანილია ქართული დამწერლობის ნიმუში. გაკვრით აღნიშნულია, რომ პირველი გრამატიკა და ლექსიკონი იტალიელებმა შეგვიქმნეს...

ქართული მწერლობა — გვამცნობს სტატია, — ქრისტიანობის ეპოქაში იწყება. მთარგმნელობითი საქმიანობა. ქართული ბიბლია. დასახელებულნი არიან ქართველი მთარგმნელები: გიორგი ათონელი, ეფრემ მცირე, იოანე პეტრიწი. თარგმნილი ლიტერატურა უფრო ძლიერია, ვიდრე ორიგინალური მწერ-

ლობაო,— ვკითხულობთ სტატიაში. მოხსენიებულია ქართული მწერლობის უძველესი ძეგლი — იაკობ ხუცესის „შუშანიკის წამება“. მნიშვნელოვან ძეგლთაგან — გ. მერჩულეს „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“ და „ქართლის ცხოვრება“ ლეონტი მროველისა.

იქვე ვკითხულობთ, რომ XII ს., თამარ მეფის დროს, საქართველოში იქმნება ბრწყინვალე სარაინდო კულტურა, რომ აქ ხორციელდება დასავლურ და აღმოსავლურ კულტურათა სინთეზი. ჩამოთვლილია „ამირან-დარეჯანიანი“, „ვისრამიანი“, „შაჰ-ნამე“ და „ვეფხისტყაოსანი“, რომელიც ქართულ ნაციონალურ ეპოსადაა დასახული... მონღოლების შემოსევის შემდეგ საქართველო განიცდის ღრმა დეკადანსს. მომდევნო პერიოდის მწერლებიდან დასახელებულნი არიან — თეიმურაზ I, არჩილი, ვახტანგ VI, სულხან-საბა ორბელიანი, დავით გურამიშვილი, ბესიკი. XIX საუკუნის დამდეგიდან მოყოლებული, როცა ქვეყანამ დამოუკიდებლობა დაკარგა, მწერლობა ცდილობს გააღვიოს ეროვნული თვითშეგნება. დასახელებულნი არიან აღ. ჭავჭავაძე, გრ. ორბელიანი, ნ. ბარათაშვილი, ვისზედაც ნათქვამია, რომ მისი შემოქმედება მელანქოლიურია და ბაირონის გავლენითაა აღბეჭდილი; გ. ერისთავი — ქართული დრამის შემქმნელი; ი. ჭავჭავაძე, ახალი ქართული ლიტერატურის ბელადი („კაცია ადამიანი“, „გლახის ნაამბობი“), აკ. წერეთელი, გ. წერეთელი, ალ. ყაზბეგი, ვაჟა-ფშაველა, დ. კლდიაშვილი, შ. არაგვისპირელი, ე. ნინოშვილი. XX ს. მწერლობიდან — „ცისფერყანწელები“; პ. იაშვილი, ტ. ტაბიძე; ამ დროს ყველაზე მნიშვნელოვან ქართველ მწერლად გრ. რობაქიძეა გამოცხადებული („გველის პერანგი“).

ქართულ ხელოვნებაზე ნათქვამია, რომ ესაა დასავლურ-აღმოსავლური ხელოვნების სინთეზი (იგულისხმება უპირატესად არქიტექტურა); რომ ის ბიზანტიური ხელოვნების საგრძნობ გავლენას განიცდის და მხოლოდ მოგვიანებით გამოეყოფა სომხურს. როგორც თვითმყოფი და თავისთავადი ხელოვნება. ჩამოთვლილია ქართული ხელოვნების ძეგლები. მოტანილია ათიოდე ილუსტრაცია, თუმცა ბევრია ლაფსუსები და უხეში შეცდომებიც.

დამოწმებული და გამოყენებული ლიტერატურა უმეტესწილად მოძველებულია და ჩვენი საუკუნის 20—30-იან წლებს განეკუთვნება.

ᲨᲝᲗᲐ ᲚᲝᲛᲡᲐᲫᲔ: ძველი ლათინები ენციკლოპედიას „სპეკულუმ ჰისტორიალეს“ ანუ ერის ისტორიის სარკეს უწოდებდნენ. იგულისხმებოდა რომ ამ „სარკეში“ უალრესი სიზუსტით აირეკლებოდა გარდასული ცხოვრების ყველა მნიშვნელოვანი ფაქტი და მოვლენა.

ენციკლოპედიის მნიშვნელობა დღეს ბევრად უფრო გაიზარდა და გაფართოვდა. დღეს იგი სხვადასხვა ქვეყნებისა და ხალხების გასაცნობად ყველაზე სარწმუნო მეგზური და გზისსაჩვენებელი გახდა. ასეთ ვითარებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება იმას თუ, როგორ, რამდენად სრულყოფილად იქნება წარმოდგენილი მსოფლიოს სხვადასხვა ენოვან ენციკლოპედიებში კერძოდ აღებული რომელიმე ქვეყნისა და ხალხის (ამ შემთხვევაში საქართველოს) ისტორიული თავგადასავალი. ენციკლოპედიები — ზოგადი თუ დარგობრივი დგება იმ მონაცემებისა და თვალსაზრისის საფუძველზე, რომელიც სხვადასხვა დროს შემუშავდა ცალკეული წერილებისა და გამოკვლევების სახით. სამწუხაროდ გამოკვლევათა უმრავლესობას სხვადასხვა პოლიტიკურ გავლენათა ბეჭედი აზის და საცთურის მოლოდინიცა და ჩვენი საწუხარიც აქ არის.

ენციკლოპედიათა ბუმის ეპოქაში საველმწიფოებრიობა დაკარგული საქართველო დიდხანს დასავლეთის ყურადღების გარეშე რჩებოდა და უმთავრესად ლამაზი ქალებისა და ეგზოტიკური ბუნების მხარედ იყო მიჩნეული. XIX

ეროვნული ბიბლიოთეკა

საუკუნის რუსულმა ისტორიოგრაფიამ ქართულ ისტორიულ აზროვნებას (ვახუშტი, პაპუნა ორბელიანი) განვითარების ბუნებრივი გზიდან გადაახვევინა და მეტროპოლიისა და ცარისტული იდეოლოგიით შეაფერადა (ბატონიშვილები, ს. ბარათოვი, პლ. იოსელიანი და სხვა). ამ დროს მოღვაწე ყველა იმ კავკასიისმცოდნეთა თუ ე. წ. სამხედრო ისტორიკოსთა (ბოტკოვი, დუბაროვინი, პოდტო, ესაძე და სხვ.) უმთავრეს ამოცანას ცარიზმის დამპყრობელური პოლიტიკის გამართლება და ამდენად ისტორიის უსაფუძვლოდ შელამაზება შეადგენდა. აღნიშნულის დასადასტურებლად მარტო 1783 წლის რუსეთ-საქართველოს შორის დადებული ხელშეკრულებისა და 1801 წელს ჩადენილი ძალადობის აქტის ისტორიაც იკმარებდა.

ტრაქტატის მთავარი აზრი ქართლ-კახეთის სამეფოს სუვერენობის დაცვა იყო. ხელშეკრულების დადების შემდეგ კი მოვლენები ამის საწინააღმდეგოდ განვითარდა (ამიტომ იყო რომ ერეკლე ერთხანს მის გაუქმებაზეც ფიქრობდა) ერთმორწმუნეობის ნიადაგზე შემდგარი ეს დიპლომატიური თამაში ბოლოს იმით დამთავრდა, რომ „მფარველმა“ ხელდებულ მოკავშირეს სუვერენობა მისტაცა და საუკუნო ყმად დაისვა, ოფიციალურმა ისტორიოგრაფიამ კი ყველაფერი ეს ქართველი ხალხის ფიზიკური გადარჩენის კეთილშობილურ მისიად გაასაღა. ამასთან წინ წამოსწია დებულება, თითქოს ამ აქტის გარეშე მას ან თურქეთი ან სპარსეთი დაიპყრობდა. ისტორიის მსვლელობა კი გვიჩვენებს, რომ არც ერთ მათგანს XIX ს-ში ახალი დაპყრობები არ უწარმოებია. პირიქით, ბევრმა მანამდე დაპყრობილმა ხალხმაც კი თავი აიშვა და დამოუკიდებლობის გზაზე გამოვიდა... ცხადია, წინასწარ ამგვარ მეთოდოლოგიურ საფუძველზე შემზადებული გამოკვლევები და ამის საფუძველზე დაწერილი საენციკლოპედიო სტატიები რეალურად არსებულ ვითარებას ვერ ასახავდნენ.

ჩვენში XIX ს-ის მეორე ნახევრიდან ახალ ისტორიულ აზროვნებას სათავე ილია ჭავჭავაძემ დაუდო, რომელიც შემდეგ განავითარა და გააღრმავა ივანე ჯავახიშვილმა, მაგრამ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ყველაფერში „კლასობრივ წინააღმდეგობათა“ ძიებამ, ჩვენი ისტორიული აზროვნება რამდენადმე ჩიხში მოაქცია. ამ თვალსაზრისით დღეს ბევრი რამ ახლიდან გასარჩევი და გადასახედია.

აქ საუბარი იყო იმაზე, რომ საქართველოს ისტორიის საკითხები შედარებით უკეთ არის წარმოდგენილი იტალიურ ენციკლოპედიებში. ეს არც აოის გასაკვირი, რადგან შეერთებამდე აქ საქმიანობდნენ რომის მიერ მოვლინებული კათოლიკე მისიონერები, რომელთაც კათოლიკური რელიგიასთან ერთად შემოჰქონდათ ევროპული სწავლა-განათლება. რომ გაეცნოთ ამ დროის საქართველოს მარტო მზითვის წიგნებს, იმითაც კი დარწმუნდებით, რომ მე-17-18-ე საუკუნის საქართველოში თანდათან ფეხს იკიდებდა ევროპული ცხოვრების წესი. რაც შეეხება დებულებას, რომ საქართველო ევროპული განვითარების გზაზე გამოვიდა რუსეთის მეშვეობით ეს შეიძლება სწორი იყოს მხოლოდ XIX ს-ის მეორე ნახევრისათვის. რადგან პირველ ნახევარში აქ სრული ქაოსი სუფევდა მოუთავებელი ომიანობისა და შინაგანი არეულ-დარეულობის გამო.

რაც შეეხება სომეხ და ქართველ მეცნიერთა დავას ისტორიული ტერიტორიების, დამწერლობით, სამეფო გვარეულობათა წარმოშობის, ხუროთმოძღვრული ძეგლების და ზოგიერთი სხვა საკითხის გარშემო, როგორც ჩანს ჯერ კიდევ პრობლემად დარჩება; იმიტომ კი არა, რომ ამის მეცნიერული გარკვევა ძნელია, უფრო იმიტომ, რომ ჩვენს ოპონენტებს ეს არ აწყობთ, ამასთან ისინი ყოველნაირი ხერხით ცდილობენ თავიანთი ახირებული თვალსაზრისის

პროპაგანდას, რაც არა იშვიათად იჩენს ხოლმე თავს ჩვენში და განსაკუთრებით კი უცხოეთის ენციკლოპედიებში. მეცნიერული მტკიცება საქმეს ყოველთვის, ვერ შველის. ჩუბინაშვილის „სომხური არქიტექტურის ისტორია“ ამის საუკეთესო მაგალითია. ბევრ სომეხ მეცნიერს დღეს მისი დანახვაც არ უნდა. ახლა ორიოდე სიტყვა ძველი ალბანეთის შესახებ. რომელთა მემკვიდრეობას დღეს ასე გაცხარებით იჩემებენ ხან აზერბაიჯანელები და ხან სომხები. ძველი ალბანეთის ეთნოგენეტიკური კვლევა ჯერ კიდევ ვერ დგას მეცნიერულ დონეზე. ალბანელები, როგორც კავკასიის აბორიგენები, იბერულ-კავკასიური ენათა ჯგუფის წარმომადგენლებია და ეთნიურად ყველაზე ახლო ქართველებთან დგანან. ეს არის ძველქართული მოვაკანი (თუ მოვაკანი) შემდეგდროინდელი შაქი-შირვანი და ჩვენი საუკუნის 20-იანი წლებიდან აზერბაიჯანი(?).

როგორც ცნობილია XIX ს-ის პირველი ნახევრის საქართველოში ეროვნულ-განმთავისუფლებელი ბრძოლების ცეცხლი არ განელებულა. აჯანყებას აჯანყება სცვლიდა (1802, 1804, 1810, 1812, 1813, 1820, 1832, 1841 და სხვა) იგი მიმართული იყო ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის წინააღმდეგ და მიზნად ისახავდა საქართველოს სუვერენული სახელმწიფოს აღდგენას. ჩვენ კი ამ ბრძოლების სამარცხვინო ახსნას ვიძლევოდით და მის გამომწვევ მიზეზებს ხან ეკონომიკურ შეჭიდვებას, ხან გადასახადების სიმძიმეს და ხან ცარიზმის მოხელეთა უხეშ მოპყრობას ვაბრალებდით. ვიშველიებდით ყოველგვარ სოციალურსა თუ კლასობრივ მიზეზებს და არა ნამდვილს, ეროვნულს. ასეთი ინტერპრეტაცია რუსეთის ცარისტული ისტორიოგრაფიიდან მოდიოდა, რაც „შემაგრებული“ იყო იმ მარქსისტთა შრომებით, რომელნიც გვიმტკიცებდნენ, რომ ერი ბურჟუაზიული საზოგადოების პროდუქტია და აქედან გამომდინარე ქართველი ერი XIX ს-ის 60-იან წლებამდე არ არსებობდაო, ყველაფერი ეს დღეს დაწუნებული და უარყოფილია, მეცნიერება თავის პოზიციებს უბრუნდება და შესაფერის გამოკვლევებთან ერთად ელოდება დროს, როცა ყველაფერი ეს აისახება, როგორც ჩვენს, ისე უცხოურ ენციკლოპედიებში.

ერთი სიტყვით, მოსაწესრიგებელი დღეს ბევრი რამ არის. ყველაფერ ამას მეცნიერულ დონეზე შემუშავებული ბაზა ესაჭიროება. ჩვენ ყველაფერი უნდა ვიღონოთ, რომ მომავალში რუსულ ენციკლოპედიებში საქართველოს შესახებ ძირითადი ტერმინ-სტატია დაიწეროს აქ, ჩვენს სამეცნიერო დაწესებულებებში. უფრო მეტი აქტიური მონაწილეობა უნდა მივიღოთ ასეთი ენციკლოპედიის „სიტყვანის“ შედგენაშიც. რაც შეეხება უცხოურ ენციკლოპედიებში საქართველოს ისტორიის მასალის წარმოჩენის საკითხს, ჩემის აზრით იქაურ გამომცემლობას რამენაირად უნდა დაუკავშირდეთ და მივაწოდოთ საჭირო მასალა. იქნებ სულაც სჯობდეს ვიფიქროთ საქართველოს ისტორიის ინგლისურენოვანი ენციკლოპედიური ცნობარის შედგენაზე, რომლითაც მრავალი ქვეყანა ისარგებლებდა. ეს საკითხები ცალკე სხდომაზე უნდა იქნას განხილული.

ნოდარ კაკაბაძე: მე შემიძლია ვილაპარაკო მხოლოდ იმაზე, თუ რა მდგომარეობაა ჩვენთვის საინტერესო სფეროში — გერმანულენოვან ქვეყნებში. ცხადია, მე არ შეიძლება მქონდეს პრეტენზია, რომ ყველაფერზე მიმიწვდება თვალი, რაც ამ მხრივ გდრ-ში გფრ-ში, ავსტრიასა და გერმანულ შვეიცარიაში კეთდება (იწერება თუ ითქმება). მაგრამ ის კი შემიძლია ვთქვა, რომ ვიცნობ ძირითად ტენდენციას და მრავალ კონკრეტულ ფაქტს, რომელთა სრული ჩამოთვლა ძალიან შორს წაგვიყვანდა. ამიტომ, მე შევეცდები, ერთი მხრივ, მოვხაზო, თუ შეიძლება ასე ითქვას, ზოგადი, საერთო სურათი და, მე-

ორე მხრით, გაგაცნოთ რამდენიმე ურთიერთსაპირისპირო ფაქტი (ზოგ შემთხვევაში, კურიოზულიც კი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

საერთო სურათი ერთობ მძიმე, მჭმუნვარე და დამაფიქრებელია (ძალიან ხშირად არ იცით, რომ ჩვენ ეთნიურად, ენობრივად, კულტურულად და ა. შ. თავისთავად, დამოუკიდებელ ერს წარმოვადგენთ, ჰგონიათ, რომ ერთ-ერთი სლავური, ანდა სულაც რუსული ტომი ვართ). მაგრამ ისიც უნდა შევნიშნო, რომ რაც დრო გადის, სურათი სასიკეთოდ იცვლება (ეს დაკავშირებულია საერთო პოლიტიკური სიტუაციის ცვლილებასთან, საზღვრების მეტნაკლებ გახსნასთან და, ამდენად, ქართული კულტურული ღირებულებების საზღვარგარეთ გატანასთან). სამწუხაროდ, მასობრივად მაინც არასპეციალისტებს, „ხალხს" ჯერჯერობით ყველაფერი, რაც საბჭოთა კავშირიდან „გადის", რუსული ჰგონიათ (მხატვრობა, მაგალითად, ნიკო ფიროსმანი, მუსიკა, კინო და ა. შ.). ისე, უფრო ინტენსიური კონტაქტების წყალობით, უკეთესი მდგომარეობაა გდრ-ში, იქ შედარებით უკეთ, თუ შეიძლება ასე ითქვას, „დიფერენციებულად" იცნობენ ქართველებს (ყველაზე მეტი წიგნი საქართველოს შესახებ გერმანულენოვან ქვეყნებს შორის გდრ-ში გამოვიდა და გამოდის). საერთოდ, ჯერ კიდევ მთლიანად ვერ ჩამოგვაშორებია ევროპელთა თვალში ეგზოტიკური იერი, მაგრამ ეს ჩვენი ბრალი არ არის. შეინიშნება საქართველოს ურთიერთსაპირისპირო, კონტრასტული სურათი გერმანულენოვან ენციკლოპედიებში, ლექსიკონებსა და ცნობარებში. სადაც ქართველოლოგებს მიმართავენ სათანამშრომლოდ, იქ თითქოს ვერ ვხვდებით არა თუ შეცდომებს, არამედ უზუსტობასაც კი (ჰაინც ფენრიჰი, ედლიჩკა, შმიტი, ასფალგი, რუთ ნოიკომი, იოლანდა მარშევი, ლეა ფლური და სხვები). მაგრამ, სადაც რუსული, ე. ი. გაშუალებული წყაროებით სარგებლობენ, იქ უამრავი შეცდომაა ხოლმე (საკუთარ სახელებში, ნაწარმოებთა სათაურებში და ა. შ.) შეიძლება აგრეთვე წინასწარ განზრახული. ტენდენციური გაყალბების, ფაქტების დამახინჯების შემთხვევებიც.

ახლა საილუსტრაციოდ მოვუხმოთ ზოგიერთ კონკრეტულ ფაქტსა და მაგალითს.

შესანიშნავი მდგომარეობაა კინდლერის 25 ტომიან ე. წ. ნაწარმოებთა ლექსიკონში: ე. ი. აქ მოთავსებული წერილები ავტორებს კი არ განიხილავენ, არამედ მსოფლიოს თითქმის ყველა მნიშვნელოვან მხატვრულ ნაწარმოებს — თითოეულ წერილში მოთხრობილია ნაწარმოების სიუჟეტი და მოწოდებულია მისი მაღალპროფესიული ინტერპრეტაციაც. ბოლოში დართულია საკმაოდ მდიდარი ბიბლიოგრაფია (არსებობს ამ ლექსიკონის მრავალი სხვადასხვა გამოცემა. მათ შორის 12 ტომიანიც). ლექსიკონში მოთხრობილ-ინტერპრეტირებულია: იაკობ ცურტაველის „შუშანიკის წამება", „ეთერიანი", „ვეფხისტყაოსანი", იოანე საბანისძის „აბო ტფილელი", „ქილილა და დამანა", არსენ იყალთოელის „დოგმატიკონი", გიორგი მერჩულეს „გრიგოლ ხანძთელი", ჩახრუხაძის „თამარიანი", სარგის თმოგველის „ვისრამიანი", იოანე ბაგრატიონის „ქალმასობა", „სიბრძნე ბალაჰვარისი", არჩილ II-ის „არჩილიანი", თეიმურაზ I-ის „ქეთევანიანი" („წამება ქეთევან დედოფლისა"), იოანე შავთელის „აბდულ-მესია", იოანე ზოსიმეს „ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი", „ქართლის ცხოვრება", „სიბრძნე სიცრუისა", ვახტანგ VI-ის „ამირნასარიანი", იოსებ თბილელის „დიდმოუარავიანი", ანტონ I-ის „წყობილსიტყვაობა", გურამიშვილის „დავითიანი", მამუკა ბარათაშვილის „ჭაშნიკი და სხვა.

ლექსიკონის I ტომში მოთავსებულია მიმოხილვითი წერილი ქართულ ლიტერატურაზე, რომელიც იულიუს ასფალგს ეკუთვნის და რომელშიც ზემონახსენებ ნაწარმოებებს გარდა მიმოხილულია: მიქელ მოდრეკილის სა-

გალობლები, ბესიკის „სევდის ბაღი“, აგრეთვე იოანე მინჩხის საგალობელნი, იოანე პეტრიწის „კავშირნი ღმრთისმეტყველებითნი“ და სხვა.

უნდა ითქვას, რომ გაცილებით ვრცლადაა წარმოდგენილი ძველი ქართული ლიტერატურა, ხოლო ახალი და უახლესი მწერლობა შედარებით ძუნწადაა ინტერპრეტირებული. ეს იმით აიხსნება, რომ ლექსიკონის კონსულტანტები და ავტორები ქართული ლიტერატურის (და საერთოდ აღმოსავლური ქრისტიანული ლიტერატურის) დარგში არიან: დასავლეთგერმანელი ქართველოლოგები, პროფესორები იულიუს ასფალგი და კარლ ჰორსტ შმიტი, რომლებიც უპირატესად ძველ აღმოსავლურ ქრისტიანულ კულტურებს, ენებს და ლიტერატურებს იკვლევენ (კარლ ჰორსტ შმიტს ჩვენი უნივერსიტეტის 70 წლის იუბილეუმზე ქართული კულტურის კვლევის დარგში განსაკუთრებული დამსახურებისათვის საპატიო დოქტორობა მიანიჭეს.)

ლექსიკონში ახალი ლიტერატურიდან ვხვდებით: გრიგოლ ორბელიანის „სადღეგრძელოს“, ნიკოლოზ ბარათაშვილის პოემას — „ბედი ქართლისა“, ვაჟა-ფშაველას „ალუდა ქეთელაურს“, „ბახტრიონს“, „ეთერის“, ილია ჭავჭავაძის „გლახის ნაამბობს“, „კაცია ადამიანს?!“, აკაკი წერეთლის „თორნიკე ერისთავს“, გიორგი წერეთლის „მამიდა ასმათს“. ესაა და ეს.

კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობაა XX საუკუნის ლიტერატურის მხრივ. ამ საუკუნის ქართული ლიტერატურა წარმოდგენილია თითებზე ჩამოსათვლელი ნაწარმოებებით: კ. გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენით“, ნიკო ლორთქიფანიძის „რაინდებით“, ლეო ქიაჩელის „გვადი ბიგვათი“, მიხეილ ჯავახიშვილის „არსენა მარაბდელით“ და „ჯაყოს ხიზნებით“.

მაგრამ საერთოდ უნდა ითქვას, წერილები მაღალ პროფესიულ დონეზეა დაწერილი.

ახლა საპირისპირო მაგალითი: ფრანკეს გამომცემლობაში (ბერნი და მიუნჰენი) დაბეჭდილ წიგნში — „მცირე ლიტერატურული ლექსიკონი. სპეციალური ცნებები“ (IV ახლად დამუშავებული და საგრძნობლად განვრცობილი გამოცემა, 1966, III ტომი) წერილში, რომელიც დოქტორ ვინცენტ ი. გიუნტერს (ბონი) ეკუთვნის და რომელიც ეროვნულ ეპოსს ეძღვნება, ვკითხულობთ: „აგრეთვე სომხეთმაც შექმნა თავისი ეროვნული ეპოსი რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ სახით“ (გვ. 276).

მაგრამ იმავე გამომცემლობის მიერ დაბეჭდილ წიგნში — „მცირე ლიტერატურული ლექსიკონი. ავტორები“ — წერილში, რომელიც შოთა რუსთაველს ეძღვნება, „ვეფხისტყაოსანი“ ქართულ ნაწარმოებადაა მიჩნეული.

ფრანკეს გამომცემლობამ ჩემი საპროტესტო წერილის პასუხად ბოდიში მოგვიხადა და აღნიშნა: ერთ შემთხვევაში არასპეციალისტი წერს, ხოლო მეორე შემთხვევაში — სპეციალისტი, კი მაგრამ რატომ აწერინებენ, რატომ უკვეთავენ დილეტანტებს (ყოველ შემთხვევაში, ქართული ლიტერატურის დარგში) წერილებს?!

შვეიცარიულმა გაზეთმა „ნოიე ციურჰერ ციტუნგმა“ ბოლო ხანებში დაბეჭდა ჩინებული, უშეცდომო წერილები ილიას, აკაკისა და ვაჟას შესახებ, თან ამ პოეტების ლექსების გვარიანი თარგმანებიც დაურთო. წერილები ეკუთვნოდათ ქართული კულტურის, ენისა და ლიტერატურის კომპეტენტურ მცოდნეებს, ქალბატონებს — რუთ ნოიკომსა და იოლანდა მარშევს, რომელთაც კიტა ჩხენკელის წამოწყებული „ქართულ-გერმანული ლექსიკონი“ დაასრულეს და გამოაქვეყნეს (ლეა ფლურთან ერთად). ასეთი მოცულობისა და ხარისხის ლექსიკონი საქართველოშიც არ შექმნილა.

ახლა ისევ საპირისპირო მაგალითი: დასავლეთგერმანულ ჟურნალში „გეო“

საქართველო უმნიშვნელოვანეს ენციკლოპედიებსა და საცნობარო ლიტერატურაში

(1985 წ., სექტემბრის ნომერი) დაიბეჭდა ჰელგა ენგელბრეჰტის ვრცელი რეპორტაჟი საქართველოზე. წერილი მეტნაკლებად უშეცდომოა. მაგრამ წერილს თან ერთვის სარედაქციო მინაწერი, სადაც აღნიშნულია, რომ ქართული ანბანი სომხური ანბანიდან განვითარდაო. ჩემს საპროტესტო წერილზე, რა წყაროებს ეყრდნობოდნენ რედაქციის მუშაკები, როდესაც ასე კატეგორიულად მსჯელობდნენ ქართული ანბანის წარმოშობაზე, მე პასუხი არ მიმიღია.

1856 წ. ლაიფციგში გამოცემულ „ღვინოების წიგნში", რომელიც დამუშავებულია დოქტორ ვილჰელმ ჰამის მიერ, წერია: „აზიის ყველაზე მდიდარი ღვინის ქვეყანა დღესდღეობით არის საქართველო და კახეთი. ასეთად იყო იგი ცნობილი უკვე ანტიკურ ხანაში". სამწუხაროდ, რაც იცოდნენ მე-19-ე საუკუნის შუაში, აღარ იციან ახლა: დასავლეთ გერმანიაში რამდენიმე წლის წინათ გამოვიდა საკმაოდ სქელი წიგნი „მსოფლიოს ღვინოები". ვიფიქრე, ქართულ კულტურას თუ არ იცნობენ, ჩვენი ღვინოების დიდება მაინც ექნებათ გაგონილი-თქო. მოვტყუვდი, წიგნში ქართულ ღვინოს ორი სტრიქონი ეძღვნება და აღნიშნულია, მდარე ხარისხისაო.

ერთ დროს უცხოეთში გამგზავრების წინ გვაფრთხილებდნენ: მაინცა და მაინც ნუ გაუსვამთ ხაზს თქვენს ქართველობასო. რუსები არა ვართ, ქართველები ვართო — არაა საჭირო დაჟინებაო! რტომ?

ნიკო ყიასაშვილი: ნიუ-იორკსა და ლონდონში 1975 წ. გამოსულია „კოლუმბიის ახალი ენციკლოპედია (3052 გვერდიანი ერთტომეული).

დიდი პროგრესია, რომ მოცემულია ორივე ფორმა. ჯერ ქართული „საქართველო" და მერე რუსული „გრუზია", მხოლოდ დაშვებულია ერთი შეცდომა: „საქართველო" ჰგონიათ Georgian ე. ი. „საქართველოს საბჭოთა სოც. რესპუბლიკა".

„თბილისი" სწორად წერია. დანარჩენი ქალაქებიც, მხოლოდ თანამიმდევრობა არც ანბანურია და არც ქალაქების სიდიდისა თუ მნიშვნელობის მიხედვითაა ჩამოთვლილი: „გორი, რუსთავი, ქუთაისი, ბათუმი, სოხუმი და ფოთი".

მდინარე „რიონი" სწორი ფორმაა Rion, მაგრამ ფრჩხილებში იძლევიან, ძირითად ფორმად კი მაინც მიიჩნევენ Rion „მცხეთას" ნაცვლად წერია „მცხეტ".

„მტკვარი" მაინც ვერ გაბედეს და დატოვეს „კურა". ასევე „მინგრელია" და არა „სამეგრელო". „იმერეტია" და არა „იმერეთი", „კახეტია" და „ქართლია".

„საქართველოში სომხური ბაგრატიონების შტო მეფობდა".

Alp arslan-ს ეპყრა ეს მხარე XI საუკუნეში. მაგრამ მეფე დავით II სელჯუკი თურქები განდევნა, გააერთიანა ქართველები და დაუბრუნა მათ დამოუკიდებლობა".

საბჭოთა მთავრობამ აღიარა მენშევიკების მიერ გამოცხადებული დამოუკიდებლობა (მაისი, 1920), მაგრამ 1921 წ. წითელმა არმიამ დაიპყრო საქართველოო".

(წყაროები მხოლოდ ინგლისური: ზ. ავალიშვილი, ლანგი, ონი).

„ქართული ლიტერატურა" დაწერილია მიხ. კვესელავის, ვ. ურუშაძის „ანთოლოგიის" მოკლე წინასიტყვაობის მიხედვით და ა. ბარამიძისა და დ. გამეზარდაშვილის „ქართული ლიტერატურის" მიხედვით (ინგლისურიდან თარგმნილი ბროშურა).

დაშვებულია კორექტურული შეცდომა „ალაკი წერეთელი".

რევოლუციამდელი ლიტერატურის წამყვან ფიგურებად დასახელებული არიან ა. აბაშელი და ს. შანშიაშვილი.

აღნიშნულია, რომ პაოლო იაშვილი, ტიციან ტაბიძე და მიხეილ ჯავახიშვი-

ლი სტალინის რეჟიმის მსხვერპლნი შეიქნენ 1937 წ.

შემდგომი პერიოდის მწერლებს შორის დასახელებული არიან კ. გამსახურდია, შ. დადიანი და ი. გრიშაშვილი.

არ არიან ნახსენები გალაკტიონი, ს. ჩიქოვანი, გ. ლეონიძე. რუსთაველი ცალკე არ არის შეტანილი.

ჩემი ღრმა რწმენით, ერთ-ერთი სწორი გზა ამ პრობლემის გადაჭრისა არის **წესიერი** და **ნიჭიერი** წიგნების გამოქვეყნება ჯერ **ქართულად** და მერე ვიზრუნოთ ამ წიგნების თარგმანზე და გამოცემაზე უცხოეთში. ენციკლოპედიები და ლექსიკონები ამ წიგნებს დაეყრდნობიან.

ყველა სხვა ცდა, ჩემის აზრით, მხოლოდ პალიატივა იქნება. იქაურ რედაქციებს სჭირდებათ არა პორტრეტები და წერილები, არამედ მონოგრაფიები ან თუნდაც პატარა წიგნი-ბროშურები, რომელთაც ისინი დაეყრდნობიან.

P. S. დიდ ბოდიშს ვიხდი, რომ სახლს გარეთ ვერ გავედი და ცნობები მოგაწოდეთ მხოლოდ ერთადერთი ამერიკული ენციკლოპედიური ერთტომეულიდან, რომელიც შინ მაქვს.

ჯანსულ ღვინჯილია: ვფიქრობ, კომენტარი ზედმეტია. თავში მინიშნებული ორი არსებითი მიზეზის გამო, ქართული ცივილიზაცია, საქართველოს ისტორიული პროცესი და მრავალსაუკუნოვანი კულტურა მთელი სისრულით არ ჩანს მსოფლიოს უმნიშვნელოვანეს ენციკლოპედიებსა და საცნობარო ლიტერატურაში. ზოგიერთ ენციკლოპედიაში, მაგ. „ბრიტანიკა"-ში შედარებით სხვასთან უკეთ არის ჩვენი სამშობლო წარმოდგენილი. მაგრამ მხოლოდ სხვასთან შედარებით! საერთო სურათი კი გულისმომკვლელია — ჩვენი ისტორიული პროცესის მთლიანობას, თითქმის არცერთ მათგანში არ ვხვდებით, უდიდესი ისტორიული მოვლენებიც მიჩქმალულია. ფრაგმენტულია ცნობები ქართულ კულტურაზე. შემთხვევით თუ გამოჩნდება ცნობები თვით დავით აღმაშენებელსა და თამარ მეფეზე, მწირია ინფორმაცია რუსთაველზე, ხოლო, როდესაც რუსთაველზე ინფორმაცია მწირი იქნება, თავისთავად გასაგები უნდა იყოს რა დღეშია დანარჩენი.

ყველაფრიდან ჩანს, რომ პრობლემისადმი მეცნიერული მიდგომა გამორიცხულია. არავითარი ლოგიკა, არავითარი კანონზომიერება! არ ჩანს ინფორმაციის სტრუქტურა, კერძოდ, რაზე უნდა გამახვილდეს ყურადღება, როდესაც საქართველოზე ვწერთ. უცხოელები, ეტყობა, დიდის გაჭირვებით პოულობენ სპეციალისტ ქართველოლოგებს, რათა მათ წერილებს დაეყრდნონ, ხოლო ჩვენ მწირ ინფორმაციას ვაწვდით! ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თავადვე არ გვაქვს კარგად გაცნობიერებული ჩვენი ისტორიისა და კულტურის სიმდიდრე, მისი დანიშნულება და ადგილი მსოფლიო ცივილიზაციაში, მისი უკეთესი დროები ეტაპები.

ჩემთვის აუხსნელია, რატომ არ უნდა განიხილებოდეს ნებისმიერ ღირებულ ენციკლოპედიაში გასაგზავნი სტატიები შესაბამის ორგანიზაციებში და რატომ არ უნდა შევიმუშაოთ მათზე საზოგადოებრივი აზრი. ნუთუ მართლა დავყარეთ ფარ-ხმალი და სულაც არ გვაღელვებს. ის ფაქტი, „ვეფხისტყაოსანი" ქართულ ეპოსად რომ არ არის ცნობილი ზოგიერთ ენციკლოპედიაში, რომ შესანიშნავი ქართველი რეჟისორები რუს რეჟისორებად არიან მონათლული?.. მაგრამ ჯერ ნუ ვიჩქარებთ დასკვნების გამოტანას, რედაქციას იმედი აქვს, რომ წამოჭრილ ჰრობლემას ბევრი გამოეხმაურება, ახლა მაინც არ დაგვრევს ხელს სიზარმაცე, ბედოვლათობა, ინდიფერენტულობა!.. მოვალეა ყველა, ვისაც კი ასე თუ ისე ეხება ეს სატკივარი, დრო დაკარგოს, მოგვაწოდოს ახალი ცნობები, შეავსოს ეს მძიმე სურათი, რათა ავიხილოთ თვალი. მერე ღრმად დავფიქრდეთ, რა გზას დავადგეთ, რა მანქანებით შეიძლება ათეული წლების განმავლობაში დამახინ-

ჯებული სურათის გასწორება ან სულაც ახალი სრულფასოვანი სურათის შექმნა. რამდენიმე გონივრული რჩევა ჩვენი მრგვალი მაგიდის წევრებმა მოგვაწოდეს თავიანთ სიტყვაში.

საქართველო დღეს საუკუნოვანი ძილიდან გამოფხიზლების გზას ადგას. მთელი გონიერება იქითკენ უნდა იქნას მიმართული, რომ ამ გამოფხიზლებისას არ იქნას დაშვებული უხეში შეცდომები. ზომიერების დაცვით, წონასწორობის შენარჩუნებით, განუწყვეტელი ცდით, ლოგიკური თანმიმდევრობით შესაძლებელია აღვადგინოთ ჩვენი ქვეყნის პრესტიჟი, მისი ნამდვილი ბუნება, მისი არსებობის უმთავრესი შინაარსი, მისი განძი, მისი დამსახურება და ადგილი მსოფლიო ისტორიაში, საკუთარი ისტორიისა და კულტურის სრულფასოვანი მოვლა და ღირსეული წარმოჩენა დღევანდელ საქართველოს სულ სხვა ენერგიას შემატებს. არა მარტო მას, მთელს კაცობრიობას ეცოდინება საიდან მოვდივართ, რა ნიადაგზე ვდგავართ. ყოველივე ამას განუსაზღვრელი მნიშვნელობა აქვს. ამ იმედით ვსვამთ ამ ურთულეს პრობლემას. ამისთვის შევაწუხეთ მრგვალი მაგიდის მონაწილენი, — ერთი საუკეთესო ნაწილი ჩვენი ინტელიგენციისა. მათ დიდი მონდომება და ენთუზიაზმი გამოავლინეს, რათა საკითხი რაც შეიძლება მალე შეესწავლათ. რედაქცია დიდ მადლობას უხდის ყველა მათგანს.

როსტომ ჩხეიძე

ᲐᲓᲠᲔ ᲞᲝᲔᲢᲘ

ეს ჩანაწერები რამდენიმე წლის წინანდელია. მაშინ ბატონი პავლე ცოცხალი იყო, თუმცა აღსასრული უკვე მოახლოებოდა.

ჯერ შინიდან გამოსვლა გაუჭირდა, მერე ოთახში ფეიალიც, მერე ჯდომაც, იწვა გაუნძრევლად და ჭერს მისჩერებოდა. ამას თუ იტყოდა, გათავდა ყველაფერი, ამით გათავდა ყველაფერიო.

საწერ მაგიდაზე გადაშლილი იდო ვეებერთელა გამოკვლევა „ხეთური იეროგლიფური დამწერლობა“ და ამაოდ ელოდა მკვლევარის ხელის შეხებას. მისი ბედი ისე წარიმართა, რომ არამეცნიერულსა და კერძო ინტერესებს შეეწირა და ახლა ცალკეულ ფურცლებადღა მიმოფანტულიყო.

საწოლთან მიდგმულ ტაბურეტზე კი გალაკტიონისა და ანას დიდტანიანი პოეტური კრებული ეწყო.

ხანდახან რომელიმეს წაეტანებოდა, გადაშლიდა, თვალს გადაავლებდა, მიხეზურად მოეფერებოდა ფურცლებს, სტროფნებს, რაღაცას აღიდგენდა ან ვერც აღიდგენდა, უკანვე დადებდა და კვლავ გარინდდებოდა... მერე ისევ წაეტანებოდა... ბოლო ხანებში ეს კრებულებიც გადაუფურცლავი ეწყო, ველარც გადაშლიდა, ველარც ფურცლებსა და სტროფნებს მოეფერებოდა... ალსასრულსაც შეჰგებოდა, გათავდა ყველაფერი, ამით გათავდა ყველაფერი.

მაგრამ ამით ყველაფერი როგორ გათავდებოდა.

პავლე ინგოროყვა ხომ კვლავაც მფარველად და ნუგეშად უნდა გვყოლოდა ჩვენი ეროვნული ცნობიერების ხიჯანსაღის გზაზე. ნუგეშად გვჭონოდა მისი „ქართული ცივილიზაციის ისტორია“, ეს მონუმენტური ძეგლი, ხელშესახები გამოცანტულება და დასტური გალაკტიონის ამ ფოროსტული სტროფნისა — „წარსული არავის ესმის პოეტის გარდა“.

გალაკტიონს ასე სჯეროდა, წარსული არავის ესმის პოეტის გარდაო, პავლე ინგოროყვასაც სჯეროდა, დიდებულ პიროვნებად მიაჩნდა და დღიურშიც ამტკიცებ ჩაიწერდა, „გუშინწინ შემხვდა პავლე ინგოროყვა და მითხრა: „ჩვენ უკანასკნელ დღეებში ზშირად ვხვდებით ერთმანეთს ,ეს უდიდესი სიმპათიის ნიშანი უნდა იყოსო. დიდებული ადამიანია“.

უდიდესი სიმპათიის ნიშანიაო, პავლე ინგოროყვა რომ ამბობდა, გალაკტიონის გლოვის დღეებში ამ უდიდეს სიმპათიას ასე გამოთქვამდა:

„ჩვენ მისი თანამედროვენი, ვუსმენდით მას, როგორც მოჯადოებულნი. ვინ მიანიჭა ქართულ სიტყვას ასეთი ბრწყინვალეთა? ვინ აამღერა ქართული სიტყვა, ჩვენი ლამაზი დედა-ენა ასეთი სინაზით, ასეთის ბომბიბლავის მუსიკალობით!

უკვდავია ერი, რომელსაც აქვს ისეთი დიადი სულიერი სიუჭეჯ, საუნჯე პოეზიისა, როგორიც აქვს ქართველ ერს — პოეზია რუსთაველისა და გურამიშვილისა, ბარათაშვილისა და ილიასი, აკაკისა და ვეჟა-ფშაველასი. ამიერიდან ქართული პოეზიის ცაზე, ამ დიდ მნათობთა გვერდით, მთაწმინდაზე ამოხრწყინდა ახალი ვარსკვლავი პოეზიისა, ჩვენი საუკარელი გალაკტიონი“.

მათი ნაცნობობა და ეს ურთიერთსიმპათია კი ახალგაზრდობის დროიდანვე მოდიოდა და ისიც უთუოდ საგულისხმოა, რომ სურვილი „პოეტთა მეფედ“ არჩევისა, გალაკტიონისათვის უნდა აღეძრა პავლე ინგოროყვას ერთ თვალსაზრისს. პავლე ინგოროყვას მტკიცებით, რენესანსის ეპოქის საქართველოში არსებობდა „პოეტთა მეფის“ თანამდებობა და ზოთა რუსთველი ამ სახელის მფლობელი უნდა ყოფილიყო, ამას მოწმობდა ერთ გვიანდელ სურათზე მისი ქუდის შემკულობა ოქროს კალმით, რაც იყო სიმბოლო მეფე-პოეტობისა, პოეტთა მეფის პატივისა.

მაგრამ „პოეტთა მეფის“ ეს თანამდებობა კლასიკური ეპოქის შემდეგ აღარ არსებულა. „მე-XIV საუკუნის დასასრულიდან“, განაგრძობს მკვლევარი, „როცა ძველ-ქართული სახელმწიფოებრიობა საბოლოოდ განადგურდა და მასთან ერთად ძველი ქართული არტისტული კულტურაც სტაჟიურად დაიღუპა, ამის შემდეგ პოეტთა მეფის სახელწოდება აღარ აღდგენილა...“

და ეს თვალსაზრისი, რომ რუსთველს პოეტ-

თა მეფის ტიტული ჭკონია, ბოლო მის მერე ეს სახელწოდება ალარ ალდგენილა. უთოდდ გამოიწვევდა მძაფრ წვალილს ამ ტიტულის მეტნაკლებები ოფიციალური სახით ალდგენისა, სწორედ ოფიციალური სახით, თორემ პოეტთა მეფობის ვნება გალაკტიონს ისედაც ჰქონდა. და იყო კიდევ პოეტთა მეფე...

ბოლო ის რწმენა გალაკტიონისა, წარსული არავის ესმის პოეტის გარდაო, ხავხებით ბუნებრივია, რადგან ისტორიის ხულს ჯირდება მოგება, არაბუნებრივი კი ის არის, რომ ბუნებრივად თვითონ პოეტისა არ ესმით, არამარტო არ ესმით, ცდილობენ სხვებსაც დაუმალონ და ის წარსული, რომელიც პოეტურმა გულმა და გონებამ წუდნიდდან გამოიტანა, კაცობაც დაფარული და ძალისძალით გადადდებინი რჩება, როგორც გაჯით შელესილი ფრესკები.

მართლაც არავის ესმის წარსული იმ კაცის გარდა, ვისაც პოეტური ხული მომმადლებია და წარსული დიდების დარდად ქცეულა. ეს სიტყვები, „დარდი წარსულ დიდებისა", პავლე ინგოროყვაზე აქვს ნათქვამი პაოლო იაშვილს. ეს სიტყვები არაერთ სხვა ლირსულ მამულიშვილსაც მოუზდებოდა, ასევე შეუპოვრად რომ იბრძოდნენ ეროვნული იდეალებისათვის და აქაც ხავხებით შესაფერისია, როგორი სიხსარტით არის განსაზღვრული პავლე ინგო�ოყვაის პიროვნებაცა და მისი მოღვაწეობის ხასიათიც — „ძმავ, ინგოროყვ! პოეტო ადრე და მერე დარდო წარსულ დიდებისო".

ამ სტრიქონებში „პოეტი" და „დარდი წარსულ დიდებისა" აშკარად დაპირისპირებული ჩანს, ადრე პოეტი იყავ და მერე იქეცი წარსული დიდების დარდადო. „პოეტიცა" და „წარსულ დიდების დარდიც", არსებითად ხომ ერთი და იგივეა, მაგრამ, რადგანაც პაოლო ერთმანეთს უპირისპირებს, აქ რაღაც სხვა უნდა იგულისხმებოდეს, რაღაცის მინიშნება უნდა იყოს.

თუმცა რაღა რაღაცის —

ეს მინიშნება ისედაც გვაფიქრებინებს, რომ პავლე ინგოროყვა სიყმაწვილეში ლექსებს წერდა და პაოლო იაშვილი დაინტერესებული ყოფილა ამ ლექსებით. 1928 წელს კი, როცა ამ სიტყვებით მიმართავდა, პავლე ინგოროყვას კარგა ხნის მიტოვებული უნდა ჰქონოდა ლექსების წერა და პაოლო ამას მოაგონებს, პოეტო ადრეო.

მარტო ეს სტრიქონები უკვე საკმარისია ამ ვარაუდის გამოსათქმელად, მით უმეტეს, ჯერ ერთი, პავლე ინგოროყვას ბუნებისა და ინტერესების კაცს შეუძლებელია სიყმაწვილისას ლექსები არ დაეწერა, და მეორეც, მართლა რომ წერდა. ამის ხსოვნაც შემორჩენილიაო. ნიკა ავაიშვილი წერილში „ხასუმელი ესე და... გაჰწყარალი მუზა" იმ მკვლევართა შორის, ვინც საშეცნიერო მოღვაწეობის დაწყებამდე პოეზიაში ცდიდა ხელს, პავლე ინგოროყვაზეაც მოიხსენიებდა. როცა ვკითხეს„ მისი ლექსები ხომ არ ინახავთ-მეთქი, არაო, მიპასუხა, არ მინახავსო. დაბეჭდილი არც უნდა ჰქონდესო, ისე ბევრ ლექსად წერდა, ერთი კოლაუს ჯეიბე, იმას უფრო დანამდვილებით ეცოდინება, თვითონ პავლე ამაზე არ ჯაჯვებია.

თავიდან მართლა არ ამეკოლია.

არაფერი უთქვამს, თითქოს გახსენება საერთოდ არ უნდოდა, მაგრამ მერე, ეტყობა, რომ ალარ მოეფშვი, მითხრა, ვწერდი, როგორ არა, რეგნოს ვწერდი, მაგრამ გამოქვეყნებაზე არ მიფიქრიაო. ეს მითხრა და უცებ გახალისდა, სახე გაუბრწყინდა და მოადევნა, პაოლოს ჭკონდა წაკითხული და მოსწონდა, მე და პაოლო ვეტყობოდით, კიდევ მაქებდაც. გამომქვეყნებნია, მაგრამ არ ვკენი, საერთოდაც მივატოვე ლექსების წერა, ვგრძნობდი, ძალა არ მეყოფოდა, შესაბამისობისა პოეტი თუ ვიკნებოდი, მეტის ო

დი არ უნდა ჭკონდა, მივატოვე და მიბრუნება ალარ მომინდომებია, ის ლექსები გადავყარე, რად მინდოდა, რისთვის შემინახავო.

— პაოლოს მოსწონდა, ხომ?

— მოსწონდა, მაგრამ მე მგონი, გული არ უნდოდა გაეტეხა ჩემთვის.

ბატონ პავლეს არ უთქვამს, რომ რამდენიმე ლექსი თარგმნილი და გამოქვეყნებულიც ჭკონდა ფურნალ „კავკასიონის" ფურცლებზე ფსევდონიმებით. მაშინ არ ვიცოდი, ეს ფსევდონიმები თუ მისი იყო, თორემ ამ თარგმანებზეც ვკითხავდი რამეს.

თვითონ არ გაუხსენებია.

არც ის გაუხსენებია, 1924 წელს მოსკოვის წიგნთსაცავების შესანახავად წასული, როგორ დაეტეხა ბლოკის, ამმატოვისა და ესენინის პოეტურ კრებულებს და როგორი ალმაჩენა იყო მისთვის პასტერნაკის ლექსების წიგნი „დას ჩემსას, ცხოვრებას".

ერუდიციას ხომ გულმოდგინე და ბეჯითი შეხება სჭირდება, თვალსაწიერს — გაფართოება, ამიტომაც ცდილობდა ყველაფრის წაკითხვას, რასაც მისწვდებოდა, ცდილობდა რამდენადაც კი მოხერხდება, არაფერი გამოპარვოდა თანადროული ლიტერატურული პროცესიდან არამარტო კართული, არამედ რუსული და ევროპული მწერლობისაც და ამიტომ არ არის შემთხვევითი, პასტერნაკის წიგნი „დას ჩემსას, ცხოვრებას" მან რომ ბაცანო ცისფერუანწელეს.

მოსკოვიდან დაბრუნებისთანავე წაკითხა პაოლოსა და ტიციანს ეს წიგნი და თავისი აღტაცებაც გაუზიარა.

ეს ფაქტი გია მარგველაშვილს აქვს აღნიშნული წერილში „გზა საქართველოსაკენ" და იქვე ერთ ხაგულისხმო ვითარებასაც ისხენებს:

„თვით პავლე ინგოროყვა მან შემდეგ ამ წიგნს ალარ დაბრუნებია, როგორც მკითხველი, და მით უფრო განგვაცვიფრა მან, როდესაც ხამოციან წლებში, პასტერნაკის საფლავზე პერედელკინოს საუდრის მიდამოებში, გიიხსენა და

ზეპირად წაიკითხა მრავალი სტროფი „დაი ჩემი, ცხოვრებიდან“ „დემონის ხსოვნით“ დაწყებული. ხოლო თვით საფლავის შემყურემ... დასძინა — ნამდვილად აქ არის, მჯერა, რომ ნამდვილად აქ არიო, რითაც მან დაასწრო მარინა ცვეტაევას წინასწარმეტყველური სიტყვებს...“

პავლე ინგოროყვას მეხსიერება და ინტუიციის უნარი ცნობილი იყო.

ცნობილი იყო მისი გემოვნებაც და პოეტური გრძნობაც.

და აქვე მინდა გავიხსენო ის სიტყვები, რაც პავლე ინგოროყვას პირადი საუბრისას უთქვამს ალექსანდრე ციბულევსკიზე, კერძოდ, მის პოეტურ კრებულზე „რას დარაჯობენ ღამის დარაჯები“, და რაც გია მარგველაშვილის ჩანაწერის წყალობით შემოგვრჩა:

„იგი იმ მასალისაგან არის შექმნილი, ნამდვილი პოეტები რომ ყალიბდებიან... პირდაპირ მოიცება... უიშვიათესი ოსტატია, სიტყვის სულის დაჭერა რომ შეუძლია... ამას გარდა, თვით ლექსის გრძნობაა ფანტასტიკური... ხიმონი, რა თქმა უნდა, მართალი არ არის, როცა ამბობს, „უფრო ღრმად ჩახედავ კი საშიშიაო“, მესმის, რომ მან უბრალოდ სტატიის დასასრულისათვის საჭირო ფრაზას მიაგნო. აქ კი დროის როგორი წვდომაა. დრო — კრონოსია, თავის შვილებს რომ ნთქავს. ცხადია, როგორც ყველა ნამდვილ ლექსში, აქაც შესაძლოა სხვადასხვა გაგმირტებანი, მაგრამ მე პირდაპირ თავზარი დამცა სწორედ ამით, სწორედ ეს გამოხატული შიშით... ხოლო ლექსები თბილისზე, სადაც — „ისტორიის გუგუნი ჩაჩუმდა“ — უბრალოდ საოცარია... ხოლო ვიღაცის ხურვილი, რომ გაიქცეს, დაიმალოს, ჩრდილში მოეკცეს, თავი შეეფაროს — ეს ყველაფერი ანტიციბულევსკია, ეს ხულაც არ არის „ისტორიის გუგუნი ჩაჩუმდა“!

„ამ სიტყვებში ყველაფერი გაოცებსო“, შენიშნავს ჩანაწერის ავტორი, „ლექსთა ენგის, როგორც პოეტის სულისა და ბუნების ემანაციის, აღქმის სიზუსტე. სიტყვისა და ხასიათის, ლექსისა და ბუნების ურთიერთობის ხილრმეც და, ცხადია, წინასწარმეტყველური ხილვა კრონოსის სახისა — თითქოს პავლე ინგოროყვას უკვე წაკითხული ჰქონოდეს ციბულევსკის რვა წლის შემდგომი კრებული, სადაც სტიქსიც გვხვდება და ქარონიც“.

რამდენადაც ჩემთვის ცქმობილია, პავლე ინგოროყვასთან პირადი საუბრების ჩანაწერი გია მარგველაშვილს სხვაც აქვს, მათი გამოქვეყნების მნიშვნელობაზე კი რაიმეს თქმა ზედმეტია.

მიხეილ ჯავახიშვილზე იგონებენ, ერთხელ გიორგი ლეონიძეს დანიძალავებია, შენი ლექსები მე უფრო მეტი ვიცი ზეპირად, ვიდრე შენო, და გიორგი ლეონიძეს შეკიბრზე უარი უთქვამს, მაჯობებდა და გამაწბილებდაო. პავლე ინგოროყვა არავის დანიძალავებია, მაგრამ მიხეილიფთი მასაც რომ გამოეწვია ვინმე, ეგრე იოლად ვერავინ შეეპაეკრებოდა, როგორც ძველ ხელნაწერებს სცნობდა ერთი თვალის გადავლებით, თუ რომელ ლიტერატურულ სკოლას ეკუთვნოდნენ, ასევე სცნობდა სტილზე თანამედროვე პოეტურსა თუ პროზაულ ნიმუშებს, ვინ იყო ავტორი.

თუნდაც ინტუიცია, თუნდაც ინტუიციი. თუნდაც ეზიაათი პოეტური ხმენა ვერ შეალეკინებდა პავლე ინგოროყვას, ძველ პროზაულ ტექსტებში პოეტური სტრიქონები გამოერჩია, ცალკეული სტრიქონები რომ გადარჩენილიყო. მაგრამ ისე ჩაკარგულიყო თხრობის ნაკადში, წარმოშობის კვალი სრულიად დაფარულიყო: ვერ შეაძლებინებდა, „აბუკურის“ ლექსითი სახე დაედგინა; ვერ შეალეკინებდა, პოეტური ხაზოვანისათვის მიეგნო ქართულ ბიბლიოგრაფიაში და ეს უმშვენიერესი და უმრავალფეროვანესი ეანრი მთელი თავისი ბრწყინვალეთით გამოეჩინა, ოღონდ ის კი ვერაფრისდიდებით ვერ აუხსნა, ამ დიად პოეზიას პროზად რატომ მიიჩნევდნენ.

ამბავ:

სოფლისა ზღუაჲ აღძრულ არს
ღელვითა ცოდვისაჲთა,
საშინელად დამნთქავს მე,
და მოვივლტი შენდა ნავთსაყუდლისა,
და ესრეთ გიღაღადებ:
დანთქმისაგან მიკსენ მე —
მრავალ-მოწყალე!

ან ამბავ:

რომელმან განახუნა საქანელნი ცისანი
და წყალნი იგი ქვეყანელისანი
გაღმოადინნა ქუეყანაჲ,
დღეს განიბანების ჯორცითა
იორდანისა წყალთა.

რომელმან შექმნა ზღუაჲ ესე დიდი და
ვრცელი
და ქმელი ქელთა მისთა დაჰბადეს,
დღეს იგი ნათელსა იღებს —
დაუღამებელი ნათელი,
თჳთმნათობი არსებაჲ.

ან ამბავ:

ცხორებაჲ ესე წარვალს და განილევის,
შუენიერებაჲ და დიდებაჲ დაჴნების,
ხოლო სიმდიდრე დალპების და წარმწყდების.
რასა ცუდად ვმაღლოით, ოდეს ყოველნი
მოკუდავნი ვართ და მიწად მიქცევადნი!

ანდა ამბავ:

ეამი რაჲ წულილთა და ქმელთა
აღმოფფშჳნვათაჲ წარმოდგეს,
ზარი მეფობისაჲ წარკდეს და დიდებაჲ
დაშრტეს,
შუებანი უკმე იქმნნენ,
ყუავილოვნებაჲ დაჴნეს,
სხუამან მიიღოს სკიპტრაჲ
სხუასა შეუდგენ სპანი,
მაშინ შემოწყალე მსაჯულო ჩემო!

და რომელს ადარ; ამ დიდებულ პოეზიას

არქმევდნენ პროზას და პავლე ინგროროყვას გამოჩენა იყო საჭირო, რომ ეს გაუგებარი ვითარება შეეცვალა.

სხვა მიგნებებზე ამჯერად თუნდაც ნურაფერს ვიტყვით.

ასეთი აღმოჩენებს მხოლოდ ინტუიცია და პოეტური სმენა არ ჰყოფნის, დიდი ერუდიციის გარეშე ასეთი აღმოჩენები უბრალოდ შეუძლებელია.

რადგანაც ახტოობდა, იმ სიმაღლეებს ვერ შეხვდებოდა, რასაც მისი სათაყვანებელი პოეტები შესწვდენოდნენ, ლექსების წერა ადრევე ამიტომ მიუტოვებია; მაგრამ მწერლობის სიყვარული ცალკეაც გაუნელებლად მიპყვებოდა.

ვინ იცის, გულის სიღრმეში მაინც აწუხებდა პოეზიასთან გამოთხოვება და ამის გამო გაურბოდა ამ თემაზე საუბარს.

ნიკა აგიაშვილი ხომ მაფრთხილებდა, არ აგუფებაო.

ცოტას მაინც ამუკა, პაოლოს მოსწონდაო, გაიხსენა, ეს იყო და ეს.

ამიტომ კოლაუ ნადირაძესთან ერთიანელ საგანგებოდ ჩამოვაგდე სიტყვა პავლე ინგროროყვას სიყმაწვილისდროინდელ ლექსებზე, იქნებ სანტერესო რამ შევიტყო ან სულაც წაკითხული ჰქონდეს-მეთქი.

ბატონო კოლაუ გაოცებით მომაჰერდა.

— ვინ, პავლე წერდა ლექსებს? ეგ მართალი არ უნდა იყოს. პავლეს ლექსი არასოდეს დაუწერია. შენ ვინ გითხრა, წერდაო?

— თვითონ ბატონმა პავლემ.

— ვწერდიო, ასე გითხრა?

— დიახ, ვწერდიო.

— დაბეჭდვითაც ხომ არ დაუბეჭდავს?

— არა, დაბეჭდვით არა.

— თავი რატომ დავანებეთ?

— არ მინდოდა მესაბერისხოვანი პოეტი ვყოფილიყავიო.

— ხედავ, არ ყოფილა გამოსაჩენი ლექსები, მეათეხარისხოვანი პოეტობა რა პოეტობაა.

— მეათეხარისხოვანი რატომ?

— თვითონ არ გითხრა, მეათეო?

— ბატონმა პავლემ, მესამეო, ასე მითხრა.

— სულერთია. მესამე და მეათე რამ გაყო. არა, თუ წერდა, ისიც არ ვიცოდი. არ ვიცი, არ გამიგია. ალბათ არავისთვის წაუკითხავს.

— პაოლოს მოსწონდაო.

— პაოლოს მოსწონდაო? ალბათ ისე უთხრა, მომეწონაო.

— ისე რატომ ეტყოდა.

— პაოლომ ისე იცოდა კაცის შემკობა, ნუღარ იტყვი. პავლე ძალიან უუვარდა და ლექსებსაც მოუწონებდა. არა, პავლე რომ სულით პოეტია, რად უნდა ლაპარაკი, ბარათაშვილისა და ეკატერინეს სიყვარულის ისტორია რომ აღადგინა, ხომ გახსოვს? რა ჰქნა, ეს რა ჰქნა... რა საოცარი ინტუიცია აქვს... კარგი დაკვირვებები ჰქონდა ბარათაშვილისა და ლეოპარდის პოეზიაზე, ისეთი საინტერესო პარალელები ჰქონდა ნაპოვნი. ალარ ვიცი, დაწერა თუ არ დაწერა ბარათაშვილზე ვსაუბრობდით, პაოლესთან ვიუყვი... ლეოპარდის წიგნი გადმოიღო, ადგილები ჰქონდა ჩანიშნული, მოკითხავდა და იქვე მითარგმნიდა... იტალიური გამოცემა აქვს.

— ბატონი პაოლე იტალიურად კითხულობს?

— კითხულობს რომელია... ბა, ლეოპარდის გაგება როგორი ამბავია... ლექსის გაგება სხვა ენაზე.

— ჩემთვის არ უთქვამს, რომ იტალიური იცის, მარტო ძველბერძნული და ლათინური ვიციო, ასე მითხრა.

— თუ წუალითით არ იცის, ისე ცოდნას არ ეძახიან... ინგლისურიც იცის და გერმანულიც.. იტალიურს ხომ ჩემი ოვალით ვუუურე... პარალელები ცოტა არ ყოფილა... რა ჰქნა ნეტა, დაწერა, არ დაწერა... ბარათაშვილზე რა შეუხანიშავი მონოგრაფია აქვს. და ის არის ხაოცარი... „რუსთველიანას ეპილოგია“ არა? ბო, „რუსთველიანას ეპილოგში“ რუსთველი და ცოტნე დადიანი რომ დაამოყვრა... პოეზიის სიმაღლეზე აიტანა. ის თავი ნამდვილი პოეზია, დასრულებული, კლასიკური პოემა. წავიკითხე თუ არა, იმ დღეებშივე ვუთხარი, პავლე, ეს რა ჰქენი, პავლე, ეს რამ მოგაფიქრა, რუსთველი და ცოტნე დადიანი რომ დაამოყვრე, ეს პოემაა, ნამდვილი პოემა-მეთქი.

— ბატონმა პავლეს რა გიპასუხათ?

— რა მიპასუხა და... არაფერიც არ მიპასუხა, გაიცინა... ჰო, გაიცინა, მეტი არაფერი... რამდენი ხანია ალარ მინახავს. ახლა როგორ არის?

— შინიდან ვედარ გამოდის...

— დაბერდა, პავლეც დაბერდა... უნდა მოვინახულო, უსათუოდ მოვინახულებ. ამ დღეებში სერგო კლდიაშვილთანაც ვიყავი... მაშ შინიდან სულ ვედარ გამოდის არა? ლექსებს თუ წერდა, ნამდვილად არ ვიცოდი. რაკი თვითონ გითხრა, ცხადია, წერდა კიდეც, მაგრამ არა, მე არ ვიცი. ისე, ჩვენში დარჩეს, რა ლექსებს დაწერდა.

— რატომ, პაოლოს თუ მოსწონდა...

—ეგ არაფერს ნიშნავს, პაოლოს უუვარდა პავლე და ლექსებს შეუქებდა, ყველაფერს მოუწონებდა. არ ვიცი, არა. ლექსებს, კაცო! პავლე, კაცო? ავად არ არის, არა?

— ახლა არა.

— მოვინახულებ, უსათუოდ მოვინახულებ ამ დღეებში, რას არ გაიგებ. პავლე თუ ლექსებს წერდა ოდესმე, რას წარმოვიდგენდი.

ეს ჩანაწერები იმდროინდელია.

მაშინ ბატონ პავლეს ჯერ კიდევ შეეძლო ოთახში სვენებ-სვენებით სიარული, ჯერ კიდევ შეეძლო „ხეთური იეროგლიფური დამწერლობა“ ეფიერცლა და კვლავაც გამოცემაზე ეოცნება, ჯერ კიდევ შეეძლო, ვიდრე საბოლოოდ ჩავარდებოდა ლოგინად, მოეშვებოდა და მიბინარდებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორი მუზის კეთილად მსახური

შოთა ლომსაძის სახელი ქართველმა მკითხველმა პირველად 1946 წ. გაიგო, როდესაც გაზ. „ლიტერატურა და ხელოვნების" 14 ივნისის ნომრის ფურცლებზე ანა კალანდაძის ლექსების გვერდით დაბეჭდილი მისი ლექსები წაიკითხა. ეს ლექსები ომიდან დაბრუნებული ჭაბუკის თავისებური სავიზიტო ბარათი გახლდათ, საიდანაც აშკარად იგრძნობოდა ფართო შემოკმედებითი ასპარეზზე ახლად გამოსული ახალგაზრდის მაღალი მოკალაკეობრივი სულისკვეთება და უხვად მომადლებული პოეტური ნიჭი.

შოთა ლომსაძე მაშინ მხოლოდ 21 წლისა იყო, მაგრამ უკვე გაევლილი ჰქონდა სამამულო ომის მთელი საშინელება, პირადად ჰქონდა ნანახი და განცდილი ყველა ის უბედურება, რაც მის თაობას ბედად წილად. იქნებ ამიტომაც უყურებდა თავის შესაძლებლობებს ასე დაეჭვებით და თუმცა „დაკარგულის შევსების" სურვილი დიდი ჰქონდა, გულწრფელად ამბობდა: „მეოცდაორე წელში გადაველ, მითხარით, ხომ არ დამგვიანდათ".

იმ პირველი ლექსების გამოქვეყნების შემდეგ საკმაო დრო გავიდა, ჩამოთავდა დაძაბული შემოკმედებითი შრომით დამშვენებული ათწლეულები, შ. ლომსაძემ პირად ცხოვრებაშიც და სამწერლო თუ მეცნიერულ-საზოგადოებრივი მოღვაწეობის ასპარეზზე მნიშვნელოვანი წარმატებები იზეიმა (ალბათ ზოგიერთი გულდასაწყვეტი წარუმატებლობაც იგემა) და დღეს შეუძლია, ამაყად წარსდგეს მშობელი ხალხის წინაშე და თამამად თქვას, რომ ამაოდ არ დამშრალა არც როგორც მეცნიერი-ისტორიკოსი და არც როგორც პოეტი. ამის გარანტია, ერთი მხრივ, ფუნდამენტური გამოკვლევები საქართველოს ისტორიის კარდინალურ საკითხებზე და მეორე მხრივ — ადამიანური ტკივილებით გამსჭვალული ლექსები.

დიახ, შ. ლომსაძე მთელი თავისი შეგნებული ცხოვრების მანძილზე „ორ ფრონტზე" ორ მუზას ემსახურებოდა და ეს „ორ ფრონტზე" შრომა და ბრძოლა მას სრულებითაც არ უშლის ხელს, პირიქით, პოეზია და მეცნიერება თითქოს ერთმანეთს ავსებენ, ერთმანეთზე კეთილისმყოფელ გავლენას ახდენენ: მეცნიერულ ნარკვევებს ზედ ატყვია პოეტის მძაფრი ემოციები და ლექსების მხატვრულ-სახეობრივ სისტემაში თვალნათ[illegible] ეტაბლობა დინჯად მაძიებელი მეცნიერის დაკვირვებული განსჯა და მახვილგონივრული მიგნებები; მისი მეცნიერული კვლევა-ძიების შედეგები ზოგჯერ პოეტური აღმაფრენის სტიმული ხდება და შოამზეკდა ლექსად ყალიბდება.

მართალია, შ. ლომსაძე, როგორც პოეტი, არ გამოირჩევა განსაკუთრებული შემოკმედებითი აქტიურობითა და ნაყოფიერებით, მაგრამ რასაც წერს და მკითხველს სთავაზობს, ყოველთვის მისებურია — სხვებისაგან განსხვავებული, გულით განცდილი, დამფიქრებელი, მკითხველზე, როგორც შემეცნებითი, ასევე ესთეტიკური ზემოქმედების ძალით აღჭურვილი. ჭეშმარიტი პოეზიისათვის ეს აუცილებელი თვისებები თვალსაჩინოდ ჩანს „სიბერეზე საქართველოს" მიერ გასულ წელს გამოცემულ კრებულშიც — „ჩემი სამართალი".

სულ ადრეული ლექსი, შ. ლომსაძეს მკითხველის წინაშე გამოტანის ღირსად რომ მიუჩნევია, თავის ყველა კრებულშიც რომ შეაქვს, არის სამ სტროფიანი უსათაურო, რომლიდანაც ჩანს, რა რთული გზით მოსულა პოეტი ცხოვრებაშიც და პოეზიაშიც: ჩანს ისიც, თუ მისი პოეტური ფანტაზია როგორ ამოზრდილა მშობლიური ფოლკლორის ნოყიერი ნიადაგიდან. ეს ლექსი არის ჩვიდმეტი წლის ჭაბუკის სულის სულ სხვაგვარი (მისი ასაკისათვის შეუფერებელი), მაგრამ მდგომარეობით ნაიძულევი ღაღადისი. ლექსის ლირიკულ გმირს (ცხადია, ამ შემთხვევაში თვითონ ავტორს) მხოლოდ ჩვიდმეტი მაისი უნახავს და პირკუშ დარიალს შესთხოვს — გადმიშვი, გზა მომეცით; შესთხოვს, გადმიშვით, მაგრამ ამისთვის კი არა, რომ მივიდეს სატრფოსთან, რომელსაც „სხვა ვინმე შემოჰხვევია", როგორც ერთ ცნობილ ხალხურ ლექსშია ნათქვამი. არა, შ. ლომსაძის ლირიკულ გმირს ამ შემთხვევაში სამჯერზოდ კი სცალია, ჯერ მისი „გული ტრფიალით არც კი დამწვარა"; იმის ნაცვლად, რომ წიგნებს ჩაჰკირკიტებდეს და სატრფიალო ბარათებს წერდეს, მას უკვე დაუდგამს ფეხი სისხლით გაჟღენთილ ველზე, ცხოვრებაში ახალ სათვალავს იწყებს და თუმცა მზნედ, მაგრამ გულისტკივილით ემშვიდობება ბავშვობას, გავლილ ჩვიდმეტ წელს. ამიტომ სულ სხვა არის მისი საველრბელი:

ჯერ სულ ჩვიდმეტი ენახე მაისი,
გული ტრფიალით არც კი დამწვარა,
რომ ამ დარიალს შევთხოვ გადმიშვას
და გამაყოლოს სითბო პატარა.

იქნებ არც იცი შენ დარიალი
და ძველ წიგნებში მეძებ ლექსებით,
მიგდივარ, ზეცა შემკრთალი არი
და იმედებით მნათობს შევცქერი.

ვუახლოვდები ბობოკარ ბაქსანს,
ფეხი დავადგი სისხლიან ველობს.
სხვა სათვალავი იწყება ახლა,
მშვიდობით, ჩემო ჩვიდმეტო წელო.

აქ საჭიროდ მიგვაჩნია, ერთხელ კიდევ საგანგებოდ ალვნიშნოთ, რომ ამ ლექსში შ. ლომსაძე მართლაც ოსტატურად იყენებს ბალზაკი ლექსის მოდელს და მასში ახალ, დროის შესაფერ შინაარსს სდებს. ამ მხატვრულ ხერხს შ. ლომსაძე შემდეგ დაწერილ ლექსებშიც ხშირად იყენებს.

ასე გადაეჯდომ შ. ლომსაძის ცხოვრებაში ომისა და პოეზიის გზები. ამიტომაც ამბობს 1946 წელს დაწერილ ლექსში:

ვიცი, ტყვიაა ლექსი პოეტის,
დალაგებული მებრძოლ ეზრებად,
ასე ფრონტებზე თითქმის ყოველთვის
ლექსის სტრიქონი მეწყო ეაზებთან.
თოფით და ლექსით ვებრძოდი ტიალს,
მაგონდებოდა სამშობლო ერთი,
ჩემი ლექსების კერა ფრონტია
და ალტკინება ეტყობა დენთის.

(„მეც მიბრძოლია“)

ეს იმულებითი მეგობრობა მუზისა და ომის ღმერთისა შ. ლომსაძის ცხოვრებაში საკმაოდ დიდხანს გაგრძელდა, მაგრამ როგორც კი ომი დამთავრდა, გამარჯვებულ სახეოთა ჯარებთან ერთად ბერლინში შესული პოეტი „შპრეეში ისვრის გახვრეტილ ჩაფხუტს“ და სამშობლოსკენ მოეშურება, ესწრაფვის მონატრებულ „ჩვენებურ ზაფხულს“ და სიხარულით აცხადებს:

ალბათ მოვუსწრებ ჩვენებურ ზაფხულს
და სხვა სიცოცხლით შევიმოსება.

ხამი წლის დაწყებული ახალი, „სხვა სათვალავიც“ დამთავრდა და პოეტი ეშშვიდობება ნათმარ იარაღს, რომელთან ერთადაც განვლო მკაცრი ბრძოლების გზა დარიალიდან ბერლინამდე, ეხსოვს „დღეები ქარიშხლიანი“, მას „ეხსოვს დღენი კავკასიონის და პრუსიული დღეებიც ეხსოვს...“ და აი, ახლა დამდგარა გამოთხოვების უამი და უკანასკნელად იღებს ხელში ზაშხანას, რათა მას საშუალებად გამოეშვიდობოს;

...უკანასკნელად, ეს იყოს ასე,
მეჩურჩულება თითქოს ნიავი...
გავდივარ ახალ ცხოვრების გზაზე
უძლეველი და მშვიდობიანი.

(„ჩემს ზაშხანას“)

ახალი ცხოვრების გზაზე გამოსული ნათმარ პოეტს ხურს, გამოეთხოვოს ყველაფერს, რაც კი ომსა და სისხლს აგონებს. ტოვებს ყველაფერს და მხოლოდ ტყვიებით დაცხრილულ ფარაჯას ინახავს, რომელსაც ამიერიდან სულ სხვა ფუნქციას აკისრებს — „ცეცხლოვან დღეთა გასახსენებლად“ ჩაიდებს სახლის ბოძზე. თუმცა ეს მაზარა „გარდასულ დღეთა“ უბრალოდ ჭეშმი მოწმე როდი. იგი ხმამაღლა ღაღადებს ბევრ რამეს, რაც ახალი თაობისათვის შეიძლება გაუგებარიც კი იყოს. ალბათ, ამიტომ არის, რომ ლომსაძეს ხალადაში („ჩემი მაზარა“) შემომყავს ახალი თაობის წარმომადგენელი — მცირეწლოვანი შვილი, რომელიც მამის მაზარას სათამაშოდ მიიჩნევს, ზოგჯერ ნატყვიარ ადგილებს გაშლის და გულუბრყვილოდ ეძებს ჭიტას“. პოეტს კი მწარე მოგონებებს აუშლის ეს მაზარა და ხურს, ყველამ იცოდეს, ყველამ იგრძნოს, ბავშვებმაც კი გაიგონ, რომ ამ დაცხრილული მაზარებით იარა მათმა მამა-პაპამ ომის სამკვდრო-სასიცოცხლო გზებზე. იომეს ამიტომ, რომ სამუდამოდ იყოს მშვიდობა.

ქართულ მწერლობაში „ომის ლირიკით“ შემოსულ შ. ლომსაძეს შეეძლია, კანონიერად იამაყოს, რომ მისი პირველივე ლექსები, ბეშმარიტად „სიყრმის შვილები“, მისი მკაცრი ბიოგრაფიის შედეგია, მათი „კერა ფრონტია“ და სავაზნეებში არიან გამოჩეკილ-გამოზრდილნი. რაც მთავარია, მათთვის სრულიად უცხოა ყოველგვარი სიყალბე, ფსევდორაინდული შემართება და გულზე ხელის ბაგუნით მტკიცება, რომ სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იბრძოდა, იბრძვის და, საჭირო შემთხვევაში, მომავალშიც იბრძოლებს სოციალისტური სამშობლოს თავისუფლებისთვის; არც ომის ნატურალისტური სურათებით ტკბრთავს ნაწარმოების სახეთა სისტემას და ამით არ ღლის მკითხველის თვალსა და გონებას: შ. ლომსაძე ლირიკოსი პოეტია და მკითხველის წინაშე გამოაქვს ის, რაც უშუალოდ განუცდია და მისი გულისა და სულის ორგანულ ნაწილად ქცეულა. ამიტომაც მისი ძალზე მკაცრი ლირიკული გმირი მარტო კი არ მოგვწერს, არამედ ჩვენ სულის ნაწილადაც მიგვაჩნია: იგი რაღაცით კი არ ყოყოჩოს, რაღაცას კი არ გვამადლის, თუნდაც იმას, რომ დიდი წვლილი შეიტანა მართლაც საკაცობრიო მნიშვნელობის გამარჯვებაში, არამედ წარმოგვიდგება ჩვეულებრივ ახალგაზრდად, რომელმაც უბრალოდ მოიხადა ვალი, რაც მას, როგორც მოქალაქეს ეკისრებოდა; თვითონ კი არ ამაყობს, არამედ ჩვენ გვეამაყება მისი საგმირო საქმეები, გვეამაყება, მაგრამ სინანულსაც განვიცდით იმის გამო, რომ დროის სიმკაცრემ მრავლისშემძლე და დიდი იდეალების მქონე ახალგაზრდობას ცხოვრების გზა შეუცვალა, „სხვა სათვალავი“ დაეწყებინა და ომის სისხლიან გზაზე გაიყვანა; მართალია მან ომშიც ბევრი რამ შეიძინა, ბევრი რამით შეივსო სული, მაგრამ დაკარგა ძალიან ბევრი, რის ანაზღაურება ძალების მეტისმეტ დაძაბვას მოითხოვს და ხშირად ამ გზითაც შეუძლებელი ხდება, ომმა ჩვენ ხალხს, მის საუკეთესო ნაწილს — ახალგაზრდობას აკეთებინა ის, რისი გაკეთებაც მისი მოწოდება არ იყო, ფაქტიურად, დაუკარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გა ახალგაზრდობა. ყველაფერი ეს საკუთარ თავზე განუცდია შ. ლომსაძეს და პირველ ლექსებშივე დანანებით ეხაუბრება ამაზე მკითხველსაც. ეს გარემოება აიკვეს მას — შესძლებს კი, გაიკეთოს ის, რაც ადრე უნდა გაეკეთებინა და გულწრფელად ხვამს კითხვას — „მითხარით, ხომ არ დამგვიანდა?".

ახე მოკრძალებით გამოვიდა შ. ლომსაძე ცხოვრების ფართო ასპარეზზე. მაგრამ თავიდანვე ძალზე მკაცრად მოითხოვა ერთი განაწესის განუხრელად შესრულება და ეს განაწესი ზოგადადამიანური მოვალეობის სახით წარმოგვიდგინა არაერთ ნაწარმოებში.

„ლანიშნავი", რომ ცხოვრებაში ადამიანის დანიშნულების, საერთოდ, ადამიანური ვალის პრობლემა ხელოვნებისა და ლიტერატურის მარადიული საფიქრალია. ეს ზოგადკაცობრიული პრობლემა ზოგერ შეეხპირულ „ყოფნა-არყოფნის" დონემდე ადის, ხან ბარათაშვილის „არც კაცი ვარგა"-ს კატეგორიულ მოთხოვნად გვევლინება, ხან კი რომელიმე ეროვნულ-ხალხური ხელტენციის საფუძველზე წყდება. გადაწყვეტის ამ უკანასკნელ ფორმას ირჩევს, ამ შემთხვევაში, შ. ლომსაძე და მშვენიერი მაკნისის სახის ლექსში ამბობს:

დადგება დრო და შენც იქით წახვალ,
რას წარიმძღვარებ, ეს არის საქმე;
იქ მისულ მშობელს რა პირით ნახავ,
რას დაუტოვებ შვილთაშვილს სათქმელს, —
ეს არის საქმე.

სხვა ლექსში („ჩემი სამპრთალი"), რომელიც კრებულის საერთო სათაურად გამოუტანია, იგი ზედმიწევნით კარგადაც ასრულებს თავის ფუნქციას. გვეხსიერებება იმის შესახებ, თუ პირველ რიგში რა ევალება ადამიანს, რომ მან პირველთაგან მოიხადოს თავისი ადამიანური ვალი. ამ შემთხვევაში შ. ლომსაძის განაწესი არ შეიცავს რაიმე ახალ, აკმაედე გაუგონარ მოთხოვნებს. პირიქით, იგი, არსებითად, ერთ საკმაოდ ცნობილ ცნებამდე — სამშობლოს ერთგულებამდე დაიყვანება და სხვათაგანაც არაერთგზის გაგებული ცნობიერების გაღვიძების მომენტიდან. მაგრამ მთავარი ის არის, რომ შ. ლომსაძემ ეს პრაგალგზის გაგონილი და განცდილი აზრი თავისებური ფორმით გვითხრა, ახლებურად გაგვაცდევინა და გაგვაცნობიერებინა.

არ ვარ არც ბეკა და არც ალბელა,
მაგრამ მე ჩემი ბაქვს სამარადათ.
იცოდე, ტრფობამ თუ არ დაგბუგა,
ხარ დაწყეველი და განთვალი.
სამშობლო მიწის სუნთქვის თუ არ გრძნობ,
ხარ გაყიდული, ექმი, ძომცდარი.
უნდა უარყო, უნდ. უარყო
ყველა სხვა ღმერთი და სალოცავი.
უნდა მაშულის ება უელში,
მოკვდე მის ფერფლით მონა, მსახური,
ან, სამართლის გზა განუხრელი,
ჩემს ქარტიაზე გამოსახული.

ე. ი. ყველა რწმენაზე, ყველა ღმერთსა და სალოცავზე მაღლა ადამიანმა სამშობლო უნდა დააყენოს და მტკიცედ ემსახუროს მას. ხაამინდ საჭირო არ არის ქვეყნის გამგებელთა ხელით დაწერილი მტკიცე კანონები, საჭიროა მხოლოდ სუფთა სინდისი და მტკიცე ნებისყოფა. და ვინც შ. ლომსაძეს იცნობს, იცნობს მის საკმეიანობას, ყველამ იცის, რომ იგი კაცი, რიგ-ზელსაც, პირველ რიგში, თვითონ დაუცავს მტკიცედ თავის განაწესი და კაცურკაცობის უპირველეს მოთხოვნად მხოლოდ მამულის სამსახური გაუხდია და პირნათლად მსახურებს მას. მისი მუდმივი საფიქრალია ჩვენი ქვეყნის წარსული და აწმყო, ჩვენი ხალხის მომავალი. რანი ვიყავით, რანი ვართ, რანი ვიქნებით? — აი, კითხვები (უფრო მეტად, კი — რანი ვიქნებით?) რაც შ. ლომსაძეს აფიქრებს დღენიადაგ.

შ. ლომსაძისთვის სრულიად უცხოა ამხტრაქტული პრობლემატიკა. იგი, პირველი პოეტური ცდებიდან მოყოლებული, კონკრეტულ-ისტორიულ მოვლენებს ახახავს და მათ განზოგადებას ახდენს. მის ყოველთვის თან სდევს მშობლიური კუთხის — სამცხე-ჯავახეთის ხატება. სამცხე-ჯავახეთის წარსული და აწმყოა მისი, როგორც მეცნიერ-ისტორიკოსის, მთავარი საკვლევი პრობლემა, იგივე პრობლემაა მხატვრული ახახვის მთავარი საგანიც.

ერთ ადრეულ ლექსში, ჯერ კიდევ სამამულო ომის უშუალო შთაბეჭდილებათა ქვეშ შექმნილ „ჯავახეთში", პოეტი ამბობდა:

ცივ სანგრებში თეთრ ღამეებს
ისე როგორ გავათევდი,
ფიქრებში არ დამეხატა
მშობლიური ჯავახეთი.

სამცხე-ჯავახეთი პოეტის მუდმივი ოცნებაა და მასზე ოცნება, მასზე ზრუნვის წადილი მარად-თან დასდევს:

ძველ სიზმრებივით შეწყდნენ ავდრები,
სულს ეფინება უცხო ალერსი...
ხომ რუსთაველის მფარავს ჭადრები,
მე ჯავახეთი დამაქეს თვალებით.
უნდა იწამო, ალდგე, ამბერთდე.
სულში ვარძიის ქრიან ქარები.
ხომ რუსთაველის დავალ გამზირზე,
მგონია, სამცხეს მივეჩქარები.

შ. ლომსაძე ჭეშმარიტი მამულიშვილური გულისტკივილით განიცდის სამცხე-ჯავახეთის ავბედი ისტორიას. მართლაც წარმოუდგენელია, კაცმა გაიცნოს ამ მშვენიერ-ტანჯული კუთხის ისტორია და მწვავედ არ განიცადოს; მით უფრო, არ განიცადოს იმან, ვინი მამა-პაპაც დასაბამიდან ამ მიწაზე სახლობდა. ერთ დროს საქართველოს ყველაზე დაწინაურებული კუთხე დამპურობლებმა დედასამშობლოს მოსწყვიტეს და ოვარმეყვნენ. ამის გამო ოვნე ჯავახეთშიელი ამბობს: „ოსმალების დამპყრობა სამცხე-საათაბაგოში ფეოდალური საქართველოს უდიდესი მარცხი იყო. საქართველოს მოსწყდა დ. მისი ეროვ-

ნული კულტურის შემოქმედებაში აღარ მონაწილეობდა ქვეყანა, რომელიც საქართველოს ტერიტორიის ერთ მესამედს შეადგენდა. გადაგვარების გზას დაადგა ფეოდალური საქართველოს ერთი ყველაზე უფრო დაწინაურებული და კულტურული შემოქმედების უნარით დაჯილდოებული ნაწილი — სამშობლო ეკვთიმე და გიორგი ათონელებისა, ბექა ოპიზარისა და შოთა რუსთაველისა". მართალია, ნაწილი ამ „ოსმალოს საქართველოდ" წოდებული სამცხე-ჯავახეთისა XIX საუკუნეში კვლავ შემოუერთდა საქართველოს, მაგრამ მას დღემდე ამჩნევია მრავალი იარა „ოსმალობისა". ამ ისტორიული ავბედობის გამო მწვავე გულისტკივილს გრძნობს მკითხველი შ. ლომსაძის ლექსებში. და ეს ლექსები კი საკმაოდ ბევრია და პოეტის კრებულებში მათ მთავარი ადგილი უკავია, მკითხველის ყურადღებასაც პირველ რიგში ისინი იპყრობენ. მაგრამ ზოგიერთი მათგანი მაინც საგანგებოდ უნდა გამოვყოთ.

გამოხატვის ორიგინალური ფორმითა და მკითხველზე ძლიერი ზემოქმედების ძალით გამოირჩევა ლექსი „ჯავაზური ქრონიკები", რომელსაც პოეტი ხალხურ კილოზე იწყებს და რამდენიმე სტროფოში გვეუბნება. როგორ ნადგურდებოდა სამცხე-ჯავახეთი მტერთა განუწყვეტელი შემოსევის გამო, როგორ აწიოკებდნენ დამპყრობლები ცალკეულ სოფლებსა და ქალაქებს:

გოკიოს ცეცხლი ეკიდა, შიგ მოიხალა ქერიო,
ვაი მოუვა ბალანთას, ზედ ტრიალდა
ყვერიო,
ამტვერდნენ კორხის ბანები, კვამლი ავიდა
ბეერიო,
წაიქცა ალასნის ციხე, ახალქალაქიც ძველიო...

და ა. შ. პოეტი ჩამოთვლის მწარე დღეებს და თავის დამოკიდებულებას ამ საგანგებო მოვლენასთან ასე გადმოგვცემს:

როგორც ნახმლევი ასპინძის ველზე,
აქა-იქ ყრია ეს ქრონიკები.
მე ამ ქრონიკების დაულაგებლად
ვითარცა თქმულა,
ვკრეფ მორიდებით
და ახლად ვადგენ ქართლის ცხოვრებას,
რომ მოდიოდნენ ცეცხლის წვიმები.
რომ გაირეცხა სისხლში ვარძია,
რომ ამაყობდა მხარე გმირებით
და იყო დიდი თავის განწირვა;
რომ ეცემოდნენ თურქი ფაშები,
წითელ წვერით და იათაღნებით,
მაგრამ ამაოდ ეიცი დავშვრები
და ეს იქნება უფრო დამღლელი,
თუ ვით გალეწეს ეს ჯავახეთი
და ქარმა როგორ ბზე ანიავა,
და ვით დასცალეს და ამოავსეს
ეცხო პოეტი მზიანი ჰავა,
ან როგორ დაცვდნენ ყვრის კოხები
ჩვენს გახურებულ გულზე ტრიალთა;
მე იმ შორ ამბებს აღარ მოვყვები,
ნუმც გვეხსომება ეს მატიანე.

არადა, ვის შეუძლია, დაივიწყოს ეს მატიანე, მატიანე კი არა, გაბმული ოხრობა ქართველი ხალხის გამფლეშებული ხოცვა-ჟლეტის შესახებ, „ქართლის მკვლელობის ძველი ამბავი", — როგორც ამბობდა გიორგი ლეონიძე.

შ. ლომსაძე დინჯი, ინფორმაციული ისტორიკოსის პოზიციებიდან აფასებს ჩვენს წარსულს. ცხადია, ჩვენს ხალხს უომრად არ დაუთმია თავისი მიწა-წყალი და სამშობლოსათვის თავდადებულმა გმირებმა არაერთხელ ანანეს მოძალადე მტერს ონავრობა, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ რიცხვმრავალმა მტერმა ხძლია ჩვენს მამა-პაპას. პოეტს მხედველობის გარეშე არც ის რჩება, რომ ჩვენი ქვეყნის ბევრი დღემდე მოურჩენელი ტკივილი სათავეს სწორედ წინაპართა უნებლიე შეცდომებსა თუ განზრახ დანაშაულიდან იღებს. და ეს არის ყველაზე მწარე განცდა, რაც გვეუფლება ასეთი ისტორიული ფაქტების გაცნობისას, მით უფრო თუ ეს ფაქტები ისეთი მხატვრული ფორმით არის მოწოდებული, როგორიცაა შ. ლომსაძის ლექსი „თავადური რეაქცია ანუ სურათი XVII საუკუნის დასავლეთ საქართველოსი". ამ ლექსში პოეტი განზოგადებული სახით გვიჩვენებს იმ დიდ ეროვნულ უბედურებას, რამაც განსაკუთრებით იჩინა თავი XVII საუკუნეში და ქვეყანა კატასტროფის წინაშე დააყენა. პოეტი მთელი სისრულით გვაგრძნობინებს, რომ მტერს მისი მიზნების შესრულებაში ხელს უწყობდა და ქვეყანაზე დამანგრეველად მოქმედებდა ფეოდალთა შინაური ანშლილობა და კუთხური შუღლი, ზოგიერთმა გადაგვარებულმა ფეოდალმა დაკარგა ეროვნული თვითშეგნება, დაივიწყა ენა, სამშობლო, ხარწმუნოება, მოდგმა და...

მხარე ეცემა მხარეს,
სპობენ, ანგრევენ, სწვავენ...
არის ტყვეენა და გვემა,
ოხვრა ვიგი იტევს ოხვრას
და ზღვად შემოსულ გემებს
მიაქვთ კიბილი კოლხთა...
და კვლავ ცრემლი და გლოვა,
ნგრევა საყდრების, ჯვრების...
ვმზერ და ცოცხალი რომ ვარ,
ლამის სირცხვილით ვკვდები, —
მეც თუ იქიდან მოვალ,
ნიშნად ღვარძლიან დავის,
აპა, სატირლად ვჯდები,
ძმებო, საკუთარ თავის.

მართლა უმძიფრესი განცდაა. ამ ლექსში შ. ლომსაძე სიტყვას არსად არ აგრძელებს, არც ხადმე რაიმე კომენტარს ურთავს, მხოლოდ შთამბეჭდავი ტარიზებით ფაქტებზე მიგვითითებს, თვითონ წუხს და ამ წუხილის მოზიარედ გვხდის.

გარეშე მტრის სიმრავლემ და შინაურმა აშლილობამ ქვეყანა ეკონომიკურ და პოლიტიკურ

კატასტროფამდე მიიყვანა, რიგ შემთხვევებში ეროვნულად გადაგვარა, სარწმუნოებრივად გამიჯნა და ერთ დროს ქართველებით მჭიდროდ დასახლებულ და კულტურულად აყვავებულ მხარეში დღეს პოეტი შემდეგი სურათის მოწმე ხდება:

გაუღვიძია ჯაჯახეთის მთეს,
დამშვიდებულა ჩემი მამული,
„წინაპართაგან წასული ყველა,
სხვა ხალხისს მესმის აქ ჟრიამული“,
სხვა ყვავილების შემოდის წყება,
ახლა სად ვითბო თიბათვის მთები...
გადავიწყება, გადავიწყება,
მაგრამ წარსული, არ მავიწყდები...

ძალზე საყურადღებო სურათია! გალაკტიონის ცნობილი სტრიქონების ოსტატური ციტირება ლექსს მეტ ემოციას ანიჭებს და მკითხველსაც ბევრ ახალ გარემოებაზე აფიქრებს. პოეტს თითქოს, ერთის წუთით, ისიც კი უგრძვნია, რომ ამ კუთხის წარსული დიდება სამუდამოდ ჩაბნარებია ისტორიას და მასზე გოდება აღარც ღირს; მაგრამ ამას ვერ ახერხებს და არც შეიძლება მოხერხდეს, რადგან წარსულის დავიწყება მომავლის უარყოფაა. ეს გარემოება კიდევ უფრო აძლიერებს წარსულზე ჩაფიქრებას, მამულიშვილურ განცდას. ამ განწყობილებით არის დაწერილი „ორრჩანი“, „მე ენს ცრემლებში ვარ შენაბული“, „ახლანდელ ტოლეშამდე“, „ბეჭა ათაბაგი“, „მესხური სადღეგრძელო“ და მრავალი სხვა კარგი ლექსი.

ძნელია, განსაკუთრებული გულისტკივილის გარეშე წაიკითხოთ ლექსი „ლია წერილი მეგობრებს“, რომლიდანაც განწირული სულის რაღაც არაჩვეულებრივი კიცელი ისმის იმის გამო, რომ სარწმუნოებრივი სხვაობის ნიადაგზე ძმა ძმას ვეღარ სცნობს, დახმარებას ვერ (ან — არ) უწევს, ეახუბტი ბატონიშვილი ამბობს: მიიქცეოდნენ და დაუტეხვიდნენ წესსა და რიგთა და სჯულსა მესხნი მძლავრობითა ოსმალთათა... გარდიცვლებოდნენ წესნი და ვიეთნი ზოგნი პატივისცემითა ნეტინი, ზოგნი მძლავრობით ოსმალთათა გამაამადიანდებოდნენო“. და ამ თურქთა მძლავრობით გამაამადიანებულ მესხთა შთამომავალნი ზოგჯერ თვით თანამძმეთაგანაც კი უარყოფილნი რჩებიან — უსამშობლონი, განცალკევებულნი, ხადღაც დაკარგულნი, მიუსაფარნი. სწორედ ასეთ მომძმეებს მიჰკივის პოეტის სული და მკითხველს აგრძნობინებს თუ როგორ აურია გზა-კვალი ადამიანებს ისტორიის უკუღმართობამ და ასე სულიერად და მატერიალურად დარბეულნი როგორ გაიხლართნენ „ობობას ქსელში“. პოეტი როცა ჰხედავს მესხეთის „თვალდათხრილ ნასოფლარებს“, ეხმის მათი ქვითინნი, გრძნობს, „ხიცილიც და ტირილიც დაგვიანდა“ და ისევ დარჩენია, გულამოსკვნით გოდებდეს და ქვეყანას ამცნოს წარმოუდგენელად უდღეო უსამართლობა. ეს „ლია წერილი“ მართლაც ღიად და საჭვეყნოდ წასაკითხია. აი, მისი ნაწყვეტი:

მე მოგონება არ მინდა ახლა
რომ თქვენ ჩვენსავით ქართლოსიანთა
სული გიშრებათ უსამშობლობით
და განდევნილნი წვრილი ბავშვებით,
როგორც ობლები,
მაგ უდაბური ველებიდან მოსტირით მესხეთს
და გენატრებათ რადგან პატრონი
სტირით მარტონი,
გლოვობთ მარტონი
და არვის ესმის მოთქმა მტირალთა.
მაგ თქვენი ცოდვით,
სიცხიან ზღოვით
ქართლოს საფლავში გადატრიალდა.

ლექსში მითითური ქართლოსის — ყველა ქართველთა საერთო წინაპრის სახის შემოტანით ჩამაფიქრებლად და საგულისხმოდ არის მინიშნებული იმ საერთო წინაპრებზე რომელთაც მტკიცე სათავე დაუდეს საქართველოს ყველა კუთხისა და ტომის ერთქართველობას. დღეს კი ერთმანეთის ცნობა და გრძნობა დაგვიკარგავს. და მერე რატომ? მხოლოდ იმიტომ,

...რომ რელიგიის სხვადასხვა არხით
ამოიქოლა სისხლი და ძმობა.

პოეტს მძაფრი სევდით გახლეჩილი გულის მალამოდ მხოლოდ ის მოაჩნია, რომ შემოვიმტკიცოდ უსამშობლოდ განწირული ძმები.

ახლითვე გულისტკივილი ისმის „ფერეიდნულ ფსალმუნში“, რომელშიც გოდებენ კახეთიდან ძალით აყრილი და შორეულ ფერეიდანში გადასახლებული ქართველების შთამომავალნი:

ვერ ვიგალობეთ უცხო ქვეყანა,
სასუფეველი გულს ვერ აღენთო,
ჭოი, კახეთო, ჩვენ ვართ შენთანა
და მაინც, მაინც ვართ უკახეთო.
ვერ შეითვისა სულმა სხვა ღმერთი,
შენ ხარ მარადჟამ ჩვენი საღმერთო,
არსად არ არის სხვა ქართლ-კახეთი,
არც სხვა ქართველი და ვართ საერთო.

„საერთო ქართველობისა“ და მუდამ ერთად ყოფნის იდეა შესანიშნავად არის გამოვლენილი ლექსში „შავშის ბიჭი“. საქართველოსაგან მოწყვეტილი შავშეთის მკვიდრი ბიჭი თავის ეზოკარში საკმაოანობს, თან დარდიანად იყურება დედახამშობლოსაკენ და ქართულ სიმღერას მღერის. ესმის გამოღმა მყოფ ქართველს და გული ეკუმშება რომ არ შეუძლია, მომძმე მიეფეროს, ძმური სიტყვა უთხრას. ეს განცდა შ. ლომსაძეს ასე აქვს გადმოცემული:

მე აქეთა მხარით ვისმენ
შენი ხმა რომ მოაქეს ნიავს,
„ოთხი წყარო“ კიდევ ვისმე
ასე არვის უმღერია.
ლექსი ასე ლაღმიანი,
თანაც ასე ნაღვლიანი,
ერთმა დედამ გვატარაო...

ძმათა გაყოს დიდად ჰკვირობ,
შავშვის ბიკო, შავთვალაო,
შე ბულბულზე ენატკბილო.

საქართველოს ისტორიული ავბედობის კიდევ ერთი ძალზე შემაძრწყუნებელი სურათია მოცემული ლექსში „XVII საუკუნის 10-იანი წლების კახეთი". ცნობილია, რომ ეს წლები არამარტო კახეთისათვის, მთელი საქართველოსათვის ერთ-ერთი ყველაზე ტრაგიკული ხანა იყო. გამძვინვარებულმა შაჰ-აბასმა საქართველოს, ერთი ყველაზე ძლიერი, აღმოსავლეთის ბურჯი შეუნგრია — უწყალოდ აოხრა კახეთი, ქვეყანა ცეცხლს მიხცა, მოსახლეობის დიდი ნაწილი კი ამაარა და გადაასახლა ეს სურათი პოეტს ასე წარმოუდგენია:

როგორც წუხილი,
ვნახე წუხელი
ღმერთს დაკრეფილი ჰქონდა გულხელი.
იდგა კახეთი
განძი ენებული
და შაჰ-აბაზი,
როგორც ნაგაზი,
გლეჯდა ქვეყანას განძვინებული.
იყო გოდება,
გულცეცხლმოდება,
ტყვევნა,
აკლება და მოწოდება:
ღმერთო, გვიშველეო...
ღმერთო, გვიშველე...
შემოგვიშვენე
ღვთის საფარველი...
და კვლავ, ჰკა მაგას!
ხმა მოუღლელი...
ვმზერდი,
მიკვირდა ქცევა ასეთი...
ღმერთს დაკრეფილი ჰქონდა გულხელი
და იხრჩობოდა სისხლში კახეთი.

ეს ლექსიც იმის თვალსაჩინო ნიმუშია, რომ შ. ლომსაძე მხოლოდ სამცხე-ჯავახეთის თემით არ არის შემოზღუდული და თავის შემოქმედებაში მნიშვნელოვან ადგილს უთმობს ე. წ. ზოგადქართულ პრობლემებს. მის ლექსებში ნაჩვენები ცალკეული სურათები მესხეთის წარსულიდან ტიპიურია მოლიანი საქართველოსათვის და ამიტომაც ამბობს პოეტი ერთ ლექსში („თბილისის ჩირაღდნები"): „და მე მოოცებს, და, მე მოოცებს, რომ საქართველო მაინც გადარჩაო". ე. ი. იმ საერთო ისტორიული ქარტეხილებში უფრო იოლი იყო პირისაგან მიწისა აღგვა, ვიდრე გადარჩენა და საქართველო მაინც გადარჩა. იგი გადაარჩინეს მასზე მზრუნველმა ერთგულმა შვილებმა, რომელთაც ახლა დიდის მოწიწებით ვიგონებთ და შ. ლომსაძის ლექსებშიც მათს არაერთ დამსახურებულ ბოტბას ვხვდებით.

ერთ ძველ ქართულ საკითხავში შემონახულია ხაინტერესო ცნობა: „ბოდან წასულ და ათონის მონასტერში დამკვიდრებულ ბერ იოანეს გაუგია, რომ პირინეის ნახევარკუნძულზე „შპანთა" ქვეყანაში არსებობსო მეორე იბერია და გადადგებულიო იქ წასვლა და „შორეული ძმეობის" ხილვა. ეს ამბავი ქართულ ლიტერატურაში ბევრ ქართულ ნაწარმოებში ჰპოვებს თავისებურ ასახვას. შ. ლომსაძემაც მიმართა მას და სულ სხვაგვარად გაიაზრა იგი, სხვა სათქმელი უთხრა მკითხველს: ათასი წლის წინ ქართველი კაცი შორეულ ესპანეთში დაეძებდა თანამოძმეს, ახლა კი თანამედროვე ქართველისთვის თვით იოანეს სამშობლო — ტაო გამხდარა მოეწყვდომელი. ეს აწუხებს სამშობლოს ბედზე ღრმად დაფიქრებულ პოეტს და ამ ფუხილს მკითხველს ასე უზიარებს:

...შემდეგ გამოხდა წელი ათასი,
ათას ბრძოლაში, ათას ზღაპარში...
გავწყდით. გადავრჩით, სული ცხოველი
გადმოვიტანეთ, როგორც დაობა...
შემოგვეძარცვა ირგვლივ ყოველი
და ახლა ვეძებთ შენთა ტაოთა.

და ეს უკანასკნელი სტრიქონი ლეგენდის საფუძველზე დაწერილ ლექსს ჰეშმარიტ პოეზიად აქცევს.

შ. ლომსაძე თავის ლექსებში ოსტატურად აცოცხლებს შორეულ თუ ახლობელ გმირ წინაპართა შარავანდედოსილ სახეებს და ცდილობს, მხატვრულ ნაწარმოებებში ეს მრავალგზის მინიშნებული სახეები ერთხელ კიდევ უჩვენოს მკითხველს და მათი გმირობის რომელიმე ახალ მხარეზე მიგვანიშნოს, ახლებურად ჩაგვფიქროს. ასე ცოცხლდება მის ლექსებში ვახტანგ გორგასლის, დავით აღმაშენებლის, ერეკლე მეორისა და სხვათა სახეები. მაგრამ განსაკუთრებულ ინტერესს აღძრავს ბერი თევდორეს სახე. თევდორეს გმირობაზე პოეტი სულ ორი სტრიქონით გვაგებინებს ყველაფერს: „გადაგეყარნენ კველთას თაორები და გადაბუგვას ასცდა თბილისი". პოეტი ენლობა მკითხველის მეხსიერებას, სწამს რომ თევდორეს მიერ ჩადენილი გმირობა ყველა ქართველმა იცის. ამიტომ სიტყვას აღარ აგრძელებს და აღბეჭდავს მიმართავს მართლაც საოცარ მამაულიშვილ გმირს: „შენა ყოფილხარ მართლაც ქართველი!" ასე იგონებს გმირ წინაპარს და მაგალითად უსახავს შთამომავლობას.

საფარის ფრესკას პოეტში განსაკუთრებული გრძნობა აღუძრავს და ამ გრძნობას მკითხველს ასე უზიარებს:

ამ კედლებს აქ რომ შეფარებიან
ბეკა, აღბუღა, სარგის და სხვანი,
ჩვენი ამაყი წინაპრებია,
შეუდრეკელნი და ახოვანნი.
მამულისათვის დაეცნენ თვითონ,
სამშობლოსათვის დღეგორეს სისხლი,
ამთა ძარღვებში მესხეთის სიტკბო
დამკუბარებდა ძლევით და სიმხნით.
იყვნენ, ომობდნენ, მტერს ჰკლავდნენ მუდამ,
ბოლოს დაეცა სიკვდილი მკერდზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაინც მუდმივი სიცოცხლე სურდათ
და შეეფარნენ საფარის კედლებს.
(„საფარის ფრესკა“)

„მუდმივი სიცოცხლის“ ღირს წინაპართა შორის ერთ-ერთ სპპატიო ადგილს, შ. ლომსაძე სავსებით კანონზომიერად, აკუთვნებს ილია ჭავჭავაძეს, რომელიც „საქართველოს წმინდა სინდისად“ მიიჩნია, თუმცა იქვე ვერ მალავს გულისტკივილს, რომ, სამწუხაროდ, ზოგჯერ ერისთვის თავგანწირულ ადამიანებს სიცოცხლეშივე დაფნის გვირგვინის ნაცვლად, ჩვენებურ, ქართულ გოლგოთას — წიწამურს ვარგუნებთ ხოლმე:

ვით საქართველოს წმინდა სინდისი,
დადის თბილისში დიდი ილია.
მე წიწამური არც მსურს ვიცოდე,
რადგან ტირილი არ შეშიძლია.
რადგან ილია ნიშნავს სიცოცხლეს.

ორიოდე წლის წინ დასრულდა ცნობილი ქართველი მეცნიერის პავლე ინგოროყვას მარტლაც ბობოქარი ცხოვრება. შ. ლომსაძე იგონებს ღვაწლმოსილი მამულიშვილს და დიდებულად აფასებს მის ამაგს ერის წინაშე. მკითხველს ახსენებს, რომ პ. ინგოროყვას თუნდაც ძალზე ხადავო საკამათო მიპითეზები შთამომავლობას დარჩება მარადი სიფხიზლისა და ერის სამსახურის ანდერძად:

მან დაიძინა, როგორც ნეტარმა
და სამუდამოდ თვალს მიეფარა...
მაგრამ ტკივილი, რაც სულს ებარა
და რაის გამოც ასე დაობდნენ,
გასაღვიძებლად დარჩათ თაობებს.

შ. ლომსაძემ მრავალი საუფრადღებო გამოკვლევა უძღვნა სამცხე-ჯავახეთის ისტორიულ ავბედობას, ერთ-ერთი მათგანია სქელტანიანი მონოგრაფია „სამცხე-ჯავახეთი“, რომელშიც მრავალი საინტერესო საკითხია გამოკვლეული და ნაჩვენებია, როგორ ცარიელდებოდა ქართველებისაგან სამცხე-ჯავახეთი, რა იყო ამის მიზეზი:

მე ამ არქივთა ვიწრო სარკმლიდან
საუკუნეთა ვიყავ მზიარალი.
თავი გავწირე, გრძნობა ვაწვიმე
და შევქმენ ესე ხმით ნატირალი.
შორს არ გამიდგე,
ყური დამიდე,
არ თქვა, ამაოდ თითქო დავშვერი.
უნდა გავმრავლდეთ, უნდა გავმრავლდეთ,
უნდა გავმრავლდეთ — აი საშველი.

მაგრამ პოეტი უსასოოდ კი არ გოდებს და მოსთქვამს, არამედ მკაცრი შემართებით მიმართავს თანამემულეებს, რომ ხელი შეუშვან ქალალდების უსაგნოდ ქექვას, დაიხსნან სამცხე-ჯავახეთის წარსული დიდების მაუწუხებელი ქრონიკების უმიზნო ზეპირობას თუ ყალბი პათოსით ციტირებას, ხელი მოპკიდონ პრაქტიკულ საქმიანობას, მართლაც ქვეყნის შენებას:

ყველა ქალალდებს ზედ დავახევდი,
ვინც ქალალდებით ცდილობს გაიგოს
ეს ჯავახეთი.
მაქვს შენახული საგანისოდ
მე სხვა ამბებიც:
ჯერ საფლავები ისევ ცხელია.
მართალი გითხრათ, ამას რომ ვამბობ,
მე თქვენს მაგივრად უკვე მრცხვენია.
თუ ქართველი ხარ, კითხვა რად გინდა,
აქ ყველაფერი მხოლოდ შენია,
მოდი მოხედე.
დადექ, დასახლდი,
ნახე, რა როგორ გადაგვრჩენია,
ჯერ სხვათა შორის თქვენი გვარები
ჯვრიან ლოდებზე კიდევ სწერია.
(„მოდი, მოხედე“)

ვისაც მართლა უძგერს გული სამშობლოსათვის, დაუყოვნებლივ უნდა დაუბრუნდეს მამაპაპურ ადგილ-ხაფყოფელს, იქ იცხოვროს, გამრავლდეს და ააყვავოს ოდესღაც მჭიდროდ დასახლებული და ყოველმხრივ შემკული მამული, თორემ უბრალო პატრიოტული ეჭსტაზით, გულზე ხელის ბაგუნით ქვეყანა არსად აშენებულა:

შექმენ, გამრავლდი, გზა დაბაბული
მხოლოდ სიმრავლის კარად შენდება,
თორემ მარტდენ გულზე ბაგუნით
არსად სოფელი არ აშენდება.

პოეტი გულისმომკვლელი მწუხარებით განიცდის, როდესაც ჰხედავს, რომ მესხეთის ბუხრები აღარ ბოლავენ. ამ დროს მის სულში დროებით დამცხრალი ტკივილები მეტის ძალით იღვიძებენ და მრავალმნიშვნელოვან კითხვას სვამს:“... ჩემი ბუხრები ცამდე აწვდელი, ასე, ამგვარად ვინღა აღანთოს“ („ყოველი წუთი“). ხოლო როდესაც ჰხედავს მესხური ბუხრებიდან ამოსულ კვამლს როგორც სიცოცხლის ნიშანს, აღტაცებული „სამშობლოს ტკბილ კალთებს უკოცნის“, აღფრთოვანებული ზღვრის „და რჩება ვითარცა ბუხარი სიმღერა მარადის მჭუხარი“ („მესხეთის ბუხრები“).

შ. ლომსაძე თანამედროვე მესხებს მოუწოდებს, მიბაძონ წინაპრებს, რომელთაც უდიდესი წვლილი შეიტანეს ქართული კულტურის ისტორიაში:

თუ ღვთის წყალობით იმ მესხთა
წყალი ჩვენც გადაგვესხმება,
ჩვენს ხეს აქამდე რაც ესხა,
იგივ ნაყოფი ესხმება.
ვენახი ავად ნასხლავი
თუ აღარ გამოგვესხლება,
იგივ ხმა გამოგვასხლიევს,
რა მზითაც სული მზეს ხედება,
ნუ გეფიქრებთ, ვერ გვაონევს
მტერი, ზოგან რომ ეს ზღება,
დარჩება მესხი მესხადვე,
მესხი არ გადამესხდება.

მესხეთის ძველი დიდების აღდგენისა და ბრწყინვალე მომავლის შექმნისათვის ბრძოლი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკენ გულითადი მოწოდებაა მშვენიერი პოეტური მიბაძვია „ლტოლვა“. აქ ჩანს ბარათაშვილისებური თავგანწირული სულისკვეთება მხედრისა, რომელიც „ცხენებს სამშობლოსკენ მიაგელვებს“, მიაგელვებს იქით, სადაც ცხოვრების მიზანი ეხატება, სადაც ელიან „გადახდილი საფლავები წინაპრთა“ და „უკან რჩება ქალაქური სიმღერების ნაზი კვდება“. თავგანწირვით მჭროლავ მხედარს აგონდება სამშობლოს ავბედითი ისტორიის ჩარხის უკუღმა ტრიალი და ნატრობს დაშვებული ბაიარღების ხელახლა ამობრიალებას; თვალწინ ეხატება ჯავახეთი, როგორც ხატი და ღმერთი, „როგორც სულის აფეთქება“, ეჩვენება, რომ „აქ წევს ძველი საქართველო“; ეჩვენება ისიც, რომ თითქოს მის მოწოდებაზე საფლავებიდან დგებიან წინათ დაცემული გმირებიც კი და უერთდებიან მის მხედრობს. აქვე შემოიკრება „ჩვენი დროის დიდი კოლხის“ — გალაკტიონის სახე, რომელიც ლექსს მებრძოლ პათოსს მატებს.

...ჰა, მის კვალად.
ტყუპის ცალად.
სიმღერებით, ჯავრით, ოხვრით,
ჩვენი დროის დიდი კოლხი
გრიგალივით მიქრი-მოქრის
და სადაც მზე ეტრფის ფერებს,
ლურჯა ცხენებს მიაჭენებს...
წინ, წინ, ჩემო მხედრობანო,
წინ! ამ რბოლას არ აქვს ბოლო...

როგორც ვხედავთ, აქ ლექსში ბარათაშვილისა და გალაკტიონის თავგანწირული სულისკვეთების ზოგადი ახასიათებელი ისტორიული მასალის კვალობაზე არის დაკონკრეტებული და გარკვეული პრაქტიკული დანიშნულებით წარმართული-გაჯერებული. აქ იგულისხმება მთელი ერის მზადყოფნა იმისათვის რომ ყველა შეუერთდეს დიდი მამულიშვილური საქმის გასაკეთებლად მჭროლავ მხედრობოს.

ძალზე დიდი აზრობრივი დატვირთვა აქვს ერთ მაქსიმის ხასიათის პატარა ლექსს „თავფარავანთან“. ლექსს ემოციურ ძალას მატებს ოსტატური მინიშნება (მოლოდ მინიშნება) ცნობილ ქართულ ხალხურ ბალადაზე თავფარავნელი ქაბუკის ტრაგიკული მიჯნურობის შესახებ. ამ ლექსით პოეტი მკითხველს აფრთხილებს, რომ საფრთხეა მოსალოდნელი და ჩვენი ვალია წინდახედულობა:

დღეს აქ რომ სანთელს არავინ ანთებს
იცოდე, მეტი სიფრთხილე გვმართებს.
ყამი რომ არ თვლემს,
წამი რომ არ თვლემს,
ქარი რომ წეწავს წიგნებს და დავთრებს,
უფრორე მეტი სიფხიზლე გვმართებს.
ზოგჯერ რომ ძველთა არწივთა მართვეს
დრო მიმქროლავი სადავეს ირთმევს
და ხან ქართული არ ესმის ქართველს,
ჩვენ დაფიქრება ამაზეც გვმართებს.

მართალია, პოეტი მკითხველს კონკრეტულად არაფერს ეუბნება, რა საფრთხეს გულისხმობს, მაგრამ მთავარია, რომ გვაფრთხილებს: ფიქრობს, აქ მეტის თქმა საჭირო არც არის, მკითხველმა თავად უნდა გაიგოს და გაითვალისწინოს.

შ. ლომსაძე გულმხურვალე პატრიოტი და თავის საშობლის ბედზე ღრმად ჩაფიქრებული მოქალაქეა. მას უყვარს თავისი საშობლო, მაგრამ ასევე დიდი პატივისმცემელია სხვათა საშობლოებისა. ეს მთელი სისრულით ჩანს ლექსში „ყველას თავისი აქვს საქართველო“. ამ ლექსში თვალსაჩინოდ არის გამოვლენილი ყველა ხალხებისა და მათი საშობლოების პატივისცემა. პოეტს თუმცა ძალზე ლამაზად და მიმზიდველად მიაჩნია თავისი საქართველო, არც გრიგოლ ორბელიანს ედავება რომ სხვა საქართველო არსად არ არის, მაგრამ ისიც იცის, რომ „ყველას თავისი აქვს საქართველო“ და ყველას თავისებურად უყვარს „თავისი საქართველო“ — თავისი საშობლო. ჩვენც მოვალენი ვართ პატივი მოვეპყროთ ამ „სხვა საქართველოებს“, „სხვის საქართველოებს“.

შენი ფირუზი ზეცის თავანი
და შენი ტკბილი მიწა განთქმულა,
სხვა საქართველო არსად არ არი
და არვინ მღერის ასე ქართულად.
თუმც კი ვიწამე, მზეო ნათელო,
რადგან სიცოცხლე ყველგან იღვრება,
ყველას თავისი აქვს საქართველო
და თავისებურს აწყობს სიმღერას.

შ. ლომსაძეს აქვს რამდენიმე სატრფიალო ლექსი, რომლებიც უდავოდ ინტერესით იკითხება, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ მკითხველს ხშირად უჭირს, გაარკვიოს — სად იგულისხმება სატრფო-ქალი და სად სატრფო-სამშობლო. ეს გარემოება იმიტომაც უნდა აღინიშნოს, რომ ამით შ. ლომსაძე აკაკი წერეთლის ტრადიციას აგრძელებს.

შ. ლომსაძის ლექსების კრებულებიდან ყურადღებას იპყრობს ლექსების ერთი ციკლი, რომლისთვისაც ავტორს „შავლა სიმები“ უწოდებია. შავლა XIX საუკუნის სახელგანთქმული მესხი აშული ლუკა ბერიძე ყოფილა. ფსევდონიმად შავლა შეურჩევია, რადგან „შავლა ჰქვია გადაჭრილ ვაზზე ამოსული ლერწს. ამით იგი გულისხმობდა, რომ თურქეთის მიერ აკაფულ ვენახში, გადაჭრილ ვაზზე ამოსული ერთი ლერწი — შავლა იყო (შ. ლომსაძის განმარტებაა).

საყურადღებო და საგულისხმო ფაქტია: ვერაგმა დამპყრობლებმა საუკუნეების მანძილზეც კი საბოლოოდ ვერ გადაუშენეს ქართული კულტურის ფესვმაგარი „ვაზი“. მის გადანაკერზე ყოველთვის ამოდიოდა ახალი ლერწი, მესხ კაცს რომ შავლა შეურჩევია, შავლა — მარადიული სიცოცხლის სიმბოლოა.

შ. ლომსაძესაც თავისი თავი, თავისი მეცნიერული და მხატვრული ნაამაგარი თავისებურ შავლად მიაჩნია, ძველი ქართველის მძლავრი კულტურის გადანაკერზე ამოზრდილ შავლად, რომელიც უდაოდ საპატიო ადგილს იკავებს ზოგადქართული კულტურის საგანძურში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიმართლე

„გიყვარდეს მწერალი, რომელსაც თვითონ ასწავლე წერა, და გძულდეს ის, ვინც თავისით ისწავლა“.

დიდი დაგეროიდი

მოთხრობა „კროსვორდის“ დაწერა ავტორს გია ლომაძეს, ხოლო გამოქვეყნება — ალმანახ „განთიადის“ რედაქციას გაბედულებად ჩაეთვალა (ვგულისხმობ „განთიადის“ 1987 წლის ნომრების განხილვას საქართველოს მწერალთა კავშირში და ამ განხილვის ანგარიშს გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ ფურცლებზე). „კროსვორდმა“ ჩვენი მზერა იმ სამყაროსკენ მიმართა, რომელიც, დაუწერელი კანონების თანახმად, საბჭოთა პროზის თემატიკისგან დღემდე შორის დგას, რადგან მასში ჩახედვა წლების მანძილზე სახელმწიფოსთვის ძირგამომთხრელ საქმიანობად ითვლებოდა. თითქოს არაფერია კონკრეტული: მოთხრობის სამყარო მოთოლოგიზებულია, მითს ავტორი ქმნის, დახატულია არა ჩვენი, არამედ დაგეროიდთა ქვეყანა, გაანზრებულია პიროვნებაზე სახელმწიფოს ზემოქმედების კლასიკური ვარიანტი — პიროვნების ტყვეობა, მაგრამ სიმბოლოები იმდენად გაჭვირვალეა, ატრიბუტები იმდენად თანამედროვეა და, შესატყვისად, — მითიც იმდენად პროზებითია, რომ მოთხრობის სახით ვხედავთ გზას, რომლითაც ლიტერატურა ხელოვნური მითოლოგიზებისგან (რებუსომანია) თავისუფლდება და საკუთრივ ჩვენი თანამედროვეობის პოლიტიკურ თემაზე პირდაპირი, უმეტაფორო, მართალი საუბრის ფორმას ესწრაფვის. დაგეროიდთა მითი გია ლომაძეს თავშესაფრად (ჩვენზე კი არა, დაგეროიდებზე) ვწერო! ალარ გამოადგება, ყველაფერი ზედმიწევნით აშკარაა და მითი არსებითად მხატვრული სისტემის ფუნქციას იტოვებს. ეს, ვიმეორებ, მთელი პროცესის მაცნეა — მწერლობა სამოსელს იცვლის: პუბლიცისტიკაში ჭრილობები უკვე გაშიშვლდა. სხვა ჟანრებში შედარებით მდორე დინებაა — ალბათ, იმიტომ, რომ ამ ჟანრებში მხატვრული სისტემა უფრო მყარია, ხოლო, რაც მყარია, ნელა მკვიდრდება და ნელადვე გვტოვებს.

„კროსვორდი“ ის მოთხრობაა, რომლის დაწერის თარიღს ავტორთან დაუკითხავად ვერ გაარკვევ. შეიძლება, სულაც შემოქმედებითი გზის დასაწყისში დაწერილიყო, რადგან ასეთი მოთხრობების გამოქვეყნებაზე მარტო ოცნება თუ შეიძლებოდა, მაგრამ თემის განვითარება და დაგვირგვინება, შინაარსობრივი და მხატვრული სტრუქტურა მაინც მიანიშნებს კავშირს ადრეულ მოთხრობებთან, რომლებიც გაერთიანდნენ კრებულში „აცი გალავანზე“ („საბჭოთა საქართველოს“ ყოფაისის ფილიალი, 1983 წ.). — აქ ახალგაზრდა მწერალმა სხვადასხვა სამყაროთა კონფლიქტური ურთიერთმიმართება მოიძია, პერსონაჟთა ვინაობაცა და რაობაც ამ კონფლიქტებში გაჩნნა.

კონფლიქტია იქაც კი, სადაც თითქოს იდილიური ბუნანი ლივლივებს: მოთხრობაში „დელფინები“ თითქოს არაფერი ხდება, სიმშვიდეა. ცოლ-ქმრის უკანასკნელი დღე ზღვაზე, ჰარმონია, გარეგნულად ტკივილში გადაუზრდელი სევდა და, საერთოდ, ზღვა, ღიმილი, ნინათლე.

ფინალი კი ასეთია:

„სოჭის უელტეხილს გადაღმა, შავიზღვისპირეთის ერთ-ერთი კურორტიდან მომავალ გზაზე, მთელი სისწრაფით მოეკანებოდა ძველი მარკის, თეთრი ფერის მანქანა. საჭესთან ახალგაზრდა კაცი იჯდა. დაძაბულად გაჰყურებდა გზას“.

გინდა, არ გინდა (იცნობ თუ არა ავტორის ხელთ ერთ სტილს), სურათის კომპონენტები (უელტეხილი, მთელი სისწრაფე, მძღოლის დაძაბულობა) ტრაგიკული შემთხვევის წინათგრძნობას აღვივებს. მაგრამ არაფერიც არ ხდება.

„მის გვერდზე, გადაწეულ სავარძელზე, ღაწლში შეფუთვნილ ქალს ეძინა. რომელიმე გზად შემხვედრი დასახლების ან ქალაქის გავლისას, ლაშქრობებიდან დაბრუნდნელი და მანქანის სალონში შემოკრული მკრთალი შუქი მის სახეს ანათებდა. ქალს ძილში სახე ულიმოდა; ლურჯად მოლივლივე, უკიდეგანო ზღვაში მონავარდე დელფინები ესიზმრებოდა“ — მოთხრობაც დამთავრდა.

მოკმედებს შინაგანი ლოგიკა. ქალ-ვაჟი ტოვებს იდილიურ სამყაროს და მიდის ყოველდღიურ სამყაროში; ქალ-ვაჟი იყო იქ, სადაც ყოფნა სურდა, და ბრუნდება იქ, სადაც. ცხოვრების კანონის თანახმად და პირადი სურვილების საწინააღმდეგოდ უნდა იყოს. იქ, სადაც უკიდეგანო ზღვაში მონავარდე დელფინები სიზმარია და არა ცხადი. ამიტომ გზა, მშვიდი, იდილიური კოორატდან მოფუსფუსე, ამღვრეულ ქალაქამდე, თავისთავად ტრაგიკული გზაა, თუნდაც ამ გზაზე „არფერი" მოხდეს. სიტუაციის გამამძაფრებელი კომპონენტები ქმნიან თანაგანცდას, რომლითაც მკითხველი პერსონაჟებს არასასურველსა და იძულებითს, ხულის გამაუცხოებელ სამყაროში, ტუვეობაში მიაცილებს.

ორმოც წელს გადაცილებული, მარტოხელა პოეტი გალავანს გადაეფლო და ვარდებიან ეზოში აღმოჩნდა, ბავშვი გაოცებით მიაჩერდა („კაცი გალავანზე"). ახე შეხვდა ერთმანეთს ორი სამყარო — მჭახე (კაცი და სუფთა (ბავშვი) სინამდვილე. შუაში გალავანია, პირველიდან მეორე არ ჩანს, მეორედან — პირველი. სათაური „კაცი გალავანზე" მთავარი გმირის ფორმულას უკვე ხსნის: კაცი ორივეს ხედავს, მაგრამ ვერც ერთით ვერ ცხოვრობს, პირველით ვერ ცხოვრობს იმიტომ, რომ არ სურს და ამიტომ არ შეუძლია, მეორეთი იმიტომ, რომ(, უბრალოდ არ შეუძლია — არც ისე და არც ახე. პიროვნება გაორებულია, მესამე გზა ახსურდია. ამიტომ კაცი განწირულია ახსუფრისთვის და ისიც ხდება — ავარია. სოციალიცეო მაგიდაზეა. თუ გულმა გაუძლო, გადარჩება, — ვარაუდობს ექიმი... თუ გულმა გაუძლო...

თავის სამყაროში (ვარდებიან ეზოში) ბავშვიც იძულებით ცხოვრობს, ორივე ფეი მოკვეთილი აქვს, უძრაკია. სხვა პირობებში ამ ეზოთი ვერ შემოიფარგლებოდა. ბავშვსაც არ უნდა იქ, სადაც არის, გასვლა უნდა, გალავნისიქითა სამყარო აინტერესებს. ისევე, როგორც კაცი, ისიც ერთ სამყაროში ცხოვრობს და მეორეს ესწრაფვის, მაგრამ ესწრაფვის განუზორციელებელს, ე. ი. ბავშვიც ტუვეა — ორი სამყარო, ორი ტუვეობაა. თითოეულს ჰგონია, რომ თავისუფლება იქაა, სადაც თვითონ არ არის, მაგრამ ორივე დასახიჩრებულია. ორივეს სახით დასახიჩრდა ოცნება, რომელიც ფაქტად ვეღარ გარდაიქმნება.

თაბაშირის კაციც ოცნების მსხვერპლია. ცხოვრობდა სამყაროში, რომელიც აღუკვეთეს ფსიქიატრიული საავადმყოფოთი შეუცვალეს. ტუვე ეძებს თანაგანცდას, ყოველ ღამე სიცოცხლისათვის საშიშ რისკზე მიდის, რათა ტელეფონით მაინც გაიგონოს, სულერთია ვინ, ალერსიანი ხმა. საბოლოოდ რისკი კლავს. აქაც ორი სამყაროა: მანონ ლასაურას მეშჩანური გარემოცვა და თაბაშირის კაცის სიცოცხლე მარტოობა, ორივე ტუვეობაა: პირველი — ობიექტისგან შეუცნობელი და ამიტომ ჯერ დაუფიქსირებელი („ღარობია არა ის, — ამბობდა სენეკა. — ვისაც ცოტა აქვს, არამედ ის, ვისაც ბევრი უნდა") და მეორე — შეცნობილი. ორ სამყაროს შორის კავშირის მარტოობის დაძლევის ვნება ამყარებს, მაგრამ ეს ვნება ერთი მხრივ, თაბაშირის კაცს კლავს, მეორე მხრივ, მანონ ლასაურას წონასწორობას არღვევს, მის სულიერ ტუვეობას ცხადდოფს და ქალიც „გალავანზე" ამყავს — მანონი შინაგანად ეთიშება თავის სამყაროს და კაცის მარტოობისკენ ისწრაფვის, მაგრამ მარტოობაში კაცის სიცოცხლე აღარ ხვდება და თუ კვლავ „გალავანს" იქით არ დაბრუნდა, ისიც სრული მარტოობისთვის განიწირება. გამომზეურებული შინაგანი კომპლექსით მანონ ლასაურა ყველგან ტუვედ დარჩება, ე. ი. ტუვეობის ზღვარი აქაც გადაულახავია, არცერთ სამყაროში, წმინდაში თუ უწმინდურში, თავისუფლება არ არსებობს, სულიერი სამყაროს განწირულება ბედისწერაა.

ბავშვის ტუვეობაში ჯერ მხოლოდ ბუნებაა, ხოლო მანონ ლასაურას, პოეტის, თაბაშირის კაცის ტრაგედია — ტუვეობის სამივე ნათელყოფა ინტელექტუალური შემეცნების დაგვიგვინებაა. მართალია, სრული თვითდადგენა მხოლოდ თაბაშირის კაცის კუთვნილებაა, ხოლო მანონ ლასაურასა და პოეტის თვითდადგენას გარეგანი ბიძგი იწყებს, მაგრამ ბიძგის შემდგომი გზა უკვე ინტელექტის, შემეცნების გზაა, მოძებნობს აზრი და არა ცხოვრება, სწორედ აზრით ამაღლება გამორიცხავს სინამდვილესთან კომპრომისს. რომ არა ინტელექტუალური აღმატება, არ დადგინდებოდა ცხოვრების ხელსაყრელი მოდელის მეშჩანური სახე, არ გაჩნდებოდა გაქცევის სურვილი, არ იქნებოდა მარცხი, ე. ი. არც ტრაგედია. ამიტომ გმირთა ტრაგედია ინტელექტუალური ტრაგედიაა, ტუვეობაც ინტელექტუალური ტუვეობაა. მისი ხუთხტანციაა სულიერი სამყაროს იდეა, რომელიც არა მარტო განუზორციელებელია, არამედ თავის საწყისშივე ბუნდოვნად გამხელილი, ე. ი. საწყისშივე დაუდგენელი.

ხოლო თვით კონტექსტი ამ ინტელექტუალური ტუვეობისა და ტრაგედიისა ურბანისტულია — ქალაქურად ცივი, უსახო, უაზრო და დამწნეხია სულიერი სამყაროს გარემოცვა („დელფინები", „თაბაშირის კაცი"), კონტექსტი მოთხრობაში „კაცი გალავანზე" ურბანისტულიცაა და ახაკისმიერიც (ახაკისმიერი — ე. ი. ისევ ინტელექტუალური შენობის უნარგამახვილებული).

ამ ადამიანებზე მეტად როდი ულხინს

იქნებ „სახედარის“ მთავარ გმირს ადამიანის მიერ შექმნილი შინაური ცხოველთა მონური მიკროსამყაროს წარმომადგენელს, მაგრამ სინამდვილესთან მას სახედრული, თვითკმაყოფილი დამოკიდებულება ახასიათებს. არ არის ინტელექტი და მონური სინამდვილეც კი შინაგან ტრაგედიას ვერ წარმოშობს. სიცოცხლის მიწურულს გაიგო სახედარმა, მონა ყოფილა, გაიგო მთვარ. თვითონაც მონები რომ ყववნენ, მაგრამ პატრონისგან გამორჩეულნი და ამიტომ თავს მონებად არ თვლიდნენ, მაგრამ სახედრის ინტელექტი მხოლოდ ამოდენა გაზვდა, რომ თავის შრომა ჯაჭვური ფუნქციით გაამართლა და ვირული სიმშვიდე შეინარჩუნა:

„—არა! მე მონა არა ვარ! — გაიფიქრა დაძინებისას სახედარმა. — მე ვმუშაობდი! მე მიწას წყალს ვასმევდი! ახლა ჩემნაირი ასმევს წყალს. მიწა წყალს ხვამს და მერე ჩვენ გვამუშებს, რომ დიდი ქვები არ დაგვაწყონ ზემოდან...“

სახედარიც ტუკეა, მაგრამ თუ მის აზროვნებას სენეკას ზემოთხსენიებული ფორმულით გავშიფრავთ, ტუკედ არ ჩაითვლება. შეუცნობელი ტუკეობა ტუკეობა არაა. ამ იგავში თავისუფალი არიან მხოლოდ სასაფლაოს ძაღლი და და ოვით სასაფლაოს მკვიდრნი. თავისუფლება სიკვდილშია.

მწვავე სოციალური და სოციალურ-პოლიტიკური განწყობილება „თუთიყუშშიც“ გამოვლინდა. აქ უკვე [illegible]. სამყაროც აღარ არსებობს, ყველა ერომანეთზე მეტად გაიძვერაა. დღესასწაულებრივ განცხრომაშია რაიონული მახსტაბის იერარქია. ცხოვრების სცენაზე მოლაპარაკე თუთიყუშია, რომელმაც კოლმეურნეობის თავმჯდომარეს — რაიონის ხელმძღვანელობასთან, ხოლო რაიონის კულტურის განყოფილების გამგეს — კულტურის სამინისტროს ხელმძღვანელობასთან გზა უნდა გაუკვალოს. ეს ყოველივე ჩვენ ვართ, ჩვენი ეშმაკობითა და ვირეშმაკობით, რომელთაც ვიზას პოლიტიკური სისტემით დაკანონებული ყოველფეხისნაბიჯა, წვრილ-წვრილი იერარქიები აძლევს. გერონტი, კოლმეურნეობი თავმჯდომარე, ცხადია, არც ამსურდულ ავარიაში მოჰყვება, სუფთა ულალტეხლსაც, რამდენჯერ სოფლის ინტერესები მოითხოვს, იმდენჯერვე, თუნდაც თვალდახუჭული, გადაიკლის და, კიდევ უფრო ცხადია, არც მანონ ლასაურასთან საუბრის ვნებას შეეწირება. მთელი მისი ტრაგედია ისაა, რაიონის ხელმძღვანელობასთან თავი რომ მოეკრა. შინაგანს ვერა, მაგრამ საზოგადოების ტრაგედიას კი ქმნიან გერონტი და მისი ზემდგომები, იმ საზოგადოებისა, რომელიც ავლდებულია, ვითარდებოდეს, რათა ცოცხლობდეს.

„კროსვორდში“ გია ლომაძის თითქმის ყველა ადრეული მოთხრობის მოტივმა და ინტერპრეტაციამ მოიყარა თავი. ყველა სამყარო, ყველა საზრისი, ყველა პრობლემა შეერთდა, გამოვლინდა. თუ სხვა მოთხრობებში ტკვეობას თავისი საზღვარი ჰქონდა, თუ ვარდებიანი ეზოს გალავანი, ხოვის უღელტეხილი, სოფლის სასაფლაოს ზღუდე შესაბამისად სიწმინდისა და უწმინდურობას, სიმშვიდისა და ჯოხს, თავისუფლებისა და მონობას ერთმანეთისგან თიშავდა, „კროსვორდში“ მოაზროვნე დაგეროიდს დაანლოებით იგივე სივრცე ერგო, რაც თაბაშირის კაცს. — იძულებითი თავშესაფარი, „ე“ რეზერვაცია — ციხე (ბრალდება აზროვნებაა — სხვა არაფერი). სიწმინდეს თავისი საცხოვრისი — ვარდები, ზღვა თუ მდუმარე სასაფლაო აღარა აქვს. იგი განწირულია, ვითარცა ჯვარცმული ავაზაკთა თანა. ორი სამყაროს დაკავშირების მცდელობა და სახე კი ლომაძისთვის ტრადიციულია. ტკვეობიდან ტკვეობაში გადასცემს პოეტი ბავშვს ზღაპრების ახალ წიგნს, ტკვეობიდან ტკვეობაში ტელეფონით ეხაუბრება თაბაშირის კაცი მანონ ლასაურას, მოაზროვნე მამა-დაგეროიდიც შვილ-დაგეროიდს წერილებს ტკვეობიდან ტკვეობაში უგზავნის. შვილი-დაგეროიდი ვერ შეიცნობს თავის ტკვეობას, ამიტომ ტკვეცაც არ ითვლება, რითაც იგი მანონ ლასაურას „პირველ ეტაპს“ ემსგავსება. თვითონ დაგეროიდთა ქალაქი „სახედარში“ დაბატულ მონურ მიკროიმპერიას ჰგავს. თაბაშირის კაცთან მოაზროვნე დაგეროიდის ნათესაობა ქვემოთაც გამოჩნდება და, თუ საწყისებს გავამარტივებთ, აღმათ უმართებულო არ იქნება, „კროსვორდის“ ორი ძირითადი საწყისი სწორედ „სახედარსა“ და „თაბაშირის კაცში“ დავძებნთ: „კროსვორდის“ გმირი — ეს თაბაშირის კაცია, რომელიც „სახედარში“ დაბატულ, ოღონდ ბევრად უფრო გავრცობილ, გაღრმავებულსა და ტოტალიზებულ სამყაროში ცხოვრობს. ამდენად, როგორც სხვა მოთხრობებში, ტკვეობა და ტრაგედია აქვს ინტელექტუალურია, თუმცა თაბაშირის კაცის ურბანისტული კონტექსტი „კროსვორდში“ პოლიტიკური კონტექსტია შეცვლილი, პიროვნება მოთრგუნულია სახელმწიფოს პოლიტიკური სისტემის მიერ, რომელსაც სჯირდება არა მოაზროვნე, არამედ გამოცალკევებული გენი — ანსოლუტური მსახური. ქალაქი, სადაც მოაზროვნე დაგეროიდი ცხოვრობს, ანსოლუტურ მსახურთა ხუთი კატეგორიის, შესაბამისად ხუთი საცხოვრებელი სარტყელისგან შედგება: „ა“ (უმაღლესი რანგის მოხელეები), „ბ“ (ინტელიგენცია), „ც“ (მშრომელთა მასა), „დ“ (მოხუცები და ავადმყოფები), „ე“ (ბორტმოქმედები) ქუჩების დაგეგმარება წრიულია და ქალაქი ობობას ქსელს ჰგავს. ცენტრში დგას დიადი დაგეროიდის მონუმენტური ქანდაკება და საცხოვრისი. მის ირგვლივ პირველ წრედ „ა“

კატეგორიაა განლაგებული, მეორე წრედ — „ბ“ და ა. შ. შენობებიც კი, პირველიდან ბოლო კატეგორიამდე, დაბლდება. ამიტომ ქალაქი უზარმაზარ პირამიდას გვაგონებს, რომლის გვირგვინს დიადი ქანდაკება ქმნის.

„დიადი“, უკვე ჩანს, რომ დიქტატორია.

დიქტატურა, უპირველეს ყოვლისა, ინდივიდუალური კომპლექსია, რომელიც, სიტუაციის და მიზეზთით, კონკრეტული შინაგანი მიზნისა და ენერგიის მიხმარებით ვლინდება. დიქტატორი თავის მოღვაწეობას საკაცობრიო, ჰუმანური მიზნებით აფერადებს, ეხეც მასების მოთრგუნვის იარაღია. დიქტატორი ქმნის ისეთ სახელმწიფოებრივ სისტემას (დიქტატურას), რომლის ერთადერთი მიზანი (სინამდვილეში) მისი ძალაუფლების შენარჩუნებაა. 70-იან წლებში ქართულმა პროზამ დიქტატორის რამდენიმე დამაჯერებელი პორტრეტი დახატა. იმ წლებში და წინა ათწლეულშიც დიქტატორის თემაზე მონოპოლიას სამხრეთამერიკელი მწერლობა ფლობდა, რასაც ამ რეგიონის პოლიტიკური სინამდვილე უწყობდა ხელს, რომ არა ამკრძალავი ტაბუ, იმ ათწლეულებშიც და მანამდეც დიქტატორის თემის კანონმდებლები, წესით, ჩვენ უნდა ვეუფლიოყავით, ეტყობა, „ტაბუც“ რომ არა, სულში მძლავრს ისე ღრმად ჰქონდა ხელები ჩაყოფილი და ყველაფერი ისე ჰქონდა ადღვებილი, რომ თემისადმი შინაგანი მზადყოფნის ენერგია მწერალში არც გროვდებოდა, ერთბაშადვე აღმოვჩნდით ამ სტადიაში, როცა ქვეყნად განუყოფელი დუნილი ისადგურებს და სიტყვაც არ ჩანს, ან საერთოდ არ არსებობს, ან თუ არსებობს, ხილულ სამყაროში შემოუღწევლად ინავლება. გია ლომაძის მოთხრობა სწორედ ამ სტადიას აღწერს. უკვე ჩამოყალიბებული ანბოლუტური დიქტატურა მძლავრობს და, არა თუ შებრძოლება, უბრალოდ, მდგომარეობის ინტელექტუალური აღქმაც კი გამორჩეული ინდივიდის კუთვნილებაა. დიადი დაგეროიდი უკვე დამკვიდრებულია და მხოლოდ შენარჩუნებისთვის ზრუნავს. ყურადღება მივაქციოთ, რომ შენარჩუნებისთვის კი არ იბრძვის, არამედ ზრუნავს — მას უკვე აქვს სისტემა, ამოცანა მხოლოდ სისტემის დაცვაა.

დიქტატურა ჩვენი ისტორიაა, მაგრამ ცოცხალი ისტორიაა, რომელიც დღევანდელობაშიც შემოღწეულია თავისი უკვე მოუქნელი სისტემებითა და მექანიზმებით, ყბადაღებული ერთსულოვნებით, პატაკობითა, ადმინისტრაციულ-მბრძანებლური მეთოდებით, მახობრივი ცენტრალიზაციით, პრობაგანდისტული ფსიქოზით... გია ლომაძის მოთხრობა მხოლოდ წარსულის კი არა, დღევანდელობის ასახვითაც გვაღელვებს — მკვდარი ისტორია ნაკლებ ამაღელვებელი იქნებოდა, საერთოდ, ზემოთ ტრადიციაზე მივანიშნეთ, მაგრამ გია ლომაძის მოთხრობა ტრადიციისაგან რამდენადმე დამოკიდებელია, ლიტერატურული წარმომავლობის ფაქტი არ არის. ამ დამოუკიდებლობის ერთადერთი საბუთადმდი ისაა, რომ „ეროსგორდი“ თავის ძირითად ნაწილში პოლიტიკურ-მბატგრული ტრაქტატია რომელიც სინამდვილეზე უშუალო დაკვირვებითაა შექმნილი და ლიტერატურისგან თემის ტრადიციას კი არა, მხოლოდ გამოსახვის საშუალებებს იღებს (ადრეულ მიაბლოგინის ანალოგად ნაწილობრივ შეიძლება გ. დოჩანაშვილის ქალაქი ეკმორა) ჩაითვალოს.

დაგეროიდთა ქალაქი დახურულია მინის გუმბათოვანი ხუფით, რითაც გარეხამყაროსთან კავშირი გამორიცხულია. ჩაკეტილი სივრცის მეტაფორა ისტორიული „ჩინის ფარდის“ ასოციაციას იწვევს. ეს ნამდვილად ჩვენია, ამგვარი მეტაფორის მოფიქრება, იქნებ, სამხრეთამერიკელის ანთებული ფანტაზიისაც განჯირვებოდა. გუმბათს იმოდენა მნიშვნელობა აქვს, რომ შრომისუნარიან დაგეროიდთა ერთი მეხუთედი მის მოვლაზე დასაქმებულა. ე. ი. დიქტატურის განხორციელება, უპირველეს ყოვლისა, გარეხამყაროსგან შემოზღუდვას საჭიროებს. დაგეროიდებს უნდა სწვამდეთ, რომ გუმბათს მიღმა ჯოჯოხეთური ცხოვრებაა, რომ თავად ისინი სამოთხეში იმყოფებიან, გარეხამყარო მათი მტერია და ერთადერთ მიზნად დაგეროიდთა ბედნიერების ხელყოფა აქვს. მათ უნდა გაანადგურონ მხოლოდ საკუთარი, ბერმეტიზებული სინამდვილე, აუცილებლად ბერმეტიზებული — რადგან ჭეშმარიტება მხოლოდ შეფარდებით მცკიცდება, შეფარდება არ უნდა დაიშვას. დაგეროიდული ბედნიერება ასეთია: დაგერიოდებს სახელები არ ჰქვიათ, იცნობიან საცხოვრებელი სარტყელით, სექტორითა და ნომრით, მაგალითად, მთავარი გმირია დაგეროიდი № 108998, კატეგორია „ც“, ქვეხეკტორი „უ“. თითოეული დაგეროიდი ცხოვრობს მხოლოდ სახელმწიფოებრივი დანიშნულებით. ამ ქალაქ-სახელმწიფოს ერთადერთი მიზანი დიადი დაგეროიდის ძალაუფლების შენარჩუნებაა. სისტემა შექმნილია თვითონ დიადის მიერ, ამ სისტემაში ღალატ სიფიზიწლედ ითვლება, დაბეზღება — მავნებლის გამოაშკარავებად, ტყუილი — სიმართლედ. ხიჩუმე — სიხარულად, ყაზარმული დისციპლინა — წესრიგად და კმაყოფილებად. მოქმედების ყველა პროგრამას საფუძვლად მაკიაველური პრინციპი — მიზანი ამართლებს საშუალებას — უძეავს მოსალოდნელი პროტესტი სიმპატომშიგე უნდა აღიკვეთოს, რასაც, ვიდრე სიმპატომი, თვითონ დაგერიოიდები იკისრებენ. დაგერიოდთა ერთადერთი მიზანი დიადის კეთილგანწყობაა და სხვა მიზანი არც უნდა გაჩნდეს. სახელმწიფო მიისწრაფვის ინდივიდის ყველი ნიუანსის ამოცნობისაკენ. „სიზმრების

კლასიფიკაციისა და დაგეროიდული ქვეცნობიერების შემსწავლელი ცენტრიც“ არსებობს. ცოლები ვალდებულნი არიან, თავიანთი ქმრების შესახებ ყოველკვირეულად ან ყოველთვიურად (კატეგორიების მიხედვით) ინფორმაცია მიაწოდონ სპეციალ საქმეთა სამმართველოს, ქალაქი მოფენილია აგენტებით, ინდივიდუალური თვისებების გამოვლინება გადაიქცევა სპეციალ საქმეთა სამმართველოს საგანგებო დაინტერესების საგნად და მთავრდება დაგეროიდის „ე“ რეზერვაციაში ჩასახლებით. დიდ დაგეროიდს ზნეობრივი სახელმწიფო ხელს არ აძლევს, რადგან თუ არა თვალთვალი, ღალატი, დასმენა, გახრწნილება, ნიუანსებში მისი წვდომის არე შემცირდება, ე. ი. სინდისი ძალაუფლებას დაკარგავს. დიდის რწმენაა, „სახელმწიფო — ეს ორგანიზებული ამორალობაა“, იახლოვებს სუსტთა და ლაჩართ, რადგან ისინი მას შესტრფიან და ერთგულებენ. ბრბოს, როგორც დიდს მიაჩნია, ფანატიზმი და ისტერია აყალიბებს, იგი ახსნა-განმარტებითა და ობიექტურობით კი არა, ძალით და დემაგოგიით უნდა დაიმორჩილო. სიმართლე იარაჯიულია, არსებობს ლაპარაკის უფლების დეკლარაცია. ყველა კატეგორიისთვის დადგენილია აზროვნების სხვადასხვა ზონა და განსაზღვრული ლექსიკური არსენალი. ნივთები ნორმატიულ და არანორმატიულ ნივთებადაა დაყოფილი — არასასურველია, მაგალითად, სახლში ცხენების სურათის ქონა, რადგან ცხენი წარხულის პრიმიტიულ გამწევ ძალადაა მიჩნეული და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის სულისკვეთებას აღარ შეესაბამება (ამავე დროს, ალბათ, დაგეროიდის სულში არასასურველი სასიცოცხლო ინსტინქტების არსებობაზეც მეტყველებს), აკრძალულია ლირიკა. ხელოვნებაში ერთადერთი მიღებული ფორმა დიადი დაგეროიდისადმი მიძღვნილი მონუმენტალიზმია: მუსიკაში — ორატორია, მარში; ლიტერატურაში — ხოტბა; მხატვრობაში — პლაკატი და ა. შ. ყველა დაგეროიდის მოვალეობაა რწმენა, ოპტიმიზმი. დაბადებიდანვე ამოკმედებული მოთრგუნვისა და სულიერი მილიტარიზაციის მექანიზმი ახაკის მატებასთან ერთად უფრო და უფრო სრულ გამოხატულებას პოულობს. საერთოდ, ყველაფერი — ხელოვნება, განათლება, არმია, ქორწინება, პოლიტიკური სისტემის განმახორციელებელი უმაღრავი სამმართველო, სპორტი, საგარეო პოლიტიკა, ხელფასის ნორმებიც კი — სახელმწიფოებრივი მიზნების გარდა, სულიდან ყველა მოცემულობის განდევნას, ადამიანში პიროვნების მოთრგუნვას და მისგან დიადი დაგეროიდის აბსოლუტური მსახურის შექმნასაა დამორჩილებული. საზოგადოებრივი ყოფიერებისა და ცნობიერების თითოეული წვრილმანზეც კი სახელმწიფოებრივი ზედამხედველობა ტოტალურ საზოგადოებრივ დიქტატურას აყალიბებს, მაგრამ სწორედ ამ ტოტალიზმის ნათელი საყოფად გია ლომაძე მის გავლენაში საზოგადოებასთან ერთად ბუნებასაც ამოლიანებს. დაგეროიდების ქალაქში ხეებს ხუთი მეტრის სიმაღლეზე კრიან, არც მეტზე, არც ნაკლებზე, მთები და გორაკები მოსწორებულია, ყვავილები კი არ იღიძინან, შემაშინებლად ფდარუნებენ, ჩიტები გაუნძრეველად სხედან — ე. ი. დიქტატურა ტოტალიზებულია მთელს გუმბათსკვეშეთზე, სიცოცხლის ზოგადი არსიდან გამომდინარე თვით მისი ბუნება, დაგეროიდში ჩაწყნსულია, მაგრამ, რათა ისევ არ წამოიწიოს, საჭიროა მთორგუნული სულის ირგვლივ მთორგუნული გარემოცვის შექმნა, არსს თვალიც ვერ უნდა სწვდებოდეს, სივრცის ჩაკეტვასთან ერთად ეს უკვე სრული კატასტროფაა.

ცოცხალია მხოლოდ ხაქმე, სული მკვდარია— ე. ი. საზოგადოება დაკეთებულია, დავიწყებულია ადამიანის ვინაობა და რაობა, მისი არსი და პირველსაწყისი. აზროვნებაც, რომელსაც დიქტატურის სულიერი პროდუქტი უნდა შეეცნო, აღარ არსებობს. ამიტომ დაგეროიდები თავს ბედნიერად გრძნობენ. უბედურია მხოლოდ დაგეროიდი № 108998, კატეგორია „ც“, ქვესეკტორი „ფ“, რადგან მას აზროვნება შერჩა, ყველაფერს ხედავს, აღიქვამს, აანალიზებს, განიცდის. მის წინაშეა ჰერმეტულად კვდომადი სივრცე, რომელიც მოაზროვნე გონებასა და მგრძნობელობითს სულიერობას ვერ უთანხმდება. ამის შეცნობით დაგეროიდი არღვევს არა მარტო თავისი კატეგორიისთვის, არამედ, საერთოდ, დაგეროიდული მახისთვის დაკანონებულ სააზროვნო ზონას.

„დაგეროიდი მღერიდა... ოდესღაც ამაყ, ბუმბერაზ მთებზე, რომლებიც გორაკებად იქცნენ... ველება, მაღალნეებიან დაბურულ ტყეებზე, პატარა ანც ნაკადულზე, რომელიც გზის ბოლოს ბლანტ, უძრავ ჭაობად იქცა... სიყვარულით გულისსამაჩქროლელ მფრთხალ ღამეებზე, უგუმბათო ცაში ლაღად მცურავ მთვარეზე... ყვავილთა ხახახა ფერებით მოკარგულ, მოკსოვილ, კაშკაშა მზის სიმხურვალით ავსებულ მინდვრებზე, ტრიალ-ტრიალითი მოფარფატე პეპლებზე... ლაჟვარდოვან ცაში თავისუფლად მოხრიალე, სწრაფ ჩიტებზე.. გაზაფხულის შხაპუნა წვიმაზე... ბავშვებზე, რომლებიც მშობლებს არ ეკუთვნიან...“

„ხაოცრად ლამაზი ტემბრის მორთოლვარეხმა ჰქონდა, უცნაური, უჩვეულო იყო ეს მელოდია დილიდან საღამომდე მარშებით აყეფებულ ქვეყანაში“.

განაჩენისთვის ეს სიმღერა იკმარებდა. გავიხსენოთ რეი ბრედბერი: ოცდამეერთე საუკუნის მოკაჭალაქეს ქუჩაში მშვიდად, ადამიანურად წერირნობის გამო აპატიმრებენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოვიყვანოთ ციტატა „თაბაშირის კაციდან“

„— რატომ ხართ უარყოფილი?

— თქვენ სულველამ მარტოობა მომისაჯეთ!— მშვიდად თქვა უცნობმა.

— რატომ? — ამ უეცარმა გადახვევამ დაბნია ქალ-შვილი.

— რატომ? — გაიმეორა კაცმა სევდიანი ხმით, — რატომ? მე ხომ ხაოცრად მიყვარდა ბელურა ზამთარში, ჩემი ფანჯრის წინ რომ იჯდა გალავნის თავზე, მობუზული და დაღვრემილი... მე ხომ ხაოცრად მიყვარდა მოხუცი, ადრე გაზაფხულზე ჩემი ქუჩის კუთხეში ფერმკრთალი, ხათუთი იების მოწყვეტილ სიცოცხლეს რომ ყიდდა გროშების ფასად თავისი უბადრუკი ცხოვრების გასახანგრძლივებლად. მე ხომ ის პაწია ვახაკაც მიყვარდა, ერთხელ ზაფხულის თბილ, ჯადოსნურ ღამეში რომ შემომხვდა ხადღაც ხტუნვით მიმავალი და ტროტუარის კიდეზე ახტომას ლამობდა...

— ვერ გავიგე, — თქვა ქალიშვილმა.

— ვერავინ გამიგებთ, ვინც მანდ ხართ! — თითქმის იყვირა უცნობმა“.

დაგერიოდისა არ იყოს, თაბაშირის კაცსაც ხაინვენტარიზაციო ნომრით ცნობენ, სულიერად იგი არ ხჭირდებათ. ორივე მარტხულია, ორივეში ცოცხლობს ხამყაროს თვალები — ბავშვი, რომელსაც შეუძლია, ყოველდღიური გარემოცვის მიღმა მარადიული სინათლე დაინახოს და შეიმეცნოს... მარტოობა არ შეუძლიათ და ხამყაროსთან კონტაქტს ეძებენ. თაბაშირის კაცი ამას ტელეფონით ცდილობს, თავისი აზრებისა და სიმღერის გამო დაპატიმრებული დაგერიოდი კი შვილისთვის მიწერილი წერილებით. დაგერიოდიც დამარცხდა. შვილი, რომელიც ეიმედებოდა და არც ეიმედებოდა, მაგრამ სხვა გზას ვერ ხედავდა და ამიტომ მიმართავდა, დაგერიოდული კომპლექსით აღუზრდიათ. შვილი მამის წერილებს წაიკითხავს, მაგ. ხაშინაო ხაქმეთა ხამმართველოს უახლოესი ოთ. ოდენ პუნქტს ჩაბარებს და დაგერიოდული მარშს აკომპონენტური ყაზარმისკენ გაემართება, ხადაც უკვე მეხუთე წელიწადი იყო. რაც ხამხედრო ხამსახურს გადიოდა. მოაზროვნე დაგერიოდის უკანასკნელი, მთელი მისი ცხოვრების დამტევი ძალისხმევა ამაო აღმოჩნდა... „კოსვორდში“ სინათლის ხაზი, დაგერიოდულ წყვდიადში მამიდან შვილს მაინც რომ უნდა გადასცემოდა, გაწყდა. შვილმა მამა უარყო. დაუსწრებელ კონფლიქტში მამამ გადვიძეული წარსული და აუცილებელი მომავალი გაითამაშა. შვილმა — უაზრო აწმყო და ხაშში მომავალი. ავტორმა ახპარეზი ხაშიშ მომავალს დაუტოვა და იგი მამის მკვლელის მეტაფორით ააფიქსირა, ოპტიმიზმის ყველა ნოტი წაშალა, რითაც ერთადერთ მართებულ ფინალს მიაგნო. რადგან მკითხველის თანაგანცდას გამომაფხიზლებელი შეძრწუნება უფრო ჭმნის, ვიდრე დამამშვიდებელი და მომადუნებელი „ოპტიმიზმი“. ასეთი ოპტიმიზმი ბანგია; ქვეყანა, რომელიც გია ლომაძემ დახატა, სწორედ დაგერიოდული ოპტიმიზმითაა ნაშენები. ამის შეცნობა და შეცნობით გამოწვეული აფორიაქება მოაზროვნე დაგერიოდში განხახოვნებულ აუცილებელ მომავალს გარდაუვალ მომავლად გვიპროგრამებს, რადგან ჩვენი ხაზოგადოების პოლიტიკური მესია მხოლოდ ჰუმანიზმია. „თაბაშირის კაცსა“ და ხხვა მოთხრობებში ბუნდოვნად გამხელილი სულიერი ხამყაროს იდეა „კოსვორდში“ ხამართლებრივი ხახელმწიფოს კონცეფციაში გამოიხატა. კონცეფცია კი თავისებური მხატვრული ვარიანტით ჩამოყალიბდა: გია ლომაძემ გვაჩვენა, რა არ უნდა იყოს, სიტყვაც არ უთქვამს მასზე, რა უნდა იყოს... რა უნდა იყოს, ირკვევა იმის შეცნობითაჩ თუ რა არ უნდა იყოს.

ლეო ქიაჩელის ერთი მოთხრობის გამო

ქართულ კრიტიკაში გავრცელებულია აზრი, რომ ლეო ქიაჩელი შემოქმედების ადრეულ ეტაპზე განიცდიდა ევროპული დეკადენტური მიმდინარეობების, კერძოდ, იმპრესიონიზმის გავლენას. ცნობილია, რომ იმპრესიონიზმმა, რომელიც XIX საუკუნის ბოლოს ჯერ საფრანგეთში ჩამოყალიბდა ფერწერულ მიმდინარეობად და შემდეგ საუკუნეების გასაყარზე დასავლეთ ევროპის ხელოვნების ერთგვარ ეპოქალურ ტერმინად იქცა, ლიტერატურაში ყველაზე სრულყოფილ განვითარებას მიაღწია ავსტრიაში, კერძოდ კი ვენაში. სადაც იგი გაფორმდა როგორც ლიტერატურული მიმდინარეობა „ახალგაზრდა ვენის" დაჯგუფების მწერალთა მიერ. ამ დაჯგუფებას ეკუთვნოდნენ ისეთი ცნობილი (უმეტესად ებრაული წარმოშობის) მწერლები, როგორებიც არიან არტურ შნიცლერი, ჰუგო ფონ ჰოფმანსტალი, პეტერ ალტენბერგი და სხვ. „ახალგაზრდა ვენის" იდეური ხელმძღვანელი და თეორეტიკოსი კი იყო ჰერმან ბარი, მან ჩამოაყალიბა იმპრესიონიზმის თეორიული პროგრამა და მის ფილოსოფიურ საფუძვლად აღიარა იმ დროს აღმოცენებული ემპირიოკრიტიციზმი. იმპრესიონისტული ლიტერატურის დამახასიათებელი ნიშნებია უკიდურესი სუბიექტივიზმი, მკვეთრი ინდივიდუალიზმი, მწერალი არ ახდენს სინამდვილის ობიექტივიზაციას, ხატავს ადამიანს, რომელიც აღარ არის მარმონიული პიროვნება, მისი არსება გაორებულია, მისი „მე" გახლეჩილია. ერთმანეთს უპირისპირდება დღეკანდელი დღით მცხოვრები ადამიანი და მისი მისწრაფებებისა და სურვილების მატარებელი მეორე „მე". წამიერი და მარადიული მის ცხოვრებაში, რეალური და ირეალური, განსჯა და გრძნობა, სინამდვილე და წარმოდგენა. უკვე შეგნებულად პოულობს ასახვას ლიტერატურაში ორეული, ანარეკლი, ადამიანის მეორე „მე". იმპრესიონისტული გმირი უმეტესად ტრაგიკული პიროვნებაა, რადგან სინამდვილისა და წარმოდგენის შეჯახება მასში იწვევს უკიდურეს პესიმიზმს, უიმედობას, სევდას, რომლის დაძლევაც მას ალარ ძალუძს, მაგის ხატულებით რომ ვთქვათ, მისი „მე" დაღუპულია. ერთადერთი გამოსავალი, რეალური, ხელშესახები მომენტი მის ცხოვრებაში მხოლოდ სიკვდილია, იგი ადამიანისთვის სასჯელიც არის და ხსნაც. რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, ლეო ქიაჩელი გერმანულ ენაზე ვერ გაეცნობოდა ავსტრიელი იმპრესიონისტების შემოქმედებას, მაგრამ მისი ადრეული ნოველების მიხედვით სავარაუდებელია, რომ მისთვის უცხო არ იყო ის ლიტერატურული გარემო და ესთეტიკური მსოფლმხედველობა, რომელსაც მოეცვა საუკუნეების გასაყარის ევროპა. მისი მოთხრობა „შეურაცხყოფილი" კი გვაძლევს უფლებას ვიფიქროთ, რომ ლეო ქიაჩელს შეხების წერტილი უნდა ჰქონოდა იმპრესიონისტულ მსოფლმხედველობასთან.

„შეურაცხყოფილი" მოგვითხრობს ერთ „პიკანტურ" ამბავს, თუ როგორ მოეჩვენა ახალგაზრდა სტუდენტს მეზობელ ოთახში ფარდის შრიალი ქალის მოძრაობად. მან ნათლად წარმოიდგინა, თუ როგორ ემზადებოდა ქალი დასაწოლად და ამ წარმოდგენამ ისე იმოქმედა მასზე, რომ თვითონაც ვერ გაიგო, როგორ აღმოჩნდა მეზობლის ოთახში. მხოლოდ მაშინ აღმოაჩინა, რომ ყველაფერი ეს მოჩვენება იყო და არა სინამდვილე. თავისთავად ეს ამბავი არაფერით იქნებოდა ღირშესანიშნავი, რომ არა ის შესაფალი, რომლითაც იწყებს თხრობას მთავარი გმირი. „ამბანაგებო, არსებობს თუ არა მოვლენა, გინდ ქვეყნიერება თავისთავად, ან როგორც გერმანელები იტყვიან, an sich, თუ იგი ჩვენი ფანტაზიის ნაყოფია? რანაირია იგი თავისთავად და რანაირია იგი, როგორც ჩვენი ფანტაზიის ნაყოფი?" მწერალი აქ ერთმანეთს უპირისპირებს მოჩვენებას, ილუზიის და სინამდვილის ცნებებს და მათთან კავშირში მსჯელობს ზუსტად ისე, როგორც ჰერმან ბარი თავის 1903 წელს დაწერილ ცნობილ ესსეში „იმპრესიონიზმი"; ბარი იდეალურად მიიჩნევს ბავშვის ნაივური აღქმას, რადგან მოზრდილი ადამიანი უკვე ცოდნითაა დამძიმებული, არ ენდობა საკუთარ თვალს და ცდილობს აღქმის სხვა ორგანოების საშუალებით, აზროვნების, განსჯის ჩართვით შეაჩეროს მხოლოდ თვალით აღქმული სინამდვილე, შეიტანოს ცოდნა მის შესახებ. იგი აღწერს შემდეგ სიტუაციას: ბავშვი ხედავს დედას, რომელიც ბაღში, ბუჩქებში სეირნობს და მამას ეუბნება, შეხედე, დედას მწვანე ცხვარი აქვსო. მამა პასუხობს, გეჩვენებაო. „იგი, სანამ გააცნობიერებდეს საგანს, გამოცდილებით მას

უკვე ფორმაშეცვლილს ხედავს. თვალი გვაცნობებს: ცხვირი მწვანეა, მაგრამ მაშინვე ჩაერთვება გამოცდილება: ცხვირი მწვანე იმიტომ ჩანს, რომ მის გვერდით მყოფ ბუჩქს მწვანეფიანება". ადამიანის ცოდნა ბადებს ასეთ მსჯელობას. მართალია, ცხვირი მწვანე ჩანს, მაგრამ მე ხომ ვიცი, რომ იგი „სინამდვილეში" მწვანე არ არის. აქ ბარი სვამს კითხვას: „მაინც როგორია იგი „სინამდვილეში"? ლამპის შუქზე იგი წითელი იქნება ან ისისფერი, სანთლის შუქზე ყვითელია ან თეთრი. მაშ როდისღაა იგი „ნამდვილი"? ფაქტიურად არასოდეს. კომიკური ისაა, რომ ჩვენ სინამდვილეში საგანს ვერასოდეს დავინახავთ ისე, როგორც გონება გვეუბნება, რომ ის ნამდვილიაო?" ახლა ვნახოთ, თუ როგორ მსჯელობს ქიაჩელის გმირი თავის შემოთ დასახელებულ მოთხრობაში: „თუ ფანქარი თვალწინ დავიბირეთ ჭაერში, იგი სწორი გვეჩვენება. თუ წყალში ჩავდვეთ, დაქანებული, მოღუნული გვეჩვენება. უკანასკნელ შემთხვევაში ამბობენ: ფანქარი მოღუნული ჩანს, მაგრამ ნამდვილად იგი სწორიაო. მაგრამ რა საბუთით ვუწოდებთ ერთ ფაქტს სინამდვილეს, ხოლო მეორეს — ილუზიას? რომელია უფრო მართალი?"

სწორედ ეს კითხვა აინტერესებს ავტორს გადმოცემულ ამბავთან მიმართებაში. „იქნებ ის, რაც ჩვენ ასე გვაზიდავს ცხოვრებაში, რაც ამდენ აღტყინებას იწვევს ჩვენში და ხშირად თავსაც კი გვაწირინებს, თავისთავად არაფრად ღირდეს და ისეთი სრულიად უმნიშვნელო რამ იყოს, ვთქვათ, როგორც ჩხრიის გატეხვა ან ღია ფანჯარაზე ჩამოფარებული ფარდის შრიალი ნიავის გაკრიალებაზე". — სწორედ ესაა იმპრესიონისტული ლიტერატურის ერთ-ერთი მთავარი კრედიტი. იმპრესიონისტული გმირისთვის ტრაგედიად სწორედ ის იქცევა, რომ ილუზია, რომელშიც ის ცხოვრობს, სიზმარი, მოჩვენებითი სამყარო, რომელშიც ის თავს კარგად გრძნობს, მართლა სიზმარია, მართლა ილუზიაა და რეალური სამყარო სულ სხვანაირია. იმპრესიონისტული გმირი ამ სიზმარს, ილუზიას, მოჩვენებას, აღიქვამს როგორც რეალური ცხოვრების გაგრძობას, გაგრძელებას, როგორც უფრო რეალურს, ვიდრე თავად რეალობაა, მაგრამ როდესაც ამ რწმენის დათმობა უხდება, ძალა აღარ ჰყოფნის სინამდვილეს თვალი გაუსწოროს და მის ცხოვრებას აზრი ეკარგება, იქცევა ტრაგედიად, რომელიც მხოლოდ სიკვდილით შეიძლება დამთავრდეს. არტურ შნიცლერთან სიზმარი გააზრებულია როგორც სურვილი, ოცნება (გერმანული სიტყვა der Traum ამ ორი მნიშვნელობის მატარებელია. სიზმარი, როგორც ძილის თანმხლები მოვლენა და როგორც ოცნება, ნატვრა, უდიდესი სურვილი — შნიცლერთან der Wachtraum იყოფა ამის შესაბამისად ორ კატეგორიად: ღამის, ძილის სიზმარი და ფხიზელი ადამიანის სიზმარი. შნიცლერიც უდრის ოცნებას, ნატვრას, ეს უკანასკნელი ასახავს ისეთ მდგომარეობას, როდესაც ადამიანი ფხიზელია, მაგრამ ჩაფლულია წარმოდგენებში, გამოთიშულია გარემოსაგან, რაკეტკინა საკუთარ თავში და კონტაქტი სამყაროსთან, რომელიც მისი ცნობიერების მიღმა არსებობს, გაწყვეტილია. სწორედ ასეთ შემთხვევასთან გვაქვს საქმე ქიაჩელის მოთხრობაში. მოთხრობის თავში ნახსენები (Ding) an sich, კანტის დამკვიდრებული ტერმინია. მაგრამ აქ ეს ცნება გააზრებულია ისე, როგორც იგი გაიაზრეს მახმა და ავენარიუსმა თავიანთი ემპირიოკრიტიკიზმისთვის, რომელიც შემდეგ მიჩნეულ იქნა იმპრესიონიზმის ფილოსოფოსად. ქიაჩელს მიზნად არ დაუსახავს კანტის ფილოსოფიასთან დამოკიდებულების გარკვევა. მისი მიზანი უკეთ მოჩანს მსჯელობაში ფანქრის შესახებ და ერთადერთი კითხვა, რომელიც მას აინტერესებს ისაა, თუ რა უფრო ნამდვილია, რა უფრო მნიშვნელოვანია. ის, რაც მთხრობელს „მოელანდა", ან უფრო სწორად, თავად შეთხზა, თუ ის, რაც მან ოთახში შესვლისას აღმოაჩინა.

მოთხრობის აგებულებაში სამნაწილიანი პლანი იკვეთება: აზრები, წარმოდგენა, რეალობა. ჩვენ განვიხილეთ ის აზრები, რომელთაც ავტორი გამოთქვამს კომენტარების სახით და რომლებიც იმ მიზანს ემსახურებიან, რომ მკითხველი სწორად, ავტორის სურვილისამებრ განაწყოს ამბის მიმართ. ჩვენი აზრით, ქიაჩელი ბოლომდე არ ენდობა მკითხველის ცოდნას და აშკარად ამყღავნებს სურვილს, ამბავი ზუსტად იგი გაიგოს მკითხველმა, როგორც თავად ჩაიფიქრა.

მოთხრობის ძირითადი ნაწილია წარმოდგენა, ანუ სიზმარი ცხადში, ანუ ილუზია, მოჩვენება, რომელიც ისეთ ვნებათაღელვას იწვევს მთხრობელში, თითქოს იგი ნამდვილი იყოს.

ყველანაირი წარმოდგენა მაინც რეალურ საფუძველს ეყრდნობა. მხოლოდ ისეთი რამ შეიძლება წარმოიშვას ცნობიერებაში, რაც ადრე გონებაში გაუვლია ადამიანს. ფანტაზიის უნარი აქვს, გადაასხვაფეროს ცნობიერებაში შექმნილი ხატი, მაგრამ ფანტასტიური წარმოდგენაც სინამდვილის ელემენტებისგან შედგება. „შეურაცხყოფილში" აღწერილი ფანტაზიის საწყისი იმ გაურკვეველ შიშში უნდა ვეძებოთ, რომელიც ილიოს ეუფლება ახალი მეზობლის გაჩენასთან ერთად. გარდა ამისა, ილიოს ხილვაში არაფერია ისეთი, რაც სინამდვილეში არ შეიძლებოდა მომხდარიყო. ამდენად, მისი წარმოდგენა შეიცავს სურვილის ელემენტსაც, რომელიც ქვეცნობიერად მეზობელთან პირველი შეხვედრისთანავე ებადება. წარმოდგენა აქ გადმოცემულია „გაბნცდილი

წუთის", „განცდილი დროის" სახით, რომელსაც ავტორი ბაზს უსვამს შენიშვნებით: „მესმოდა", მართალი გამოდგა", „დავინახე". თუკი აქა-იქ, განსაკუთრებით, დასაწყისში, მთხრობელი მაინც ბმაორბს ფორმებს: „უთუოდ", „ალბათ", „რა უნდა იყოს?", ისინი იმ წუთშივე ბათილდება ილიკოს რწმენით, რომ სწორად ხედავს ყველაფერს და ბოლოს წარმოდგენა უკვე ისე მბაფრდება, რომ ეკვის ნიშანწყალიც აღარ რჩება. გარდა ჭალის მოქმედებისა, სუბიექტურადაა გადმოცემული ის გარემოც, რომელშიც მოქმედება ხდება, ის ოთახიც წარმოდგენითაა გადმოცემული, ოთახის აღწერილობა არ ეურდნობა მთხრობელის წინასწარმიღებულ ცოდნას, ყოველ შემთხვევაში მოთხრობაში არაფერია ნათქვამი იმის შესახებ, რომ ილიკო იმ ოთახში ნამყოფი იყო. ილიკოს წარმოდგენა, რომელიც განცდილ დროდ აღიქმება, ეწინააღმდეგება მის გადაწყვეტილებას, სმენა შეაჩვიოს ხმაურს და წარმოშობს თვისებრივად ახალ, ასოციაციურად მთლიან სურათს. მის წარმოშობაში გადამწყვეტი როლი ენიჭება ქვეცნობიერს და არა გაცნობიერებულ სურვილს, რომელზედაც ზემოთ ვილაპარაკეთ. მაგრამ „სიზმარი" უსასრულო არ არის და ილიკო ვნების კარნახით, მოულოდნელად გაჩნდება ჭალის ოთახში. თავად ავტორი ამ ფაქტს ახე აღწერს: „ახლა მწამს: რასაც კი ზღაპარში იტყვიან, ყველაფერი მართალია, კაცს ყველაფერი შეუძლია, და ზღაპარიც ნამდვილზე უფრო ნამდვილია ყოველთვის. ზღაპარში, ალბათ გაგეგონებათ:

„— სული შეუბერა, კარი გაიღო. სწორედ ესეც მოხდა. — ის კარიც თითქოს სულის შებერვივით გაიღო. მე თვითონ არ მიგრძვნია. არ შემინიშნავს, როგორ მოხდა..." (გვ. 356) და აქ ელოდება ილიკოს იმედის გაცრუება. ამ ფაქტს უნდა მოჰყვეს მისი რეაქცია, რომელმაც ბუნებრივად უნდა დაასრულოს ამბავი.

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, იმპრესიონისტულ-ლიტერატურის მგრეები იღუპებიან იმის გამო, რომ აწყდებიან სინამდვილის და ილუზიის დაპირისპირებულობას. მაგრამ რადგანაც მათი ილუზიური ცხოვრება მათივე ცნობიერებით საზრდოობს, ქვეცნობიერად ყოველთვის გრძნობენ ამ ცხოვრების არარაობას და ასევე ქვეცნობიერად ატარებენ სიკვდილის სურვილს, როგორც ხსნას, როგორც ველას, როგორც უკანასკნელ დასაყრდენს. ერთი სიტყვით, მათი „მე" დაღუპულია, განწირულია.

სრულიად საწინააღმდეგო განწყობასთან გვაქვს საქმე ლეო ქიაჩელის მოთხრობაში. ისევ და ისევ მოთხრობის „ფილოსოფიური" შესავალი მიგვანიშნებს, რომ ეს ამბავი მხოლოდ ერთი „პიკანტური" ეპიზოდია მთხრობელის ცხოვრებიდან და არა მისი განწყობის ტიპიური ნიმუში, ამიტომ მისი რეაქცია სინამდვილესთან შეჯახებისას არის მხოლოდ შეურაცხყოფის გრძნობა: „რატომღაც ისე შეურაცხყოფილად ვიგრძენი თავი, ისე საშინლად შეურაცხყოფილად, რომ მტერსაც კი შევეცოდებოდი..." (გვ. 356).

ეს ისეთი შეურაცხყოფაა, რომელიც თავმოყვარეობაზე მოქმედებს, მაგრამ ცხოვრების რწმენას ვერ გაგიტეხავს, ერთი სიტყვით, ტრაგედიად არ იქცევა. აქედან აიხსნება ის დამოკიდებულებაც, რომელიც მთავარ გმირს უჩნდება საკუთარი თავგადასავლის მიმართ, იგი ახერხებს დროის დისტანციიდან ფილოსოფიურად შეაფასოს ამბავი. ამდაგვარად, შეიძლება ითქვას, რომ ლეო ქიაჩელი იმპრესიონიზმის მეთოდს იყენებს წმინდა ლიტერატურული ცდის დონეზე და ეს ცდა არ ემსახურება იმპრესიონისტულ-დეკადენტური განწყობილების შექმნას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარგარიტა გოგოლაშვილი

ჩერნობილის ტრაგედიის სცენური ანარეკლი

ვ. გუბარევის პიესა „სარკოფაგი", რომელიც უკვე საკმაოდ გახმაურდა მთელ საბჭოთა კავშირში, რუსთავის სახელმწიფო დრამატულ თეატრშიც დაიდგა და ნახა თბილისის მაყურებელმაც. სპექტაკლი დადგა თეატრის სამმახვრო ხელმძღვანელმა, საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ, კოტე მარჯანიშვილის სახელობის პრემიის ლაურეატმა თ. მესხმა, მხატვარია — საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვარი — ა. ჭელიძე, მუსიკალურად გააფორმა — ლ. იმნაიშვილმა. სპექტაკლში მონაწილეობს ქ. რუსთავის სამუსიკო სასწავლებლის გოგონათა გუნდი თ. ჯანელიძის ხელმძღვანელობით.

ამჯერად გვინდა მკითხველებს გავუზიაროთ შთაბეჭდილება რეჟისორთან დიალოგის სახით.

— ბატონო თამაზ, პირველი შეკითხვა შეიძლება გეჩოთიროთ — რატომ აირჩიეთ ეს პიესა დასადგმელად? ეს იყო შემოქმედებითი მრწამსი თუ კონიუნქტურა?

— გულახდილად მოგახსენებთ, კარგა ხანია თეატრში ვმუშაობ და მჭონია შემთხვევა, როდესაც კონიუნქტურის გამო იშვიათად, მაგრამ მაინც დამიდგამს ესა თუ ის ნაწარმოები, მაგრამ ეს ისეთი შემთხვევა არ გახლავთ.

მოგეხსენებათ ამ პიესის ავტორია მწერალი და დრამატურგი, სსრკ სახელმწიფო პრემიის ლაურეატი ვლადიმერ გუბარევი. იგი, როგორც გაზეთ „პრავდას" კორესპონდენტი მუშაობდა ჩერნობილში და გარდა იმისა, რომ იმ გარემოში უხდებოდა ცხოვრება, იქ მომხდარი ავარიის მოწმეც იყო.

ჩერნობილში მომხდარმა აფეთქებამ დიდი რეზონანსი გამოიღო, რაც ჩემი ღრმა რწმენით თაობებსაც უნდა გადაეცეს არა მარტო როგორც ტრაგიკული ფაქტი, არამედ მოსალოდნელი გენეტიკური შედეგების სახებიც. ჩემი ფიქრით, ჩერნობილის ავარია არანაკლებ ტრაგიკული იყო, ვიდრე ხიროსიმასი და ნაგასაკისა...

მომავალი ცხოვრება ცივილიზაციის გარეშე წარმოუდგენელია, მაგრამ ამას სჭირდება მეტი გონივრულობა, დაფიქრება, პასუხისმგებლობა, დიახ, პასუხისმგებლობა — ამაზე, თეატრმა, როგორც ცხოვრების ნაწილმაც, უნდა თქვას თავისი სათქმელი.

პიესის იდეამ გაგიტაცათ?

— დიახ. ჩვენ ახლა სხვა ეპოქაში ვცხოვრობთ. ამ პიესაში, რომელსაც ავტორმა „სარკოფაგი" დაარქვა მე მომხიბლა ადამიანების მიერ უგუნურობით დაშვებული შეცდომების, საქციელისა და მისით გამოწვეული შედეგების ანალიზის ფილოსოფიამ. ჩვენ ვიჩქარით, ვიღებთ ვადაზე ადრე შესრულების ვალდებულებებს, ვისწრაფვით პრემიებისთვის... მაგრამ რა აზრი აქვს ისეთ სიჩქარეს, რომელსაც შეიძლება მოჰყვეს ადამიანთა მსხვერპლი? ადამიანის მაღალი დანიშნულება ხომ ისეე და ისევ ზრუნვა და ფიქრია კვლავ ადამიანისავე სიცოცხლის შესანარჩუნებლად, გასახანგრძლივებლად... აი, როდის გვჭირდება გონიერება!

— ალბათ, დამეთანხმებით, რომ ამ პიესაში არ არის ტრაგედიისთვის დამახასიათებელი მკვეთრი კოლიზიები, ინტერესთა შეჯახებები, ეს ჩვენი ცხოვრების სინამდვილეზე შეგქმნილი ტრაგედიაა, გამოწვეული მავანისა და მავანის შეცდომით, გულგრილობით, უპასუხისმგებლობით.

— მართალი ბრძანდებით. ამ პიესაში არ არის ნაჩვენები ცხოვრებისეული კონფლიქტები და ბრძოლები, აქ წამოწეულია მორალური და ეთიკური პლასტები და ჩვენც ვცდილობდით შეგვექმნა ერთგვარი ზნეობრივი გაკვეთილი.

— სავსებით ნათელია თქვენი და მთელი დამდგმელი ჯგუფის კონცეფცია, რაც თქვენს სპექტაკლში ემოციურ კონდიციამდე ადის.

ახლა კი შინდა მოკლედ აღვწერო რა ხდება სცენაზე და ვთქვა ჩემი შთაბეჭდილება:

რადიაციული უსაფრთხოების ექსპერიმენტულ კლინიკაში ჩვეულებრივი სამუშაო ატმოსფერო სუფევს... უცებ გაისმის აფეთქების საზარელი ხმა და ავარდება უზარმაზარი, ყველაფრის შთანთქავი ალი! იწყება განგაში. აქვე უნდა ითქვას, რომ მხატვარ ა. ჭელიძის მიერ შერჩეული განათება და ლ. იმნაიშვილის მუსიკალური გაფორმება ქმნის ზარის ილუზიას, რომელიც, როგორც სცენაზე, ისე მაყურებელთა დარბაზში ამკვიდრებს სულიერი მღელვარების ატმოსფეროს. დიახ, მთელი სპექტაკლის მამოძრავებელი ძალაც ეს განწყობილებაა, რომელსაც მსახიობები აღრმავებენ და ამძაფრებენ. ჩანს მოულოდნელობით რომ ყველა დაბნეულია. სცენაზე შემოდიან სნეულები, რომელთაც დახმარება, მოვლა სჭირდებათ. ზოგიერთს ვერც გაუგია რა მოხდა, რა ელით. ასეთ დაბნეულობაში გამოჩნდება პროფესორი ლიდა პტიცინა — ლ. ზოთაძე, მისი ლიდა, შესანშნავი სპეციალისტი, გონიერი და ზორსმჭვრეტელი მანდილოსანი, დიდი სიმშვიდითა და თავშეკავებულობით ხვდება მოულოდნელ ტრაგედიას; მას კარგად ესმის შექმნილი საშიშროება და ცდილობს ყველას შეუნარჩუნოს სულიერი სიმხნევე. მსახიობი ფსიქოლოგიური აღლოთი, დინჯი მოძრაობითა და მეტყველი პაუზებით აწონასწორებს დაძაბულობას და დამაჯერებლობას ანიჭებს ექიმი ჭალის იერსახეს.

ლ. მიშველიძე — შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალი, თანდათანობით ანვითარებს პერსონაჟის ხასიათს, რომელიც მერეღა რწმუნდება თავის ბრძანების უაზრობაში და ერთგვარად თითქოს ცარიელდება კიდეც. ჯ. გაგნიძეს გმირი — ფიზიკოსია. მსახიობი ცდილობს შეინარჩუნოს სოლიდურობა, რასაც აღწევს კიდეც. ოპერატორი — ი. ბალიაშვილი გაბედულად შედის (მოვალეცაა!) კატასტროფის სერიოზულ ზონაში. იგი თამამად, ურყევად ასრულებს თავის მოვალეობას და იმავ დროს გარკვეულ უარეყოფით დამოკიდებულებას ამყალავნებს იმათ მიმართ, ვისი მიზეზითაც მოხდა ეს უბედურება. საოცრად მშვიდი და ერთგვარად არხეინიკია ატომური ელექტროსადგურის უფროსი ო. სეთურიძე, ვერაფერით რომ ვერ გარკვეულა მოვლენებში, მიამიტურადაც კი უყურებს მოვლენებს, დარ უბედურებას და ვერაფრით ვერ გრძნობს დანაშაულს. საინტერესოდ წარმოადგინა ჯ. მაზიაშვილმა პროკურორის სახე. ერთი შეხედვით მშვიდი, მაგრამ შინაგანად შეძრული მისი გმირი ცდილობს გონიერულად და ძირფესვიანად გიერკვეს მომხდარი უბედურების არსში. ასევე შთამბეჭდავია ბესსმერტნი — ლ. ფილფანი, რომლის გმირიც საბედისწერო დასხივების მსხვერპლია, მაგრამ ოპტიმიზმი არ დაუკარგავს, თუმცა დრო და დრო ირონიულიცა და ყველაზე უკეთ ესმის რა უბედურება დატრიალდა წინდაუხედაობის შედეგად, გულისხმიერი და მოწყალეა ახალგაზრდა, შინაგანად სავსე ექიმი ანა — ნ. მუხულიშვილი, მოულოდნელ დროსაც კი, როდესაც ირღვევა ადამიანთა ურთიერთობების და საერთოდ ცხოვრების რიტმი, იკრებს ძალას იყოს მშვიდი და კეთილმოსურნე. ამ ანსამბლური სპექტაკლის ტრაგიკულ ფერადობას აძლიერებენ დეიდა კლავა — ვ. ნეფარიძე, ახალგაზრდა ექიმები: ვერა — მ. მაკარაშვილი, ნადეჟდა — ლ. მიმინოშვილი და ლუბა — ლ. კალანდაძე, ველოსიპედისტი — ს. კიკნაძე, მეხანძრე — ვ. ჯოკრაშვილი, დოზიმეტრისტი — შ. სხირტლაძე, ინსტიტუტის თანამშრომლები — გ. ტუღშელაშვილი, ნ. კოკოლიშვილი, მ. ამდუშელიშვილი და სხვ. ბესსმერტნის სიტყვები რომ მოვიშველიოთ: „ავტორმა და თეატრმაც ეს სპექტაკლი უძღვნა „ყველას, ყველას, ვინც თავისი სიცოცხლისა და ჯანმრთელობის ფასად ჩააკრო ჩერნობილის ბირთვული ცეცხლი!"...

დღეს, როცა ჩვენი საზოგადოება თვალს უსწორებს სიმართლეს, როცა ხალხის ზნეობრივ აღორძინებას საფუძვლად პირუთვნელობა და საჯაროობა უდევს, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ადამიანის სულიერ ძალთა შესაძლებლობების ჩამოყალიბება-გამომეძღვნება, პასუხისმგებლობის გრძნობის ამაღლება, სიფხიზლე, ჰუმანურობა, თქვენც უთუოდ ეს გამოძრავებდათ, ბატონო თამაზ, ხომ?

— მართალი ბრძანდებით, სწორედ ამ რწმენით დაიდგა „სარკოფაგი" რუსთაველ თეატრის სცენაზე, რადგან ჩერნობილი საკოველთაო, საკაცობრიო სატკივარი და საზრუნავია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოლო ხანს ჩეხურ ლიტერატურაში სხვადასხვა საინტერესო ყურნალი და თემატური მიმართულებები წარმოიქმნა. ჩეხური პუბლიკა მომთხოვნი მკითხველისაგან შედგება. სიამოვნებით კითხულობენ ისტორიულ, ბიოგრაფიულ პროზას, მეცნიერულ ფანტასტიკას, ინტერესით ეკიდებიან წიგნებს ხელოვნების სხვადასხვა სფეროებზე. მეტად პოპულარულია სოციალური რომანი, საერთოდ, პროზა, რომელიც თანამედროვეობას ეძღვნება, სადაც ავტორები თანამედროვეობას ეძღვნება, სადაც ავტორები თანამედროვე ადამიანის პრობლემებს, იდეალებს, წარმოდგენებს, წუხილსა თუ სიხარულს ხატავენ.

კარელ გოუბას პოპულარული მოთხრობებისა და ნოველების რჩეული „სადილზე მიწვევა" წარმოადგენს მხატვრების, მოქანდაკეების, მწერლებისა თუ ხელოვნების სხვადასხვა სფეროებში მოღვაწე ადამიანების ცხოვრების ღრმა ფსიქოლოგიურსა და ემოციურ ანალიზს. გოუბას პროზა არ გვიხატავს შემოქმედებით პროცესს, მის განვითარებას, ავტორს აინტერესებს ადამიანური ურთიერთობანი, მათი მორალურ-კრიტიკული პრობლემები და კრიზისები, როცა საქმე კაცის ადამიანურ ღირსებას, მისი ნამდვილი ხასიათისა და სინდისის გამოვლინებას ეხება.

ივან ლესნის წიგნში „ძალიერთა ამა ქვეყნისათა სნეულებანი" ისტორიული მასალების საშუალებით იკვლევს ისტორიული პიროვნებათა: ცეზარის, დომიციანის, ბოლესლავ II, ვაცლავ II, ჰენრიხ II, ფილიპ IV ლამაზის, ჟანა დ'არკის, ჰაბსბურგების (ესპანური შტო), გეორგ III, მარატისა და რობესპიერის ნერვულ და ფსიქიურ დაავადებათა მიზეზებსა და მიმდინარეობებს. ნაწარმოები მკითხველს აცნობს არამარტო ცალკეულ ისტორიულ პიროვნებათა ცხოვრებისა და მათ საქციელზე ამ დაავადებათა გავლენას, არამედ იმ ეპოქასაც, რომელშიც მათ უხდებოდათ ცხოვრება.

რამდენიმე ხნის წინ გამოსული ოტაკარ ბრუნას „სამყაროს მეტამორფოზები — მეტამორფოზები თეატრისა" გვაცნობებს მსოფლიოს მრავალი თეატრის ნამუშევარს. ავტორი ესსეს ფორმით მოგვითხრობს სხვადასხვა ქვეყნების თეატრების ცვლილებათა შესახებ და თავის აზრს გვიზიარებს ამ მოვლენებზე. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა თეატრისა და მაყურებლის ურთიერთობას. ამოსავალი წერტილი ავტორისათვის მსოფლიოს თეატრების ისეთ წარმომადგენლებთან საუბარია, როგორიცაა პიტერ ბრუკი, ეფროსი, ჟან ლუი ბარრო, უგგო პირრო და სხვ.

ბოგუმილ მრაზის პოპულარული პუბლიკაცია მიძღვნილი ჩეხი პროგრესული მხატვრის, გრაფიკოსის, მწერლისა და ხელოვნებათმცოდნის იოზეფ ჩაპეკის ცხოვრებისა და შემოქმედებისადმი მკითხველს უხსნის მისი მხატვრული მემკვიდრეობის მნიშვნელობას ჩეხურ კულტურაში, ამასთანავე ხელოვანი ძალადობის, ომის, ფაშიზმის წინააღმდეგ მებრძოლადაც წარმოგვიდგება. იგი თავის ძმასთან კარელ ჩაპეკთან ერთად აქტიურ პოლიტიკურ მოღვაწეობასაც ეწეოდა. წიგნში ამავე დროს განიხილება მხატვრისეული სამყაროს აღქმის ლიტერატურული და მხატვრული ურთიერთკავშირები.

ცნობილი ჩეხი პოეტის იარომირ პელცის ახალი პოეტური კრებული „ჯადოქარ ბოსკის ჩემოდანი" წარმოადგენს ახალგაზრდა კაცის გულწრფელ აღსარებას, რომელიც მძაფრ სულიერ კრიზისს განიცდის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჟურნალ „ცისკრის“ 1988 წლის ნომრების შინაარსი

მოთხრობა, რომანი, ნოველა, ნარკვევი

ავალიანი ლადო — იუდას ხე. მოთხრობა. № 7
ანთაძე მიხეილ — მოთხრობები. № 11
არაბული შოთა — ნისლისფერი ცხენები, მოთხრობა, № 5
ბედიაშვილი მზია — ასე მგონია, შინა ვარ. მოთხრობა, № 8, 9
გაწერელია აკაკი — ფაიდას გამოცხადება. რომანი-ეტიუდი, № 3
გელაშვილი გიორგი — როცა დილაბნელს მგლისფერი დადგო, № 5
გოდერძიშვილი თამაზ — რკინის კარს უკან. პიესა, № 7
დავლიანიძე ჯემალ — მოთხრობები, № 4
დუმბაძე მანანა — უცნობი წინაპრები გაყვითლებული ფოტოსურათებიდან. მოთხრობა, № 6
დოლიძე მამუკა — მოთხრობები, № 8
თუთბერიძე გიგა — მოთხრობები, № 5
ინანიშვილი რევაზ — სამაგიდო რვეულიდან, № 1, მოთხრობები, № 7
კალანდია ზაურ — ქამი მესამე. რომანი, № 4, 5, 6, 7
კანდელაკი ზურაბ — ბევრი რამ ხდება, ჰორაციო... მოთხრობა, № 8, 9, 10
კეპულაძე ჯემსი — კოხინჯრობა. მოთხრობა, № 9
კეჭაღმაძე გიორგი — ალეს საბოლოო ბედი. მოთხრობა, № 10
კობიაშვილი გულო — მოთხრობები, № 2
მაისურაძე გოგი — პურისმტეები. მოთხრობა, № 11
მიშველაძე რევაზ — ნოველები, № 5
მელიქიძე ქეთევან — შემცირება. მოთხრობა, № 12
მერკვილიშვილი მურმან — მატარებელში, მოთხრობა, № 12
მეხრიშვილი ჯემალ — მოთხრობები, № 10
მეტრეველი ზვინან — მოთხრობები № 11
ოდიშარია გურამ — მოთხრობები, № 7
ომანაშვილი ემზარ — ჟალტამი. მოთხრობა, № 11
პაპიაშვილი იაკობ — მოთხრობები, № 8
რატიანი ჯემალ — მდინარესა და მთებს გაღმა. რომანი. დასაწყისი, № 12
რუხაია გრიგოლ — მოთხრობები, № 8
სანადირაძე მანანა — მოთხრობები, № 2
სუმბათაშვილი თეიმურაზ — ზღაპრები და თქმულებები, № 6
ფოცხვერია გია — აღსარება. მოთხრობა, № 8
ქადაგიძე კობა — შოპენის ნოქტიურნი. მოთხრობა, № 1. თამადა, მოთხრობა, № 12
ქავჟარაძე ირიდიონ — მოულოდნელი შეხვედრა. მოთხრობა, № 4
ქორიძე ჯანეტა — პური. მოთხრობა, № 6
ქურდოვანიძე თეიმურაზ — ...მწუდ ჩემდა ხარ. რომანი. დასასრული, № 1
შენგელია მზია — მოთხრობები, № 3
ცომაია ლეილა — სათავე. მოთხრობა, № 2
ხმალაძე თამაზ — ღრჯუ. მოთხრობა, № 12
წულეისკირი ნოდარ — აფთარი. რომანი № 1 2, 3, 4
წურწუმია ოთარ — მოთხრობები, № 1
ჯაფარიძე რევაზ — წაბლი და ნუგეში. მოთხრობა, № 11
ჯორჯაძე აკაკი — „მუმლი მუხასაო“. მოთხრობა, № 3
ჯოლოგუა ვლადიმერ — დედაშვილობა. მოთხრობა, № 4

ლექსები, კოსმეები

აბუთიძე გოჩა — ლექსები, № 3
ადეიშვილი ნოდარ — ლექსები, № 12
ადეიშვილი ხოზე — ლექსები, № 7
ადონია აპოლონ — ლექსები, № 9
ალხაზიშვილი გივი — ლექსები, № 12
ალიმონაკი ლერი — ლექსები, № 7
არაბული ალუდა — ლექსები, № 7
არაბული ბალათარ — ლექსები, № 2
ამირიძე კოტე — ლექსები, № 12
ასლანიკაშვილი ხათუნა — ლექსები, № 5
ახობაძე ამირან — ლექსები, № 9
ბართაია ნომადი — ლექსები, № 1
ბარნაბიშვილი მერი — ლექსები, № 9
ბარჯაძე თამაზ — ლექსები, № 5
ბაკრაძე ნოდარ — ლექსები, № 4
ბეკიშვილი თედო — ლექსები, № 6
ბედოშვილი მზია — ლექსები, № 11
ბეროშვილი შურთხო — ლექსები, № 12
ბერიძე სანდრო — ლექსები, № 8
ბერეკაშვილი პაატა — ლექსები, № 8
ბიგაშვილი არჩილ — ლექსები, № 9
გაბური ალექსანდრე — ლექსები, № 11
გაბელია ალეკო — ლექსები, № 3
გიორგობიანი გურამ — ლექსები, № 2
გიგაური გიორგი — ლექსები, № 8
გიგაური როსტომ — ლექსები, № 9
გიგაური თოთია — ლექსები, № 12
გოჩიაშვილი ელა — ლექსები, № 12
გოგნაძე გივი — ლექსები, № 10
გოცაძე იზა — ლექსები, № 12
გოგუაძე ნანა — ლექსები, № 11
გელაშვილი ნუგზარ — ლექსები, № 11
გვიშიანი დოდო — ლექსები, № 7
გურგენიძე ნანა — ლექსები, № 8
გუგუშვილი ბადრი — ლექსები, № 11
დანელია ბათუ — ლექსები, № 7

ეროვნული ბიბლიოთეკა

დანელია რევაზ — ლექსები, № 2
დევიძე ნატო — ლექსები, № 5
თოთაძე ლალი — ლექსები, № 10
ებანოიძე ზაალ — ლექსები, № 5
კალანდია გენო — შემოდგომის სონეტები. № 10
კახიძე მედეა — ლექსები, № 7, № 12
კახნიაშვილი ვიქტორ — ლექსები, № 9
კობაიძე მანანა — ლექსები, № 4
კორძაია ჯანსულ — ლექსები, № 8
კობერიძე მარიკა — ლექსები, № 8
კობერიძე თენგიზ — ლექსები, № 10
კიკოლაშვილი გელა — ლექსები, № 12
ლომჯანიძე ზურაბ — ლექსები, № 1
მაცაბერიძე ბონდო — ლექსები, № 10
მაჭავარიანი მალხაზ — ლექსები, № 4
მასხულია ლანდა — ლექსები, № 10
მებურნეშვილი ტაგუ — ლექსები, № 6
მეგრელიშვილი ავთანდილ — ლექსები, № 6
მეტრეველი მერაბ — ლექსები, № 10
მიმინოშვილი რომან — ლექსები, № 1
მოისწრაფეშვილი პაატა — ლექსები, № 4
მუმლაძე ქეთევან — ლექსები, № 7
მჭიდლური დავით — ლექსები, № 7
ნადელაშვილი პაატა — წერილი —83, № 3
ნებიერიძე მურად — ლექსები, № 6
ოთარაშვილი ვაჟა — ლექსები, № 4
რუსიაშვილი ლია — აკმე. № 12
პეტრიაშვილი გურამ — ლექსები, № 3
სვანაძე თენგიზ — ლექსები, № 6
საჯაია რამინ — ლექსები, № 10
სტურუა ლია — ლექსები, № 5
სულაბერიძე ლადო — ლექსები, № 2
სარიშვილი გიგლა — ლექსები, № 11
სიხარულიძე ნინო — ლექსები, № 11
ტაბატაძე ალექსანდრე — ლექსები, № 10
უტარაშვილი ციხანა — ლექსები, № 9
ფოცხიშვილი მორის — ლექსები, № 1
ფხოველი ჯარჯი — ლექსები, № 10
ქალდანი შერმადინ — ლექსები, № 10
ქაცანავილი ზურაბ — ლექსები, № 1
ქინქლაძე ზაზა — ლექსები, № 7
ქემერტელიძე იორამ — ლექსები, № 8
ქუთათელაძე ბადრი — ლექსები, № 6
ქვარიანი პაპუნა — ლექსები, № 6
შამანაძე ნოდარ — ლექსები, № 9
ჩარკვიანი გიორგი — ლექსები, № 2
ჩიტიშვილი მანანა — ლექსები, № 7
ჩიგოგიძე ეთერ — ლექსები, № 5
ჩილაჩავა რაულ — ლექსები, № 4
ჩიხლაძე დავით — ლექსები, № 9
ჩხაიძე ავთანდილ — ლექსები, № 11
ცეცხლაძე მამუკა — სადღეგრძელო. ლექსი, № 7
წიკლაური მამუკა — ლექსები, № 4
ჯოლოკავა მურად — ლექსები, № 4
ჭუმბურიძე დოდო — ლექსები, № 6
ხარჩილავა ვახტანგ — ლექსები, № 9
ხარანაული ბესიკ — ფიქრში და სიზმარში. პოემა. № 4
ხორგუაშვილი გიორგი — ლექსები, № 6
ხორნაული ვაჟა — ლექსები, № 5
ხუციშვილი მარინე — ლექსები, № 11
ხოჭოლავა თამარ — ლექსები, № 8
ჯანელიძე ჯანო — ლექსები, № 9
ჯახუა იმედი — ლექსები, № 9
ჯაჯვაძე იზა — ლექსები, № 6
ჭიჯნელიანი ბორენა — ლექსები, № 6
ჯულუხიძე გრიგოლ — ლექსები, № 2
ჯიქია ელგუჯა — ლექსები, № 8

წერილები

აბაშიძე დავით — ორმეფობა ძველ ქართლში, № 11
ანთელავა ილია — მნიშვნელოვანი ნაშრომი მთის კუთხეების ლოკალიზაციისა და ეთნონიმიკის შესახებ, № 11
ბექიშვილი თედო — „აისბერგი მღერის", № 4
ბერიძე მერაბ — „ასპინძას ერეკლე ვნახე...", № 6
ბრეგაძე ლევან — „შენც წახდი, მეც წამახდინე", № 8
გასვიანი გერონტი — ისტორია თვალის ერთი გადაკვეთით არ იწერება, № 3
გახოკიძე რამაზ — მეცნიერული და მხატვრული შემოქმედების ურთიერთგავლენის საკითხისათვის № 11
გელაშვილი ნაირა — „...უნდა ენდოთ მემატიანესა...", № 6
გიორგობიანი ქეთევან — წამების გზა შეცდომიდან მონანიებამდე, № 8
გუგუშვილი ბადრი — „ჩემი სიყვარულის თავსასთუმალთან", № 1
გოჩელაშვილი ომარ — რა სჯობს ლექსისთვის... № 8
გოდერძიშვილი გოდერძი — ისევ ფერეიდანი... № 8
გომართელი ამირან — რუსული ფილოსოფიის გამოძახილი უახლეს ქართულ პროზაში, № 9
გოზალიშვილი შალვა — ეგნატე ნინოშვილის უცნობი პუბლიცისტური მემკვიდრეობიდან, № 5
დემურხანაშვილი სოლომონ — სულის სასარგებლო წიგნი, № 3
ზაქარია პარმენ — ეგრისის სამეფოს დედაქალაქი, № 2
თაბუკაშვილი მარინა — რეალიზმი ქართული წარმართობის ხელოვნებაში № 10
იმედაშვილი კობა — ოთარ ჭილაძის „მარტის მამალი", № 11
მაისურაძე მაკა — „მსოფლმხედველობა და პოეტიკა" უილიამ ბლეიკის ციკლში „უმანკოების ჰანგები", № 2

მინდიაშვილი აკაკი — ლაბირინთში, № 4
მირიანაშვილი ანდრო — ორი მუზის კეთილად მსახური. № 12
მერკვილაძე გიორგი — ადამიანი და პიროვნება, № 10
მჭედლიშვილი გიორგი — საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოს პრობლემა, № 9
მჭედლური დავით — ადამიანები და ხასიათები, № 11
ნათაძე ნოდარ — აქტუალურიც და მხატვრულიც, № 2
ნადირაძე ედდარ — წიგნი ხალხური ორნამენტის სიმბოლიკის შესახებ, № 11
ნუცუბიძე თეიმურაზ — პოეზიით შემჭიდროება, № 7
პატარაია მანანა — პირველი რეცენზიები ქართულ თეატრზე, № 8
ჟორდანია სულხან — „არაგვისათვის", № 1
რჩეულიშვილი ნანა — ჩართული ნოველა გრ. აბაშიძის შემოქმედებაში, № 10
სირაძე რევაზ — „ვიცი, რაჲსთვის ვარ", № 10
სიმაშვილი თენგიზ — ნიკო ხიზანიშვილის (ურბნელის) ბიოგრაფიის ერთი საკითხის გამო, № 5
ტუღუში აბესალომ — ერთი ქართული წარმართული ღვთაების სახელის გამო, № 2
ფანჯიკიძე გურამ — არ გვაქვს შეცდომის უფლება, № 2
ფანჯიკიძე მაია — ლეო ქიაჩელის ერთი მოთხრობის გამო № 12
ფხოველი ჯარჯი — „ცხოვრება ვაჟა-ფშაველისა", № 4
ფოფხაძე ნათელა — მიხეილ თამარაშვილის არქივის იტალიური ფონდის სიახლეები, № 11
ქავთარია გრანი — ქართული ნაოსნობა, № 8
ქორიძე ვილენ — ფრიდრიხ ბოდენშტედტის ცნობები, საქართველოს შესახებ — № 3
შალამბერიძე გიორგი — პოეტის სტუდენტური დღეების გახსენება, № 1
შუბინი ბ. ბ. — ჭმუნვის ფურცელი ან ალექსანდრე პუშკინის ავადმყოფობის ისტორია, № 1
ყორანაშვილი გურამ — ეროვნული და სოციალური განთავისუფლების საკითხი ილიას ნააზრევსა და პრაქტიკულ ნაღვაწში, № 11
ყიფიანი მანანა — „გლახ ბედისაგან ესრეთ დასჯილი...", № 11
ჩხაიძე თენგიზ — „ქურუმი მზისა", № 2
ჩხეიძე როსტომ — ადრე პოეტი, № 12
ჩიხლაძე დავით — ნეოაკანგარდის ორი სახე, № 4
წოწონავა თენგიზ — სიმართლე, № 12
ჭანტურიშვილი სოსო — სტრუქტურალიზმი ეთნოგრაფიაში. კლოდ ლევი-სტროსი, № 3
ჭინჭარაული ალექსი — „ვეფხისტყაოსნის" ერთი სტროფის გაგებისათვის, № 2
ხელაძე ევგენი — შეხვედრები ნოდარ დუმბაძესთან, № 3
ხერგიანი მირონ — „ისტორია „პროკრუსტეს საწოლზე", № 5
ხორნაული ვაჟა — „რიწა" მკითხველის იმედს ამართლებს, № 9
ჯიბლაძე გიორგი — გიორგი ახვლედიანი — ლიტერატორი, № 1

გაზაფხულის სიმღერები

გაბუნია ჯანიკო, მაისურაძე, ოლდა, მუკბანინანი მალვინა, თარგამაძე ციური, შაბათაშვილი ნანა, ჯოჯუა ტერეზა. ლექსები, № 3

ახალი თარგმანები

ესპანური ეპიგრამები — თარგმნა **შოთა ქავთარაძემ**, № 2
პოლ ვალერი — ზღვის სასაფლაო. თარგმნა **გივი გეგეჭკორმა**, № 3
ე. თ. ა. ჰოფმანი — დონ ჟუანი. გერმანულიდან თარგმნა **ლია თაყვარელიამ**, № 6
კამბარალ ბობულოვი — ლექსები, თარგმნა **ბალათერ არაბულმა**, № 8
ჰერბერტ უელსი — თანამედროვე რომანი. ინგლისურიდან თარგმნა **ეთერ ბალიაშვილმა**, № 9
ინგლისური ხალხური პოეზიიდან — თარგმნა **გიორგი ნიშნიანიძემ**, № 10
ვლადიმერ გუბარევი — სარკოფაგი. პიესა. თარგმნა **გურამ გოგიაშვილმა**, № 1
მაინალქა ბაბირაქი — ლექსები. თარგმნა **ვაჟა ხორნაულმა**, № 11

პრობლემა

საქართველო უმნიშვნელოვანეს ენციკლოპედიებსა და საცნობარო ლიტერატურაში, № 12

ხელოვნება

ალხაზიშვილი გივი — სიმღერა სულის გადამრჩენელი, № 2
აბულაძე გია — რამდენიმე მოსაზრება გოეთეს „ფერთა თეორიის" მხატვრობაში პრაქტიკული გამოყენებისათვის, № 9
გოგოლაშვილი მარგარიტა — ჩერნობილის ტრაგედიის სცენური ანარეკლი № 12
გოშაძე მაია — თორნთონ უაილდერის თეატრი, № 10
თაბაუაშვილი ნინო — მასზე არავინ არაფერი იცოდა, № 6
კუხიანიძე ცისანა — პოეტური ხილვების სამყაროში, № 9
ქარაია ინგა — მზიური ქვეყანა, № 5

ჭუთათელაძე ნინო — ფიქრები ფრთების გაშლისას, № 7

პუბლიკაცია

კოდუა ედუარდ — ერის საზრისის საკითხები ოციან წლებში, № 9
მიწიშვილი ნიკოლოზ — ფიქრები საქართველოზე, № 9
რობაქიძე გრიგოლ — საქართველოს ხერხემალი, № 9
ჯორჯაძე არჩილ — დიმიტრი ყიფიანი, № 4, 5, 6, 7, 8

გახსენება

ბაძაღუა თამაზ — ლექსები, № 10
გეგეჭკორი გივი — „მე ვდგავარ, თითქოს წამსვლელი არ ვარ...“, № 10
ჩხიკვიშვილი ავთანდილი — გული, № 1
ჯორჯანელი გიორგი — ლექსები, № 5

იუბილეები

შოთა ჩანტლაძე — 60 — № 6
ბედიანიძე დალილა — „დაგვიანებული ყვავილები“, № 6
კვიტაიშვილი ემზარ — მადლობა ვუთხრათ! № 6
ფხოველი ჯარჯი — შოთა ჩანტლაძე — № 6

ახალგაზრდა მეცნიერი „ციხაარში“

მურღულია გია — პარადიგმული სახეები „დავითიანში“ № 10
პაიჭაძე დავით — ვენეცია-ოსმალეთის ომი და საქართველო, № 8

აბტუალური საკითხი

კორტავა ვლადიმერ — პიროვნების მორალურ შესაძლებლობათა რეალიზაცია, № 9

რეცენზია

ასანიძე ამირან — უშრეველი გულის სითბო, № 6
ბართაია ევგენი — თანამედროვე სოფელი და მისი ადამიანები, № 3.
მახაური ტრისტან — „ხალხური სიტყვიერება „აკაკის კრებულში“, № 9
კერძევაძე ელდარ — როცა თანაავტორი სიყვარულია, № 11
კომახიძე მაია — „მიწიდან ცისკენ“, № 6
სიხარულიძე ზაზა — ფოლკნერის გაკვეთილები, № 10
ფეიქრიშვილი ილია — პროფესიული სრულყოფის გზით, № 6
ხარჩილავა ვახტანგ — „მოლოდინი“, № 5

გარდაქმნა დროის მოთხოვნაა

კალაძე ამირან — მეორე აზრი, № 11
ღვინჭილია ჯანსუღ — ჩვენი ლიტერატურული ატმოსფერო, № 1, რუსთაველის დღე — პოეზიის დღე, № 6

ლიტერატურული სიახლენი, № 10, 11

ქრონიკა, № 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12

შასწორება

წინა ნომრის 119-ე გვერდზე **რამაზ გახოკიძის** წერილში შეცდომები გაიპარა. პირველი სვეტის მეორე სტრიქონი ასე უნდა იკითხებოდეს. **„ან არა იმ აღმოჩენებს, რომელთა საშუალე-“** შემდეგ როგორც ტექსტშია. ამავე გვერდის მეორე სვეტის მეორე აბზაცი უნდა იკითხებოდეს შემდეგნაირად **„ფორმალიზმის იდეოლოგები აღნიშნავენ, რომ ობტიკური ხელსაწყოების, კინო და ფოტოა-“** — შემდეგ როგორც ტექსტშია.

ჩვენი მისამართი: თბილისი, 380007, დადიანის ქ. № 2.
ტელეფონები: მთავარი რედაქტორი — 99-85-81, მთ. რედაქტორის მოადგილე — 72-26-32, პასუხისმგებელი მდივანი 72-43-75, მდივანი — 72-44-78, განყოფილებათა გამგეები — 72-26-35, პროზის — 72-26-30, „ციხკრის“ დამატება — 72-17-01, საკორექტორო — 72-47-62.

გადაეცა ასაწყობად 10. 10. 88 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 13. 12. 88 წ., ქაღალდი ზომა 70×108, ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 10. პირობით ფორმათა რაოდენობა 14. სააღრ. საგ. თაბახი 15,85. შეკვეთა 2569 უე 01523 ტირაჟი 70 000

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი
დროშის ორდენოსანი სტამბა, თბილისი, ლენინის, 14
Ордена Трудового Красного Знамени типография издательства
ЦК КП Грузии, г. Тбилиси, ул. Ленина, 14.

ფასი 60 კაპ.

ინდექსი 76236

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

«ЦИСКАРИ»

ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ